ზურაბ ლეჟავა

ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში...

მოთხრობები
რომანი

გაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

ზურაბ ლეჟავა
ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში...
მოთხრობები, რომანი

თბილისი, 2009
პირველი გამოცემა

© ზურაბ ლეჟავა, 2009
ყველა უფლება დაცულია

ყდის დიზაინი: ნათია კვარაცხელია

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-129-3

Zurab Lejava
SHORT STORIES

© Zurab Lejava, 2009
All rights reserved

Cover design by Natia Kvaratskhelia

Published by Bakur Sulakauri Publishing
Tbilisi, Georgia, 2009

www.sulakauri.ge

შინაარსი

კამერული სიყვარული	5
ვანია კნუროვი	22
არსება, რომელიც შენ გიყვარს	32
ხუთი გრამი შაქარი	42
ხუმრობის ძალა	49
მილიონი ბედნიერება	55
ბარბაროსი	99
მაცივარი სექსისა წილ	111
ქურდობის ქალღმერთი	129
მსტოვარი და მზვერავი	159
საბედისწერო კოცნა	172
დიდი ჭუჭუა და პატარა ჭუჭუა	181
ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში...	199
თქვენი ბაბოც გავათხოვე	222
ცარილი და ასეთი ძვირი	233
იყიდეთ ჩვენი სულები	277

კამერული სიყვარული

ხარკოვის ციხის ერთ-ერთ სატრანზიტო კამერაში ორნი შემოვიდნენ.

– პრივეტ! – მიესალმნენ ისინი იქ მყოფებს.

კამერების მობინადრეები ჩეფირს სვამდნენ. თუ როგორ სვამენ ჩეფირს საბჭოთა ციხეში ალბათ ყველა საბჭოთა მოქალაქემ იცის, იმიტომ, რომ თითქმის ყველა თავის დროზე ციხეში იჯდა, ხოლო ვინც არ იჯდა, აუცილებლად ჩაჯდება. ჩეფირის მოხარშვის რამდენიმე წესი არსებობს, დალევითაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად სვამენ, ძირითადად კი სხდებიან ერთად და „კრუშკას“ წრეში ატრიალებენ, თან ორ-ორ ყლუპს აკეთებენ. ჩეფირი არის მაღალი კონცენტრაციის, უშაქრო, მწარე ჩაი. პირველად ცოტას თუ მოსწონს, მაგრამ შემდეგ ეჩვევიან და ბევრს უკვე აღარც შეუძლია მის გარეშე. თქვენც მიეჩვევით, როცა ციხეში ჩაჯდებით.

– საიდან მოვიდა ეტაპი, ბიჭებო? – ჰკითხა ახალმოსულებს ერთ-ერთმა ხნიერმა პატიმარმა მისალმების შემდეგ.

– მოსკოვიდან.

– რა, მოსკოველები ხართ? – თავი წამოყო მეორემ, შედარებით უფრო ახალგაზრდამ, თან ორაზროვნად გაიღიმა. საქმე ის არის, რომ მოსკოველები ციხეში თითქოს მაინცდამაინც არ უყვართ, ამბობენ, ცოტა თავისებური ხალხიაო.

– არა, მოსკოველები არა ვართ. ეს ნიკოლაეველია, მე კი როსტოვის ოლქიდან ვარ, – უპასუხა შედარებით მაღალმა, რომელსაც პაშა ერქვა, – მოსკოვში ექსპერტიზაზე ვიყავით.

– რა ექსპერტიზაზე?

– სუდმედექსპერტიზაზე, სერბსკის ინსტიტუტში.

– ოჰო, – წამოიძახა ვიღაც ახალგაზრდამ, – სერბსკის

ინსტიტუტში უბრალო გიჟებს არ აგზავნიან. თქვენ ალბათ განსაკუთრებული გიჟები ხართ!

– კი, გიჟები ვართ, – მოჩვენებითი სიამაყით უპასუხა პაშამ, – მე, მაგალითად, ტვინის ორმხრივი მოტეხილობა მაწუხებს. აი, ამას კი დებილიზმის მსუბუქი სტადია აქვს. – ეს რომ თქვა, მხიარულად გადაიხარხარა.

ყველამ გაიცინა. უყვართ მხიარული ხალხი პატიმრებს. ასეთებზე ამბობენ, სიტყვის ამოსაღებად ჯიბეში ხელს არ იყოფსო.

– მოდით, ბიჭებო, თითო ყლუპი დალიეთ, ნამგზავრები ხართ. – მიიწვია ხნიერმა ახალმოსულები.

ხნიერი კაცი იყო ვინია ჩეტვერტაკი. ჩეტვერტაკს იმიტომ ეძახდნენ, რომ თავის დროზე ოცდახუთი წელი ჰქონდა მისჯილი. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოიხადა სასჯელი, ვადებიც ნაირ-ნაირი ჰქონდა, მაგრამ ეს პირველი მეტსახელი ბოლომდე შერჩა. ორი რამ უყვარდა ამ კაცს – კარტი და ჩაი. როგორც ცნობილია, მეცნიერები დადიან სოფლებში, იწერენ საინტერესო ანდაზებს, ლექსებს, ზღაპრებს... ვაგლახ, რომ არავინ მისულა ჩეტვერტაკთან, არ ჩაუწერია მისი ნალაპარაკევი. ოჰ, როგორი ლექსები იცოდა ამ კაცმა, როგორი პოემები – ზონის პოემები. როგორი შეუდარებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური ბილწსიტყვაობით იყო შემკული მისი ზოგიერთი ფრაზა. როგორ აცინებდა ყველას, როცა ამის გუნებაზე იყო. ეს ლექსები, ეს გამონათქვამები არც ერთ კრებულში, არც ერთ ალმანახში არ დაიბეჭდება. ნუთუ დაიკარგება?

ამ მოთხრობის მთავარი თემა სიყვარულია და ამიტომ კამერაში მსხდომთაგან მხოლოდ ზოგიერთებს გაგაცნობთ და ისიც თხრობის პროცესში – თუ საჭირო გახდა, ხოლო დანარჩენებს თქვენ თვითონ გაიცნობთ, როცა ჩაჯდებით ციხეში. ახლა კი, სანამ სიყვარულზე გადავიდოდეთ, მე მინდა კიდევ ერთი კაცი გაგაცნოთ, რამეთუ ეს კაცი რომ არა, ალბათ არც ეს მოთხრობა იქნებოდა და არც სიყვარული ამ ქვეყანაზე.

ეს კაცი ყველასაგან მოშორებით იწვა და წამდაუწუმ დარბოდა პარაშაზე. ავად იყო. საცოდავს ცივი ოფლი და სისხლიანი ფაღარათი სდიოდა. დიახ, ასეთია დიზენტერია. ეს კაცი გმი-

რულად ითმენდა და არ მიმართავდა ადმინისტრაციას დახმარებისათვის, იმიტომ, რომ კამერაში, რომელშიც დიზენტერიას პოულობენ, აცხადებენ კარანტინს. ყველა პატიმარი კამერისა იძულებულია სატრანზიტო საკანში იჯდეს ერთი თვე, სატრანზიტო საკანი კი არ არის სახარბიელო ადგილი. არც სიგარეტი, არც ჩაი, არც საბანი, არც თეთრეული, გარშემო თითქმის სულ უცხო ხალხი მთელი ქვეყნის სხვადასხვა ადგილიდან, ამას ემატება სიცხე ზაფხულში, სიცივე ზამთარში, სივიწროვე, ბაღლინჯოები და ა. შ. ამიტომ ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა წავიდეს ზონაში. ავადმყოფს სთხოვენ, ცოტათი მოითმინოს. ავადმყოფი ითმენს. ეტაპები კი მიდის და მოდის. ძველებს ახლები ცვლიან და ამჯერად უკვე ახლები სთხოვენ ავადმყოფს, რომ კიდევ ცოტა მოითმინოს მათ წასვლამდე, ასეთ დროს პატიმრებს ავიწყდებათ თავიანთი, მათ მიერვე ქებული სოლიდარობა და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

თუ როგორ არქიტექტურულ საზიზღრობას წარმოადგენს საბჭოთა ციხე, ამაში თქვენ ადვილად დარწმუნდებით მაშინ, როცა კაპეზედან ავტოზეკით მიგიყვანენ იქ, სადაც ჯერ კიდევ არს. ერთი კორპუსი ამ კომპლექსისა ეკატერინეს დროს არის აშენებული, მეორე კორპუსი სტოლიპინის დროს არის მიშენებული, მესამე კორპუსი თანამედროვე ნაგებობაა. ყველა ეს კორპუსი კი ისე საზიზღრადაა ჩახლართული ერთმანეთში, რომ... თფუი!

ზემოხსენებული კამერა მდებარეობდა კორპუსის ბოლოში, ხოლო მის პერპენდიკულარულ, მეორე კორპუსის კუთხურ კამერაში ისხდნენ ქალები. პატარა კამერა იყო – ოთხკაციანი. საერთოდ, ქალები ხარკოვის ციხეში დიდ კამერებში სხედან, მაგრამ ეს კამერა ვენერიული სენით დაავადებულთათვის იყო განკუთვნილი. აქ მკურნალობდნენ გონორეას, ანუ ტრიპერს. რასაკვირველია, ასეთი სენით დაავადებულ ქალთან ურთიერთობა, მით უმეტეს, ინტიმური, არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო, მაგრამ, როცა ყველანი თავიანთ კამერებში არიან გამომწყვდეულნი და არავითარი საშიშროება არ არის სენით დაავადებისა, აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს პატიმარი

კაცისათვის? ის კი არადა, ცხვირიც რომ სძვრებოდეს, მაინც სასიამოვნოა ქალთან ურთიერთობა, ქალი მაინც ქალია. ჩეტვერტაკს ჰყავდა შეყვარებული ამ კამერაში, სახელად ლენა. წამდაუწუმ აძვრებოდა ხოლმე ფანჯარაზე და უძღვნიდა ათასნაირ ქათინაურს თავის ტრიპერიან სატრფოს. უფრო ხშირად კი ლანძღავდა მას. რატომ ლანძღავდა? ახლავე გეტყვით. კამერაში იჯდა ოთხი ქალი – ლენა – ჩეტვერტაკის სატრფო, ნადია, სვეტა და ნატაშა. მათ თავზე ერთი სართულით მაღლა იჯდა მილიციის ყოფილი მაიორი. ის მარტო იჯდა. ყოფილ მილიციელებს საერთო კამერაში არ სვამენ, ისინი განცალკევებით სხედან, სხვა პატიმრებმა, ეგრეთ წოდებულმა უგალოვნიკებმა რომ არ შეაწუხონ. მაიორსაც ისევე, როგორც ჩეტვერტაკს, ჰყავდა ამ კამერაში სატრფო. ეს იყო ყოჩაღი და სწრაფი ნადია. ნადია ყოფილი სექციის გამგე იყო მაღაზიაში და, როგორც ჩანს, დაჩვეული იყო მილიციელების ყურადღებას. მაიორისათვის გაცილებით უფრო ადვილი იყო ურთიერთობის დამყარება ქალების კამერასთან. კამერათა განლაგება უწყობდა მას ამაში ხელს. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჩამოუშვებდა ხოლმე კანაფს, რომელზედაც, სამიჯნურო უსტარის გარდა, სიგარეტებს და პროდუქტებსაც მიაბამდა ხოლმე. ნადია ანგარების მიზნით მეგობრობდა მასთან. მდიდარი კაცი იყო მაიორი – შეძლებული, ნადიას კი უყვარდა მდიდარი კაცები. ორივენი, ჩეტვერტაკიც და მაიორიც, ძალიან ეჭვიანები იყვნენ. თანაც შეიძლება ითქვას, სულიერად სძულდათ ერთმანეთი – იდეოლოგიურად.

– ლენა, ლენა! – დაიძახებდა ხოლმე ჩეტვერტაკი.

– ილაპარაკე! – პასუხობდა მაიორი.

– შენ რა ლენა ხარ, შე აყროლებულო ძაღლო?! – იფეთქებდა მაშინვე ჩეტვერტაკი, – შენი თავი მომცა ცოტა ხნით კამერაში, ერთ ადგილს სტალინის ხუთქიმიანი ვარსკვლავივით გაგიგლეჯდი!!!

მე დიდი სიმორცხვით არ გამოვირჩევი, მაგრამ მაინც ვერ დავწერ იმის მეათედსაც, რასაც წარმოთქვამდა ამ დროს ჩეტვერტაკის დაუდეგარი ენა. ყველას ლანძღავდა, ყველას: მაიორს, ნადიას, ლენას, ციხის ზედამხედველებს (მაიორს რომ

არ აძლევდნენ კამერაში, ერთი ადგილის ხუთქიმიანი ვარსკვლავივით გასაგლეჯად), ერთი სიტყვით, ყველას.

მაიორი, თავის მხრივ, ქსივებში საყვედურობდა ნადიას და დანარჩენ გოგოებს, რატომ გაქვთ ურთიერთობა მაგ ნაძირალასთანო. ნადია და ლენა ერთმანეთს საყვედურობდნენ, ყველაფერი შენი ბრალიაო, და იყო ერთი განამაწია...

ჩეტვერტაკს განსაკუთრებით ის უკლავდა გულს, წერილებს რომ ვერ სწერდა ლენას. როცა დაინახავდა თუ როგორ ეშვებოდა კანაფი ზედგამობმული მაიორის წერილით, ლამის იყო გისოსები გადაეღრღნა კბილებით. როგორ არ სცადა წერილის გაგზავნა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა: პატარა ისარიც გააკეთა, შურდულიც გააკეთა, მაგრამ წერილი ვერაფრით ვერ შეაგდო ლენასთან. მას გისოსებზე გარედან აკრული „ბაიანები" უშლიდა ხელს. ეს იყო პაშას მოსვლამდე...

პაშამ ეტაპით მოსვლის პირველსავე დღეს გააკეთა ჰაერის ჩასაბერი თოფი. დაახვია გაზეთი, რომლისგანაც გამოვიდა მილი. კარგად დააწება. მერე გააკეთა სპეციალური ტყვია ქაღალდისაგან, რომელიც ფორმით ჰგავდა ბადმინტონის ფიშკას. წვერი ჰქონდა ამ ტყვიას ცომივით დარბილებული პურისგან გაკეთებული. ასეთი ტყვია ყოველთვის წვერით მიფრინავს. პაშამ კონუსისებურ ქაღალდის კუდში ძაფი თავისებურად ჩაახვია, მერე ეს ტყვია გაზეთის მილში ჩადო, მილი გაყო ფანჯარაში და დაუმიზნა ქალების კამერას, ღონივრად ჩაჰბერა და მაშინვე მიაღწია მიზანს. არავის ეგონა, თუ ამ საქმიდან რაიმე გამოვიდოდა, რადგან ქალების საკანს რაღაც სხვანაირი „ბაიანი" ეკრა, მოდერნიზებული. ეს იყო გისოსებზე ცერად მიდუღებული რკინის ფირფიტები, რომელთა გარმონთან მსგავსების გამოც ეძახდნენ მათ „ბაიანებს".

– ლენა! ლენა! – დაუძახა პაშამ.

– რა! – გამოეხმაურა მას ლენა.

– ლენაჩკა, მე შემოვაგდე თქვენს კამერაში ქაღალდის ტყვია, აიღე და ფრთხილად მოქაჩე. ტყვიაზე მიბმულია ძალიან წვრილი ძაფი, ხოლო წვრილ ძაფზე მიბმულია მსხვილი ძაფი, როცა მსხვილი ძაფი მოაღწევს თქვენს კამერამდე, მიაბი გისოსზე და მითხარი, რომ ყველაფერი რიგზეა, გაიგე?

– გავიგე!

ლენა მალე მიხვდა ყველაფერს. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უთხრა პაშამ.

– მზად არის გზა, – უპატაკა პაშამ ჩეტვერტაკს, – შეგიძლია დაწერო წერილი!

ამგვარად გაბმულ კანაფებს პატიმრები გზებს უწოდებენ.

ჩეტვერტაკმა დაწერა წერილი:

„ჩემო ძვირფასო ლენაჩკა, როგორც იქნა, მომეცა საშუალება, რომ შენთვის მომეწერა ეს პატარა ქსივი. მინდა გითხრა, რომ მე შენ ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ლენა, აქ არიან ბიჭები, რომლებსაც უნდათ იქონიონ მიწერ-მოწერა სვეტასა და ნატაშასთან. ესენი არიან სანია და ვანია. ისინი კრიტიდან მოდიან და ამიტომაც გოგონებს სთხოვე, არ დაიზარონ ქსივების დაწერა. სვეტამ და ნატაშამ თვითონ ამოირჩიონ, ვისთან უნდათ ურთიერთობა. ამით ვამთავრებ და დროებით გემშვიდობები. გულისფანცქალით ველოდები შენგან პასუხს. სანია და ვანია კი, შესაბამისად, ელოდებიან პასუხს ნატაშასა და სვეტასაგან. გკოცნი ტუჩებში მრავალჯერ. შენი ჩეტვერტაკი!"

მე, ცოტა არ იყოს, დაბნეული ვარ და არ ვიცი, როგორ გადავთარგმნო ზოგიერთი რუსული სიტყვა, მაგალითად: გუბკი, გლაზკი, ნოჟკი და ა. შ. რუსები, როცა ქალებს ეჟღურტულებიან, სწორედ ამ სიტყვებს ხმარობენ, ასეთნაირად ალამაზებენ სიტყვებს. ჩვენი შოლტივით მოქნილი ქართული ენა კი, სამწუხაროდ, არ იძლევა ყოველთვის ამის საშუალებას. თუმცა არა – დედაენა აქ არაფერ შუაშია. ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი აზიური სიტლანქე გვიშლის ხელს, ველაპარაკოთ ქალებს ისე, როგორც რუსები ელაპარაკებიან. ასეა თუ ისე, მე არ შემიძლია სიტყვა „ნოსიკ" შევცვალო ცხვირით, ხოლო სიტყვა „უშკი" – ყურებით. ჩემი აზრით, ეს მკრეხელობაა: ნუ გაიცინებთ, თუკი ცხვირის ნაცვლად ცხვირუნიას ამოიკითხავთ ამ მოთხრობაში, ხოლო ლოყის ნაცვლად – ლოყუნიას. ყველაფერი ახალი უჩვეულოა. მიეჩვიეთ ასეთ ლაპარაკს ქალებთან და გახდით ნამდვილი ჯენტლმენები.

ქალების კამერამ პასუხი, რა თქმა უნდა, არ დააყოვნა. მოვიდა ერთდროულად სამი წერილი: ლენამ ჩეტვერტაკს მოს-

წერა, ნატაშამ – სანიას და სვეტამ – ვანიას. ერთი სიტყვით, გაიმართა ჩინებული მიწერ-მოწერა. ლენა, ნატაშა, სვეტა, ჩეტვერტაკი, სანია და ვანია სწერდნენ ერთმანეთს წერილებს და ეფიცებოდნენ სიყვარულს. ქალებს მოსწონდათ, რომ მათი რჩეულები სტაჟიანი დამნაშავეები იყვნენ. დარბაისლებიც, თავის მხრივ, კმაყოფილები იყვნენ, მიუხედავად სატრფოთა ვენერიული მდგომარეობისა. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ მხოლოდ ტრიპაკი ჰქონდათ. ციხეში ყველაფერს სხვანაირი თვალით უყურებენ. აბა, ინგლისის დედოფალს ვინ მოგიყვანს ციხეში. და საერთოდ, ეს არ არის არც კეთრი და არც შიდსი. ეს არის სასქესო სურდო, კაცობრიობას კი აქვს საკმაო რაოდენობის სამკურნალო პრეპარატი, რომლებიც ყველას ეყოფა – ტანიასაც, მანიასაც, სვეტასაც, ნატაშასაც და თვით ინგლისის დედოფალსაც, თუ ეს საჭირო გახდა. სიყვარულს ვერაფერი დაუდგება წინ, იმიტომ, რომ სიყვარული უსაზღვროა!!!

მე გამომრჩა ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი. გახსოვთ დიზენტერიიანი პატიმარი? – ის ძალიან ცუდად გახდა, უკვე კვდებოდა და პატიმრებმა თვითონვე გამოიძახეს ექიმი. ავადმყოფი გაიყვანეს. მერე მოვიდნენ ბევრი რეცხვისაგან გახუნებულ, თეთრ ხალათებში გამოწყობილი ფაშფაშელა ექთანი და რამდენიმე ზორბა ზედამხედველი. მათ კამერის მობინადრეები დერეფანში გაამწკრივეს და სათითაოდ, უკლებლივ ყველას შეუყვანეს ანუსში სპეციალური მავთულის ჩხირები დიზენტერიის დასადგენად. უფრო სწორად, ჩხირებს ურჭობდა ექთანი – ფაშფაშელა უკრაინელი ქალი – ხახლუშკა. ზედამხედველები კი იდგნენ და თვალებს აბრიალებდნენ. მათი იქ ყოფნა გამორიცხავდა წინააღმდეგობის გაწევას პატიმრების მხრიდან. ხარკოვის ციხეში ზედამხედველებს ბევრი ლაპარაკი არ უყვართ – გინდა თუ არ გინდა, უნდა მოიქცე ისე, როგორც ადმინისტრაცია მიიჩნევს საჭიროდ. მორჩა და გათავდა.

– ნელა! ნელა, ქალო! – ყვიროდა შარვალჩახდილი პატიმარი, – აახ!

– შემდეგი! – ბანს აძლევდა ქალი.

– მოიტა, მე თვითონ! – ბღაოდა შემდეგი.

– დაიკუზე-ე-ე! – პასუხობდა ქალი.

– ოჰ, შენი დედა!!! – იგინებოდა პატიმარი.

– საკუთარი დედა... – არხეინად ეპასუხებოდა ქალი, – უფრო იაფი დაგიჯდება!

ყველაფერი ეს კეთდებოდა ბრაზისა და ისტერიკის გარეშე – არ იგრძნობოდა არავითარი მტრობა, პირიქით, ეს გაწამაწია თავისებურად ყველას ართობდა – პატიმრებს, ექთანს, ზედამხედველებს და იძლეოდა ოხუნჯობის საბაბს.

მე მინდა გითხრათ, ძვირფასო მკითხველო, გაგაფრთხილოთ – როცა მოგიწევთ ანალოგიურ ქალთან ურთიერთობა, თუ ხათრი გაქვთ, მოიქეცით ისე, როგორც მე გირჩევთ და როგორც ქვემოთ მოყვანილ წესებშია მითითებული.

ექთანთან ქცევის წესები, მავთულის შერჭობის დროს:

1. რაც შეიძლება გულთბილად გაუღიმეთ ექთანს და ჩახედეთ თვალებში, სასურველია ერთი-ორი ტკბილი სიტყვაც.

2. ჩაიხადეთ შარვალი, წაიკუზეთ, მოაფომფლოვეთ და რაც შეიძლება ფართოდ გაშალეთ თქვენი ღრმად პატივცემული დუნდულა კუნთები. ოღონდ, ჩქარა. გახსოვდეთ, თუ ვერ მოასწრებთ დუნდულა კუნთების დროულად გაშლას და მოფომფლოვებას, თქვენ გელით ტკივილი.

3; არამც და არამც არ გამოავლინოთ თქვენი უკმაყოფილება და არავითარ შემთხვევაში, აპაპაპაპა, არ გაუწიოთ ფიზიკური წინააღმდეგობა თეთრხალათიან ექთანს. გახსოვდეთ, ასეთი უპასუხისმგებლო საქციელი გამოიწვევს ზორბა ზედამხედველების ჩარევას.

და მაშინ...

იქ იყო ერთი ამაყი ახალგაზრდა, რომელიც შეეპასუხა ექთანს, ის კი არადა, წინააღმდეგობის გაწევაც კი სცადა. ზორბა ზედამხედველებმა ამისათვის დაუნდობლად მოდრიკეს იგი, ხოლო გაგულისებულმა ექთანმა მთელი ძალით აძგერა დაძაბულ სხეულში მავთულის ჩხირი! შედეგი?! – იმ ახალგაზრდას დიდხანს სტკიოდა ტრაკი.

ერთი სიტყვით, სინჯანაღები ჩხირები წაიღეს და ლაბორატორიაში დათესეს. დათესილმა ჩხირებმა შედეგი არ დააყოვ-

ნა. ისინი აღმოცენდნენ და კიდევ რამდენიმე კაცს აღმოაჩნდა დიზენტერია. ავადმყოფები, რასაკვირველია, გადაიყვანეს ციხის ლაზარეთში, ხოლო კამერას დაადეს კარანტინი.

– თფუი! – ჩააფურთხა იატაკს ჩეტვერტაკმა, – გულით ვგრძნობდი, რომ გავიჩხირებოდი ამ დაწყევლილ ხარკოვის ტრანზიტკაში. ჭამენ ღორებივით კაშას ტურტლიანი ხელებით. თვითონაც ავად ხდებიან და სხვებსაც აავადმყოფებენ. ეჰ, დავჯდე, ჩემს სატრფოს წერილი მაინც მივწერო!

წერილი ჩეტვერტაკისა ლენასადმი მიწერილი:

„ჩემო ძვირფასო ლენაჩკა, მე მინდა შეგატყობინო, რომ ჩვენს კამერაში მოხდა ძალიან სავალალო რამ. ჩვენ დაგვადეს კარანტინი იმიტომ, რომ ზოგიერთებს აქ აღმოაჩნდათ დიზენტერია. ჭამენ ღორებივით ამ კაშას ტაშტებით და, აბა, რა იქნება ამ სიცხეში. ახლა ელოდე, როდის მოხსნიან ამ კარანტინს. ერთადერთი მე ის მამშვიდებს, რომ შენ მყავხარ, ჩემო საყვარელო, ჩემო მშვენიერებავ და სიამაყევ, მხოლოდ შენი წერილები თუ გამიქარვებს მე გულისტკივილს! ერთი სიტყვით, ასეთი მდგომარეობაა! გკოცნი მრავალჯერ ლოყუნებში, თვალუნებში, ტუჩუნებში და ცხვირუნიაზე!

შენი ჩეტვერტაკი“.

ლენამ ასეთი პასუხი მისწერა:

„ჩემო ძვირფასო ვიწინკა! შენ ალბათ გამიბრაზდები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე მაინც გეტყვი, რომ უზომოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ შენ დარჩი! კარანტინი ეს კარგია, ჩემო ბაჭიავ! აბა, წარმოიდგინე, შენ რომ წასულიყავი ეტაპით ზონაში, მე რა უნდა მექნა? ნუთუ არ იცი, რომ მე უშენოდ არ შემიძლია. ჩემს ცხოვრებაში შენ პირველი მამაკაცი ხარ, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა და სიყვარულის ცეცხლი ამინთო გულში. არ ვიცი რატომ, ალბათ იმიტომ, რომ სულ ვზივარ და ძალიან ცოტა მამაკაცი მყავდა ცხოვრებაში, მაგრამ მე უშენოდ ცხოვრება აღარ შემიძლია. როცა განვთავისუფლდები, არ მოვიპარავ, დაგელოდები და შენც რომ განთავისუფლდები, მერე ერთად მოვიპაროთ! ახლა კი გკოცნი ტუჩებში მილიონჯერ.

მხოლოდ შენი ლენკა!“

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოდით მთავარზე გადავი-

დეთ. როგორც უკვე გითხარით, იყო დიდი სასიყვარულო მიწერ-მოწერა კამერებს შორის. პირდაპირ მინდა გითხრათ, ეს წერილები არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან – გკოცნი, მკოცნი, მიყვარხარ, გიყვარვარ და ა. შ. ამიტომ ამ წერილებით მე თქვენ არ მოგაბეზრებთ თავს, წაგიკითხავთ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან წერილს, რომელიც ნადიამ მოიწერა, სხვათა შორის მაშინ, როცა მაიორი სხვა კამერაში გადაიყვანეს.

აი ასეთი იყო ნადიას წერილი:

„გამარჯობათ, ბიჭებო, გწერთ ნადია! მე მინდა გკითხოთ ერთი რამ: ამ წერილებს რომ აგზავნით წამდაუწუმ და სიყვარულს რომ ეფიცებით სვეტას, ლენას და ნატაშას, მე რატომ არ მწერთ, ა? მე რა, სხვაზე ნაკლები გოგო ვარ?! მე რა, არ მინდა სიყვარული?! აბა, ახლავე ჩქარა მომწეროს წერილი იმ მაღალმა, ქერა ბიჭმა, ცისფერი თვალები რომ აქვს. მე ეგ დავინახე დერეფანში, როცა ადვოკატისგან ვბრუნდებოდი, თქვენ კი აბანოში მიდიოდით. აუცილებლად მომწეროს, გასაგებია?! ოღონდ გაფრთხილებთ, სხვამ არ მომწეროს, მე ბებრები არ მჭირდება და არც მათი ქსივები!

პატ. ნადია“.

პასუხი ნადიას თვით ჩეტვერტაკმა მისწერა:

„ნადია, შე ძუკნა! შენი სიყვარული ჩვენს კამერაში არავის არ სჭირდება, გასაგებია?! შენ ხარ მილიციელის კახპა და მაიორი გიყვარდეს, აკოცე მაგას ტრაკში!!! მე შენ მეტს არაფერს მოგწერ!

ჩეტვერტაკი.“

ნადიამ არ დაუყოვნა პასუხი ჩეტვერტაკს:

„ჩეტვერტაკ, შენ ყოველთვის ასე ელაპარაკები ქალებს! მე ვარ მილიციელის კახპა?! არა გრცხვენია, ამას რომ მწერ?! მე თუ მილიციელს ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ვუთხარი, რა მოხდა ამით?! ხომ ხედავდი, რამდენ სიგარეტს და კანფეტებს გვიგზავნიდა! მე მაგას ვასულელებდი, მართლა კი არ მიყვარდა! მე წესიერი ზეჩკა ვარ და ჩემს არესტანტულ სინდისს მილიციელზე არ ვცვლი, თუნდაც გენერალი იყოს! ხოლო რაც შეეხება მაიორს, შენ თვითონ აკოცე ტრაკში!

პატ. ნადია.“

ეს რომ ჩეტვერტაკმა წაიკითხა, გაცოფდა. აძვრა ფანჯარაზე და დაუწყო ნადიას ლანძღვა. ყველას გასაკვირად, ნადიამაც გვარიანად გამოიდო თავი, ლანძღა და აგინა ჩეტვერტაკს; იოტისოდენადაც კი არ დაუთმო მას და მგონი ცოტათი გადააჭარბა კიდეც.

ნადია პირველად იჯდა ციხეში, მაგრამ, ვიმეორებ, ძალიან ყოჩაღი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კამერაში ყველანი მის გარდა, ადრე ნასამართლევები იყვნენ, ნადია მაინც ყველაზე ბლატიანი აღმოჩნდა მათ შორის. ასეთ ქალებზე რუსები ამბობენ, კვერცხებიანი ქალიაო.

ჩეტვერტაკისა და ნადიას მტრობა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ორივენი ერთმანეთზე ჯიუტები აღმოჩნდნენ და არც ერთს არ სურდა დათმობა. ბოლოს ჩეტვერტაკი მაინც იძულებული გახდა, დაეთმო. ნადიამ თავისი გაიტანა. ეს ჩხუბი და წივილ-კივილი ხელს უშლიდა მიწერ-მოწერას, რადგან იქცევდა ზედამხედველთა ყურადღებას და ამიტომ...

– მისწერე ერთი-ორი სიტყვა მაგ კურვას, თორემ აიკლებს აქაურობას! – სთხოვა მან პაშას.

პაშამ თავიდან შორს დაიჭირა, რის ნადია, რა ნადიაო, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა, დაეთმო და მისწერა ნადიას წერილი.

პაშას წერილი ნადიასადმი ასეთი იყო:

„გამარჯობა, ნადია, ამ წერილს გწერს პაშა. მე გავიგე, რომ შენ გინდა იქონიო მიწერ-მოწერა ჩემთან. მე ვარ როსტოვის ოლქიდან. ვარ 22 წლის. ეს არის ჩემი მეორე სუდიმოსტი. განთავისუფლებამდე დამრჩა სამი წელი. მეტი რა მოგწერო არ ვიცი, გკოცნი ტუჩებში.

შენი პაშა.“

ნადიამ ასე უპასუხა:

„ძვირფასო პაშინკა, მივიღე შენი წერილი და მართალი გითხრა, მე შენ ძალიან დამაინტერესე, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე თერთმეტი წლით უფროსი ვარ შენზე. შენ ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ბიჭუნა ხარ. ამის გარდა, შენ სამი წელი დაგრჩა განთავისუფლებამდე. შენ კიდევ დავაჟკაცდები და განთავისუფლდები ოცდახუთი წლის ასაკში. გოგონები

დაგეხვევიან თავს. ცოლს მოიყვან ახალგაზრდას. აბა, მე რაში გჭირდები, ასეთი დედაბერი? პაშინკა, ძვირფასო, მოდი, ვიყოთ უბრალოდ მეგობრები და ვიქონიოთ გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა. კარგი? დამიჯერე, ასე აჯობებს, ჩემო ბიჭუნი, ხოლო შენს უმანკო კოცნაზე გპასუხობ დაძმური კოცნით ლოყუნიაში და კიდევ მეორე ლოყუნიაში.

ნადია."

პაშამ წერილი წაიკითხა, ჩაახველა და გაიარ-გამოიარა.

– რაო, რას იწერება? – თითქოს თავისთვის ჰკითხა ჩეტ-ვერტაკმა.

– სიყვარული არ მინდაო, მეგობრობა მინდაო! – უპასუხა პაშამ.

– სიყვარული არ მინდაო, მეგობრობა მინდაო?! აიკლო აქა-ურობა, ახალგაზრდამ მომწეროს, ბებრებმა არ მომწერონო და ახლა უარს ამბობს? აბა, მაჩვენე.

პაშამ წერილი გაუწოდა, ჩეტვერტაკმა წერილი წაიკითხა და დაასკვნა – პონტაობს.

– შენ ასე ფიქრობ? – ჰკითხა პაშამ.

– პონტაობს კურვა! მისწერე, სისულელეებს თავი დაანებოს და თუ სიყვარულია, სიყვარული იყოს – ლოყუნიაშიო, მეორე ლოყუნიაშიო. მე მაგას ვაჩვენებ ლოყუნიას. ერთი კვირაა, ტვი-ნი წაიღო! ჯობია წეროს წერილები და იყოს ჩუმად, ცოტათი მაინც დაისვენოს ყურებმა – ყურებმა, ყურებმა, ყურუშკებ-მა. – ეს რომ თქვა ჩეტვერტაკმა, ჩაიცინა, – ეხ, ძევკი, ძევკი, რა გინდათ თქვენ ციხეში?! ციხე ჩვენთვის არის, კაცებისათ-ვის! აბა, ქალებისათვის ხომ არ არის ციხე!.. ხომ მართალს ვამბობ, პაშა?!

პაშამ დაუდასტურა და ცხიმით გაზინთულ მაგიდას მიუჯდა კალმითა და ფურცლით.

„ნადია, მივიღე შენი წერილი, რომელშიც იწერები, დედაბერი ვარო. არავითარი დედაბერი შენ არ ხარ, არამედ ხარ ქალი იმ ასაკში, რომელიც მე მიყვარს. დიდი ამბავი თერთმეტი წელი ასაკში განსხვავება. შენ ხარ ქალი წვენში (რუსებმა იციან ხოლმე თქმა „ქალი წვენში". რატომ ამბობენ ასე რუსები, რას ნიშნავს ეს და ან, საერთოდ, რა წვენია ასეთი ეს წვენი, ავტორისთვის

უცნობია) და ყველაფერი წინ გაქვს. ჩემთვის ცნობილია, რომ შენ გაფლანგვის მუხლით ხარ დაკავებული და ეჭვობ, რომ დიდ სასჯელს მოგისჯიან. მე კი დარწმუნებული ვარ, შენ მალე გამოხვალ თავისუფლებაზე და ჩვენი შეხვედრაც შედგება. შეიძლება მუხლიც გამოგიცვალონ და მოგისაჯონ გაცილებით ნაკლები, ან არადა, ამნისტია გამოვა. შენ ქალი ხარ და პირველ რიგში გაგათავისუფლებენ. ასე რომ, სისულელეებს თავი დაანებე და მომწერე წერილი! ოღონდ იცოდე, რომ მეგობრობა არ მეყოფა, არამედ მე მჭირდება შენი სიყვარული, როგორც ჰაერი. იცოდე, თუ არ შემიყვარებ, მე ვენებს გადავიჭრი ბუშლატზე. აუცილებლად მომწერე! გაიგე?! ველოდები პასუხს.

დიდი სიყვარულით შენდამი პაშა."

„ძვირფასო პაშინკა, მივიღე შენი წერილი, რომელმაც მართალი გითხრა, ძალიან შემძრა. ნუთუ შენ მართლაც მზად ხარ, ჩემი გულისთვის ვენები გადაიჭრა? ჩემთვის ეს მოულოდნელობაა! რაოდენ სამწუხაროა, რომ ძალიან ცოტაა ისეთი მამაკაცი, რომლებიც მზად არიან ქალის სიყვარულისთვის ასეთი მსხვერპლი გაიღონ. აჰ, ნეტავ თავისუფლებაზე შეგეძლოთ თქვენ ასეთი სიყვარული, მაგრამ თავისუფლებაზე თქვენ ჩვენთვის არა გცალიათ, ქეიფი და დროსტარება გირჩევნიათ ყველაფერს...

პაშა, მე უსამართლო ვიყავი შენ მიმართ! შენ არაფერ შუაში ხარ, ჩემო პატარავ, შენ ჯერ პატარა და გულუბრყვილო ხარ, ჩემო ჩიტუნი, მე დიდხანს ვიკავებდი თავს, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია. მიყვარხარ? მიყვარხარ! გკოცნი თვალუნებში, შუბლუკაში, ლოყუნებში და ტუჩუნებში.

მარად შენი ნადია".

წერილი რომ დაწერა ნადიამ, პომადა წაისვა ტუჩებზე და ამ პომადიანი ტუჩებით რამდენიმე ადგილას დაკოცნა ფურცელი, რათა პაშას მისი ვნებიანი ტუჩების ანაბეჭდი ეხილა, მერე ამ წერილს ცოტაოდენი გადამალული სუნამოც აპკურა.

პაშაზე ძალიან იმოქმედა ნადიას სურნელოვანმა, პომადით დათხუპნილმა წერილმა და სიამაყით გაუწოდა ჩეტვერტაკს.

– მდაა, ძალიან მუშა ტუჩები ჰქონია! – ღვარძლგარეულად იხუმრა ჩეტვერტაკმა.

– ნუ აყენებ შეურაცხყოფას გოგონას, ის ჩემი სიყვარულია! – ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უპასუხა პაშამ.

პაშას წერილი:

„ძვირფასო ნადია, დიდი მადლობა, რომ გიყვარვარ! მეც მიყვარხარ, მაგრამ ძალიან გთხოვ, ნუღარ დამიძახებ ჩიტუნის. ეს რა მოიგონე? მეორედ აღარ შემადარო ფრინველს. ნადია, საქმე ის არის, რომ მე შეიძლება მალე წამიყვანონ ეტაპით. შენ ხომ იცი, ტრანზიტში ვარ. არ ჯობია, პირდაპირ სიყვარულზე გადავიდეთ და მივწეროთ ერთმანეთს ინტიმური წერილები. მე დიდი ხანია მინდა მოგწერო ისეთი წერილი, რომელშიც მე და შენ ვიქნებით ერთად. ერთი სიტყვით, ვიოცნებოთ, თუ შენც თანახმა ხარ, მომწერე და ერთად ვიოცნებოთ.

გკოცნი შენი პაშა“.

ნადიამ ასე უპასუხა:

„პაშინკა, უპირველეს ყოვლისა, მე მინდა გისაყვედურო იმის გამო, რომ შენ მიკრძალავ ჩიტუნის დაძახებას. ნუთუ შენ ჩემი ჩიტუნია არა ხარ? თუ სიყვარული გინდა, გახსოვდეს, ყველაფერი იქნება ისე, როგორც მე მოვინდომებ და როგორც ჩემი სურვილი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაგებუტები, ჩემო ჩიტუნი, ჩემო ბარტყო, ჩემო ფისუნია და ჩემო ლიფსიტავ!

რაც შეეხება ყველაზე უფრო ინტიმურს ჩვენს ურთიერთობაში, მე დიდი ხანია გულის ფანცქალით ველი შენგან ასეთი სახის წერილებს. რა თქმა უნდა, მომწერე, ამას რად უნდა კითხვა. ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი, ხოლო რაც ბუნებრივია, ის მიღებულია! ახლა კი გემშვიდობები და გკოცნი, მაგრამ ვინაიდან შენზე ცოტათი გაბუტული ვარ, ამიტომ მხოლოდ ლოყუნაში! შენი ნადია!“

ეს წერილი ძალიან მოეწონა პაშას და აი, ასეთი წერილი მისწერა თავის სატრფოს:

„ჩემო ნაძინკა, უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ შენ ჩემი ქალბატონი ხარ! შენ ხარ ჩემი დედოფალი და ქალღმერთი! ამიტომ როგორც გინდა, ისე დამიძახე, ჩემო გოგონი! თუ შენ ასეთი მგრძნობიარე ხარ და ასე ახლოს მიგაქვს გულ-

თან ყოველი წვრილმანი, მე გთხოვ პატიებას და გწერ წერილს, რომელშიც ვოცნებობ, რომ ჩვენ ვართ ერთად. შენ ხარ ჩემი ცოლი, ჩვენ გვაქვს სამოთახიანი ბინა, ტელევიზორი, მაცივარი, მაგნიტოფონი, სარეცხი მანქანაც გვაქვს. შენ გამებუტე მე ჩიტუნიას გამო. მიიღე გაბრაზებული სახის გამომეტყველება, შეხვედი საძინებელ ოთახში და შიგნიდან ჩაიკეტე კარი. მე ვხედავ გულის ფანცქალით შენს ჩრდილს. შენ გაიხადე კაბა და დანარჩენი ტანსაცმელი, მერე ჩაიცვი ღამის პერანგი და დაწექი ლოგინზე. მე დაახლოებით თხუთმეტ წუთს ვცემდი ბოლთას ოთახში, მერე გამოვაღე მაცივარი და შევჭამე ვინეგრეტი და ასი გრამი არაყიც დავაყოლე. ამის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გავთამამდი და შენთან შემოსვლა მომინდა, სპეციალური ატმიჩკით გავაღე კარი. და აი, მე უკვე შენ გვერდით ვწევარ. შენ წევხარ გადაბრუნებული, ჩემკენ გაქვს მოშვერილი ზურგი და, რა თქმა უნდა, არ გძინავს, მაგრამ თავს იმძინარებ. ოხ, როგორ მინდა ჩაგეხუტო და შეგირიგდე, მაგრამ მე შენი, ცოტა არ იყოს, მეშინია. უფრო სწორად, კი არ მეშინია, არამედ ვერ ვბედავ! აი, მე ფრთხილად გამოვყავი ხელი და მხარზე დაგადე, უფრო სწორად, თითების ბალიშებით ოდნავ შეგეხე მხარზე, შენ შეიშმუშნე და მხარი ამიკარი. ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გამებუტე, შენ მე დამსაჯე. ერთი სიტყვით, დასჯილი ვარ, მაგრამ მეორედაც მოგკიდე ხელი მხარზე. ამჯერად უფრო თამამად, თანაც უფრო ახლოს მოგიჩოჩდი და ძალიან ფრთხილად, მაგრამ ამავე დროს ძალიან საფუძვლიანად ჩაგეხუტე. შენ შეწყვიტე წინააღმდეგობა და დამნებდი. მე შენ ფრთხილად გადმოგატრიალე და დაგაწვინე ზურგზე. მერე კი დაგიწყე მოფერება, კოცნა და პერანგის აწევა. პერანგის ქვეშ შენ არაფერი არ გეცვა. ამის შემდეგ ჩვენ გავაკეთეთ ის, რასაც დეიდა აკულინა და ბიძია კუზმა ყოველ ღამით აკეთებენ.

შენი პაშა“.

ეს წერილი ხმამაღლა წაუკითხა ნადიამ გოგონებს. ისინი დიდხანს კისკისებდნენ და მათი სიცილი მთელ ციხეს ესმოდა.

ნადიას პასუხი:

„ჩემო პატარა პაშინკა, მე სიამოვნებით წავიკითხე შენი წერილი, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, რატომ ვცხოვრობთ

ჩვენ სამოთხიან ბინაში ან კიდევ რატომ არ გვყავს მანქანა. სარეცხის მანქანა გვაქვსო, შენ იწერები, თითქოს დიდი ქონება გვქონდეს. პაშა, შენ თუ ჩემი ბედნიერება გინდა, დიდი ორსართულიანი სახლი ააშენე. ამ სახლის ქვეშ გარაჟი უნდა იყოს. ამ გარაჟში ორი უცხოური მანქანა უნდა იდგეს – ჩემი და შენი. შენ ხომ როსტოველი ხარ, ხოდა, დონის ნაპირას ააშენე სახლი. დონი კარგი მდინარეა. კიდევ აი რა პაშინკა, საჭიროა სასეირნო კატერი. მე ძალიან მიყვარს მდინარის ტალღებზე კატერით სრიალი! ტალღები... ტალღები... დაწვრილებით გიამბობ, როგორი უნდა იყოს ჩვენი სახლი. ჩვენი სახლი უნდა იყოს ძალიან დიდი, არასტანდარტული ფორმის. ოთახები არ უნდა იყოს ოთხკუთხედი, კედლები უნდა იყოს უჩვეულო. სახლს გარშემო უნდა ერტყას აივანი ისე, რომ აივნის გავლა საშუალებას გვაძლევდეს ნებისმიერ ოთახში შესვლისა. საჭიროა მრგვალი კიბეც სახლის შიგნით. პირველ სართულზე იქნება დარბაზი, სადაც სტუმრებს მივიღებთ. პირველ სართულზე იქნება აგრეთვე სამზარეულო, ტუალეტი, საქვაბე ორთქლით გათბობისათვის, ხოლო მეორე სართულზე იქნება საძინებლები, ბარი, საბილიარდო, ბიბლიოთეკა და ასე შემდეგ. პაშინკა, მე მინდა განსაკუთრებით კარგად აღვწერო ჩვენი საძინებელი, კერძოდ კი საწოლი, რომელზეც ჩვენ დავიძინებთ. დიდ მაღალჭერიან ოთახში უნდა იდგეს მრგვალი საწოლი, რომელიც თითქმის მთელ ოთახს დაიკავებს. რაც შეეხება ბალიშებს, საბნებსა და საერთოდ თეთრეულს, ამის თაობაზე მე ვიზრუნებ. შენ დარდი ნუ გექნება. და კიდევ, ძვირფასო პაშა, შენ სადმე უნდა იშოვო ლეოპარდის ტყავი. იმიტომ, რომ დილით როცა გავიღვიძებ და ფეხებს იატაკზე გადმოვაწყობ, ჩემს ფერხთით ლეოპარდის ტყავი უნდა იყოს დაგებული. რაც შეეხება დანარჩენ ავეჯს, ამის შესახებ მე ვიზრუნებ. ჭურჭელსა და თეთრეულზე ზრუნვაც მე მომანდე. კიდევ მე მჭირდება ორი მოსამსახურე ქალი, თანაც აუცილებლად ხანში შესულები და ულამაზოები იმიტომ, რომ ძალიან ეჭვიანი ვარ, თანაც ძალიან კარგად ვიცნობ მამაკაცთა მოდგმას. თქვენ ყველანი მოღალატეები ხართ – დონჟუანები. და აი, კიდევ რა, ჩვენ ხშირად უნდა ვიმოგზაუროთ..."

მე გადავწყვიტე აქ შევწყვიტო ნადიას წერილი და არა მარტო ნადიას წერილი, არამედ ნადიას და პაშას მიწერ-მოწერა საერთოდ. მხოლოდ ორიოდე სიტყვით, მოკლედ მინდა გითხრათ, რომ ნადიასა და პაშას ხუმრობასა და თამაშში მართლა შეუყვარდათ ერთმანეთი. გულუბრყვილო ბიჭ პაშას, მოზარდის ასაკიდან ციხეში მჯდომს, მოულოდნელად შეუყვარდა თავისზე გაცილებით უფროსი, ლამაზი და კაპასი ნადია. ამ გამოცდილ და მრავალნაცად ქალსაც შეუყვარდა ეს გულუბრყვილო ბიჭი. თავისუფლებაზე ალბათ ასე არ ხდება, მაგრამ ციხის პირობები განსხვავდება თავისუფლებისაგან. ციხე ათანასწორებს. ისინი დღეში რამდენჯერმე უგზავნიდნენ წერილებს ერთმანეთს, დღეში რამდენჯერმე ჩხუბობდნენ და რიგდებოდნენ. უფრო ხშირად ნადია იყო პრეტენზიული. ხან ლეოპარდის ტყავი რატომ არ მიშოვეო, ხან ჩემ მიერ შერჩეულ მოდურ ტანსაცმელს რატომ არ იცვამო... აი, ასე ცხოვრობდნენ, ის კი არადა, ამ მოკლე დროში თავიანთ წარმოდგენაში მათ მგონი ბავშვებიც კი ეყოლათ.

მერე მოვიდა დრო და პაშას გვარიც ამოიკითხეს საეტაპოდ გამზადებულთა სიაში. ის დაემშვიდობა ნადიას, დაემშვიდობა გოგოებს, დაემშვიდობა ჩეტვერტაკს, თავის თანაკამერელებს და წავიდა ზონაში დანარჩენი ვადის მოსახდელად. თან წაიღო სათუთად შეხვეული ნადიას წერილები და მათთან დაკავშირებული სითბო. მის მიერ გაბმული „გზით“ კი კიდევ ძალიან დიდხანს სარგებლობდნენ პატიმრები.

ვანია კნუროვი

ვანია კნუროვი მშვიდი კაცი იყო, ის ცოტათი აფრენდა, მაგრამ, აბა, ვინ არ აფრენს განსაკუთრებულ რეჟიმზე, მით უმეტეს, თუკი ადამიანი ფიზიკურად სუსტია, საჭმელი არ ყოფნის და არის 1984 წელი, როცა უკიდეგანო ქვეყნის ერთი ხელმძღვანელი მიიცვალა, მეორე მიიცვალა, მესამეც სადაცაა საიქიოს გაემგზავრება, საშველი კი არ არის და არა.

დილით პადიომი – „ადგომი“ თუ შეიძლება ამ სიტყვის ასეთი თარგმნა. უზარმაზარი პატიმრული ბათინკების, ეგრეთ წოდებული გამნადავების ბრახაბრუხი, გაღიზიანებული რეციდივისტების ბუზღუნი. თხელი საბანი და ზემოდან სქელი, ზოლებიანი ბუშლატი. ბუშლატი, რომელიც არ გათბობს, თუმცა ჩაცმული წევხარ ლოგინში. ან რას გაგათბობს ბუშლატი, როცა სისხლი არ გათბობს – მუქი, თითქმის შავი, მოწამლული სისხლი. ნერწყვიან გაზეთში გახვეული წეკოს მძაფრი, ლორწოვანი სუნი, ადამის დროინდელი ელექტროსაპარსის ბზუილი, ახალგაზრდა პატიმრების გამაღიზიანებელი, ხმამაღალი, სწრაფი ლაპარაკი, მათი აუტანელი ღლაბუცი, სირბილი და ჭიდაობა საკანში. ასეთია დილა. ეს ყველაფერი ხდება იზიასლავში, პატარა ძველებურ უკრაინულ ქალაქში, ლამაზ, ნაყოფიერ მიწაზე. იზიასლავში არის ორი ზონა: საერთო და განსაკუთრებული რეჟიმისა. განსაკუთრებული რეჟიმი მოთავსებულია მონასტერში, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია აშენებული და როგორც ძეგლის წარწერა იუწყება, დაცულია სახელმწიფოს მიერ. იგივე წარწერა იუწყება, რომ ეს არის ბერნარდინელ ბერთა მონასტერი. ვინ არიან ბერნარდინელები, რთული საკითხია. ეს ალბათ რომელიღაც ბერთა ორდენია. თუ ბერნარდინელთა გერბის მიხედვით ვიმ-

სჯელებთ, ისინი მებრძოლი ბერები ყოფილან. ყოველ შემთხ-ვევაში, გერბზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მეომარი, მოღერებული მახვილითა და ფარით. თვითონ მონასტერი არ ჰგავს მართლმადიდებლურ მონასტერს, არამედ არის შენობა, რომელიც ააშენეს არა რუსებმა და უკრაინელებმა, არამედ ალბათ გერმანელებმა ან პოლონელებმა, ან ლიტველებმა. ერთი სიტყვით, არაადგილობრივმა ხალხმა. მიუხედავად თავისი არაადგილობრივი წარმომავლობისა, ეს უზარმაზარი, მკაცრი შენობა საოცრად ლამაზად ერწყმის გარემოს. აშენე-ბულია მაღლობზე. შენობას აქვს თეთრი კედლები, წითელი კრამიტის სახურავი და ძალიან ფრიალო, წვეტიანი გუმბათი, რომლის შპილზეც ადრე ჯვარი იყო აღმართული, ახლა კი იქ ჭილყვავები იკრიბებიან – მხიარული ჭილყვავები, რომლებ-საც უყვართ გუმბათის წვეროზე ჯდომა. მათი საყვარელი თამაში ასეთია: გუმბათის წვეროზე ჯდება ერთი ჭილყვავი და ცდილობს, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს ეს ადგ-ილი, ფხაკურობს ფეხებით, იშველიებს ფრთებს და ჩხავის. დანარჩენი ჭილყვავები კი დაფრინავენ გუმბათის გარშემო და ცდილობენ, როგორმე დაიკავონ სანუკვარი ადგილი – გუმბა-თის წვერო. ჭილყვავთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ უბიძგებენ გუმბათზე მჯდომ მეტოქეს, არამედ ჯენტლმე-ნურად ელოდებიან, როდის დაუსხლტება ფეხი და როდის ჩამოვარდება. მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობენ დაჯდომას. ეს თამაშის წესია.

ოთახებში, სადაც ადრე ბერები ცხოვრობდნენ, ახლა ცხოვრობენ პატიმრები, იქ, სადაც ადრე ლოცულობდნენ და გალობდნენ, ახლა იგინებიან და მღერიან ქუჩურ სიმღერებს, თვრებიან ბრაგით, თამაშობენ კარტს, ჩხუბობენ და ზოგჯერ ასახიჩრებენ ერთმანეთს. ვის მოუვიდა აზრად მონასტრის ციხედ გადაკეთება? ამბობენ, ეშმაკი დაპარპაშებს დედამი-წაზეო, და ალბათ მას მოუვიდა აზრად ეს.

რაზოდი. სუსხიანი დილა. ვანია დგას და ელოდება, როდის ამოიკითხავს „ნარიადშიკი" მის გვარს. გვარის ამოკითხვის შემდეგ გადადის ასფალტის მეორე მხარეს და უერთდება პატიმართა იმ ჯგუფს, რომელთა გვარებიც უკვე ამოიკით-

ხეს. მერე ყველანი მიწისქვეშა გადასასვლელით გადაჰყავთ საწარმოო ზონაში. საამქროში, რომელიც სავსეა ყოველგვარი რკინეულობით, დგას თუჯის ბურბუშელას სუნი – თუჯისა, რომელიც ფილტვებში ილექება და რომლის ნაწილიც შავ ნახველად ამოდის, ნაწილი კი სხეულში იხსნება და წამლავს სისხლს, შავ სისხლს, რომელიც არ ათბობს. გასახდელი პირდაპირ საამქროშია. იქ გათბობა არ არის. ისმის ბუზღუნი, სიცილი. სამუშაო ვანიას ამშვიდებს და აძლევს ოცნების საშუალებას...

თერმიჩკა. აქ სითბოა, აქ თერმოღუმელი დგას, სადაც ლითონს აწრთობენ. აქ ვანიას მეგობარი მუშაობს. ისინი ერთად სვამენ ჩეფირს. ვანიას უყვარს დილაობით თერმიჩკაში შემოსვლა. ჯერ კარგად გათბება და ილაპარაკებს პოლიტიკაზე, მერე კი მიდის თავის ჩარხთან და ბურღავს. ბურღავს და ბურღავს მთელი დღე. რას ბურღავს, თვითონაც არ იცის. საიდანღაც მოაქვთ ეს დეტალები ზონაში და მერე სადღაც მიაქვთ. ვანიას ეს არ აინტერესებს. მან იცის, რომ უნდა გაბურღოს 88 ცალი დეტალი დღეში. ეს არის დღიური გეგმა. მეტი მას არაფერი აინტერესებს.

სადილი. საამქროს წინ გამწკრივებული მუშა-პატიმრები ჭუჭყიანი სპეცტანსაცმლით მიდიან სასადილოსკენ, ხელებს ნავთით იბანენ და ნაჭრებით იმშრალებენ. იმ ნაჭრებით, საიდანღაც რომ მოაქვთ. რას არ იპოვით ამ ფერად-ფერად ნაჭრებში. რომელიღაც ფაბრიკიდან მატერიის ნაკუწებს და გამოუსწორებელ წუნს აქ აგზავნიან, ზონაში. წარმოებაში საჭიროა ასეთი ნაჭრები – ჩარხის გასაწმენდად. ასეთ ნაჭრებს ჰქვია ვეტოში, ანუ ძონძები. ვეტოშში ზოგჯერ ქალის წუნდადებულ საცვლებსაც პოულობენ. აცეტონი, მაგალითად, სპეციალურად ეძებს ქალის საცვლებს. აცეტონს უყვარს აცეტონის ყნოსვა და მასტურბაცია. ერთხელ მთელ დღეს აცეტონს ყნოსავდა, რომლითაც ის ქალის წუნდებულ საცვალს ასველებდა და თან მასტურბირებდა, მერე აცეტონის სუნით მოწამლულმა და ჭკუაარეულმა ქალის საცვალი თავზე ჩამოიცვა და მთელ საწარმოო ზონაში დაბორიალობდა, სანამ კონტროლიორებმა არ წაათრიეს კარცერში თავზე ნიფხავჩა-

მოცმული, შარვალჩახდილი და ასოამოგდებული. რეციდივისტი მაინც არ იყოს, ზოლებიანი ფორმა მაინც არ ეცვას!

სიომი. რუსული სიტყვაა და ნიშნავს მოხსნას. ესე იგი, როცა პატიმრები თავიანთ კამერებს უბრუნდებიან სამუშაოდან. ვანიას არ უყვარს საკანში დაბრუნება... თექვსმეტი კაცია საკანში. ორიარუსიანი ნარები, ხმაური, კარტის თამაში, ხვრინვა, თამბაქოს და ადამიანის გამონაბოლქვის სუნი. ტატუირებული სხეულები, თანაც, როგორც წესი, ყველაფერი უკვე არეულია. ეს რაზმის უფროსის, კაპიტან ზუბოსტაჩის ოინებია. ზუბოსტაჩი, მეტსახელად უტკა, ქარაშოტივით დაქროდა საკანში დღისით. იქ ახლა ტუმბოები გადმოტრიალებულია, ლეიბები – გადაქოთებული. ვერაფერს იტყვი, ჩხრეკა კანონით არის გათვალისწინებული, მაგრამ უტკა ჩხრეკას არ აწარმოებს გაჩხრეკის მიზნით. უბრალოდ, უტკას უყვარს სისხლის გამოწოვა ადამიანისგან, ლერწმით კოქტეილს რომ წოვენ, დაახლოებით ისე, ამიტომ აწყობს ასეთ სპექტაკლებს. საღამოს კი მოდიან მშიერი და დაღლილი პატიმრები. და იწყება ის, რაც ხდება ყოველდღე – მიფანტულ-მოფანტულ ნივთებს აგროვებენ და ბოროტად ილანძღებიან. მათი ლანძღვა-გინება უფრო წყევლას და წუწუნს ნააგავს. ეს გრძელდება დაახლოებით ექვსი საათიდან რვა საათამდე. ვანიას არ აღიზიანებს აწეწილი ლოგინი, ტუმბოდან გადაგდებული ჩაუბარებელი ჯამი, არეული გაზეთები. ვანია წევს ნარზე და ეძლევა ოცნებას, მერე კი იძინებს.

ვანიას ძალიან უნდა უცხოპლანეტელებთან შეხვედრა, კითხულობს გაზეთებს და აგროვებს სტატიებს მფრინავ თეფშებზე, ბერმუდის სამკუთხედზე, თოვლის ადამიანზე და ა. შ. უცნაური აზრები მოსდის თავში: ზოგჯერ, როცა შარდავს, თავის თავს წარმოიდგენს პატარად. დაპატარავდება საკუთარ წარმოდგენაში, პენიცილინის ბოთლში ჩაძვრება და საკუთარ შარდს გაჰყვება. კანალიზაციის მილებში მოგზაურობს, შემდეგ მდინარეში ამოყოფს თავს, პენიცილინის ბოთლიდან ამოძვრება და ისევ გადიდდება, დაცურავს მდინარეში: ზოგჯერ რაიმე ფრინველად ან ცხოველად გადაიქცევა და ასეთი საშუალებით გარბის ზონიდან. ხან მტრედია, ხან

თაგვი, ხან ბელურა, ხან კიდევ რაღა. ძალიან უყვარს ვანიას მარტოობა, იმიტომ, რომ როცა მარტო რჩება, უკვე ხმამაღლა ოცნებობს და იქნევს ხელებს, ზოგჯერ ყვირის. პატიმრები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ აძლევენ ვანიას ამის საშუალებას – უთვალთვალებენ, ხითხითებენ, დასცინიან.

განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიებში არის ერთკაციანი კამერები, ეგრეთ წოდებული აძინოჩკები. ეს სასჯელია, მაგრამ ზოგიერთი პატიმარი ასეთ სასჯელს ამჯობინებს. ისინი შეგნებულად ჩადიან უმნიშვნელო დანაშაულს, ადინოჩკაში რომ ჩასხდნენ და ცოტა ხნით მაინც დარჩნენ თავის თავთან, რათა ამ გზით მაინც გაერიდონ მოზღვავებულ სიგიჟეს.

ზატოჩკა. გალესილი რკინის ნაჭერი ვანიას ჯიბეში. ლოდინი. ვახტასთან დგომის უფლებას არავის აძლევენ კონტროლიორები იმიტომ, რომ ზონაში სატვირთო მანქანები შემოდიან და გადიან. უცაბედად ვინმე რომ არ გაიპაროს. ვანიას ერთხელ უთხრეს, წადი აქედანო, მეორედ უთხრეს, წადი აქედანო, მერე სამორიგეოში შეიყვანეს და გაჩხრიკეს. უპოვეს გალესილი რკინა და, აი, დადგენილებაც 8 თვით მისი ადინოჩკაში ჩასმისა. ვანიამ აძინოჩკა გაიჩალიჩა...

დილით პადიომი ერთი საათით ადრე, ესე იგი 5 საათზე. სამუშაო 8 საათიანია. შემცირებულია კვების ნორმა. თანაც არის ორგვარი კვება: ვინც ასრულებს სამუშაო ნორმას, იმას ყოველდღე კვებავენ, ვინც ნორმას არ ასრულებს, იმას კვებავენ კარცერული წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ არის ასეთი სისტემა: „ძენ ლიოტნი, ძენ ნილიოტნი". თუ „ნილიოტნი" დღეა, გაჭმევენ დღეში ერთხელ სადილს – პირველს და მეორეს და გაძლევენ ნახევარ კილო პურს. თუ „ლიოტნია", გაძლევენ 500 გრამ პურს, ცხელ წყალს და მარილს. ლოგინს გაძლევენ მხოლოდ ძილის წინ, დილით კი გართმევენ, რომ არ დაწვე. ნარს კედელზე აბამენ საკეტით. თუ დაარღვევ წესრიგს, გადაგიყვანენ კარცერში, სადაც საერთოდ არ იძლევიან ლეიბს. ასეთია წესები.

...ნესტიანი, დამპალი იატაკი. გაზეთი იატაკზე. ნივთები „კაპტიორკაში". ბუშლატს არ იძლევიან. თავქვეშ წიგნი. ეს წიგნი ამოირჩია ვანიამ იმიტომ, რომ სქელი წიგნია. გაზეთს

აბარებს და იღებს ახალს. სახელმწიფო უზრუნველყოფს მას ახალი გაზეთით.

ვინც ჯანმრთელია, ის აკეთებს ძაბრებს თუნუქისგან, ხოლო ვინც სუსტია, ექიმის მითითებით, კარტოფილის ბადეებს ქსოვს. ათი ბადეა დღიური ნორმა. ათი ბადე ან 324 ცალი ძაბრი. ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ნორმას ვერ ასრულებენ, ამიტომ კარცერულად იკვებებიან. „ძენ ლიოტნი, ძენ ნილიოტნი, ძენ ლიოტნი, ძენ ნილიოტნი". ზოგიერთები ასე იქცევიან: თუ დღე „ნილიოტნია", აბარებენ პროდუქციას, რომ ხვალ ჭამონ, ხვალ კი ჩააბარებენ იმიტომ, რომ ზეგ ისევ „ნილიოტნი" იქნება. ერთი სიტყვით, ორი დღის ნორმას აბარებენ დღეგამოშვებით.

ნახევარსაათიანი პრაგულკა. კანონით პატიმრები ცალ-ცალკე უნდა სეირნობდნენ, მაგრამ კონტროლიორებს ეზარებათ ყველას სათითაოდ გამოყვანა, ამიტომ ყველანი ერთად გამოჰყავთ.

ლოქო. ლოქო კარგი ბიჭია. მართალია, ბლატიანი, მაგრამ მაინც კარგი ბიჭია. ზოგიერთი ბლატიანიც ხომ არის კარგი ბიჭი. ლოქო არ ჰგავს ისეთებს, ვანიასნაირ ხალხს რომ ავიწროებენ. ნეტავ ყველანი ისეთები იყვნენ, როგორიც ლოქოა. მაშინ ხომ სამართლიანობა იქნებოდა ციხეში.

ლოქო ყურადღებით უსმენს ვანიას. ვანიას თავის ჩამოხრჩობა უნდა. ლოქო ფიქრობს, რომ ამის გაკეთება არ ღირს, მაგრამ ვანიას ეს უკვე გადაწყვეტილი აქვს. ლოქო ჭკვიანია და ხვდება, რომ ვანია მართალს ამბობს. ლოქო სთავაზობს ვანიას დანას და კიშკას მოკვლას სიკვდილის წინ. კიშკა კონტროლიორია. ის ძალიან ზორბაა და ბევრს ჭამს, ამიტომ დაარქვეს მას პატიმრებმა კიშკა. კიშკა ზონაში სძულთ იმიტომ, რომ სადისტია. ის ნამდვილი მწვალებელია. ვანია თანხმდება. მეორე დღეს ლოქოს გამოაქვს დანა პრაგულკაზე. ვანია ფეხსაცმელში მალავს დანას.

დანა! დანა! დანა ბავშვობაში ნაყიდ პატარა ავსტრალიურ თუთიყუშს წააგავს. ამ თუთიყუშებს კვირაობით ყიდდნენ ხოლმე ბაზარში. ერთხელ, როგორღაც, პატარა ვანიამაც იყიდა შვიდ მანეთად ასეთი თუთიყუში. თუთიყუშს ფერადი

მკერდი და გრძელი, ჭრელი კუდი ჰქონდა, ხელში დაჭერისას მწარედ იკბინებოდა. გულგახეთქილი მთელი ძალით ცდილობდა დასხლტომას. ვანიას ეშინოდა თუთიყუშის ხელში აყვანისა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც აჰყავდა, ისე მომნუსხველად ლამაზი იყო იგი. ეს დანაც იმ თუთიყუშს ჰგავს. მასაც თუთიყუშის კუდივით ჭრელი ტარი აქვს. ხელში ისიც მოუსვენრად ტრიალებს და თითქოს იკბინება. ვანია წევს ლოგინში. ხელში დანა უჭირავს და მაგრად ბღუჯავს. დანა! დანა! – დანა ძალას მატებს ვანიას. ვანიას ეშინია დანის, მაგრამ ეს შიში კიდევ უფრო საშიშს ხდის მას. შეშინებული ვანია უფრო საშიშია! მასში ყველა ნერვი აღგზნებულია. ხვალ მოვლენ!!! ხვალ მოვა კიშკა, როდის ჯობია, დილის პრავერკის დროს თუ პადიომის დროს? ალბათ ჯობია პრავერკის დროს, პადიომი ძალიან ადრეა, დილის ხუთ საათზე, სჯობს დაელოდოს პრავერკას, თანაც ისაუზმებს: პურს შეჭამს, კიპიტოკს დალევს... კიშკას მოკლავს. მერე კი სცემენ და მასაც მოკლავენ. იტყვიან, შეიარაღებული თავდასხმის დროს შემოგვაკვდაო. მოკლავენ და მოკლავენ – სულ ერთია, მაინც აღარ უნდა სიცოცხლე. უფრო სწორად, სიცოცხლე კი უნდა, მაგრამ აღარ შეუძლია.

ვანიას სიცოცხლე აღარ შეუძლია!!!

თითქმის მთელი ღამე არ სძინავს ვანიას. განუწყვეტლივ ატრიალებს დანას ხელში. დანას გრძელი ტარი აქვს, თუთიყუშის კუდისნაირი. თენდება. რაც მეტად თენდება, მით უფრო ეშინია ვანიას გათენების და დანის. დრო მოდის! დრო ახლოვდება! აი, პადიომიც. ნალებით შეჭედილი ჩექმების ბრახუნი. მოვიდნენ ზედამხედველები პადიომის მოსაწყობად. მორიგეობით იღება საკანთა კარები. პატიმრებს გააქვთ თავიანთი ლოგინები კაპტიორკაში. დანა დამალულია. ვანიას გააქვს თავისი ლოგინი, იბანს პირს.

საუზმე. პური, ცხელი წყალი და, აი, სულ რაღაც ორი საათიღა დარჩა და მერე მოვა კიშკა. მთავარია, არ დაიბნეს ვანია! საჭიროა ერთი მარჯვე დარტყმა მუცელში ქვევიდან ზევით. მერე დანის დატრიალებაა საჭირო მუცელში. დანა წვრილია! კარგია! მთავარია, არ შეშინდეს! მთავარია, არ შეშინდეს!

პრავერკა. პრავერკა იწყება. კარები იღება. რიგრიგობით

ამოწმებენ ყველა საკანს. ვანიას საკანი მეათეა. რამდენიმე საკანი უკვე გაიღო. ახლა შემოვლენ!.. გაგულისებული დანა პატარა თუთიყუშივით მწარედ იკბინება და ხელიდან გასხლტომას ცდილობს. რაც უფრო ახლოვდებიან ზედამხედველები, მით უფრო მწარედ იკბინება ის. დანამ თუთიყუშივით მწარედ უკბინა ვანიას ხელზე. თითები გააშლევინა, ფრთხიალით გაფრინდა და ნაგვის გროვაში ჩაიმალა. არა, ვანიამ კი არ ჩააგდო იგი ნაგავში, არამედ როგორღაც თავისით ჩავარდა და ნაგავიც თავისით მიეყარა. ის თუთიყუშად იქცა, უკბინა ვანიას, ხელიდან დაუსხლტა და ნაგავში დაიმალა, მორჩა და გათავდა.

სანამ კარს გააღებს, კიშკა ყოველთვის გლაზოკში იჭყიტება, იძლევა განკარგულებას, რომ პატიმარმა კამერის სიღრმეში დაიხიოს და ხელები ზურგს უკან დაიწყოს. მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის დეპეენკასა და ვაისკავოისთან ერთად.

...ლოქო ესალმება ვანიას და მრავლისმეტყველად უღიმის.

არა, ლოქო არ დასცინის ვანიას, პირიქით, თანაუგრძნობს და ამიტომ ვანიას უფრო მეტად რცხვენია მისი. ის თავს იმართლებს, თუმცა ლოქო არ ამტყუნებს, პირიქით, ცდილობს გაამხნევოს და ურჩევს ერთხელ კიდევ კარგად დაფიქრდეს, სანამ ჯერ კიდევ არის საამისო დრო. ღამით ისევ ხელში უჭირავს ვანიას დანა. ხვალამდე მოითმენს. ხვალ ღამის სმენაში იქნება კიშკა. ხვალ საღამოს 8 საათზე ყველაფერი დამთავრდება, ხვალ საღამოს რვა საათზე. მთავარია, კარგად დაუტრიალოს მუცელში... მუცელში დატრიალებაა საჭირო! აუცილებელია!..

მაგრამ არა, არც ამჯერად გამოდის არაფერი. სიტუაცია მეორდება. საფრთხის მოახლოებისთანავე, გაგულისებული დანა თუთიყუშივით ხელიდან უსხლტება ვანიას და ნაგვის გროვაში იმალება. ვანიას ჩხრეკენ და მიდიან.

მომდევნო სმენა ორი დღის შემდეგაა. ორი დღე უნდა მოითმინოს. ღამის სმენის შემდეგ ორ დღეს ისვენებს კიშკა. ორჯერ უკვე გაუშვა შანსი ვანიამ. დანა რომ უპოვონ, ყველაფერი დამთავრდება. კიდევ კარგი, რომ ადინოჩკაში მაინცდამაინც გულმოდგინედ არ ჩხრეკენ. იციან, რომ აქ არაფერი არ არის.

...აი, ორი დღეც გავიდა. ვანია კიპიტოკს და პურს არ ეკარება. გრძნობს, რომ მშიერი უფრო გულადია. ვანიას ხელები ზურგს უკან აქვს დაწყობილი. ასეთია წესი ადინოჩკაში: ზედამხედველი როცა შემოდის, საკნის შუაგულში უნდა იდგე და ხელები ზურგს უკან უნდა გეწყოს... მარჯვენა ხელში უჭირავს დანა.

როგორც არასდროს, გაგულისებული დანა საშინლად იკბინება და იპორჭყნება, გასხლტომას ცდილობს, მაგრამ ამჯერად ვანია ყურადღებას არ აქცევს ამას. ის ფოლადისებრ მაგრად ჩასჭიდებია დანის ტარს და კიდევ უფრო უჭერს, როცა კი ის ანაზდად შეიფრთხიალებს. გულგახეთქილი თუთიყუში თითებით მოჭერისას ერთი წამით ჩერდება, შემდეგ კი ისევ იწყებს ფხაკურს, იკბინება. ცდილობს დასხლტომას. ვანია ისევ უჭერს ფოლადის თითებს – გაჭყლეტამდე, დახრჩობამდე უჭერს. შემოდის კიშკა, წითელი როგორც შემწვარი ღორი და ჩხრეკს ვანიას, უფრო სწორად, ჯიბეებზე უფათურებს ხელებს, ზერელედ, რაღაცას თითქოს ოხუნჯობს უკბილოდ და მერე თავის ნაოხუნჯარზე ზარმაცად იღრიჯება. მაგრამ ვანიას არაფერი ესმის. მას ხელი გაუქვავდა! გაუქვავდა ხელი, მორჩა და გათავდა. როგორც ღერძზე რამდენჯერმე აწევისას უქვავდება ხელი ადამიანს, ისე გაუქვავდა ვანიასაც... ყველანი მიდიან: დეპეენკა, ვაისკავოი, კიშკაც. ვანია მარტო რჩება დანით ხელში... ვერ უპოვა... გაჩხრიკა და დანა ვერ უპოვა... ვანიამ კი დანის გამოყენება ვერ გაბედა... ეს ცოტა არ იყოს სასაცილოა, მაგრამ ადინოჩკაში არაფერს არ ეძებენ და ჩხრეკაც ფორმალურია... დანა უკვე დამყოლი, მოდუნებული და უსიცოცხლოა, აღარ იკბინება. ის, როგორც დამხრჩვალი, კისერმოგრეხილი თუთიყუში, უკვე ყველაფრის მიმართ გულგრილია და აღარ ცდილობს დასხლტომას. მკვდარი დანა-თუთიყუში, ამჯერად უკვე ვანიას მიერ გადაგდებული, უსიცოცხლოდ მიფრინავს ნაგვის გროვისკენ და იქ, სადღაც ჩხაკუნით ეცემა. მოღუშული ვანია კი საბოლოო მტკიცე გადაწყვეტილებით ახლა უკვე სამუდამოდ ზურგს აქცევს საკუთარ სიცოცხლეს და ნელ-ნელა საკუთარ სიკვდილში შედის. ისევე როგორც საერთოდ ცხოვრებაში, მან ამჯერადაც, ამ უკანასკნელადაც ვერ ივარგა. ვერ ივარგა!

ვანია ბოსტნეულის ბადეების საქსოვი ძაფის აწეწილი, დიდი გროვიდან ძაფებს იღებს და ერთმანეთში გრეხს. ძაფი... ძაფი... თოკი... ყულფი... ერთადერთი სურვილი ძილისა და ცოტაოდენი შიში, დაახლოებით ისეთი, როგორიც კბილის ამოღების წინ ეუფლება ადამიანს. გადამწყვეტი ნაბიჯი, წამიერი ტკივილი კისერსა და ყელში, ცოტაოდენი წვალება და აი, ძალიან სასიამოვნო, ჟრუანტელისმაგვარი გრძნობა ფეხის წვერებში, ფეხის წვერებიდან კოჭებში, კოჭებიდან მუხლებში, ბარძაყებში, ბარძაყებიდან მუცლის ქვედა ნაწილში და იქიდან სასქესო ორგანოებში, მუცელში, ყელში და საბოლოოდ უძლიერესი, მტკივნეულ-სასიამოვნო დარტყმა თავში...

არსება, რომელიც შენ გიყვარს

თუ ხარ მარტო, თუ უბედობა დაგბედებია, თუ სამყოფლად გრგებია ადგილი, რომელსაც ყველა გაურბის, თუ შენ გარშემო შეკრებილ, ერთი შეხედვით, შენნაირ არსებათა შორისაც ვერ გიპოვია შენი ადგილი და ცოტაოდენი ცვალებადობაც კი გაფრთხობს, ჩაქნეული გაქვს ხელი წარსულზე, აწმყოსა და, რაც მთავარია, მომავალზე, მაშინ შენ ბედნიერი კაცი ხარ, რამეთუ შეგიძლია დაინახო ის, რაც შენამდე ჯერ შეიძლება არავის დაუნახავს, რის დანახვაც შენ გარდა არავის ძალუძს, რადგან მხოლოდ ამ ადგილიდან, სადაც შენ დგახარ, შეიძლება დანახვა ყოველივე ამის.

ადგილი? შენი ადგილი ამქვეყნად რკინა-ბეტონის იატაკში ჩადუღაბებულ-ჩადუღებული რკინის სამიარუსიანი ნარია. პირველ იარუსზე კულწია წევს. ის არ არის შენზე გავლენიანი, ის უბრალოდ ცალფეხაა და ამიტომაც წევს დაბლა, აბა მეორე ან მესამე იარუსზე ხომ არ აძვრება ცალფეხა კაცი? მას აქვს ცალი ფეხი და ის, რასაც ინვალიდი პატიმრები, ეგრეთ წოდებული კრაბები, უწოდებენ კულწიას. კულწია მუხლს ზევით გადაჭრილი ფეხის დარჩენილი ნაჭერია. ამ ნაჭრის გამო კაცსაც კულწიას ეძახიან. კულწიას კულწია ვარდისფერი აპკით არის გადაკრული. ეს აპკი ალბათ ადამიანის სახეცვლილი კანია. ის იქერცლება და ყარს. როცა კულწია შარვალს იხდის, იგი აკეცილი შარვლის ტოტიდან მკვდარი კანის ნამცეცებს და ქერცლებს იატაკზე ბერტყავს. სწორედ ამ დროს დგება ცუდი სუნი. კულწიამ ეს იცის და ამიტომაც ცდილობს ჩქარა შეძვრეს საბნის ქვეშ, რათა რაც შეიძლება ჩქარა დამალოს თავისი კულწია – ვარდისფერაპკგადაკრული, დაბეჟილი ხორცისა და დათეთქვილი ძვლის პატარა არასასიამოვნო

ტომარა, რომელიც მუდმივად სტკივა მის პატრონს, მუდმივად მოითხოვს დასრესას და მუდმივად არის უუმური ხუმრობებისა და ლაპარაკების საგანი – კულწია, რომელზედაც მას, როგორც ბაყვზე, ხუმრობით ზოგჯერ ეპოტინებიან და სთავაზობენ სქესობრივ კავშირს, კულწია, რომლის შეჭმასაც სთავაზობენ შლიუმკის კამბუზიდან დაგვიანებისას, კულწია, რომლის კარტში მოგება სურთ, ან თეოფედრინის ტაბლეტებში გაცვლა – დაბოლოს, კულწია, რომელიც უკვე აღარ არის მხოლოდ თავისი ყოფილი კიდურის დაფეხვილი, ნახევრად სიცოცხლეჩამქრალი, ლპობაშეპარული ნაგლეჯი, არამედ არის კულწიას სავიზიტო ბარათი, მისი სახელი, გვარი, მამის სახელი, ეროვნება და, თუ გნებავთ, პროფესიაც – რადგანაც არ გააჩნია ამ უღიმღამო კაცს სხვა ამაზე უფრო მკაფიო, სხვებისაგან განსხვავებული ნიშანი. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კი კულწიას გააჩნია, ეს მისი საკუთარი კულწიაა!

მეორე იარუსი ეკუთვნის კაცს, რომელსაც დანარჩენები უწოდებენ მარქსს. მარქსს უყვარს მარქსის კითხვა, ენგელსისაც; კითხულობს აგრეთვე ლენინს და განსაკუთრებული სისასტიკით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. მას აქვს ყურმოტეხილი სათვალე, რომელსაც იგი ძველი „ტრუსიდან“ ამოღებული მოფომფლოებული რეზინის მეშვეობით იმაგრებს თავზე. მარქსს უყვარს გათბობის ნელ-თბილ რადიატორზე სუხარების გამოშრობა. ის აქეთ-იქით მიმოიხედავს ხოლმე თავისი მსუნაგი, უნდობლობით გაზინთული მზერით, მერე ფაქიზად გადამალულ საკუთარ „ზატოჩკას“ ამოიღებს სამალავიდან და პატარ-პატარა ნაჭრებად ჭრის რუხ ლორწოვან პურს სუხარებად. ეს „ზატოჩკა“ უკვე ძალზე დიდი ხანია აქვს მარქსს – საეჭვოდ დიდი ხანი. სხვებისაგან განსხვავებით, ის ძალიან ფაქიზად უფრთხილდება იმ მცირედ, მაგრამ საჭირო ნივთებს, რომელთა ქონაც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ყველას აქვს. „ზატოჩკები“, ყაისნაღები, „ბრიტვები“, წყლის თვითნაკეთი მადუღარები, ეს ის ნივთებია, რომელთაც მათ მფლობელებს გაუთავებლად ართმევენ გაუთავებელი ჩხრეკების დროს – ყველას, გარდა მარქსისა, რადგანაც მარქსმა იცის

საკუთარი ნივთების სხვანაირი, განსაკუთრებული დამალვა – ფაქიზი. მარქსი, გარკვეულწილად, სულელია. მართალია, უყვარს ლაპარაკი პოლიტიკაზე, აქვს მიდრეკილება, წეროს საჩივრები სხვადასხვა ინსტანციაში, უწეროს სხვებს საჩივრები... განსაკუთრებით უყვარს მარქსს ადმინისტრაციის ზედაფენების წარმომადგენლების წინაშე თავისი ცოდნით ბრავირება და ციტირება იმისა, თუ რას წერს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ ესა თუ ის ავტორი, დავუშვათ, მარქსი ან ენგელსი თავის თხზულებათა ამა და ამ ტომში, ამა და ამ თავში, ამა და ამ გვერდზე და ამა და ამ აბზაცში. მარქსს განსაკუთრებით უყვარს ზამპოლიტი – უკვე ხანში შესული რეგვენი პოდპოლკოვნიკი, რომელიც მალე პენსიაზე აპირებს გასვლას, რომელსაც რატომღაც პოდპოლკოვნიკის ქუდის ნაცვლად, საპოლკოვნიკე ფაფახი ახურავს თავზე და რომელიც მასავით, მარქსივით, სულელია. ზამპოლიტს ზოგჯერ თავისი ხელით მოაქვს მარქსისთვის წიგნები, აღებინებს მორიგეს ძირითად, რკინით შეჭედილ კარს, დგება მეორე დამხმარე გისოსებიან კართან პოდკოლკოვნიკის საპარადო, მაგრამ უკვე შელახულ, ცოტათი უსუფთაო შინელში გამოწყობილი, პოლკოვნიკის ფაფახით თავდაბურული და ებაასება მარქსს მარქსიზმის საფუძვლებზე, საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაზე, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტსა და ჩერჩილის როლზე მეორე მსოფლიო ომში. სალაღობო სანახავნი არიან ამ დროს ისინი – ზამპოლიტი ჰგავს ბრძენ მოძღვარს, ხოლო მარქსი მის, თუმცა ხშირად ურჩ და ნაკადულივით დაუდეგარ, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო ნიჭიერ, ყველაზე მონდომებულ, ერთგულ მოწაფეს.

გარკვეული დროის შემდეგ ზამპოლიტი მიდის და ტოვებს სიცივეს, რომელიც კარის გაღებით წარმოქმნილი ორპირი ქარით არის გამოწვეული. რჩება მარქსი. საუბრის შემდეგ ის აღტყინებით იფშვნეტს ხელებს, იღიმება, ტანში ჟრუანტელი უვლის. სწორედ ამ დროს უნდება მას ჩეფირის მოხარშვა, სუხარის შაქრიან კიპიტოკში ჩალბობა, ანდა... კუჭში გასვლა. დიახ! დიახ! სწორედ ამ დროს, ანუ ზამპოლიტთან საუბრის შემდეგ იწყებს მარქსის ორგანიზმი სასიცოცხლო თვისებების

გამოვლენის გააქტიურებას. ასეთ დროს თვალი უნდა მოარიდო მარქსს, რადან ისიც ფარულად გადევნებს თვალყურს. მან იცის, რომ შენ ის სულელად მიგაჩნია. სხვებს, ყველას, ის ჭკვიანი ჰგონიათ. სხვები მას განცხადებებისა და საჩივრების დაწერას სთხოვენ, რჩევას ეკითხებიან. სხვები! შენ კი მას სულელად მიიჩნევ, ყოველნაირად ცდილობ არ აგრძნობინო ეს, მაგრამ ის მაინც გრძნობს. გრძნობს და ამიტომ არკი სძულხარ, მაგრამ არც უყვარხარ. მერე რა, რომ ის სულელია, მერე რა, რომ ეს ასეა? აბა, ვინ იცის კიდევ მის გარდა. ეს მხოლოდ მისი საიდუმლოებაა. მისი საკუთარი სისულელე არის მისი საიდუმლოება!!! შენ კი მის საიდუმლოებას ნებსით თუ უნებლიეთ, სწვდები, ხელს უფათურებ! კი, ის უბადრუკია და ძალიან მცირე შანსი აქვს, რომ რაიმე გავნოს, მაგრამ მაინც რად გინდა შენ ზედმეტი არაკეთილმოსურნე? აარიდე თვალი.

შენი სამიარუსიანი ნარის პირდაპირ, პატარა გასასვლელის მეორე მხარეს, მეორე სამიარუსიანი ნარია იატაკში ჩადუღაბებული. მისი პირველი იარუსი ეკუთვნის მსუქან კაცს, რომელსაც აქვს დიდი, ღაბაბიანი თავი და მოკლე კისერი. ის ჩქარა, ბურტყუნით ლაპარაკობს და ჰგავს დევს. მას ტუჩის კიბო აქვს, რომელსაც ალბათ მალე მოაჭრიან. მას გუბა ჰქვია. გუბა, ანუ ტუჩი. გუბას თავზე წევს სტაფილოკოკი, კაცი, რომელიც გამოირჩევა კბილების განსაკუთრებული სიყვითლით. კბილები თქვენ, ყველას, ჩაყვითლებული გაქვთ, ჩეფირის სმისა და აგრეთვე იმის გამო, რომ არც ერთი არ ხართ ჯანმრთელი, მაგრამ ამას მაინც სულ სხვა სიყვითლე აქვს კბილებში. შხამიანი ყვითელი ნალექის ზედა ფენა რბილია და დამყოლი, მერე კი თანდათან მკვრივდება და კბილზე გადაკრული ოქროს გვირგვინის მსგავსი ხდება – ხმარებისაგან გაცვეთილი გვირგვინის, რომელსაც ბზინვარება მხოლოდ ღრძილებთან ახლოსღა შერჩენია, ხოლო იქ, იმ ნაწილში, სადაც უშუალოდ ღეჭვა ხდება, უკვე ძვლის ფერი გამოსჭვივის. ყვითელკბილება კაცი, სტაფილოკოკი, თავის კბილებს ჭუჭყიანი ცხვირსახოცით იწმენდს ყვითელი ნალექისაგან, მაგრამ ამის მეშვეობით ის მხოლოდ ნალექის

ზედა ფენის აცილებას ახერხებს, ქვედა მკვრივი ფენები კი კბილებზე რჩება, ასეთივე საშუალებით იწმენდს ის პირიდან ამოღებულ კბილის პროთეზებს, რომლებიც „პრისოსკებზე“ აქვს მას დამაგრებული და რომლებიც საჭიროებისამებრ ეხსნება. შხამიანი ყვითელი ნალექი ამ პროთეზებზეც ილექება. ეს დაავადებაა – დაავადება, რომელსაც სტაფილოკოკი თუ სტაფილოკოკური ჰქვია.

სტაფილოკოკის თავზე, მესამე იარუსზე, არავინ არ წევს. იქ გაზეთებია გაშლილი, სტაფილოკოკს მტვერი რომ არ დაეყაროს, ხოლო ამ გაზეთებზე აწყვია სამი დიდი ტორბი და ერთი წყვილი დიდი ზომის, ახალი, თაზა გამნადავები.

შენი ნარის გასწვრივ არის კიდევ ერთი სამიარუსიანი ნარი კართან ახლოს, პარაშისა და პირსაბანის პირისპირ. პირველი იარუსი ეკუთვნის პაჩებნიკს. პაჩებნიკს ორივე ფეხი გადაჭრილი აქვს, მაგრამ კულწიასგან განსხვავებით, მისი ფეხის ნარჩენები მართალია მოკლეა, თუმცა გაცილებით კარგ მდგომარეობაშია. თვითონ პაჩებნიკიც ძალიან მოძრავი კაცია, მას უყვარს კამერის დალაგება, პარაშის გარეცხვა, იატაკის დაგვა. ძალიან უყვარს პრაგულკაზე სიარული, გადაადგილდება სპეციალური დაფის მეშვეობით, რომელიც გორგოლაჭიან საკისრებზეა დამაგრებული. ხელები პაჩებნიკს საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული. ის ბუნებით ჯანმრთელი კაცია და პლუს ამას, ის ხომ ხელების მეშვეობით აგორებს თავის ბორბლებიან დაფას. პაჩებნიკი ყველას სჯობნის ხელის გადაწევაში – ყველას, თვით კონტროლიორ ბუგაის ჩათვლით. ის თავისი დაფით კიბეებზეც კი ადის-ჩადის დაუხმარებლად და დერეფანშიც დახრიალებს დიდი სიჩქარით. ცუდი კაცი არ არის, მაგრამ ისიც დამღლელია, თავისი ხმაურიანობით – ალბათ ყველაზე დამღლელი.

პაჩებნიკის თავზე ადგილი ეკუთვნის ცირკულს – რაქიტიანს. მას ფეხები რაღაცნაირად აქვს გაშლილი და მოდრეკილი, რომლებსაც ვერც შლის და ვერც ასწორებს. ამიტომ დაახლოებით ისე გადაადგილდება, როგორც მიწის საზომი ხელსაწყო. ამ არსებას ბუნებრივი სიჩლუნგის გარდა, აქვს დაავადება, რომელიც ძვალ-სახსრის ჩაკირულობით გამოი-

ხატება, რაც ხელს უშლის ნებისმიერ მოძრაობას, თუნდაც ისეთ მარტივს, როგორიც, მაგალითად, პირის გაღებაა ან პირის მომუწვა, თუკი ღია გაქვს პირი. ადამიანი ამ დროს ემსგავსება ფარგალს, მაკნატუნას, მინის საზომ ხელსაწყოს და საზეინკლო გირაგს ერთდროულად.

ცირკულის თავზე წევს პეწია ფლიაგა, პატარა ტანის, დაგვაჯული ბოშა, იმდენად პატარა, რომ შეიძლება დიდ ლილიპუტად ჩაითვალოს. მას სხეულის იმ ადგილზე, სადაც ჯარისკაცები მათარას იკიდებენ, აქვს გამონაზარდი. ეს ხორცმეტი მათარასაც წააგავს და სოკოსაც, ხეებზე რომ ამოდის – სოკოს იმ ნაირსახეობას, რომლისგანაც ტელეფონის დასადგმელებს აკეთებენ. ამიტომ დაარქვეს პეწიას ბოროტი ხუმრობების და ლაპარაკების მოყვარულმა ინვალიდებმა ფლიაგა. პეწიას სტკივა თავისი ფლიაგა, მაგრამ მისი მოშორება არ შეიძლება, რადგანაც ეს ფლიაგა წარმოადგენს ცხიმების, კუნთების, ძარღვების, ნერვების, ხრტილების და სხვა ქსოვილების ერთმანეთში გადახლართულ ბოროტ გორგალს, რომლის ამპუტირებაც გამოიწვევს პეწიას ორგანიზმის შესაძლო ნაწილობრივ ან მთლიან პარალიზებას, ანდა პეწიას სიკვდილს. ეს პატარა არსება – პეწია, ძალიან ბოროტია, ბოროტი და მუხანათი თავისი უძლურების გამო, ანუ იმის გამო, რომ მისთვის აქ შეზღუდულია ავის კეთების შესაძლებლობა. ის საზოგადოებისგან საიმედოდაა იზოლირებული, ხოლო თავისნაირ იზოლირებულთა შორის ყველაზე პატარაა, ლილიპუტია – დიდი ლილიპუტი. პეწიას ეტაპით მოსვლისას საწყობში არ აღმოჩნდა მისი ზომის სპეცტანსაცმელი, ამიტომ მას ყველაზე პატარა სპეცოვკა და ბუშლატი გამოუყვეს, რომელიც მაინც მასზე ორჯერ დიდია. ის ამ ტანსაცმელში ფრინველს წააგავს, დიდ, რუხ, მძორის მჭამელ ფრინველს, რომელიც დროდადრო ჩამოფრინდება ხოლმე კრიახით თავისი ბუდიდან, დანაყრდება, მოსკინტლავს და მერე ისევ კრიახით თავის საბუდარს უბრუნდება.

შენი ადგილი მესამე იარუსზეა ფანჯარასთან ახლოს. მართალია, ამ სიმაღლეზე აძრომა-ჩაძრომა ცოტათი გირთულებს საქმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, შენ გვერდით ფანჯარაა და,

თუმცა იგი ხუთპირი გისოსებითაა გადახერგილი, მაინც გაქვს საშუალება დაინახო შორს, რკინიგზის პირას გამწკრივებული ჭერმის ხეები – ჭერმის ხეები და მიმავალი მატარებლების ზედა ნაწილი, მათზე დატვირთული სხვადასხვა ტვირთით, რომელთა შორის ყველაზე საინტერესო ავტომობილები, ტრაქტორები და სამხედრო ტექნიკაა. აქ სითბოა და არ უბერავს. აქ შეგიძლია მშვიდად დაწვე ზურგზე, არ ჩაიხედო დაბლა, არამედ უყურო ჭერს, სადაც ცხოვრობს შენი სატრფო. ეს არის მდედრობითი სქესის შავი ობობა, რომელსაც შენ დროდადრო უყრი შენ მიერ მისთვის დაჭერილ ბუზებს. უცნაური, ძალიან უცნაური არსებები არიან შავი ობობები. საქორწინო რიტუალის, ანუ განაყოფიერების შემდეგ, მათი მდედრები ხოცავენ მამრებს და ისევე როგორც სხვა დანარჩენ თავიანთ მსხვერპლს, მათაც გემრიელად გამოსწოვენ ხოლმე მომაკვდავი სხეულებიდან მაცოცხლებელ სითხეს, სითხეს, რომლითაც მწერები და მათ შორის ობობებიც სულდგმულობენ ამქვეყნად. შავმა ქვრივმა (ასე ეძახიან ამ სახეობის მდედრებს) არ იცის დანდობა, იგი ვერაგია და მტარვალი ქორწინების შემდეგ, მაგრამ თუკი გაოცებას იწვევს მდედრის ეს მტაცებლური თვისება, კიდევ უფრო საოცარია მამრის თავდადება და თავგანწირვა, მზადყოფნა საკუთარი თავის საყვარელი არსებისადმი მიძღვნისა. არსებისადმი, რომელსაც არ უყვარხარ, რომელსაც სულ ცოტა ხნით სჭირდები, ისიც ჯერ გასართობად, შემდეგ კი... შესაჭმელად. მაგრამ, რომელიც გიყვარს – გიყვარს შენ! ასეთი თავდადება სასაცილოა, მაგრამ როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, დიადსა და სასაცილოს შორის მანძილი მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯია.

მის მიერ ლამაზად ნაქარგ აბლაბუდაში უკვე ორი დონჟუანია მოყუჩებული – მამრები, რომელთაც შავი ქვრივის სიყვარულს ანაცვალეს თავი. ისინი სხვადასხვა დროს იმსხვერპლა შავმა ქვრივმა და ახლა მათი უსიცოცხლო, წვენგამოწოვილი, აბლაბუდაში გახვეული სხეულებიღა ირწევიან ჰაერის ცირკულაციის გამოისობით. ამ სხეულებს არ ყრის შავი ქვრივი, ბუზებისგან განსხვავებით, ის ინახავს მათ და იხსენებს – ალბათ სიყვარულით.

შენც გიყვარს შენი ქვრივი. გამოტყდი, რომ გიყვარს. მერე რა, რომ ის მწერია და შენ კი ადამიანი. სამაგიეროდ, ის ხომ ისეთია, როგორიც უნდა იყოს, როგორადაც გააჩინა ბუნებამ. ის ცხოვრობს ისეთ აბლაბუდაში, როგორშიც უნდა ცხოვრობდეს, იკვებება ისეთი საკვებით, როგორითაც უნდა იკვებებოდეს. მისი თაყვანისმცემლების გამოფიტული ნეშტები აშკარა დადასტურებაა იმისა, რომ ის იმსახურებს თაყვანისცემას. ის არის მდედრი, რომელიც იმსახურებს იმას, რომ მას მამრმა თავისი სიცოცხლე უძღვნას, მით უმეტეს, ისეთი უბადრუკი, როგორიც შენია! შენ, დიდი ხანია, გინდა ახვიდე შავ ქვრივთან და მის მიერ ნაქარგ აბლაბუდაში გაეხვიო, წკიპურტი გაჰკრა შენს წინამორბედთ, შავ ქვრივთან საქორწინო სარეცელი გაიზიარო და მერე მთელი გულითა და სულით მიუძღვნა მას საკუთარი თავი, გამოანოვინო მთელი შენი სასიცოცხლო წვენი, რომელიც ჯერ კიდევ არის შენში შემორჩენილი, მაგრამ შენ გაკვირვებს სხვა რამ – მართალია, შენ ხარ მარტო, ხარ განწირული და უბედობა დაგბედებია, მაგრამ მაინც არის შენში იმედი იმისა, რომ ოდესმე, შენდა მოულოდნელად, მოეღება ყოველივე ამას ბოლო და უჟმური ფრინველივით გაქრება ფრინველისმაგვარი ლილიპუტი პეწია, სტაფილოკოკი, მარქსი, პაჩებნიკი, ცირკული, პოლკოვნიკის ფაფახიანი პოლკოვნიკი, კონტროლიორი ბუგაი... შენ კი იპოვი შენს ნამდვილ ადგილს და იქნები იქ. ეს არის გამოსავალი! ეს არის იმედი!

იხსენებ ობობასთან ურთიერთობის პირველ დღეებს და ეს ღიმილს გგვრის. მაშინ პირველად შენ კარაქის ნამცეცი ჩაუგდე მას აბლაბუდაში. ის მაშინვე გამოცოცხლდა და აენთო, რადგან მისი ქსელის რხევამ ამცნო, რომ რაღაც გაება მახეში, მაგრამ ვინაიდან კარაქის ნამცეცი არ იყო ცოცხალი და არ ინძრეოდა, არც ობობა მისულა მასთან. ასეთია ობობების ბუნება, ისინი მხოლოდ მოძრავ, ცოცხალ მსხვერპლს ეტანებიან, ისეთს, რომელიც ამოძრავებს მათ ქსელს, ამიტომ შენ ეშმაკურ ხერხს მიმართე მაშინ და ცოცხიდან გამოძრობილი უწვრილესი ღერის მეშვეობით ოდნავ აამოძრავე კარაქის ნამცეცი, აი ამაზე კი იყო ელვისებური რეაქცია. შავი ქვრივი

ქსელში მოფარფატე კარაქის ნამცეცს, როგორც ცოცხალს, ეცა, დაგესლა ის და მერე დაეწაფა. მას კარაქის ნამცეცი სამ დღეს არ გამოუღია პირიდან. გულში ჰქონდა ჩაკრული და წუწნიდა, თან შენ გიყურებდა და კეკლუცად იღიმებოდა. ბევრისთვის წარმოუდგენელია, რომ ობობა გიყურებდეს და იღიმებოდეს, მათთვის ეს, რა თქმა უნდა, არარეალურია, მაგრამ შენ ხომ მათგან განსხვავებით საათობით გიყურებია ობობასათვის მესამე იარუსზე მწოლს, მათ კი არა. ჰოდა, აბა, ვინ უკეთ იცის, შენ თუ მათ? რა თქმა უნდა, შენ! შენ მაშინ შორს დაიჭირე მისი მიწვევა აბლაბუდაში, თან სიცილით გამომშრალ მამრებზე მიუთითე, მან კი მაშინ ტუჩზე იკბინა და ბავშვურად გაბუტულმა შეგატყობინა, რომ ისინი მხოლოდ დროებითი გატაცება იყო მისი, შენ მიმართ კი ნამდვილ, ამაღლებულ გრძნობას განიცდიდა. შენ რომ მასთან მაშინ ასულიყავი, ის შენ შეგჭამდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და თქვენი დამოკიდებულებაც შეიცვალა. მას აშკარა გულითადობა დაეტყო. შენ უკვე აღარ გაშინებს ის, რომ ის შენ შეგჭამს, რადგანაც ის შენ, ისევე როგორც შენ მას, ანგარიშს გიწევს. მას უკვე ესმის, რომ შენ ადამიანი ხარ და არა ობობა და საიმისოდ, რომ მოხდეს თქვენი შეხვედრა, საჭიროა, ის ნაწილობრივ მაინც გახდეს ადამიანი, შენ კი – ობობა. თქვენ როგორღაც ახერხებთ ამას და მაშინ, როდესაც ყველას სძინავს, შენ ცდილობ აძვრე შენი სატრფოს მიერ ნაქარგ აბლაბუდაში. შენში ისადგურებს რაღაც უჩვეულო გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ უნდა შეგჭამონ და შიშითა და ნეტარებით განიცდი ამას. შენ უჩვეულო არსება ობობა-ადამიანი ხარ და ფაფუკ აბლაბუდაზე ნებივრობ სატრფოს მოლოდინში. ადამიანური შენი საწყისი დროდადრო გახსენებს თავს, მაგრამ მას – შენს ადამიანურ საწყისს ესმის, რომ შენ გარშემო შექმნილ გამოუვალ მდგომარეობაში ნებისმიერი შედეგი გამოსავალია და ამით იმშვიდებს თავს. აღარ უნდა მას იმ არსებათა შორის ყოფნა, ობობობა ურჩევნია, შეჭმულ ობობად ყოფნა უჯობს. შენი არსების გაობობებული ნაწილი კი, რაღა თქმა უნდა, ყველაფერ მოსალოდნელს ისე ელის, როგორც ჩვეულებრივ, ლოგიკურ დასასრულს შენი

არსებობისა. შენი პირადი მე კი მაინც სიცოცხლისაკენ იხრება. შენ გჯერა, რომ შენი სატრფო, მიუხედავად ყველაფრისა, არ გაგიმეტებს შესაჭმელად. შენ მას უყვარხარ და ამიტომ ის შენ არ შეგჭამს! და თუ მაინც შეგჭამს, თუ მართლა ასეთია ეს ცხოვრება, რომ მანაც კი, ერთადერთმა არსებამ, რომელიც შენ გიყვარს, უნდა შეგჭამოს, მაშინ... მაშინ რაღა აზრი აქვს საერთოდ სიცოცხლეს!? შეგჭამოს და ის იქნება! რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუკი ისიც კი გჭამს?! და შენ მიცოცავ ზევით და ზევით შენს საყვარელ სატრფოსთან შესახვედრად. აი, ისიც გეგებება – ლამაზი, ტანადი, ნახევრად ქალი, ნახევრად ობობა. თქვენ ერთად ხართ დილამდე ახლა, მერე კი ის ან შეგჭამს, ანდა გაგიშვებს. შენ ვერასოდეს ვერ გაანდობ ვერავის იმას, რასაც განიცდი შენ სატრფოსთან ამჟამად, რამეთუ ეს რეალობა ყველაზე უფრო სათუთია სიზმართა შორის. და აი, წერტილიც დროში, როცა თქვენი განშორება გარდაუვალია!

შენ აღარ გინდა აღარსად წასვლა, აღარ გინდა ადამიანობა, აღარ გინდა მათი ყურება! ნახევრად ობობად ქცეულს, ობობობა გინდა. გინდა, რომ იყო ერთი ჩვეულებრივი ბუნებრივი, მარტივი პროცესის რიგითი მონაწილე. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი შავი ობობას მამრი, რომელმაც ეს-ესაა გაატარა თავის სატრფოსთან პირველი და უკანასკნელი საოცნებო ღამე და ახლა, ბუნების კანონების თანახმად, უნდა იყოს შეჭმული მის მიერ. მაგრამ სატრფო მგონი არ აპირებს შენს შეჭმას, თუმცა ეტყობა, რომ უნდა. და შენ პოულობ შენში ძალას – სთხოვ, შენით სთხოვ მას შენს შეჭმას. ის კი გიყურებს და აყოვნებს, ის ხომ შენი წყალობით უკვე მხოლოდ სანახევროდაა ობობა, სანახევროდ კი ის უკვე ადამიანია. და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის ის, ადამიანი თუ ობობა. მთავარია, რომ მას შენ არ ემეტები შესაჭმელად, იმიტომ, რომ მას შენ უყვარხარ. მას შენ უყვარხარ!!!

შენ ჩამოდიხარ ძირს, წვები ნარზე, ასცქერი ჭერს, რომელიც სულ ახლოსაა შენთან და ახლა უკვე ქვევიდან ზევით შეჰყურებ პაწაწინა ქსელში მოფუსფუსე ციცქნა ობობას – არსებას, რომელიც შენ გიყვარს.

ხუთი გრამი შაქარი

(ერთი პატიმრის ნაამბობი)

ზლატაუსტის საპყრობილეში ცუდი პირობებია. იქ ყოველ-დღე იღვრება ადამიანის სისხლი. ადმინისტრაცია ცდილობს აღვირახსნილ პატიმართა მოთოკვას და აკეთებს ამას ყოველ-გვარი ცერემონიის გარეშე, უხეშად და მკაცრად, მაგრამ ეს არ შველის საქმეს, პირიქით, პატიმრები უფრო და უფრო ავდებიან. ძნელი დასადგენია, რა საჭიროა დილით კამერა-ში შემოვარდნა და ყველას ცემა რეზინის ჯოხებით, ვინც კი საბნის ქვეშ წევს. ამ შემთხვევაში სხვა ციხეებში უცხადე-ბენ საყვედურს პატიმარს, ართმევენ პროდუქტების ყიდვის უფლებას, უკიდურეს შემთხვევაში კი, შეიძლება კარცერში ჩასვან. თუმცა არა, რის კარცერი, რა კარცერი. ძირითადად სხვა ციხეებში ზედამხედველებს სულ არ ენაღვლებათ საბნის ქვეშ წევს პატიმარი თუ საბნის ზევით. მათთვის მთავარია, არ მოხდეს მკვლელობა და არ მოხდეს გაქცევა. ზლატაუსტში კი სხვა კანონებია. აქ არ უცხადებენ საყვედურს პირად საქმეში შეტანით; არამედ სცემენ, სცემენ და სცემენ. თუ პატიმარი პატიმარს დაჭრის, მას შეიძლება დიდი-დიდი, 15 დღე-ღამე კარცერი მისცენ. აი, ამ შემთხვევაში წერენ ოფიციალურ დად-გენილებაში, ლოგინი არ გაასწორაო, ანდა ზედამხედველს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენაო. კაცი რომ დაჭრა დანით, ამას არ წერენ იმიტომ, რომ ამ დანაშაულის შესახებ არავინ არაფერი გაიგოს, იმიტომ, რომ ეს მათთვის მინუსია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათ დაუშვეს შეცდომა აღმზრდელობით მუშაობაში, მაშასადამე, მათ არ მიიღეს სათანადო ოპერატიუ-ლი ზომები ამ მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად. ერთი სიტყვით, ადმინისტრაცია ცდილობს დაფაროს ნებისმიერი დანაშაული,

რომელიც ციხის ტერიტორიაზე ხდება. მხოლოდ ორი დანაშაულია, რომლისაც ძალიან ეშინიათ ციხის მუშაკებს. ეს არის მკვლელობა და გაქცევა. გაქცეულ კაცს ვერ მოაბრუნებ, თუ არ შეატყობინებ ზემდგომ ორგანოებს, მკვდრის გაცოცხლებაც შეუძლებელია. ორივე შემთხვევაში უფროსებს ელით უსიამოვნება. სხვა ყველაფერი არ არის საშიში. სცემს ვინმეს? არაფერია, ვინც სცემს, იმასაც სცემენ, ვისაც სცემეს, იმას სხვა კამერაში გადაიყვანენ. ორივენი კმაყოფილები დარჩებიან. ნაცემი კმაყოფილია, იმიტომ რომ ის მოაშორეს თავის მტანჯველს. მტანჯველიც, თავის მხრივ, კმაყოფილია, იმიტომ, რომ სადმე სხვაგან უკვე სისხლის სამართლის საქმეს აღძრავდნენ და ხულიგნობისთვის გაასამართლებდნენ, ამ შემთხვევაში კი მხოლოდ სცემეს და სამიოდე დღით კარცერში ჩააგდეს. ნებისმიერი ადამიანი კარგავს წონასწორობას, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს არაადამიანურ პირობებში. ზოგიერთები თვლიან, რომ გაჭირვებაში ადამიანი იწრთობა და ხდება უფრო ძლიერი, უფრო ამტანი, უფრო პატიოსანი. შესაძლოა, შესაძლოა, მაგრამ გაჭირვებასაც გააჩნია, როგორი გაჭირვებაა. რა თქმა უნდა, მეფოლადე ეგუება სიცხეს და უჰაერობას, მეურმე ეგუება სიცივეს, მებრძოლი ეგუება საფრთხეს, ასეთი წინააღმდეგობებით აღსავსე საქმიანობა, რა თქმა უნდა, აწრთობს და აძლიერებს, მაგრამ გახდება განა ადამიანი უფრო კეთილშობილი, თუკი განიცდის დამცირებას და რაც ყველაზე უფრო საშინელია, თუკი შეეგუება ამ დამცირებას. დიახ. სტაჟიანი პატიმარი ამ შემთხვევაში უფრო ამტანია, ვიდრე თავისუფალი ადამიანი, მაგრამ ეს უფრო ვირთხის ამტანობაა. ვირთხა ყველაფერს უძლებს – სიცივეს, სიცხეს, ათასგვარ შხამს, რადიაციასაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვირთხა ვირთხაა. ადამიანიც ძალიან ემსგავსება ვირთხას, თუკი წლების მანძილზე საპირფარეშოში ცხოვრობს.

დილით, დაახლოებით შვიდის ათი წუთი იყო, ზედამხედველები შემოცვივდნენ კამერაში და რეზინის ჯოხებით წამოყარეს მძინარე პატიმრები. ასეთი პროცედურა ტარდება ციხეში დაახლოებით თვეში ერთხელ. მიუხედავად ამისა,

პატიმრები მაინც არ იშლიან თავისას. ბევრი მათგანი მაინც განაგრძობს ძილს, იმის მიუხედავად, რომ ვალდებულია დილის ექვს საათზე ადგეს. შემოცვივდებიან და შემოცვივდნენ. მაგათი გულისთვის ვინ იტყვის უარს ძილზე. რა თქმა უნდა, ყოველდღე რომ მეორდებოდეს ასეთი თავდასხმა, მაშინ ძილს აზრი აღარ ექნებოდა, მაგრამ ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ დაახლოებით თვეში ერთხელ ხდება ასეთი უსამართლობა – ჯანდაბას, რაც უნდათ, ის უქნიათ. დილით ყოველდღე ადრე ადგომას, ისევ რეზინის ჯოხის ერთი-ორი დარტყმა ჯობია თვეში ერთხელ.

...ვიტალის ფეხებში მოხვდა ჯოხი. თვალები გაახილა და მაშინვე წამოხტა. საკანში დიდი აურზაური იდგა. რამდენიმე ზედამხედველი გაცხარებული დარბოდა. ისინი საბანქვეშ მწოლიარეებს ურტყამდნენ. ვიტალი წამოხტა და შარვალი ჩაიცვა. მენტებმა ყველანი წამოყარეს ლოგინებიდან, დერეფანში გაყარეს და ორმწკრივად მოაწყვეს.

– მოქალაქენო! – დაიწყო უტვინო (ძალიან ძნელია სხვა სიტყვის შერჩევა) გარეგნობის ოფიცერმა და მამლაყინწურად აპრიხა ცხვირი, – თქვენთვის ცნობილია, რომ ჩვენი დაწესებულების შინაგანი წესდების მიხედვით, თქვენი ვალია, დილის ექვს საათზე ადგომა. თქვენ კი განაგრძობთ წესრიგის დარღვევას, ანუ განაგრძობთ ძილს. მე მინდა გაცნობოთ, რომ ადმინისტრაცია ვერ აიტანს უკანონობას... რეგულარულად ჩატარდება ამგვარი სახის პროფილაქტიკური მუშაობა და ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ მაინც გასწავლით თქვენ ადამიანურ დამოკიდებულებას ლოგინის და აგრეთვე სხვა ინვენტარის მიმართ... შეკითხვები ან პრეტენზიები ადმინისტრაციასთან... – ამ სიტყვებზე ოფიცერმა მოჭკვიანებული სულელის გამომეტყველება მიიღო, წარბები მრავლისმეტყველად აპრიხა და სათამაშო ავტომატივით აენთო, თითქოს მასში თხუთმეტკაპიკიანი ჩააგდესო.

– არა გვაქვს შეკითხვები და პრეტენზიები! – წაიბუზღუნა ვიღაცამ პასუხად.

ოფიცერმა ერთხელ კიდევ აპრიხა ნიკაპი მამლაყინწურად, მერე ხელები ზურგს უკან დაიკრიფა, ტუჩები გააწკლაპუნა

და განკარგულება გასცა – შედითო; როცა პატიმრები საკანში შედიოდნენ, ოფიცერი ფეხის წვერებზე იწეოდა და მერე ქუსლებზე დგებოდა. ჩექმები ეცვა და ალბათ გესტაპოელს ბაძავდა ბავშვობისას ომზე ნანახი ფილმიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გაიღო „კარმუშკა" და დაიწყო საუზმე. პატიმრები რიგრიგობით აწვდიდნენ ბალანდიორს ალუმინის ჯამებს. ბალანდიორი სუპს უსხამდა მათ და უკან უბრუნებდა სუპიან ჯამებს. ზოგიერთები ბუზღუნებდნენ: ცოტას ასხამო, კარტოშკა ცოტააო. ძირითადად კი უხმოდ იღებდნენ თავიანთ საჭმელს. აღგზნებულები იყვნენ და მადა გაჰფუჭებოდათ.

ვიტალიმ გაზეთის ნაჭერი გაუშვირა ბალანდიორს. ბალანდიორმა დაუყარა შაქარი ქაღალდზე. ვიტალის შაქარი ეცოტავა, ბალანდიორს შეუტია: შაქარი ცოტააო. ბალანდიორმა იხტიბარი არ გაიტეხა – შემდეგი, შემდეგიო. ვიტალი გაღიზიანდა და კიდევ უფრო უხეშად შეუტია – შენ, რა, არ გესმის, შაქარი რატოა ცოტაო. ბალანდიორმა უპასუხა – ოცგრამიან ჩერპაკში რამდენიც ეტევა, იმდენიაო.

საქმე ის არის, რომ ბალანდიორები ხშირად ეშმაკობენ: შაქრის საზომ ჩერპაკში ცოტაოდენ შაქარს ყრიან, მერე რამდენიმე წვეთ წყალს ასხამენ ზედ და აშრობენ. ჩერპაკის კედლებზე მიმხმარი შაქარი ჩერპაკზევე რჩება. ამგვარად, უკვე ოცი გრამი კი არ გამოდის, არამედ გამოდის დაახლოებით თხუთმეტი გრამი.

– აბა, მაჩვენე შენი ჩერპაკი, ალბათ ისევ სველი შაქრით გაქვს გამოტენილი. – უთხრა ვიტალიმ ბალანდიორს.

– ხლოპცი, შემდეგი, შემდეგი, ხლოპცი! მე დრო არა მაქვს, თქვენთვის არ მცალია. მარტო თქვენ კი არ მყავხართ, მთელი სართულია დასაპურებელი! – უპასუხა ბალანდიორმა.

ბალანდიორი უკრაინელი იყო, ასე, ორმოცდახუთი წლისა. ციხეში პირველად იჯდა, ისევე როგორც ყველა ხოზაბსლუგელი. იგი რუსულ და უკრაინულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა. დიდი თაღლითი ვინმე იყო, ყველაფერს იპარავდა ქვაბიდან. ახალგაზრდა ბალანდიორებს თუ ცოტაოდენი შიში ჰქონდათ კრიტნიკებისა, ამას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მას კარგად ჰქონდა ათვისე-

ბული ნიუტონის სულ ბოლო კანონი, რომელიც ამბობს, რომ პატიმრები ავინროებენ მას, ვინც არ ჩივის, ამიტომ ცდილობდა ყველა კონფლიქტის გადაწყვეტას უფროსების დახმარებით, როცა ვინმეს ედავებოდა, სპეციალურად უწევდა ხმას მენტების გასაგონად. ერთი-ორჯერ კიდევაც დაიჭირეს კრიტნიკებმა დერეფანში ეს კაცი, გვერდებშიაც მოარტყეს რამდენჯერმე, მაგრამ ამით ყველაფერი დამთავრდა, რადგან ბალანდიორი ასეთ დროს გოჭივით გაჰყვიროდა. ზედამხედველები კი, რასაკვირველია, მირბოდნენ ყვირილზე და ესარჩლებოდნენ თავიანთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უმცროს თანამშრომელს.

– მაჩვენე ჩერპაკი, შე ძაღლო! – შეუღრინა ვიტალიმ.

– ძაღლი შენ ხარ! – უპასუხა ბალანდიორმა.

ვიტალიმ თვალებში შეაყარა ბალანდიორს შაქარი. ბალანდიორმა სასუპე ჩამჩას წაატანა ხელი და მთელი ძალით ჩასცხო ვიტალის თავში პირდაპირ კარმუშკიდან. ძალიან მარჯვე გამოუვიდა ბალანდიორს დარტყმა. წუნწკლიანმა ჩამჩამ ჰაერში წრე მოხაზა და ვიტალის შუბლს მიეტყეპა. ვიტალი არ მოელოდა ბალანდიორის ასეთ საქციელს. გაოგნებული იდგა ერთ ადგილზე, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. გული შეეკუმშა. ალბათ, ასეთ დროს დაარტყამს ხოლმე კაცს ინფარქტი. საქმე ის არის, რომ ბალანდიორი, დაუწერელი წესებით, ციხეში არის მეორეხარისხოვანი პატიმარი, ისევე როგორც ყველა ხოზაბსლუგელი, და როცა ხოზაბსლუგელი „წესიერ“ პატიმარს თავში ურტყამს ჩამჩას, ეს ციხის ეტიკეტის გაუგონარი დარღვევაა. ვიტალის თავზე ვიღაცამ ონკანი მიუშვა და სუპით გაწუწულს წყალი გადაავლო. ბოროტი მრისხანების ცეცხლი აენთო მასში. კამერაში მთვარეულივით ბორიალს მოჰყვა, თან გამუდმებით ბუტბუტებდა – როგორ მოვკლა, როგორ მოვკლაო. მერე თავისი ლეიბიდან შტირი გამოიღო და კარმუშკასთან მივიდა. შტირი ზურგს უკან ჰქონდა დამალული. ბალანდიორმა დაინახა ვიტალი და ისეთნაირად დადგა, რომ მისი მიწვდენა ძალიან ძნელი იყო. იდგა, საჭმელს არიგებდა და თან მსუნაგი თვალებით გაფაციცებით იმზირებოდა კარმუშკაში, მხოლოდ ხანდახან გახედავდა ხოლმე შორიახლოს

მდგომ მენტს. მენტიც ყურადღებით იყო. გაიგონა ხმაური და ამიტომ არ სცილდებოდა კარმუშკას.

ვიტალი ხან ვის ეკითხებოდა და ხან ვის, როგორ მოვკლაო. ზოგიერთები მხრებს იჩეჩავდნენ, ზოგიერთები კი სხვადასხვანაირ რჩევას აძლევდნენ მას. ჩემთანაც მოვიდა და მკითხა, როგორ მოვიქცეო. მე მელაპარაკებოდა, მაგრამ დაბინდული თვალები სადღაც შორს გაურბოდა. თითქოს მე კი არა, ჰაერს ელაპარაკებოდა. მე ვუთხარი: პოლისჯოხს მოაბი შენი შტირი და ერთი-ორჯერ უჩხვლიტე მხარში, ოღონდ ფრთხილად, მუცელში არ მოარტყა, თორემ მართლა შეიძლება მოკვდესმეთქი. ასეთი საშიშროება იყო, იმიტომ, რომ შტირი დანაზე გაცილებით უფრო საშიში იარაღია, თუ კაცს მუცელში მოხვდა.

ვიტალიმ პოლისჯოხს ტარი მოაძრო, საიდანღაც კანაფი გამოაძვრინა და შტირი იმ კანაფით პოლისჯოხის ტარზე მიაბა. თავისუფლებიდან მოსულ ადამიანს გაუჭირდებოდა ამის გაკეთება ასე ჩქარა, მაგრამ კრიტნიკები დაჩვეულები არიან ყველაფრისგან დანის გაკეთებას.

სულ ცოტა ხანში დანა კი არა, მზად იყო ნამდვილი შუბი. მეტრნახევრიან ხის ტარს ოცსანტიმეტრიანი ფოლადის სადგისი აბოლოებდა. ვიტალი კარმუშკას მიეპარა. მონადირე რომ ეპარება ნადირს, ისე, მერე ცოტა ხნით გაირინდა და ბოლოს მთელი ძალით აძგერა ბალანდიორს თავისი შუბი. ბალანდიორმა გოჭივით დაიჭყვიტინა და იატაკზე ზღართანი მოადინა. ვიტალიმ სასწრაფოდ მოხსნა შტირი პოლისჯოხს და ნაგავში დამალა, მაგრამ ამას აზრი აღარ ჰქონდა, მენტმა ყველაფერი დაინახა. მან კარმუშკა სასწრაფოდ დახურა და ბალანდიორის ფეხზე წამოყენება სცადა. ბალანდიორი უკვე მკვდარი იყო. შტირი მას პირდაპირ გულში მოხვდა; ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარმუშკა და გამოჩნდა კორპუსის უფროსის სახე.

– სმირნოვ! – დაუძახა მან ვიტალის მკაცრად.

ვიტალი კარმუშკას მიუახლოვდა.

– მომეცი შვაიკა! – უთხრა კორპუსის უფროსმა მას და ხელი გაუშვირა – არ ისულელო!

ვიტალიმ რაღაც წაილუღლუღა. ალბათ, არ უნდოდა ეღი-

არებინა თავისი დანაშაული, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ უარს აზრი არ ჰქონდა. ასეთ დროს ტვინი ელვისებური სისწრაფით აზროვნებს. ვიტალი ნაგვის ყუთთან მივიდა, შტირი ამოიღო, შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო, და კარმუშკას მიუახლოვდა. კორპუსის უფროსმა, რომელიც აქამდე კარმუშკას ეყრდნობოდა, ოდნავ უკან დაიხია, ვიტალიმ ღია კარმუშკაში მოისროლა შტირი. ისევ გამოჩნდა კორპუსის უფროსის ყურადღებიანი სახე. მან წარბიც არ შეარხია. ერთხელ კიდევ გაუმეორა, არ ისულელოო და კარმუშკა დახურა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო კარი.

– გამოდი, – უთხრა კორპუსის უფროსმა ვიტალის და კარს მოსცილდა. დერეფანში უამრავი მენტი იყო შეკრებილი. ბევრ მათგანს რეზინის ჯოხი ეჭირა ხელში. ალბათ, ბუცკამანდა გამოიძახეს სამორიგეოდან.

ვიტალი გავიდა. მის ზურგს უკან კარი ჯახუნით ჩაიკეტა. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში გაისმა პირველი დარტყმები და ვიტალის გმინვა. მერე დარტყმები გახშირდა, როგორც ჩანს, ფეხქვეშ გაიგდეს. გახშირდა ყვირილიც, ასე ცემა-ცემით წაიყვანეს ვიტალი.

იმ დღეს სამუშაოზე არ გაგვიყვანეს. მოვიდნენ შმონშიკები და მოგვიწყვეს ჩხრეკა. მერე ოპერთან გვიძახებდნენ ყველას სათითაოდ. საღამომდე გაგრძელდა ეს გაწამაწია. ბოლოს, როგორც იქნა, დაღამდა და ნელ-ნელა სიჩუმემ დაისადგურა კამერაში. მე ტანსაცმელი გავიხადე და ლოგინში ჩავწექი. სინდისი მქენჯნიდა. – რატომ დავღუპე ეს ორი ადამიანი, შევეკითხე საკუთარ თავს. რატომ ვურჩიე ვიტალის პოლისჯოხზე შტირის მიბმა? – პასუხს არ დავლოდებივარ; გადავბრუნდი და დავიძინე. ხვალ დილით ადრე ადგომა იყო საჭირო.

ზლატაუსტის ციხეში დილაობით ზოგჯერ სცემენ საბნის ქვეშ მწოლიარე პატიმრებს.

ხუმრობის ძალა

სიკვდილმისჯილთა პატარა ორადგილიანი საკანი სამგზავრო ვაგონის კუპეს წააგავს: აქ ყველაფერი განსაკუთრებით მყარი და დაჯავშნილია. ჩვეულებრივი საკნისგან განსხვავებით, ნარები და მათ შორის მოთავსებული პატარა მაგიდა არ არის რკინის, არამედ აგურითაა ნაშენი, ფანჯრის გისოსებზე მიდუღებულია რკინის დიდი ფურცელი ხუთი მილიმეტრის სისქისა, ასეთივე ფურცელი, ოღონდ პატარა, ფარავს კედელში დატნეულ ჭრილს, რომელშიც ჩამონტაჟებულია მართალია პატარა, მაგრამ ძალიან ხმაურიანი რადიო, მას არა აქვს ხმის ასაწევ-დასაწევი, არამედ მხოლოდ ჩასართავ-გამოსართავი. ეს ჩასართავ-გამოსართავი გამოყოფილია საკანში და არის ძალიან მყარი, მისი მოტეხა ხელით შეუძლებელია. ამავე კედელში ჩამონტაჟებულია დაჯავშნილი შუშის პლაფონი, რომელშიც მოთავსებულია დიდი ზომის ელექტრონათურა. ნათურის გამოცვლა შეიძლება მხოლოდ დერეფნიდან. იგი ანათებს 24 საათს.

საკანში დგას გაზეთებში გახვეული თამბაქოსა და დამწვარი ნერწყვის ლორწოვანი სუნი.

საკანში იმყოფებიან ორნი – ჩექმა და სოკო. მათ ორივეს ზოლებიანი ტანსაცმელი აცვიათ. ისინი სიკვდილმისჯილები არიან და ელოდებიან საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას. ჩექმა ნარზე წევს და კითხულობს, სოკო აქეთ-იქით დადის, სცემს ბოლთას. სოკოს ძალიან არ მოსწონს, რომ ჩექმა კითხულობს, მას დალაპარაკება უნდა. ჩექმა კი ამ დროს წევს და კითხულობს, გადაშლილი წიგნი ხელებში ღონივრად უჭირავს და თითებით თითქოს ახრჩობს მას. სახეზე მასაც ოდნავ უთამაშებს კუნთები. დადის სოკო და მისი

ჩრდილი დროდადრო ჩრდილავს წიგნს, რომელსაც კითხულობს ჩექმა. ჩექმას ეს აღიზიანებს.

რადიოში ჟღერს აუტანელი მუსიკა – კაკაფონია.

– სოკო, გამორთე რადიო, – ნერვიული სიმშვიდით ეუბნება ჩექმა სოკოს, გაღიზიანებული აგრეთე იმით, რომ მან პირველმა ვერ გაუძლო რადიოს ხმას.

სოკო უხმოდ თიშავს რადიოს. დადის. დროებით მყარდება სიწყნარე. ამ სიჩუმეს მხოლოდ სოკოს მძიმე პატიმრული ფეხსაცმელების ყრუ ბრახუნი არღვევს. ეს ბრახუნი აღიზიანებს ჩექმას, ისევე, როგორც სოკოს ჩრდილი, რომელიც დროდადრო ჩრდილავს მის წიგნს, – წიგნს, რომელსაც ის თითებით ახრჩობს.

დუმილს ამჯერად სოკო არღვევს.

– იცი შენ თუ არა, რომ ასეთ მუსიკას თავისუფლებაზე ხალხი მთელი გულისყურით უსმენს?! – ეუბნება იგი ჩექმას თითქმის ყვირილით და თავისი ანაზდად აალებული თვალებით შიზოფრენიულად შეჰყურებს.

ჩექმა დუმს. წევს და ახრჩობს წიგნს.

სოკო ხედავს, რომ ჩექმა დუმს, ამიტომაც ცოტაოდენი პაუზის შემდეგ განაგრძობს მსჯელობას:

– მე, მაგალითად, ასეთი მუსიკა არ მიყვარს, უფრო სწორად, ვერ ვიტან, მაგრამ მე მესმის ისიც, რომ მე ვარ ველური!.. ბუნაგის კაცი!.. და ამიტომაც არ მესმის ასეთი მუსიკა, თავისუფლებაზე კი არის განათლებული ხალხი, რომლებსაც ესმით და უყვართ ასეთი მუსიკა! ისინი ჰალსტუხებში დადიან ოპერებში და უსმენენ ოპერებს, სიმფონიებს!!!

სოკო ამ სიტყვებს წარმოთქვამს ხმამაღლა, უკიდურესი გაღიზიანებით, თითქმის ტირილით, ხოლო სიტყვებს „ველური" და „ბუნაგის კაცი" – პირდაპირ კბილების ღრჭიალით, მკაფიოდ და დაბეჯითებით. თვალები ამ დროს კიდევ უფრო მეტად უელავს.

ჩექმა დაუდევრად აგდებს წიგნს სამგზავრო ვაგონის მაგიდისმაგვარ აგურით ნაშენ მაგიდაზე, ფეხებს კეცავს და ჯდება ლოტოსისა თუ ნეფრიტის იოგურ პოზაში, ხელებს მუხლებზე იწყობს, ხელისგულებით ზევით. საჩვენებელ და ცერა

თითებს აერთებს და საკუთარ ხელებს დაჰყურებს, მერე კი თითქოს სივრცეს ელაპარაკებაო, წარმოთქვამს.

– სოკო, შენ რა გინდა?.. რაღაც გინდა?

– რაა, მე რა მინდა?! მე რა მინდა და მე ის მინდა, რომ ამ მუსიკას ცოდნა უნდა, მე კი ვარ ველური და ბუნაგის კაცი!!! – ყვირის სოკო.

ჩექმა დუმს და ფიქრობს, რა უპასუხოს სოკოს. მერე, ცოტა-ოდენი დუმილის შემდეგ, იწყებს ლაპარაკს – ძალიან მშვიდად და ხმადაბლა, მაგრამ ეს შემპარავი, მაცდური სიმშვიდეა, სინამდვილეში ჩექმას ბრაზისგან სულ შიგნეული ეწვის.

– შენ ხომ ამბობ, რომ ხარ ველური ბუნაგის კაცი... ეს მუსიკა არ გესმის, ხომ ასეა?

– ასეა!!! – ყვირის სოკო.

– თუ ასეა, ჩვენ სწორად მოვიქეცით, რადიო რომ გამოვრთეთ?! – თითქმის ისეთივე შემპარავი სიმშვიდით, მაგრამ ამჯერად კიდევ უფრო გაღიზიანებით და ცოტა უფრო ხმამაღლა ეკითხება ჩექმა. მისი ხმა ამჯერად კნავილს წააგავს. სოკო წამით იბნევა და არ იცის რა უპასუხოს ჩექმას. მას საკუთარი დაბნეულობა აღიზიანებს და ამიტომ ისევ გაღიზიანებული ყვირის:

– სწორად მოვიქეცით, არასწორად მოვიქეცით! ჩვენ სულ არასწორად ვიქცევით, მაგრამ გვგონია, რომ სწორად ვიქცევით! ჩვენ ჩვენი თავები ყველას, პროფესორები გვგონია, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვართ ველური, ბუნაგის ხალხი. გვგონია, რომ ყველაფერი ვიცით, სინამდვილეში არაფერი არ ვიცით ცხოვრებაში!!!

– შენ, ჯობია, საკუთარ თავზე ილაპარაკო, პროფესორო! – დამცინავად ეუბნება ჩექმა, მერე კი გესლიანად დასძენს, – შენ თუ ხარ ველური და ბუნაგის კაცი, სხვებს თავი დაანებე, – თან თვალს თვალში უყრის.

წამით მყარდება დუმილი, ეს იმიტომ, რომ სოკო ფიქრობს, რა თქვას. მერე ყვირის:

– რა გინდა თქვა, რომ ასეთ მუსიკაში რაიმე გაგეგება?!

ჩექმა გამომცდელი თვალით უყურებს სოკოს, მერე განსაკუთრებული სინაზით აფურთხებს ქვის იატაკზე, ფეხებით

ეძებს ჩუსტებს, დაუდევრად იცვამს და რადიოსკენ მიდის... დაუდევრად ჩაცმული ერთი ჩუსტი ფეხებში ებლანდება. ჩექმა ჯერ ჩუსტის სწორად ჩაცმას, ფეხზე მორგებას ცდილობს, მაგრამ არაფერი გამოსდის, რადგან ამას სიარულის დროს აკეთებს. ჩერდება, ფეხიდან ჩუსტს იძრობს, იატაკზე ახეთქებს, ასე ცალფეხშველა მიდის დაჯავშნილ რადიოსთან და მთელი გულითა და სულით ღვარძლიანად რთავს მას.

– აჰა, დატკბი!!! – შხამიანი ალერსით ეუბნება ჩექმა სოკოს და გესლიანად ულიმის მას, თან გამაღიზიანებელ მოძრაობას აკეთებს. ეს მოძრაობა რაღაცით რევერანსს წააგავს – თითქოს სასიამოვნო მუსიკის მოსასმენად იწვევსო მსმენელს.

ჩექმა ისევ ნარზე წვება, ხელში ისევ წიგნი უჭირავს, ცდილობს წაკითხვას. მოტეხილი სოკო რკინააკრულ კართან მიდის, ხელებით კედლის იმ კუთხეებს ებღაუჭება, რომლებს შორისაც კარია მოქცეული, თითქოს სურს კედლები აქეთ-იქით გასწი-გამოსწიოსო. ერთხანს ასე დგას თავჩაქინდრული, მერე რადიოსთან მიდის და თიშავს მას. დადის.

ჩექმა ცდილობს წიგნის კითხვით მაინც დაიმშვიდოს თავი, მაგრამ გულს ვერ უდებს, წაკითხულიც არ უჩერდება თავში... გაღიზიანებულია.

– არ გაგივიდა ნომერი, ჯიგარო? – მაცდური, ყალბი, აშკარად ნერვიული ღიმილით ეკითხება ჩექმა სოკოს.

– რა ნომერი?! – კითხულობს ის გამოცოცხლებული და როდესაც დაუყოვნებლივ პასუხს ვერ ღებულობს, უკვე ყვირის – რა ნომერი?! რეებს ბოდავ?! რას მიჰქარავ?!

ჩექმა დუმს.

– რა ნომერი?! რა გინდოდა, ამით რომ გეთქვა?! რისი თქმა გინდოდა ამით?!

– დაისვენე, დაისვენე! – ეუბნება ჩექმა სოკოს ხელის ჩაქნევით.

– გაისეირნე, გამოისეირნე და დაისვენე.

ის განაგრძობს კითხვას.

სოკო აქეთ-იქით დადის აღშფოთებული, მერე ჩექმას შორიახლო ჩერდება და აშკარად საჩხუბრად მომზადებული ეკითხება:

– რა ნომერი არ გამოვიდა, აბა, ერთი, განმიმარტე?!

ჩექმა ფაქიზად დებს წიგნს მაგიდაზე, ლოტოსისა თუ ნეფრიტის იოგურ პოზაში ჯდება და სოკოს თვალს თვალში უყრის. ერთხანს ასე უყურებს, მერე თვალს არიდებს და თითქოს სივრცეს ელაპარაკებაო, ძალიან ნელა და შემპარავად წარმოთქვამს:

– შენ ენერგეტიკული ვამპირი ხარ, სოკო! – მერე კი ელვის უსწრაფესად, სხაპასხუპით (სოკომ დაყვირება რომ ვერ მოასწროს) განაგრძობს: – ოღონდ არ იყვირო! ოღონდ არ იღრიალო! – და ისევ ნელა, ხმადაბლა, შემპარავად განაგრძობს: – შენ დადიოდი აქეთ-იქით, მე ვკითხულობდი. შენ სიარულის დროს ფიქრობდი რაღაცას! რაღაცას ატრიალებდი თავში! შეიძლება თავისუფლებაზე გასვლა მოგინდა, შეიძლება სევდა შემოგაწვა! მე რა ვიცი! მე ვიცი მხოლოდ ის, რომ შენ სიარულის დროს გამოგიმუშავდა შხამი. ეს შხამი შენ გახრჩობს, მოსვენებას არ გაძლევს და, თავისთავად ცხადია, გიჩნდება მოთხოვნილება, რომ ეს შხამი ვინმეს გადმოანთხიო! – სოკო პირს აფჩენს რაღაცის სათქმელად – მოიცადე! მოიცადე! დამამთავრებინე ჩემი სათქმელი! – არ აძლევს ლაპარაკის საშუალებას ჩექმა, – მოიცადე! – თან ხელით ანიშნებს ხმა არ ამოიღოო, – შენ გინდოდა კამათი, ყვირილი, ჩხუბი. ამ ყვირილში და ჩხუბში გინდოდა გამოგეშვა შხამი, რომელიც შენ გწამლავს. მე თავისუფლებაზე საქვაბეში ვმუშაობდი და შემიძლია გიამბო, თუ როგორ არის მოწყობილი საქვაბე – როცა დიდი რაოდენობით ორთქლი გროვდება და წნევა მატულობს ქვაბში, ავტომატურად იხსნება კლაპანი, რომლიდანაც ორთქლი გამოდის, ასეთი კლაპანი რომ არა, ქვაბი ერთ მშვენიერ დღეს საპნის ბუშტივით გასკდებოდა! აი, ასეთი კლაპანი გინდოდა გაგეხსნა შენც და საკუთარი შხამი ჩემზე გადმოგენთხია, მაგრამ არ გაგივიდა ნომერი. შენ ალბათ, გეგონა, რომ მე შეგედავებოდი – გეტყოდი, რომ ეს სულელური მუსიკაა და ისინიც, ვინც დადიან სიმფონიებზე, სულელები არიან, შენ კი მიპასუხებდი ყვირილით, რომ ისინი კი არ არიან, არამედ ჩვენ ვართ ასეთები! აბა, გამოტყდი, ხომ ასე გინდოდა?! მერე დაიწყებდი ყვირილს, რომ ჩვენ ვართ ველურები და ბუნაგის

ხალხი! მე გეტყოდი, რომ ველური შენ ხარ და ბუნაგის კაციც შენ ხარ და, აი ამგვარად, ასეთი სახით ამ ყვირილში მომანთხევდი შენც შხამს, აი ამგვარად, ასეთი სახით! მაგრამ მე შენ ამჯერად არ შეგედავები, ჩემო ძვირფასო (ეს სიტყვა რომ წარმოთქვა, განსაკუთრებით გაიმანჭა ჩექმა), სოკო, მე შენ სავსებით გეთანხმები! თავისუფლებაზე რომ დადიან სიმფონიებზე, იმათ ესმით ეს მუსიკა და იმიტომაც უსმენენ, ჩვენ კი გამოვრთეთ იმიტომ, რომ არ გვესმოდა! ეს არ არის საჩვენო! შენ რომ ამბობ, ველური და ბუნაგის კაცი ვარო, არც მაგაში შეგედავები. ვინც გინდა, ის იყავი, ოღონდ მე თავი დამანებე! მე ვკითხულობ წიგნს! ნახვამდის! კარგად იყავი! შენ მე თავი მომაბეზრე! – ჩექმა ხელს უქნევს სოკოს. წვება, წიგნს ძალიან ნერვიულად შლის, თითქოს შუაზე გაგლეჯას უპირებსო, და კითხვას იწყებს, – და საერთოდ, ნეტავი როდის დაგხვრეტენ! – უმატებს ის.

– შენ შემდეგ! – ეპასუხება სოკო.

სოკო ერთხანს უხმოდ დადის, სიბრაზემ თითქმის გადაუარა და ახლა თითქოს კედლებს ელაპრაკებაო, საყვედურის კილოთი ბუზღუნებს: –კიდევ მე ვარ შხამიანი, თვითონ მთელი დღე წევს მახრჩობელა გველივით და ხმას არ იღებს, იცის, რომ მე დალაპარაკების გარეშე არ შემიძლია, – და ისევ ყვირის, – შენ შენს საკუთარ კლაპანს მიხედო, ჯობია! ჩუმ-ჩუმად რომ უშვებ შხამს... მე თუ ორთქლის ქვაბივით ვუშვებ ჩემს შხამს, შენ აპარებ შენს შხამს! ალბათ კლაპანი არ გიჭერს! ჩოპიკი გჭირდება!!! – და თავისი მოულოდნელი ხუმრობით გამხიარულებული ასევე მოულოდნელად იცინის.

– ჩოპიკი შენ თვითონ გჭირდება! – იცინის ჩექმაც, – შემიწუხე გული დილიდან! – ის წიგნში სანიშნედ გაზეთის ნახევს დებს, წიგნს სამგზავრო ვაგონის მაგიდისმაგვარ აგურით ნაშენ მაგიდაზე დებს, თავქვეშ დიდ, უხეშ ბალიშს სავარძლის საზურგესავით იმაღლებს, მუცელზე გადაფარებულ ზოლებიან ბუშლატს გვერდებში მზრუნველად იკეცავს, რომ არ შესცივდეს, გულხელს იკრებს და სოკოსთან სალაპარაკოდ ემზადება. ამ უკანასკნელმა ეს დაიმსახურა.

მილიონი ბედნიერება

1

განთავისუფლებამდე ცოტაღა მქონდა დარჩენილი და დროება უცებ შეიცვალა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოულოდნელად იხუვლეს ადამიანის უფლებების დამცველებმა, ჟურნალისტებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ეკლესიის მესვეურებმა. მათ როგორღაც ერთბაშად, ყველამ ერთად მოინდომეს ჩვენი შეცვლა და სწორ გზაზე დაყენება, უფლისკენ მობრუნება და ა. შ. რა თქმა უნდა, არც ჩვენ გვქონდა ამის რამე საწინააღმდეგო: მოდიოდნენ, მოჰქონდათ ათასი რამე, გვეკითხებოდნენ, რა გვიჭირს, რა გვილხინს, გვიმართავდნენ ღონისძიებებს... ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებისას ჩაატარეს ვიქტორინა პატიმრების გუნდსა და საზოგადო მოღვაწეთა გუნდს შორის. საზოგადო მოღვაწეთა გუნდში იყვნენ ცნობილი ადამიანები: მეცნიერები, პოლიტიკოსები, მსახიობები და სპორტსმენები... პატიმართა გუნდში ვიყავი მე. მოხდა ისე, რომ ამ ვიქტორინაში ერთობ რთულ შეკითხვებს გავეცი პასუხი. ვიქტორინის წესების თანახმად, ვინც ვერ უპასუხებდა, თამაშიდან გადიოდა. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, მე და საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი ტყემალაძეღა შემოვრჩით სათამაშო მაგიდას აქეთ-იქიდან, ურთულეს შეკითხვებს ვუპასუხეთ ორივემ, მაგრამ ყველასდა გასაკვირად მაინც მე ვიმარჯვე და ეს ყოვლადმცოდნე პროფესორიც დავამარცხე. ჰოდა, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებულ უამრავ პრიზთან და საჩუქართან ერთად სწორედ მაშინ გადმომცეს ლატარია „მილიონი ბედნიერების“ ერთი ბილეთი...

გავიდა რამდენიმე თვე. მე გავთავისუფლდი. მიღებული პრიზებიდან ამ დროისთვის შემომრჩა მხოლოდ ლატარეის ბილეთი „მილიონი ბედნიერება“, რომლის არსებობაც, სხვათა შორის, სავსებით აღარ მახსოვდა და რომელიც სადღაც, ბუშლატის რომელიღაც ჯიბეში მეგდო მიკუჭული.

ჯერ არ ვიცოდი, სად წავსულიყავი ან ვის მივდგომოდი. მე ხომ აღარაფერი მქონდა და აღარავინ მყავდა, თუმცა ადრეული ზაფხულის თბილი, მზიანი დილა იყო და მეც ქალაქის გარეუბანში მდებარე პატარა ტბისკენ გავემართე, იმ ადგილებისკენ, რომლებთანაც ბავშვობის მოგონებები მაკავშირებდა. ამ ტბაზე მგზავრები თუხთუხითა და ფუსფუსით კოპნია საგარეუბნო ავტობუსმა აგვიყვანა. ის გაჩერდა, კარი გაიღო და... მაშინვე დაირღვა იდილია. ავტობუსიდან 16-18 წლის ბიჭებმა იწყეს გადმოსვლა.

– ჰა, რა არი, აბა, ეხლა ესა! ჰა, რა არი, აბა, ეხლა ესა! – არადამაჯერებლად აყვირდა ორმოცდაათიოდე წლის შოფერი, როცა დაინახა, რომ ახალგაზრდები ფულის გადახდას არ ჩქარობდნენ.

– მადლობთ, ძია! – ძალიან დაამშვიდა ძია ერთ-ერთმა მათგანმა და უტიფრად გაიღრიჯა.

– აბა, ეხლა რა არის ესა! ჰა, რა არი, აბა, ესა! – ყვიროდა ისევ გაწბილებული შოფერი.

– წადი შენი! – თუმცა ხმადაბლა, მაგრამ მაინც შოფრის გასაგონად სცრიდნენ უტიფარი მოზარდები.

– ჰა, რა არი აბა ეხლა ესა! – იძახდა გაფუჭებული გრამოფონივით ერთსა და იმავეს შოფერი.

– მადლობთ, ძია! – იყო ჩუმი, მაგრამ ამომწურავი პასუხი.

მოზარდები ბევრნი იყვნენ, თვრამეტიოდე, ისინი საჩხუბრად იყვნენ ტბაზე ამოსულები. მათ ეგრეთ წოდებული სტრელკა ჰქონდათ მოზარდთა სხვა დაჯგუფებასთან და იგეგმებოდა დიდი შუხური, ანუ ჩხუბი.

ლამაზი და ლურჯი იყო ტბა. ლამაზი იყო მისი ნაპირები, ლამაზი იყო ლელქაში, რომელიც პლაჟის საპირისპირო, ველურ ნაპირზე იზრდებოდა. ტბის კამკამა ტალღებს სერავდნენ ნავები, იახტები და ჰიდროველოსიპედები. ისმოდა სიცილი, კისკისი

და მხიარული შეძახილები. მუხლამდე წყალში მდგომი მეთევ-ზეები ანკესებით იჭერდნენ თევზებს. ქვიშამიწიან პლაჟზე მზეს ეფიცხებოდნენ მოქალაქენი, თამაშობდნენ ბავშვები, ლამაზად ირუჯებოდნენ მოხდენილი გოგონები. მშვენიერი იყო ტბისპირა პარკიც, ნახევრად ხელოვნური და ნახევრად ბუნებ-რივი, იგი არ ჰგავდა ქალაქის სხვა, ცოტა არ იყოს, გაქუცულ და ცუდად მოვლილ პარკებს. აქ გაზონებიც კეთილსინდის-იერად შეეკრიჭათ და არც ფხვიერი წითელი აგური დანან-ებოდათ ბილიკებზე მოსაყრელად. პარკი ბუნებრივი ტყის გაგრძელებას წარმოადგენდა და ამიტომაც მასში შეიძლე-ბოდა მოულოდნელად გადაჰყროდით ზღარბებს, ციყვებს, ზოგჯერ კურდღლებს და, რა თქმა უნდა, ნაირნაირ ფრინველს. ალამაზებდა პარკს აგრეთვე პატარ-პატარა შადრევნები და ატრაქციონები. რა თქმა უნდა, იყო სპორტული ნაგებობანიც. ძალიან უხდებოდა პარკს სპორტსმენთა თაბაშირის ქათქათა ქანდაკებები, რომლებიც ერთმანეთისაგან თანაბრად დაშო-რებულნი საოცრად ერწყმოდნენ გარემოს და მაღალ კვარცხ-ლბეკებზე მდგომნი, თავადაც ჩვეულებრივ ადამიანზე ხუთ-ექვსჯერ მაინც დიდები, ბადებდნენ სიჯანსაღის და სულიერი განონასწორებულობის ატმოსფეროს. ეს სიცოცხლით სავსე ჩოგბურთელები, ფეხბურთელები და ძალოსნები ასვენებდნენ დამსვენებელთა თვალს და კარგ განწყობაზე აყენებდნენ მოქა-ლაქეებს. ისმოდა მუსიკის ხმები და ჩიტების გალობა. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენიერი იყო, მაგრამ...

საჩხუბრად ტბაზე ამოსულმა ახალგაზრდებმა ვერ აღმო-აჩინეს იქ ისინი, ვისთანაც მათ უნდა ეჩხუბათ, ხოლო მოგ-ვიანებით, ანუ გარკვეული ლოდინის შემდეგ, დამსვენებ-ლებს შეერივნენ. ახალგაზრდები გამომწვევად იქცეოდნენ, გრძნობდნენ რა თავიანთ ძალას. მათ, მაგალითად, დაუკითხა-ვად დაიკავეს კარუსელის თითქმის ყველა თავისუფალი ადგი-ლი და რამდენიმე წრე დაარტყეს ფულის გადაუხდელად. ასევე მიითვისეს საქანელები, ხოლო ატრაქციონის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გაუბედავ პროტესტზე მათი პასუხი იყო ჩვეული, მართალია, ხმადაბლა ნათქვამი, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან დამაჯერებელი „წადი, შენი“.

ცოტა ხანში მართლაც რომ აუტანელი გახდა ახალგაზრდათა საქციელი, როცა მათ აშკარად ისედაც ნაბახუსევებმა, იქვე განლაგებულ პატარ-პატარა სახინკლეებსა და სასოსისეებში ისადილეს და, რა თქმა უნდა, არყითა და ლუდითაც გამოთვრნენ. აი, ახლა კი სწორედ რომ აღარ ეპუებოდნენ ისინი არავის – აღარც მოხუცებს, აღარც ბავშვებს და აღარც იქვე მყოფ პოლიციელ კოჭლამაზაშვილს, რომელიც სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე სადმე გაძურწულიყო. საბრალო ამასაც ვერ ახერხებდა, რადგან ეს გამოიწვევდა ისედაც უკმაყოფილო დამსვენებლების კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას – მას უბრალოდ ვინმე უჩივლებდა და დააკარგვინებდა სამსახურს. ამ დროს პოლიციელი ძალიან ჰგავდა იმ კატას, რომელიც მუხთალმა ბედმა უზარმაზარ ვირთხებს შეახვედრა, ისეთ ვირთხებს, როგორებთან შერკინებაც კარგს არაფერს უქადდა თვით ყველაზე ძლიერ კატას. პოლიციელმა კოჭლამაზაშვილმა მოცდა ამჯობინა და გადაწყვიტა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩარეულიყო საქმეში, თუკი აღვირახსნილი ახალგაზრდები მართლაც რომ რაღაც საშინელს ჩაიდენდნენ. ახალგაზრდები კი თავის მხრივ ხედავდნენ რა თავიანთ დაუსჯელობას, სულ უფრო და უფრო თავხედდებოდნენ – ისინი ეძიძგილავებოდნენ და ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, თვალს აყოლებდნენ და ზოგჯერ მსუყე სიტყვასაც მათ წინ მიმავალ ახალგაზრდა ქალებს, რითაც უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდნენ მათ კავალრებს. საზღვარი არ ჰქონდა ყმაწვილთა თავხედობას. ასე მაგალითად: ერთ-ერთმა მათგანმა დიდი ქვა ესროლა პატარა ფინიას, რომელიც საშინლად აწკავწკავდა, ხოლო მეორემ დასცინა კოჭლს, ვიღაც ბიჭებს, წესიერ ყმაწვილებს მათ ჰკრეს ხელი, ხოლო რამდენიმე მათგანმა დაუკითხავად დაისაკუთრა გასაქირავებელი ნავი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თითქმის არავის მამაკაცთაგან არ გამოუთქვამს ხმამაღალი ან თუნდაც ხმადაბალი პროტესტი, მოქალაქენი თავს არიდებდნენ გართულებებს და პირს იბრუნებდნენ მათგან. იყო მხოლოდ ერთადერთი გმირობის ტოლფასი საპროტესტო ქმედება და ისიც ქალის მხრიდან, რომელიც საჭიროებს დაწვრილებით აღწერას, რამეთუ იგი

ნამდვილი მაგალითია მამაცობისა. გარდა ამისა, ეს ქალი მთავარი გმირია ამ ნანარმოებისა.

ერთ-ერთმა მოზარდმა, გოგილო მიქატაძემ, უადგილო ადგილას უჩქმიტა ბალახებში გაწოლილ ქალბატონს, ვალენტინა საროკინას. ქალბატონი საროკინა იყო ქმარს გაშორებული, უშვილო ქალი, 30 წლისა. ის სამხედრო კომისარიატში მსახურობდა და რომ იტყვიან, ფანატიკურად უყვარდა სპორტი. იგი ერთდროულად რამდენიმე სახეობაში იყო სპორტის ოსტატი, კანდიდატი ან პირველთანრიგოსანი. იწონიდა 90 კილოგრამს და იყო 195 სანტიმეტრის სიმაღლისა. ვალენტინა საროკინა ლამაზი ქალი იყო, ძალიან ლამაზი, თუმცა 44 ზომის ფეხსაცმელს ატარებდა, მაინც ლაზათიანი აღნაგობისა იყო, ანუ ის პროპორციულად სწორად იყო აღნაგული და ფლობდა თუმც უზომოდ დიდ, მაგრამ სამაგიეროდ ლამაზად აშოლტილ, ნავარჯიშებ სხეულს. ეს ქალბატონი არაფრად დაგიდევდათ გლეხუჭა ევროაზიელების ბარბაროსულ კანონებს. იგი სრულიად ბუნებრივად ირუჯებოდა ულტრამოდურ, ძალიან გამომწვევ საბანაო კოსტიუმში და დამცინავი მზერით გახედავდა ხოლმე, მართლაცდა დაჩაგრულ, მორცხვ ევროაზიელ გოგონებს, რომლებიც ხულიგანთა სიმრავლის გამო, ვერ ბედავდნენ ტბაზე არამცთუ მარტო ამოსვლას, არამედ ჯგუფურადაც, თუ არ იყვნენ ამ ჯგუფში მამაკაცები. თავმდაბალ, უთქმელ, მოკრძალებულ ამ არსებებს უწევდათ ბანაობა შორტებსა და ბლუზებში, რადგანაც ლიფებსა და ტრუსებში ხალხში გამოჩენისა რცხვენოდათ. ისინი ბანაობის შემდეგაც ასე ირუჯებოდნენ – შორტებსა და ბლუზებში. რას ვიზამთ, მაშინ დრო იყო ასეთი, ჩვენ მხოლოდ პირველ გაუბედავ ნაბიჯებს ვდგამდით თავისუფალ ევროპულ სივრცეში და სიამაყით უნდა ითქვას, რომ ჩვენთან კიდევ დამაკმაყოფილებელი იყო ამ მხრივ მდგომარეობა. აი, ჩვენს მეზობელ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი ქალები ჯერ კიდევ ჩადრებსა და ფარაჯებში ირუჯებოდნენ, ხოლო მამაკაცები ელეგანტურ სამეულებში, ანუ შარვლებში, პიჯაკებსა და ჟილეტებში.

მუცელზე მწოლი, ლამაზმზისსათვალიანი, ჩალის კოპწია ქუდით თავდაბურული ვალენტინა საროკინა არ მოელოდა

ამგვარ უპარდონო ჩქმეტას ვიღაც ევროაზიელი ლაწირაკისგან და თანაც ამდენი ხალხის თვალწინ. ის ზეზე წამოვარდა და ღონივრად ჰკრა ხელი გოგილო მიქატაძეს. კაფანდარა ყმაწვილკაცი, რა თქმა უნდა, წაიქცა, მაგრამ ვინაიდან თავი არაფერზე დაურტყამს, მალევე წამოხტა. ის ჯერ დაიბნა, დაიბნენ მისი იქვე მდგომი ამფსონებიც, მაგრამ მალე მოეგნენ გონს და საბრალო ქალი ალყაში მოაქციეს. უნდა ითქვას, რომ შეიქმნა ცოტა კომიკური სიტუაცია – უზარმაზარი (კაფანდარა მოზარდებთან შედარებით), გამომწვევ საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი ქალი, დაძაგრული, როგორც საბრძოლველად შემართული ამორძალი, იდგა ტანმორჩილ სატირებს შორის და ავაზასავით, ნახტომისათვის ემზადებოდა. მოზარდები კი მას მშიშარა და ფლიდი, მაგრამ ამავ დროს დაუნდობელი და ხარბი აფთრებივით ეპარებოდნენ. საროკინა ინსტინქტურად გრძნობდა, რომ მას, თავისი ფიზიკური თავისებურებების გამო, ერჩია ახლოს არ მოეშვა თავდამსხმელები და ეწარმოებინა მათთან დისტანციური ბრძოლა, რადგან მას რომ ისინი ახლოს მოეშვა, ეს ჯმუხი ჯუჯაკაცები ფეხებში შეუცვივდებოდნენ და წამოაქცევდნენ. მაშინ კი წასული იყო საქმე. მას უკვე ველარც პოლიციელი კოჭლამაზაშვილი უშველიდა და ველარც ვერავინ. ამიტომ საროკინამ არც აცია, არც აცხელა, ერთი გიგანტური ნახტომით მიეახლა კონფლიქტის გამჩაღებელს, გოგილო მიქატაძეს, წამოავლო მას კეფა-კისერში ხელი, ისე, როგორც კალათში ჩასაგდებ კალათბურთის ბურთს, ერთი დახედა და შემდეგ ეს კალათბურთის ბურთი, ანუ გოგილო მიქატაძის უტვინო თავი, მუხლზე კვახი-გოგრასავით გადაიფშვნა. ამის შემდეგ ვალენტინა საროკინა წამით საწყის პოზიციას დაუბრუნდა, ოღონდ არც ამჯერად აცადა მოწინააღმდეგეს გონს მოსვლა, მან მის გარშემო შეკრებილ წრეს ველური ყიჟინით ჩამოუქროლა და თითო-თითო ყველას გაუტყლაშუნა: ზოგს ხელი, ზოგს ფეხი, ზოგსაც იდაყვი. შუხურისტები ერთმანეთის მიყოლებით, თითქმის ყველანი დაეცნენ მიწაზე. საროკინამ თავის ნივთებს ხელი დასტაცა და სამმეტრიანი ნახტომებით ცენტრალური გასასვლელისაკენ გაკურცხლა. თუმც მისი ნივთები არ იყო ბევრი – შორტე-

ბი, ბლუზკა, კრასოვკები, წინდები, პირსახოცი, ხელჩანთა, სათვალე და ჩალის ქუდი. თუმც იგი არამც და არამც არ იყო ზანტი ქალი, არამედ ძალიანაც პირიქით, მან მაინც ვერ მოასწრო ცენტრალურ გასასვლელამდე მიღწევა, რადგანაც თავის მხრივ შუხურისტებმაც მოახერხეს სწრაფი რეაგირება. ისინი ჩვეულნი იყვნენ ელვისებურ ჩხუბებს და ამიტომაც იმათ, ვინც წინ იყვნენ წასულნი, ვალენტინას გზა გადაუღობეს. შემოუტიეს მას გვერდიდან და უკნიდანაც, უნდა ითქვას ისიც, რომ ამჯერად, მოიერიშეთა შორის იყვნენ ნამდვილი ვირებიც, რომლებთანაც ძალიან ძნელი იქნებოდა შეტაკება. ამიტომ ვალენტინამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ის ნაპირისაკენ გაიქცა და წყალში გადაეშვა. ზოგიერთმა შუხურისტმა სცადა ცურვით გამოსდგომოდა მას, მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, თუ როგორ მძლავრად მოუსვა ვალენტინამ ბატერფლაის სტილით მკლავები, მათ ცურვით მისი დევნის სურვილი მაშინვე გაუქარწყლდათ. მათ დაისაკუთრეს ცარიელი სასეირნო ნავი და საწყალ ქალს ნავით დაედევნენ. სიტუაცია გაართულა იმანაც, რომ მეორე, ადრე გატაცებული ნავი, როგორც მუხანათი მეკობრული ხომალდი, საპირისპირო მხრიდან მოემართებოდა, რათა ლტოლვილისათვის გზა გადაეჭრა. უპირველესი მიზანი ვალენტინასი იყო ის, რომ არამც და არამც არ დაეშვა ორი ნავის ერთდროული თავდასხმა მის პერსონაზე. ამიტომ იგი შეუპოვრად მიაპობდა ტბას ბატერფლაითი, რათა თავად დასხმოდა თავს შუხურისტთა მოწინავე ხომალდს. იგი სულ უფრო სცილდებოდა მდევრებს, ხოლო შემხვედრ ნავს, პირიქით, უახლოვდებოდა. მანძილი მათ შორის თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, რადგანაც ნავიც ილტვოდა მისკენ. ამ ნავის ეკიპაჟმა, როგორც ჩანს, ვერ განსაზღვრა ის, რომ ორი ნავის ერთდროული თავდასხმა გაცილებით უფრო ეფექტური აღმოჩნდებოდა. ან იქნებ ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთ უპირატესობაში, მათ ხომ არ ჰქონდათ ნანახი ის, თუ რა დღეში ჩააგდო მათი ზოგიერთი მეგობარი ამ გაბედულმა ქალმა და არც ის იცოდნენ, რომ მალე მოეხაზებოდათ ბაბოს ისა.

დაახლოებით ოცდაათი მეტრის დაშორებით ვალენტინამ

დაყვინთა და ის კარგა ხანს არ გამოჩენილა წყლის ზედაპირზე.

– რა არი, რა პონტია, ტო-ო?! – ყვიროდნენ ამასობაში იქიდან.

– ფრთხილად იყავით, წიხლის მაგარი ხმარება იცის, ტო-ო! – ყვიროდნენ აქედან.

– ვინ არი, ტო-ო?! – ყვიროდნენ ისევ იქიდან.

– ქალია რა, ტო-ო?! – ყვიროდნენ აქედან.

ამ გადაძახილის დროს, მოულოდნელად, პირველი ნავის სიახლოვეს, ტვირთჩაწყვეტილ ტივტივასავით ამოხტა წყლიდან ვალენტინა საროკინა ამხედრებული... მტკნარი წყლის დელფინზე. ერთი შეხედვით, მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, რომ აქ უკვე ავტორმა საკუთარ ფანტაზიას მიანდო ლოგიკის სადავეები, მაგრამ არა და არა, ეს მართლაც მტკნარი წყლის დელფინი იყო და მას ფიდელი ერქვა.

აი, როგორ მოხვდა ის აქ: ტბაზე ცხოვრობდნენ განსაკუთრებული ჯიშის გარეული იხვები, რომლებიც სამხრეთ ამერიკაში დაფრინავდნენ გამოსაზამთრებლად და მდინარე ამაზონის ჭალებში იზამთრებდნენ. ერთ-ერთ ასეთ იხვს ამაზონიიდან გამოჰყვა ფეხზე აკრული მტკნარი წყლის დელფინის ქვირითი, რომელიც იხვმა ჩვენს პატარა ტბაზე დაბრუნებისასლა შენიშნა. მან თავისი ბრტყელი ნისკარტით აიწიწკნა ეს ქვირითი და შეჭამა. ერთი მარცვალი კი წყალში ჩაუვარდა. იმ მარცვლიდან გამოიჩეკა პატარა ლიფსიტა, რომელიც შემდგომ გაიზარდა და დიდ დელფინად იქცა. ტბაზე მომუშავე პერსონალმა მას ფიდელი შეარქვა. მოშინაურებული ფიდელი მეგობრობდა მათთან და არა მარტო მათთან, იგი რამდენჯერმე ტელევიზიითაც აჩვენეს.

ვალენტინა საროკინა, როგორც უკვე ითქვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის აქტიური მომხრე იყო და ძალიან ხშირი სტუმარი ტბისა, სადაც ზამთარ-ზაფხულ ვარჯიშობდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში და იკაჟებდა სხეულს. ის და ფიდელი გულითადი მეგობრები იყვნენ. ისინი ერთად სერავდნენ ხოლმე ტალღებს. ახლა კი, ამ განსაცდელის ჟამს, ვალენტინამ ბგერითი სიგნალები გაუგზავნა მეგობარ დელფინს.

ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა. იგი ფეხებს შორის შეუსრიალდა თავის მეგობარს და ზედაპირზე ამოაგდო. დელფინზე ამხედრებული ქალბატონი ნიშნისმოგებით უვლიდა გარს შუხურისტთა ნავებს. და ახლა უკვე დარწმუნებული საკუთარ უპირატესობაში, ზიზღნარევი ღიმილიანი მზერით უცქერდა თავის მტრებს. საოცარ საზრიანობას ავლენდა დელფინიც – ის რვიანებს ხაზავდა ნავების გარშემო და ვალენტინას მითითებებს ელოდა, ხოლო როცა ნავები ერთმანეთს საგრძნობლად მიუახლოვდნენ, დელფინმა რვიანების ნაცვლად, წრეზე დაიწყო სვლა.

შეტევა ნავზე განხორციელდა მალე. დელფინი საშინელი სისწრაფით გამოქანდა, რის შემდეგაც მან და ვალენტინამ ერთდროული დარტყმით, ერთმა – წიხლით, ხოლო მეორემ – კუდით, ერთი ნავი გადააბრუნეს.

– ეეე, ჩემი დედა... – წამოსცდა საკუთარი დედის გინება ერთ-ერთ შუხურისტს, რომელიც მეორე ნავიდან ადევნებდა თვალყურს პირველის გადაბრუნებას. საქმე ის არის, რომ შუხურისტები ნარკოტიკული ნივთიერებებით ზოგჯერ ისე ბრუვდებიან, რომ იმის ნაცვლად, სხვის დედას შეაგინონ, საკუთარ დედას აგინებენ, თან უაზროდ იცინიან – თითიც რომ აჩვენო, მაინც იცინიან.

– ე-ე-ე-ე ჩემი დედა!!!... – ხელმეორედ, ახლა უკვე შეყვირებით წამოსცდა იმავე ვიგინდარას და სიცილ-ხარხარი აუტყდა, როცა მისი ნავი ჰაერში ორ მეტრზე მაღლა აფრინდა, გადატრიალდა და ბორტით ჩაერჭო წყალში. ეს ვალენტინამ და დელფინმა ქვევიდან ამოჰკრეს ნავს.

დელფინზე ამხედრებულმა ამორძალმა ტბაში რამდენიმე ტრიუმფალური რვიანი მოხაზა და ნაპირზე ამოვიდა.

გაბრუებული შუხურისტები კი გადაბრუნებულ ნავს ებღაუჭებოდნენ.

– ე, ეს რა იყო ტო-ო!!! – არკვევდნენ დაბნეული ხულიგნები იმას, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს.

გამარჯვებულმა ვალენტინამ ამასობაში მიუალერსა საყვარელ დელფინს, აკოცა მას სლიპინა თავზე, დელფინმაც რაღაც დაიწრიპინა, წყალში წაიცეკვა და ტალღებში მიიმალა.

ვალენტინა ნაპირზე გამოვიდა და თავის ნივთებს დაუწყო ძებნა.

– ძევუშკა, – შეეხმიანა მას დამსვენებელი და ამავ დროს ამ ნაწარმოების ავტორი, მწერალი ზურაბ ლეჟავა, – ძევუშკა, თქვენი ნივთები მე მაქვს, ისინი მე შევაგროვე, – უთხრა მან ვალენტინას და ნივთები გაუწოდა.

პირველ დაძახებაზე ქალი გაავებულ ავაზასავით შემოტრიალდა და კბილების ღრჭიალით ის საბრძოლო დგომა მიიღო, რომელსაც აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატები უწოდებენ „გააფთრებულ დრაკონს", მაგრამ როდესაც ზურაბ ლეჟავას მოღიმარი სახე დაინახა, „გააფთრებული დრაკონი" მოლბა. და მართლაც, აბა, რომელი ქალი დაუდგებოდა წინ ჩემს მამაკაცურ მომხიბვლელობას – მოკლედ შეჭრილი თმა, რვა ოქროს კბილი და უწყინარი ელამი თვალები... მემოსა მე მაშინ გრძელი, ლურჯი ფერის საოჯახო საცვალი და ორმოცდაათიან წლებში ნაყიდი ვიეტნამკები. თითქმის მთლიანად ტატუირებულ ჩემს სხეულს ამშვენებდა პირდაღებული, მძვინვარე ვეფხვი; მრავალგუმბათიანი რუსული ეკლესია; ასდოლარიანი; ტარიელი, რომელიც ახრჩობს ვეფხვს; სიქსტის მადონა (ფრაგმენტი); ჩატეხილი, ძალიან გაბრაზებული თავის ქალა, რომლიდანაც მოჩანდა პისტოლეტი, დანა, ცული და ისრები; სადარაჯო ვიშკაზე მდგომი, მკაცრსახიანი, თბილად ჩაცმული წითელარმიელი ავტომატ პეპეშათი ხელში; მავთულხლართები; ზოლიან უნიფორმაში გამოწყობილი სასოწარკვეთილი პატიმარი, მჯდომი უზარმაზარ წიგნზე, რომლის ყდაზე რუსული ასოებით ეწერა სიტყვა закон; ლენინი; სტალინი; ჩირაღდანი; რომაელი მეომარი მუზარადში; ბორკილები ხელებზე და ბეჭდები ხელის თითებზე, ზოგიერთზე ორ-ორი, სამ-სამი; ფეხის თითებზე ჩონჩხები. ჩემი იერით მოხიბლულმა ვალენტინა საროკინამ თავი თავაზიანად დამიკრა და მადლიერების გრძნობით აღსავსემ თავისი ნივთების გამოსართმევად ხელი გამომიწოდა, თან თავისი ცისფერი, ძალიან მეტყველი თვალები ზედ შემომანათა.

– ძევუშკა, – დავიწყე ბორძიკით მე და ჩემდა უნებურად ხელში მომარჯვებული ვალენტინას ნივთები უკან გავწიე, –

იცით, მე არ მინდა, რომ თქვენ ეს ნივთები მოგცეთ!

ვალენტინამ თავისი ლამაზი, მშვილდისებური წარბები რკალად აპრიხა და მაღალი ყელი კითხვის ნიშანივით მოიღერა. მას ცისფერი, ძალიან ლამაზი თვალები აუკამკამდა, ხოლო სახეზე მაცდური, ქალური ღიმილი აუკიაფდა.

– ძევუშკა, – დავიწყე ისვ მე ჩახველებითა და ბორძიკით, – უკეთ რომ ვთქვა, ნივთების დაბრუნება კი მინდა, მაგრამ ამავ დროს არც მინდა, რადგანაც თქვენ უბრალოდ წახვალთ, მე კი, უბრალოდ, ის რა ქვია, თქვენ უბრალოდ, ის რა ქვია, არ მინდა, რომ თქვენ, ის რა ქვია, თქვენ ასე წახვიდეთ...

ვალენტინამ არც გადაიკისკისა, არც გადაიხარხარა, მაგრამ არც გაიცინა, რადგან ეს სიცილზე მეტი იყო, კისკისზე კი ნაკლები. მან, ასე ვთქვათ, გადაისიცილა.

– სტალაბ̣ინ, თქვენი ჩემი გაცნობა გსურთ, – მზაკვრულად, ქალურად, ეშხიანად წარმოთქვა მან და ცისფერი, მეტყველი თვალები გაუცისკროვნდა.

– სტალაბინ! – მორცხვად დავუდასტურე მე.

– მერედა რისთვის?! მერედა რისთვის?! – იკითხა მან.

– იმისთვის, რომ ჩემი დახმარება მინდა შემოგთავაზოთ!

– კი მაგრამ, თქვენ ხომ ნახეთ, თუ როგორ გავუსწორდი მე მათ, – და ვალენტინამ ზიზღნარევი ქალური მედიდურობით გადახედა დაზარალებულ შუხურისტებს, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ამოსულიყო ნაპირზე.

– ვნახე, მაგრამ მე იმედს ვიტოვებ, მათ შტაბელებად დალაგებაში მაინც დაგეხმაროთ! – განვუცხადე მე ერთგულად.

– მაშ თქვენ, – თქვა ვალენტინამ და გაიღიმა თავისი ეშხიანი, მაცდურ-ქალურ-ქარაფშუტული ღიმილით, – თანახმა ხართ იყოთ ჩემი საჭურველთმტვირთველი?!

– დიახ, მადმუაზელ!

– და უსიტყვოდ შეასრულოთ ჩემი ყველა კაპრიზი, თხოვნა თუ მითითება?!

– დიახ!

ამ მართლაც რომ ამორძალმა გაოცებითა და აღტაცებით შემომხედა, შემდეგ გამომცდელი მზერა მომაპყრო და...

– ვალინწიინა! – სწორედ ასე, თითქოს გამომცდელად

თითქოს ნიშნის მოგებით გამოთქვა ვალენტინამ თავისი სახელი და ხელი გამომიწოდა.

– ზურიკო-ო! – შეგნებულად, სწორედ ასე მოვახსენე მე მას ჩემი მოფერებითი სახელი, რადგანაც, ჩემდა უნებურად, სურვილი გამიჩნდა, რომ მას სახელდობრ ასე მოემართა ჩემთვის, და ხელი ჩამოვართვი.

მისივე ყურის საამებლად სახელი ზურიკო გამოვთქვი, არა ისე, როგორც ის ჩვეულებრივ გამოითქმის, არამედ, როგორლაც, რუსული აქცენტით, ანუ ბოლო ხმოვანი ბგერის გაგრძელება-გამახვილებით – ზურიკო-ო!

– აბა, პაიძიომ ზურიკო-ო! – მითხრა მან მომხიბლავი ქალური დამცინაობით და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულნი წავედით.

ვალენტინამ გასახდელთან მიმიყვანა, რომელიც ორგანყოფილებიან პატარა შენობას წარმოადგენდა – ქალებისა და კაცებისათვის. გასახდელში ერთ რამეზე ვფიქრობდი მხოლოდ – რაც შეიძლება კარგად გამეწურა ჩემი უზარმაზარი, საოჯახო საცვალი, რათა შემდეგ ვალენტინასთან არ შევრცხვენილიყავი. ამ მართლაც რომ მოღალატე საცვალს კი თითქოს ჯინაზე არ სურდა სისველის ბოლომდე გამოწურვა.

– გაიწურე რა, შენი! – ვეუბნებოდი მე ჩემს საცვალს.

– მაიცა რა! მაიცა რა! – მპასუხობდა საცვალი.

– მიდი რა, გაიწურე, შენი! –ვეუბნებოდი მე მკაცრი ჩურჩულით.

– მაიცა რა! მაიცა რა!

აღარ ვიცოდი, რა მექნა. ბოლოს მაინც იძულებული გავხდი ისეთი ჩამეცვა, როგორიც იყო – ნახევრად სველი, რადგანაც ვალენტინა უკვე გარედან მეძახდა:

– ზურიკო-ო!

როგორც კი გასახდელიდან ჩქარი ნაბიჯით გამოვედი, მაშინვე მივეახლე ვალენტინას, ხელკავი გავუყარე და ჩქარი ნაბიჯით ცენტრალური გასასვლელისაკენ წავიყვანე. თანა ამავე დროს მე თვითონ ცოტად ზადნი დავუჭირე, რათა ვალენტინას, ღმერთმა ნუ ქნას, არ შეემჩნია ის სისველე, რომელიც ჩემს შარვალზე საცვლიდან გადმოვიდოდა. მაგრამ სწორედ აი, ამ ზადნის დაჭერაში, ანუ როცა მე მას ნახევა-

რი ნაბიჯით ჩამოვრჩი, შევამჩნიე, რომ ვალენტინასაც ვერ გაეწურა თავის გამომწვევი საბანაო კოსტიუმის ქვედა ნაწილი და მას, ისევე როგორც მე, სველი ჰქონდა საჯდომი. მე რასაკვირველია, დავმშვიდდი. ეს ჯადოსნური ქალი, მართლაც რომ ჩემთვის იყო შექმნილი – მხოლოდ ჩემთვის.

ჩვენ ავტობუსს არ დავლოდებივართ, ისე, სირბილით დავეშვით ქალაქში მიმავალ მთაფერდობიან ბილიკზე და ვკისრულობდით ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდმეტრიან ნახტომებს. თან დრონიადაგ ვჩერდებოდით და ბუჩქებში, ხეებსა და კლდეებში თავდავიწყებით ვკოცნიდით, ვკოცნიდით, ვკოცნიდით ერთმანეთს. თავქუდმოგლეჯილი სირბილის, სიმაღლეებიდან ხტომისას და კოცნაობისას, ვალენტინა პოულობდა დროს ახალი ულტიმატუმებისა და მოთხოვნების წამოსაყენებლად, რომლებზედაც ამ ნაწარმოების ავტორი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ თანხმდებოდა, რასაც ვალენტინას მხრიდან მოჰყვებოდა ხოლმე ხანგრძლივი კოცნა, ეგრეთ წოდებული ზასოსი და შემდეგ რამდენიმემეტრიანი თავბრუდამხვევი ნახტომი. ჩვენ თავდავიწყებით ვახტებოდით ხეებს, კლდეებსა და ბუჩქებს.

– მამაკაცი უნდა მუშაობდეს! – კატეგორიულად გამოთქვამდა თავის აზრს დასერიოზულებული ვალენტინა, – მე არ მიყვარს უქნარა მამაკაცები – ეგ მამალი ფუტკრები!

– რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! – ვპასუხობდი მე, – გათახსირებულები!

ამას მოსდევდა ვალენტინას უზომო კმაყოფილება და კოცნები, ნახტომები...

– ხელფასი უნდა მოჰქონდეს და აბარებდეს ცოლს! – უმატებდა წინარე გამოთქმულ აზრს ვალენტინა.

– უკანასკნელ თეთრამდე, – ვუდასტურებდი მე მაშინვე, – ქალმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენი მისცეს მას ჯიბის ფულად, იმიტომ, რომ ეს მამაკაცები... ეს მამაკაცები... ენი მუჟჩინი...

მე ახლა ცოტა დონჟუანი კაცი ვარ და კარგად მაქვს სხვადასხვა კატეგორიის ქალთა ფსიქოლოგია შესწავლილი. ვიცი, რომ ვალენტინას ტიპის ქალებს ძალიან მოსწონთ მამა-

კაცთა ასეთი დამყოლი დამჯერობა და ეს განმაიარაღებელი „ეწი მუუჩინი“...

– ჩვენ ვირბენთ ყოველ დილით 20 კილომეტრს აჩქარებებით! ვიბანავებთ ბუნებრივ წყალსატევებში! – ოცნებობდა ვალენტინა ქოშინით.

– რა თქმა უნდა, ვიბანავებთ! – ვუდასტურებდი მე, – თუნდაც ამისთვის ყინულის ჩამტვრევა მოგვიხდეს!

– საოჯახო საქმე თანაბრად უნდა ნაწილდებოდეს! – მსჯელობდა ვალენტინა.

– რასაკვირველია, და თანაც ყველაზე უფრო მძიმე საქმე მამაკაცმა უნდა ითავოს, – დაუყოვნებლივ ვეთანხმებოდი მე, – აბა, სად შეუძლია ქალს ხალიჩების ბერტყვა.

– რატომ, მე შემიძლია ხალიჩების ბერტყვა, – ამბობდა ცოტა არ იყოს შემცბარი ვალენტინა.

ეს სიმართლე იყო – ვალენტინას მართლაც შეეძლო ხალიჩების ბერტყვა.

აი, ასე კოცნა-კოცნით, ხტომა-სირბილით და მოლაპარაკებებით სამომავლო ერთობლივ ცხოვრებაზე ჩავაღწიეთ ქალაქამდე.

ქალაქში კი ვალენტინამ, როცა სული მოითქვა, ამხედდამხედა და ცოტა არ იყოს, ეჭვით მკითხა:

– ეს რა გაცვია?

თქვენს მონამორჩილს კი მაშინ ეცვა ლურჯი სპეცოვკა, ახლად მოსულ ეტაპნიკებს რომ ურიგებენ, ისეთი, და ორმოცდაათიან წლებში ნაყიდი ვიეტნამკები. მიუხედავად იმისა, რომ გაგანია ზაფხული იყო, მხარზე მას ჰქონდა გადაკიდებული მილუსტინის შავი ბუშლატი. ბუშლატზე და სპეცოვკის კურტკაზე შეინიშნებოდა ქლორით ამოთეთრებული გვარი და ინიციალები, ხოლო მათ ქვეშ რაზმისა და ბრიგადის ნომრები.

– ეს მეზღვაურის ფორმაა! – ვუპასუხე მე ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ორჭოფულად, – მე წყალქვეშა ნავზე ვმსახურობდი.

– ტატუიროვკებიც იმ ნავზე გაიკეთე, არა?! – ნიშნის მოგებით მკითხა ვალენტინამ, – მეზღვაურებს ხომ უყვართ ტატუ –

ღუზები, ქალთევზები, ბალტიკა-რამე... ნეტავი რამდენი წელი მსახურობდი იმ წყალქვეშა ნავზე?

შემცბარი, თავდახრილი ვიდექი და პასუხს ვერ ვპოულობდი, ალბათ ამიტომ ორმოცდაათიან წლებში ნაყიდი ვიეტნამკით რაღაც ფიგურები გამომყავდა ასფალტზე.

– ნეტავი რაზე იჯექი, – არ ცხრებოდა ვალენტინა, – ალბათ გაუპატიურებაზე, – და პასუხი რომ ვერ გაიგონა, გამოსცრა – მო-ძალადევ!

მე შევეცადე რაიმე მეთქვა თავის გასამართლებლად, რათა როგორმე გადამერჩინა წამხდარი სიტუაცია, მაგრამ ვალენტინა 180 გრადუსით შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გამცილდა.

– ვალია, ვალიუხა! – დავედევნე მე ყვირილით, – მომისმინე ძვირფასო, მე მოძალადე არა ვარ, პოლიტიკაზე ვიჯექი! პოლიტიკური ვარ, პოლიტიკური!

ბედად იქვე ერთი პატარა სკვერი იყო თავისუფალი სკამით და მეც იქითკენ ვუბიძგე მას. ვალენტინა ჩემკენ ზურგშექცევით დაჯდა, ხელები და თავი სკამეიკის საზურგეს დაადო და აქვითინდა, მე შეწუხებულმა ადგილი ვინაცვლე, მას წინ დავუჯექი. მინდოდა მისი ლამაზი სახე ჩემს ხელისგულებში მომექცია, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამომივიდა. ვალენტინა ისევ შეტრიალდა. ამაო იყო ხელის შევლების მცდელობა. რამდენჯერაც კი ეს ვცადე, იმდენჯერ მოიცილა მან ჩემი ხელი, თუმცა თანდათან ტირილი ქსუტუნში გადაეზარდა, ხოლო მე კი სულ უფრო და უფრო ახლოს ვუცუცქდებოდი და ვეკვროდი.

– ვალია, – ვუთხარი მე მას და ძალით მოვატრიალე ჩემკენ, – ის რაც იყო, აღარასოდეს განმეორდება!

– კი, მაგრამ რისთვის იჯექი? – მკითხა მან.

– ხომ გეუბნები, პოლიტიკური ვარ... – ვუპასუხე მე.

ვალია შეიცვალა.

– შენ რა, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ხარ?! – მკითხა მან მკაცრად და ერთი დაქნევით გაითავისუფლა ხელები.

მე ენაზე ვიკბინე. თავს ფსიქოლოგად ვთვლიდი, მაგრამ

ეს კი ვერ გავთვალე, რომ ვალია საბჭოთა ხელისუფლების ქომაგი გამოდგებოდა.

– არ! არა! არა! არა და არა! – ავყვირდი მე, – მე მინდოდა მეთქვა, რომ რელიგიური მოსაზრებების გამო ვიხდიდი სასჯელს, – ვალია ცოტათი მოლბა.

– ეს სხვა საქმეა! – თქვა მან, – მე, მართალია, ათეისტი ვარ, მაგრამ მაინც ეს სხვა საქმეა...

ახლა იყო სწორედ ის მომენტი, როცა საჭირო იყო სიმართლე, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.

– ვალიჩკა! – მივმართე მე ჩემს ვალენტინას მოფერებით, – მოდი, დავანებოთ თავი მოძალადეებსაც, პოლიტიკოსებსაც, რელიგიურებსაც და ვილაპარაკოთ კონკრეტულად ჩვენზე! რა დანაშაულისთვისაც არ უნდა ვმჯდარიყავი მე, ჩემო გოგონი, გაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ ეს აღარ განმეორდება. მე შენი დამჯერი ვიქნები ყოველთვის და ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ მეტყვი!

ვალენტინა გაკვირვებული შემომცქეროდა.

– და თუ შენ არ გეყვარები, იცოდე, რომ მე შენ მაინც მეყვარები!!! დიახ! დიახ! მაინც მეყვარები!!!

– მართლა?! – გაკვირვებითა და გულწრფელი აღტაცებით მკითხა ვალენტინამ.

– მართლა! – ვუპასუხე მე დამაჯერებლად.

– მაშ, შენ აღარასოდეს ჩაიდენ დანაშაულს?!

– არა!

– მაშ, შენ აღარასოდეს აღარ დაადგები ბოროტმოქმედთა მოლიპულ ბილიკს?!

– არა!

– მაართლაა?!

– მაართლა!

ვალენტინა შეიცვალა. მას ლოყები აუვარდისფრდა, ცისფერი, ძალიან მეტყველი თვალები გაუცისკროვნდა, თავისი ლამაზი, კვერცხისებური თავი გააქნ-გამოაქნია, თვალები დახუჭა და, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მეძგერა. ნეტარებისაგან თვალმიბნედილმა დამიკოცნა ლოყები, ყურები, თვალები, შუბლი და როცა მისმა მგზნებარე ტუჩებმა ჩემი

ტუჩები იპოვეს, ძალიან მაგარი ზასოსიც გააჩალიჩა.

მახსოვს, რომ ვხედავდი წინვებს ჩემს თავზე, ასფალტს კი ვერა ჩემ ქვეშ, რადგანაც ვალენტინას მარწუხებში ვიყავი მოქცეული. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ვიღაცამ მკაცრად მომიკაკუნა ბეჭზე.

– მოქალაქე, – მომესმა მე უკნიდან მჭახე და უკმეხი ხმა.

თავი მოვატრიალე და ჩემს ზურგს უკან ატუზული ზორბა პოლიციელის მკაცრი სახე დავინახე.

– რას აკეთებთ?! გაგონილა შუა ქუჩაში ასეთი რამეები?! – მტუქსავდა პოლიციელი, – აქ ხალხი დადის! ბავშვები გიყურებენ!

ეს თქვა და გაგვეცალა, თან რაღაც ჩაილაპარაკა, თუ არ ვცდები, ოსურად, რაც ალბათ ითარგმნებოდა, როგორც „სახლი არა გაქვთ, კარი არა გაქვთ“ ან რაღაც ამდაგვარი. იქვე შეგროვილიყო ხალხიც, ისინი გვიყურებდნენ და დანახულზე მსჯელობდნენ. მე შემრცხვა პოლიციელისაც და ჩვენი ევროაზიელი ხალხისაც, რადგანაც გონს რომ მოვედი, შორტებში გამონყობილი ჩემი ვალია კალთაში მეჯდა, ოღონდ არა ისე, როგორც ჩვეულებრივ უჯდებიან კალთაში, არამედ სახით ჩემკენ, ხოლო აქეთ-იქით გაშლილი ძალიან გრძელი ფეხები სკამეიკის საზურგის იქით გადაეწყო და ახვანცალებდა, ჩვენ ვკოცნაობდით. მე იგი შევანჯღრიე, ვანიშნე, რაც ხდებოდა და მანაც შეცბუნებულმა, ფეხები უკან გადმოიღო, სკამეიკაზე დაჯდა და თმები შეისწორა.

– სახლი გაქვს?! – მკითხა მე მან, გონს მოსულმა.

– არა!

– სამსახური გაქვს?!

– არა!

– საბუთები გაქვს?!

– განთავისუფლების ცნობა!

– კარგი, – თქვა მან, – მე წაგიყვან ჩემთან და ყველაფერს მოგიხერხებ. ახლა კი ეგ ბუშლატი გადააგდე და წამოდი – ვიყიდოთ შენთვის შმოტკები და შემდეგ წავიდეთ ჩემთან, რათა ცოტათი მაინც ჩამოგრეცხო ეგ ციხის ბოღმა.

– ხო, მაგრამ მე არ გამომყოლია ციხიდან ბოღმა!

– ლაპარაკი! – იყო მოკლე პასუხი.

რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დავემორჩილე. იქვე, შორიახლო, ნაგვის ბუნკერში ჩემი ბუშლატი გადავაგდე და ვალიას, უკვე საკმაოდ დაწინაურებულს, უკან ავედევნე, დავეწიე, ხელი ჩავკიდე ხელში და მადლიერების გრძნობით ჩავხედე თვალებში. მე მართლაც რომ მისი საუკუნო მოვალე ვიყავი. მან ხომ, რომ იტყვიან, კატის კნუტივით ამიყვანა და თან წამიყვანა.

აი, სწორედ ამ დროს გამახსენდა ჩემი ერთადერთი საგანძური და ქონება – ჩემი ლატარიის ბილეთი, რომელიც ისევე როგორც ყველა განთავისუფლებულს, მეც მარგუნეს. ამ ლატარიის ბილეთებით მოგებული მე ჯერ არაფერი მენახა, მაგრამ ხომ იცით, მუქთა ყველაფერი კარგია და მეც შევინახე იგი, „მილიონი ბედნიერება" – ასე ერქვა ლატარიას.

– ვალია, მოიცა! – ვუთხარი ვალენტინას, – ბუშლატის ჯიბეში დამრჩა ლატარიის ბილეთი „მილიონი ბედნიერება". დამიცადე, ახლავე მოვიტან.

ვალენტინა ძალიან პრაქტიკული ქალი იყო და არ დაუშლია ჩემთვის სანაგვეში გადაგდებული ბუშლატის უკან ამოღება და მის ჯიბეებში ლატარიის ბილეთის ძებნა. და, აი, ჩემი „მილიონი ბედნიერება" ცოტა ხანში ხელში მეჭირა. ტირაჟი უკვე გათამაშებულიყო რამდენიმე დღის წინ და ჩვენც უახლოეს შემნახველ სალაროს ვეწვიეთ ბილეთის შესამოწმებლად. გრაფაში „მილიონი ბედნიერება" ვიპოვეთ შესაბამისი ცხრილი და... თქვენ, რასაკვირველია, არ დაიჯერებთ, მაგრამ იმ დღეს ჩვენ მოვიგეთ „მილიონი ბედნიერების" გრან-პრი: ერთი მილიონი ამერიკული დოლარი, სამსართულიანი შვეიცარიული კოტეჯი და ავტომობილი „მერსედეს-ბენცის" უკანასკნელი პრესტიჟული მოდელი.

ჩვენ ვმღეროდით და ვცეკვავდით შემნახველ სალაროში, ხოლო ერთმა მოლარემ გრძნობაც კი დაკარგა და მას თანამშრომელი ქალები ნიშადურით ასულიერებდნენ.

– რატ უნდა მაგას ნიშადური, – სასიამოვნო რუსული აქცენტით წარმოთქვა ვალენტინამ, მე შემომხედა და ცუღლუტად გაიღიმა, მერე თვალი ამარიდა და დაამატა: – მაგას უნდა შუშუდური.

ვალენტინას ქალური რჩევა შემნახველი სალაროს თანამშრომლებმა ქალურად ყურად იღეს, შიგნითა ოთახიდან დიდი შუშუდური გამოიტანეს და თავიანთ გულწასულ თანამშრომელს გაუკეთეს. ამგვარი თერაპიის შემდეგ მოლარე უცებ წამოხტა და ფულების თვლა დაიწყო. დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო, ის მაგიდას უჯდა და ფულებს ითვლიდა და იმზირებოდა. მე და ვალენტინა კი თავდავიწყებით ვცეკვავდით. მერე, როცა გული ცეკვით კარგად ვიჯერეთ, მე ჩემი „მილიონი ბედნიერება" ვალენტინას გადავეცი, მან იგი თავის „სუმოჩკაში" შეინახა და ჩვენ ხელიხელჩაკიდებულებმა ერთად გავწიეთ ცხოვრებისეული ბოღმის ჩამოსარეცხად.

2

დამარცხებული მხარე კი ამასობაში გონს მოდიოდა. ტბაზე საჩხუბრად ამოსული თავგასული ლაწირაკები, ნაცემები და გალუმპულები, იგინებოდნენ, იწურავდნენ სველ ტანსაცმელს და დასცინოდნენ ერთმანეთს. ისინი მაინც და მაინც გაბრაზებულნი არ ჩანდნენ, ალბათ იმიტომ, რომ მათი მოწინააღმდეგე, რაც უნდა იყოს, ქალი იყო და თუ მათ, ამ ვირების რემას, მაინც მოხვდათ მისგან, ეს იმას ნიშნავდა, რომ არავითარი მოჩხუბრები ისინი არ იყვნენ, არამედ იყვნენ ნამდვილი დედლები. აი, დაახლოებით ასეთი ლაპარაკი მიდიოდა მათ შორის:

– როგორ ჩაგაზილა წიხლი ტო-ო?! – დასცინოდა ერთი მეორეს.

– და შენა, შენა ცუდად მოგხვდა მუშტი ცხვირში?! – პარირებდა მეორე.

– ე, ეგ რა არი, აი, ქუჩუკას ვერტუშკა გაუჩალიჩა! ქუჩუკ, თავი მთელი გაქ?!

– არა, ტო, რა მთელი, – პასუხობდა ქუჩუკა, – ვიინ იყო ესა ტო-ო?!

– რავი, ქალი იყო ვიღაც, ტო-ო!

– და რაზე ვეხიპიშეთ ტო-ო?!

– რავი, მგონი გოგილომ უჩქმიტა თუ რაღაცა, ტო-ო!

– მერე ამისთანა რა უჩქმიტა ტო-ო?!

– რავი, მაგის დედაც!

– კნაჭო მოწვი, კნაჭო ტო-ო!

კნაჭო რის ვაი-ვაგლახით მოცურავდა ნაპირისაკენ და ყოველ ორ მეტრში ისვენებდა. ასევე რის ვაივაგლახით მოცურავდნენ სხვებიც, ზოგიერთები კი გადაბრუნებულ ნავს ებღაუჭებოდნენ, რადგანაც საერთოდ არ იცოდნენ ცურვა. ისმოდა გინება, დაცინვა და სიცილი.

ერთადერთი მართლაცდა სერიოზულად დაზარალებული, ჩხუბის მთავარი წამომწყები გოგილო მიქატაძე იყო. მისი ზღმარტლივით დაბეჟილი სიფათი ყველა მის მეგობარს სიცილს ჰგვრიდა, მაგრამ თუკი ისინი ერთმანეთს სახეში შესცინოდნენ და აზვიადებდნენ ერთმანეთის ასეთ თუ ისეთ, მეტ-ნაკლებ დაზარალებულობას, გოგილოს დანახვიას ისინი ირინდებოდ-ნენ, მერე ტრიალდებოდნენ და ჩუმად ხითხითებდნენ

– აუ, გოგილოს სიფათი მოწვი, ტო-ო! – ეჩურჩულებოდა ერთი მეორეს.

– აუ, რა უქნა ჩემი, ტო-ო! – პასუხობდა მეორე აღტაცე-ბული ჩურჩულითა და ხითხითით.

– რა იყო, ქვით ნაყავდა თუ რით ნაყავდა, ტო-ო?!

– არა ტო, რა ქვით, პროსტო კისერში ჩაავლო ხელი და სიფათი მუხლზე ჩამოატყნეჟინა!

– აუ, ჩემი!

ასე ქირქილებდნენ გოგილოს მეგობრები და თვალს არი-დებდნენ მეგობარს. და მართლაც, ყმაწვილკაცი სასაცილო იყო: ცხვირი დუდუკივით დასიებოდა, ყური ლიპიოშკასავით გასიებოდა, ხოლო ტუჩები აქლემივით ჩამოსიებოდა, ცალი თვალი შეშუპებულობისა გამო თითქმის მთლიანად დახუჭვო-და, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ბატონკაცი თვალს გიკრავსო, ლაპარაკობდა ჯეელი ძალიან სასაცილოდ, რადგანაც მან დარტყმისას ყველაფერთან ერთად ენაზეც იკბინა.

– ვაააჰ, ენი ეა ოან! – იგინებოდა მიქატაძე.

– რა იყო, გოგილ, – შეეკითხა მას ერთ-ერთი მეგობარი ხითხითის შეკავებით, – ხო კარგათა ხარ, – მერე შეტრიალდა და გაიცინა.

– ვააჰ, მაგიჰ ეაჰ ევეცი! – შეიგინა ისევ გოგილომ.

– აჰა სველი ცხვირსახოცი, გოგილ! – შესთავაზა მას მეგობარმა სველი ცხვირსახოცი და დანარჩენებს თვალი აარიდა, რათა არ გასცინებოდა.

– ოჰეცი, – უპასუხა გოგილომ და მიწოდებული ცხვირსახოცი თვალზე მიიდო, – ვააჰ, მაგიჰ ეაჰ ევეცი!

ცოტა ხანში ისინი ყველანი ნაპირზე შეგროვდნენ, შედარებით დაწყნარდნენ, დამშვიდდნენ და სველი ტანსაცმელიც გაწურეს. ვერ წყნარდებოდა მხოლოდ გოგილო მიქატაძე. ის თანდათან იმორჩილებდა ნაკბენ ენას და სულ უფრო დახვეწილად იგინებოდა, ხოლო მისი მეგობრები უსველებდნენ მას ცხვირსახოცს, ანუგეშებდნენ და ხითხითებდნენ, როცა მათი მზერა უნებურად ერთმანეთისას ხვდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვირების რემა ნელ-ნელა წამოიყარა და ლანძღვა-გინებითა და სიცილ-ხარხარით დაიძრა. გეზი აიღეს მათ არა ცენტრალური გასასვლელისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებით, იქითკენ, საიდანაც პარკი ნელ-ნელა ტყეში გადადიოდა. მარშის დროს ვიგინდარები წიხლებს ურტყამდნენ დამსვენებელთა ნივთებს, მათ პატრონებსაც (რა თქმა უნდა, ყველას არა, – ზოგიერთებს) და საერთოდ, ცდილობდნენ რაიმე გაეფუჭებინათ, როგორც ეს სჩვევიათ ცუდ მოჩხუბრებს, როცა მაგალითად, რესტორანში ჩხუბის დროს მოწინააღმდეგეს ვერ იხელთებენ, ისინი ატრიალებენ მაგიდებს და ამსხვრევენ ჭურჭელს, მოწინააღმდეგე ურტყამს მათ, ისინი კი ჭურჭელს ამსხვრევენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათი ვითომდა მებრძოლი, მაგრამ სინამდვილეში ნერვიული, უნებისყოფო და უსუსური სულები, შესაფერის დონდლო სხეულებშია მოქცეული.

მორდამიუეჟილი გოგილო მიქატაძე დუუმორეული აფთარივით აქეთ-იქით აცეცებდა თავის დასამიწებელ თვალებს და არ იცოდა ვისთვის მოედო შარი. აი, სწორედ ამ დასამიწებელი თვალების ავად ცეცების დროს მან დაინახა ის, რისი დანახვაც არ შეიძლებოდა მაშინ მისთვის. ოჰ, ნეტავ მას მართლაც თვალები მაშინ დასდგომოდა და არ დაენახა ეს...

პლაჟის გასწვრივ ხეივანში იდგნენ ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული, სპორტსმენთა თაბაშირის ქათქათა

ქანდაკებები, რომლებიც საოცრად ერწყმოდნენ გარემოს და მაღალ კვარცხლბეკებზე მდგომნი, თავადაც ჩვეულებრივ ადამიანებზე ხუთ-ექვსჯერ მაინც დიდები ბადებდნენ სიჯანსაღისა და სულიერი განონასწორებულობის ატმოსფეროს. მათ შორის იყო ერთი ქანდაკება, წყალში მხტომელი ქალი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ვალენტინა საროკინას. ერთადერთი განსხვავება მათ შორის იყო ის, რომ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ გაკეთებულ ქანდაკებას, ვალენტინასაგან განსხვავებით, თავისი დროის შესაფერისი ფასონის საბანაო კოსტიუმი ეცვა. სხვა მხრივ კი ყველაფერი ემთხვეოდა: ძლიერი, ნავარჯიშები სხეული, სახის ნაკვთები და თვით იერიც, რაღაცნაირი ჯანმრთელი, პატიოსანი და ალბათ ამავ დროს მომთხოვნი და მკაცრიც, ოღონდ უაღრესად სამართლიანი, ალალგულა და ცოტათი მიამიტი. დიახ, შეიძლება ითქვას, ეს ვალენტინა იყო, ოღონდ თაბაშირში.

სიფათმიჟეჟილი გოგილო მიქატაძე მოულოდნელად ადგილზე გაშეშდა. მან ხელების მოძრაობით თავისი მეგობრებიც გააჩერა, საღი თვალი ავისმომასწავებლად მოჭუტა და ქანდაკებისკენ ხელი გაიწვდინა.

– ე-ე-ე, ჰენი ეა ოან! – შეაგინა მან ქანდაკებას დედა.

მისი მეგობრები გაჩერდნენ.

– რა არის ტო-ო! – იკითხეს მათ.

– ეჰ იმაჰა ჰგავჰ ო-ო! – გამოაცხადა გოგილომ თავისი აზრი ქანდაკებისა და ვალენტინას მსგავსების შესახებ.

– ე-ე-ე, ჩემი დედა... რა მაგრა გავს! კოპიო ეგ არის მაგის დედა.. აი ასეთ საზიზღრობებს იძახდნენ ისინი მთელი ხალხის გასაგონად და მრისხანედ უახლოვდებოდნენ ქანდაკებას. ქანდაკება კი იდგა მაღალ კვარცხლბეკზე და წყალში გადასახტომად ემზადებოდა. სწორედ ასეთ პოზაში დაეფიქსირებინა იგი ავტორს – წაკუზული, თავაწეული და ასაფრენად მომზადებული არწივივით ხელებგაშლილი.

გოგილო მიქატაძემ პირველმა ესროლა წყალში მხტომელი ქალის ქანდაკებას ლუდის ბოთლი. და ამის შემდეგ დანარჩენებმაც დააყარეს მას ლუდის ბოთლები. შემდეგ კი იყო ის, რისი მოყოლაც მწერლისთვის ძალზედ ძნელია, მაგრამ

მაინც საჭიროებს აღწერას, რამეთუ ეს მართლაც იყო და უნდა ითქვას, რომ ჩვენდა სავალალოდ, ზოგჯერ ამაზე უარესსაც გადავეყრებით ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

ლანირაკი გოგილო მიქატაძე, თავისი აღვირახსნილი მეგობრების წაქეზებით, ქანდაკების კვარცხლბეკზე აძვრა, წაკუზულ ქანდაკებას ზედ შეაცოცდა და ყველას დასანახად მის გაუპატიურებას შეუდგა. მისი ამფოსნები კი ამ დროს ველური ღრიალითა და ხარხარით ამხნევებდნენ მეგობარს, აძლევდნენ მას რჩევებს და ტკბებოდნენ ამ მართლაც რომ გაუგონარი უზნეობის ცქერით. ამასვე უცქერდნენ დამსვენებლებიც – ზრდასრული, სიმსუქნეშეპარული მამაკაცები, მათი ცოლები და შვილები.

დიახ, ეს სწორედ ასე იყო.

აი, ამ დროს მოხდა ალბათ ჯერ არნახული ქვეყნად სასწაული: უკიდურესად დამცირებული, სამარცხვინოდ მიწასთან გასწორებული წყალში მხტომელი ქალის ქანდაკება აღშფოთებისაგან გაცოცხლდა. მან ტანი შეიბერტყა, წელში გაიმართა და მოძალადეს მაჯაში ჩაავლო ხელი. ამის შემდეგ ქანდაკება კვარცხლბეკიდან გადმოვიდა, გულგახეთქილი მოძალადე ძაღლის ლეკვივით იღლიაში ამოიჩარა და ქვიშაში უაზროდ ჩაჯდა. ის სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. მისი გლუვი თვალები უაზროდ გაჰყურებდნენ სივრცეს. შემდგომ ამისა, ქანდაკებამ თავისსავე კვარცხლბეკს თავი მიადო და სასოწარკვეთილმა გამყინავად დაიყმუვლა. მერე წამოდგა, წყალში შეტოპა და ნელ-ნელა ტბას ჩაუღრმავდა. ქანდაკება თავის დასახრჩობად უღრმავდებოდა ტბას და ნამუსისამხდელ პატარა, ბოროტ არსებასაც თან მიითრევდა. არსება კი უზნეო ქალივით წიოდა ამ დროს. სადღაც გამქრალიყო ესოდენ შეუპოვარი დაუნდობლობა და ავი ვაჟკაცობა მისი.

ამის შემყურე შეძრწუნებულმა ხალხმა უკან დაიხია: დედები ბავშვებს გადაეფოფრნენ, ხოლო მამები – ცოლ-შვილს, მაგრამ იმდენად დიდი იყო ცნობისმოყვარეობა მათი და ისეთი საინტერესო სეირი, რომ ადამიანებმა არ უშველეს თავს გაქცევით, მათ მხოლოდ დაიხიეს უკან და უნდა ითქვას, ამით ბევრი წააგეს.

დასახრჩობად განწირული გოგილო მიქატაძე, როგორც უკვე ითქვა, საშინლად წიოდა. ქანდაკებას კი, ვისი ქალური ღირსებაც ემსხვერპლა აღვირახსნილი ლაწირაკის წადილს, ახლა თვით სურდა ეს ლაწირაკი საკუთარ მსხვერპლად ეხილა. ის მას წყალში აყოფინებდა თავს და სწორედ მაშინ აძლევდა ჩასუნთქვის საშუალებას, როცა ეს უკანასკნელი უკვე თითქმის კარგავდა გონს. არც ერთმა ამხანაგმა არ უშველა გოლილო მიქატაძეს, მხოლოდ პოლიციელი კოჭლამაზაშვილი მოქმედებდა მამაცურად. ის, როგორც ვიცით, დიდხანს იკავებდა თავს: ხულიგანთა ცუდად მოქცევის დროს, როდესაც ისინი არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, და მაშინაც, როცა სჩადიოდნენ სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც გამოიხატებოდა ვალენტინა საროკინაზე თავდასხმისა და მასთან ჩხუბის დროს, მაგრამ როდესაც თუმც არაფრისმაქნისი, მაგრამ მაინც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, კოჭლამაზაშვილმა დიდ, ხმარებისაგან გაყვითლებულ ტაბელურ სასტვენს ჩაჰბერა და კაბურიდან პისტოლეტი იძრო. პისტოლეტი იყო 1934 წლის ნიმუშის უშველებელი ტეტე, რომელიც თავის ვაზნებით კილო შვიდასს იწონიდა და ერთი მჭიდის გასროლისასაც კი ისე ხურდებოდა, რომ ხელში ვერ დაიჭერდა კაცი. ამ პისტოლეტს ისეთი ძლიერი უკუდარტმა ჰქონდა, რომ ხელს მსროლელს მარჯვნივ აგდებინებდა, ამიტომ სროლისას საჭირო იყო დამიზნება 45 გრადუსით მარცხნივ. კოჭლამაზაშვილმაც არ დააყოვნა: მან თავისი ტეტე ავტომატიკაზე გადართო და თაბაშირის ქანდაკებას ზედიზედ რვა ტყვია ჩაახალა. ტყვიანაკრავი ქანდაკება დაეცა და წყალში ჩაიძირა, ხოლო გოგილო მიქატაძე ხელიდან გაუვარდა. მოძალადემ დრო იხელთა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა ნაპირისაკენ მკლავური.

კოჭლამაზიშვილმა გამარჯვებულის იერით ლულაში ჩახედა პისტოლეტს და შიგ სული ჩაუბერა, შემდეგ კი კოვბოურად გაიცინა:

ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა!!!

ამის შემდეგ კოჭლამაზაშვილმა ფურაჟკა და ჰალსტუხი გაისწორა, მოქალაქეებს გადახედა, „აქაოდა აბა რა გეგო-

ნათო" და წყალთან მივიდა, რათა ტაფასავით გახურებული პისტოლეტი ტბაში გაეცივებინა. ის ჩაცუცქდა ნაპირთან, პისტოლეტის ლულა წყალში ჩაყო და მის გაცივებას შეუდგა. პისტოლეტმა შიშხინით დაიწყო გაცივება.

ამბობენ, რომ ამ პისტოლეტის კონსტრუქტორი სტალინმა ღალატისთვის საკუთარ კაბინეტში თავისი ხელით დახვრიტა, ხოლო პისტოლეტი ტეტე სამხედრო შეიარაღებიდან მოიხსნა, რადგან მან, სკანდალურად ცნობილ, ეგრეთ წოდებულ, ბელოფინურ ომში სრულებით არ გაამართლა. საბჭოთა ოფიცრები რის ვაი-ვაგლახით ხმარობდნენ ტეტეს და ისიც მხოლოდ ზამთარში, როცა იარაღს თოვლში ჩადებით აცივებდნენ. ტეტე გადაიქცა საპოლიციო იარაღად და ისიც არა იმ შენაერთებისა, რომელთაც ევალებოდათ ტერორიზმთან და ბანდიტიზმთან ბრძოლა, არამედ ისეთი უწყინარი უწყებებისა, რომელთაც ევალებოდათ, მაგალითად, ბაზრობების, დასსავენებელი პარკების, და კიდევ რაღაც ამდაგვარის დაცვა. წყალთან ჩაცუცქებული კოჭლამაზაშვილი აციებდა თავის უზარმაზარ კილო-შვიდასიან ტეტეს და მხსნელი კაცის ალალმართალი ღიმილით შეჰყურებდა მის მიერვე ხსნილ ყმაწვილს. პოლიციელმა ხელიც კი გაუწოდა მიქატაძეს, რათა იგი ნაპირზე ამოეყვანა, მაგრამ მოულოდნელად ხსნილმა ყმაწვილმა უკანვე დაყვინთა. ეს თაბაშირის ქანდაკებამ ჩაავლო მას ფეხებში ხელი და თავისკენ დაითრია. გოგილო ჭყლოპინით გაუჩინარდა წყალქვეშ, წყლიდან კი თაბაშირის წყალშიმხტომელი ქალი წამოიმართა და პოლიციელ კოჭლამაზაშვილს გამოუდგა. მას ფეხებით ეჭირა მიქატაძე და კოჭლამაზაშვილს მათრახივით უქნევდა. დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო: ქანდაკება ცდილობდა პოლიციელისათვის თავში ჩაერტყა... ცოცხალი ადამიანი. პოლიციელი კი, თავის მხრივ, კვერნასავით აქეთ-იქით დახტოდა და იცდენდა დარტყმებს.

– არ დამახეთქო ას-ფაალტს!!! – ყვიროდა მიქატაძე მოქნევისას.

მაგრამ, ვინაიდან კოჭლამაზაშვილი ნახტომით იცილებდა დარტყმას, მიქატაძე ნიადაგს ენარცხებოდა და ისევ და ისევ ყვიროდა, – არ დამახეთქოთ ას-ფაააალტს!!! – ქანდაკება კი

ამასობაში გამოსცემდა დაუნდობელ საყვირისებურ ხმებს – ვა-აუ!!!

გარბოდა პოლიციელი და ცდილობდა პისტოლეტში როგორმე ჩაედო სათადარიგო მჭიდი. არასათანადოდ გაციებული იარაღი კი ამის საშუალებას არ იძლეოდა. კოჭლამაზაშვილს თითები ეწვოდა და სულ იმის შიშში იყო, რომ ქანდაკების მიერ მოქნეული გოგილო მიქატაძის სხეული თავში არ მოხვედროდა, თან მაშინალურად უბერავდა პირში გაკვეტებულ გაყვითლებულ სატაბელო სასტვენს, რომელიც უნდა ითქვას, საერთოდ აღარ ახსოვდა მას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სასაცილო კი არა, სატირალი იყო, თუმცაღა, გამოგიტყდებით, ღიმილის მომგვრელიც. საბოლოოდ, როგორც იქნა, კოჭლამაზაშვილმა პისტოლეტში მჭიდი ჩადო და ქანდაკებას დაუმიზნა. ამჯერად ქანდაკებამ დაიხია უკან და შეუდგა აცდენითი მოძრაობების კეთებას. ამგვარ მოძრაობებს სამხედროები ქანქარულს უწოდებენ და ისინი მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიგონა წითელი არმიის უმცროსმა ლეიტენანტმა კრივოშეევმა, რომელმაც მის მიერვე გამოგონილი ცრუ მოძრაობებით გადალახა ტყვიების სეტყვის ქვეშ მყოფი სტრატეგიული მინდორი და საიდუმლო პაკეტი მიუტანა მარშალ ჟუკოვს, რისთვისაც უმაღლესი ჯილდო – ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიიღო. იმასაც ამბობენ, რომ თითქოსდა კრივოშეევი ომის დამთავრებიდან ორი ათეული წლის შემდეგ თურმე როგორღაც, სიმთვრალეში გამოუტყდა მეგობრებს, რომ მაშინ იგი იმ სავალალო მინდორზე გაიყვანა სამშობლოს არაყალბმა სიყვარულმა, ხოლო რაც შეეხება მის მიერ გამოგონილ ქანქარულ სიარულს, ამის მიზეზი მისი თქმით, მშიერ კუჭზე გადაყლურწული 200 გრამი ჯარისკაცული სპირტი იყო. მართალია ეს თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის, რომ მსოფლიოს ბევრ სამხედრო სასწავლებელში დღესაც ასწავლიან კრივოშეევის ქანქარულ სვლას, ეს ფაქტია.

აი, ასე ქანქარულად იხევდა უკან წყალში მხტომელი თაბაშირის ქალი, ხოლო პოლიციელი კოჭლამაზაშვილი პისტოლეტის სროლითა და სასტვენის სტვენით მისდევდა თაბაშირის

ქანდაკებას, რომელსაც ქანდაკება გოგილო მიქატაძით იგერიებდა, როგორც ბუზების სახოცით ბუზს.

ამასობაში სპორტსმენთა სხვა ქანდაკებებიც ჩამოვიდნენ კვარცხლბეკებიდან და ადამიანებს დაერივნენ. ნავიდა მაგარი ჩხუბი და ცემა-ტყეპა. განსაკუთრებით ბევრი მოხვდათ გოგილოს მეგობრებს, მოხვდათ დამსვენებელ კაცებსაც, ხოლო ქალებს და ბავშვებს ქანდაკებები, მგონი, არ სცემდნენ. უნდა ითქვას, რომ ადამიანებიც თავს იცავდნენ როგორც შეეძლოთ და, როგორც წესი, არცთუ უშედეგოდ. უთქმელი და პატიოსანი პოლიციელი კოჭლამაზაშვილი განსაცდელის ჟამს მართლაც რომ საზრიანად მოქმედებდა. ის თავის გახურებულ კილო-შვიდასიან ტეტეს ცხელი კარტოფილივით ხელიდან ხელში ათამაშებდა და, ამავ დროს, რაციით, რომელიც მხრით მიებჯინა ყურზე, ცდილობდა დაკავშირებოდა ქალაქს, რათა დამხმარე ძალები გამოეძახა. პოლიციელის გონება ელვისებური სისწრაფით ხარშავდა სიტუაციას და როცა ის რაიონის პოლიციის მისაღებს დაუკავშირდა, შველა ითხოვა, შეგნებულად არ უთხრა მორიგეს, რომ ქანდაკებები გაცოცხლდნენ. კოჭლამაზაშვილმა ასე ახსნა მომხდარი:

– მორიგე კაკალაშვილი ვარ, კაკალაშვილი!

– კაკალაშვილო, კოჭლამაზაშვილი ვარ, კოჭლამაზაშვილი, ატეხე განგაში, განგაში! – ყვიროდა კოჭლამაზაშვილი ყურსა და მხარს შორის მოქცეულ რაციაში, ცხელი პისტოლეტით ჯამბაზივით ჟონგლირებდა და, ეს დარბაისელი კაცი, კვერნასავით დახტოდა აქეთ-იქით.

საზრიანი ადამიანები, გარკვეულწილად, არ უდებდნენ ტოლს ქანდაკებებს. ისინი თუმც თავიდან დაბნეულები, ახლა ებრძოდნენ მათ და თუ ქანდაკებები აღემატებოდნენ ძალითა და ზომით, სამაგიეროდ ადამიანები სჯობნიდნენ მოქნილობითა და სიმარდით. და აი, ადამიანებმაც პირველი დარტყმები აგემეს მეამბოხე ქანდაკებებს: პირველი დაზარალებული ჩოგბურთელი ქალი იყო, რომელსაც ადამიანებმა მშენებარე ობიექტიდან ბლოკი ესროლეს და თავი გაუტეხეს, ხოლო მეორე დაზარალებული თაბაშირის მოკრივე აღმოჩნდა. იგი ადამიანებმა კვარცხლბეკიდან ჩამოსვლისთანავე დააზიანეს სწრაფ-

მავალი იაპონური ბულდოზერის მეშვეობით. ამის შემდეგ ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

ქალაქიდან ოციოდე წუთში ამოვიდა პოლიციელთა მაშველი რაზმი. მათი ოთხი მიკროავტობუსი საშინელი წივილით მიაწყდა ტბას, ამ მიკროავტობუსებიდან ათობით პოლიციელი გადმოხტა და მათ ავტომატებიდან სროლა აუტეხეს ქანდაკებებს. უნდა ითქვას, რომ ავტომატებიდან გასროლილი ტყვიები მეტად მტკივნეულად ხვდებოდა ქანდაკებებს, მაგრამ მაინც ეს არ იყო მათთვის მომაკვდინებელი, არამედ იყო პირიქით, გამაგულისებელი. ერთადერთი მრისხანე ძალა ადამიანთა მხრიდან მათ წინააღმდეგ დაპირისპირებული, იყო სწრაფმავალი, ადვილად სამართი, კარგად მანევრირებადი, ზორბა იაპონური ბულდოზერი. ამ ბულდოზერს გამოცდილი ბულდოზერისტი და გაბედული ადამიანი, ალიკო ჩოხელი მართავდა და ქანდაკებებსაც მისი მეშვეობით როგორღაც უმკლავდებოდა.

დიდი გარდატეხა ამ შეტაკებაში გამოიწვია ბრინჯაოს ნეპტუნის ჩართვამ: როგორც უკვე ითქვა, პოლიციელი კოჭლამაზაშვილი თავისი გახურებული ტეტედან ტყვიებს ესროდა ქანდაკებებს და აი, სწორედ იმ დროს, როცა მან ერთ-ერთ გაცოცხლებულ ქანდაკებას თავისი ტეტე დაუმიზნა, მას უნებურად ხელი დაეწვა, პისტოლეტი გაიქნია და სწორედ ამ დროს გაუვარდა იარაღი. ბრმად ნასროლი ტყვია კი მოხვდა ბრინჯაოს ნეპტუნს, რომელიც, სხვათა შორის, ჩხუბში არ ერეოდა და შადრევნის ცენტრში სუფევდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქანდაკება არ იყო მხოლოდ მოსართავი სამკაული დასასვენებელი პარკისა. იგი ისევე, როგორც მთლიანად შადრევანი, სალოცავი იყო ნეპტუნიანელთა. ჩვენს ქვეყანაში ახლად დარეგისტრირებული ეს რელიგიური ორგანიზაცია თაყვანს სცემდა ნეპტუნს. მათი მთავარი შტაბბინა სხვაგან იყო, შორს, უცხოეთში, ხოლო ჩვენთან, ჩვენი ქვეყნის მრავალ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ კუთხეში, თავიანთი ოფისები ჰქონდათ გახსნილი. ერთ-ერთი ასეთი ოფისი იყო ქიზიყში და სწორედ ქიზიყელ ნეპტუნიანელთა ძალისხმევით იყო აგებული მათი ეს სალოცავი. მას ქიზიყის წმინდა ნეფტუნი ერქვა. ამ სალოცავთან იკრიბებოდნენ

მლოცველები ხუთშაბათობით და თევზეულს სწირავდნენ თავიანთ ზღვათამპყრობელ ღვთაებას.

ქიზიყის წმინდა ნეფტუნი წამოდგა თავისი ბრინჯაოს სავარძლიდან, შადრევნის ჯებირი გადმოლახა და მოჩხუბრებს შეერია. ის მარტო არ იყო, ნეფტუნს თან ახლდა ამალაც – რამდენიმე მშვილდ-ისრებით შეიარაღებული ამური და ორი ბრინჯაოს რვაფეხა.

ნამდვილი ნეფტუნი, როგორც ცნობილია, თანამედროვე პირობებში არავის უნახავს, ამიტომ სხვადასხვა ავტორთა ნამუშევრებში სხვადასხვანაირადაა იგი წარმოდგენილი. ამ ქანდაკების ავტორს ზღვის ეს ღვთაება წარმოედგინა ჯმუხი მამაკაცის სახით, რომელსაც ჰქონდა მოკლე ქერცლიანი ფეხები, გრძელი, ლოკოკინებიანი თმა-წვერი და მსხვილი, ლოქოს კუდი, რომელიც ბოლოვდებოდა სამკაპით, რომლის თითოეულ კაპზე ჩამოცმული იყო ისრის ბუნიკი. იღლიებიდან წმინდა ნეფტუნს ამოსდიოდა სილიოტკის სუნი. ნეფტუნმა სახელოები დაიკაპიწა, მუშტებზე დაიფურთხა და რომელიღაც პოლიციელს რეხვა, მეორე მუშტი მეორე პოლიციელს რეხვა, ხოლო მესამე პოლიციელს კბილებში აჯახა თავური. ამის შემდეგ ერთ-ერთ ვირგლა შუხურისტს, ლითონის მილით შეიარაღებულს, თავისი ლოქოსებრი კუდი გამოჰკრა ფეხებში, ზედ შემოახვია, დაიქნია და დედამიწას დაანარცხა.

– არ დამახეთქო ას-ფაალტს!!! – მოასწრო დაძახება შუხურისტმა.

აი, ასე მიიკვლევდა გზას ქიზიყის წმინდა ნეფტუნი და შუხურისტებს, პოლიციელებსა და უბრალო დამსვენებლებს უმოწყალოდ უბრახუნებდა. თან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღვთაება მეტად ყიამყრალი იყო. იგი ნატიფი გინებით ამკობდა ყველას და მათ დედებს, დებს, კარგებს, კეთილებს, ცოცხალს და მკვდარს დიდ სიყვარულს ჰპირდებოდა, სიყვარულით მოიხსენიებდა აგრეთვე მათ გენიტალიებს და სხვა ორგანოებს, ხშირად იმეორებდა სიტყვებს: ლაჯები, ყოლაყისა, გრაფიელი და სხვა.

თუკი ჩხუბს შეჩვეული, რკინის მილებითა და ჯაჭვებით შეიარაღებული შუხურისტები და ავტომატიანი პოლიციელები

აქამდე როგორღაც უმკლავდებოდნენ თაბაშირის ტლანქ, მაგრამ მაინც მტვრევად ქანდაკებებს, ახლა ვეღარაფერს გამხდარიყვნენ ბრინჯაოს ნეფტუნთან და ისინი გარბოდნენ. ნეფტუნის მხლებელი ტიტლიკანა ამურები კი სასიყვარულო ისრებს ესროდნენ გაქცეულებს, რის შედეგადაც, მათ ყველას სამუდამოდ ვიღაც აუცილებლად უყვარდებოდათ.

მეორე მხრიდან ანუ იქიდან, სადაც ქანდაკებებს რაოდენობრივად ადამიანები ჭარბობდნენ, მოემართებოდა ზორბა იაპონური ბულდოზერი, რომელთან შებმასაც ვერ ბედავდა ვერც ერთი თაბაშირის ქანდაკება. ბოლოს და ბოლოს, ბულდოზერი და ქიზიყის წმინდა ნეფტუნი ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ადამიანები და ქანდაკებები ორ ბანაკად გაიყვნენ და როგორც ეს ძველ დროში ხდებოდა, ასპარეზი თავიანთ ფალავნებს დაუთმეს. ერთნი ბულდოზერს ამხნევებდნენ საბრძოლო ყიჟინით, ხოლო მეორენი ბრინჯაოს ნეფტუნს ქიზიყისას. ბულდოზერი ადგილზე ტრიალებდა როგორც ტახი, ხოლო ნეფტუნი გარს უვლიდა მას როგორც დათვი და გვერდიდან ლამობდა თავდასხმას. ისინი რამდენჯერმე შეეჭიდნენ ერთმანეთს და განერიდნენ, მაგრამ მძლეველი მათ შორის არ ჩანდა ჯერაც. ქანდაკებათა გაცოცხლება ალბათ იმდენად დიდი სასწაული იყო, რომ ადამიანებს ვეღარც ვერაფრით გააკვირვებდი, მაგრამ აბა რა დალევდა სასწაულზე მეტ სასწაულს, სასწაულებით აღსავსე იმდროინდელ ჩვენს ქვეყანაში – ფერწერული პატარა ტბა უეცრად აზვირთდა, ქაფისა და ორთქლის უზარმაზარ სოკოდ აღიმართა და ამ აზვირთებულ წყალში ზღვათამპყრობელი პოსეიდონი წარუდგა იქ მყოფთ, ოღონდ არა ბრინჯაოსი, არამედ ნამდვილი...

ყველა იქ მყოფი, როგორც ნეფტუნისტები, ისე სხვა რელიგიების მიმდევარნი და ათეისტებიც, მუხლებზე დაეცნენ და ლოცვა აღავლინეს, პოსეიდონი კი, რომელიც ზევიდან გადმოჰყურებდა თავის ბრინჯაოს გამოსახულებას, ყურადღებასაც არ აქცევდა სხვებს, გაჯავრებული ეჩხუბებოდა ქიზიყის წმინდა ნეფტუნს:

– რა გაჩხუბებს ნეტავი, – ტუქსავდა ის თავის ქანდაკებას, – ჭკუა გაქვს ახლა შეენ?! მაგისთვის დადგეს მაანდ?!

– რა ვქნა, კაცოო, – იმართლებდა თავს ქიზიყის წმინდა ნეფტუნი, – პისტოლეტი მესროლეს ამ შობელძაღლებმა!

– აბა, რომელმა გესროლა პისტოლეტი? – შეიცვალა ტონი ზღვათამპყრობელმა.

– აემანა! – მიუთითა ნეფტუნმა კოჭლამაზაშვილზე.

– რატო ესროლე, ბიჭო, ჩემს გამოსახულებას ტყვია?! – მკაცრად ჰკითხა პოსეიდონმა კოჭლამაზაშვილს.

– არ მინდოდა, ბატონო, – უპასუხა კოჭლამაზაშვილმა, – გამივარდა!

– გაგივარდაა?!

– გამივარდა!

– და რა იარაღი გაქვს! – ჰკითხა პოსეიდონმა კოჭლამაზაშვილს.

– ტეტეა, 1934 წლის ნიმუში!

– ჰოო, – თქვა ჩაფიქრებით პოსეიდონმა, – მაგან იცის გავარდნა! შემდგომ ამისა ზღვათამპყრობელმა თავის ბრინჯაოს გამოსახულებას უბრძანა მისთვის მიჩნეული ადგილი დაეკავებინა ბრინჯაოს სავარძელზე, შადრევნის ცენტრში, ხოლო იქმყოფნი გააფრთხილა, „ჩემი გამოსახულება არ შეაწუხოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალიო" და სანამ ეს გამოსახულება თავისი ფეხით არ მივიდა და არ დაჯდა ბრინჯაოს სავარძელზე, არ წავიდა. ქიზიყის წმინდა ნეფტუნი აშკარად ფეხს ითრევდა და არ სურდა ჩხუბში ჩაურევლობა. მას ძალიან უნდოდა შებმოდა ბულდოზერს. პოსეიდონი თავისი ცეცხლისმფრქვეველი ეტლით ცის კაბადონს მიეფარა, ხოლო ტბასთან მიმდებარე პარკში განახლდა ბატალიები. ბრინჯაოს ნეფტუნი ამჯერად შადრევნის შუაგულიდან უცქერდა სანახაობას, იგინებოდა, იფურთხებოდა.

ამასობაში ქალაქშიც, თავის მხრივ, ელვისებური სისწრაფით ვითარდებოდა მოვლენები: ქანდაკებები აქაც გაცოცხლებულიყვნენ და უნდა ითქვას, რომ მართლაც ცოდობრალს ატრიალებდნენ. ქალაქს მაშინ უამრავი ქანდაკება ამშვენებდა. ისინი ძირითადად ძველ, თბილ-კეთილ დროში იყვნენ შექმნილნი. ეს ქანდაკებები უფრო ძვირფასი მასალისგან იყვნენ ნაგებნი, ვიდრე თაბაშირია. ზომითაც ზოგიერთი

მათგანი ნამდვილი ბუმბერაზი იყო. ცხენებზე ამხედრებული ეს მეფეები, მხედართმთავრები და სახალხო გმირები ქუჩებში დაძრწოდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას, ხოლო ფეხოსანი მწერლები, მხატვრები და საზოგადო მოღვაწეები დადიოდნენ ფეხით და ისინიც არბევდნენ. ქანდაკებებთან ომი, რა თქმა უნდა, იყო შესაძლებელი, მაგრამ აქ მთავარ როლს თვით მოულოდნელობა თამაშობდა. ადამიანები არ მოელოდნენ ქანდაკებათა გაცოცხლებას, მათი ტანკები, ზარბაზნები და ვერტმფრენები კი ჯერ არ იყვნენ მიჩვეულნი ქანდაკებებთან ომს, მით უმეტეს, მილიონიანი ქალაქის ქუჩებში. ძალიან საშიშნი იყვნენ მანეკენებიც, რომლებიც ქანდაკებებივით ცოცხლდებოდნენ. ისინი ბევრით არაფრით გამოირჩეოდნენ ადამიანებისგან და პატარ-პატარა ჯგუფებად ბრბოში შერეულნი ზოგჯერ აწყობდნენ საშინელ რბევას.

ქალაქის მთავრობა და სახელმწიფოს მეთაურები, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში ხდება, ბუნკერებში იმალებოდნენ და იქიდან იძლეოდნენ მრისხანე, მაგრამ უსუსურ ბრძანებებსა და მითითებებს. ისინი ბრალს სდებდნენ ერთმანეთს ღალატის ტოლფას უსუსურობაში, უმოქმედობაში, არასწორ სტრატეგიაში და რა ვიცი, კიდევ რაში. პოლიტიკა ყოველ მათგანს, რა თქმა უნდა, თავისი ჰქონდა, მაგრამ ერთ რამეში მაინც ერთნაირები იყვნენ ისინი: არც ერთი მათგანი და არც მათი შვილები არ ღებულობდნენ მონაწილეობას ბრძოლებში. პოეტები, კომპოზიტორები, მხატვრები და ქორეოგრაფები ქმნიდნენ უკვდავ ნაწარმოებებს, სადაც გმობდნენ ქანდაკებათა ძალმომრეობას, ხოტბას ასხამდნენ მათთან მეომარ გმირებს, მაგრამ თვითონ , როგორც წესი, არც ისინი იბრძოდნენ, რადგან თავიანთ თავს უნახავდნენ ხალხს. მათი აზრით, სხვა უნდა მომკვდარიყო მათთვის, ხოლო მათ ქვაში უნდა გამოეკვეთათ ისინი, გამოესახათ ცეკვაში და უკვდავეყოთ ლექსებში. უბრალო ხალხის უმრავლესობაც თავს არიდებდა ომს, რადგანაც არავის სურდა სიკვდილი.

მე და ვალენტინა მაშინვე ჩავეწერეთ მოხალისეებად. ვალენტინას ძალიან სტკიოდა გული იმაზე, რომ ის უშუალო მონაწილე იყო ტბაზე განვითარებული მოვლენებისა და

უშიშროების კომიტეტში მოინდომა წასვლა, რათა ეამბნა იქ ყველაფერი. მე ცოტა არ იყოს, შემაფიქიანა ჩემი მეუღლის გადაწყვეტილებამ, რომელთანაც ახლად ვიყავი დაქორწინებული, მაგრამ მაინც ჩვენ მივედით უშიშროების კომიტეტში და მან ყველაფერი დაწვრილებით უამბო ამ უწყების თანამშრომლებს, ანუ ის, თუ რატომ დაიწყო ტბაზე ჩხუბი და მისი უშუალო მონაწილეობის შესახებ ამ ჩხუბში, რომელიც შემდეგ ქანდაკებებთან ომში გადაიზარდა. უშიშროების კომიტეტში აწონ-დაწონეს მიწოდებული ინფორმაცია და მოქალაქე სარაკინას მოქმედებები მიიჩნიეს, როგორც სწორი და მართებული, რამეთუ ადამიანს ყოველთვის აქვს უპირველესი უფლება საკუთარი ღირსების დაცვისა. უშიშროებელებმა ჩვენ თავიანთი მანქანით ქალაქის ერთ-ერთ სამხედრო კომისარიატში, სწორედ იმაში, სადაც ვალენტინა მუშაობდა, მიგვიყვანეს და დაგვემშვიდობნენ.

სამხედრო კომისარმა თბილად და დიდი პატივით მიგვიღო, რადგანაც მას მოხალისეები ძალიან აკლდა, მეორეც იმიტომ, რომ ვალენტინა თვით იყო საკადრო ოფიცერი და მესამეც იმიტომ, რომ გარდა საუკეთესო ფიზიკური მომზადებისა, ვალენტინა სპორტის ოსტატი იყო სნაიპერული შაშხანიდან სროლაში. ჩვენ წაგვიკითხეს რამდენიმე ლექცია ტაქტიკურ საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით, გვასწავლეს პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა, კიდევ რაღაცეები და დაგვირიგეს საჭირო აღჭურვილობა, უნიფორმა, პროვიზია და დიდი თერთმეტი მილიმეტრი კალიბრის ტანკსაწინააღმდეგო თოფი.

ჩვენ გარდა იყვნენ, რა თქმა უნდა, სხვა მოხალისეებიც. ისინი განსხვავებული პროფესიის, განსხვავებული ხასიათის და შესაძლებლობების ადამიანები იყვნენ. ჰგავდნენ მხოლოდ იმით ერთმანეთს, რომ სურდათ ქალაქი ქანდაკებებისაგან დაეცვათ. ისინი სხვადასხვა ქვედანაყოფში მოხვდნენ. მე და ვალენტინა გაგვანაწილეს სნაიპერულ პოლკში, სადაც ჩვენ წარმოვადგენდით დივერსიულ ჯგუფს სნაიპერისა და მისი თანაშემწის შემადგენლობით. მე, რასაკვირველია, ვიყავი თანაშემწე, ვალენტინა კი სნაიპერი. დისლოკაციის ადგილი,

რომლის სასწრაფოდ ათვისებაც ჩვენ გვიბრძანეს, იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული, მაგრამ საპატიოც და აი, რატომ: ქალაქიდან ოცდაათიოდე კილომეტრის დაშორებით იყო ეგრეთ წოდებული „ლენინის ძეგლთა სასაფლაო", სადაც უამრავი კომუნისტური ძეგლი იყო ერთმანეთთან მჭიდროდ განთავსებული. ისინი ქალაქიდან მოთხარეს და აქ, ამ ტრიალ მინდორში განათავსეს, როგორც ნიმუში უბირ წინაპართა უმეცრებისა, რათა შთამომავლობას ხსომებოდა წარსული და აგრეთვე ის, რომ არც ყოველთვის წინაპარია პატივსაცემი და არც მისი კერპი. იდგნენ უკაცრიელ ტრიალ მინდორში ოდესღაც ეს დაფნითა და ყვავილებით შემკული მუშები, გლეხები, მარქსები, ენგელსები და ლენინები, ლენინები, ლენინები... მათ ათოვდათ, აწვიმდათ იქ და ღამღამობით ისინი კბილებს აკრაჭუნებდნენ. ახლა კი, როდესაც ატეხილიყო ქანდაკებებთან ეს უაზრო, აბსურდული ომი, ისინი რევანშისთვის ემზადებოდნენ. მე და ვალენტინას მათ შესაჩერებლად გვეკავა სტრატეგიული მაღლობი და გვქონდა ტანკსაწინააღმდეგო თოფი.

– ომია! – თქვა ვალენტინამ მწუხარე ხმით, როცა ჩვენ ჩვენი დისლოკაციის ადგილს მივაღწიეთ, სამხედრო კარავი გავშალეთ და საიმედოდ შევნიღბეთ იგი.

– ჰო! – ვუპასუხე მე იმავე ტონით.

ვალენტინამ ტანკსაწინააღმდეგო თოფში ვაზნა ჩადო, საკეტი ჩაკეტა, დამცველზე დააყენა, თოფი ხეს მიაყუდა და სევდით წარმოთქვა:

– მიმდინარეობს ომი!

– ჰო, მიმდინარეობს! – დავუდასტურე მეც.

ამ სიტყვებზე ჩვენ ჩავეხუტეთ ერთმანეთს და ასე დავრჩით დიდხანს. ჩვენ – მე, ვალენტინა და ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო თოფი ველოდით ქანდაკებათა იერიშს და ვიმედოვნებდით, რომ მოვიგერიებდით მას. მოვიგერიებდით თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენნაირი სნაიპერულ-დივერსიული ჯგუფები მრავლად იყო განლაგებული სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფერდობებზე. ჩვენ არ ვიყავით მარტონი.

მართალია, მაშინ მიმდინარეობდა ომი, მაგრამ ჩვენ მაინც ვიმედოვნებდით, რომ მალე დადგებოდა მშვიდობის დროც.

3

ვალენტინას ინიციატივით, მე და ის უშიშროების კომიტეტში მივედით და იქ ყველაფერი ვუამბეთ კომიტეტელებს იმის თაობაზე, თუ რის გამო ატყდა ტბაზე ჩხუბი, რომელმაც შემდგომ ქანდაკებათა გაცოცხლება და მათთან ომი გამოინვია. კომიტეტელებმა აწონ-დაწონეს ჩვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია. მიიჩნიეს, რომ ვალენტინას ყველა ქმედება იყო მიზანშეწონილი და სამართლიანი, რამეთუ ეს უკანასკნელი საკუთარ თავს და ღირსებას იცავდა. გარდა ამისა, იგი იცავდა საზოგადოებრივ წესრიგსაც. ვალენტინა კომიტეტელებმა დაამშვიდეს და გაამხნევეს. კომიტეტის უფროსმა კი აღნიშნა, რომ ბოროტებასთან ბრძოლა არასოდეს, არც ერთ ვითარებაში არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს დასაძრახისი, როგორი შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს ის. ამ სამყაროში ყველაფერი კვდება და ხელახლა იბადება, ამიტომ, ქვეყანაც რომ დაიქცეს, არ უნდა შეუშინდე ბოროტებასთან ბრძოლას. გაჩერება ან ნეიტრალური პოზიციის დაკავება ნიშნავს მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლას, მეტიც – ეს უარესია. როდესაც მიმდინარეობს დიდი თამაში, რომელიც მხარეთა გამარჯვება-დამარცხებით სულდგმულობს, ხოლო რომელიმეს ამ მხარეთაგან, ამ ნაწილს მათსას, თუ თამაშში მონაწილეობა არ სურს და მისგან გამოსვლა უნდა – ის არსებული წესების თანახმად უნდა მოკვდეს და შეიჭამოს, რათა თავისი ნებისდა მიუხედავად, საკუთარი ხორცით ასულდგმულოს გაუთავებელი, უსასრულო პროცესი გენიალური და ზოგჯერ უაზრო თამაშისა.

ჩვენ გვსურდა თამაშში მონაწილეობა და ამიტომაც ჩავეწერეთ სნაიპერულ პოლკში. სამხედრო კომისარიატში მივიღეთ უნიფორმა, პროვეზია და იარაღი – თერთმეტი მილიმეტრი კალიბრის ტანკსაწინააღმდეგო თოფი. მივიღეთ აგრეთვე საბრძოლო დავალება ხელმძღვანელობისგან, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ – მე და ვალენტინას უნდა დაგვეკავებინა სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი მაღლობი, საიდანაც უნდა შეგვეფერხებინა ლენინის ქანდაკებათა შესაძლო მარში ქალაქის მიმართულე-

ბით. ლენინის ქანდაკებათა ეს სამარხი განთავსებული იყო ქალაქიდან 30 კილომეტრის დაშორებით და აქ კომუნისტურ ეპოქისდროინდელ კერპებს მოეყარათ თავი, რომელთა 90 პროცენტი, რა თქმა უნდა, ლენინის ქანდაკებები იყო. ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოეთრიათ და ასე იდგნენ ღია ცის ქვეშ უსწორმასწორო ჯგროდ მიტოვებულნი. ისინი თითქმის აღარავის ახსოვდა, მხოლოდ უცხოელი ტურისტები იჩენდნენ მათდამი ინტერესს. ქვეყნის მესვეურებს კი სხვა საზრუნავი გასჩენოდათ, ისინი ძველი კერპების ადგილზე საკუთარი ძეგლების დადგმით იყვნენ გართულნი და ერთმანეთს ებრძოდნენ პრესტიჟული ადგილების მოსაპოვებლად. ის კი არ იცოდნენ, თუ რაოდენ დიდი ნაღმი იყო ჩადებული ამ ყოფილი ძეგლებით, ანუ როგორც ახლა მას უწოდებდნენ, კერპების სახით. ვინ იფიქრებდა, რომ ისინი გაცოცხლდებოდნენ. მე და ვალენტინა ვიყავით ერთ-ერთი პირველთაგანნი, ვისაც თავის თავზე უნდა მიეღო ეს უმძლავრესი დარტყმა და აერეკლა იერიში ლენინის ქანდაკებათა ჯარისა. ჩემი ცხოვრების ეს მონაკვეთი დაუვიწყარია ჩემთვის.

ლენინის ქანდაკებათა სასაფლაოზე ატეხილი უჩვეულო ჩოჩქოლი შორს, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ისმოდა. ეს ხმები ერთმანეთში არეული ადამიანების ხმების, ლომების ბრდღვინვის და უზარმაზარი ქვების რახარუხის ნაზავი იყო. გაცოცხლებული ქანდაკებანი ბჭობდნენ, როგორ ემოქმედათ შექმნილ სიტუაციაში. მათი უმრავლესობა, როგორც უკვე ითქვა, ლენინები იყვნენ, თუმცა იყვნენ მარქსებიც და ენგელსებიც, იყვნენ აგრეთვე უმნიშვნელო რაოდენობის მუშები და გლეხები – ჩაქუჩებით და ნამგლებით, თავთავებით და სხვა ამგვარი რამეებით ხელში. ლენინებს შორის არავითარი სხვაობა არ იყო, თუ სათვალავში არ მივიღებთ მათ ზომასა და მასალას, რომლისგანაც ისინი იყვნენ დამზადებულნი და აგრეთვე იმას, რომ ზოგიერთ მათგანს ქუდები ხელში ეჭირათ, ხოლო ზოგიერთებს თავზე ეხურათ. ქანდაკებები რიგრიგობით ადიოდნენ სახელდახელოდ აღმართულ, კლდოვან ტრიბუნაზე და მგზნებარე სიტყვით მიმართავდნენ თანამოძმეებს. რადგან ყველა ისინი დიდი ორატორები იყვნენ და ძალიან უყვარდათ

სიტყვით გამოსვლა, არ აცდიდნენ ლაპარაკს და ხელისკვრითა და მუჯლუგუნებით ერეკებოდნენ ერთმანეთს ტრიბუნიდან. რასაკვირველია, იმარჯვებდა ზომით უფრო დიდი და ძლიერი. ორატორთა გამოსვლები არაფრით არ გამოირჩეოდა ერთმანეთისაგან, რადგან ისინი, თითქმის ყველანი, ერთხმად, სასტიკად გმობდნენ ადამიანთა უსულგულობას, მოუწოდებდნენ თანამოძმეებს ანუ ქანდაკებებს ომისაკენ და რაც მთავარია, მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ ზომებს.

საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა! – ყვიროდნენ ისინი, – ჩვენ უნდა დავასწროთ მათ და ქალაქს შევაფაროთ თავი! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დაგვბომბავს მათი ავიაცია!

– მართალია, მართალი, – ყვიროდნენ მეორენი, ოღონდ ერთობლივი მარშიც არამიზანშეწონილია, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა ადამიანებმა ჩასაფრებული არტილერია და სატანკო შენაერთები შემოგვაგებონ. უმჯობესია თუ პატარ-პატარა ჯგუფებად დავიყოფით, რკალში მოვაქცევთ ქალაქს და შემდეგ ერთდროულად შევალთ მასში!

– ნებისმიერ შემთხვევაში, – გაჰყვიროდნენ მესამენი, – საჭიროა გაიგზავნოს ჯერ მზვერავთა რაზმი, რათა ნათლად გავერკვეთ შექმნილ სიტუაციაში, რომ არ დავუშვათ შეცდომა!

საბოლოოდ ყველა ამ ვარიანტიდან ლენინებმა მაინც პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფა და ქალაქის ალყაში მოქცევა ამჯობინეს, ოღონდ ეს ოპერაცია შედარებით მომცრო ქანდაკებებს დაეკისრათ. მათი აზრით, ეს ერთგვარი მანევრი იქნებოდა, ადამიანთა თვალის ასახვევად და აგრეთვე იმისათვის, რომ ამ მანევრის საშუალებით დიდი ზომისა და დამანგრეველი ძალის მქონე, მონუმენტურ ქანდაკებებს საშუალება მისცემოდათ ქალაქში უმოკლესი გზით შესვლისა. მართალია, ამ გეგმის რეალურობას არ იზიარებდა ქანდაკებათა გარკვეული ნაწილი, რაც არც არის გასაკვირი, მაგრამ ისინი უმცირესობაში იყვნენ და არ გააჩნდათ ერთიანი გეგმა. მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ ყველანი ერთსულოვანნი – საჭირო იყო დაუყოვნებლივი ზომების მიღება.

ლენინებმა აირჩიეს სარდალი და სამხედრო საბჭო, რომელმაც თავის მხრივ დანიშნა საველე მეთაურები. პატა-

რა მიტინგის შემდეგ, ქანდაკებათა დივერსიული ჯგუფები, შემოვლითი გზით ქალაქისკენ დაიძრნენ. რამდენიმე უზარმაზარმა მონუმენტმა კი პირდაპირი, უმოკლესი გზით გასწია ქალაქისკენ. სწორედ მათ გზაზე აღმოვჩნდით მე და ვალია და თანაც პირველები, ანუ ისინი, ვისაც გზა უნდა გადაეღობა ლენინთათვის.

უკვე ბინდდებოდა, როცა ჩვენს ყურს ქანდაკებათა ფეხის გრუხუნი ჩაწვდა. ვალიამ ახლად შეზეთილი ტანკსაწინააღმდეგო თოფი ხელში მოიმარჯვა, მასში ვაზნა ჩადო, თოფს შესაკეცი ფეხები გააშლევინა, მიწაზე ასეთ მდგომარეობაში დადგა, თვითონაც უკან მიუწვა და თოფის მძიმე კონდახი მკერდზე მიიხუტა.

ჩვენ გავირინდეთ.

– შესდექი, ვინ მოდის! – შეუძახა ვალენტინამ მომხვდურთ, რომელთა თავმოტვლეპილი სილუეტები უკვე გამოიკვეთა ბინდბუნდში.

ქანდაკებები შეჩერდნენ, გაინაბნენ და უმალ განერთხნენ მიწას.

– გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ დაგვნებდეთ, – დაიყვირა ვალენტინამ მედგრად, – წინააღმდეგ შემთხვევაში ვხსნით ცეცხლს!

– ლენინის ქანდაკებები მტერს არ ნებდებიან!! – შემზარავად დაიღრიალა ერთ-ერთმა შედარებით მოზრდილმა ლენინმა და კლდე გვესროლა, უფრო სწორად კი კირქვის ქანი, რომელიც მან სადღაც, ალბათ იქვე კლდეს მოატეხა.

ეს უზარმაზარი ნატეხი ან ამ ნატეხის ნამსხვრევები რომ ჩვენ მოგვხვედროდა, რა თქმა უნდა, არც ერთი არ დავრჩებოდით ცოცხლები, მაგრამ ვინაიდან ტაქტიკური თვალსაზრისით სწორად გვქონდა შერჩეული საფარი, ჩვენამდე დაფშვნილმა კენჭებმა და მტვერმა მოაღწია მხოლოდ.

– ვლადიმერ ილიჩ! – დაუძახა შემცბარმა ვალენტინამ ლენინს, – მე თქვენს იდეებზე ვარ აღზრდილი, მაგრამ იძულებული გავხდები გაგიხსნათ ცეცხლი – თუ არ გაჩერდებით!

საპასუხოდ ახლა უკვე რამდენიმე ქანი, ლოდი და ღორღი მოეფშვნა ჩვენს საფარს.

– ესროლე მაგათი!!! – დავუყვირე მე ვალენტინას, – ესროლე, თორემ ხომ ხედავ რას შვრებიან!

– არ შემიძლია, – დაისლუკუნა ვალენტინამ ცრემლნარევი, შეცბუნებული ხმით, – მე მის იდეებზე ვარ აღზრდილი!

– ესროლე მაგათი, – ავყვირდი მე, – ესროლე, რა დროს იდეებია!

ხელიდან თოფი გამოვგლიჯე. პირველივე თვალწინ გაელვებულ მოტვლეპილ თავს დავუმიზნე და სასხლეტს დავაწექი. ტყვია, მართალია, აისხლიტა გრანიტის გლუვმა თავმა, მაგრამ სამაგიეროდ, ლენინს ტკივილისაგან ღმუილი აღმოხდა, ხოლო უკნიდან, ჰაი დედასა, კარგა შორს გასცვივდა ბათქაში. სამწუხაროდ, მეც დავზარალდი, რადგან გამოუცდელობისა გამო მსხვილკალიბრიანი ტანკსაწინააღმდეგო თოფის მასიური კონდახი სათანადო ძალით არ მივიბჯინე მხარზე. ამის გამო კონდახი საშინელი ძალით მომხვდა მხარში და კინაღამ ჩამინგრია მკერდის შიდა მარჯვენა მხარე. ამას თან დაერთო ისიც, რომ მკლავში მომხვდა მუშტისოდენა კლდის ნატეხი, რომელიც ჩვენი საფარის კედელმა აისხლიტა. მე დავეცი, მაგრამ, საბედნიეროდ ვალენტინა მოეგო გონს. მიუხედავად თავისი იდეური მიჯაჭვულობებისა დიდი ბელადისადმი, მან მაინც საღად შეაფასა შექმნილი სიტუაცია, ღონიერი თითების სწრაფი, საქმისმცოდნე მოძრაობით ჩადო თოფში ახალი ვაზნა, საკეტი დაკეტა, დაუმიზნა და გაისროლა. ასეთივე სწრაფი, საქმისმცოდნე მოძრაობით ხელმეორედ გატენა თოფი, ხელმეორედ ჩადო მასში ახალი ვაზნა და ხელმეორედ გაისროლა. ისროდა ის შეუჩერებლივ და უმიზნებდა ქანდაკებებს სავარაუდოდ ისეთ ადგილებში, საიდანაც ტყვიები იშვიათად სხლტებოდა. ის მაშინ დაუნდობელი იყო.

ვალენტინამ თავისი თოფით შეუძლებელი შეძლო და მოიერიშე, ლოდისმტყორცნელი ლენინები უკუაქცია. რამდენიმე მათგანი სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო ბევრი მძიმედ დაჭრა, ერთი კონტუზირებული პროლეტარიატის ბელადი, როგორც მოგახსენეთ, თქვენი მონა-მორჩილის ანგარიშზეც ირიცხებოდა. ქანდაკებებმა დისლოკაციის ადგილი შეიცვალეს, უკან დაიხიეს და ახლი იერიშისთვის მოემზადნენ. ამჯერად ლენინ-

თა ეს შენაერთი გაიშალა და ორ-სამ კაციან ჯგუფებად სცადა შემოვლითი გზებით ქალაქში შესვლა, მაგრამ აქაც არაფერი გაუვიდათ, რადგანაც სხვა საფარებიდანაც დაახალეს ტანკ-საწინააღმდეგო თოფები და რეაქტიული ჭურვები. ეს ჩვენი თანამებრძოლები იგერიებდნენ ქანდაკებათა შემოტევებს. ამ ხმებმა ჩვენ ძალიან გაგვამხნევა და მე და ვალენტინამ ერთხმად დავძახეთ მჭექარე და ომახიანი „ვაშა!"

– ვაშაა! – გაისმა ახლოდან და შორიდან გამარჯვებული ხალხის ყიჟინა, – ვაშა! ვაშა! ვაშა!

ეს იყო პირველი გამარჯვება.

ამის შემდეგ მე და ვალენტინამ, ისევე, როგორც ბევრმა სხვა მოხალისემ, განვახორციელეთ გაბედული კონტრიერიში და ჩვენც გაქცეულ ლენინებს დავედევნეთ. პანიკური შიშით შეპყრობილ ლენინებთან უფრო ადვილი იყო ბრძოლა და ვალიაც არ აცლიდა მათ გონს მოსვლას. მან კიდევ ბევრი მათგანი დაჭრა და გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო ერთი ტუფის ქვის ლენინი ჩვენ ტყვედაც კი ავიყვანეთ. იგი დაგვნებდა და ჩვენ ის ხელებაწეული თან წამოვიყვანეთ, რათა მისი მეშვეობით კიდევ უფრო გაგვემაგრებინა ჩვენი საფარი. ჩვენ მას ლოდებს ავაკიდებინებდით და ვეუბნებოდით – შნელ! შნელ! ქოფოიოღლი! არბაიტენ – მუმუ!!!

ქალაქში ამასობაში კატასტროფული სიტუაცია იყო შექმნილი: იქ განთავსებული ქანდაკებები, რომლებიც ქალაქგარეთ გაზიდული ლენინებისაგან განსხვავებით, უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ, არბევდნენ და აპარტახებდნენ სახლებს, თუმცა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მათ მაშინ არავინ მოუკლავთ. ეს ვერ მოახერხეს, რადგანაც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მოსახლეობა თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი მაინც უკვდავი იყო. უმეცრებითა და უტიფრობით აღსავსე ღალატიანი ჩვენი მაშინდელი ხალხი მართლაც უკვდავი იყო, რადგანაც ამ უხერხემლო, უცხვირპირო, უსულგულო არსებათა მოკვლა პრაქტიკულად გამხდარიყო შეუძლებელი. ისინი ყველა შემთხვევაში მხოლოდ სახეს იცვლიდნენ და ასე სახეცვლილნი განაგრძობდნენ თავიანთ უბადრუკ არსებობას. თუ ვინმე მათ სამოსს შემოახევდა –

იცვლიდნენ სამოსს. თუ ვინმე ტყავს გააძრობდა – იცვლიდნენ ტყავს, თუ ვინმე ხორცებს შემოაგლეჯდა – იცვლიდნენ ხორცებს; ანდა სულაც დადიოდნენ უსამოსოდ, უტყავოდ და უხორცოდ – უარაფროდ.

როგორც ძნელადმოსარჩენი სოკოვანი დაავადება იცვლის სახეს და გადადის ფრჩხილიდან თმაზე, თმიდან კანზე და ასე შემდეგ, ისე იცვლიდნენ ადამიანები ფორმებს.

ქანდაკებებს, რომლებიც ქალაქში ბობოქრობდნენ, შეემატნენ ის ლენინებიც, რომლებმაც შეძლეს დაცვითი რკალის გარღვევა და ქალაქში შეიჭრნენ. ისინიც არბევდნენ ქალაქს და უნდა ითქვას, განსაკუთრებული სისასტიკით.

უსასტიკეს ქანდაკებათა შორის იყო პატარათავიანი, ცხენზე ამხედრებული მეფე, რომელსაც ქალაქელები მეტსახელად ბრონტოზავრს ეძახდნენ. იგი იყო თავი და თავი მთელი რიგი უბედურებებისა, რომლებიც მან ქალაქს თავს დაატეხა. ამ ქანდაკების ავტორი იყო ერთი მეტად ცნობილი მოქანდაკე, რომელიც თავის ქმნილებებს, ანუ ისტორიული პიროვნებების ქანდაკებებს, პატარათავიანებს აკეთებდა. ამ ხერხით ნაგები ქანდაკება უფრო ახოვანი ჩანდა. საბოლოო ჯამში კი, რაც უფრო მეტად იხვეჭდა მოქანდაკე სახელს, მით უფრო უპატარავდებოდათ მის ქმნილებებს თავები. ქანდაკებათა, მეტად დაკვირვებული თვალისთვისაც ძალიან ძნელად შესამჩნევი, ეს ანატომიური არაპროპორციულობა ანუ უზარმაზარი, ბრგე სხეულისა და შედარებით მომცრო თავის შეუსაბამობა, მართლაც ბადებდა გარკვეულ ეფექტს და ისედაც ერთობ ახოვანი ისტორიული პირი თავისი შედარებით მომცრო თავის გამო, კიდევ უფრო ბრგედ წარმოდგებოდა, მაგრამ ხომ იცით ჩვენი ქალაქის მოქალაქეთა და მათ შორის, რასაკვირველია, მოქანდაკეთა ამბავიც, ზომა-წონა რომ არაფერში ვიცით... ერთი სიტყვით, ამ ავტორის გვიანდელი ნამუშევრები პარკინსონის სნეულებით დაავადებულებს ჰგავდნენ, ხოლო სულ ბოლო ნამუშევარი – ცხენზე ამხედრებული მეფე – პარკინსონის დაავადებულებსაც კი აღარ ჰგავდა უკვე. ის უფრო მოგაგონებდათ ბრონტოზავრს – ცხოველს, რომელიც რამდენიმე მილიონი წლის წინათ ცხოვრობდა დედამიწის ზურგზე, იწონიდა 120

ტონას და ჰქონდა 50 გრამი ტვინი. ეს ქანდაკება იყო სწორედ მოუხელთებელი და დაუნდობელი. ის ქალაქის ქუჩებში თავისი ბედაურით დაქროდა და მახვილით შუაზე აპობდა სახლებს. არ ინდობდა ქანდაკებებსაც კი. მისთვის სულერთი იყო, ვისთან იომებდა. იგი ორმოცდაათგრამტვინიან ბრონტოზავრს ჰგავდა, მხოლოდ ის იყო სხვაობა, რომ თუ ის უწყინარი არსება ბალახისმჭამელი იყო და უმიზეზოდ არავის ერჩოდა, მეფე ნამდვილი კანიბალი აღმოჩნდა. მას უთუოდ ტირანოზავრს დაარქმევდნენ ბრონტოზავრის ნაცვლად, მისი თავის მცირე ზომა რომ არა. პატარათავიანი მეფე მოლაპარაკებებზე არ მიდიოდა, ხოლო როცა ქანდაკებებმა თავი დამარცხებულად ცნეს და სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს, მან ახლოსაც არ გაიკარა არავინ, რისთვისაც ლაზერის სხივებით იქნა ადამიანების მიერ ნაკუწ-ნაკუწ აქნილი და შემდეგ, მეტალურგიულ ქარხანაში გადამდნარი.

რაც შეეხება იმ ქანდაკებებს, რომლებმაც საზრიანობა გამოიჩინეს და ადამიანებთან საერთო ენა გამონახეს, საბოლოოდ შეიმუშავეს შემდგომი ერთობლივი ცხოვრების წესები, რომელთა თანახმად, ქანდაკებებს უნდა დაეკავებინათ თავიანთი ტრადიციული ადგილები და არ ეხეტიალათ გზებსა და მოედნებზე დილის ექვსიდან ღამის პირველ საათამდე, ღამით კი მათ ეძლეოდათ გადაადგილების უფლება, ოღონდ მკაცრად განსაზღვრულ ადგილებში. ამ საბოლოო დაზავებას ხელს უშლიდა ერთი მეტად დელიკატური საკითხიც, რომელიც თითქოს, ერთი შეხედვით, არც იყო პირველხარისხოვანი, მაგრამ იყო ფაქტობრივი მიზეზი კონფლიქტისა. ეს იყო საკითხი შერცხვენილი წყალში მხტომელი ქალისა, რომლის პატიოსნებისა და ღირსების აღსადგენად ქანდაკებანი ერთსულოვნად მოითხოვდნენ ამ ქანდაკების, ანუ წყალში მხტომელი ქალისა და მის შეურაცხმყოფელ ხულიგან გოგილო მიქატაძის დაქორწინებას. მოქალაქენი, რა თქმა უნდა, ამაზეც თანახმანი იყვნენ და არც აპირებდნენ მიქატაძის აზრის გათვალისწინებას, რადგან თვლიდნენ, რომ ის იყო დამნაშავე და ყველაფრის თავიდათავი, მაგრამ ეს ბუნების კანონების აშკარა, თანაც უჩვეულო დარღვევა გამოდიოდა, ხალხსაც ამიტომ

ვერ გადაედგა ეს გაურკვეველი – კიდევ ერთი გაურკვეველი ნაბიჯი. ამგვარ უჩვეულო ნაბიჯს შეიძლებოდა საფუძველი ჩაეყარა ახალი ტრადიციისათვის – ქორწინებაზე ქანდაკებებთან ან რაიმე საგნებთან, მაგალითად, ჩემოდნებთან ან ტანსაცმელთან. ამაზე ქანდაკებებს მოჰყავდათ თავიანთი არგუმენტები, რომელთა მართებულობაში და ლოგიკურობაში ძნელი იყო ეჭვის შეტანა. ისინი აყვედრიდნენ ადამიანებს იმას, რომ სწორედ მათი დაუდევრობის გამო იყო მომხდარი ყველაფერი და რომ ზნეობის სიმტკიცეზე მათ მაშინ უნდა ეზრუნათ, როცა მათი მოდგმის ნაშიერი ყველას თვალწინ თაბაშირის საბრალო ქანდაკებას აუპატიურებდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ქვეყნის მესვეურებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა და თვით გავლენიანმა ქანდაკებებმა გადაწყვიტეს, რაიმე შეღავათებისა და დაპირებების საშუალებით შეეგულიანებინათ რომელიმე ქანდაკება, რომ ის დაქორწინებული იყო წყალში მხტომელ ქალზე, მაგრამ ეს არ სურდა არც ერთ ქანდაკებას, რადგანაც მათ არ უნდოდათ შერცხვენილი ქალის ცოლად მოყვანა.

მაშინ მე და ვალენტინას მოგვივიდა აზრად, ჩვენ მიერ დატყვევებული ლენინისთვის შეგვეთავაზებინა ასეთი კომპრომისი: არსებული კანონის თანახმად, კონფლიქტში მონაწილე მოხალისეთა მიერ დატყვევებული ქანდაკებები ვალდებულნი იყვნენ მათი დამტყვევებლების სამსახურში ყოფილიყვნენ შვიდი წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი ლენინი ჩვენთან ცხოვრობდა და უვლიდა ბაღს. ბაღი და კარ-მიდამო კი მე და ვალენტინას დიდი გვქონდა, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ომის დაწყებამდე ლატარეა „მილიონ ბედნიერებაში“ ჩვენ მოვიგეთ 1 მილიონი ამერიკული დოლარი, სამსართულიანი შვეიცარიული კოტეჯი და მერსედეს-ბენცის უკანასკნელი პრესტიჟული მოდელი. თავიდან ჩვენმა ლენინმა ჩვენი წინადადება შორს დაიჭირა და კიდევაც გაგვინაწყენდა, მაგრამ შემდეგ იძულებით სამსახურიდან გათავისუფლების სანაცვლოდ და აგრეთვე სხვა იმ შეღავათების გათვალისწინებით, რომლებსაც სახელმწიფო იძლეოდა, ბოლოს და ბოლოს, დაგვთანხმდა. ოღონდ ჩვენი

ლენინი ითხოვდა, რომ წყალში მხტომელი ქალის ქანდაკებაზე ჯერ გოგილო მიქატაძე დაქორწინებულიყო ორი-სამი კვირით მაინც, რადგანაც, მისი თქმით, ერჩია შეუღლებოდა განქორწინებულ ქალს, ვიდრე შერცხვენილს. ამას კი არ ეთანხმებოდა თვით საპატარძლო და რასაკვირველია, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ქანდაკებებთან ქორწინებას უზნეობად მიიჩნევდა. საბოლოოდ კი მაინც დაიყოლიეს ჩვენი ლენინი და მან და თაბაშირის წყალში მხტომელმა ქალმა, როგორც იქნა, მაინც იქორწინეს. სახელმწიფოსგან, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან და კერძო პირებისაგან კარგი საჩუქრები მიიღეს. ისინი ტელევიზორშიც კი აჩვენეს, გადაცემა „ფორტუნაში", ხოლო ამ გადაცემის უცვლელმა წამყვანმა, ბატონმა ბორის წიფურიამ, მათ გრანიტის შიბაქები აჩუქა პამპერსის სახით, ფირმებმა „ყაზბეგმა" და „სატელაიტმა", თავის მხრივ აჩუქეს ცივი ჩაი ყაზბეგისაგან ერთმა, და დიდი სატელიტური ანტენა, მეორემ. ამის გარდა, მათ ითამაშეს პოპულარული თამაში „დაბალი-მაღალი", სადაც ჩინებული იღბლიანობა გამოავლინეს და ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მოიგეს, თუმცა ეს უკვე შესაძლოა ჩაწყობილიც იყო.

გავიდა დრო და მე და ვალენტინას შეგვეძინა ლამაზი ბავშვები ოქროსფერთმიანი თავებით, ხოლო ჩვენს მეგობარ ქანდაკებებს – ტუფის ლენინსა და თაბაშირის წყალში მხტომელ ქალს, რომლებიც ჩვენს მეზობლად დასახლდნენ და დღესაც კარგ მეზობლობას გვიწევენ, შეეძინათ ლამაზი ბავშვები ბაზალტის თავებით.

რაც შეეხება ვიგინდარა გოგილო მიქატაძეს, მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა; იგი გაასამართლეს და მიუსაჯეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

ხოლო ენაკვიმატმა პატიმრებმა მას მისი არცთუ ღირსეული საქციელის გამო შეარქვეს ერთობ საჩოთირო მეტსახელი – ცელკა-რვანკა.

აბა, რა ეგონა?!

ბარბაროსი

ციხიდან ახლად განთავისუფლებული, შემჭკნარი და გასა-ვათებული გოგილო მიქატაძე, რომელიც, სხვათა შორის, სირცხვილი მას და, ქანდაკების გაუპატიურებისათვის იხ-დიდა სასჯელს, მშრალი ხიდის მახლობლად, მხატვრების ბაღში დაწანწალებდა და ელვარე თვალებით ეძებდა ბზის მყიდველს. ბზის ეს დაახლოებით მეტრნახევრიანი, მკლავის სიმსხო, ადგილ-ადგილ ხავსმოდებული ვარჯი გოგილოს, როგორც კომბალი, ხელთ ეპყრა და მისი ენერგიული სვლის, აგრესიული მიმოხვრის, კიდევ უფრო აგრესიული მიმიკისა და ელვარე თვალების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმ-ნებოდა, თითქოს ეძებდა იმას, ვისთვისაც ეს კომბალი თავ-ში უნდა ჩაეცხო. ის ხან ვის მიადგებოდა და ხან ვის, მაგრამ ბზის მყიდველს ვერ პოულობდა. გოგილოს ცხოვრებისეული ისტორია კი აი ასეთი გახლდათ: იგი, ჯერ კიდევ არასრულ-წლოვანი, გაასამართლეს ლისის ტბისპირა კულტურისა და დასვენების პარკში განთავსებული წყალში მხტომელი ქალის ქანდაკების გაუპატიურებისათვის. თაბაშირის ეს ქანდაკება იდგა თავისთვის კვარცხლბეკზე წაკუზულ მდგომარეობაში და წყალში გადასახტომად ემზადებოდა, ეცვა საბანაო კოსტი-უმი და არავის არაფერს უშავებდა. პირიქით, დამსვენებელთა დიდ მოწონებას იმსახურებდა თავისი ნატიფი ფორმებით. მიქატაძემ კი იგი ცინიკურად, ყველას თვალწინ სასტიკად გააუპატიურა, რასაც კარგად ცნობილი დიდი აყალმაყალი და არეულობები მოჰყვა. სასამართლომ ეს და სხვა გარემოე-ბები დამამძიმებლად მიიჩნია და დამნაშავეს მაქსიმალური ვადით, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მეტსაც არ დაიშურებდნენ და ახიც იქნებოდა მასზე, მაგრამ არსე-

ბული კანონით, არასრულწლოვანებისთვის ათ წელზე მეტი სასჯელი არ იყო გათვალისწინებული. გოგილო არ იჯდა სრულ ათ წელიწადს ციხეში. იგი დაპატიმრებიდან ზუსტად 8 წლის შემდეგ გაათავისუფლეს ეგრეთ წოდებული „უდოთი". და ახლა ის 22 წლისა იყო, სამი-ოთხი დღის გაუპარსავს ეცვა დამჭკნარი, თითქოს ნოტიო ბოხჩაში ნადები სამოსი, უელავდა თვალები, ხოლო მარჯვენა ხელის მაჯაზე, იმ ადგილას, სადაც ძვალია ცოტათი ამობურცული, ჰქონდა ტატუ – ხუთი წერტილი, ეგრეთ წოდებული „ბეში", იმის მაუწყებელი ნიშანი, რომ ეს ვაჟბატონი ნაციხარი, ასე ვთქვათ, „ნასროკალი" გახლდათ. ციხეში გატარებულ 8 წელიწადში მიქატაძეს ბევრი რამ თავგადასავალი გადახდენოდა თავს, ბევრიც ენწნია უსიამოვნებანი – მარტო ის რად ღირს თუნდაც, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო არცთუ პრესტიჟული მეტსახელი, „ცელკარვანკა" მიაკერეს ენაკვიმატმა პატიმრებმა. მან გამოსცადა ყველაფერი: მარტოობა, შიმშილი, სიცივე, შევიწროება, დაცინვა, უსუფთაობა მორალური და ჰიგიენური, ღალატი... მარამ მიუხედავად ამისა, ის უკვე აღარ იყო თავის წარმოდგენაში „ცელკარვანკა" – ის ახლა თავის წარმოდგენაში იყო ეგრეთ წოდებული „კაი ბიჭი", რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად და, მიუხედავად იმისა, რომ ყოვლად უწყინარი საქმიანობით იყო დაკავებული (ბზის ვარჯს ყიდდა), მაინც ამას ისეთი მრისხანებით აკეთებდა, თითქოს ბზის გაყიდვა რაიმე გრანდიოზული ყოფილიყოს. იგი შორსმჭვრეტელი ოთახის ნაპოლეონივით „არწივისებრ" ზვერავდა გარემოს და ცდილობდა, გამოეცნო, თუ ვის შეეძლო მისგან ეყიდა ბზა.

სპირიდონ მიქატაძე, გოგილო მიქატაძის ბაბუა, იყო ერთი მშრომელი გლეხი კაცი. ის მთელი თავისი დღე და მოსწრება კოლექტივისა თუ საკუთარ მეურნეობას უვლიდა და როცა მიიცვალა, ნორმალური სახლ-კარი და მოვლილი ნაკვეთები დაუტოვა თავის შთამომავლებს. შთამომავლებმა კი, მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა, ნაწილ-ნაწილ, მისხალ-მისხალ, ნაფოტ-ნაფოტ და ლურსმან-ლურსმან დაყიდეს და გააპარტახეს თითქმის ყველაფერი. საბოლოოდ, დარჩათ პატარა და

ფარღალალა სახლი გავერანებული ერთი გოჯა მიწის ნაკვეთით. შთამომავლები დროდადრო ჩადიოდნენ ხოლმე იქ დასასვენებლად და იქაურობის კიდევ უფრო გასაპარტახებლად. გოგილომაც მიაკითხა განთავისუფლების შემდეგ „საგვარეულო მამულს“ იმავე მიზნებით. იქ ცოტა ხანს დაისვენა, იქური ნათესავები ინახულა, ილოთავა, გასაპარტახებელ-წამოსაღებიც დაზვერა, მაგრამ ველარაფერი იპოვა გარდა ერთი ძირი ბზისა. ეს ბზა სპირიდონ მიქატაძემ ტყიდან ჩამოიტანა და თავისი ხელით დარგო შვილიშვილის – გოგილოს დაბადების დღეს. გოგილო პირველი შვილიშვილი არ იყო სპირიდონისა. მას სხვა შვილების და შვილიშვილების გაჩენისას არ დაურგავს ხეები, ანუ ეს არ იყო რაღაც ტრადიციული ამბავი, უბრალოდ, სპირიდონ მიქატაძეს ვიღაცამ ასწავლა – „შენი შვილიშვილის დაბადების დღეს ბზა დარგეო“ და მანაც დარგო. ნათესავებმა იცოდნენ, რომ ეს ხე გოგილოს სახელზე იყო დარგული და ამიტომ ხელს არ ახლებდნენ მას. და ან რა აზრი ჰქონდა მის მოჭრას – ბზა პატარა იყო, ეს ხე ხომ ძალზე ნელა იზრდება.

გოგილოს კი გაგონილი ჰქონდა, რომ ბზისაგან ძვირფას ნაკეთობებს ამზადებდნენ ხეზე კვეთის ოსტატები. ამიტომ მან ფეხებზე დაიკიდა, რომ ეს ხე მის სახელზე ჰქონდა ბაბუამისს დარგული, – მოჭრა ბზა, ქალაქში წამოიღო და სახლში დააგდო, ხოლო როცა რამდენიმე დღის შემდეგ ნათესავების მიერ ნაჩუქარი ცოტაოდენი ფული და პროდუქტები გაუთავდა, აიღო ბზა და გასაყიდად გაიტანა.

არაერთგზის შეათვალიერა გოგილომ გასაყიდად გამოფენილი ხის ნაკეთობები, მათ ავტორებსაც გაესაუბრა ბზის თაობაზე. მაგრამ შეუსაბამოდ დიდი ფასისა თუ გამაღიზიანებელი, „ძველბიჭური“ უტიფარი ლაპარაკის გამო ვერავის მიჰყიდა თავისი ბზა. ხეზე მკვეთელები უარს უცხადებდნენ ბზის შეძენაზე ან რაღაცას იმიზეზებდნენ და თავიდან იშორებდნენ აბეზარ ახალგაზრდას. მან ყველა შეაწუხა თავისი ბზით და იმდენი ქნა, რომ უკვე მყიდველებსაც მისდგა. მყიდველებს შორის კი უცხოელი სტუმრები ჭარბობდნენ, მათ შორის – ისეთებიც, რომლებსაც მცველები დასდევდნენ თან. ერთ-ერთი ასეთი იყო საერთაშორისო ფარმაცევტული

კომპანიის მაღალი რანგის ჩინოსანი არისტოტელე პავსიკაკიოსი, რომელიც საგანგებო დავალებით იყო მოვლინებული ჩვენს ქვეყანაში: იგი მოლაპარაკებებს აწარმოებდა ჩვენს მაშინდელ ჯანდაცვის მინისტრთან, რისმაგ მამაცაშვილთან, რომელთანაც, სხვათა შორის, ერთობ გულითადი ურთიერთობა ჩამოჰყალიბებოდა, იმდენად გულითადი, რომ ისინი უკვე ოჯახებით მეგობრობდნენ. ბატონი პავსიკაკიოსი მეუღლითურთ გამოსულიყო მხატვრების ბაღში ნახატებისა და სუვენირების საყიდლად, მეგზურობას კი პავსიკაკიოსებს მამაცაშვილის დედა, ქალბატონი აღათია მამაცაშვილი და მინისტრის თოთხმეტი წლის შვილი (ქალბატონი აღათიას შვილიშვილი) ცოტნე უწევდნენ. გამობატიტვინებული მიქატაძე მათაც კი აედევნა და იქამდე მიაღწია მისმა კადნიერებამ, რომ საპატიო ბერძენ სტუმარს ბზის ყიდვა შესთავაზა: – „ეეე, სირტაკი-ი, ბზა არ გინდა, ბზა?! რეზაწ, რეზაწ, შე-ჩემა, ჩიკ-ჩიკ, ბზდინ-ჩირიკ“... – რაღაც ასეთი უთხრა მან პავსიკაკიოსს უაღრესად უტიფარი ჟესტიკულაციით, მაგრამ სანამ კიდევ რაღაც ამგვარს ეტყოდა, იგი დაცვის ზორბა, ბიზონისებრმა ბიჭებმა ხელისკვრით და კინწისკვრით მოიშორეს. კინწისკვრით იმიტომ, რომ ხელისკვრა საკმარისი არ აღმოჩნდა ამ მართლაცდა „პიზდარვანკას“ გასაგდებად. რაც შეეხება ბატონ პავსიკაკიოსს, ის მომხდარში ვერ გაერკვა, თუმცა მიქატაძის პირიდან გაიგონა ნაცნობი ბერძნული სიტყვა „სირტაკი“ და ამით ნასიამოვნებმა კმაყოფილებით გაიღიმა. ქალბატონმა აღათიამ კი, მისგან განსხვავებით, კოპი შეიკრა და წყრომით გახედა გოგილოს.

გოგილო ერთხანს განაგრძობდა წინააღმდეგობას, ცდილობდა დასხლტომას, ჯაჯგურობდა და „ირქინებოდა“, უცებ კი შედგა და გაირინდა – სრულიად გულგრილად მიიღო რამდენიმე ღონიერი ალიყური დაცვის ბიჭებისაგან და ერთ წერტილს მიაჩერდა. გოგილოს ინტერესის საგანი ახლა იყო გზისგადაღმა ბერძნულ-რომაული რესტორანი, უფრო ზუსტად კი რესტორნის შესასვლელში მდგომი მცველები. ამ მცველებს ეცვათ ძველი რომაელი მეომრების სამოსი მეწამული ფერისა, თავზე ებურათ მუზარადები, წელზე ეკიდათ რომაული მოკლე

მახვილები, ხოლო ხელთ შუბები ეპყრათ. ისინი, ანუ მცველები, ბევრი ადამიანის ყურადღებას იპყრობდნენ, მაგრამ გოგილოს მათდამი განსაკუთრებული ყურადღება განაპირობა იმან, რომ ამ უკანასკნელმა რომაელ მებრძოლებში თავისი ბავშვობის მეგობრები – კნაჭო და ხისთავა შეიცნო. სწორედ ის ხისთავა და კნაჭო, რომლებთან ერთადაც იყო ის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც მიქატაძემ იქ შეკრებილი საზოგადოების თვალწინ გააუპატიურა თაბაშირის ქანდაკება წყალში მხტომელი ქალისა. ესენი სწორედ ის კნაჭო და ხისთავა იყვნენ, რომლებიც ასე გამეტებით, ასე წამქეზებლურად ხარხარებდნენ სხვა გარეწარ მოზარდებთან (გოგილოს ყოფილ მეგობრებთან) ერთად მაშინ, როცა მიქატაძე ქანდაკებას აუპატიურებდა და რომლებმაც არაფერი იღონეს, თითიც კი არ გაატოკეს მეგობრის დასახმარებლად, როცა ეს უკანასკნელი, ანუ გოგილო, საპატიმროში სასჯელს იხდიდა. მათ, ისევე როგორც დანარჩენმა მეგობრებმა, მიატოვეს გოგილო, დაივიწყეს და ერთხელაც არ მიუტანეს „პერედაჩა", არ ინახულეს ის. გოგილოს ბოღმა ჰქონდა მათზე დაგროვილი და ის ახლა დაბოღმილი, მხარზე გადებული ბზის კომბლით გზას მიიკვლევდა მანქანებსა და ადამიანებს შორის ყოფილი მეგობრებისკენ.

– რა არი თქვეჩემის გადანგრეულებო... – აი, სწორედ ამ სიტყვებით, არც მეტი, არც ნაკლები, გაუბა ბაასი „პოპულარულ თემებზე" ხისთავას და კნაჭოს, დაუწყო დაცინვა და ქილიკი. კნაჭომ და ხისთავამ, რა თქმა უნდა, იცნეს ყოფილი მეგობარი, ისინი გრძნობდნენ მის წინაშე თავს დამნაშავეებად და ამიტომაც ცდილობდნენ, არ აჰყოლოდნენ გაღიზიანებულ მეგობარს: – „ვა, გოგილ, რავა ხარ? როდის განთავისუფლდი, ძმაო?!" – მაგრამ მიქატაძე შეუვალი იყო, ის თავისას არ იშლიდა და სულ უფრო და უფრო თავხედდებოდა: – „რა არი, ბიჭო, ერთხელ მაინც გენახეთ, რამე მოგეტანათ! თუ ადრე სამუშაო არ გქონდათ? აჰა, ხო გიშოვიათ სამუშაო, ეხლა მაინც „დამიპადაგრევეთ" რამე!" – ჰო, კარგი რა, გოგილ, მოიცა რა!" – „რამდენს გიხდიან, ბიჭო?! რა კაბაა ეგ, სიმონ?!" – „ე, კარგი რა, გოგილ, გეყოფა, რა!" – „ეეე, ჩემი დეე-დამო, ფეხები

გაპარსული გაქ, ტო?!" – და მართლაც, ხისთავას და კნაჭოს ფეხები, დიახაც, გაპარსული ჰქონდათ. ეს ბერძნულ-რომაული რესტორნის ადმინისტრაციის მოთხოვნა იყო, მათ ათ ლარს უხდიდნენ დღეში რომაელი მეომრების განსახიერებისთვის. ისინი სიყმაწვილეში ხულიგანი, ხოლო ახლა გამოსწორების გზაზე მდგომი ახალგაზრდები იყვნენ, „პიზდარვანკა" კი დასცინოდა მათ სამსახურებრივი მოვალეობის მოხდის მომენტში. – „კნაჭო, ტო, ვა რა მაგარი გაპარსული ბაყვები გქონია, ჩემი კუჭი ვჭამე, თანაც გასუქებულხარ, სიმონ, მაიტა რა ერთი სლუჩაინათ ბაყვზე ხელი მომაკიდებინე!" – და ამ სიტყვებზე გათავხედებული გოგილო ოდნავ ჩაცუცქდა, კნაჭოს მენამული ტოგა გადაუწია და „მრისხანე რომაელს" ტუნიკის ქვეშ ხელი შეუყო, გაპარსულ ბარძაყზე მოეფერა, დუნდულა კუნთზე წაეტანა და მტარვალურ-მუხანათურად ჩასჩქმიტა მწარედ. აქ კი აღივსო მოთმინების ფიალა კნაჭოსი. მან არაადამიანური ღრიალით დედის ჯიგარი შეაგინა გოგილოს ბილწად და მთელი ძალით ჩააფარა რომაული ფარი თავში. ხისთავას უთუოდ უაღრესად უტვინო და მაგარი თავი ჰქონდა და ამიტომაც ერქვა ხისთავა, მაგრამ არანაკლებ უტვინო და მაგარი თავი ჰქონდა გოგილოსაც. ამ უტვინო თავმა მძიმე რომაული ფარი, როგორც შვიდიანი ფანერა, ისე აისხლიტა, ხოლო ბზის კომბალმა ამჯერად კნაჭოს რომაულ მუზარადზე გაადინა ჭახანი. ხისთავამ გოგილოს შეუტია შუბით, რითაც დროებით მოუსპო ამ უკანასკნელს კომბლის ღონივრად მოქნევის საშუალება, ამასობაში კი დარეტიანებულმა და ცალ მუხლზე ჩაჩოქილმა კნაჭომ იშიშვლა რომაული მოკლე მახვილი. ერთი სიტყვით, ატყდა სერიოზული ჩხუბი, რომელიც გლადიატორთა ბრძოლას მოგაგონებდათ... რესტორნიდან გამოცვივდნენ დაცვის თანამშრომლები და თუ კნაჭო და ხისთავა სიმბოლური მცველები იყვნენ მხოლოდ, ესენი იყვნენ ნამდვილი „მარტორქები". „მარტორქები" ეძგერნენ მოჩხუბრებს და რადგან მათი გაშველების დრო აღარ იყო, ბიძგებითა და მუჯლუგუნებით შეეცადნენ მოჩხუბართა განდევნას რესტორნის მიმდებარე ტერიტორიიდან, თუმცა მოჩხუბრები ერთობ სერიოზულად იყვნენ შეიარაღებულნი

და ამიტომ „მარტორქებს“ გაუჭიანურდათ მოჩხუბართა განდევნა, ისინი ერთმანეთში აირივნენ – „რომაელები“, გოგილო, „მარტორქები“. და ამ გორგალმა ნელ-ნელა ტროტუარიდან ავტომობილების სავალ ნაწილზე გადაინაცვლა, შემდეგ კი გზის მეორე მხარეს გადავიდა და მხატვრების ბაღის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. იქ შეკრებილი მხატვრები მოჩხუბრებს წინ გადაუდგნენ, რათა ამ გზით მაინც დაეცვათ თავიანთი ნამუშევრები დაზიანებისაგან. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი, ესეც დამთხვევა იყო ალბათ და რუსთაველის გამზირის მხრიდან გამოჩნდნენ საჭიდაო ტრიკოებში, ჩოხებსა და კიმანოებში გამოწყობილი მოჭიდავეები. მათ რიგებში ჩანდა ნელი სვლით მომავალი ბორტებგადმოშლილი სატვირთო მანქანა „ზილი“, რომლის ძარაზეც გაეშალათ საჭიდაო ხალიჩა. ამ ხალიჩაზე რიგრიგობით ადიოდნენ მოჭიდავეთა წყვილები და უჩვენებდნენ დამხმარე საზოგადოებას სხვადასხვა ფანდსა და ილეთს. „ზილს“ უკან მოსდევდა აზიური ორკესტრი მედოლის, მედუდუკისა და ორი მეზურნის თანხლებით. გამარჯვებული ფალავნები ცეკვავდნენ „ზილის“ ძარაზე. დემონსტრანტთა უმეტესობას გულზე ეკიდა მედლები სპორტული მიღწევებისთვის, მოჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა თასები, სიგელები და გარდამავალი ვიმპელები. პროცესიას წინ მოუძღოდა საჭიდაო ტრიკოებში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა მოჭიდავე, ორივე სქელკისერა და დაბღვერილი, რომლებსაც ხელში ეჭირათ ჩარჩოში ჩასმული ძალიან დაჯღანული კაცის სურათი. ფოტოზე გამოსახულსაც ეცვა საჭიდაო ტრიკო, ეკიდა უამრავი მედალი, ხოლო ზეაპყრობილ ხელებში ეპყრა ორი უზარმაზარი სპორტული თასი. ეს იყო მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური თამაშების და სხვა მრავალპრესტიჟული, სპორტული შეჯიბრებების არაერთგზის პრიზიორი საგარეჯოელი ვარლამ ქიბრონაშვილი, მეტსახელად ჯღანო. ჯღანო ეს-ესაა გაესამართლებინათ და მიესაჯათ მისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოჭიდავეთა დემონსტრაციის მონაწილეებს კი, თავი მხრივ, ესესაა დაერბიათ სასამრთლო დარბაზი, ეცემათ მოსამართლის, პროკურორის და მანდატურებისთვის და ახლა დედაენის ძეგლთან აპირებდნენ ჯღანოს მხარდასაჭერი

საპროტესტო მიტინგის გამართვას. ისინი იყვნენ უაღრესად აღგზნებულნი და ბრიალა, ჩასისხლიანებული თვალებით ეძებდნენ იმას, თუ ვინ გაეგლიჯათ კიდევ... მოჭიდავეების პროცესია და მოჩხუბართა გორგალი ერთმანეთში აირია და დაკა-დაკამაც, რასაკვირველია, სულ სხვა იერსახე და ელფერი მიიღო. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. კატასტროფა იყო წინ. და, აი, კატასტროფამაც არ დააყოვნა. იქ ხომ საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიის მაღალჩინოსანი არისტოტელე პავსიკაკიოსი, მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის დედა აღათია მამაცაშვილი და პატარა ცოტნე ყიდულობდნენ სუვენირებს, – მოულოდნელად სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მოჩხუბართა შორის, ცენტრალურ ადგილზე, მათ კი, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იცავდნენ ზორბა მცველები – ესენიც კარგი „ბიზონები". ერთი სიტყვით, ყველაფერი აირია – ყველანი ერთმანეთს ურტყამდნენ: გოგილო, „რომაელები", „მარტორქები", „ბიზონები", მოჭიდავეები, პავსიკაკიოსი, აღათია (ქოლგით), 14 წლის ცოტნე, მხატვრები, შემთხვევითი გამვლელები და ავტომობილების მძღოლები. ისინი შეკრულიყვნენ ერთ დიდ გორგლად, რომელიც ქარაშოტივით დაქროდა დედაენის ძეგლიდან მემედ აბაშიძის ძეგლამდე და ყველაფერს სპობდა თავის გზაზე ტორნადოსავით.

ბევრი დაზარალდა მაშინ: დაიმტვრა ავტომობილები, დაზიანდა შენობა-ნაგებობები, ნარგავები, ჩამტვრეულ კბილებს და დასივებულ ცხვირებს ხომ ვინღა მოთვლის. განსაკუთრებით კი დაზარალდა ერთი „ბიზონი", რომელიც, სხვათა შორის, ქალბატონმა აღათია მამაცაშვილმა დაჭრა ძალიან მწარედ შემთხვევით. და აი როგორ მოხდა ეს: ქ-ნი მამაცაშვილი იბრძოდა, როგორც უკვე ითქვა, ქოლგით, თუმცა ეს უწყინარი საყოფაცხოვრებო ნივთი სულაც არ იყო უწყინარი ამ საოცარი ქალბატონის ხელში. აღათია მამაცაშვილი ყოფილი მოფარიკავე გახლდათ. თავის დროზე საერთაშორისო სპორტის ოსტატს საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე ოქროს მედალიც ჰქონდა მოპოვებული ფარიკაობაში. ეს ერთი შეხედვით კაფანდარა მოხუცი იყო მკვრივი, ძარღვიანი, გრძნობდა თავს ძალიან მხნედ და ეს მხნეობაც გამოვლინდა. ის ქოლგას რაპი-

რასავით ხმარობდა და განსაკუთრებულად გააქტიურებულ მოჩხუბრებს მწარედ ჩხვლეტდა. ამ ორომტრიალში აღათიამ უცებ შეამჩნია, რომ მის ერთ-ერთ პირად მცველს („ბიზონს“) დაეჯაჯგურა ერთი ტანმორჩილი, მაგრამ კარგად ჩაფსკვნილი მოჭიდავე. გამოცდილმა მოჭიდავემ ტომარასავით აქეთ-იქით მიაგდ-მოაგდო ზორბა „ბიზონი“ და სადაცაა მინაზე დასცემდა. საჭირო იყო მცველის შველა, გარდა ამისა, იქვე ახლოს ტრიალებდა აღათიას შვილიშვილი ცოტნეც, რომელიც იმდენად ახლოს იყო მოძიძგილავეებთან, რომ შეიძლებოდა იგი ძირს დანარცხებული მცველის ქვეშ აღმოჩენილიყო ანაზდად. ქ-მა აღათიამ გაიწია და მთელი ძალით აძგერა თავისი ქოლგა მოძალადე მოჭიდავეს საჯდომში. თუმცა მოჭიდავე არ აღმოჩნდა, რომ იტყვიან, ფურთხით გაკეთებული. მან იმარჯვა და ელვისუსწრაფესად გააკეთა წარმოუდგენელი ფანდი: შემობრუნდა მინაზე დასახეთქებლად გამზადებული, „ბიზონი“ ჰაერში ერთგვარად შეათამაშა, შემდეგ კი საშინელი ძალით მოქნეულ აღათიას ქოლგას დაუხვედრა, ვითარცა ფარი ხევსურული. რა თქმა უნდა, აღათიას ქოლგა სულაც არ იყო დარტანიანის დაშნასავით ბასრი, მაგრამ არც დაცვის თანამშრომლის საჯდომი იყო ხევსურული ფარი... ქოლგამ სახელურამდე შეაღწია „ბიზონის“ სხეულში, გამოღებისას კი გაიშალა, რასაც მოჰყვა შემზარავი ბღავილი, რომელიც თანდათან გადაიზარდა ზმუილში.

„ბიზონი“ ზმუოდა დიდხანს...

რაც შეეხება ბერძენ სტუმარს პავსიკაკიოსს, რომელსაც, სხვათა შორის, მგონი, მიქატაძის კომბალი მოხვდა თავში, მეხსიერება და ლაპარაკის უნარი დაეკარგა ერთი თვით, მას მხოლოდ ერთი სიტყვაღა ახსოვდა – სირტაკი. როცა ეს კომბალი მოხვდა, პავსიკაკიოსმა დასარტყმელად შემზადებული მუშტები ძირს ჩამოუშვა, დაელმებული თვალები კი მიამიტად დაახამხამა და წარმოთქვა: – სირტაკი! – მას შემდეგ ის ერთი თვის განმავლობაში სულ ამას იმეორებდა: – სირტაკი, სირტაკი...

– „გამარჯობათ, ბატონო პავსიკაკიოს!“ – „სირტაკი“. „როგორ ბრძანდებით, ბატონო პავსიკაკიოს?“ – „სირტაკი“. თუმცა შემდეგ მას მეხსიერება თანდათან დაუბრუნდა და

განაგრძო საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობა. შესაძლებელია, ყველაფერი დამთავრებულიყო გაცილებით უფრო ცუდად ყველასათვის და მით უმეტეს გოგილოსთვის, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაინც სასიკეთოდ შეცვალა ყველაფერი და აი რა იყოს ეს:

ეს ბერძნულ-რომაული რესტორანი საწილოდ ეკუთვნოდათ ვინმე ჯუზეპე პიჩერონეს და ჩვენს ქვეყანაში საქვეყნოდ ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს ივანე გოგოჭურს, იგივე კუზიან ვანოს. თუ ვინ იყო კუზიანი ვანო, ბავშვმაც კი იცოდა ჩვენში, ხოლო რაც შეეხება პიჩერონეს, მასზეც ამბობდნენ, რომ ის თურმე მეტად პატივცემული მაფიოზი ყოფილა თავის იტალიაში. სწორედ პიჩერონეს იდეა იყო რესტორნის წინ რომაელი მებრძოლების დაყენება, ახლა კი, როცა მან თავისი თვალით იხილა გოგილო მიქატაძის მიერ განხორციელებული შეტევა კომბლით, მას ახალი იდეა დაებადა: სანახაობა რომ უფრო მიმზიდველი გაეხადათ, კარგი იქნებოდა, თუ რომაელ ლეგიონერებს დროდადრო თავს დაესხმებოდა ტყიდან გამოვარდნილი, კომბლით შეიარაღებული ბარბაროსი. აი სწორედ ეს ბარბაროსი უნდა ყოფილიყო გოგილო მიქატაძე. პიჩერონემ თავისი გეგმა გააცნო ივანე გოგოჭურს და სთხოვა, მოეყვანა მიქატაძე სალაპარაკოდ, სთხოვა აგრეთვე, რომ არ დაესაჯა მკაცრად ეს ჭაბუკი უთავბოლო საქციელისათვის. გოგოჭური ბუნებით ბოროტი კაცი არ იყო, თანაც იმ დღეს კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, ამ გუნებას მას გულითადი მეგობრის, პიჩერონეს ჩამოსვლაც უსწორებდა, უსწორებდა გუნებას აგრეთვე გემრიელი პიცა და სურნელოვანი იტალიური ღვინო პინო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ივანე გოგოჭურმა მეგობარს ხათრი ვერ გაუტეხა და გარეთ გასასვლელად გაიწვია. პროსპექტზე გამოჩნდნენ გამოჩენილი ჯენტლმენები: კუზიანი ვანო და მისი სტუმარი იტალიელი მაფიოზი ჯუზეპე პიჩერონე. ხალხმა ჩხუბი შეწყვიტა და მქუხარე ოვაციებით შეეგება ცნობილ ავტორიტეტებს. კუზიანმა ვანომ და პიჩერონემ ერთხანს უქნიეს ხალხს ხელები და საჰაერო კოცნებიც გაუგზავნეს, შემდეგ გოგოჭურმა შეკრებილთ ანიშნა, დაიშალეთო და მიქატაძე თავისთან მიიხმო. კუზიანმა ვანომ, პიჩერონეს ხათრით,

საყვედურებიღა აკმარა გოგილოს, შემდეგ კი პიჩერონეს გეგმა გააცნო და სამუშაო შესთავაზა. გეგმა ასეთი იყო: გოგილოს უნდა ჩაეცვა ბარბაროსის ტანსაცმელი უხეში ტყავისა, გაქუცული ბეწვითა და ბუმბულებით შემკული, თავზე უნდა დაეხურა ბარბაროსული ქუდი ზედ დამონტაჟებული კამეჩის რქებით და ფეხშიშველი და გამურული ველური ყიჟინით უნდა გამოვარდნილიყო „ტყიდან", ანუ მხატვრების ბაღიდან, უნდა გადმოეჭრა ტრასა და თავს დასხმოდა „რომაელებს", რომლებიც, თავის მხრივ, მოიგერიებდნენ ბარბაროსს. ამ სამუშაოსთვის მიქატაძე მიიღებდა დღეში ათ ლარს. მიქატაძე პირობას დასთანხმდა, ოღონდ ერთი პირობით: მას ფეხები არ უნდა გაეპარსა. ეს პირობა კუზიანმა ვანომ გადაუთარგმნა იტალიელს. იტალიელმა გაიღიმა, გოგილოს მხარზე ხელი მოუთათუნა და თავის კეთილხმოვან ენაზე განაცხადა, რომ ბარბაროსისთვის ფეხების გაპარსვა საჭირო არ არის. ერთი სიტყვით, მორიგდნენ და ყველა დაწყნარდა, დამშვიდდა და დაკმაყოფილდა.

ბერძნულ-რომაული რესტორანი გაფართოვდა, გამდიდრდა და ქალაქში ერთ-ერთ პრესტიჟულ დაწესებულებად იქცა. მას იცავდა ახლა არა ორი ლეგიონერი, არამედ ლეგიონერთა დიდი რაზმი, ხოლო ერთი ბარბაროსის (გოგილოს) ნაცვლად ლეგიონერებს თავს ესხმოდნენ ბარბაროსთა ჯგუფები, რომლებიც ხან ვანდალებად იყვნენ გადაცმულები, ხანაც – ჰუნებად ან გალებად. ზოგჯერ, თუ ძალიან ბევრი იყო რესტორანში ხალხი, მათ პატივსაცემად გლადიატორთა ბრძოლები და სპარტაკის აჯანყებაც იმართებოდა. გოგილო, კნაჭო და ხისთავა, როგორც ამ საქმის პიონერები, წინამძღოლებს განასახიერებდნენ: გოგილო იყო სპარტაკი, ატილა, მეტლვუდი თუ ჰანიბალი; ხისთავა და კნაჭო კი თავის მხრივ – ლუკულუსი, პომპეუსი, კრასუსი, გრაჰკუსი და ა. შ. მოქეიფეები ქეიფობდნენ და ნაძლევებს დებდნენ, თუ ვინ გაიმარჯვებდა – რომაელები თუ ბარბაროსები. ესენი კიდევ უხათქუნებდნენ ერთმანეთს. მოქეიფეებს და ქალაქის მცველებს ეს ამბავი ართობდათ. ხელისუფლებაც კმაყოფილი იყო, რადგან ახალგაზრდობა დასაქმდა და ქუჩას მოსწყდა.

მხოლოდ ცალკეული მხატვრები გამოთქვამდნენ გაუბედავ პროტესტს. საქმე ის იყო, რომ ბარბაროსები სწორედ იმ ბაღში იყვნენ დაბანაკებულნი, სადაც მხატვრებს გამოაქვთ ხოლმე ნამუშევრები გასაყიდად. ბარბაროსები ბაღში ყრიდნენ სიგარეტის ნამწვებს და ერთჯერად შპრიცებს, აშარდავდნენ ხეებსა და ბუჩქებს, იგინებოდნენ და თამაშობდნენ კარტს, ზოგჯერ პარავდნენ მხატვრებს ნამუშევრებს. აბა, ან სხვა რა იყო მოსალოდნელი გოგილოს, ხისთავას და კნაჭოსნაირი ადამიანებისგან, თუმცა ბირჟაზე დგომასა და უსაქმო ყიალს მაინც ეს ჯობდა.

რესტორნის მეპატრონეები კრიმინალური ავტორიტეტი გოგოჭური და მაფიოზი პიჩერონე კმაყოფილნი იყვნენ მოვლენების ამგვარი განვითარებით. განსაკუთრებით პიჩერონე იყო ფრთაშესხმული ბარბაროსთა შემოსევებით. მას ახლა კინობიზნესისთვისაც დაედო თავისი მაფიოზური თათი. ის მოლაპარაკებებს აწარმოებდა მსოფლიოს წამყვან კინოკომპანიებთან, რათა კინოს რამდენიმე მეგავარსკვლავის მონაწილეობით გადაეღო ჩვენს ქალაქში მაღალბიუჯეტიანი მხატვრული ფილმი პირობითი სახელწოდებით „დაცემა რომისა". ეს მოლაპარაკებები არ იყო ყოველთვის იოლი: კინოკომპანიები და ზოგიერთი განებივრებული კინოვარსკვლავი ზოგჯერ მეტისმეტს ითხოვდნენ ფილმის დამფინანსებლებისგან. თუმცა დამფინანსებლებს ეს არ აღელვებდათ, რადგან შეუცვლელები არ არსებობენ. თუ არ გამოვიდოდა მოლაპარაკება ერთ კინოვარსკვლავთან, მაშინ ამ როლზე აიყვანდნენ მეორეს.

რაც შეეხება ეპიზოდურ როლებს და მასობრივ სცენებს, ამ მხრივ არ იყო პრობლემა სავსებით. მსურველი იყო უამრავი.

ბარბაროსებს ჩვენს ქალაქში რა დალევს!

მაცივარი სექსისა წილ

ძველი, ტლანქი, მამისეული მაცივარი „აფშერონი“ და ეული სამზარეულოს სკამი, აი, სულ ეს იყო, რაც რამ შემორჩენოდა კარბელაშვილის სამზარეულოს. სკამი იმიტომ, რომ ერთი იყო და განსხვავებული, იგი, უბრალოდ, არ გააყოლა ხელს იმ მყიდველმა, რომელმაც ოთხი ერთნაირი სამზარეულოს სკამი იყიდა მისგან. ძველი, მამისეული მაცივარი „აფშერონიც“ იმავე მიზეზით შემორჩენოდა ალბერტს, მასაც არავინ ყიდულობდა და ისიც, როგორც ბოროტი აჩრდილი, მუდამ თან სდევდა. ჯერ კიდევ ძველ ბინაში ედგათ იგი კარბელაშვილებს, ძველ ოთხოთახიან ბინაში, რომელიც ალბერტის მშობლებმა დიდი ხნის წინათ გაყიდეს და, სანაცვლოდ, სამოთახიანში გადავიდნენ. შემდეგ ისევ სამოთახიანში გადავიდნენ, ოღონდ, შედარებით ცუდ რაიონში. შემდეგ ალბერტის მშობლები ნელ-ნელა იმქვეყანას გადაბარგდნენ, ხოლო მათ დროს საფუძველჩაყრილი ტრადიცია ბინების, ავეჯისა თუ სხვა საოჯახო ნივთების გაყიდვისა, მათმა შთამომავალმა გააგრძელა. ალბერტ კარბელაშვილი დროდადრო ყიდდა ბინებს ან ცვლიდა მათ უფრო პატარა ბინებში, ყიდდა საოჯახო ნივთებს და აქედან მორჩენილი ფულით ირჩენდა თავს. ის უკიდურესად ღიზიანდებოდა ხოლმე, როცა საკუთარ თავს უსვამდა და ვერ პოულობდა ხოლმე პასუხს ერთადერთ კითხვაზე – როდემდე???!!!

ალბათ აქამდე, აი, აქამდე, ამ ერთოთახიან, მოცუცქნულ ბინამდე, უღიმღამო ქალაქის უკიდურეს გარეუბანში რომ მდებარეობდა. გარეუბანში, რომელსაც „ევას პავაროტს“ ეძახდნენ ქალაქელები თავისი სიშორისა და მოწყვეტილობის გამო; გარეუბნისა, რომლის ქუჩებშიც ღამღა-

მობით ნახევრად გაველურებული მშიერი ძაღლებისა და ნახევრად მოშინაურებული ტურების ხროვები ერთმანეთს დაეტაკებოდნენ ხოლმე ნაგვით სავსე, ბინძური სანაგვე ბუნკერების გამო და ერთ ვაი-უშველებელს ტეხდნენ. მოსახლეობაც საშიში იყო აქ და ფათერაკიანი, უმრავლესობა არსად არ მუშაობდა და კაცმა არ იცის, რით ირჩენდნენ თავს. ზაფხულში დილიდან საღამომდე ქუჩაში, თავიანთი სახლების წინ ეყარნენ, ხოლო ზამთარში – ეშმაკმა უწყის, სად იყვნენ და რას იქმოდნენ ზამთარში. „ევას პავაროტი“ იყო უკიდურესი, განაპირა დასახლება ქალაქისა, რომლის იქითაც იწყებოდა მინდვრები და სოფლები და ამას იქით გადაბარგება აღარ შეეძლო ალბერტს. მას ქალაქში ბუჩქის ძირას ცხოვრება ერჩია სოფელში ყოფნას. იქ ხომ მუშაობა იყო საჭირო, მას კი შრომა ჭირივით სძულდა.

ეული სამზარეულოს სკამი, რკინის, ნიკელებამძვრალი და იმ ამძვრალებში დაჟანგული საწოლი, დიდი ხნის წინათ მოდიდან გამოსული მახინჯი კარადა, უხეირო ფაბრიკის მიერ გამოშვებული, აშლილი პიანინო და ოცდაათი წლის წინათ ნაყიდი მამისეული მაცივარი „აფშერონი“ – აი, სულ ეს იყო, რაც კარბელაშვილის ბინას შემორჩენოდა, ისიც იმიტომ, რომ ამ ავლადიდებას არავინ ყიდულობდა. განსაკუთრებით მომაბეზრებელი იყო მაცივარი, რომელიც ჯერ კიდევ ალბერტის დაბადებამდე ეყიდათ მის მშობლებს. მასში მოულოდნელად იფეთქებდა ხოლმე რაღაც, რის შემდეგაც მაცივრის ძრავა გრუხუნითა და ზანზარით იწყებდა მუშაობას, მაცივარი ზანზარებდა და სამზარეულოში ჭურჭელს აზანზარებდა. ეს ზანზარი, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მატულობდა. მაცივარი ძრავას მუშაობისას ახლა უკვე ადგილსაც იცვლიდა და სამზარეულოში დაბაჯბაჯებდა. ალბერტის მამა მძიმე, სელიკატურ აგურებს შემოუწყობდა ხოლმე მას, რათა ერთ ადგილზე ეგრუხუნა და სამზარეულოში არ ევლო, მაგრამ დროთა განმავლობაში მაცივარმა აგურთა ზღუდის გადალახვა ისწავლა: აგურებიდან სასწაულებრივ ამოხტებოდა ხოლმე და სამზარეულოში დაგრუხუნებდა. საოცარი ძალისა და შეუპოვრობის მქონე თითქმის ცოც-

ხალი ეს არსება ზოგჯერ დერეფანსა და შუა ოთახშიც გამოდიოდა და კედლებს ეხეთქებოდა. ელექტროქსელში ჩართული შნურით იგი ძალიან ჰგავდა გრძელსაბელიან დიდ თეთრ ძაღლს, რომელიც დროდადრო ყეფს და დარბის, შემდეგ ჩაჩუმდება და სადმე ჩაწვება, მერე ისევ აყეფდება გაგულისებული. ამ მაცივრის გაყიდვა არანაირად არ ხერხდებოდა და კარბელაშვილებიც ეგუებოდნენ მას, რადგან იგი, მიუხედავად თავისი ავი ზნისა, ჯერ კიდევ მაინც აცივებდა.

ალბერტი ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა უფასო განცხადებათა იმ რუბრიკას, სადაც დიდი მუქი ასოებით ეწერა სიტყვა „ვიყიდი", და ხელში კალამმომარჯვებული გაფაციცებით ეძებდა ნახმარი მაცივრის მყიდველს. ამგვარი მყიდველი გაზეთში, მართლაც, აღმოჩნდა. იგი იტყობინებოდა, რომ ჟუჟუნა ერქვა და შეიძენდა ნახმარ მაცივარს შეღავათიან ფასში. იყო ტელეფონის ნომერიც. ალბერტმა განცხადება შემოხაზა, ოთახში გავიდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და განცხადებაში მითითებული ნომრის აკრეფას შეუდგა. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ყურმილმა შესაბამისი ხმები გამოსცა და ალბერტიც მიხვდა, რომ დაირეკა. ცოტა ხანში ყურმილი იქითა მხრიდან აიღეს და გაისმა ქალის წვრილი თუ სპეციალურად დაწვრილებული ხმა. ასეთი ხმით და განსხვავებული ინტონაციით წარმოთქმული გამოძახილიც სხვანაირად გაისმა:

– ბა-ნიო-ნოო!

– ალო! – ჩაახველა და ჩაჰყვირა ყურმილს კარბელაშვილმა „ბაწიონოს" გაგონებისას, – ალო, ქალბატონ ჟუჟუნას სთხოვეთ!

– ჟუ-ჟუ-ნა ვარ! – უპასუხა ქალმა მწივანა ხმით.

– მე თქვენი განცხადების თაობაზე გირეკავთ, ქალბატონო ჟუჟუნა! მაცივარი მაქვს გასაყიდი.

– ააა! რა მაცივარია? – გაუხარდა ჟუჟუნას.

– აფშერონია! აფშერონი! – ჩაჰყვირა ყურმილს ალბერტმა.

– აფ-შე-რო-ნი? რა ღიირს? აფ-შე-რო-ნე-ბი ცუ-დე-ბი-ა-ო! – ჩაიწივლ-ჩაიწრიპინა ქალმა.

– კარგებია, კარგები! – შეაქო აფშერონები ალბერტმა.
– რა ღირს? – იკითხა ისევ ქალმა.
– იაფი! – იყო პასუხი, – ასი ლარი.
– ასი ლარი? ძვირია ასი ლარი! – იძვირა ქალმა.
– მაშინ – ოთხმოცი! – დაუკლო ალბერტმა.
– ოთხმო-ცი? ძვირია ოთხმოცი! – თქვა ქალმა.
– მაშინ – სამოცდაათი! – კიდევ დაუკლო ალბერტმა.
– ორმოცდაათად არა?
– არა!
– რატო, აფშერონები ცუდიაო! – დაიწრიპინა ქალმა.
– ცუდია თუ კარგია – არა! – დაუტია ჟუჟუნას ალბერტმა, – სამოცდაათია ბოლო!
– თქვენი მიტანით? – გამონახა ახალი გასაძრომი ხვრელი ქალმა.
– არა, ქალბატონო, რა მიტანით, რა მოტანით! – აყვირდა ალბერტი, – არავითარი მიტანით!
– მატორი კარგი აქვს? – იკითხა ქალმა, – კარგ მდგომარეობაშია?
– მატორიც კარგი აქვს და მაცივარიც კარგ მდგომარეობაშია! – უპასუხა ალბერტმა.
– უნდა ინახოს! – განაცხადა ქალმა.
– მერე, მობრძანდით და ნახეთ! – უთხრა ალბერტმა.
– ტერიტორიულად სად იმყოფებით?! – იკითხა ქალმა.
– ევას პავაროტში! – უპასუხა ალბერტმა.
– ევას პავაროტში? – შეფიქრიანდა ქალი, – უი, რა შორს ყოფილხართ. მანდედან წამოღება ძვირი დამიჯდება! არა, არ მაწყობს!
კარბელაშვილი მიხვდა, რომ კლიენტს კარგავდა, და განწირული ხმით ჩაჰყვირა:
– კარგი, ათსაც დაგიკლებთ სამოცი იყოს!
– მერე, მუშები?! – იკითხა ქალმა.
– შოფერს მოელაპარაკე და ჩატანაში მე მოგეხმარები!
– ატანაში?! – იკითხა მადამოსულმა ჟუჟუნამ.
– არა, მარტო ჩატანაში და მანქანაზე დადებაში! – შესთავაზა ალბერტმა თავისი ვარიანტი.

ამის შემდეგ ქალბატონმა ჟუჟუნამ კარბელაშვილის მისამართი ჩაინერა, დაახლოებით, საათ-ნახევარში მოსვლა აღუთქვა, დროებით დაემშვიდობა და მათი სატელეფონო საუბარიც ამით დამთავრდა.

საათ-ნახევრის შემდეგ ზარმა, როგორღაც განსხვავებულად, ძალიან ძლიერად დარეკა. ისე ძლიერად, თითქოს ვინც რეკავდა, კი არ რეკავდა, არამედ კედელზე თითით აჭყლეტდა ბაღლინჯოს, რათა კარგად ჩაესრისა იგი შპალერში. ალბერტმა კარი გააღო და ზღურბლზე გამოჩნდა ლოყებღაჟღაჟა, დიდთავა ქალი – მსუქანი, მაღალი და ზონზროხა. ასეთი ტიპის ქალები, ანუ ისინი, ვინც, ერთდროულად, მაღლები, მსუქნები, დიდთავები და ლოყებღაჟღაჟანი არიან, ხშირად წრიპინა და მწივანა ხმას გამოსცემენ ხოლმე. მიაჩნიათ, რომ ამ გზით თავიანთ ზონზროხობას, ერთგვარად, გააბათილებენ. მართლაც, თუ ქალი ერთდროულად მაღალი, მსუქანი, დიდთავა და ლოყებღაჟღაჟაა, მას ხმაც რომ უხეში და ბოხი ჰქონდეს, აღარ იქნებოდა საშველი. აი, ხელოვნურად დაწვრილებული ხმა და ჩვევად გადაქცეული, გოჭის ჭყვიტინისმაგვარი ლაპარაკი კი ოდნავ აბათილებს ზონზროხა ქალების ზონზროხობას. დაახლოებით ასევე იქცევიან მელოტი კაცებიც, როცა თავზე თმების უქონლობის გამო მოუშვებენ ხოლმე ხარბ და წუწკ, ყოვლისმომცველ ულვაშს, ხოლო ზოგჯერ ტროპიკული სიხშირის წვერსაც, რათა ამ გზით მაინც გააბათილონ მცენარეული საფარის უქონლობა თავიანთ თავებზე.

მოკლედ, კარსმომდგარმა ჟუჟუნამ თავისი ტიპის ქალებისთვის დამახასიათებელი წრიპინ-წივილით დაიწრუწუნა და ფეხების დაუდევარი წმენდის შემდეგ, რაც ცხენის ადგილზე ნავარდს უფრო ჰგავდა, – ალბერტთან შევიდა. ალბერტმა იგი სამზარეულოში შეიპატიჟა და მაცივართან მიიყვანა.

– აი, ჩემი მაცივარიც, – უთხრა ალბერტმა ჟუჟუნას, – უი... აი! – ხმამაღლა, პრეტენზიული ხმით ალაპარაკდა ღაჟღაჟა ქალი. იგი ხინჯებს ეძებდა მაცივარში და ეტყობოდა, რომ ასეთი იყო ყველაფერში – პრეტენზიული. ხინჯი მან მაცივარს ვერ უპოვა, მაგრამ, სამაგიეროდ, მაცივარში დაინახა ოდნავ ნაკლული

არაყი „მიმინო“, ძეხვის ნაჭერი და მდოგვიც, პაწაწკინტელა პლასტმასის ქილაში. მან ცუდად დაფარული სიამოვნებით შეათვალიერა ეს სასუსნავი და ხმაში სიტკბოშეპარულმა გაუბა საუბარი ალბერტს ოჯახური მდგომარეობის თაობაზე. როცა გაიგო, რომ იგი უცოლო იყო, მაშინვე საკუთარი ამბავიც ჩაუკაკლა. მისივე ნაამბობით, ჟუჟუნას ჰყავდა ქმარი, ჰქონდა პატარა ბინა და მუშაობდა რომელიღაც დაწესებულებაში რაღაცის რაღაცად. ქმარი ჟუჟუნასი, ამ უკანასკნელისვე თქმით, ერთობ გაუნათლებელი, ხეპრე კაცი იყო და მას სახლში მხოლოდ ვალები მოჰქონდა. მას მევალეები აკითხავდნენ. ის გაუთავებლად რაღაცას გეგმავდა, გაუთავებლად იღებდა ვალებს, რათა ეს გეგმები როგორღაც განეხორციელებინა, მაგრამ, გეგმების განხორციელების ნაცვლად, ვალებს ვალები ემატებოდა და მევალეებიც სულ უფრო ხშირად და სულ უფრო აგრესიულად უტალახებდნენ ჟუჟუნას კარს. ქმარი დილით იძურწებოდა და მხოლოდ გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. საწყალი ჟუჟუნა კი (მისივე თქმით, საწყალი) იძულებული იყო, მევალეთა გაუთავებელი წუწუნი, ბუზღუნი, ჩივილი და მუქარა მოესმინა. მას ქმარი არ უყვარდა და არც პატივს სცემდა, ასეთი ქმრის დასჯაზე ოცნებობდა, ოღონდ, არ იცოდა, როგორ. ბინა ჟუჟუნასი ბოლო, მეცხრე სართულზე იყო განლაგებული და მას სახურავის უვარგისობის გამო წვიმის დროს წყალი ჩამოსდიოდა ხოლმე თავზე, „უვარგის“ მეზობლებს კი სადარბაზოში ფულის შეგროვება არ სურდათ, რათა საერთო სახურავი ერთობლივად გაერემონტებინათ. „უმაქნისი“ სამსახური, სადაც ჟუჟუნა მუშაობდა, დღითი დღე ღაფავდა სულს – მას და იქ მომსახურე სხვა თანამშრომლებს ხელფასს თითქმის არ უხდიდნენ. სამუშაოც თითქმის აღარ ჰქონდათ, მაგრამ, რომც ჰქონოდათ, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, არც მისი შესრულებით მოიკლავდნენ თავს, რადგან ისინი უფრო ყავის დასალევად და საჭორაოდ დადიოდნენ იქ. თუმცაღა ამგვარ სამართლიანობას ჟუჟუნა არ აღიარებდა, ისევე როგორც, არ აღიარებდა, საერთოდ, არაფერს, რაც კი თავად მას გაამტყუნებდა. მის გარშემო ტყუოდა ყველა და ყველაფერი, და მხოლოდ ის ერთადერთი

იყო ყველას და ყველაფრის წინაშე ცამდის მართალი. ამ თვისებით იგი ალბერტს ჰგავდა. ისინი სულით ნათესავები იყვნენ. თუმცა, ჟუჟუნას, ალბერტისგან განსხვავებით, აბსოლუტურად ყველაფერი თითქოს ჭარბად ჰქონდა, მაინც აკლდა მთავარი – სიყვარული. ამითაც იგი ჰგავდა ალბერტს.

ქალბატონი ჟუჟუნა ოცნებობდა ერთზე – მას უზომოდ სურდა, ჰყოლოდა ხნიერი, ფულიანი და მანქანიანი საყვარელი – აუცილებლად ოჯახიანი, რომელიც ფულითა და საჩუქრებით უზრუნველყოფდა მას, ექნებოდა შეხვედრის ადგილი, იქნებოდა, როგორც თვით ჟუჟუნა ამბობდა, ჰიგიენური და ანონიმური. ამ ორმოცს გადაცილებულ ზონზროხა ქალს ვერა და ვერ შეეგნო, თუ რატომ ვერ პოულობდა ასეთ მამაკაცს ან, საერთოდ, სად გამქრალიყვნენ ასეთი მამაკაცები. ისინი კი, ანუ, ასეთი მამაკაცები, ძალიან ცოტანი იყვნენ და მათ ქალები არ აკლდათ, თანაც ჟუჟუნაზე უფრო ახალგაზრდები და ლამაზები. ქალბატონ ჟუჟუნას უყვარდა კაცივით სმა. მას იმდენის დალევა შეეძლო, რომ ბევრ კაცსაც გაირჭობდა ყალიონივით ქამარში, თუკი სმაში გაეჯიბრებოდა ვინმეს. უყვარდა გრძელი, „მჭევრმეტყველური" სადღეგრძელოები ლექსების თანხლებით. ღაჟღაჟა და თვალებაჟუჟუნებული უხსნიდა ხოლმე თავის თანამეინახეებს, თუ რა არის, მაგალითად, დედმამიშვილის სიყვარული და როგორი სიყვარული შეუძლია დედმამიშვილს. ასეთსავე ყაიდაზე უყვარდა მას საუბარი მშობლებისა და სამშობლოს სიყვარულის შესახებ და, საერთოდ, ყველაფრის შესახებ, რასაც კი სმის დროს ტრადიციულად მოიხსენიებენ ხოლმე. მან იცოდა სიმღერაც და თუკი იქ, სადაც ის სვამდა, პიანინო აღმოჩნდებოდა, მაშინ ის ბრახუნით უკრავდა და გრძნობამორეული მღეროდა მწივანა ხმით. თუ ხელს შეუწყობდა სიტუაცია, სმის დროს ჟუჟუნამ იცოდა უწმაწური სიტყვების თქმაც. მას მოსწონდა ეს. ძალიან უყვარდა მსუყე საჭმელების ჭამა. ის მეტად მადიანი იყო და ქეიფის დროს ამის თაობაზე გაიხუმრებ-მოიბოდიშებდა ხოლმე, შემდეგ კი გადაჭამდა ყველაფერს, განსაკუთრებით იმ კერძებს, რომლებიც ღორის ხორცისგან იყო დამზადებული. ღორის ხორცი ძალიან უყვარდა.

ამასობაში, როგორღაც, ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, ორმოცს მიტანებულ ალბერტსა და ორმოცს გადაცილებულ ჟუჟუნას შორის გაიმართა ცხოვრებისეული საუბარი, რომელშიც ჟუჟუნას მიერ მოგონილი და მის მიერვე კარგად შენიღბული ან უფრო გაუმჟღავნებელი, მაგრამ მიზანდასახული და სწორხაზოვანი აზრი იყო ჩადებული. ეს აზრი კი, დაახლოებით, ამას ითვალისწინებდა: ჟუჟუნას და ალბერტს მაცივარში შენახული არაყი და ძეხვი უნდა მიერთმიათ, შემდეგ უნდა ეკოტრიალათ ლოგინში ერთად, ხოლო ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელი იქნებოდა ის ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომ მადლიერების გრძნობით აღსავსე ალბერტი უსასყიდლოდ გადასცემდა ჟუჟუნას მაცივარს.

ერთი სიტყვით – მაცივარი სექსისა წილ.

მიუხვედრელი (როგორც ყველა მამაკაცი) ალბერტი კი ვერა და ვერ ხვდებოდა თუ, რომელი ეშმაკისაკენ უქცევდა ეს ჯერ კიდევ უცხო ქალი. გარკვეულწილად ეს, ალბათ, იმიტომაც ხდებოდა, რომ სახლის პატრონს აფიქრიანებდა ერთი გარემოება: მაცივარი, მართალია, აცივებდა და მასში სინათლეც ინთებოდა კარის გაღებისას, მაგრამ მას ჯერ არ დასდგომოდა ის მომენტი, როცა სითბური რელე უნდა ჩართულიყო და მაცივრის ძრავა აემუშავებინა – აი, აქ კი როგორი იქნებოდა მყიდველი ქალის რეაქცია, ეშმაკმა უწყოდა. მოინდომებდა განა ეს პრეტენზიული ქალი ამისთანა გიჟმაჟი მაცივრის ყიდვას, რომელიც ზოგჯერ გარშემოწყობილ სელიკატურ აგურებსაც არ ეპუებოდა, ამოხტებოდა ამ აგურებიდან და ოთახში დახტოდა გიჟივით.

ჟუჟუნას კი ამასობაში, რომ იტყვიან, მარცვალ-მარცვალ და ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა ერთობ „შემყვანი" და პოპულარული საუბარი იმის თაობაზე, რის განხორციელებაზედაც ის ამყარებდა იმედს, ანუ: „მაცივარი სექსისა წილ", მაგრამ მას სურდა, რომ ეს აზრი თავად მოსვლოდა თავში მაცივრის პატრონს, თავადვე შეეთავაზებინა ჟუჟუნასთვის ამგვარი გარიგება (რასაკვირველია, ოჯახის ქალისთვის მისაღები ფორმით) და, ბოლოს, დიდი დარწმუნებებისა და შეცხადებების შემდეგ დასთანხმებოდა მაცივრის პატრონ ალბერტ კარბე-

ლაშვილს, – მაცდურსა და ცუღლუტს, – ცდუნებაზე.

– ჩემი ქმარი რომ კაცად ვარგოდეს, მე აქ ვიქნებოდი? – მსჯელობდა ქალბატონი ჟუჟუნა თავისი ქმრის ვარგისიანობაზე და სულ იმის ფიქრში იყო, თუ როდის გამოიღებდა მიუხვედრელი მასპინძელი არაყსა და ძეხვს, – ამ დრანდულეტ მაცივარს უნდა ვყიდულობდე მე-ე? ან ჩემი ქმარი რომ კაცი იყოს, მე გამომიშვებდა ევას პავაროტში მაცივრის საყიდლად? მაგრამ არა, მაგას მხოლოდ მევალეები მოჰყავს სახლში! დილით უთენია გაიძურწება და შუაღამისას მოდის, მე კი მევალეებთან თავის მართლება მიხდება. იმ დღესაც ტელევიზორი ჩემი ხელით ჩავიტანე ატელიეში, ორი კვირა გაფუჭებული ეგდო სახლში. ჩემი ფულით გავაკეთებინე! არ ვიცი, რა ვუყო! რა ვუყო, არ ვიცი! ეგ კაცია?! ეგ კაცია?! – თუხ-თუხებდა ზონზროხა ჟუჟუნა და მოცუცქნულ სამზარეულოში მბრძანებლურად გადი-გამოდიოდა. ამ გავლა-გამოვლისას საეჭვოდ ეხახუნებოდა ალბერტს.

ალბერტმაც ორიოდეჯერ ვითომ შემთხვევით წააყოლწაუთათუნა მზვერავი ხელი ახურებული ფაშატივით აფრუტუნებულ დედაკაცს, ხოლო შემდეგ გაბედა და ქმრის ცოტათი დასჯაც შესთავაზა:

– მართლაც, მეტად არასერიოზული კაცი ყოფილა შენი ქმარი, – თქვა მან და ორაზროვნად შესცინა სახეში ქალს, – ასეთი კაცი ყველაფრის ღირსია! ასეთი კაცი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, ხოლო ყველაზე შესაფერისი სასჯელი ასეთი კაცისთვის ცოლის ღალატია! დიახ, ღალატი! შენ მას უნდა უღალატო!

– ღალატი? ვუღალატო? – გაიოცა ჟუჟუნამ და უმანკო წარბები მიამიტად აპრიხა, ის არც კი აღშფოთებულა, იმიტომ, რომ მან ნათქვამი ისე მიიღო, როგორც რაღაც მისთვის სავსებით ახალი და მოულოდნელი. ანუ ისეთი, რაც მისთვის არც არასდროს ეთქვათ და არც თვითონ მოსვლოდა აზრად, – ვუღალატო? ვუღალატებდი, ისე, ღირსი კია, მაგრამ ვისთან? ვისთან? დღევანდელმა მამაკაცებმა ხომ საერთოდ არ იციან ქალის დაფასება!

– ჩემთან უღალატე შენს ქმარს! მე დაგაფასებ! – შესთავაზა

ალბერტმა ჟუჟუნას და თითებით ზონზროხა გავაზე ნაეპოტინა.

– უჰჰ, – მოიცილა თავისი ღონიერი, კოტიტა თითებით ალბერტის დონდლო, ოფლიანი ხელი ჟუჟუნამ, – შენ რითი უნდა დამაფასო, როცა ჩემს ქმარზე უფრო გაღლეტილი ხარ?! ერთი მაცივარი დაგრჩა და იმასაც ყიდი!

– მერე რა, ყველაფერი ფულით ხომ არ იზომება, – გაიმართლა თავი ალბერტმა და დიდცხვირა ღიმილით იმ ადგილზე დაიხედა, რომელიც ფულით მართლა არ იზომება, არამედ მხოლოდ სახაზავით, შტანგენფარგლითა და ტრანსპორტირით.

შემდეგ ისევ ნაეპოტინა ჟუჟუნას ზონზროხა გავაზე.

– უჰ, დამანებე, შენი ჭირიმე, თავი, – მოიშორა ალბერტის ხელი ჟუჟუნამ, – უფულო კაცი ვის რად უნდა. აი, ერთი ბებერი ვინმე რომ იყოს ფულიანი, მატერიალურად რომ ხელი გამიმართოს! არ იცნობ არავის? შენ მაინც გამაცანი ვინმე.

– აბა, მე ვინ უნდა გაგაცნო... – ჩაიბურტყუნა ალბერტმა და მიჩუმდა.

ქალი წუწკად უტრიალებდა მაცივარს, აღებდა და ხურავდა მას, მსუნაგად ყოფდა თავს შიგ. ამას მაცივრის გასინჯვის საბაბით აკეთებდა, მაგრამ, სინამდვილეში, სულ იმის მოლოდინში იყო, როდის მიხვდებოდა მასპინძელი და შესთავაზებდა არაყსა და ძეხვს. მასპინძელი კი ვერ ხვდებოდა, უფრო სწორედ, არ ხვდებოდა ძეხვისა და არყის შეთავაზებას, რადგან არ ჰქონდა მას იმის მყარი გარანტია, რომ გამასპინძლების შემდეგ მანდილოსანიც გამოავლენდა სათანადო მადლიერებას და მიიღებდა მასპინძლის შეთავაზებას უღირსი ქმრის ღალატით დასჯის თაობაზე.

ამ კრიტიკულ სიტუაციას, ალბათ, საბოლოოდ გადაწყვეტდა მაცივრის სითბური რელეს ჩართვა და ძრავას ამოქმედება. მაცივარი კი ჩართვას ჯერ არ აპირებდა და როდის მოხდებოდა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, არავინ უწყოდა. ალბერტ კარბელაშვილის მამაპაპური მაცივარი ძრავას ჩართვას ყოველგვარი გრაფიკის გარეშე აწარმოებდა და მაშინ ირთვებოდა, როცა თავად ჰქონდა ამის ხოში. ბოლოს,

როგორც იქნა, გაისმა აფეთქებისმაგვარი გრუხუნი და მაცივარი ფეთქებადი გნიასით ბნედიანივით აძაგძაგდა. ის გარშემოწყობილი აგურებიდან ცდილობდა ამოხტომას, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან ალბერტს მძიმე სელიკატური აგურები არ დაეშურებინა და მაცივრის გარშემო მტკიცედ შემოეწყო. ქალბატონმა ჟუჟუნამ მოულოდნელობისგან შეჰკივლა და შიშისაგან ალბერტს ჩაეკრა მკერდში. შემდეგ კი ეს უკანასკნელი უკუაგდო და თავისი მწივანა ხმით აღშფოთება გამოხატა:

– უ-ი, ეს რა არის! – ყვიროდა ის, – უ-ი, ეს რა იყო! უ-ი! – ერთი სიტყვით, გაახურა: – „უი“ და „უი-ვაი“.

– ცოტა ხმაურიანი ძრავა აქვს, ეს არის და ეს! – ამშვიდებდა მას ალბერტი.

– უ-ი, ეს რა ყოფილა, ეს ხომ მეზობლებს გამიგიჟებს, ღამით რომ ჩაირთვება!

– არაფერსაც არ გაგიგიჟებს! – ამშვიდებდა ალბერტი.

– უ-ი! – ყვიროდა ქალი.

ბოლოს, როგორც იქნა, მაცივრის ძრავა გამოირთო და ქალიც ცოტათი დამშვიდდა. ის დროდადრო წამოაყრანტალებდა ხოლმე თავის „უი“-ს, მაგრამ უკვე არა ისეთი გრძნობით. ქალს სურდა, რაც შეიძლება, დაეკნინებინა მაცივრის ღირსება მისი ხმაურიანი ძრავას გამო, ალბერტი კი ცდილობდა, მაცივრის ეს მანკი როგორმე გაექარწყლებინა და წარმოეჩინა, როგორც უმნიშვნელო, სათვალავშიც არჩასაგდები რამ, საბოლოო ჯამში კი ერთიც და მეორეც ცდილობდნენ, თავიანთი არგუმენტების წყალობით, ზემოქმედება მოეხდინათ ფასზე. ჟუჟუნა სთავაზობდა ოც ლარს, ალბერტი კი ითხოვდა, მინიმუმ, ორმოცდაათს.

– ოცი! – დაიძახა უცებ ქალმა და მოულოდნელად სამზარეულოს ერთადერთ მორყეულ სკამზე ცალი ფეხი შედგა. შემდეგ საკუთარ ფუმფულა ბარძაყს თვითონვე მოეფერა, კაბის მატერია ზედ მიიტმასნა და ეშმაკი თვალების ჟუჟუნით, დაშაქრულად გაიმეორა: – ო-ცი!

კარბელაშვილმა ულაპარაკოდ დაუკლო თხუთმეტი ლარი და ტონშეცვლილმა და მოთვინიერებულმა ქალის ზორბა ბარძაყს

ქვევიდან კავივით ამოსდო ხელი, – ოცდათხუთმეტი! – თქვა მან გრძნობამორევით და ამჯერად უკვე შიშველ ბარძაყს მოეფერა.

– ო-ცი! – ჩასჩურჩულა მას ქალმა და უმტკივნეულოდ უკბინა ყურზე.

– ჰო, კარგი, ოცდაათი იყოს, – სთხოვა ალბერტმა ქალს მორჩილი ჩურჩულით და უფრო ღრმად შეუყო ხელი ბარძაყებს შორის.

ჟუჟუნამ ალბერტის ულონო ხელი თავის ღონიერ, კოტიტა მტევანში მოიქცია და საკუთარ ბარძაყზე აისვ-დაისვა, აბანოს ღრუბლით საპონს რომ ისვამენ, დაახლოებით, ისე.

– ჯანდაბას, წამო! – გამოსცრა ბედსშეგუებულმა კარბელაშვილმა, ქალბატონ ჟუჟუნას ძლევამოსილ წელს თავისი გრძელი, სოსისისებური ხელით მოეხვია და ოჯახის კეთილდღეობისათვის თავდადებული ქალბატონი სამზარეულოდან ოთახში გააგოგმანა. საწოლისკენ უბიძგა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ვერა, იმიტომ, რომ გარიგება ჯერ არ იყო დასრულებული.

– ჩამატანინებ და მანქანაზეც დამადებინებ! – გამოაცხადა ალერსიანი ჩურჩულით ქალმა.

– ჰო, კარგი! კარგი! – დასთანხმდა გრძნობამორეული ალბერტი, შემდეგ კი ისევ საწოლისკენ უბიძგა ქალს.

– ჯერ დავლიოთ, – თქვა ჟუჟუნამ და ახლა თავის მხრივ უბიძგა ალბერტს, ოღონდ არა საწოლისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებით. ღონიერი ბიძგებით შეაგდო იგი სამზარეულოში და ბიძგებითვე აიძულა, გაეღო მაცივრის კარი. კარბელაშვილმა მაცივრის კარი გამოაღო, მაგრამ ვინაიდან მაგიდა ბინაში აღარ გააჩნდა, ეს ყველაფერი პირდაპირ მაცივარზე დააწყო, შემდეგ ოთახში გავიდა და ტანსაცმლის კარადიდან, რომელშიც იგი, ყველაფერთან ერთად, პროდუქტებსაც ინახავდა, მოჭმული თუ მომტვრეული, შემჭკნარი პური და ნალექიანი, ჭუჭყიანი ჭიქები გამოიღო. ესეც მაცივარზე დააწყო, შემდეგ ეს ყველაფერი მოუხეშავად აკრიფა, მტვრიან მაცივარს სული შეუბერა და, რაც ხელში ეჭირა, ისევ ზედ დაალაგა. მაინც არ მოეწონა, გაუქმებულ

გათბობის ბატარეაში გაჩრილი, გახეული ცელოფნის პარკი გამოიღო, მაცივარზე გაშლილი პურმარილი გვერდზე გასწია, მაცივარს ცელოფანი ზევიდან გადააფარა და უკვე მესამედ გაშალა სუფრა.

– მოდი! – უთხრა ჟუჟუნას და მაცივართან მიიპატიჟა მუშურ-გლეხურად საპურმარილოდ.

ჟუჟუნამ ამ ფაქტთან დაკავშირებით დამცინავი პროტესტი გამოთქვა და მაცივართან ფეხზემდგომელა შეთავაზებულ ქეიფზე რამდენიმე სარკასტული შენიშვნაც გააკეთა. მან ჯერ ფანჯრის რაფაზე მოითხოვა სუფრის გადატანა, მაგრამ ვინაიდან ერთი სკამი ჰქონდათ და ისიც მორყეული, ჟუჟუნას ინიციატივით მათ ეს სკამი ოთახში შეიტანეს, ნიკელებამძვრალ საწოლს მიუდგეს, ზედ გახეული ცელოფანი გადააფარეს და მასზე გაშალეს სუფრა, სხვათა შორის, დროულად, რადგან ის იყო, ალბერტმა აიღო მაცივრიდან არაყი და ჭიქები, რომ სწორედ მაშინ ჩაირთო მაცივრის ძრავა ხელმეორედ და, ამ ერთ დროს თეთრმა, ახლა კი სიყვითლეშეპარულმა, თითქმის ცოცხალმა არსებამ ღრიალით ისე მძლავრად დაიქნია ტანი და ისეთი ძალით აძაგძაგდა, რომ პური, ძეხვი და მდოგვი სულ აქეთ-იქით მიმოფანტა. არაყი და ჭიქები ბეწვზე გადარჩა დამსხვრევას. ჟუჟუნამ და ალბერტმა ძირს მიმოფანტული პროდუქტები შეაგროვეს, ცელოფანგადაფარებულ, მორყეულ სკამზე არაყთან და ჭიქებთან ერთად დააწყვეს და ნიკელებაყრილ, ჟანგიან საწოლზე გვერდიგვერდ დასხდნენ. ალბერტმა „მიმინო“ ჩამოასხა.

– მარილი დაგავიწყდა! – უთხრა ძეხვით და პურით პირგამოტენილმა ჟუჟუნამ ალბერტს და ძალიან ღონივრად უჩქმიტა საჯდომზე.

ალბერტი ადგა და მარილი მოიტანა. ისინი სვამდნენ არაყს, ჭამდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს, უფრო სწორედ, ალბერტი ეფერებოდა ჟუჟუნას, ეს უკანასკნელი კი უფრო ჩქმეტდა მას – ამოგლეჯამდე ღონივრად ჩქმეტდა. დროდადრო მუსიკაც ჰქონდათ: ეს იყო პატარა ზომის იაფფასიანი რადიომიმღები, რომელიც ოთხ ვოლტზე მუშაობდა და რომელსაც ადაპტორი დასნვოდა, ხოლო ელემენტები თითქმის

დასცლოდა. ამ ტექნიკური მიზეზის გამო მიმღების ქსელში ჩართვა არ ხერხდებოდა, ხოლო ელემენტები მხოლოდ ცოტა ხნით კვებავდნენ მას. შემდეგ კი საჭირო ხდებოდა მიმღების გამორთვა, რათა დაუძლურებულ ელემენტებს ძალა მოეკრიბათ, შემდეგ შეიძლებოდა მიმღების ხელახლა ჩართვა ცოტა ხნით. ჟუჟუნამ იცოდა პიანინოზე დაკვრა, უფრო სწორად, ულარუნი, მაგრამ რადგანაც ერთადერთ სკამზე სუფრა იყო გაშლილი, ხოლო საშინლად აშლილ პიანინოს კლავიშებიც აკლდა, ჟუჟუნა არცთუ ძალიან ილტვოდა დასაკრავად. ის ომახიანად სვამდა არაყს, კაცურად თხზავდა სადღეგრძელოებს, ურთავდა მათ სახელოვან პოეტთა ლექსებს და იგინებოდა. უწმაწური სიტყვებით გმობდა იგი ქმარს, მეზობლებს, თანამშრომლებს, თავისი დაწესებულების ხელმძღვანელობას და ქვეყნის თავკაცებს. ყველას თავის პირად მტრად, უბადრუკი ყოფის მიზეზად და დამნაშავედ მიიჩნევდა. დაახლოებით, იმავე განწყობაზე იყო ალბერტიც.

როცა არაყი გაუჯდათ, უფრო სწორად კი, როცა კარბელაშვილს გაუჯდა ძარღვებში ეს მათრობელა სითხე, მან ჯიბეზე გაიკრა ხელი და კიდევ ერთი ბოთლი „მიმინოს" ამოტანა შესთავაზა ჟუჟუნას. ჟუჟუნამ ვითომდა შორს დაიჭირა, აქაოდა, „ნუ იხარჯებითო", თუმცა ეტყობოდა, რომ მასაც აშლოდა საღერღელი.

– ფული გააქვს, რო იჭაჭები? – დამყვავებლურად ჰკითხა ჟუჟუნამ ალბერტს და აბანოს ღრუბელივით აისვ-დაისვა ბარძაყზე მისი ხელი.

– ფული? ფული არა მაქვს, – უპასუხა შემთვრალმა ალბერტმა ენის ბორძიკით, მაგრამ შენ ხომ უნდა მომცე ოცი ლარი! ჰოდა, იმ ოცი ლარიდან ვიყიდი.

ჟუჟუნამ, რომელიც ალბერტისგან განსხვავებით ოდნავადაც არ იყო შეზარხოშებული, არამედ იყო მხოლოდ მადააღძრული, მომენტალურად შეაფასა შემოთავაზება და ჭკუაშიც დაუჯდა, მაგრამ უმალაც არ დასთანხმდა, რადგან მართლაც არ გამოდიოდა მაცივრის მიზერულ ფასად ყიდვა და იქიდანაც სარგებლის ძიება.

– არა-ა, არ ღირს! არ გინდა! – ეჩურჩულებოდა იგი ალ-

ბერტს და მის დონდლო მტევანს აბანოს ღრუბელივით ისვამდა ბარძაყზე, – არ გინდა! რად გინდა!

– როგორ არ მინდა, მინდა! – პასუხობდა სიამოვნების ფიქრებში გახვეული, გამდიდრებული და, მაშასადამე, გაამაყებული ალბერტი. – მომეცი ფული!

– არა, არ მოგცემ!

– მომეცი!

– არა!

– აუ, იცი, რა მაგრა გაგვისწორდება!

– არა, გიჟო!

– ჰა, მომე ეხლა!

– ჰო, კარგი, ოღონდ ჯერ ათს მოგცემ... გიჟო!

– კარგი, ჯერ ათი მომეცი, მაგრამ რა, არ მენდობი? – იწყინა ალბერტმა.

– გენდობი, მაგრამ აჰა-ჰა! უჰუ-ჰუ! – აფრუტუნდა ჟუჟუნა და ალბერტს ფრუტუნით ათი ლარი გაუწოდა.

ალბერტმა ფული გამოართვა, აჩაჩული ტანსაცმელი ტანზე შემოისწორა და მაღაზიაში ჩავიდა. ძალიან საქმიანი კაცის ოდნავ მრისხანე იერით იყიდა პური, ერთი ბოთლი „მიმინო“, ძეხვი და ელემენტები რადიოსათვის. ეს ყველაფერი გამყიდველს ერთჯერად პარკში ჩაადებინა, გამოართვა ხურდა – 2 ლარი და 35 თეთრი და შინ დაბრუნდა. სახლში ჟუჟუნა აჟღარუნებდა აშლილ პიანინოს, თან თავისი გულისგამანწვრილებელი ხმით რაღაცას მღეროდა სიყვარულზე გრძნობამორევით. მას პურ-მარილის ნარჩენები გვერდზე გადაელაგებინა და სკამზე დამჯდარიყო. ალბერტმა პროდუქტებიანი პარკი პიანინოზე დადო, ახალი ელემენტები ამოიღო და რადიოს კვების წყარო შეუცვალა, შესამოწმებლად ბოლომდე აუწია ხმას, მერე გამორთო და ქალის სიმღერას ათხოვა ყური. ქალი კი მღეროდა – მღეროდა დიდხანს, მერე მობეზრდა და ადგა, სკამი ისევ საწოლთან მიაჩოჩა და ხელმეორედ გაშალა სუფრა. ისინი დასხდნენ და ნადიმი განაგრძეს. ქალი მჭევრმეტყველებდა, ულერდა რადიო. ბოლოს დაამთავრეს ქეიფი, ნასუფრალი სკამიდან აალაგეს, გაიხადეს და დაწვნენ. ალბერტს არ ესიამოვნა გახდილი ქალის

დანახვა – ჩაცმული ის მაღალი, ფუმფულა, ერთგვარად, მადისაღმძვრელიც ჩანდა, როცა გაიხადა, აღმოჩნდა, რომ ის იყო ზონზროხა და ხორციანი. გარდა ამისა, ქალს – უხერხულია ამაზე საუბარი, – მაგრამ გახდისას შიგნიდან გამოუჩნდა დიდი საფენი. ქალი იყო ზორბა, მაგრამ არაჯანსაღი. არაჯანსაღი იყო კარბელაშვილიც თავისი სოსისისებური ხელებით და დიდტერფიანი, დისტროფიული ფეხებით. გახდისას დადგა ფეხის სუნი... ერთი სიტყვით, ჩამოთვლილი და კიდევ სხვა მიზეზების გამო კარბელაშვილმა მაინცდამაინც დიდი სიამოვნება ვერ ნახა, თანაც, გარდა ყველაფრისა, იგი, ჟუ-ჟუნასგან განსხვავებით, კარგა გვარიანად მთვრალიც იყო. ეს კი, როგორც ცნობილია, მოქმედებს მამაკაცურ პოტენ-ციაზე. ალბერტს, მაინცდამაინც, აღარ უნდოდა ეს ქალი და ენანებოდა ის ფული, რომელიც მან მას დაახარჯა. ენანებოდა ჩალის ფასად გაყიდული მამისეული მაცივარიც. ერთად წოლისას ჟუჟუნა ღონივრად კოცნიდა ალბერტს – ძალიან ღონივრად, თუმცა ეს არ იყო გრძნობით ნაკოცნი – უბრალოდ, მთვრალი ქალი ღონივრად უწუწნიდა სახეს მამაკაცს თავისი დორბლიანი ტუჩებით, ხელში კი კაცის ხელი ეჭირა და საკუთარ სხეულზე ისე ისვამდა, როგორც აბანოს ღრუბელს, თითქოს ეს-ესაა წყალი გადაივლო და ახლა ისაპნებაო. ამგვარ არასასიამოვნო სიამოვნებაში მიაღწია ალბერტ კარბელაშვილმა იმას, რასაც მედიცინაში ორგაზმი ჰქვია და სწორედ ამ დროს მისი პარტნიორი ქალის წყალობით, ხელი მოუხვდა ქიშმიშისებურ ხალზე, რომელიც ქალს სადღაც შიგნით და მაღლა, ბარძაყის შიდა მხარეს, თმებთან ახლოს ჰქონდა ამოსული. ქიშმიშისებურ ხალზე თითებით შეხებამ საბოლოოდ შეაზიზღა მას ეს ქალი. ალბერტმა ჟუჟუნას ხელი გამოჰგლიჯა, ლეიბის ქვეშიდან რაღაც ნაჭერი გამოაძრო და ლორწოვანი მამაკაცური საწყისი გაიმშრალა, ეს ნაჭერი პარტნიორ ქალს მიუგდო და ქალმაც გაიმშრალა. შემდეგ ისინი ერთხანს იწვნენ. ჟუჟუნა ცდილობდა, უფრო სწორად, რამდენჯერმე სცადა, ალბერტისთვის ეკოცნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ამისი ნება არ მისცა, არ მისცა მან, აგრეთვე, ნება იმისა, რომ მისი ხელი ისევ ეფათურებინა საკუთარ სხე-

ულზე, აბანოს ღრუბელივით. ისინი ერთხანს იწვნენ. ალბერტი ეწეოდა. ქალი თავზე ხელს უსვამდა მას და ამით თითქოს კი არ ეალერსებოდა, არამედ აწყნარებდა.

შემდეგ ჩაიცვეს და ქალმა ქმარს დაურეკა. მან ტელეფონით შეატყობინა მეუღლეს, რომ მაცივარი იყიდა, ჩააწერინა მისამართი და დაიბარა. დაახლოებით, ორმოციოდე წუთის შემდეგ მიკროავტობუსით მოვიდა ქმარიც, მან ხელი ჩამოართვა ალბერტს, შემდეგ კი მორცხვად გადგა გვერდზე. ალბერტს რატომღაც მოეწონა იგი – მოეწონა და შეეცოდა. ქალმა კიდევ ერთი ათლარიანი ამოიღო და ალბერტს გაუწოდა, შემდეგ უთხრა, ერთი წუთით ოთახში შევიდეთო, ქმარს კი ანიშნა, სამზარეულოში დარჩენილიყო. ოთახში ჟუჟუნა ერთხელ კიდევ გადაეხვია ალბერტს და ღონივრად, ცხენურად აკოცა მას ტუჩებში, შემდეგ გაუშვა და ერთი პატარა, „მოხდენილი“ კოცნაც უძღვნა სატრფოს, უკვე დამშვიდებულს, და ფეხაკრეფით დერეფანში გაიკრიფა. შემდეგ ალბერტმა და ჟუჟუნას მეუღლემ წვალებ-წვალებით, კვნესა-კვნესით გაიტანეს მაცივარი კიბეზე და იმის გამო, რომ ლიფტი არ მუშაობდა, ხელით ჩაიტანეს დაბლა. ჩატანის დროს ჟუჟუნა გამაღიზიანებლად წიოდა, ემოციურად იძლეოდა უვარგის რჩევებს, ფეხებში ედებოდა კაცებს და უშლიდა ხელს. ჩატანის დროს გამოირთო შუქიც...

ბოლოს მაცივარი მიკროავტობუსს მაინც დაუდეს.

ალბერტი ლასლასით აუყვა ჩაბნელებულ კიბეებს, შინ შევიდა, კარი ჩარაზა, ლოგინზე წამოწვა, რადიო ჩართო, მორჩენილ ძეხვსა და პურს ნაეპოტინა და ღეჭვას მოჰყვა. ასე ჩაეძინა ჩაცმულს, საჭმლის ნარჩენებში და პურის ნამცეცებში. გარკვეული დროის შემდეგ იგი გააღვიძა თავის ტკივილმა და არასასიამონო სიმშრალემ პირში. ადგა, წყალი დალია, გაიხადა და დაწვა, წყალმა თითქოს დაამშვიდა, მაგრამ დაწოლილს თავბრუ დაეხვა და მალე გულისრევის შეგრძნებამ აიძულა, ტუალეტისკენ გაქცეულიყო, ფეხშიშველი შევარდა ტუალეტში და უნიტაზს დაასკდა, რამდენჯერმე აერია გული და თუმც კარგად უმიზნებდა უნიტაზის ღრმულს, მაინც გვარიანად მოაოხრა იქაურობა. შემდეგ სააბაზანოში შევიდა, ხელ-პირი

დაუდევრად მოიბანა, ფეხებზედაც გადაივლო წყალი, რადგან ნარწყევები იქაც მისხმოდა, და სააბაზანოდან ლასლასით გამოვიდა. კიდევ ერთხელ დალია წყალი და საწოლზე დაეგდო. ლოგინს შერჩენოდა ჟუჟუნას პარფიუმერიის სუნი, რომელიც ახლა უაღრესად არასასიამოვნო იყო ალბერტისათვის. ღამით, ღამით კი ალბერტმა ნახა მკაფიო და საზიზღარი სიზმარი: ალბერტი საკუთარ სამზარეულოში შევიდა და მამისეულ მაცივართან მივიდა, მაცივრის ძრავა ამ დროს ჩართული იყო და საშინლად გუგუნებდა, ძაგძაგებდა და გაგულისებით ცდილობდა გარსშემოწყობილი სელიკატური აგურებიდან ამოხტომას. ალბერტმა მაცივრის კარი გამოაღო და იქ მოთავსებულ, ვიბრაციისგან მოხტუნავე, ემალირებულ ჯამს წაავლო ხელი. ჯამში ესხა კერძი და იდო სადილის კოვზი. კარბელაშვილმა კერძს კოვზით ამოურია და გაიკვირვა, როცა აღმოჩნდა, რომ კერძი, რატომღაც, იყო თბილი. ალბერტმა ერთი კოვზი წვენი მოხვრიპა და კოვზით ისევ ამოურია, რათა ამჯერად ხორცი დაეჭირა. ხორცი კი დაიჭირა, მაგრამ ამ ხორცის დანახვაზე შემზარავად შეჰყვირა. ეს ხორცი ჟუჟუნას მსუქანი სხეულის ნაწილი იყო – დიდი, ქიშმიშისებური ხალით, მოხარშული კანით და ცოტაოდენი თმით. ალბერტ კარბელაშვილმა შეძრწუნებულმა გამოიღვიძა და ცოტათი დამშვიდდა, როცა მიხვდა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო, რომელიც გამქრალიყო, აღარ არსებობდა და რომელსაც მოსაგონებლად მხოლოდ არასასიამოვნო გემოს შეგრძნება დაეტოვებინა პირში. სხვა მხრივ კი, სხვა მხრივ ცხოვრება ჯერ ისევ შეიძლებოდა, რადგან ალბერტ კარბელაშვილს ჯერ კიდევ ჰქონდა ფული, მამისეულ მაცივარში აღებული თანხის ნაწილი – 12 ლარი და 35 თეთრი.

ქურდობის ქალღმერთი

ოდესღაც ჩვენს ქალაქში მზესუმზირის ერთი განთქმული ქურდი, მეტსახელად „ჟორა-სემიჩკა“ ცხოვრობდა. ეს მეტსახელი მისთვის უზარმაზარი ცხვირის გამო შეერქმიათ – ცხვირისა, რომლითაც ჟორა მზესუმზირას იპარავდა ხოლმე ბაზარში დახლებიდან. დიახ, სწორედ ცხვირით იპარავდა! დადგებოდა დახლთან, რაღაცას შეეკითხებოდა გამყიდველს, აკეთებდა ცრუ მოძრაობას ხელებით ან ფეხებით და შემდეგ, თუ ამ გზით გამყიდველის ყურადღების გაფანტვას მოახერხებდა, დაიხრებოდა და სწრაფად კენკავდა მარცვლებს ცხვირით. ჟორას დიდი, ნიყვივით უსწორმასწორო ცხვირი, ერთი შეხედვით თითქოს უმაქნისი რამ იყო, მაგრამ სინამდვილეში საუცხოო ბუნებრივი ინსტრუმენტი გახლდათ მზესუმზირის ქურდისა. იგი ხომ სულ თან ახლდა მას, სულ მის გვერდით იყო და, რაც უნდა და როგორც უნდა მოენდომებინათ, მაინც ვერავინ ნაართმევდა. ციხეშიც რომ ჩაესვათ ქურდობისთვის, ცხვირს მაინც ვერ მოაჭრიდნენ. და ან რატომ უნდა ჩაესვათ ციხეში, ის ხომ ამის საბაბს არასოდეს იძლეოდა, ანუ ისე ქურდობდა, რომ სამართალდამცავთათვის მისხალ სამხილსაც კი არ ტოვებდა – მზესუმზირის დახლებიდან აკენკვის დროს დემონსტრაციულად ჩაიწყობდა ხოლმე ხელებს ჯიბეებში და ისე კენკავდა მარცვლებს. როგორც ცნობილია, ქურდობა ხდება ხელებით, უკიდურეს შემთხვევაში ფეხებით, ნუ ჰა, კბილებით და სასჯელი სწორედ ამგვარი დანაშაულისთვის იყო გათვალისწინებული. აი, ცხვირით ქურდობისათვის კი მაშინდელი კოდექსი სასჯელს არ ითვალისწინებდა, რადგანაც ცხვირით ქურდობა იურიდიული (და არა მარტო იურიდიული) თვალსაზრისით შეუძლებელია.

ქალაქის ბაზრებში მომუშავე პოლიციელები დილემის წინაშე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, როცა ჟორა ხელში ჩაუვარდებოდათ. ერთი მხრივ, თითქოსდა სახეზე იყო აშკარა ქურდობა, თავისი ეჭვმიტანილით, მოწმეებითა და მამხილებელი საბუთებით – მზესუმზირის მარცვლებით, გოგრის თესლითა და მიწის თხილით; მეორე მხრივ, კანონის შეუვალობა, რომელიც არ ითვალისწინებდა ცხვირით აკენკილისთვის ადამიანის დასჯას. ეს დღესაა კანონი ყოვლისმომცველი, როცა ცხვირით კი არა, ყურითაც რომ რამე მოიპარო, მაინც დაგიჭერენ, იმ ყურს ტრაკზე მიგაკერებენ და ციხეში გიკრავენ თავს. უწინ კი – უწინ სხვა იყო: არათუ პოლიცია, მთელი სახელმწიფო უძლური იყო, მიეღო რაიმე ზომა ამ უჩვეულო ქურდის, ანუ ჟორა-სემიჩკას, ასალაგმად. აბა, ერთი კაცისთვის კანონს ხომ არ შეცვლიდნენ. ერთი სიტყვით, პოლიცია არ წარმოადგენდა ჟორასთვის დიდ საშიშროებას. პირიქით, ეს უწყება გარკვეულწილად, იცავდა კიდეც მას, ანუ როცა ჟორას ვაჭრები გამოუდგებოდნენ საცემად, იგი მსწრაფლ იმ მხარეს გაკურცხლავდა, საითაც პოლიციელები ეგულებოდა და მათ ზურგს ამოფარებული, ემანჭებოდა და ენას უყოფდა ვაჭრებს. პოლიციელები კი, როგორც წესი, გაგულისებულ ვაჭრებს აშოშმინებდნენ, ჟორას ჩხრეკდნენ, ცხვირით აკენკილ მზესუმზირას ართმევდნენ და ბრაზმორეულნი თვითონ აკნატუნებდნენ, ჟორას კი სამხილის უქონლობის გამო უშვებდნენ, რამეთუ, როგორც უკვე ითქვა, ცხვირით ქურდობისათვის კანონი სასჯელს მაშინ არ ითვალისწინებდა. რასაკვირველია, საქმე ყოველთვის არ მთავრდებოდა ასე უპრობლემოდ, ჟორა-სემიჩკა ზოგჯერ მაინც უვარდებოდა ხელში მარცვლეულით მოვაჭრეებს და, შესაბამისად, ცხვირიც ხშირად კარგა გვარიანად უსივდებოდა, მაგრამ ესეც მხოლოდ ძალას ჰმატებდა, რადგან სახეცვლილი, დასივებული და მოგრეხილი ცხვირით ჟორა-სემიჩკა კიდევ უფრო ვირტუოზულად კენკავდა მზესუმზირას, ის კი არა, უფრო მძიმე საგნებსაც აღარ ეპუებოდა და თავისი ყოვლისშემძლე ცხვირით უკვე სხვადასხვა პატარა ნივთებს იპარავდა ბაზრობიდან. ბოროტმოქმედთა ქურდულ წრეებში ეს უცნაური მომპარავი სახელს იხვეჭდა, როგორც თავისი საქმის დახვეწილი ხელოვანი და

მოუხელთებელი გამომგონებელი, რაციონალიზატორი ადამიანი, რომელიც ძალიან უყვარდათ ქალაქის ბირჟავიკებს, რადგან იგი ყოველთვის გულუხვად უმასპინძლდებოდა ამ უკანასკნელთ მოპარული მზესუმზირით.

ერთხელ, როცა ჟორა-სემიჩკა თავის დიდ ცხვირზე ხელაფარებული (რომ არ ეცნოთ) ერთ-ერთ ცენტრალურ ბაზრობაზე ავტოკალმებისა და რადიოს ელემენტების მოპარვას ლამობდა, მისმა საშარო და სახათაბალო, სლიპმა, ქურდულმა მზერამ სუვენირების განყოფილებაში ერთი პატარა ქანდაკება შეამჩნია. ეს იყო ლამაზ სარიში გამოწყობილი ინდოელი ქალი, რომელიც ფერად-ფერად ეგზოტიკურ ყვავილებში ჩამჯდარ-ჩაჩოქილიყო და თავისი სამოსის ნაკეცების სიღრმეში ინახავდა მოზრდილ ქისას, ოქროს ფულებით სავსეს. თეთრკბილება, ფეხშიშველი, ცალმკლავმოშიშვლებული ლამაზი ქალი, რომელსაც შუბლს ინდოელ ქალთა ტრადიციული სამკაული – წერტილი უმშვენებდა, სხვა, იქ დახვავებული ფიგურებისგან გამოირჩეოდა თავისი მეტყველი, მაცდური და მხიარული შავი თვალებით – თვალებით, რომელთაგან ერთ-ერთი თითქოს ჩაუკრა კიდეც ჟორას.

ჟორა-სემიჩკას არ სცხელოდა ფიგურებისთვის, რადგან იგი სერიოზულ საქმეზე იყო გამოსული და მთელი გულისყური იქით ჰქონდა მიპყრობილი, როგორ აეწაპნა დახლებიდან ბურთულებიანი ავტოკალმები, საშლელები და რადიოს ელემენტები.

იმ დღეს სემიჩკამ საკმაოდ იღვაწა და არაერთი ბურთულიანი ავტოკალამი, კალენდარი თუ საშლელი აწაპნა დახლებიდან. მან ეს ყველაფერი გადამყიდველებს წაუღო, გასამრჯელო გამოართვა და მოპარული მზესუმზირის კნატუნით შინისკენ გაუდგა გზას. ბაზრობაზე ნანახი პატარა, ინდოელი ქალის ქანდაკება კი თუმცა თითქოს გადაავიწყდა, მაგრამ ქვეშეცნეულად მაინც დაამახსოვრდა. საღამოს ჟორა-სემიჩკამ ჩაი დალია, კარაქიანი პური შეჭამა, მულტფილმებს უყურა და დაიძინა. დაღლილ-დაქანცულს მალე ღრმად ჩაეძინა, ძილში კი ჯადოსნური სიზმარი ნახა, რომელმაც კარდინალურად შეცვალა მისი შემდგომი ცხოვრება და ბედი.

ᲟᲝᲠᲐᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ:

...ჟორა მარტოდმარტო იდგა ეგზოტიკურყვავილებიან მინდორში, იმ მადლიან ზეგანზე, რომელსაც პიანჯაბი ჰქვია, სადაც ერთმანეთს ერთვიან დიადი მდინარეები ხუანხე და განგი, საიდანაც მოჩანს კამკამა ოკეანე ინდოეთისა და სადაც იწყება ჰიმალაის მარად თოვლიანი ბუმბერაზი მთები. იდგა ჟორა პიანჯაბის ჯადოსნურ მდელოზე და ტკბებოდა თვალწარმტაცი ხედით, ხარბად ისუნთქავდა მობერილ ნიავს და ტკბებოდა სურნელით ეგზოტიკური ყვავილებისა. დამატკბობელი იყო აგრეთვე თუთიყუშთა გალობა და საოცრად დიდი, უჩვეულოდ ლამაზი პეპლების ფარფატი.

აი, აქ გამოეცხადა ჟორას ძვირფას სარიში გამოწყობილი ულამაზესი ქალი.

– მე ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმი ვარ! – განუცხადა სემიჩკას ჩვენებამ, – ჩემს სახებას შენ დილით შეხვდი... თაბაშირის ის ქანდაკება, რომელიც ბაზრობაზე ნახე, ასლია ძველინდური ნამუშევრისა, რომელიც მრავალი საუკუნის წინ დაამზადა სწორუპოვარმა ინდოელმა ოსტატმა შანკარიადუ ბრაჰმიტრიმ, ჩემი აღმსარებლისა და თაყვანისმცემლის, ძლევამოსილი მაჰარაჯა რამანჰარვაკრიის მითითებით. მაჰარაჯა რამანჰარვაკრიი დიდგვაროვანი ქშატრია იყო, მაგრამ ის იმავდროს საიდუმლო ქურდულ კასტასაც მიეკუთვნებოდა და ამიტომ, ჩემს საამებლად, წელიწადში ერთხელ მაინც, მაწანწალას ძონძებში გადაცმული, სადავლაოდ გამოდიოდა თავისი სასახლის საიდუმლო, მიწისქვეშა გვირაბებიდან – ის ქურდობდა. მაჰარაჯა რამანჰარვაკრიი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა! იგი ვერ იცნეს და მისსავე სამანგუსტეში კომბლით მოკლეს გლეხებმა მანგუსტის მოპარვის მცდელობის გამო.

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა, ბოჰირი ვარაილაკჰმიმ პატარა პაუზა გააკეთა, ცრემლმორეული, მაგრამ მაცდური თვალები აბრეშუმის ცხვირსახოცით შეიმშრალა და ასეთივე მაცდური ღიმილით ჟორას აჰხედა, – შენ საინტერესოდ ქურდობ, ძვირფასო სემიჩკა! შენი ორიგინალური მეთოდი ცხვირით ქურდობისა ერთობ მომწონს და ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემს

ერთგულად მოგაქციო და ჩემი მფარველი კალთა გადაგაფარო. მე ბედს გწევ! ოღონდ შენც ისე უნდა მოიქცე, როგორც მე გეტყვი: – წადი და ჯერ ის ჩემი პატარა ქანდაკება მოიპარე, ოღონდ ცხვირით მოიპარე, სახლში საპატიო ადგილას დაიდგი და ყოველდღიურად დაუნთე სანთლები, ხოლო ზვარაკის სახით ნაქურდალის ნაწილი მიართვი. მერე კი ბედს გწევ! ახლა მუხლებზე დადექ და ერთგულების ნიშნად სასოებით ეამბორე ჯადოსნურ, ქურდულ ბეჭედს ჩემსას!

სემიჩკამ მუხლი მოიყარა ბოჰირი ვარაილაკჰმის წინაშე, რის შემდეგაც ქურდობის ქალღმერთმა სარის კალთით დაფარული მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ გამოსწია და მის წინაშე მუხლმოყრილ სემიჩკას საშუალება მისცა ეხილა ღმერთქალის უმშვენიერესი ტერფი ზეთისხილისფერისა, რომლის ცერა თითზე ღვთაებას ეკეთა გიშრისთვლიანი, ბაჯაღლო ოქროს მასიური ბეჭედი. ჟორამ თავისი ცხვირი ხელით გვერდზე გასწია და ბოჰირი ვარაილაკჰმის ფეხის თითზე ჩამოცმულ ჯადოსნურ, ქურდულ ბეჭედს ტუჩებით შეეხო. ამის შემდეგ ქურდობის ქალღმერთი გაქრა. ჟორა კი ერთხანს ასე დარჩა პიანჯაბის ჯადოსნურ ველზე. მას მხრებზე მგალობელი თუთიყუშები ასხდნენ და ნეტარად გალობდნენ, ხოლო მის ცხვირზე საოცრად ლამაზი, ლილიენტალის პლანერივით დიდი, მადაგასკარის პეპელა დასკუპებულიყო და კეკლუცად აფარფატებდა ფრთებს...

მეორე დღეს ჟორა გაღვიძებისთანავე გაიქცა ბაზრობაზე და იმ დახლს აუარ-ჩაუარა, სადაც ქურდობის ქალღმერთის ქანდაკება ეგულებოდა. ქანდაკება ისევ იმავე ადგილას იდგა და ჟორას მოეჩვენა, რომ ბოჰირი ვარაილაკჰმის სახებამ მას კიდევ ერთხელ ჩაუკრა თვალი. სემიჩკამ დრო იხელთა, ხელები კოდალასავით ზურგსუკან დაიწყო, თავისი უშველებელი ცხვირი თაბაშირის ფიგურას დაუმიზნა, მთელი ძალით ჩაუნისკარტა და როგორც ყარყატმა ქაშაყი, ისე მოიქცია ხახაში. შემდეგ ეს ქანდაკება იღლიაში ამოიდო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკურცხლა.

– ატააზ! – დაიყვირა დახლის საპირისპიროდ მოვაჭრე კიტრის გამყიდველმა და ერთ-ერთი თავისი საქონელთაგანი,

ანუ კიტრი ესროლა ჟორას. კიტრი ამ უკანასკნელს თავში მოხვდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ნაქურდალი ხელიდან არ გაუშვია. ვაჭრები გამოუდგნენ სემიჩკას, მაგრამ ვერ დაიჭირეს.

სემიჩკამ საპატიო ადგილას აღუმართა საკურთხეველი ბოჰირი ვარაილაკჰმის, სანთლებიც აუნთო და ნაქურდალიც მიართვა ზვარაკის სახით. იმ ღამით ისევ ეზმანა სემიჩკას ბოჰირი ვარაილაკჰმი. ის მეტად კმაყოფილი იყო და თავის რჩეულს აუწყა, რომ გაწეული სამსახურისთვის მას ამიერიდან ატმიჩკებიანი ცხვირით აჯილდოებდა. ამიერიდან, ქურდობის ქალღმერთის ნებით, ჟორას ცხვირზე ამოუვიდოდა ატმიჩკები, რომელთა მეშვეობითაც ეს უკანასკნელი ნებისმიერი საკეტის გაღებას შეძლებდა.

და მართლაც, როცა ჟორამ გაიღვიძა და სარკეში ჩაიხედა, აღმოაჩინა, რომ მას ცხვირზე უამრავი ძვალხრტილოვანი ატმიჩკა ამოსვლოდა, რომელთა მეშვეობითაც ნებისმიერი საკეტის გაღება იყო შესაძლებელი. ეს იყო წყალობა ქურდობის ქალღმერთისა. სემიჩკამ იმ დილითაც სათანადო პატივი მიაგო თავის სათაყვანებელ ღვთაებას, ჩაითა და კარაქიანი პურით ისაუზმა და სადავლაოდ გაემართა, რათა ბოჰირი ვარაილაკჰმის მიერ ბოძებული ცხვირის ატმიჩკისებური გამონაზარდები საქმეში გამოეცადა.

ქალაქი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჟორა, ქურდული თვალსაზრისით, სამ ნაწილად შეიძლებოდა დაყოფილიყო: ეს იყო ცენტრი, სადაც ბობოლები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცხოვრობდნენ, შუაქალაქი, სადაც საშუალო შესაძლებლობების ადამიანები ცხოვრობდნენ, და გარეუბნები. შუაქალაქი რკალად ერტყმოდა ცენტრს, ხოლო გარეუბნები, თავის მხრივ, რკალად ერტყმოდნენ შუაქალაქს. მართალია, ჟორა-სემიჩკა არ იყო ბინების ძარცვის სპეციალისტი, ის ხომ მხოლოდ მზესუმზირას და რაღაც წვრილმანებს იპარავდა ხოლმე, მაგრამ თავისი მეგობარი ბირჟავიკებისგან (მზესუმზირით რომ უმასპინძლდებოდა, იმათგან) იცოდა, რომ ამგვარი საქმიანობისათვის ყველაზე კარგი ადგილი შუაქალაქი იყო. ქურდები ერიდებოდნენ ცენტრს, რადგანაც მათ არ ჰქონდათ საკუთარი თავის იმედი, უჭირდათ ბობოლათა კარ-

გად გამაგრებული სახლების გაქურდვა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იქ ხომ პოლიციელი პოლიციელზე იყო ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული. ქურდებს იქ ქურდობისა ეშინოდათ. ერიდებოდნენ ისინი აგრეთვე გარეუბნებსაც, რადგანაც გარეუბნებში ღარიბი, ანდა სულაც გაღლეტილი ხალხი ცხოვრობდა. იქ, ცხრა და თოთხმეტსართულიან სახლთა ჯუნგლებში, ძალიან ცოტა იყო ხეები და შესაბამისად, გაქცევის შემთხვევაში, დამალვაც ჭირდა. იქაური ტემპერამენტიანი ხალხის ხელში ჩავარდნა კი კარგს არაფერს უქადდა ქურდს – ძვალსა და რბილს გაუერთიანებდნენ. აი, შუაქალაქი კი სასიამოვნო არე იყო ამგვარი მოღვაწეობისათვის. იქ შეძლებული ინტელიგენცია ცხოვრობდა და ბინის ქურდებიც სწორედ იქით ეშურებოდნენ. ჟორაც იქით წავიდა თავისი ატმიჩკებიანი ცხვირით. ქუჩაში გამოსულს გზა მოულოდნელად უცნობმა ბოშა ქალმა გადაუღობა.

– აი კრასივი, მალადოი, მოდი გიმკითხავო! – შესთავაზა ბოშა ქალმა სემიჩკას და მის მარცხენა ხელს წაეტანა.

ჟორამ ბოშა ქალს საკუთარი ხელი წაართვა და სიტყვიერად ოდნავ შეურაცხყო იგი:

– წადი აქედან, აფერისტო ქალო!

– აი კრასივი, მალადოი, მე თაღლითი არ არის! მე გაარგი ქაალი არის! – შეიქო თავი ბოშა ქალმა, – თუ მკითხაობა არ გინდა, მაშინ ბრიტვა იღიდე, – და ბოშა ქალმა უსაფრთხო სამართებლები გაუწოდა.

– არ მინდა მე შენი ბრიტვა! – გაბრაზდა ჟორა, – რას გადამეკიდე!

– მაშინ ნასქები, ნასქები იღიდე! მოპა-რული! მოპა-რული!

– არც ნასკები მინდა! – კიდევ უფრო გაბრაზდა ჟორა.

– არაფერი არ გინდა?! – არ ეშვებოდა ბოშა ქალი.

– არა, არ მინდა! – მიუგო ჟორამ და წასვლა დააპირა.

– მე ვერ მცნობ, შე სემიჩკა, შენა?! – ჰკითხა მაცდური დამცინაობით ბოშამ.

ჟორა ქალს დააკვირდა და იცნო. მის წინაშე ლამაზ ბოშა ქალად გადაცმული, ძვირფასი სამკაულებით მორთული მდი-

დრულ, სარისმაგვარ, ჭრელ ბოშურ კაბაში გამოწყობილი ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმი იდგა. ჟორამ დროებით მეტყველების უნარი დაკარგა.

– მე გამოგეცხადე შენ, რათა ახალი საქმე გასწავლო, ამ საქმეში ამფსონობა გაგიწიო და დაგეხმარო. მე შენი პადძელნიცა გავხდები და სანამ შენ ბინას გაძარცვავ, ატანდაზეც დაგიდგები.

ჟორამ ოდნავი ეჭვით ახედ-დახედა ქურდობის ქალღმერთს და ეჭვითვე გახედა გამვლელებს. საქმე ის იყო, რომ ჟორას ცოტათი ეხამუშა ქალღმერთის საქმეზე წაყვანა, მისი უჩვეულო იერის გამო.

– ნუ გეშინია, – მიუხვდა ქურდობის ქალღმერთი სემიჩკას ეჭვებს, – ამათ მე ბოშა ქალი ვგონივარ.

და მართლაც, გამვლელები აინუნშიაც არ აგდებდნენ ქურდობის ქალღმერთს.

– ახლა კი წავიდეთ, – მბრძანებლურად განაცხადა ქალღმერთმა, სემიჩკას ხელმკლავი გაუყარა და ჩქარი ნაბიჯით თან წარიტაცა.

ერთხანს დადიოდნენ სემიჩკა და ბოჰირი ვარაილაკჰმი ლამაზ-ლამაზ, არცთუ მაღალ სახლებს შორის და საკბილოს ეძებდნენ. ისინი ჯერ ჩამოფარებული ფარდების მიხედვით საზღვრავდნენ სახლის პატრონთა ბინაში ყოფნა-არყოფნას, მერე შედიოდნენ სადარბაზოში და შერჩეული ბინის საპირისპირო ბინას სათვალთვალო ჭუჭრუტანის მინაზე ვაზელინს უსვამდნენ, რათა იქიდან მეზობლებს არ დაენახათ და გასაძარცვად ამორჩეული ბინის გასაღების ჭუჭრუტანას ადებდნენ ყურს. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ გამოცდილებით იცოდა, რომ ამ ჭუჭრუტანიდან გამომავალ ჰაერის ნაკადს მცირეოდენი ფაჩუნიც კი გამოჰქონდა ბინიდან და თუ ასეთ ფაჩუნს ვერ გაიგონებდა, მაშინ იწყებდა ზარის რეკვას, შემდეგ კი შეიძლებოდა საკეტის გაღება ან კარის შემტვრევა. რა თქმა უნდა, ასეთი შანსი პირველივე ცდისას იშვიათად ეძლეოდა ბოროტმოქმედს. როგორც წესი, სანუკვარი მიზნის მიღწევამდე ის ხან ეჭვიან მეზობელს გადააწყდებოდა, ხან თვით პატრონს, ზოგჯერ მას ხელს უშლიდა, მაგალითად, მეზობელ ბინაში

აყეფებულ-აწკავწკავებული ძაღლი. ასეთ დროს ბინის ქურდი კუდამოძუებული გაიძურწებოდა ხოლმე იქიდან. ზოგჯერ კი პირდაპირ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

ამ შემთხვევაში ასე იყო: ჟორა და ბოჰირი ვარაილაკჰმი შედიოდნენ სადარბაზოებში, ადი-ჩადიოდნენ კიბეებზე, უთვალთვალებდნენ და უყურებდნენ ბინებს და უკეთესის ძიებაში სვლას განაგრძობდნენ. ბოლოს, ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ მშვენიერ ბინას, კოპწიას და ლამაზ კარ-ფანჯარ-ფარდიანს. ისინი სადარბაზოში შევიდნენ, ბინის საპირისპირო კარს სათვალთვალო მინაზე ვაზელინი წაუსვეს და გასაქურდი ბინის გასაღების ჭუჭრუტანას რიგრიგობით მიადეს ყური. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ ზარი დარეკა, შემდეგ კიდევ დარეკა, კიდევ, კიდევ და კიდევ, მერე ისევ კიდევ და რომ დარწმუნდა, ბინაში მართლაც არავინ იყო, ერთი წუთით განერიდა გასატეხ კარს და მეზობელ კარს მიაყურადა. იქიდან თუმც გამოდიოდა რაღაც ხმები, მაგრამ, რომ იტყვიან, არხეინი, არასაეჭვო. ქურდობის ქალღმერთმა, თითის ანაბეჭდები რომ არ დაეტოვებინა, კარის სახელური ცხვირსახოცით გაწმინდა და ჟორას მოუხმო. ჟორამ თავისი ატმიჩკებიანი ცხვირი კარის საკეტთან ახლოს მიიტანა და სათითაოდ დაუწყო მოსინჯვა. ბოჰირი ვარაილაკჰმი კი ცოტა დაბლა დადგა ატანდაზე. უნდა ითქვას, რომ ჟორა გამოუცდელი იყო ამ საქმეში და ისევე როგორც ყველა ახალბედას, გული უფანცქალებდა, სიჩქარეში ყველაფერი ერეოდა და საკეტის ჭუჭრუტანაში ატმიჩკების შეყოფა-გამოყოფის დროს, ერთ-ერთი ძვალხრტილოვანი ატმიჩკა შიგ საკეტში ჩაუტყდა. ჟორამ ტკივილისაგან დაიკვნესა და ტუჩზე იკბინა. ბოჰირი ვარაილაკჰმი მივიდა, ნახა, რაც მოხდა, გაწბილებულმა რამდენჯერმე შუბლზე მიიკაკუნა საჩვენებელი თითი და განაცხადა:

– მეტი გზა არ არის, უნდა შევამტვრიოთ!

მერე ქურდობის ქალღმერთმა ჟორას კიბეზე დაადებინა ცხვირი და მთელი ძალით ჩასცხო შიშველი ქუსლი.

– უუუხ! – დაიკვნესა ჟორამ.

ამის შემდეგ ბოჰირი ვარაილაკჰმიმ ჟორას გაბრტყელებული

ცხვირი კარის ღრიჭოში შეაყოფინა, რათა მისი მეშვეობით შეემტვრიათ კარი. ჟორა ცხვირს, როგორც ძალაყინს, ზედ დააწვა და კარმაც დაიჭრიალა. ჟორა მთელი ძალით დააწვა ცხვირს, კარი საშინლად აჭრიალდ-ატკაცუნდ-აბრახუნდა და ცოტათი შეიმტვრა შიგნით. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთ დროს იმტვრეოდა არა თვით კარი, არამედ კარის ჩარჩოს შიდა მხარე, ანუ ის კოჭი, რომელშიც ჩამონტაჟებულია ბუდე კარიდან გამოსული რიგელისათვის. სწორედ ეს რიგელი, ანუ როგორც მას ხალხში უწოდებენ – ენა, ამტვრევს კარის ჩარჩოს შიგნითა კოჭს, ძალაყინი აწვება კარს, ხოლო კარი თავის მხრივ, გამოშვერილი რიგელით აწვება კარის ჩარჩოს შიდა კოჭს და ამტვრევს მას. ამ შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩარჩოს შიგნითა კოჭი ბოლომდე კი არ გატყდა, არამედ მხოლოდ მოირყა. ჟორამ ხელმეორედ შეყო კარის ღრიჭოში ცხვირი, ხელმეორედ მიაწვა კარს, მაგრამ კარმა ამჯერადაც მხოლოდ აისხლიტა ჟორას ძალაყინის პირივით გაბრტყელებული ცხვირი. ასე განმეორდა ორჯერ თუ სამჯერ და ეს იმიტომ, რომ ცხვირის დაწოლისას, კარის რიგელი აწვებოდა თუმც მორყეული, მაგრამ არაბოლომდე გატეხილი კარის ჩარჩოს შიდა კოჭს, ხოლო ეს უკანასკნელი დაწოლისას ამორტიზირებდა, იმდენად, რომ არ აძლევდა ცხვირს პირის მოკიდების საშუალებას. თუმცაღა ამორტიზირებდა არა იმ დონემდე, რომ კარიდან გამოშვერილი რიგელი კოჭში ჩამონტაჟებული ბუდიდან ბოლომდე ამოეგდო. ერთი სიტყვით, ცხვირით დაწოლისას კარი იწეოდა შიგნით, მაგრამ შემდეგ ცხვირი სხლტებოდა და კარი რესორივით მოდრეკილი შიდა კოჭის წყალობით ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდებოდა. ჟორამ ორ-სამჯერ ბეჭით უბიძგა გაჯიუტებულ კარს, მაგრამ ამითაც ვერაფერს გახდა. ასეთ დროს, როგორც ამბობენ, ელვისებური სისწრაფით მუშაობს ქურდის ტვინი. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ, და პრინციპში ჟორამაც, კარგად იცოდნენ, რომ მათთვის ახლა მთავარი იყო მოგებული ან წაგებული წამები, რომლებიც შესაძლოა როგორც საბედნიერო, ისე საუბედურო გამხდარიყო. ამიტომ ქურდობის ქალღმერთმა არც აცია, არც აცხელა, ჟორა-სემიჩკა უხეშად

გვერდზე გასწია, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და ბეჭით მიაწყდა კარს. კარმა საშინლად დაიგმინა და საგრძნობლად შეიწია შიგნით, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ჯიუტად ეკიდა დამცინავად გამოყოფილი ენის – რიგელის წვერზე. აქ უკვე ალბათ ერთი პატარა ბიძგიც იქნებოდა საკმარისი, მაგრამ აღარც ექსპერიმენტების დრო იყო და ამიტომაც გაგულისებულმა ვარაილაკჰმიმ კბილების ღრჭიალით კიდევ ერთხელ აიღო გარბენი, ჰაერში აიწია და ტყუპი წიხლი აჯახა კარს. კარი, ქალღმერთი, საკეტი, კოჭი, კიდევ რაღაც დეტალები – ყველაფერი ეს დაუკითხავად შეიფრქვა უცხო საცხოვრებელში. ბოჰირი ვარაილაკჰმი ერთობ სასაცილოდ მოჯდა მოპრიალებულ იატაკზე და წკავწკავით კარგა შორს გასრიალდა.

– უიმეუიმეუიმე! – წკავწკავებდა ის.

ატმიჩკა მაშინვე მიეახლა თავის ღვთაებას და ხელში აიტაცა. ბოჰირი ვარაილაკჰმი იყო თბილი და სურნელოვანი. ალბათ ამიტომ სემიჩკამ დააყოვნა მისი ძირს დასმა და ცოტათი ჩაიხუტა. ამ უკანასკნელმა ეს იგრძნო და კეკლუცად ჩაჰკრა სემიჩკას ცხვირში თავისი ჩამოქნილი მტევანი, ტუჩზე მომდგარი ღიმილი შეიკავა და ინდური აქცენტით კდემამოსილად განაცხადა რუსული სიტყვები:

– ტოლკა ბეზ რუკ პაუაალსტა, ბუძწე ტაკ ლუბეზნი!

სემიჩკამ ქალღმერთი იატაკზე დასვა.

– მე გავალ და გარეთ ატანდაზე დავდგები! – უთხრა მან ჟორას და ლასლასითა და „უიმე-უიმეს“ ძახილით გარეთ გავიდა, თან ნატკენ ადგილს ხელით იზელდა.

ჟორამ სწრაფად გამოხურა კარი, რომელიც, მისდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ მაგრად ეკიდა ანჯამებზე, და გაირინდა. მას ეჭვი ღრღნიდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო – შესდგომოდა თავის შავბნელ საქმეს თუ არ დახარბებოდა ამ თითქმის უკვე გაქურდულ ბინას და დროზე მოესვა ბაყაყური. ჟორას და ბოჰირი ვარაილაკჰმის დიდხანს გაუჯანჯლდათ საქმე, ეს კი არ იყო კარგი ნიშანი. საქმე ისაა, რომ როცა ქურდი ამგვარი წესით შედის ბინაში, რაგინდ ხმაურიანიც უნდა იყოს კარის შემტვრევა, არ არის საშიში, თუკი მან ბინაში დროულად შეაღწია და კარიც დროულადვე მიხურა. დაეჭვებულმა მეზო-

ბელმა ჭუჭრუტანაში რომ გამოიხედოს, ვერაფერს მიხვდება, იფიქრებს, ალბათ მეზობლები მუშაობენო, მაგრამ თუ კარის მეზობელი რაიმე საეჭვო ფხაკუნს გაიგებს, შემდეგ ჭუჭრუტანასთან მიიპარება და შეამჩნევს უცნობს, მაშინ ის ისევე ფეხაკრეფით შეიძლება მიეპაროს ტელეფონს და პოლიციაშიც დარეკოს, მაგრამ აბა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? და თან ჟორას ხომ თვით ქურდობის ქალღმერთი უწევდა პარტნიორობას და ამიტომაც მან დარჩენა ამჯობინა.

თავიდან ყველა ოთახს ჩამოურბინა, რათა გაეგო, თუ სად რა იდო, შემდეგ კი სამზარეულოში გაძვრა, მაცივარი გამოაღო და ერთი კოვზი ბევრმაიონეზიანი ვინიგრეტი გადასანსლა, მასშივე ჩარჭობილი სადილის კოვზით. ეს კოვზი გაურეცხავად ისევ ვინიგრეტში ჩაარჭო და საქმეს შეუდგა. თავიდან საძინებელში შეძვრა და ტრილიაჟის უჯრები გამოაღო. იქ მას ქალის ძვირფასი სამკაულები და ფული ეგულებოდა, ტრილიაჟის უჯრებს სათითაოდ იღებდა ბუდეებიდან და მათში მოთავსებულ ათასგვარ წვრილმანს პირდაპირ იატაკზე ყრიდა, ამ ძირს დაყრილ წვრილმანებში გაცხარებით იქექებოდა და თუკი რაიმე საინტერესოს იპოვიდა, მაშინვე ჯიბეში იჩქმალავდა. შემდეგ ჟორა გარდერობს ეცა, გადმოყარა იქიდან ყველაფერი და ამ გადმოყრილზე ფეხებით იარა, მაგრამ თითქმის ვერაფერი იპოვა საინტერესო, გარდა ტყავის ლამაზი და ძვირფასი პიჯაკისა, რომელიც მაშინვე ჩამოხსნა საკიდიდან და თავის დაჭმუჭნილში გადაცვალა: საკუთარი პიჯაკი საკიდზე დაკიდა, ხოლო გარდერობში ნაპოვნი ჩაიცვა. ამის შემდეგ ჟორა ეცა ლოგინებს და სულ აწეწ-დაწეწა. ის ფულს ეძებდა საბნებსა და ლეიბებში. ჟორა ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით თეთრეულზე დადიოდა და თითქოს ჯავრს იყრიდა გაჯიუტებულ, არასტუმართმოყვარე ბინაზე, რომელსაც ამდენ ხანს არ სურდა კარის გაღება. მეორე კარადაში მან ტანსაცმლით სავსე ჩემოდნები იპოვა, რომლებიც სასწრაფოდ გადმოაპირქვავა და მათში ბროლის, ვერცხლისა და ძვირფასი უცხოური სასმელების ჩალაგებას შეუდგა. ასე ირჯებოდა ჟორა-სემიჩკა და მის (ახლა უკვე მის) ჩემოდნებსაც ნადავლი სულ უფრო ემატებოდა. სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, ჟორას ხელ-

ში მოხვდა თოჯინა ბარბი, უფრო სწორად კი ორი თოჯინა: ბარბი და პატარა დალი, – დალი ბარბის ხელში ეჭირა. რასაკვირველია, ბარბი არ იყო ჯერ იმ ასაკისა, რომ თავისი შვილები ჰყოლოდა და ამიტომაც ჟორამ ივარაუდა, რომ ეს, ალბათ ბარბის დისშვილი იყო. გუმანმა გაუმართლა – დალი სწორედაც ბარბის დისშვილი გახლდათ, უფროსი დის, ჯენიფერისა. ჟორამ მაშინვე იცნო ბარბი, მიუხედავად იმისა, რომ ეს იმპორტული თოჯინა მხოლოდ უცხოური ჟურნალის ფურცლებზე ჰქონდა ნანახი. ბარბი იმთავითვე განსაკუთრებით მოეწონა ჟორას, მაგრამ ფოტოსურათი ხომ მაინც ფოტოსურათია, ნამდვილი ბარბი კი სულ სხვა აღმოჩნდა. თოჯინებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ჟორაზე – ბარბიმაც და დალიმაც – ორივემ. ისინი ცოცხალ, მეტყველ თვალებს ახამხამებდნენ და ჟორას გულითადი ღიმილით უმზერდნენ. ჟორას სათუთად ეჭირა თოჯინები თითების ბალიშებით და როგორც ნამდვილ ადამიანებს, ისე ელაპარაკებოდა.

– შენც უნდა მოგიპარო, ბარბი, – უთხრა მან ბარბის, – შენც და დალიც – ორივენი!

ის იყო ჟორა თოჯინების ჩემოდანში ჩადებას აპირებდა, რომ მოულოდნელად ეს უკანასკნელნი გადიდდნენ და ნამდვილ გოგონებად იქცნენ.

– როგორ თუ მომიპარო? – მოულოდნელად ადამიანის ენით ალაპარაკდა ბარბი.

ჟორა თავიდან ცოტათი კი დაიბნა ადამიანის ენით ალაპარაკებული თოჯინის ხილვით, მაგრამ ეს თოჯინა იმთავითვე იმდენად ჰგავდა ცოცხალს, რომ არც კი იყო გასაკვირი მისი ასეთი საქციელი. გარდა ამისა, ჟორასთვის ამგვარი რამ უცხო ხილი აღარ იყო, ვინაიდან ბოჰირი ვარაილაკჰმისთანაც ხომ რაღაც მსგავსს ჰქონდა ადგილი, ანუ თუ შესაძლებელი იყო ის სასწაული, რომ თვით ქურდობის უზენაესი ქალღმერთი გამოცხადებოდა, მაშ რატომ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი თოჯინების გოგონებად გადაქცევა – თოჯინები ხომ ისედაც ჰგვანან გოგონებს, ხოლო გოგონები – თოჯინებს.

– როგორ და ასე, – უნდა მოგიპარო და მორჩა! მე ქურდი სემიჩკა ვარ! – უთხრა ჟორამ ბარბის.

– ხი-ხი, – ხითხითი ვერ შეიკავა ბარბიმ, – რატომ სემიჩკა?!

– იმიტომ, რომ სემიჩკა! – უპასუხა ბარბის ხითხითით ცოტათი განაწყენებულმა ჟორამ. – ეს ჩემი მეტსახელია!

პატარა დალი ამასობაში წარბშეკვრით ადევნებდა თვალყურს უფროსების ლაპარაკს.

– არავითარი სემიჩკა შენ არ ხარ! – უთხრა ცოტათი დასერიოზულებულმა ბარბიმ, – შენ, სემიჩკა კი არა, წარმოსადეგი და მეტად მიმზიდველი მამაკაცი ხარ, ჟორჟ!

– სენ მსვენიერი, წარმოსადეგი და მეტად მიმზიდველი მამაკაცი ხარ, ძორძ! – დაადასტურა ბარბის ნათქვამი დალიმაც.

– მართლა? – იკითხა ნასიამოვნებმა ჟორამ.

– მართლა! – უპასუხეს ბარბიმ და დალიმ ერთხმად.

– აბა, დიდი ცხვირი რომ მაქვს?

– არა უშავს, – უპასუხა ბარბიმ, – საქმე ისაა, რომ ამბობენ, თუ მამაკაცს დიდი ცხვირი აქვს, მას უსათუოდ კეთილი და ვაჟკაცური გულიც ექნებაო.

– მართლა? – იკითხა კიდევ უფრო ნასიამოვნებმა ჟორამ.

– ნამდვილად! – დაუდასტურა მიამიტმა პატარა დალიმ.

ცოტა ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი ეს სიჩუმე ისევ ბარბიმ დაარღვია და ჟორას ჰკითხა, სინამდვილეში ვინ ხარო. ჟორამ, რასაკვირველია, გაუმეორა, რომ ქურდი იყო, მაგრამ ბარბის ამაში დარწმუნება არ იყო ადვილი, რადგანაც მას აქამდე არასოდეს ჰქონოდა საქმე ქურდებთან. უბრალოდ, არ სჯეროდა ეს და ეგონა, რომ ჟორა ხუმრობდა. თუმცაღა ბარბი, როგორც ცნობილია, მეტად ჭკვიანი გოგონაა და ის, მიუხედავად ყველაფრისა, დარწმუნდა, რომ ჟორა არ ხუმრობდა. საშინლად არეული სახლი, იატაკზე უწესრიგოდ დაყრილი ნივთები, აწეწილი ლოგინები და ჟორას მრავალი სხვა ნამოქმედარი იმაზე მეტყველებდა, რომ ეს უკანასკნელი მართლაც სახლში შემოჭრილი ქურდი იყო. ბარბიმ თავზე წაივლო ხელები, ტუჩზე იკბინა და დატუქსა დაუპატიჟებელი სტუმარი, თუმცა არა ბრაზითა და საყვედურებით, არამედ მისთვის ჩვეული ღიმილით:

– ეს რა ჩაგიდენია, ჟორჟ? გრცხვენოდეს!

– ეს რა ცაგიდენია, ძორძ, გრცხვენოდეს! – გაიმეორა ბარბის სიტყვები დალიმაც.

უნდა ითქვას, რომ ჟორას მართლაც ძალიან შერცხვა. მისთვის ამგვარი შენიშვნა მოსამართლეს, პროკურორს, ან, დავუშვათ, მის დაუძინებელ მტერს – პოლიციის უფროსს, დობორჯგინიძეს, რომ მიეცა, ჟორა-სემიჩკა ამას არაფრად ჩააგდებდა, მაგრამ ბარბისგან და მით უმეტეს დალისგან ამის მოსმენამ უბრალოდ გააწითლა იგი. განსაკუთრებით იმისა შერცხვა, რომ მოპარულ პიჯაკში იყო გამოწყობილი. მართალია, ბარბის ამის შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ჟორა გრძნობდა, რომ ბარბიმ შეამჩნია მის მხრებზე კარგად მორგებული სახლის პატრონის ტყავის ლამაზი პიჯაკი. ჟორა თვალს ვერ უსწორებდა ბარბისა და დალის. არ იცოდა, რა ექნა. ფიქრობდა – გაეხადა მოპარული პიჯაკი თუ არა. ბოლოს, თუმც ამას არავინ სთხოვდა, მაინც გაიხადა და კარადაში თავის ადგილას დაკიდა.

– ყოჩაღ, ძორძ! – შეაქო იგი დალიმ.

– ახლა კი მოდით, სახლი დავალაგოთ! – მხიარულად გამოაცხადა ბარბიმ და პირველსავე უადგილო ადგილას დაგდებული ნივთი თავის ადგილას დადო. ეს იყო რომელიღაც წიგნი. შემდეგ იატაკიდან აიღო პირსახოცი, დაკეცა და უჯრაში ჩადო.

– ბარბი, მე წავალ! – თქვა თავჩაქინდრულმა ჟორამ, – წავალ, თორემ შეიძლება სახლის პატრონები მოვიდნენ და მაშინ აქედან გაქცევა მომიწევს.

– ნუ გეშინია! ისინი დღეს სტუმრად არიან და გვიანობამდე არ მოვლენ. შენ კი ჩვენ გვჭირდები, რათა სახლის დალაგებაში დაგვეხმარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე და დალი მარტონი ვერაფერს გავხდებით. გარდა ამისა, მე მინდა გაგასინჯო ჩემი გამომცხვარი ნამცხვარი – მაზურკა თაფლით.

ჟორას ძალიან მოუნდა ბარბისთან დარჩენა, მაგრამ ვინაიდან იგი მარტო არ იყო მოსული, პირველ რიგში თავის ამფსონზე, ქურდობის ქალღმერთ ბოჰირი ვარაილაკჰმიზე ფიქრობდა.

– კარგი, – უთხრა ჟორამ, – მე შეიძლება მართლა დავრჩე, ოღონდ ჯერ ცოტა ხნით გარეთ გავალ!

– კარგი! – დაეთანხმა ბარბი, – ოღონდ შეიძლება კი არა, აუცილებლად დარჩი! შენ ჩვენ გვჭირდები!

ჟორა გარეთ გავიდა და ატანდაზე მდგომ ბოჰირი ვარაილაკჰმის მიეახლა, რათა ეთხოვა მისთვის, რომ ამ ბინისთვის თავი დაენებებინათ, რამეთუ იგი ჟორას ახლობლისა აღმოჩნდა. ქალღმერთი აყვირდა, აფორიაქდა და ხელების ქნევა დაიწყო.

ეს გასაგებიცაა, რადგან ამდენი წვალებისა და რისკის შემდეგ ხელცარიელი იქიდან გამობრუნება ბოჰირი ვარაილაკჰმის უკვე აღარ სურდა.

– ვა, მე ქერი კი არ მიჭამია, ბიჭო! – უყვიროდა ის სემიჩკას და ორკაპივით გაშლილ საჩვენებელსა და შუა თითს თვალებში უმიზნებდა.

სემიჩკა, თავის მხრივ, თვალებს არიდებდა ქალღმერთის მიერ მოქნეულ თითებს და როგორც შეეძლო ანამუსებდა.

– კარგი რა ბოჰირი, – ეუბნებოდა იგი ბოჰირი ვარაილაკჰმის, – არა გრცხვენია, აბა შენი ახლობლის რომ გამომდგარიყო ეს ბინა, მაშინ რას იზამდი? აი, მაგალითად, დხანუმანი რომ გყავს, ძმაკაცი, მაიმუნების ღმერთი, იმისი რომ გამომდგარიყო ეს ბინა, მაშინაც გაქურდავდი?!

ამ არგუმენტმა ცოტათი მოალბო ბოჰირი ვარაილაკჰმი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერა.

– დხანუმანი! დხანუმანი! – აბუზღუნდა იგი, – შენც შეადარე რა ერთმანეთს ჩრდილოეთის ნათება და თხის ფილტვები.

– მერე რა, – გაიმართლა თავი ჟორამ, – ახლობელი ახლობელია, რა შუაშია აქ თხის ფილტვები!

აი, ამგვარ გაწამაწიაში იყვნენ ბინის ქურდები, როცა ფანჯარა გაიღო და იქიდან ბარბიმ გადმოიხედა. ის უკვე ვარაუდით მიხვდა, თუ რაშიც იყო საქმე, და ჟორას შეეშველა. იგი თავაზიანად მიესალმა ჟორასთან მოკამათე ლამაზ ბოშა ქალს, რადგან მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი თანამზრახველი იყო სემიჩკასი და ისინი ორივენი შინ შეიპატიჟა. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ მოულოდნელი ინტერესით შეათვალიერა ქერათ-

მიანი, ცისფერთვალება, გულღიად მოღიმარი გოგონა და ისე მოუნდა მისი გაცნობა, რომ დათანხმდა მასთან ასვლაზე, ჟორას ხელმკლავი გაუყარა და ისინი ასე ხელმკლავგაყრილნი ბარბისთან ავიდნენ.

ბარბიმ ფანჯარა დახურა და სტუმრების შესაგებებლად შემოსასვლელი კარისკენ გაემართა. უნდა აღინიშნოს, რომ მასაც მეტად მოეწონა ეს უცნობი ბოშა ქალი. მათ ერთმანეთი მოეწონათ.

– მობრძანდით! მობრძანდით! მობრძანდით! – ოდნავ წაუმღერა ბარბიმ და სტუმრები სახლში შეიყვანა, – მაპატიეთ, რომ ცოტა არეულები ვართ!

– არა უშავს, არა უშავს, ეგ ცოტა ჩვენი ბრალიც არის! – ხითხითით მიუგო მას ბოჰირი ვარაილაკჰმიმ და ბარბის ეშმაკური ღიმილით გაუსწორა თვალი.

ისინი ძველი დაქალებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

– ეს ჩემი პაძელნიცა ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმია, ეს კი ჩემი მეგობარი ბარბი! – გააცნო ერთმანეთს ჟორამ მანდილოსნები.

– მე კი და-ლი ვარ! – გამოაცხადა პატარა დალიმ სიტყვების ბავშვური დამარცვლით.

– შენ კარგი გოგო ხარ! – შეაქო ბოჰირი ვარაილაკჰმიმ დალი, ხელში აიყვანა და ლოყაზე აკოცა. შემდეგ კიდევ ერთხელ ალმაცერად გადახედა და მომხდარის გამო კიდევ ერთხელ მოიხადა ბოდიში.

– არაფერია! – თქვა ბარბიმ ღიმილით და მხიარულად ჩაიქნია ხელი, – მოდით, დავალაგოთ ბინა, შემდეგ კი მე თქვენ გაგასინჯებთ ჩემს გამომცხვარ ნამცხვარს.

ბოჰირი ვარაილაკჰმი შეიშმუშნა. ბარბიმ ეს შეამჩნია და იკითხა:

– რა მოხდა? არის რაიმე პრობლემები?

ბოჰირი ვარაილაკჰმი ისევ შეიშმუშნა.

– რა მოხდა? – კიდევ ერთხელ იკითხა ბარბიმ და ახლა ჟორასაც გადახედა, რადგანაც იგი მართლა ვერ მიმხვდარიყო, თუ სახელდობრ რა ხდებოდა.

– საქმე ის არის, – დაიწყო სიმორცხვეშეპარული კაპრიზუ-

ლობით ბოჰირი ვარაილაკჰმიმ, – საქმე ის არის, რომ მე ქურდი ქალი ვარ და ამიტომ სახლის დალაგება მეთაკილება.

ბარბი, როგორც ცნობილია, დამთმობი, გულკეთილი გოგონაა და იგი არასოდეს, დიახ, არასოდეს, არ სთხოვს ადამიანს იმაზე მეტს, რის მიცემაც მას არ შეუძლია. ამიტომ ბარბი გამგებიანად მოეკიდა ქალღმერთის ნათქვამს და თვითონ იკისრა სახლის დალაგება.

– არა, არა, – თქვა მან, – თქვენ არა!

– სახლის დალაგებაში შენ და დალის, აი, ეს ვაუბატონი მოგეხმარებათ, – ბრძანა ქურდობის ქალღმერთმა და ბარბის თავისი კულტის აღმსარებელზე მიუთითა.

– მერე მეც რომ ქურდი ვარ! – თქვა ჟორამ.

– მომავალი! – ლაკონურად მოუჭრა ქურდობის ქალღმერთმა და ლასლასით გავიდა სადარბაზოში. ლასლასით იმიტომ, რომ მას ჯერ კიდევ სტკიოდა ის ადგილი, რომლითაც იგი კარის შემტვრევის დროს დაეცა, – ჩავალ ეზოში და ატანდაზე დავდგები, პარდონ, სკამეიკაზე დავჯდები! – ჩაილაპარაკა მან ქილიკით ბარბის გასაცინებლად.

ამის შემდეგ, ბოჰირი ვარაილაკჰმი ჩრდილიან ეზოში ჩავიდა, სკამზე დაჯდა, გარემო დაზვერა და ხმადაბლა დააღიღინა თავისი საყვარელი სიმღერა „ვინ არ იცნობს ნახალოვკელ ტასოს“. დიახ, ბატონებო, სწორედ ასე იყო, იჯდა ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმი გრილ, ჩრდილიან ეზოში და ნახალოვკელ ტასოზე მღეროდა, თან ნატკენ ადგილს იზელდა, პერიოდულად იძახდა „უიმეუიმეუიმეს“ და სულ იმის ფიქრში იყო, თუ როდის მორჩებოდნენ „ეს-ჩემის გადანგრეულები“ სახლის დალაგებას, როდის დაუძახებდნენ ნამცხვარზე. რაც შეეხება ბარბის, დალის და სემიჩკას, მათ სახლი მალე დაალაგეს, ჟორამ დაზიანებული კარიც გაარემონტა და ის იყო ბოჰირი ვარაილაკჰმის დაძახებასაც აპირებდნენ, რომ სწორედ ამ დროს ვიღაცამ ღონივრად, მომთხოვნად და ხანგრძლივად დარეკა ზარი.

– გააღე, გააღე, – დაუძახა ბარბიმ ჟორას და ქალღმერთის დასაძახებლად გაღებული ფანჯარა დახურა, – ეს ალბათ ბოჰირი ვარაილაკჰმია!

ჟორამ კარის გაღებამდე სათვალთვალო ჭუჭრუტანაში გაიხედა და გაშრა. ზღურბლზე მისი ძველი ნაცნობი, პოლიციის პოლკოვნიკი დობორჯგინიძე იდგა. იგი ცალი ხელით ზარის ღილაკს აწვებოდა, მეორით კი მაგრად ჩაებღუჯა ქურდობის ქალღმერთის მაჯა. ეს უკანასკნელი კი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და რაღაცას გაჰყვიროდა.

– დავიწვით! – თქვა ჟორამ მწარედ და ბარბის გახედა.

– რაშია საქმე? – ჰკითხა გაკვირვებულმა ბარბიმ.

ჟორამ ჭუჭრუტანაზე მიუთითა. ბარბიმ ჭუჭრუტანაში გაიხედა და პირზე ხელი აიფარა.

– არა უშავს, – თქვა ბარბიმ, – ეს ჩვენი პოლიციის უფროსი, პოლკოვნიკი დობორჯგინიძეა. მე მას ვიცნობ. პასპორტს რომ ვიღებდი, მაშინ გავიცანი. ძალიან კარგი კაცია! მე ახლა კარს გავაღებ, შენ კი ოთახში შედი და ნურაფრისა გეშინია!

– ნურაფრისა გეშინია, ჟორჟ! – დაამშვიდა ჟორა დალიმაც.

ჟორა ოთახში შევიდა. ისე იყო შეშინებული, რომ ალბათ დაუფიქრებლად ფანჯრიდანაც გადაეშვებოდა, ბარბის დახმარების იმედი რომ არ ჰქონოდა. ჟორას ღრმად სწამდა, რომ ყოველივე მომხდარის შემდეგ, ბარბი არათუ არ გასწირავდა მას, არამედ ყოველ ღონეს იხმარდა მის გადასარჩენად.

ბარბიმ კარი გააღო...

აქ ცოტათი უკან უნდა დავბრუნდეთ. საქმე ისაა, რომ იმ ბინის პირდაპირ, რომლის კარიც შეამტვრია ჟორამ, ცხოვრობდა გასათხოვარი ციცინო. იგი, სხვათა შორის, სიგარეტს ეწეოდა, სარკის წინ იპრანჭებოდა და დღეში ასჯერ მაინც სვამდა ყავას. ციცინო არსად არ მუშაობდა, რადგანაც ზარმაცი იყო, სამაგიეროდ მთელ დღეს ეკიდა ტელეფონზე და ჭორაობდა. ციცინო ოცნებობდა, გამხდარიყო ჰოლივუდის ვარსკვლავი. იგი, როგორც ყოველთვის, მაშინაც, ანუ იმ დროს, როცა ჟორა კარს ამტვრევდა, იჯდა და ჭორაობდა თავის დაქალთან ტელეფონით. აი, მაშინ გაიგონა სადარბაზოდან მტვრევის მჭახე ხმა. შემდეგ ეს ხმები განმეორდა, მაგრამ დამთხვევის უკულმართობისა გამო, იმდენად პიკანტური აღმოჩნდა ჭორი, რომ იგი უბრალოდ ვერ მოსწყდა ყურმილს. მაგრამ, როდესაც გაიგონა საშინელი ბრახუნი, სწორედ ის უკანასკნელი, როცა გაგუ-

ლისებულმა ქურდობის ქალღმერთმა ტყუპი წიხლით საბოლოოდ შეანგრია კარი, მან მაინც მოუბოდიშა თავის დაქალს და სათვალთვალო ჭუჭრუტანას ეცა. საბედნიეროდ, ის ვერ მიხვდა, თუ რატომ იყო მისი ჭუჭრუტანის მინა გაქონილი, მაგრამ ვინაიდან იგი ბუნებით ეჭვიანი და ჭორიკანა იყო, კარი ფრთხილად გამოაღო და იქაურობა დაზვერა. ჟორა ამ დროს უკვე ბინაში იყო და კარიც მიხურული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, თანდაყოლილი ეჭვიანობისა გამო, ციცინომ მაინც დარეკა პოლიციაში და შეატყობინა თავისი ეჭვების შესახებ პოლიციის უფროსს. პოლიციის უფროსმა სიგნალი მიიღო თუ არა, მაშინვე გადაწყვიტა რეაგირება, მაგრამ ვინაიდან მისი ხელქვეითი პოლიციელები ყველანი ოპერატიულ ოპერაციებზე იყვნენ დაგზავნილები, იგი თავად გაემართა ზემოხსენებული ბინის შესამოწმებლად.

პოლიციის პოლკოვნიკი ანდუყაფარ დობორჯგინიძე ნაცადი კადრი და გამოცდილი იურისტი იყო, ოპერატიულ ოპერაციებზე იგი მხოლოდ ფიზკულტურელის ლურჯი ფორმით დაიარებოდა, ფეხზე იცვამდა 46 ზომის ჩინურ კედებს, ხოლო თავს სვანური ქუდით იბურავდა, და თანაც კარგა გვარიანად ჩამოიფხატებდა ხოლმე, რათა დამნაშავეებსა და ბირჟავიკებს არ ეცნოთ. თუმცა, დამნაშავეები და ბირჟავიკები მას მაინც სცნობდნენ და მის დანახვაზე ბაყაყებრ ხტებოდნენ და თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. მიზეზი ამის იყო ის, რომ ამაგდარი პოლკოვნიკი, მის მიერ წლების მანძილზე გაწეული უანგარო სამსახურისთვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, რომელსაც ბატონი ანდუყაფარი საპოლიციო კოსტიუმის პაგონების, ჩექმების და მის მიერ მიღებული სხვა ჯილდოებისგან განსხვავებით, ვერაფრით ელეოდა. მას იმდენად უყვარდა თავისი ორდენი, რომ ყოველთვის ატარებდა. ეს იყო აქილევსის ქუსლი პოლკოვნიკ დობორჯგინიძისა და ბირჟავიკებიც სწორედ ამ ორდენით სცნობდნენ მას. „გამობრწყინდა! გამობრწყინდა!“ – ყვიროდნენ ისინი და მართლაც ბაყაყებრ ხტებოდნენ ორდენოსანი ფიზკულტურელის დანახვისას.

ბატონმა ანდუყაფარმა შორიდანვე შეამჩნია ზემოხსენებული სადარბაზოს წინ მჯდომი საეჭვო ბოშა ქალი. მან ღირსების

ორდენზე ხელი აიფარა და ყალბი ქოშინით, თითქოს ის მართლაც ჭარმაგი, ვარჯიშით დაღლილი ფიზკულტურელი ყოფილიყოს, ბოშა ქალს მიუახლოვდა. ბოშა ქალი, ანუ ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმი კი ამ დროს არხეინად იჯდა გრილ ეზოში, მიდამოს ზვერავდა და ხმადაბლა ღიღინებდა თავის საყვარელ სიმღერას ტასოზე. ის, როგორც ცნობილია, იმუბნელი არ იყო, ინდოეთიდან იყო „გასტროლებზე" ჩამოსული და დობორჯგინიძეს არ იცნობდა. პოლკოვნიკი ქალღმერთს მიუახლოვდა, თითქოს სულის მოსათქმელად სკამზე სურდა ჩამოჯდომა, თან ღირსების ორდენზე იფარებდა ხელს, ისევე, როგორც თეთრი დათვი მალავს თათით თავის შავ დრუნჩს, როცა სელაპს ეპარება. სწორედ ეს ხელი სტაცა მაჯაში ბოჰირი ვარაილაკჰმის პოლკოვნიკმა და ღირსების ორდენიც, რომ იტყვიან, გამობრწყინდა.

– ციგანკა, შენ აქ რა გინდა?! – ჰკითხა დობორჯგინიძემ მკაცრად.

ბოჰირი ვარაილაკჰმი თუმც მაშინვე ძალიან ჩამანდრაჟდა, მაგრამ როგორც გამოცდილი ქურდი ქალი სრულიადაც არ დაიბნა. იგი ხმამაღლა აყვირდა, რათა ამ გზით თავისი თანამოაზრე და ამფსონი, ბინაში დარჩენილი სემიჩკა გაეფრთხილებინა.

– აი, კრასივი მალადოი, – აყვირდა ბოშურ ყაიდაზე ბოჰირი ვარაილაკჰმი, – მოდი გიმკითხავო დარაგოი!

– შენ აქ რა გინდა-მეთქი, გეკითხები?! – შეუძახა ისევ ეჭვით დობორჯგინიძემ, – მიპასუხე, მე პოლიციის პოლკოვნიკი ვარ.

– აი, კრასივი, მალადოი, მე მკითხავი არის! შენ პოლიციის პოლკოვნიკი არის, მოდი, გიმკითხავო, გენერალი გახდები! შენ ლამაზი პოლკოვნიკი არის! შენ ლამაზი ორდენი არის!

რა თქმა უნდა, ბოჰირი ვარაილაკჰმი გამოცდილი ქურდი ქალი იყო და ამიტომაც გაჰყვიროდა ასე ხმამაღლა, მაგრამ არანაკლებ გამოცდილი იყო დობორჯგინიძეც, ამიტომ მან მაშინვე ჩააჩუმა ქალღმერთი:

– გაჩუმდი-ი-ი, ციგანო მამაძაღლო შენე! – ზიზღით დაუცაცხანა მან ბოჰირი ვარაილაკჰმის და მუშტი მოუღერა.

– არ მცემოთ, მე ყველაფერს ვიტყვი! – განაცხადა ბოჰირი ვარაილაკჰმიმ და მუშტის დანახვაზე მაშინვე გაისუსა, თუმცა სულ ერთი წამით.

პოლკოვნიკმა დობორჯგინიძემ ბოჰირი ვარაილაკჰმი თან წაიყვანა და თუმცა ეს უკანასკნელი ბევრს გაჰყვიროდა ჟორას გასაფრთხილებლად, მაინც ვერაფერი გააგონა. ასე ალბათ იმიტომ მოხდა, რომ ჟორა, როგორ ჩანს, უკვე გამოსწორების გზას ადგა – იგი ალაგებდა, აკეთებდა მის მიერვე დამტვრეულს და არეულს, – ხოლო მას, ვინც გამოსწორების გზას ადგას, ქურდულისა აღარაფერი ესმის.

და, აჰა, ზარმაც დარეკა.

ბარბიმ კარი გააღო. ზღურბლზე პოლიციის მრისხანე პოლკოვნიკი დობორჯგინიძე იდგა, ტანზე ფიზკულტურელის ფორმა ეცვა, თავზე ფუნჯიანი სვანური ქუდი ეხურა, ხოლო მკერდს სნორუპოვარი ღირსების ორდენი უმშვენებდა. რა თქმა უნდა, შექმნილი ვითარებისა გამო, პოლკოვნიკი დობორჯგინიძე ცოტა საჩხუბრად იყო განწყობილი, მაგრამ როდესაც დაინახა ბარბი, მაშინვე მოლბა და გაგულკეთილდა.

– ბაარბი, – ნასიამოვნები ღიმილით შეიცხადა პოლიციელმა, – თქვენც აქ ცხოვრობთ? ეს რა სასიამოვნო სიურპრიზია! ამას სრულებითაც არ მოველოდი!

– მობრძანდით, ოფიცერო! – გულითადი ღიმილით შეიპატიჟა ბარბიმ პოლიციელი.

– მე მხოლოდ ერთი წუთით შემოგიარეთ. საქმე ისაა, რომ თქვენმა ერთ-ერთმა მეზობელმა შეგვატყობინა, რომ თქვენი ბინიდან მტვრევის საეჭვო ხმები გამოდიოდა.

– ააა, – სასიამოვნოდ გაიკვირვა ბარბიმ, – აი, თურმე რა! საქმე ისაა, რომ ჩვენ კარის ხელოსანს გამოვუძახეთ და ეს სწორედ ის ხმაურობდა, როცა არემონტებდა კარს.

– ეს ვინღაა, ამას იცნობთ? – იკითხა დობორჯგინიძემ და ბოჰირი ვარაილაკჰმიზე მიუთითა.

– მე ციგანკა არის! მე მკითხავი არის! მე გამოძახებით დავდივარ! – აყვირდა ბარბის გასაგონად ბოჰირი ვარაილაკჰმი.

– ოოო, აი ჩვენი მკითხავიც მოსულა, – მხარი აუბა ბარბიმ ქურდობის ქალღმერთის მიერ შეთხზულ ვერსიას, – მობრძან-

დით, ძვირფასო მკითხავო! მობრძანდით, ოფიცერო! მე თქვენ უნდა გაგასინჯოთ ჩემი გამომცხვარი მაზურკა თაფლით.

დობორჯგინიძემ ბოშად გადაცმულ ქალღმერთს გზა დაუთმო და ისინი დერეფანში შევიდნენ.

– მე პატიოსანი ქალი არის, – მაჯის ფშვნეტით თქვა გათამამებულმა ბოჰირი ვარაილაკჰმიმ, – პოლიციის პოლკოვნიკი კი უხეში კაცი არის და აქ რაღაც აკლია! – ამ სიტყვებზე ქალღმერთმა შუბლზე მიიკაკუნა თითი და გამოსცა ერთობ სასაცილო, ლითონისებური ხმა, სპილენძის ქვაბის მაგვარი.

ბარბიმ ტუჩებზე მიიფარა თითი და ამ გზით ჩააჩუმა ბოჰირი ვარაილაკჰმი. დობორჯგინიძემ ამ უკანასკნელს თვალები დაუბრიალა.

– არ მცემოთ, მე ყველაფერს ვიტყვი! – განაცხადა იმწამს მოჭკვიანებულმა ქალღმერთმა.

ყველანი ოთახში შევიდნენ და, აი, აქ კი მოხდა პატარა უსიამოვნება, რომლის მთლიანად თავიდან აცილებაც არ ძალუძდა თვით შორსმჭვრეტელობით განთქმულ ბარბისაც კი. გამოცდილმა პოლკოვნიკმა, რასაკვირველია, იცნო ცნობილი მზესუმზირის ქურდი ჟორა-სემიჩკა. მან თავისი სვანური ქუდი მუქარის ნიშნად შუბლზე ჩამოიფხატა და ჟორას თვალები დაუბრიალა.

– მაშ, ეს არის თქვენი ხელოსანი? – დაიბრდღვინა მან, – ეს ხომ ცნობილი ქურდი სემიჩკაა! მან თქვენ მოგატყუათ და თავი დურგლად გაასაღა! უუუხ, შენი!!! – პოლკოვნიკმა სემიჩკას მუშტი მოუღერა.

– არ მცემოთ, მე ყველაფერს ვიტყვი! – ჩაერია ლაპარაკში შეშინებული ბოჰირი ვარაილაკჰმი.

– გაჩუმდი-ი-ი! შენი დროც მოვა! ციგანო შენე! – დაუცაცხანა მას დობორჯგინიძემ.

ბარბის უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა საიმისოდ, რომ როგორმე დაეშოშმინებინა ოფიცერი. მან აუხსნა პოლკოვნიკს, რომ, მართალია, ჟორა ადრე კანონდამრღვევი იყო, მაგრამ ახლა გამოსწორდა და პატიოსან ცხოვრებას მიჰყო ხელი – ადრე ამტვრევდა კარებს, ახლა კი არემონტებს.

– კარგი, ბატონო, – თქვა დობორჯგინიძემ, – მე გამოცდი-

ლი პოლიციელი ვარ და ქურდის ასე ადვილად გამოსწორებისა რაღაც არ მჯერა, მაგრამ ჯანი გავარდეს, თქვენი ხათრით, ბარბი, აღარ ჩავეძიები. აი, ამ ვაჟბატონს კი, – და დობორ-ჯგინიძემ რატომღაც ვაჟბატონი უწოდა ბოჰირი ვარა-ილაკჰმის, – მე მაინც დავაპატიმრებ პოლიციელის, ანუ ჩემი შეურაცხყოფისათვის.

– არ მცემოთ, მე ყველაფერს ვიტყვი! – წარმოთქვა ისევ აკვიატებული ფრაზა ბოჰირი ვარაილაკჰმიმ.

აქ კიდევ ბარბი ჩაერია საუბარში:

– ნუთუ მან მართლაც შეურაცხგყოთ? რა გულსატკენია!

– როგორ არ შეურაცხმყო, თავზე ხელი მიიკაკუნა და მითხრა „აქ რაღაც გაკლიაო!“ – თქვა დობორჯგინიძემ.

– არ მცემოთ, მე ყველაფერს ვაღიარებ! – თქვა ბოჰირი ვარაილაკჰმიმ.

– იცით, ბატონო ანდუყაფარ, – ჩაურთო ბარბიმ, – საქმე ისაა, რომ ამას ყველაფერს ახსნა სჭირდება. მე ახლა აგიხსნით და თქვენ დარწმუნდებით, რომ არავითარ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია... როგორც მეცნიერები თვლიან, ბოშები წარმოშობით ინდოეთიდან არიან, ამიტომ მათი ადათ-წესები ძალიან ჰგავს ინდოელებისას. ინდოეთში კი თვლიან, რომ ადა-მიანს ორი ჩვეულებრივი თვალის გარდა აქვს მესამე, შიდა თვალიც, რომელიც შუბლსქვეშაა განთავსებული და რომ-ლის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის შინაგანი ბუნების განჭვრეტა. იმის გამო, რომ თანამედროვე ადამიანებმა დიდ-წილად დაკარგეს შინაგანი განჭვრეტის უნარი, ეს თვალიც ნახევრად რუდიმენტულ ორგანოდ გადაიქცა, თუმცაღა ცალკეულ ინდივიდებში ის მაინც ფუნქციონირებს. აი, ამ თვალის მნიშვნელობის აღიარებისა და მისი არაუგულებელ-ყოფის მიზნით, ანუ იმისთვის, რომ ხაზი გაუსვან ამ თვალის არსებობას მათში, ინდოელები და ბოშები იკეთებენ შუბლზე წერტილს, რომელიც ერთდროულად სამკაულიცაა და რიტუ-ალური ნიშანიც. ჩვენმა ბოშა მკითხავმაც ეს მესამე თვალი იგულისხმა, როცა შუბლზე მიიკაკუნა თითი.

– ჰმ, – ჩაახველა დობორჯგინიძემ, – მეც ხომ არ გავიკეთო შუბლზე წერტილი?!

– არა, – თქვა ღიმილით ბარბიმ, – უბრალოდ ისწავლეთ ადამიანის შინაგანი ბუნების ჭვრეტა და გახდით უფრო მეტად გამგებიანი.

დობორჯგინიძე ჩაფიქრდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, რადგანაც სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა.

მერე ბარბიმ სტუმრები გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟა. ყველანი სუფრას მიუსხდნენ და სხვადასხვა ნუგბარი საჭმლით ყელის ჩატკბარუნებას შეუდგნენ. ყველაზე მეტად მოეწონათ ბარბის გამომცხვარი მაზურკა თაფლით. ბარბიმ შეჭამა ნახევარი ნაჭერი, ხოლო პოლიციის შეფს ისე მოეწონა ნამცხვარი, რომ ექვსი ნაჭერი შესანსლა, რითაც, უნდა ითქვას, მეტად ასიამოვნა ბარბის. თან დროდადრო ჟორასკენ იხედებოდა და თუ დროს იხელთებდა, სხვებისგან შეუმჩნეველად, ფეხს ფეხზე ადგამდა და მაგიდის ქვეშიდან უღერებდა მუშტს. ასევე მუშტს უღერებდა იგი ქურდობის ქალღმერთსაც. ბოლოს, პოლიციის შეფმა, როგორც იქნა, უკანასკნელი ნაჭერიც გადასანსლა, ტუჩები ხელსახოცით შეიმშრალა, მოიბოდიშა, საქმეები მოიმიზეზა და წასასვლელად მოემზადა. იგი წამოდგა, მაგრამ სანამ წავიდოდა, ჟორას თითით მოუხმო და ერთხანს ხმადაბლა ელაპარაკა. მერე კი წავიდა. ბარბიმ ოფიცერი კარამდე მიაცილა, კარი გაუღო და მომხიბვლელად გაუღიმა. პოლკოვნიკმა დორბორჯგინიძემ მას ხელზე აკოცა, მადლობა გადაუხადა და უთხრა:

– მინდა გითხრათ, ბარბი, რომ თქვენ გაქვთ ადამიანის შინაგანი ბუნების განჭვრეტის უნარი!

შემდეგ ამისა პოლკოვნიკმა დობორჯგინიძემ ჟორას გამაფრთხილებლად დაუქნია თითი და წავიდა. ჟორა მას სასაცილოდ დაემანჭა, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი მისკენ ზურგით შეტრიალდა. კარის გაღების ხმაზე საპირისპირო კარიც ოდნავ გაიღო და იქიდან გასათხოვარმა ციცინომ გამოყო თავისი ცნობისმოყვარე ცხვირი. მან თავი უსაფრთხოდ იგრძნო ბრგე, ღიპიანი პოლიციელის დანახვისას და გათამამებულმა იკითხა: – რა მოხდა? რა მოხდა?

დობორჯგინიძემ, როგორც გამოცდილმა პოლიციელმა, მაშინვე იცნო დამსმენის ხმა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, აუხ-

სნა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი შემოწმება. შემდგომ ამისა, პოლიციელმა სამხედრო სალამი მისცა მანდილოსნებს და წავიდა. ამასობაში გასათხოვარმა ციცინომ თავისი ცნობისმოყვარე ცხვირი სათანადოდ ააფუსფუსა და, რასაკვირველია, ყავის დამათრობელი სურნელი შეიგრძნო.

– ბაარბი, – დაიწყო მან მაცდური მლიქვნელურობით, – შენ რა, ყავა მოადუღე?!

– დიახ, მოვადუღე! – უპასუხა ბარბიმ და თავისი განუმეორებელი ღიმილით გაიღიმა.

– დამპატიჟებ? – გაშაქარყინულდა გასათხოვარი ციცინო.

– კი-ი-ი! – უპასუხა მხიარული ღიმილით ბარბიმ.

– სტუმრები გყა-ავს? – იკითხა მოკლედ და მაცდურად ციცინომ.

– მყა-ავს! – უპასუხა ისეთივე დაშაქრული ტონით ბარბიმ.

– ქალები თუ კაცები? – იკითხა სხარტად ციცინომ.

– ქალი და მამაკაცი! – უპასუხა ბარბიმ.

– მამაკაცი ახალგაზრდაა? – იკითხა ციცინომ.

– ისე რა, წავა, რა, პივაზე! – მიუგო ხუმრობით ბარბიმ.

– ცოლიანია თუ უცოლო? – იკითხა ციცინომ.

– აარა, მე მგონი უცოლოა! – მიუგო ღიმილით ბარბიმ.

– ვა, როგორ ასწორებს, – თქვა გახარებულმა ციცინომ და ტუჩზე იკბინა, – ბაბთას გავიკეთებ და მოვალ! დროებით! – თქვა მან და კარი მიიხურა.

ბარბიმაც მიხურა კარი, ოთახში შევიდა და გამოაცხადა:

– ახლა ჩვენთან მოვა სტუმარი!

– ვინ, ისევ პოლიციელი? – იკითხა ჟორამ და ამოიოხრა.

– არაა, ამჯერად ჩვენთან მოვა ჩვენი მეზობელი, გასათხოვარი ციცინო! – უპასუხა მხიარულად ბარბიმ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ჟორას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ჩაახველა, თავისი დაჭმუჭნილი პიჯაკი გაიხადა, კარადა გამოაღო და ისევ ის, თავისი მოწონებული, ტყავის ლამაზი პიჯაკი ჩაიცვა, რასაკვირველია, დროებით.

ამასობაში გასათხოვარმა ციცინომ სასწრაფოდ გადაიცვა ახალი, ძალიან მოკლე და ჰაეროვანი კაბა, ჩაიცვა ორნამენტე-

ბით მოოჭვილი, ფინდიპერცებიანი კოლგოტები, თმებზე კი გაიკეთა წარმტაცი ბაფთა. შემდგომ ამისა დარეკა ზარი და შევიდა ბარბისთან.

მოხდა ისე, რომ სუფრაზე ჟორა და გასათხოვარი ციცინო ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ. ისინი საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ, თუმც თვალს რატომღაც ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს, ხოლო როცა მათი მზერა ანაზდად ხვდებოდა, ისინი ორივენი ვარდებოდნენ უხერხულობაში და ოდნავ უვარდისფერდებოდათ ლოყები. სუფრასთან მსხდომნი აუჩქარებლად მიირთმევდნენ მაზურკას თაფლით და საუბრობდნენ ათასგვარ თემაზე. საუბარი, რა თქმა უნდა, ადამიანის ბედსა და იღბალსაც შეეხო. ჟორამ იქ მყოფთ უამბო, რომ მას არც ბედი და არც იღბალი რატომღაც არ სწყალობდა, რადგან თავისი საქმიდან (ჟორამ არ გაამხილა, თუ რომელი საქმიდან, უფრო სწორად, ციცინოს არ გაუმხილა, თორემ ბარბი ისედაც მიხვდა) მას ვერ ენახა ვერავითარი ხეირი. ციცინოს და ბარბის ძალიან შეეცოდათ ჟორა, არანაკლებ ციცინოსი და ბარბისა, შეეცოდა იგი ქურდობის ქალღმერთ ბოჰირი ვარაილაკჰმისაც. მან, გულაჩუყებულმა, რომ იტყვიან, კარტები გახსნა და მთელი თავისი ბრწყინვალებით წარუდგა იქ მყოფთ. ქალღმერთის ბრწყინვალებამ დააბრმავა და გააოგნა იქ მყოფნი. ბოჰირი ვარაილაკჰმიმ კი მიმართა ჟორა-სემიჩკას:

– მე ვარ ქურდობის ქალღმერთი ბოჰირი ვარაილაკჰმი და ჩემზეა დამოკიდებული ქურდთა წარმატება თუ წარუმატებლობა. ვინც მე თაყვანს მცემს, ჩემ მიერ ყველა კურთხეულია, მაგრამ გაგიმხელ, რომ ეს ჩვენი საქმე, ბევრის მიერ, მათ შორის ღმერთების დიდი ნაწილის მიერ, არის კრული, და ამიტომაც, იშვიათად თუ ყოფნის ადამიანს მარტო ჩემი ლოცვა-კურთხევა. ერთ ჩემს ლოცვაზე, ათი სხვისი წყევლა მოდის უთუოდ, და ეს წყევლა, როგორც წესი, თუ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, გადასძალავს ხოლმე ლოცვას. ძალიან ცოტანი არიან ისინი, ვისაც შეუძლია დაიკვეხნოს, რომ მას ბოჰირი ვარაილაკჰმისთან ერთად ოდესმე რაიმე მოეპაროს. ეს უდიდესი პატივია ქურდთათვის და შენ ეს პატივი გერგო! ამიტომ გჩუქნი იამანტაკას ჯადოს-

ნურ ქვას, რომელსაც წარმატების მოტანის უნარი შესწევს. თუმცაღა გაფრთხილებ – თუ ქურდობაზე ხელს არ აიღებ, ჩემი დალოცვისა და იამანტაკას ქვის დახმარების გარდა, შენ აღმოჩნდები წყევლისა და კრულვის ქარცეცხლში იმათი მხრიდან, ვისაც შენ სიავეს უზამ. და თუ ეს წყევლა გადასძლევს ლოცვას – შენ დაიღუპები. დანარჩენი კი თავად გადაწყვიტე – და ამ სიტყვებზე ბოჰირი ვარაილაკჰმიმ თავისი მომაჯადოებელი სარის ნაკეცების სიღრმიდან ამოიღო მსხლისხელა, ცისფერი საფირონი და ჟორას გაუწოდა. ეს იყო წარმატების მომტანი ჯადოსნური ქვა – იამანტაკა. ყველანი გაოცებულნი დარჩნენ იამანტაკას სილამაზით და მოკრძალებით განიმსჭვალნენ მისდამი. შემდეგ ამისა ბოჰირი ვარაილაკჰმი ნელ-ნელა ეთერში განინთხა და გაუჩინარდა. იგი დაბრუნდა ღმერთებისა და მათი ჭეშმარიტი ერთგულების შამბჰალაში – ქალაქში, რომელიც სადღაც ჰიმალაის მთებშია ჩაკარგული და რომლის დანახვა და შეგრძნება არ ძალუძს ჩვეულებრივ მოკვდავს.

ბარბის და ციცინოს საუცხოო საჩუქრები გაუგზავნა თავისი ქვეყნიდან ბოჰირი ვარაილაკჰმიმ. ეს იყო ათობით ინდური სარი, რომელიც ალბათ ყველაზე მოხდენილი სამოსელია ქალისა, გაუგზავნა უამრავი აღმოსავლური სამკაულიც. ზღაპრული საჩუქარი გაუგზავნა ქურდობის ქალღმერთმა პოლკოვნიკ დობორჯგინიძესაც. ეს იყო უზარმაზარი თეთრი სპილო – ქუვალაიააპადი თავისი ტახტრევნით. აჩუქა აგრეთვე ძვირფასი ქვებით შემკული შუბლზე დასამაგრებელი წერტილი, რომელიც ლაზურიტის პატარა ზარდახშაში იყო მოთავსებული. პოლკოვნიკი ანდუყაფარ დობორჯგინიძე ამხედრდებოდა ხოლმე თავის თეთრ სპილო ქუვალაიააადიზე, ლაზურიტის ზარდახშიდან ამოიღებდა წერტილს, ფუნჯიან სვანურ ქუდს უკან, კეფაზე გადაიგდებდა და წერტილს შუბლზე იკრავდა. ასე სპილოზე ამხედრებული დაბრძანდებოდა იგი ქალაქის ქუჩებში – ღირსების ორდენით მკერდდამშვენებული, წერტილით შუბლზე. წერტილი, რომელიც სიმბოლურად მესამე, შუბლსქვეშა თვალს განასახიერებდა, ეხმარებოდა პოლკოვნიკს ადამიანის შინაგანი ბუნების გან-

ჭვრეტაში და ისიც შეფასებაში აღარასოდეს ცდებოდა.

ბარბიმ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა წარჩინებით და უფროსი ლეიტენანტის წოდებაც მიიღო. იგი პოლკოვნიკ დობორჯგინიძის ქვედანაყოფში მუშაობდა სოციოლოგად. უნდა ითქვას, რომ დამნაშავეებიც და პოლიციელებიც, უკლებლივ ყველანი, შეყვარებული იყვნენ მასზე, რადგანაც ბარბის, ისედაც ლამაზს, კიდევ უფრო ამშვენებდა უჩვეულოდ მოხდენილი, საგანგებო უნიფორმა. ბარბი სამსახურში ბოჰირი ვარაილაკჰმის მიერ ნაჩუქარ ქაშმირის აბრეშუმის ოქროსფერ, იისფერ და ნარინჯისფერ სარიში გამოწყობილი დაიარებოდა. ცალი მკლავი და მხარი მას ყოველთვის მოშიშვლებული ჰქონდა, რადგან ასეთი სამოსია სარი. მეორე, ქსოვილით დაფარულ მხარზე კი იგი ოქროსფოჩებიან საპოლიციო ეპოლეტს ატარებდა, სამ პატარა ოქროს ვარსკვლავიანს. მაჯებზე, მკლავებსა და წვივებზე ბარბი იკეთებდა ინდოელ ოქრომჭედელთა ნაკეთ ძვირფას სამაჯურებს, ხოლო შუბლზე, ისევე როგორც პოლკოვნიკი დობორჯგინიძე, ბარბიც იმაგრებდა მესამე, შუბლქვეშა თვალის მასიმბოლიზებელ წერტილს, რომელიც მას ადამიანის შინაგანი ბუნების განჭვრეტაში ეხმარებოდა. გარდა სამსახურისა, ბარბი საპოლიციო აკადემიაშიც სწავლობდა და, უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველანი (იგულისხმებიან დამნაშავენი), ვისაც კი მასთან ურთიერთობა უხდებოდა, გამოსწორების გზას ადგებოდნენ, რადგან ბარბის შესწევდა ადამიანის დარწმუნების და, თუ გნებავთ, გადაბირების უნარი. იგი თანაგრძნობით ეკიდებოდა ყველას და ამით ბევრს იგებდა. პოლკოვნიკი დობორჯგინიძე ამაყობდა მისით.

პატარა დალი სკოლაში სწავლობდა და იყო ფრიადოსანი.

ჟორამ და ციციონომ კი ჯვარი დაიწერეს. ოღონდ ციციონომ წინასწარ უტეხი პირობა ჩამოართვა ჟორას, რომ ეს უკანასკნელი გამოსწორდებოდა. და, მართლაც, ჟორა გამოსწორდა. მან ქარხანაში დაიწყო მუშაობა, გახდა მაღალკვალიფიციური ზეინკალი – ნოვატორი და რაციონალიზატორი. ჟორას პორტრეტი მუდამ ეკიდა წარმოების მოწინავეთა საპატიო დაფაზე. მას რეგულარულად აჯილდოებდნენ სიგელე-

ბით, გაზეთებშიაც წერდნენ მის შესახებ. გარკვეული დროის შემდეგ კი იგი შრომის წითელი დროშის ორდენითაც დაჯილდოვეს. ციცინომ გაუჩინა ბავშვები და ლამაზად მოაწყვეს სახლი. დიდი, ნიყვივით დაბრეცილი ცხვირი ჟორას თანდათან დაუპატარავდა. ის ხომ უკვე აღარ სარგებლობდა თავისი ცხვირით, როგორც ინსტრუმენტით, ამიტომ ცხვირმაც თავისი შესაბამისი ფორმა მიიღო.

ჟორას მიერ დიდი ხნის წინათ მოპარული ბოჰირი ვარაილაკჰმის თაბაშირის პატარა ქანდაკება კი ისევ იქ, იმ საპატიო ადგილზე იდგა ჟორას სახლში. ბოჰირი ვარაილაკჰმი ძველებურად ყვავილებში იყო ჩამჯდარ-ჩაჩოქილი, სარის ნაკეცებში ოქროს მონეტებით სავსე მოპარულ ქისას ინახავდა და ეშმაკურად ზვერავდა მიდამოს. იქვე იდო წარმატების მომტანი, ჯადოსნური იამანტაკას ქვა. მიუხედავად იამანტაკას ქვის თვისებისა, ჟორა არასოდეს იყენებდა მას ქურდობაში, რადგან ქურდობას, თუნდაც იამანტაკას ქვის დახმარებით ჩადენილს, არ მოაქვს სარგებელი. მაგრამ ხანდახან მაინც, დაღლილი და სამუშაოდან შინ ფეხით მიმავალი, ისე, სახალისოდ, წარსული, მხიარულ-სევდიანი, ფათერაკიანი დროის მოსაგონებლად, ზოგჯერ შეივლიდა ხოლმე ქალაქის რომელიმე ბაზარში და ერთ მუჭა მზესუმზირას მოიპარავდა. ამ ერთი მუჭა მზესუმზირის კნატუნით ბრუნდებოდა იგი შინ, მიეახლებოდა ბოჰირი ვარაილაკჰმის სახებას და პატივისცემითა და მოწიწებით ფერხთით მოუბნევდა მოპარული მზესუმზირის მორჩენილ მარცვლებს.

ქურდობის ქალღმერთს ხომ აგრერიგად უყვარს ნაქურდალი ზვარაკი.

მსტოვარი და მზვერავი

რცხილა ძალიან მაგარი ხეა – გაცილებით მაგარი, ვიდრე, მაგალითად, მუხა. მისგან შალაშინის კალაპოტებს და სპორტულ ინვენტარს ამზადებენ, მზადდება მისგან, აგრეთვე, ცულისა და ჩაქუჩის ტარები, სხვადასხვა ინსტრუმენტი. ძველი, გამოცდილი ხელოსნები რცხილას ჭრიან, აცლიან ქერქს და ქერქგაცლილს პირდაპირ ღია ცის ქვეშ ტოვებენ, რათა ამ მორმა იგრძნოს სიცხე, სიცივე, წვიმა, მზე და ქარი. მორი იწყებს სკდომას, იგრიხება, იბრიცება და ასეა სამ წელიწადს. მხოლოდ ამის შემდეგ აპობენ მორს ნასკდომებზე და, რაც მთელი გადარჩება, სწორედ იქიდან ამზადებენ საშვილიშვილო შალაშინის კალაპოტებს, ხელსაწყო-იარაღების ტარებს თუ სხვა საჭირო საგნებს.

ჩვენ ჯვრებს ვაკეთებთ რცხილისას. ჩვენი მასალა, ძველი ხელოსნების მიერ ღია ცის ქვეშ გამომშრალი მასალისგან განსხვავებით, ჩვეულებრივ, ხე-ტყის საშრობშია გამომშრალი, მაგრამ სიმაგრით, ვგონებ, არ ჩამოუვარდება მას. თუ თქვენ საშუალება მოგეცემათ, ხელში აიღოთ გაკრიალებული, ოთხიოთხზე, მეტრაოციანი რცხილის ლარტყა, მაშინვე იგრძნობთ მის სიმძიმესთან ერთად სიმკვრივეს და ერთგვარ სიცივეს თითებით – რცხილა ძვალივით, ლითონივით მაგარია და ცივი. ამ ლარტყაზე მეორე, ორმოცდაათსანტიმეტრიანი ასეთივე სისქის ლარტყა მაგრდება სჭვლებით და ჯვარიც მზადაა – ლაქის წასმაღა უნდა. სჭვლებით დამაგრება გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ლურსმნებით დამაგრებული ჯვარი ადვილად ტყდება. მე თვითონ გადამამტვრიეს ჩემიანებმა თავზე რამდენიმე ასეთი ჯვარი. პრინციპში, ეს არაფერი, რადგან მე თავი, რომ იტყვიან, კვახივით მაგარი მაქვს. თუმცა,

ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. ჯვრების თავზე გადამტვრევის შესახებაც, რა თქმა უნდა, გიამბობთ.

მამა ოლიმპიოზი მოძღვარია ჩვენი. ის „განდგომილ-განკვეთილია" ძირითადი ეკლესიიდან. ეს სიტყვა „განდგომილ-განკვეთილი" მე თვითონ მოვიგონე. ასე იმიტომ მოვიხსენიებ ჩემს მოძღვარს, რომ ობიექტური მინდა ვიყო. სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას:

მამა ოლიმპიოზი თავის დროზე ერთი ჩვეულებრივი მღვდელი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი დაუპირისპირდა ძირითადი ეკლესიის ხელმძღვანელობას იმ მიზეზით, რომ მას არ მოსწონდა ამ ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული „პოლიტიკა" და ეკლესიის შიგნით მიმდინარე კარგად დაფარული, მაგრამ, უთუოდ მაინც არსებული, მანკიერი მოვლენები. მამა ოლიმპიოზი ხმამაღლა ამხელდა ყველას და რადგან ის ერთობ ემოციური ადამიანია, ზოგჯერ ყვირილითა და გინებით, ხანდახან კი მუშტი-კრივით. ამ მეთოდებით ცდილობდა იგი ეკლესიის შიგნით თავისთვის მისაღები წესრიგის დამყარებას. ამის გამო, ხულიგნური საქციელისა და შუასაუკუნეობრივი, „მრაკობესული" (როგორც ძირითადი ეკლესიის მესვეურები ამბობდნენ) შეხედულებების გამო იგი განკვეთილ იქნა დედა-ეკლესიისგან. და, ნუ, განდგომილიც იქნა, რასაკვირველია, საკუთარი ნებით.

მე ვახსენე სიტყვა „ჩვენ". ჩვენ მრევლი ვართ – მამა ოლიმპიოზის მრევლი, ანუ ის ხალხი, რომლებსაც მისი გვჯერა, რასაკვირველია, გვწამს ჩვენი ძირითადი დედა-ეკლესიისაც, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მისმა ზოგიერთმა მესვეურმა ჭეშმარიტ გზას ცოტათი გადაუხვია – ცოტათი კი არადა, კარგა გვარიანადაც გადაუხვია, მაგრამ ამის შესახებაც სხვა დროს.

ჩვენთვის მიუღებელია მათი შემრიგებლური დამოკიდებულება ახლადმომრავლებული სექტების მიმართ. ჩვენ ვებრძვით სექტებს – ვცემთ სექტანტებს, ვანადგურებთ მათ ქონებას და ვწვავთ მათ წიგნებს. ისინი არა – მათ მიაჩნიათ, რომ სექტანტებთან ბრძოლა უნდა იყოს მშვიდობიანი, თუმცა, აბა, სად გინახავთ ბრძოლა და მშვიდობიანი?!

ისე, ერთხელ, სხვათა შორის, მე ენციკლოპედიაში ჩავიხედე:

უბრალოდ, დამაინტერესა ამ სიტყვის ჭეშმარიტმა მნიშვნელობამ და თურმე ნუ იტყვით: სექტა ყოფილა ძირითადი, გაბატონებული (ასე ეწერა) ეკლესიიდან გამოყოფილი რელიგიური ჯგუფი, რომელიც არ ემორჩილება საერთო წესებს, ანუ, წესით, ჩვენც სექტა გამოვდივართ, მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ენციკლოპედიურად. ისე კი, ამის შესახებ ჯობია მრევლთან არაფერი დამცდეს, თორემ ამგვარი გამონათქვამი თუ მამა ოლიმპიოზის ყურამდის მივიდა, მან შეიძლება ეპითემია დამადოს. ასე რომ, ამაზე, ანუ იმაზე, რომ ჩვენ სექტა ვართ, მე ვცდილობ არათუ არ ვილაპარაკო, არც კი ვიფიქრო, რადგან ამგვარმა ფიქრებმა ადამიანი შეიძლება სულის წარწყმედამდეც მიიყვანოს. ისე კი, თუ მაინც სექტა ვართ, მაშინ სექტებიც ყოფილა ცუდი და კარგი. ადამიანებიც ხომ არიან ცუდები და კარგები. ჰოდა, ალბათ სექტებიც ასეა. ისე რომ, იეღოველები ცუდი სექტაა, ჩვენ კი – ჩვენ, შემინდე უფალო და, თუ მაინცდამაინც სექტა ვართ, მაშასადამე უსათუოდ კარგი, რადგან ჩვენი სარწმუნოება ერთადერთი ჭეშმარიტია მთელ ქვეყანაზე, ასე რომ, რაც გინდა დაგვარქვან, მაინც ჩვენი სარწმუნოება იქნება უსწორესი.

ისე, სიმართლე გითხრა, დიდი ბრძენთაბრძენი მე არ ვარ, ერთი უბრალო ახალგაზრდა კაცი ვარ და თავიც კვახივით მაგარი მაქვს (უკაცრავად, რომ ასე მოვიხსენიებ საკუთარ თავს, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიყვარს ეს გამონათქვამი, რადგანაც იგი განსაკუთრებთ ზუსტად ასახავს ჩემი თავის, როგორც ორგანოს, სიმაგრეს, ასევე ჩემს სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას), მაგრამ ზოგჯერ მაინც მიჩნდება თავში ალბათ მკრეხელური აზრი – თუ რატომ არის ჩვენი, მაინცდამაინც ჩვენი სარწმუნოება ერთადერთი ჭეშმარიტი ქვეყანაზე და რატომ სხვათა სარწმუნოებები არ არის ასეთი. ისე, ალბათ ასეც არ უნდა მეთქვა, მაგრამ რადგან ვთქვი, ბარემ იმასაც ვიტყვი, თუ როდის და რატომ მომდის ამგვარი აზრები თავში: ამგვარი აზრები, შემინდე უფალო და, ჩვენებს რომ ვუყურებ, მაშინ მომდის. ჩვენ, მამა ოლიმპიოზის მიმდევრები, ანუ ოლიმპიელები (ჩვენ ზოგჯერ ასეც მოგვიხსენიებენ) ყველანი ერთმანეთს ჩამოვგავართ: საშუალო სიმაღლის და სხვადასხვა სისქე-სიმჭლევის წვეროსანი მამაკაცები ძირითადად ჯვარ-

ნაქარგი ხევსურული ქუდებითა ვართ თავდაბურულნი. ბევრ ჩვენგანს კეხიანი ცხვირი და ბრაზიანი გამოხედვა აქვს. მამაკაცები, ძველი ქართული წესის თანახმად, მისალმებისას მხარზე ვკოცნით ერთმანეთს, რაც ზოგჯერ პატარა არეულობას იწვევს ხოლმე, რადგან ის, ვისაც მხარზე უნდა აკოცო, როცა ხედავს, რომ შენ მხარზე აკოცე, ლოყაზე კოცნის შემდეგ მხარზე საკოცნელად იწევს. შენც, შენი მხრივ ცდილობ ვალში არ დარჩე და კოცნი ლოყაზე, რადგან მან ლოყაზეც გაკოცა და მხარზეც, შენ კი მხოლოდ მხარზე, საბოლოო ჯამში კი გამოდის, რომ (თუ ნასვამებიც ბრძანდებით) თქვენ ერთმანეთს მხრებს და ლოყებს უკოცნით, სინამდვილეში კი ლოშნით ერთმანეთს და თავებს ურტყამთ. ეს კი შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ვიღაცას ხევსურული ქუდი არ დაუვარდება. ისე, აქაც სხვამ იკითხოს, თორემ მე ჩემი ქუდი ყოველთვის მაგრად მაქვს ჩამოფხატული, ხოლო თავი, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, კვახივით მაგარი მაქვს. საერთოდ კი, კაცები მხოლოდ ხელის ჩამორთმევით უნდა კმაყოფილდებოდნენ და არ კოცნიდნენ ერთმანეთს არც მხარზე და არც პირისახეზე – ეს, ჩემი აზრით, ცუდი ჩვევაა.

მამა ოლიმპის დაჟინებული მოთხოვნით, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვეცადოთ ვილაპარაკოთ სუფთა, თავანკარა ქართულით, თავანკარა ქართული კი, მისი აზრით, მხოლოდ ძველი ქართულია. რა თქმა უნდა, მთლად ძველ ქართულზე მეტყველება ჩვენ არ ძალგვიძს, მაგრამ ისე კი ჩვენი ენა ცოტათი არქაულად ჟღერს. ზოგი ამას კარგად ახერხებს, ზოგი საერთოდ ვერ ახერხებს, ზოგს კი ცოტა სასაცილოდ გამოსდის. აი, მაგალითად, როგორ ესაუბრა, ჩემი თანდასწრებით, მაღაზიაში გამყიდველს ჩვენი მრევლის წევრი და ჩემი სულიერი ძმა გალელი ზური სულუხია:

ზური სულუხია: მაიონეზი ესე ხომ არ არს ძველი, მაგალითად?

გამყიდველი ქალი: არა ბატონო, როგორ გეკადრებათ! ზედ აწერია თარიღი, სულ ახალი მიღებული გვაქვს!

ზური სულუხია: მაგენი რაცხას დააწერენ ზეთ, ქე ვიცი მე, მაგალითად!

გამყიდველი ქალი: ახალია, ბატონო, ნამდვილად!

ზური სულუხია: არა მაცთუნო დიაცო, რამეთუ ბაღანეიზა მინდა მე მაიონეზი ესე!

გამყიდველი ქალი: ვისთვის გნებავთ?!

ზური სულუხია: ბაღანეიზა-თქვა, ბაღანეიზა! ვა-ა, ყრმითვინა, ყრმითვინა!

რაც შეეხება ჩვენს ქალებს, ისინი სათნონი არიან და რწმენის საკითხებში შეუვალნი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის, ჭარბობენ ჭარბთმიანები. მე, როგორც მამაკაცს, შეიძლება არც შემეფერებოდეს ადამიანებისა და, მით უმეტეს, ქალების, – ნაკლი დავარქვათ, არასრულყოფილება თუ ფიზიოლოგიური თავისებურებები – ამაზე საუბარი. თითქოს არც ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, სიმართლე უნდა ითქვას ყოველთვის. ეს კი, ანუ ის, რომ ჩვენს ქალთა შორის ჭარბთმიანები და შეუხედავები ჭარბობენ, ფაქტია – თავიანთი ულვაშებით, ქილვაშებით, ბეწვით ყურებსა და ცხვირში, ცხვირზეც. როგორც ჩანს, ეს ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მრევლში ასაკოვანი ქალებია ახალგაზრდებზე გაცილებით მეტი, მეორე მხრივ კი იმით, რომ ჩვენი ქალები არ იკეთებენ ეპილაციას და ახლოს არ ეკარებიან კოსმეტიკურ საშუალებებს. მამა ოლიმპიოზი უკრძალავს მათ ამას. ის ფიქრობს, რომ ადამიანი უნდა იყოს ისეთი, როგორიც ის უფალმა შექმნა და არა ტუშითა და პომადით შეთითხნილი. ჩვენი მრევლის ქალებიც მიჰყვებიან მამა ოლიმპის მცნებას, არ ცდილობენ თავიანთი გარეგნობის შეცვლას და არიან ისეთები, როგორებადაც ისინი უფალმა შექმნა. მე, როგორც მთხრობელს, მაქვს უფლება, რაღაცა გამოვტოვო, რაღაცაზე კი შეგნებულად გავამახვილო ყურადღება. მაგრამ როდესაც ახასიათებ ადამიანებს, უნდა ილაპარაკო არა იმაზე, თუ რითი ჰგვანან ისინი სხვებს, არამედ იმაზე, რითაც ისინი სხვებისაგან განსხვავდებიან. თუ ამ წესს არ დაიცავ, შენი ნაამბობი გამოვა ზერელე, ხოლო შენ მიერ დახატული სახეები უფერული და უიერონი იქნებიან, მაშინ რაღა აზრი აქვს თხრობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქალთა გარკვეული ნაწილი ისევე ჭარბთმიანია, როგორც ჩვენი მრევ-

ლისანები. უბრალოდ, სხვა ქალები, ჩვენებისგან განსხვავებით, სხვადასხვა საშუალებით იცილებენ არასასურველ თმას, ჩვენები კი არა. სამაგიეროდ სხვებს პირისახე ლამაზი აქვთ, მაგრამ ბევრს სათნოება არ გააჩნია, ჩვენებს კი სათნოებაც აქვთ და ქილვაშებიც. მე კი უკვე ახლა, როგორც ყოველთვის, ვაჭარბებ – ეს უკვე ქირქილია, ცინიკური ქირქილი. ზოგჯერ არის, რომ ვიტყვი ან გავაკეთებ რამეს და მერე მძაგს ჩემი თავი. ახლაც ასეა – მე ჩემი თავი მძაგს.

რაც შეეხება კიდევ ჩვენს ქალებს, რა თქმა უნდა, საქმე ასეც არ არის და მათ შორისაც არიან ლამაზმანები, ზოგიერთები კი – ახალგაზრდები განსაკუთრებით – ნამდვილი ცუგრუმელები. ამას მე ვამბობ სრული გულწრფელობით და არა იმიტომ, რომ ჩვენს ქალებზე ზემოთ თქმული, ცოტა მოუზომავი გამონათქვამები შევარბილო. არც უნდა მეთქვა ალბათ ეს ყველაფერი, მაგრამ ვთქვი და რა ვქნა. ნათქვამ სიტყვას უკან ვეღარ დავაბრუნებ. ერთს დავამატებ მხოლოდ: რაკიღა ოლიმპიელ ქალებზე მიდგა საქმე და მათზე წავიდა ლაპარაკი, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოვამთავრო ეს თემა, ვიტყვი, რომ, როცა ჩვენ, ოლიმპიელი მამაკაცები, ვარბევთ და ვცემთ იეღოველებს, ჩვენი ქალები ტკბილად გალობენ, ხოლო ხელსაყრელი მომენტის შერჩევისას ჩქმეტენ და ბნკენენ დაზარალებულებს. მოვრჩი ამით მე ოლიმპიელ ქალებზე საუბარს, დავასრულე. დავასრულე, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი, სიმართლე ითქვას, არ გამოირჩევიან დიდი გონიერებით და არანაირ მნიშვნელოვან როლს მრევლის ცხოვრებაში არ თამაშობენ.

ასეც უნდა იყოს – ქალი ქალია.

მე გივი ლამაზოშვილი ვარ – ორხეველი უცოლო, უმუშევარი. მრევლში ცოტა რთული და თავისებური მოვალეობა მაკისრია: იეღოველთა სექტაში შეგზავნილი მამა ოლიმპიოზის მსტოვარი ვარ.

ეს საქმე ასე მოხდა. ერთხელ მამა ოლიმპიოზმა თავისთან სენაკში მიხმო და დიაკვან ბიკენტის თანდასწრებით შემომთავაზა „უფლისათვის სამარგებლო“ საქმის გაკეთება. მე, რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი და ვუთხარი, რომ „უფლისათვის სამარგებლო“ საქმის გასაკეთებლად მუდამ

მზადაა მონა ღვთისა გივი ლამაზოშვილი. მაშინ მამა ოლიმპიმ საიდუმლოდ გამანდო, რომ მას თურმე სექტანტთა სტრუქტურებში შეგზავნილი ჰყოლია თავისი მსტოვრები, ანუ ემისრები, რომლებიც მამა ოლიმპიოზს აწვდიდნენ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა სექტების შიგნით: საიდან ფინანსდებოდნენ, რა რიტუალებს ატარებდნენ, როგორ გადაადგილდებოდნენ, როგორ რწყმედდნენ ქართველთა სულებს და რას გეგმავდნენ მომავლისთვის. ერთ-ერთი ასეთი მსტოვარი იეღოველთა სექტაში უნდა გავმხდარიყავი მე. უნდა მეცხოვრა, ჯანდაბა მაგათ, იეღოველურად, რაც შეიძლება მეტად უნდა მომეპოვებინა მათი ხელმძღვანელების ნდობა და მამა ოლიმპიოზისათვის ან დიაკვან ბიკენტისათვის მეცნობებინა ყოველივე საინტერესო, რასაც მე იქ, იმ შეჩვენებულების ბუნაგებში, ვნახავდი ან ყურს მოვკრავდი.

დავთანხმდი.

იეღოველთა პირველი შეკრება, რომელსაც დავესწარი – კონფერენცია – როგორც ისინი ამ ღონისძიებას უწოდებენ, ერთ პატარა ნაქირავებ ბინაში ჩატარდა. მათ იქ ერთი რაღაც დანჯღრეული მაგნიტოფონი ედგათ, რომელსაც წამდაუწუმ ხან ჩართავდნენ, ხან გამორთავდნენ გალობების დროს. დამამახსოვრდა, რომ ერთმანეთს უსვამდნენ სხვადასხვა შეკითხვას და, რასაკვირველია, შესაბამის პასუხებსაც სცემდნენ. შეკითხვები ძირითადად იმას შეეხებოდა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე იეღოველი ამა თუ იმ შემთხვევაში. ნუ, დაახლოებით ასე: შეკითხვა: „ვისთან უნდა იმეგობროს იეღოველმა?“ პასუხი: „დიახ, იეღოველმა უნდა იმეგობროს მხოლოდ იეღოველებთან“. შეკითხვა: „ვისზე შეიძლება იქორწინოს იეღოველმა?“ პასუხი: „დიახ, იეღოველმა უნდა იქორწინოს მხოლოდ იეღოველზე“. სცდიდნენ ისინი ერთმანეთს ბიბლიის ცოდნაშიც: შეკითხვა: „რა ერქვა ნოეს უფროს ვაჟს?“ „დიახ! ნოეს უფროს ვაჟს ერქვა სემი“. „რა ერქვა ისააკის ცოლს?“ „დიახ, ისააკის ცოლს ერქვა რებეკა“. მოპასუხეები პასუხობდნენ დალაგებულად, მშვიდად, თუმცა თავის სათქმელს ყოველთვის რატომღაც იწყებდნენ სიტყვით

„დიახ“. ეს იყო და ეს. კონფერენცია რომ დამთავრდა, მაშინვე არ დაშლილან. ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად, ხუთ-ხუთნი გამოდიოდნენ ბინიდან და ჩუმად იპარებოდნენ ქურდებივით. დაახლოებით ასეთივე იყო სხვა, შემდგომი კონფერენციებიც.

გარდა კონფერენციებისა, იეღოველები ატარებენ აგრეთვე თეატრალურ წარმოდგენებს, სადაც ისინი აცოცხლებენ ბიბლიურ სცენებს – ნუ, ერთი სიტყვით, თავისებური თეატრი აქვთ. ამგვარ სპექტაკლებში მეც მიმიღია მონაწილეობა და ამის შესახებაც გიამბობთ. მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ იეღოველთა წესდება ძალიან ჰგავს... თუმცა რა აზრი აქვს ახლა მაგათ წესდებაზე ლაპარაკს. ჯობია, ისევ სპექტაკლებზე მოვყვე. არ ვიცი, რა სამსახიობო ნიჭი აღმოაჩინა ჩემში იეღოველთა უხუცესმა, მაგრამ ერთხელ გვერდზე გამიხმო და მითხრა: შენ ბიბლიურ სპექტაკლში უნდა ითამაშოო. უხუცესი თვითონ დაახლოებით ორმოცამდე წლის კაცია, მართლა უხუცესი კი არ არის, ისინი, ანუ იეღოველთა წინამძღოლები, ასე მოიხსენებიან. მეფე დავითი უნდა განასახიეროო. მეც რა მენაღვლებოდა, დავთანხმდი. ვირსავიას ირმა თამაშობდა. ამ პატარა სპექტაკლში ყველაზე მეტად ის ადგილი მომეწონა, როცა მეფე დავითს ანუ მე, ვირსავია – ირმა უნდა ამეყვანა ხელში და მომეტაცა. რეპეტიციაზე, სწორედ ამ სცენის გათამაშებისას ვაკეთებდი ყველაფერს შეგნებულად ისე, რომ უხუცესს არ მოსწონებოდა ჩემი თამაში და ხელმეორედ გაეთამაშებინა სცენა. მეც ერთი შვიდჯერ მოვიტაცე ირმა: ავიყვანდი და დავარბენინებდი ოთახში წინ და უკან. ბოლოს მაინც იძულებული გავხდი ისე მეთამაშა, როგორც იმ ძაღლიშვილ უხუცესს სურდა, თუმცა ის ბოლო დუბლიც, ღმერთმანი, კარგი იყო. მე ირმა ავიტაცე და ისე ჩავიხუტე, როგორც ალბათ, მაპატიოს უფალმა და, თვით ნამდვილი დავით მეფე ვერ ჩაიხუტებდა ნამდვილ ვირსავიას.

– ბრავო! – შესძახა უხუცესმა და სიხარულით ატირდა. მეორე დღეს სპექტაკლმა ანშლაგით ჩაიარა. ჩემი და ირმას თამაშით აღფრთოვანებული იეღოველები ტიროდნენ. სპექტაკლის შემდეგ კი ტაშში (ტაშში და არა ტაშტში) გვაბა-

ნავეს და ყვავილები გვესროლეს. ეს ყვავილები მე სცენიდან ავკრიფე და ირმას მივუძღვენი.

ირმა იეღოველია. იეღოველებში, ისევე როგორც ყველგან, ათასნაირია ხალხი და იქაც არიან ისეთები, რომლებსაც ან სწამთ ის, რის მოწმეობასაც იბრალებენ, ან არა. მაგრამ ამ უბედურს, ანუ ირმას მართლა გულწრფელად სწამს თავისი იეღოვასი.

მე კი იგი მომწონს, მომწონს კი არა და, შემინდე უფალო და, ალბათ მიყვარს. ის ლამაზია, ჭკვიანი და განათლებული. თანაც, წესიერი – იგი რაღაც თანდაყოლილი წესიერებითაა წესიერი – კდემამოსილია. სწორედ მაგის გულისთვის იყო, ჩვენებმა რომ თავზე გადამამტვრიეს ორი თუ სამი ჯვარი.

როცა განსაკუთრებით ხალხმრავალი კონფერენციები იმართება, ჩვენები არბევენ იეღოველებს და, რომ იტყვიან, „თავს ბანს ანგრევენ" მათ. მე ასეთ დროს, ეჭვი რომ არ აიღონ, სექტანტების რიგებში ვარ და ვცდილობ თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს აქტიური იეღოველი ვიყო. ჩვენებიც ამ „უსჯულოებთან" ერთად მეც მირტყამენ. იეღოველებს ხომ კარგად მოეხსენებათ, რომ ვიღაც-ვიღაცები ჩუმ-ჩუმად აწვდიან მამა ოლიმპიოზის ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ.

იმ დღეს მეტად დიდმასშტაბიანი კონფერენცია ტარდებოდა, თანაც, ასე ვთქვათ, გასვლითი – ქალაქიდან შორს, ერთ-ერთი „უსჯულოს" კარგად მოწყობილ კარმიდამოში. იეღოველები მთელი საქართველოდან და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც კი იყვნენ ჩამოსულები; ტევა აღარ იყო დაქირავებული ავტობუსებისა, კერძო ავტომანქანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მე ირმას შორიახლო ვტრიალებდი და ვცდილობდი, ამდენ ხალხში არსად დამკარგვოდა. მისი გაფრთხილება არ შემეძლო – ეს ხომ ჩვენების ღალატი იქნებოდა, არადა, ბედის ანაბარად მიტოვებაც როგორ შეიძლებოდა. ჩვენებმა მაშინ იეღოველებს დღე აყარეს, ო-ხო-ხო-ხო, „მკვდარსაც კი გაეცინება". შვიდი ავტობუსით ჩამოვიდნენ, „უსჯულოები" ალყაში მოაქციეს, „ჰკა მაგასაო," დასძახეს და იეღოველებს დაერივნენ ხის ჯვრებით შეიარაღებულნი: კაცები იეღოველებს სცემდნენ, რელიგიურ ექსტაზში მყოფი ულვაშიანი ქალები კი ამ დროს

ტკბილად გალობდნენ. ოპერაციას ხელმძღვანელობდა მამა ოლიმპიოზი, მას ცალ ხელში რადიორუპორი ეჭირა, მეორეში კი ანთებული სასაკმევლე, რომელსაც იქნევდა, რათა საკმევლის სუნი გაევრცელებინა, ხოლო რადიორუპორით იძლეოდა განკარგულებებს და ძალიან უცენზურო სიტყვებით ლანძღავდა იეღოველებს. ჩვენი დანარჩენი კაცებიც გააფთრებით აგინებდნენ იეღოველებს და სცემდნენ მათ ჯვრებით. იქვე მყოფი პოლიციელები ზარმაცად აშველებდნენ მოჩხუბრებს და თითქოს მხარეების დაშორიშორებას ცდილობდნენ, მაგრამ მოდით, სიმართლე ვთქვათ და, ისინი პირიქით, ხელს უწყობდნენ ჩვენიანებს იეღოველების ცემაში. და თუ რომელიმე იეღოველი უმწეოდ, მაგრამ მაინც, წინააღმდეგობის განევას შეეცდებოდა, მას მაშინვე ზურგს უკან ხელებს მოუგრეხდნენ, მერე კი, რომ იტყვიან, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ისე, რაც მართალია, მართალია, და ძალიან კარგი საცემია იეღოველი, მე შენ გეტყვი, ხელს შემოგიბრუნებს თუ რა. მათ ხომ, მათი რწმენით, ჯარში სამსახურიც კი ეკრძალებათ. ესე იგი, გამოდის, რომ შეიარაღებული მტერიც რომ მიადგეთ კარს, მაინც არ გაუწევენ წინააღმდეგობას, ისე მოეკვლევინებიან, მათ შეიძლება მხოლოდ ხელი აიფარონ ან გაიქცნენ. ჰოდა, ურტყი, რამდენიც გინდა, ამოწყდა მაგათი ხსენება.

ორმეტრიანი დიაკვანი ბიკენტი, ერისკაცობაში ნუგზარი, ყოფილი რაგბისტია. ამბობენ, რომ მისგან მსოფლიო კლასის რაგბისტი დადგებოდა, რომ არა მისი თანდაყოლილი მიდრეკილება ხულიგნობისკენ. მოგეხსენებათ, რაგბი ფიგურული სრიალი არ არის და არც შაში და ჭადრაკია. რაგბი ძალისმიერი, ხისტი თამაშია და ხშირია, როცა რაგბის თამაშის დროს მოთამაშეები ერთმანეთს გაულანუნ-გამოულაწუნებენ. რაგბიში ეს როგორღაც მოდის, მაგრამ ჩვენი დიაკვანი რაგბის თამაშის დროს ნამეტანს შვრებოდა. თითქმის სულ მისი მიზეზით ხდებოდა მოედანზე შეხლა-შემოხლა და ჩხუბები. ის სულ ვიღაცას ულაწუნებდა. მას მუდამ სჯიდნენ მსაჯები და მწვრთნელები, იგი მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა

და ბოლოს საერთოდაც დაითხოვეს დიდი სპორტიდან. ამის შემდეგ მივიდა იგი ეკლესიაში, რომ იტყვიან, ინამა ღმერთი, გახდა ჯერ სტიქაროსანი, მერე მორჩილი და ბოლოს, დიაკვანი – დიაკვანი ბიკენტი, რომელიც შიშის ზარს სცემდა იეღოველებს. ბიკენტის უკვე სცნობდნენ იეღოველები და ძრწოდნენ მისი დანახვისას, განსაკუთრებით ისინი, რომელთა თავპირზეც მის მძიმე მუშტებს ოდესმე გაედინათ ბათქანი.

იმ დღეს ლომს ჰგავდა ბიკენტი. იგი ხის მძიმე ჯვრით შეიარაღებული გზას მიიკვლევდა იეღოველებს შორის, „ვითარცა უხორცო“ და როგორც მთიბავი ბალახს, ისე თიბავდა მათ. შეშინებული იეღოველები გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ ამ ორომტრიალში მათ ძირითადად მათივე თანამოძმეები ულობავდნენ გზას. ჩვენები ქალების ცემას ერიდებოდნენ და ალბათ ამიტომ იეღოველი ქალები თავის მხრივ გზას ულობავდნენ ჩვენებს, წინ ეჩხირებოდნენ მათ, რათა ამ გზით მაინც ეშველათ თავიანთი კაცებისთვის.

განსაკუთრებით აქტიურობდა ამ მხრივ ირმა: იგი კიოდა, წიოდა და ზედ ეფოფრებოდა თავის დამპალ კაც იეღოველებს. მე გვერდიდან არ ვცილდებოდი მას და ამიტომაც იყო, რომ სხვისთვის განკუთვნილი დარტყმები სულ მე მხვდებოდა. რაღა მექნა: ხელებს ვიქნევდი და გოჭივით ვჭყვიტინებდი. აბა, ჩვენებს ხომ არ დავარტყამდი. ბოლოს მოხდა ისე, როგორც ბრძოლის ველზე ყოველთვის ხდება: ღირსეული მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ – ირმა ბიკენტის წინ გადაუდგა. ბიკენტიმ მას მრისხანედ გადმოხედა და რამდენჯერმე ხელისკვრით თავიდან მოიცილა ქალი, მაგრამ ირმა არ მოეშვა. ამასობაში ბიკენტიმ ირმას ზურგს უკან ერთი კარგი, მსუქანი, რომ იტყვიან, გემრიელი იეღოველი დაინახა – წითური და ღაბაბიანი. აი, მართლა კარგი საცემი რასაც ჰქვია, ისეთი. ბიკენტიმ ირმას ხელი ჰკრა და მსუქანას ჯვარი მოუქნია. მსუქანას გული წაუვიდა და წაიქცა, ირმა სხივის სისწრაფით მას ზედ გადაეფოფრა და ბიკენტის მოქნეული ჯვარი ბეჭებში მოხვდა. კიდევ კარგი, რომ ბიკენტიმ მოასწრო და ბოლო მომენტში დარტყმა შეანელა.

ბიკენტი, მართალია, ჩემი სისხლი და ხორცია და ყველა

იელოველის, ირმას გარდა, დედაც მომიხმარია, მაგრამ ეს ამბავი რომ დავინახე, რაღაც დამემართა: წამით განსჯის უნარი დავკარგე, თითქოს დენმა დამარტყაო, მექანიკურად დავიძაგრე, გაშლილი მტევნები ოდნავ წინ გავფარჩხე, მუხლებში მოვიხარე, შევხტი და დიაკვან ბიკენტის მთელი გულითა და სულით თავური ვაჯახე და ორი სარძევე კბილიც ჩამოვუღე. ბიკენტიმ ჩამტვრეული კბილები გადმოაფურთხა, დარჩენილი კბილები გააღრჭიალა და ხის მძიმე ჯვარი თავზე გადამაფშვნა. კი მეტკინა, მაგრამ ეგ არაფერია – მე, მოგეხსენებათ, თავი კვახივით მაგარი მაქვს.

ამის გამო მამა ოლიმპიოზმა სამდღიანი ეპითემია დამადო, მაგრამ, ნუ, რას ვიზამ ახლა, ხან ისეა, ხან ასეა, მე როგორღაც თავი ვიმართლე და ამით ეს ამბავი დამთავრდა.

ყველაზე უჩვეულო ამბავს კი ახლა გიამბობთ და მერე თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ამას წინათ ჩვენს ეკლესიაში შევედი და თვალებს არ დავუჯერე. ვხედავ, ჩვენს ეკლესიაში ირმა მოსულა, თავშალი შემოუხვევია, წმინდა ხატებს სანთელს უნთებს და ცდილობს, მრევლის ქალებს გამოელაპარაკოს. უცბად ვიფიქრე, „მოდი, თვალსაწიერიდან მოვერიდები და ვუთვალთვალებ-მეთქი“, ის იყო, სვეტს უნდა ამოვფარებოდი, მაგრამ ვერ მოვასწარი და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. შევატყვე, როგორ შეცბა – შეცბა კი არა და, ელდა ეცა. რაღას ვიზამდი – მივედი და მივესალმე. თან გულში იმედის ნაპერწკალი მიღვიოდა, იქნებ გამოსწორდა-მეთქი ადამიანი და ჭეშმარიტ სარწმუნოებას მოუბრუნდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. ირმა ჩემს დანახვაზე შეცბა, ცოტა ხანს რაღაცაზე მელაპარაკა, მერე დრო იხელთა და ფრთხილად დატოვა ტაძარი. შემდეგ თანდათან ნაბიჯს უმატა და თითქმის სირბილით გაიქცა ეკლესიის ეზოდან. მე დავედევნე და კარგა შორს, ავტობუსის გაჩერებასთან დავეწიე. ვკითხე: ირმა, შენ ეკლესიაში რა გინდოდა-მეთქი. მან თავი დახარა, თვალი ამარიდა და კითხვითვე მიპასუხა: შენ თვითონ რა გინდოდაო. მე ვუთხარი: პირველად მე დაგისვი შეკითხვა და ამიტომ, ჯერ შენ მიპასუხე-მეთქი. მე პასუხი მზად მაქვსო, – მითხრა, – მაგრამ არაფერს გეტყვი, სანამ შენ არ მეტყ-

ვი, შენ თვითონ რატომ იყავი იქო. რაღას ვიზამდი, ავდექი და ვუთხარი სიმართლე – სულერთია, მაინც ვეღარ დავმალავდი ჩემს საიდუმლოს. მე აქ იმიტომ ვიყავი-მეთქი, რომ ეს ჩემი ეკლესიაა, მე მართლმადიდებელი ვარ და აქ ვლოცულობ, თქვენს კონფერენციებზე კი მამა ოლიმპიოზის დავალებით დავდივარ, რათა მისთვის საინტერესო ინფორმაცია მივაწოდო. ახლა შენ მითხარი-მეთქი. ეს რომ გაიგონა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც კი შემეპუა, წარბები შეიკრა და მიპასუხა: მეც მაგ მიზნით მოვედი თქვენთან, უხუცესმა გამომგზავნა და მითხრა: წადი და მამა ოლიმპიოზის მრევლში გაერიე, რასაც საინტერესოს გაიგებ, მაშინვე შემატყობინეო. გული დამწყდა, ეს რომ მოვისმინე. შენ ჯაშუში ხარ-მეთქი, – ვუთხარი. შენ ვინღა ხარო? ამ კითხვამ კი აღმაშფოთა. მე ჯაშუში კი არა, მსტოვარი ვარ და ვიცავ იმას, რაც ჩვენს მამა-პაპას ჩვენამდე მოუტანია-მეთქი! მერე მოგწონს ის, რაც იმათ ჩვენამდე მოუტანიათ, მოგწონს დღევანდელი ჩვენი ცხოვრებაო? მე ვუთხარი: დღევანდელი ცხოვრება შეიძლება არც მომწონს-მეთქი. ჰოდა, ჩვენ ეს ცხოვრება გვინდა, შევცვალოთო. მე ვუთხარი: თქვენ ამ ცხოვრებას უკეთესობისკენ ვერ შეცვლით და უარესობისკენ წაიყვანთ-მეთქი საქმეს. ვნახოთო. კარგი-მეთქი, ვნახოთ, აი, ახლა კი ჩვენ-ჩვენი ამბავი გავარკვიოთ-მეთქი, მე იმას ვიცავ, რაც ნაცადია და რაც საუკუნეების მანძილზე იყო, შენ კი იცავ იმას, რაც ჯერ კიდევ დასადგენი და გასარკვევია. მე უკვე გითხარი, რომ მსტოვარი ვარ და შენ ვინა ხარ-მეთქი, შენ! ის დუმდა. აბა, შენც გამონახე-მეთქი შენთვის შესაფერისი სიტყვა, ჯაშუშის გარდა. აი, ხომ ხედავ სიტყვასაც ვერ პოულობ, მაშასადამე, ჯაშუში ხარ-მეთქი, – მივახალე მისი დუმილით გათამამებულმა. მან პასუხად მწარე სილა მტკიცა ლოყაში, ატირდა და გაიქცა. მე წამით შევყოვნდი. გული დამეწვა. დავედევნე, მხრებში ხელი წავავლე, ჩემკენ სახით მოვაბრუნე და ვუთხარი: ირმა, შენ ჯაშუში კი არა, მზვერავი ხარ-მეთქი, პატარა მზვერავი, პატარა და გაბედული. მერე ხელები მოვხვიე და გულში ჩავიკარი.

ის დამყვა.

საბედისწერო კოცნა

(ტექსტი ამოღებულია კასპიური ქაშაყის კუჭიდან)

მრუშობა ერთ-ერთი იმ მომაკვდინებელ შვიდცოდვათაგანია, რომელიც ხრწნის ხორცს და რწყმედს სულს. ის ძნელად საპატიებელი და შესანდობია. ამ სენს უნდა ებრძოდეს ადამიანი, როგორც საკუთარ თავში, ასევე ყველგან. იგი სულ არის, ყოველ წამს გიდარაჯებს და გამუდმებით ჩასაფრებულია. ის ისე წამოგეპარება, ვერც გაიგებ: – ღვიძილში, ძილში, – დასვენების დროს ხომ განსაკუთრებით, – მუხლჩაუხრელი შრომის თუ გახელებული ხელჩართული ბრძოლისას – ლოცვის დროსაც კი. მის მოახლოებას ვერ იგრძნობ, სანამ არ შეიგრძნობ, ხოლო როცა შეიგრძნობ – გვიანია, რადგან ეს შეგრძნება გიმონებს, ავხორცობის მორევში გითრევს, ჩვრად გაქცევს, თავდავიწყებამდე მიჰყავხარ, ღონემიხდილს მორევის ბინძურ ფსკერს განარცხებს და როცა ყველანაირად მოგიხმარს – გადმოგაფურთხებს.

საშინელება, რაც მე შემემთხვა, ჩვენს წინამძღოლსაც ვერ გავუმხილე და ამით კიდევ უფრო დავიმძიმე დანაშაული. მართალია, სამარცხვინო ქმედება ესე, სხვათა თვალთაგან მგონი შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ მაინც ვერ ჩავიკალ გულში წუხილი, ამ წუხილმა გულის სიღრმიდან ამოხეთქა და ეს უსტარი დამაწერინა. ამ უსტარს ახლა დახუფულ პაწაწინა ბოთლში ვდებ და მტკვარს ვატან. დე ეს პაწაწინა ბოთლი მტკვრის ბობოქარმა ტალღებმა კლდეს მიანარცხონ! დე, ამ ბოთლს საცობმა უმტყუნოს. წყალი შეუვიდეს და სამუდამოდ ლამში ჩაიძიროს! დე, მძლავრმა კატერმა მოიქციოს იგი თავის პროპელერში და ქუცმაცებად აქციოს! დე, რომელიმე წერომ ან

ბატმა წაიღოს იგი თბილ ქვეყნებში და იქ გადაკარგოს სამუდამოდ! დე... მაგრამ, თუ მიუხედავად ყველაფრისა, რაღაც მანქანებით ეს წერილი მაინც გამოვა სამზეოზე, – ჩავთვალი, რომ ასე ყოფილა საჭირო და მეც ეპისტოლე ესე მთელი კაცობრიობისთვის გამიგზავნია, როგორც გაფრთხილება იმ კარს ჩასაფრებული უბედურებისა, რომელიც ყოველ წამს და ყოველგან გვიდარაჯებს.

სიძვაა სახელი ამ უბედურებისა!!!

მე ლაშა (არ გაგეცინოთ) ზღმარტლიძე ვარ. ეს იშვიათი გვარია და შეიძლება აქამდე არც კი გაგეგონოთ, მაგრამ ასეთი გვარი არსებობს. იცით, ოდესღაც სადღაც ამოვიკითხე, რომ ადამიანები თავიანთ სახელებს ჰგვანან, ანუ დავუშვათ: ივანეები მშვიდები და დინჯები არიან, სტეფანეები კი – ცქვიტები და ფიცხები; ეკატერინეები ვნებიანები არიან, ირინეები კი – სევდიანები; ხაჩიკები მეწაღეობას მისდევენ, ტოფიკებს კი უფრო მებადრიჯნეობა ხიბლავთ. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ ვიღაც დაკვირვებულმა კაცმა შეამჩნია, რომ ადამიანი რაღაცნაირად თავის სახელს ჰგავს. ადამიანსა და მის სახელს შორის იკვრება ერთგვარი მაგიური წრედი. მაგიების მე, სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, მაგრამ სახელსა და ამ სახელის მატარებელ ადამიანს შორის მსგავსება რომაა, ამის უარყოფა არ შემიძლია. რაც შეეხება გვარის მსგავსებას ამ გვარის მატარებელ კაცთან, იქ ხომ მაგიაც აღარ არის საჭირო, ისედაც ყველაფერი ნათელია: გვარებს ძველად რაღაცასთან მსგავსების გამო ანიჭებდნენ ხოლმე. მაგალითად, თუ კაცი მელას ჩამოგავდა, უკვე გვარადაც მელაძე შეიძლება ყოფილიყო. თუ მგელს ჰგავდა, მგელაძე იქნებოდა. ის, ვინც წააგავდა ხარს, იქნებოდა მატარებელი გვარისა ხარაძე. ჩემი შორეული წინაპარიც, ვინძლო, ჰგავდა ზღმარტლს. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი წინაპრები: მამაჩემი, პაპაჩემი, იმის პაპა (გადმოცემით), თავიანთი დაბეჟილი სიფათებით, ყველანი ჰგავდნენ ზღმარტლებს.

მეც, სხვათა შორის, ასეთი ვარ.

რაც შეეხება სახელის მსგავსებას ჩემს ფიზიონომიასთან, მაგია იქით იყოს და, მსგავსება აქაც აშკარაა: ჩემი გირაგივით

განიერი ყბები და მოზრდილი ხორციანი ლაშები ჩემს სახელს შეესაბამებიან.

ასაკით ვარ 28 წლის, უცოლო, უმუშევარი, ნერვიული; ვცხოვრობ დაბა ზაჰესში – ძალიან პატარა კერძო სახლში, რომელიც ბაბუაჩემს ბებიამისმა დაუტოვა და რომელიც მალე დაინგრევა; მაქვს ბოსტანი რამდენიმე ხით; მყავს ორი ქათამი.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ბევრი არაფერია, მაგრამ რას ვიზამ, ვცდილობ მცირედით დავკმაყოფილდე. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი იქნებოდა სხვაგვარად, რომ არა უზნეო დასავლეთის შეთქმულება ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ არა უშავს, მოვა დრო და ყველაფერი დალაგდება: უზნეონი აღიგვებიან პირისაგან მიწისა, ხოლო იბერია გაბრწყინდება. და ჩვენც ყველას გვეშველება – მეც მეშველება.

არის ჩვენთან ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია – „ზნეობა და ზნეობრიობა". მე ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი ვარ. ჩვენი ორგანიზაცია ქვეყანაში მომძლავრებულ უზნეობასა და გარყვნილებას ებრძვის. და თუმცა ხალხისთვის საჭირო საქმეს ვაკეთებთ, მტრები მაინც ბევრი გვყავს. „ადამიანის უფლებებს არღვევთო, – გვიკიჟინებენ, – ხალხს სცემთო, სხვის საკუთრებას არბევთო..." არადა, ვის ვცემთ, ვის ვარბევთ, ჩვენ ხომ მხოლოდ უზნეო ხალხის თავშეყრის ადგილებს ვარბევთ და ვცემთ იქ შეკრებილებს. ჩვენ კი ამის გამო გვდევნიან და გვავიწროებენ, ჩვენი შტაბბინა მუდამ გარშემორტყმულია პოლიციელებით, ხოლო ამას წინათ ვერაგულად, პირდაპირ ქუჩაში აიყვანეს ჩვენი წინამძღოლი რამდენიმე მხლებელთან ერთად, ორი დღე აყურყუტეს წინასწარი დაკავების საკანში. შემდეგ, როგორც იქნა, თავდებით გამოუშვეს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით. ახლა მათზე სისხლის სამართლის საქმეა პროკურატურაში აღძრული და რა მოჰყვება ამას, კაცმა არ იცის. ახლა ეს ცამდე მართალი ადამიანები იმის მოლოდინში არიან, თუ რას გადაწყვეტენ გამომძიებლები. ისურვებენ აღძრული საქმის შეწყვეტას თუ სასამართლოში გადასცემენ ამ აღძრულ საქმეს. საფუძველი კი ყოველივე ამისა ისაა, რომ ჩვენ მათ დაპ-

ატიმრებამდე დავარბიეთ რამდენიმე ნახევრად ლეგალური სროსკიპო და ეგრეთ წოდებული ცისფერთა თავშესაფარი, დავანგრიეთ აგრეთვე რკინიგზის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული რამდენიმე პატარა ბინძური აბანო, ხოლო იქიდან შიშვლები გამოვყარეთ იაფფასიანი მეძავები და მათი უბადრუკი კლიენტები. განა ეს სამართალია, როცა კანონი მეძავებსა და ცისფრებს კი არ სჯის, არამედ სჯის იმათ, ვინც მათ ებრძვის. მაგრამ ჩვენ ვერ დაგვაშინებენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენ წინააღმდეგაა – კანონიც, ამ კანონის მომგონი გარყვნილი, დასავლეთის მიერ მოსყიდული ჩვენი ხელისუფლება და მათ მიერ ალაქლაქებული ყბედი მედია. ჩვენ მაინც ვიზამთ ჩვენსას და დავამყარებთ ზნეობრიობას ჩვენს ქვეყანაში.

ზნეობრიობა ან სიკვდილი!

კონსპირაციის მიზნით, ჩვენი წინამძღოლი და ორგანიზაციის სხვა თავკაცები ყოველთვის და ყველას საქმის კურსში არ გვაყენებენ დაგეგმილი აქციების შესახებ, არამედ შტაბბინაში გვიბარებენ სრული ან ნაწილობრივი შემადგენლობით და თუ რამეა, იქ გვეუბნებიან. საქმე ის არის, რომ ორგანიზაციაში ჯაშუშები გვირევია. ამის გამო ვფრთხილობთ და ზოგჯერ ერთმანეთსაც არ ვენდობით. გვითხრეს მოდითო – მივალთ. რა იქნება შემდეგ, ეს მერე გამოჩნდება. მე პირადად ყოველთვის მზად ვარ ასეთი საქმეებისთვის. ერთი კარგი ოთხმოცსანტიმეტრიანი, მაჯის სიმსხო კაბელის ნაჭერი მაქვს და იმით ვცხადდები დანიშნულების ადგილზე. ამ კაბელს, როგორც წესი, ქამარში ვიჩრი და შარვლის ტოტში ვმალავ, პოლიცია რომ არ შემომედავოს.

მოკლედ, გამოვცხადდით იმ დღეს შტაბბინაში. წინამძღოლმა ინსტრუქცია ჩაგვიტარა, თავისი ლაპარაკით ძალიან აგრესიულად განგვაწყო და გამოგვიცხადა, რომ ამჯერად „თავისუფლების“ მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე წიგნით მოვაჭრეები უნდა დაგვერბია.

წიგნი უთუოდ ცოდნის წყაროა, მაგრამ ცოდნაც ხომ ათასნაირი არსებობს. არსებობენ მავნე ძალები, რომლებიც თავიანთი ცოდნით „ცუდ საქმეებს“ სჩადიან და იმდენად არიან

დახვეწილნი გარყვნილებასა და ბოროტებაში, რომ თავიანთ გარყვნილ სწავლებებს წიგნებად გამოსცემენ – სახელმძღვანელოებს წერენ გარყვნილებისას. შემდეგ კი ამ წიგნებს – ამ „სახელმძღვანელოებს" – მამასისხლად ყიდიან დღისით-მზისით, სარგებლობენ რა ყბადაღებული სიტყვისა და პრესის თავისუფლებით.

„ეროტიკა და სექსი", „ანჟელიკა და სექსი", „მოზარდთა სექსუალური აღზრდა", „როგორ აღვაგზნოთ პარტნიორი", „ძირითადი ინსტინქტი", „სექსი თქვენს ოჯახში" (დაგექცათ ოჯახი), „სექსუალური ეთიკა" (?), „ჯგუფური სექსის პლუსები და მინუსები", „კამა სუტრა, როგორიც ის არის", „პრაქტიკული რჩევები ერთსქესოვან შეყვარებულთათვის", „ოჯახის მეგობარი"... – აი, მხოლოდ ზოგიერთი სათაური იმ ლამაზად გაფორმებული, საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდილი უწმინდური წიგნებისა, რომელთა ტევა აღარ არის ქალაქში – ქუჩაში გამოტანილი ასაწყობი სტენდებისა თუ პრესტიჟული წიგნის მაღაზიების თაროებზე. და ეს მაშინ, როცა ბავშვებს სკოლის სახელმძღვანელოები არ ჰყოფნით.

თავისუფლების მეტრომდე, პოლიციას ეჭვი რომ არ აეღო, პატარ-პატარა ჯგუფებად – ზოგი მეტროთი, ზოგი მარშრუტკებით და ზოგიც ავტობუსებით მივედით და როცა წინამძღოლი და ჩვენი ორგანიზაციის სხვა თავკაცები მცველის თანხლებით გამოცხადდნენ, აქციაც დაიწყო: ჩვენ ჯოხებით, რკინებით და სხვა მოსარჯულებელი საშუალებებით ნელა, აუჩქარებლად გავუდექით გზას წიგნებით მოვაჭრეებისკენ, რომლებსაც პიონერთა სასახლის მესერთან გაემწკრივებინათ თავიანთი სტენდები და მყიდველის მოლოდინში წუწკად იფშვნეტდნენ ხელებს. მათ ჩვენ წინ ჩავუარეთ, უფრო სწორად, მათ ჩვენების ნაწილმა ჩაუარა წინ, ნაწილი კი ჩამოვრჩით, გავიწელეთ და წიგნოსნები ნახევარალყაში მოვაქციეთ. ნახევარალყაში იმიტომ, რომ როგორც უკვე აღვნიშნე, უკნიდან მათ პიონერთა სასახლის რკინის მაღალი, წვეტიანი ბუნიკებით დაბოლოებული მესერი ზღუდავდა და თუმცა არ იყო აუცილებლობა, წინამძღოლმა მაინც დაიჭირა თადარიგი, შეგზავნა რა რამდენიმე ჯანიანი ჩვენიანი პიონერთა სასახ-

ლის ტერიტორიის შიგნით, მოსარჯულებელი ინსტრუმენტებით, რასაკვირველია და, მესერს იქით განალაგა, რათა თუ ვინმე წიგნოსანთაგან მოახერხებდა და მაღალ მესერს ზედ გადააძვრებოდა – იმათ, იმ ჯანიან ჩვენიანებს მაინც ვერ გაჰქცეოდა.

წიგნოსნები, ზოგი ოდნავ ეჭვიანი ღიმილით, ზოგიც ფარული ან აშკარა ქირქილით გვადევნებდნენ თვალყურს. რა იცოდნენ ამ უბედურებმა, რომ მალე – მაპატიეთ, ასე რომ ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, თავს ვერ ვიკავებ – მალე რომ გაუუპატიურდებოდათ ბაბოს ანუსი.

რაც უფრო მჭიდრო და გაუღწევადი ხდებოდა ალყა, მით უფრო ეცვლებოდათ წიგნით მოვაჭრეებს განწყობილება და ახლა უკვე ისინიც კი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ არხეინად იფშვნეტდნენ ხელებს, აფორიაქებულები ჩანდნენ. ალბათ გულის სიღრმეში (ან თავიანთი ორგანიზმის რომელიმე სხვა სიღრმეებში) განიცდიდნენ აუხსნელ, ინსტინქტურ ჟიმჟიმს. თუმცა ჯერ კიდევ იყვნენ მათ შორის ისეთნიც, რომლებიც ბედავდნენ, დამცინავი ღიმილით, უტიფრად ექირქილათ ჩვენზე. მაგრამ რას უშველიდათ მათ მათი განწყობილება ან მოვლენებისადმი დამოკიდებულება, როცა ყველას ერთნაირად უნდა მოხვედროდათ: გაღიმებულებსაც, დამწუხრებულებსაც, აფორიაქებულებსაც, დამშვიდებულებსაც და იმათაც, რომლებსაც ჰქონდათ ჟიმჟიმი. როცა წიგნოსანთა წინ ნახევარალყა შეიკრა და როცა აშკარა გახდა, რომ სწორედ მათთან, მათზე „სანადიროდ“ ვიყავით მისულები, მოღიმარნი და მოქირქილეებიც აფორიაქდნენ და შიშით დაიწყეს თვალების ცეცება. ჩვენი წინამძღოლი ამ დროს სიტყვით გამოდიოდა და მრისხანედ გმობდა უზნეობის გამავრცელებლებს, ჩვენ კი, როგორც რბოლას მოწყურებული ცხენები, ადგილზე ვნავარდობდით და იმ წიგნოსნებს, რომლებიც ალყიდან გამოსვლას და გაპარვას ლამობდნენ, ბიძგებითა და ხელის კვრით უკანვე ვაბრუნებდით. ბოლოს დაამთავრა წინამძღოლმა სიტყვით გამოსვლა და გაისმა ჩვენი ერთ-ერთი თავკაცის ნაცნობი და ომახიანი შეძახილი: – „მედგრად, წინ!“ და ჩვენც, როგორც მშიერი მგლები ცხვრებს, ისე დავეძგერეთ

წიგნოსნებს. წინამძღოლს, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში, ხელთ ეპყრა რადიორუპორი, რომლის მეშვეობითაც იგი კოორდინირებას უწევდა ოპერაციას, ამხნევებდა ორგანიზაციის წევრებს, კარნახობდა, თუ ვისთვის როგორ ჩაერტყათ. გარდა ამისა, იგი რადიორუპორის მეშვეობით აგინებდა წიგნოსნებს და წყევლა-კრულვას უთვლიდა მათ. ჩვენი ქალები (ჩვენ ორგანიზაციაში ქალებიც გვყავს) შედარებით პასიურ მონაწილეობას იღებდნენ წიგნოსანთა დარბევაში, ისინი უფრო ენებს ატლიკინებდნენ, წიოდნენ, კიოდნენ და მწარედ ჩქმეტდნენ დაზარალებულებს.

მიუხედავად არანაკლები ბრალიანობისა, წიგნოსან ქალებს შედარებით მაინც ინდობდნენ ჩვენი კაცები და ერიდებოდნენ მათ ცემას. თუმცა ეს გარემოებაც არ იყო მათი მხსნელი: საქმე ისაა, რომ ჩვენი ქალები, ხედავდნენ რა ამ სიტუაციას, გაათმაგებული სისასტიკით ბწკენდნენ წიგნის გამყიდველ ქალებს, წეწავდნენ და პორჭყნიდნენ მათ.

– არ მომეკაროთ!!! არ მომეკაროთ!!! – წიოდა ერთ-ერთი გაწეწილ-დაჩქმეტილი, დაბწკენილ-დაკაწრული წიგნოსანი ქალი. მე ამ ქალს, სიმართლე გითხრათ, თავიდანვე დავადგი თვალი, როგორც კი დავინახე. ის გამოირჩეოდა ყველასგან: ჩემზე ათიოდე წლით უფროსი, ასე 35 წლისა იქნებოდა, მაგრამ მაღალი იყო რა: მაღალი, სექსუალური – რაღაცნაირად – ლამაზი და ულამაზო – აი, ხომ არიან ცოტა ულამაზო ქალები, რომლებსაც ეს თავიანთი ულამაზობა უხდებათ. სწორედ ასეთი იყო ისიც – ლაზათიანად აშოლტილი და აღმგზნებად ულამაზო. მე მას ჩემს გულში ბაყვოსანი შევარქვი. ეს ბაყვოსანი რაღაც განსაკუთრებული სისასტიკით გაიგდეს ჩვენმა ქალებმა. აქ, მგონი, მარტო შეხედულებების ფაქტორს არ უნდა ეთამაშა მთავარი როლი – ალბათ უფრო ქალური, მეტოქეობრივი შური შვრებოდა თავისას. და, რადგან ჩვენი ქალების უმრავლესობა, რა დასამალია და, შეუხედავია – ჯიბლიბოიანები, ულვაშებიანი, ნერვიულები და ბებრები – სწორედ ამიტომ ისინი მაინცდამაინც ამ ბაყვოსანს წასწვდნენ სხვებზე უსასტიკესად. ალბათ ჩვენს ქალებს სხვებისთვის, სხვა წიგნოსანი ქალებისთვის ვერ ეპატიებინათ მხოლოდ მავნე წიგნების

გაყიდვა, ხოლო ბაყვოსნისთვის ვერ ეპატიებინათ, ჯერ ერთი, მავნე წიგნების გაყიდვაც და მეორეც – მთავარი: ის, რომ ის მათ ფიზიკურად გაცილებით სჯობდა.

თუმცა ეს ყველაფერი ხდებოდა არა შეგნებულად, არამედ ქვეცნობიერად.

ქალებს გარდა, ბაყვოსანს გარს რამდენიმე ჩვენიანი, ძირითადად საპენსიო ასაკის მამაკაციც უტრიალებდა. სიმართლე უნდა ითქვას და ეს ბებერი ოღრაშები ნახევარი ძალით ჩქმეტდნენ ბაყვოსან ქალს, რაც ფაქტიურად ლაქუცი უფრო იყო.

მე, ახლა, ასეთი რაღაცეები არ მიყვარს, მით უმეტეს ამგვარ სიტუაციებში, როცა ზნეობის ამბავია და რაღაცა, მაგრამ უცოლო კაცი ვარ და, გამიგეთ, ბაყვოსნის საჯდომისკენ თვალი გამექცა. სანამ მე ამ საჯდომს ვაკვირდებოდი, ერთმა წიგნით მოვაჭრე კაცმა, ყურადღებაგაფანტულს ყბაში მარჯვედ მომდო (ასეთი რამეებიც ხდება – ზოგჯერ ჩვენც გვირტყამენ) და ძირს დამცა. ოღონდ მთლიანად არ გავშოტილვარ, არამედ მხოლოდ ჩავჯექი. გაბრუებულმა თვალი რომ გავახილე, ჩემს პირისახესთან სულ ახლოს, ჯინსებით გადატკეცილი ბაყვოსნის უბადლო კოზირი შევნიშნე. ამ კოზირის რხევის რეზონანსი, მინდა გითხრათ, უაღრესად სასიამოვნო იყო და დინამიკაც სულზე უტკბესი. კოზირი ერთგვარად თითქოს პულსირებდა კიდეც, მაგრამ მოგეხსენებათ, კოზირი მაინც კოზირია და, ჩემი თუმც დანჯღრეული და ზღმარტლივით დაბეჟილი, მაგრამ მაინც სიფათის და ვიღაცის, მართალია უბადლო, მაგრამ საჯდომის სახიფათო სიახლოვე მე მეტად მაწუხებდა, რამეთუ ამ ორი ობიექტის – მხედველობაში მაქვს ჩემი სიფათი და ბაყვოსნის კოზირი – მცირედი შეხებაც კი მაჭმევდა სირცხვილს. ჯერ მინდოდა მუშტი გამეკრა და ამ გზით მომეშორებინა თავიდან მაცდური საჯდომი, მაგრამ, სამწუხაროდ, სამუშტედ ვერ გავიმეტე. ალბათ ჩემში ცრუ ჯენტლმენობამ თუ იმძლავრა და მეც იმის მაგივრად, რომ მუშტი გამეკრა, ბაყვოსანს გავაზე თავაზიანად მოვუთათუნე და ვთხოვე: „ქალბატონო, ცოტათი გასწიეთ-მეთქი რა, თქვენი კოზირი!", მაგრამ მან ვერაფერი გაიგო და გაწევის მაგივრად

პირიქით, უფრო მომიახლოვა (თუ მოაახლოვებინეს) გავა. მე ბაყვოსანს კიდევ ერთხელ მოვუთათუნე ხელი და კიდევ მივმართე შესაბამისი თხოვნით, მაგრამ – შეაყარე კედელს ცერცვი – ვერაფერი გავაგონე, ამიტომ კიდევ მოვუთათუნე, კიდევ და კიდევ... ამასობაში ეს თათუნი ისე გამიტკბა, რომ ალერსში გადაიზარდა. ვაი შენ, უბედურო ჩემო თავო – მე უკვე ვეალერსებოდი მის გავას... დიახ! ასე იყო: ვიჯექი მტვრიან ასფალტზე სამარცხვინოდ ფეხებგაფშეკილი, ხელებში სათუთად მეჭირა ჩვენი ქალების მიერ ჩემ წინ იძულებით წაკუზული წიგნოსანი ბაყვოსნის უბადლო კოზირი და, რომ იტყვიან, ხელისგულებითა და თითის ბალიშებით ვეალერსებოდი მას, დროდადრო მოღალატურად მივიხედ-მოვიხედავდი და გრძნობამორევით მივადებდი ხოლმე ლოყას ან თავს. ამგვარი ალერსი სულ უფრო და უფრო ნაზი ხდებოდა, ყველაზე ნაზი ალერსი კი, მოგეხსენებათ, კოცნაა და მეც – ამ ბოროტებასთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ალესილმა, გარყვნილებასთან დაპირისპირებაში შეუვალმა, რწმენაში უდრეკმა და რა ვიცი, ჯანდაბა, კიდევ რა ვთქვა, ადამიანმა, თავი ვეღარ შევიკავე და:

– მ-მ-წ-უ-ა-ა-ა, ჯაგა-ჯაგა!!!

ვაკოცე...

დიდი ჭუჭუა და პატარა ჭუჭუა

ჩვენი თბილისქალაქი კონტრასტების ქალაქია: აქ ყველაფერი ლამაზიცაა და უშნოც; აქ ხან ცივა, ხან ცხელა; ერთი და იგივე რამ ზოგჯერ ჩალის ფასად იყიდება, ზოგჯერ კი ცეცხლის ფასი ადევს; მცხოვრებლები – ზოგი ძალიან მდიდარია, ზოგიც უკიდურესად ღატაკი; ერთი სიტყვით: არ იცის ამ ქალაქმა ზომა და წონა და ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს ამბავი ჩვენს ქალაქში მოხდა.

ისე, ალბათ მარტო ჩვენი ქალაქი არ უნდა იყოს გამონაკლისი, ალბათ სხვა ქალაქებიც ასეა და სხვაგანაც შეიძლებოდა მომხდარიყო იგივე, ან მსგავსი რამ, თუმცა, ეს, როგორც იტყვიან, ვარაუდის დონეზე, რეალობაში კი ეს ამბავი სწორედ ჩვენთან მოხდა და თუკი ვინმეს ბანალურ სისულელედ მოეჩვენება, ალბათ იმიტომ, რომ ის უბრალოდ მიუჩვეველია, თვალი არ გაუსწოროს ცხოვრებას და რაღაც-რაღაცეებს ამ ცხოვრებაში.

გოჩა და ხვიჩა ტ-ძეები ტყუპები იყვნენ. ისინი უჩვეულოდ, როგორღაც ერთდროულად, ფეხშექცევით მოევლინენ ამ ქვეყანას და ამიტომ შეუძლებელი შეიქნა დადგენა იმისა, თუ რომელი ტყუპთაგანი იყო ძე პირველშობილი და რომელი მეორე. ამას გარდა, ორივე ტყუპისცალი მართლაცდა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. ცნობილია: მშობლები მაინც როგორღაც არჩევენ ერთმანეთში თავიანთ შვილებს, რაოდენ დიდიც უნდა იყოს მათი მსგავსება, რადგან მაინც არის ხოლმე პატარა განსხვავება გარეგნობაში, ქცევასა და ხასიათში. ეს ორნი კი გარეგნული იერით, თუ სხვა მონაცემებით ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ, გარდა ერთისა. ეს ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ძმებისა იყო – ჭუჭუა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ტყუპები ერთდროულად, ფეხშექცევით, ერთმანეთში გადახლართულები დაიბადნენ და როდესაც ექიმმა გინეკოლოგმა – ზორბა და ღონიერმა, დიდხელება კაცმა ეს პატარა, ვარდისფერი, ცოცხალი გორგალი ფრთხილად გაშალა, რათა ტყუპები ერთმანეთისგან დაეცალკევებინა – მის მზერას წინ უჩვეულო სურათი გადაეშალა: ერთ პაწაწას პერანგის ღილივით ერთი ბეწო ჭუჭუა აღმოუჩინა, რომელიც, კოტიტა ბარძაყებში ჩამალული, თითქმის არც კი მოჩანდა; სამაგიეროდ, მეორე პაწაწას დაახლოებით მტკაველ-ნახევარი (ექიმმა გინეკოლოგმა თავად გაზომა) სიგრძის ჭუჭუა (არ მსურს ვიხმარო სიტყვა დასთრევდა) ჰქონდა ჩამოკიდებული მუხლის თავებს ქვემოთ, თითქმის კოჭებამდე. ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ეს ჭუჭუა მგონი ოდნავ შემდგარ-შემაგრებულიც იყო, ან იქნებ ექიმის ხელის შეხებისას შეიქნა ასეთი, როცა მას იგი თავისი მტკაველით ზომავდა. „ო-ო-ო-ლა-ლა“, – შესძახა მაშინ გინეკოლოგმა და ბებიაქალებს თავმომწონედ გადახედ-გადმოხედა, – „ამისთანა ძალაყინის პატრონს რა დაგამარცხებს, ვაჟკაც! შენ კი, პატარავ“, – და ექიმი ამ სიტყვებზე მეორეს მიუბრუნდა, საჩვენებელი თითი ღილაკივით პატარა ჭუჭუაზე ოდნავ დააჭირა და ასე უთხრა: – „დიდი ბიჭი გაიზარდე და დიდი ჭუჭუა გაგეზარდოს!“

თუმცაღა, ყველას ყველაფერი ისე ეზრდება, როგორც ეს ბუნებას სურს.

გოჩა და ხვიჩა ერთად, ერთნაირად იზრდებოდნენ: თითქმის ერთსა და იმავე დროს იძინებ-ილვიძებდნენ, ერთი და იმავე საკვებით იკვებებოდნენ და წონაშიც თანაბრად იმატებდნენ, თუმცა (გასაგები მიზეზის გამო), გოჩა 200-250 გრამით ყოველთვის უფრო მძიმე იყო ხვიჩაზე. ეს, რასაკვირველია, ყრმობისას, თორემ მოზარდობასა და სიჭაბუკეში სულ ცოტა რვაასი გრამით მაინც.

ბუნების ეს ხუმრობა, დაცინვა თუ შეცდომა რომ არა, ძმებს ცხოვრება ალბათ შემდგომშიაც მსგავსი ექნებოდათ: სავარაუდოა, რომ ისინი ერთ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებდნენ, ერთ ფაკულტეტზე ისწავლიდნენ, ერთად ივლიდნენ სპორტსა და მუსიკაზე და ერთი და იგივე მისწრაფებები ექნებოდათ,

მაგრამ მათი ჭუჭუების სხვაობამ ზომებში ეს ძმები იმდენად განასხვავა, რომ ანტიპოდებად აქცია. მაგრამ ამაზე შემდგომ. არ ღირს წინ გასწრება მოვლენებისა.

რაც უფრო ემატებოდა გოჩას ასაკი და რაც უფრო ეზრდებოდა მას მისი „ყბადაღებული" ჭუჭუა, მით უფრო ამპარტავანდებოდა იგი. გოგოებსა და ქალებში (საოცარია, მაგრამ ქალებში უფრო) სახელს იხვეჭდა, რამეთუ მასთან დაწოლაზე ოცნებობდა ჩვენი ქალაქის მრავალი ლამაზმანი. თანაც, სხვათა შორის, არა იმდენად მსუბუქი ყოფაქცევისანი, არამედ ქმრიანები, ოჯახიანები. გოჩა კი მათ ოცნებას შეძლებისდაგვარად უსრულებდა. ქალებთან ურთიერთობა და მათთან გულითადი დამოკიდებულება, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, არათუ უფუჭებდა, არამედ ხელს უწყობდა კაცებთან, მათ შორის, გოჩასთან ღამეგანათევი ქალების ქმრებთან მეგობრობას. ერთი სიტყვით, გოჩას ჩვენს ქალაქში თავზე საყრელად ჰყავდა მეგობრები და საყვარლები, ხოლო ვისაც თავზესაყრელად ჰყავს მეგობრები და საყვარლები, მას, აქედან გამომდინარე, თავზე საყრელად აქვს ფულიც. აქედან გამომდინარე კი ეს ქვეყანაც მისია.

ერთი სიტყვით, ამ კაცმა, ანუ გოჩამ, თავის ჭუჭუას ხარჯზე ცხოვრება მოიწყო. თუმცაღა ან მოიწყო და ან არა. იგი თავისი ჭუჭუას წყალობით ქალებს, ღვინოსა და ნარკოტიკებს მიეძალა და ძალიან ადრეულ ასაკში, რომ იტყვიან, ცხოვრებაბოლომდენანახი მიიცვალა. მეგობრებმა და თაყვანისმცემლებმა ქალაქში თავიდან ერთგვარი გლოვაც კი გამოაცხადეს მისი გარდაცვალების გამო, მაგრამ მალევე დაივიწყეს ეს ახლადაღმოცენებული კოლორიტული ახალგაზრდა, რადგან როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ ითქვა, მას თავისი ჭუჭუას გარდა ღირსშესანიშნავი მეტი არც არაფერი ჰქონდა.

რაც შეეხება მეორე ძმას – ხვიჩას: იგი კარჩაკეტილი და პირქუში გახდა; ხალხს გაურბოდა, ხალხის რცხვენოდა; მას მოშარდვაც კი უჭირდა კაცურად, რადგან თავისი „ღილაკი" შარდვისას ორი თითითაც ვერ დაეჭირა ხეირიანად, ჭუჭუა მას ხელიდან უსხლტებოდა და უკეთეს შემთხვევაში თითებს უსველებდა, უარეს შემთხვევაში კი საცვლებს, შარვლის

ტოტებს, წინდებსა და ფეხსაცმელებს... ხვიჩა ამ მიზეზის გამო იძულებული ხდებოდა ქალივით ჩაცუცქულს მოეშარდა. შეეძლო განა საბრალო ხვიჩას, დავუშვათ, ძმაბიჭებთან ერთად სადმე ბუნების წიაღში მოქეიფეს, იქვე ბუჩქისთვის მიეშარდა ვაჟკაცურად? – არა, არ შეეძლო! იგი უნდა გასულიყო სადმე სხვაგან, ქალივით ჩაცუცქულიყო ბუჩქის ძირას და მეგობართა ქირქილისა და მისი ჭუჭუას სიპატარავის თაობაზე გამოთქმული სხვადასხვა მსუყე გამონათქვამის ფონზე სიმწრით მოეშარდა! არა, არ სჭირდებოდა ხვიჩას ასეთი, მაპატიეთ და, სიამოვნება! არ იყო ასეთი ქეიფი ნეტარების მომგვრელი მისთვის და ან ისეთ ძმაბიჭებს რა ვუთხარ, რომლებთანაც ვერც კი მოგიშარდავს კაცურად. ხვიჩა თანდათან საკუთარ თავში იკეტებოდა, უკარება და ავი ხდებოდა. სვამდა. მას აღარავინ უყვარდა – მზეც კი. გოჩა სანამ ცოცხალი იყო, ყურადღებას არ აკლებდა და საგრძნობლადაც ეხმარებოდა თავის გალოთებულ ტყუპისცალს, რომელსაც მარტოობაში სმის უკიდურესად მავნე ჩვეულებაც დასჩემებოდა. მაგრამ როცა გოჩა მიიცვალა, ხვიჩა ნელ-ნელა სულ მთლად წაიღო წყალმა, საბოლოოდ გალოთდა, უსახლკაროდ დარჩა, ნათესავებმა და ახლობლებმა მას, დიდი ხანია, ზურგი აქციეს და ახლა ეს საცოდავი, მშრალი ხიდის ძველმანებით მოვაჭრეთა ბაზრობის მკვიდრი გამხდარიყო: აქ ვაჭრობდა ხვიჩა სათევზაო ჭიებითა და ნემსკავებით, იქვე თევზაობდა ხიდის სიახლოვეს და იქვე იძინებდა დაცარიელებულ დახლებს შორის. მას ჰქონდა ძველი პალტო და ორი დასაკეცი ანკესი. ამ ავლადიდებას იგი ნაგვის ყუთში ინახავდა და საჭიროებისამებრ ხმარობდა: ანკესებს – თევზაობისას, ხოლო პალტოს – ძილის დროს და სიცივეში. აი ასე ცხოვრობდა ხვიჩა, რომელიც უკვე 50 წლისა გამხდარიყო.

ლიზიკო ბუ-ძე მესამე მთავარი და ალბათ მართლა მთავარი გმირია ამ მოთხრობისა. ის ღირსეული და ძლევამოსილი, მართლაცდა გმირი ქალი იყო. მას ხომ ჩვენში ყველა იცნობდა, როგორც უდიდეს საზოგადო მოღვაწესა და ძალზე გულუხვ ფილანტროპს, რომელიც უანგაროდ იღვწოდა ჩვენი ხალხისთვის და გულწრფელად ცდილობდა თავისი წვლილის

შეტანას, ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით კი ჩვენი ქალაქის აღორძინების საქმეში. ლიზიკო – ამ სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე ელიზავეტა ბუ-ძეს ხალხში. ის ხომ ყველასათვის ახლობელი იყო, ყველა თბილისური ოჯახი თავის წევრად თვლიდა. ალბათ არ მოიძებნებოდა ჩვენს ქალაქში ადამიანი, რომელზეც ლიზიკოს არ ეზრუნოს. მწერლები, კინორეჟისორები, მეცნიერები, მასწავლებლები, პოლიციელები თუ ხელოსნები – ყველანი ემადლიერებოდნენ ამ, მართლაცდა, საოცარ ქალს. მან ხომ ქალაქს საჩუქრად ორი დიდი სასტუმრო უძღვნა; ააშენა სკოლა და საბავშვო ბაღები; დააფინანსა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (შექმნა რამდენიმე კომანდოს ბატალიონი); დააარსა უფასო სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკომანებისათვის; თავისი ხარჯებით გაარემონტა სავალალო მდგომარეობაში მყოფი ციხე; თბილისის გარშემო გააშენა ტყე, რომელშიც თავად დარგო პირველი ხე...

ლიზიკო პატარაობიდანვე აქტიური იყო, ძლიერი და გავლენიანი ოჯახის შვილს ისედაც ყველგან ექნებოდა გზა ხსნილი, მაგრამ იგი არასოდეს კმაყოფილდებოდა სხვების მიერ გაკაფული გზებით. იგი თავად იკაფავდა გზებს: სულ ფრიადებზე სწავლობდა, იყო პიონერული რაზმეულის თავმჯდომარე, კომკავშირის მდივანი, დეპუტატი და ათასი სხვა რამ; პროფესიით ეკონომისტი და იურისტი კარგად ერკვეოდა პოლიტიკაშიც. ეს იყო ნამდვილი რკინის ლედი.

რკინის ლედი იყო მაქსიმალისტი. ის მიიჩნევდა, რომ ვინაიდან ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს ამქვეყანაზე, ხოლო შემდეგ რა იქნება, კაცმა არ იცის – ამიტომ ამ ცხოვრებისგან ყველაფერი უნდა აიღო, უნდა გამოიყენო ყოველი წუთი, დაზოგო ყოველი კაპიკი, თავდავიწყებით მიეცე მხიარულებას, თუკი მხიარულების გუნებაზე ხარ და თუ დრო და საშუალება გაქვს ამისა; ლიმონი ბოლომდე უნდა გამოწურო, ძვალი კი ბოლომდე უნდა გამოხრა.

აბა, რა საერთო უნდა ჰქონოდა პატრიციული წარმოშობის ელიზავეტა ბუ-ძეს სახელგანთქმულ რაჟდენ ბუ-ძის ასულს, ვიღაც გოჩა ტ-ძესთან...

...მაგრამ სწორედ იმ ღამეს, იმ პატარა, საკურორტო

ზღვისპირა ქალაქში მოხდა მათი შემთხვევითი შეწყვილება. ლიზიკო იქ ისვენებდა. ის ახალგაზრდა, გასათხოვარი გოგონა იყო, თუმცა საკუთარი გარეგნობის და ხასიათის გამო თაყვანისმცემელ მამაკაცთა ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ მაინც ძალიან დაინტერესდა, როცა მეგობარმა გოგონამ გაანდო მას, თუ ვისთან იყო „წუხელ" და როგორი ჭუჭუა ჰქონდა მას, ვისთანაც ის „წუხელ" იყო. ლიზიკომ შეიტყო, რომ „ის", ვისთანაც მისი მეგობარი, შთაბეჭდილებებით აღსავსე გოგონა „წუხელ" იყო, „ხვალ" უკვე წასვლას აპირებდა იმ კურორტიდან, ამიტომ ლიზიკო დაფაცურდა და იმავე მეგობარი გოგონას უშუალო დახმარებით დაუკავშირდა და არა მარტო უბრალოდ დაუკავშირდა, არამედ სქესობრივადაც დაუკავშირდა გოჩას. ლიზიკომაც და გოჩამაც შამპანურით ჩაიტკბარუნეს იმ საღამოს ყელი და არა მარტო ჩაიტკბარუნეს, არამედ იმ რაოდენობით იგემეს ეს მეფური სითხე, რომ მეორე დღეს, როცა ისინი დაშორდნენ – სახელებიც კი აღარ ახსოვდათ ხეირიანად ერთმანეთისა. გოჩას მალე გადაავიწყდა მაღალი, ტანსრული გოგონა დიდ და მკვრივ-ძუძუებიანი. მას ხომ ლიზიკოს გარდა უამრავი ლამაზი ქალი ჰყავდა ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ლიზიკოს ახსოვდა „ის". მართალია სახელი აღარ ახსოვდა (გოჩა თუ რაღაც ასეთი, ჩა-ზე რომ მთავრდება), მაგრამ სამაგიეროდ კარგად ახსოვდა „მისი" ჭუჭუა. გარდა ამისა, ლიზიკოს სამახსოვროდ დარჩა ნაბახუსევი გოჩას მიერ შემთხვევით დატოვებული დასაკეცი დანა. ამ დანას ლიზიკო მთელი ცხოვრება თან ატარებდა, იმ „ცეცხლოვანი" ღამის მოსაგონებლად, რამეთუ იმისთანა სიამტკბილობა მას ცხოვრებაში არ განეცადა არც ერთ მამაკაცთან, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მამაკაცთა ნაკლებობას არ განიცდიდა. იგი სამჯერ იყო გათხოვილი. ახლა ვიღაცამ შეიძლება დაიწყოს: „ესაო-ისაო, ასეო-ისეო" – იცით რა, გეთაყვათ, მოდით, ყველამ თავის თავს მოუაროს და ლიზიკოზე აუგი ნურავის დასცდება. ის ქალი იყო – ნამდვილი ქალი – და ჰქონდა კაცებისადმი მიდრეკილება. აბა, ზოგიერთ ქალს სულ არ აინტერესებს კაცი, თავისი ქმარიც კი არ უნდა: ქმარი აწუხებს, კაცი აწუხებს, სექსი აწუხებს, ჭუჭუა აწუხებს

– ყველაფერი აწუხებს. მოდგებიან მერე და – „პატიოსნებიო, ესაო, ისაო...“ თუ სექსი არ სიამოვნებს ქალს, ის „პატიოსანი“ იქნება, აბა რა ჯანდაბა იქნება, მაგრამ ისე ეს „პატიოსნება“ პატიოსნება არ არის, ესაა „ეგრეთ წოდებული“ პატიოსნება. ნამდვილი პატიოსნება კი ის არის, როცა ადამიანს არ რცხვენია იყოს ისეთი, როგორიც ის არის, ლიზიკო იყო სექსუალური ქალი და არ რცხვენოდა – იგი ამაყობდა ამით.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული ლიზიკო მალე, როგორც წარჩინებული სტუდენტი, მოსკოვში გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. როცა კი ბრუნდებოდა სამშობლოში, მუდამ ცდილობდა გოჩას პოვნას, მაგრამ, აბა, რაღას იპოვიდა, როცა სახელიც კი აღარ ახსოვდა ხეირიანად მისი. აღარც მას, აღარც მის დაქალს და არც სხვებს აღარ ახსოვდათ იმ დიდჭუჭუიანი ბიჭის აღარც ასავალ-დასავალი და აღარც არაფერი.

გოჩა კი, როგორ უკვე ითქვა, მოკვდა. ამასობაში დრო გადიოდა. ლიზიკო მოსკოვში დარჩა, იქ დამკვიდრდა და დიდი ბიზნესიც გააჩაღა. ის სამჯერ გათხოვდა: ჯერ რუსზე, მერე ქართველზე და ბოლოს ებრაელზე. ესენი – სამივენი, რომ იტყვიან, მოინელა, მათ ქონებას დაეპატრონა და ძლევამოსილი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს – ფულიანი, გავლენიანი, მცველებითა და თაყვანისმცემლებით მუდამ გარსშემორტყმული. ჩამოსვლის შემდეგ კი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, გააშენა ტყეები, შეაიარაღა ჯარი, დაურიგა პენსიები მოხუცებს და ააღორძინა ქართული კინო...

ყველას ეგონა (და ალბათ ლიზიკოსაც ასე ეგონა), რომ იგი მშობლიური ქალაქის სიყვარულმა ჩამოიყვანა უკან. მაგრამ სინამდვილეში ვერავინ ხვდებოდა (და ალბათ ლიზიკოც ვერ ხვდებოდა), რომ მთავარი მიზეზი მისი დაბრუნებისა იყო არა იმდენად მშობლიური ქალაქის სიყვარული, არამედ სულ სხვა რამის სიყვარული. ეს „სხვა რამე“ კი იყო – ჰმ, ალბათ ყველა ხვდება თუ რა იყო ეს „სხვა რამე“.

კაცების დიდ შემფასებელს, მცოდნესა და დამფასებელს, ვერ დაევიწყებინა ყმაწვილი, რომლის ასავალ-დასავალი არ იცოდა, ვერ დაევიწყებინა მისდამი (არამართებულია ხმარება სიტყვისა – სიყვარული) ლტოლვა – ამძუვნებული ძუს

ლტოლვა – ისე გამძაფრებული და გამკვეთრებული, როგორის უნარიც შესწევთ მხოლოდ ნამდვილ ქალებს, ძუებს, ფურებს, ფაშატებს, დედლებს – ანუ მდედრებს.

ლიზიკო ქვეცნობიერად ეძებდა გოჩას, ილტვოდა მასთან შესაწყვილებლად და ამასობაში ამ ლტოლვით გამსჭვალული აიარაღებდა ჯარს, ურიგებდა პენსიებს პენსიონერებს, აღორძინებდა ქართულ კინოს და ფიქრობდა ჭუჭუაზე.

ყველა ადამიანს (ან ალბათ ყველას) აქვს რაღაც ჰობი. ლიზიკოსაც ჰქონდა თავისი ჰობი. ეს იყო ძველმანების შეძენა. იგი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით დადიოდა მშრალი ხიდისა თუ ნავთლუღის ბაზრობებზე და დიდი ხმაურით, სიცილ-ხარხარით, ძველმანებით მოვაჭრეებთან გაბაასებით, მათთან და სხვა უცხოებთან ფოტოების გადაღებით, შევაჭრებითა და დაწუნება-მოწონებით ათას უმაქნის რამეს – ძველებურ უთოებს, საკერავ მანქანებს, კლიტეებს თუ ნავთქურებს – ყიდულობდა. ეს დასვენება, გართობა იყო. გართობის დროს კი ძალიან სერიოზულ, გავლენიან ადამიანებსაც აქვთ ცელქობის უფლება: ამბობენ, ამერიკის რომელიღაც ცნობილი პრეზიდენტი, თურმე ნუ იტყვით, პინგ-პონგსაც კი თამაშობდაო – ეს მისი ჰობი ყოფილა. ეჰ, რას არ გაიგებს კაცი – პრეზიდენტი რომ პინგ-პონგის თამაშს დაიწყებს, სხვებს რაღა უნდა მოსთხოვო ნეტავი...

იმ დღეს ლიზიკო მშრალ ხიდზე იყო გამოსული. იგი ჩვეული ენერგიულობითა და ხალისით დადიოდა ძველმანებით მოვაჭრეთა რიგებში. დადიოდა. გვერდით მოსდევდა ბრგე მცველი, რომელიც ახლად ნაყიდ ორთვალა ურიკას მოახრიგინებდა. ამ ურიკაზე კი უკვე იყო აჩონჩხლილი ახლად ნაყიდი ძველმანები: ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დროინდელი საბეჭდი მანქანა „რაიმეტალი“, მტვერსასრუტ „რაკეტას“ ჯაგრისთა ნაკრები, დასაკეცი სკამი და თუნუქის დაბეჟილი თუნგი.

უსახლკარო, მარტოხელა გალოთებული უმუშევარი ხვიჩა ტ-ძე იმ დღეს მტკვარზე თევზაობდა თავისი ანკესით. ის ძალიან უხასიათოდ გახლდათ, რადგან მას პოლიციელმა კოჭლამაზაშვილმა პანჩური ამოარტყა ხიდის ქვეშ თევზაობის გამო. ხიდის სიახლოვეს ორმოცდაათ მეტრში თევზაობა

კანონით აკრძალულია, ამისთვის მეთევზეებს აჯარიმებენ და ართმევენ ანკესებს. ხვიჩას დაჯარიმება სასაცილო იყო – მას ხომ ფული არასოდეს ჰქონდა; მისთვის ანკესების წართმევა კი პოლიციელ კოჭლამაზაშვილისათვის შეუძლებელი საქმე იყო: ხვიჩა ადვილად არ დასთმობდა თავის ანკესებს და პოლიციელის მხრიდან წართმევის მცდელობის შემთხვევაში, სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობას გაუწევდა წესრიგის დამცველს. არ დაბადებულიყო ჯერ ქვეყნად ისეთი პოლიციელი, რომელიც შეძლებდა მარტოს წაერთმია ხვიჩასთვის მისი ერთადერთი ქონება – ანკესი. აი, რაც შეეხება პანჩურის ამორტყმას – ეს, როგორც იტყვიან, „მოსულა“; თუმცა, როგორც ყველა ხვიჩასნაირი ადამიანი, ხვიჩაც მეტად ამბიციური იყო: აქ ადგილი ჰქონდა ერთგვარ შეუთავსებლობას – როცა ადამიანი თვლის, რომ იგი, ყველაფრისდა მიუხედავად, კაცური კაცია, ხოლო საზოგადოება თვლის, რომ იგი, ყველაფრის მიხედვით, ჩანჩურპეტროვიჩია. პოლიციელმა კოჭლამაზაშვილმა ხვიჩას, როგორც ჩანჩურპეტროვიჩს, ამოარტყა პანჩური; ხვიჩამ კი ეს პანჩური, როგორც კაცურმა კაცმა, იუკადრისა. ამ ნიადაგზე ნერვებაშლილ ხვიჩას წყალში გადაუვარდა სამდღიანი თეთრი ჭიებით სავსე ქილა, რომელიც მისი ერთ-ერთი ჭიებიანი ქილათაგანი იყო. საქმე ისაა, რომ ხვიჩას ჭიები თავად გამოჰყავდა: იგი დამპალ თევზს მარლაში ახვევდა და როცა ამ თევზს ჭიები გაუჩნდებოდა, ამ ჭიებით თევზაობდა და ვაჭრობდა. პატარა, ორდღიანი ჭიებით იჭერდა საზანს, საშუალო, სამდღიანი ჭიებით იჭერდა ჭანარს და დიდი, ოთხდღიანი ჭიებით – მურწას. ახლა კი, როცა პოლიციელ კოჭლამაზაშვილზე გაბრაზებულ ხვიჩას სამდღიანი ჭიები წყალში გადაუვარდა, იგი იძულებული შეიქნა სამდღიანების ნაცვლად ორდღიანებით ეთევზავა. ნებისმიერმა თბილისელმა მეთევზემ იცის, რომ მშრალ ხიდთან მხოლოდ ჭანარი მოდის, ისიც მხოლოდ სამდღიან ჭიაზე, ამიტომ ორდღიანი ჭია ჭანარს მაინცდამაინც არ უყვარს, ალბათ ეპატარავება, ოთხდღიანს კი მხოლოდ მამალი ჭანარი მიირთმევს. ჰოდა, იჯდა სანაპიროს მოაჯირზე პოლიციელ კოჭლამაზაშვილზე და მთელ კაცობრიობაზე გაბზარებული ხვიჩა, ბურტყუნებდა რაღაცას

(ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი) და არაშესაბამისი ჭიებით თევზაობდა, უცბიერეს თევზზე თევზთა შორის, ჭანარზე. ყოველივე ამას ერთვოდა უკვე ქრონიკული ბოღმა-ნაღველი, რომელიც მას ჭუჭუას სიპატარავის გამო განვითარებოდა ორმოცდაათწლიანი გაძაღლებული ცხოვრების მანძილზე.

ენერგიული, ხალისიანი, მბრძანებლური, უხვი და „მდაბალი" ლიზიკო უეცრად გაშრა სავაჭრო რიგებს შორის. მან იცნო, ან უფრო იგრძნო ის, ვისზე ფიქრიც ღამეებს თეთრად ათენებინებდა მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. სახელიც კი აღარ ახსოვდა ხეირიანად იმ ყმაწვილისა და რომც ხსომებოდა, განა ჰგავდა ის ახალგაზრდა ამ ბოგანოს? მაგრამ ლიზიკომ იცოდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ის ის იყო. ლიზიკო გრძნობდა ამას.

იგი ცუნცულით მიეახლა ბოგანოს და ყურში ალერსიანად ჩასჩურჩულა: „კლუიო-ოტ?" – „ნი კლუიოტ!!!" – უპასუხა ბრაზმორეულმა ბოგანომ ანჩხლად. საქმე ის არის, რომ ტერმინი „კლუიოტ-ნიკლუიოტ" მეთევზეთა საერთაშორისო ტერმინია და დაახლოებით ასე ითარგმნება: „კენკავს თევზი სატყუარას? – არა, არ კენკავს!"

– მერე რატო არ „კლუიოტ"? – შეეკითხა ქალი ალერსით ბოგანოს ისევ.

მეთევზე ბოგანომ ახედ-დახედა აბეზარ, სუნამოებისა და ნელსაცხებლების სუნით „აყროლებულ", ტუჩ-წამწამ-ლოყა-შეთითხნილ ზორბა ქალს და „ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგის" ბურტყუნით იქაურობას გაეცალა. ლიზიკომ აღარაფერი უთხრა „ბრაზიან მეთევზეს", მან მხოლოდ და მხოლოდ ნასიამოვნები მზერა გააყოლა ბოგანოს გამობერილ შარვალს. ამ გამობერილ შარვალში ლიზიკოს სანუკვარი ჭუჭუა ეგულებოდა, მაგრამ შარვალი სინამდვილეში სხვა მიზეზით იყო გამობერილი. ხვიჩას, როგორც უკვე ითქვა, ორი დასაკეცი ანკესი ჰქონდა – ერთი ჩვეულებრივი, ნებადართული, მეორე კი აკრძალული, ბრაკონიერული. ჩვეულებრივ ანკესზე ეკეთა ჩვეულებრივი სათევზაო ნემსკავი, ხოლო ბრაკონიერულზე სამკბილა, ეგრეთ წოდებული „ტრაინიკი". ბრაკონიერული ანკესით ხვიჩა ყოველთვის ვერ თევზაობდა და ამ ანკესს შარვ-

ლის ტოტში მალავდა, თუ სადმე სიახლოვეს „რიბნადზორები“ გამოჩნდებოდნენ. იმ დღესაც შარვლის ტოტში ჰქონდა ხვიჩას დამალული თავისი ანტენისებური, დასაკეცი ანკესი. სწორედ ამის გამო ჰქონდა მას შარვლის ერთგვარი გამობერილობა და სწორედ ამ გამობერილობას გააყოლა განაზებული მზერა მონუსხულმა ლიზიკომ მშრალი ხიდის „ბარახოლკაზე“.

ამ ინციდენტის შემყურეთ, არავის გაჰკვირვებია მომხდარი: ძველმანებით მოვაჭრეებმაც და დაცვის ხალხმაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ლიზიკოს სჩვეოდა ბაზრობაზე უბრალო ხალხთან გასაუბრება, ხოლო ის, რომ ვიღაც ბოგანო ხვიჩამ არ ისურვა ლიზიკოსთან საუბარი და მეტიც – „ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნითაც“ მოიხსენია იგი, ამაშიც ვერავინ ვერაფერი დაინახა უჩვეულო. პირიქით: ლიზიკოს შესწევდა ძალა და უნარი, ძალიან მკაცრად დაესაჯა თავხედი ბოგანო (საკმარისი იყო, მხოლოდ თვალით ენიშნებინა თავისი მცველებისთვის), მაგრამ იგი ასე არ მოიქცა, არამედ მხოლოდ ხელოვნურად შემცბარი, ოდნავ მიამიტი და ნაწყენი მზერა გააყოლა ხვიჩას და იქ მყოფთ გულღიად გაუღიმა, რითაც ბევრი იქ მყოფთაგანის გული მოიგო. ინციდენტი ყველასათვის ამით ამოიწურა, მაგრამ არა ლიზიკოსთვის, რასაკვირველია.

ლიზიკომ თავისი მთავარი მცველი თითით მოიხმო და ჩურჩულით უბრძანა ასდევნებოდა, თვალყური ედევნებინა და არაფრის დიდებით არ გაეშვა ბოგანო თვალთახედვიდან. მცველმა, თავის მხრივ, თავის რამდენიმე კოლეგას ანიშნა და ისინიც ყველანი აედევნენ ხვიჩას. ლიზიკოს დაცვაში მსახურობდნენ კერძო დეტექტივები და ყოფილი პოლიციისა თუ უშიშროების თანამშრომლები – დევნა და თვალთვალი მათი პროფესია იყო და ამიტომ არც გასჭირვებიათ ბრძანების შესრულება. ისინი ძაღლებივით მისდევდნენ ხვიჩას, თვალთვალის დროს ენაცვლებოდნენ და რაციებით უკავშირდებოდნენ ერთურთს და ლიზიკოს. ლიზიკოს მათთვის ბოგანოს აყვანა ებრძანებინა, როგორც კი საამისო გარემოება შეიქმნებოდა, ანუ ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე.

ხვიჩა ლოთი იყო, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ მას ვიღაცები უთვალთვალებდნენ. ეს ვიღაცები – ყველანი მკაცრი პირი-

სახისა და ბრგე აღნაგობისანი იყვნენ, ჰქონდათ რაციები და იარაღი. ეს ხალხი ხვიჩას „რიბნადზორებად" ეჩვენა და ამიტომ იგი დიდხანს ცდილობდა, მდევართათვის თავგზა აებნია: სად აღარ შეძვრა, საიდან აღარ გამოძვრა, სად არ იბობღა და იფორთხიალა, მაგრამ პროფესიონალ მდევრებს მაინც ვერსად გაექცა. იგი ბოლოს ისევ იმ თავის მშრალ ხიდზე მიძუნძულდა და სწორედ მის ქვეშ მიიმწყვდიეს ლიზიკოს მცველებმა და იქ დაიჭირეს. სხვათა შორის, ხვიჩამ მტკვარში გადახტომაც მოასწრო, რითაც ძლიერ განარისხა ლიზიკოს მცველები: ამის გამო ორი მათგანი იძულებული შეიქნა წყალში გადამხტარიყო. მათ ბოგანო წყლიდან გამოათრიეს და დაჯავშნილ, ლიზიკოსეულ „ჰამერში" შეაგდეს ბურთივით. – დავალება შესრულებულია, შეფ! – მოახსენა ოპერაციის ხელმძღვანელმა და მთავარმა მცველმა ლიზიკოს რაციით. – გმადლობთ შავლეგ, მომიყვანეთ იგი ჩემს ბუნგალოში! – გაისმა რაციაში ლიზიკოს ხმა.

ხვიჩა მცველებმა „ჰამერით" მიიყვანეს ლიზიკოს ბუნგალოში და ჯაჭვებით მიაბეს (ასეთი იყო ლიზიკოს ბრძანება) ჭერზე. შეშინებული ხვიჩა ახლა ველარ ბედავდა ეძახა თავისი „ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი", არამედ მხოლოდ გაუბედავად ხროტინებდა რაღაცას, სტვენდა.

ლიზიკო კი ამ დროს დიდრონ, მარმარილოს აბაზანაში იწვა და ახდენილი ოცნებისა არ სჯეროდა. იცოდა, რომ ნანატრი ჩიტი მახეში იყო გაბმული, მაგრამ მაინც არ სჯეროდა. უნდოდა, წამომხტარიყო და შევარდნილიყო იმ დარბაზში, სადაც ნანი-ნანატრი ტყვე ეგულებოდა ჭერზე ჯაჭვებით მიბმული, მაგრამ ვერ აკეთებდა ამას, რადგან სურდა მოსალოდნელი ნეტარება შეძლებისდაგვარად გაეხანგრძლივებინა, როგორც შანქორული ხალვის მიერ მონიჭებული სიამოვნება, ხალვისა, რომელიც პირში ტკბილად დნება, მაგრამ თუ ნელა მოწუწნი, უფრო ნელა დადნება და ტკბილად დნობის პროცესიც უფრო ხანგრძლივი და ნაზი გახდება. ან რა საჭირო იყო ნეტავ ხვიჩას ჯაჭვებით დაბმა? მაგრამ ამასაც ახსნა უნდა. საქმე ისაა, რომ ქალბატონ ელიზავეტა ბუ-ძეს სადისტური მიდრეკილებები გააჩნდა. მას სექსი უფრო მეტად სიამოვნებდა, თუკი შენ-

ყვილების პროცესში პარტნიორ მამაკაცს, ჯერ ერთი, კარგად გაამათრახებდა, შემდეგ კი მაღალქუსლიანი, ნვეტიანი ფეხსაცმელებით ჩაწიხლავდა. მოსწონდა ლიზიკოს პარტნიორი მამაკაცების ყვირილი და ღმუილი, ლანძღვა და ხვეწნა-მუდარა, მათი ოთხზე ხოხიალი, ამოგანგლული ტანსაცმელი და მიჟეჟილი, სისხლიანი ცხვირ-პირი; აი, ასეთი მამაკაცი იდეალური სექსუალური პარტნიორი იყო ძლევამოსილი ქალბატონისთვის – ისეთისთვის, როგორიც ლიზიკო იყო, რადგან ლიზიკოს არ შეეძლო (ან თუ შეეძლო, ძალიან უჭირდა) მისცემოდა მამაკაცს – ის თავად უნდა დაუფლებოდა მას და თანაც წინასწარი დამცირების შემდეგ, რათა მამაკაცს სადმე არ ეთქვა ან არ გაეფიქრა: „ლიზიკო ვიხმარეო", არამედ სწორედ თავად ყოფილიყო ნახმარი ლიზიკოს მიერ. რაც შეეხება ხვიჩას: რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისი დაბანა, დავარცხნა, მკურნალობა (აუცილებლად), მოწესრიგება, მაგრამ იმდენად დიდი იყო ლიზიკოს ჟინი და ხვაშიადი მისდამი და იმდენად ხანგრძლივი იყო განშორება, რომ ქალმა თავი მთლიანად მიანდო გრძნობებს და ჭერზე ჯაჭვებით მიბმულ ხვიჩას თვალებელვარე, ეროტიკული იერით გამოეცხადა. მას წითელი ლიფი, წითელი ტანგა, წითელი კოლგოტკები და ჩიკოპიტატას ფირმის წითელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა, თავზე ეხურა წითელი სომბრერო, ტუჩები სისხლისფერი პომადით, ხოლო ფრჩხილები ხელებსა და ფეხებზე ამავე ფერის მანიკურით შეეღება. ცალ ხელში ეჭირა ყველაზე დიდი ზომის გაუხსნელი პრეზერვატივი „სიკო", ხოლო მეორეში მძიმე მონღოლური მათრახი. ლიზიკო, როგორც უკვე ითქვა, ახალგაზრდობაში მაღალი და ტანსრული გოგონა გახლდათ, ახლა კი იგი უბრალოდ მთას დამსგავსებოდა – თეძოგანიერ, ცოტათი დონდლო მთას. „თეძოგანიერი, ცოტათი დონდლო მთა" ღრიალ-კივილით, მაღალქუსლიანი წითელი ფეხსაცმელების ბაკუნითა და მონღოლური მათრახის ტყლაშუნით მიეახლა გულგახეთქილ ხვიჩას და რამდენჯერმე მარჯვედ გაუტყლაშუნა მათრახი, შემდეგ კი მუცელში ატაკა ფეხსაცმლიანი ფეხი და წვეტიანი ფრჩხილებით ყურებში ჩააფრინდა საცოდავს. -ა-ა-ა! – იყვირა გულგახეთქილმა ხვიჩამ და თავის

გათავისუფლება სცადა, მაგრამ ამ დროს ლიზიკოს ანთებული ბაგეები ხვიჩას ბაგეებს შეერწყნენ და ყვირილის საშუალება შეუზღუდეს, თუმცა მაინც ისმოდა ხანდახან რაღაც ხმები: – „ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგის“ სახით. ლიზიკომ ბარძაყებით იგრძნო ნაცნობი სიმაგრე ხვიჩას შარვლის ტოტში, მის გულს ბაგა-ბუგი აუყენა ამ შეგრძნებამ. არანაკლებ უცემდა გული საწყალ ხვიჩას, რომელმაც ყველაფერთან ერთად შიშისაგან ჩაიჯვა (სიტყვაზე კი არა, მართლა).

კალმით ძნელი აღსაწერია ის, რასაც ლიზიკო სჩადიოდა: იგი ტანსაცმელს აგლეჯდა ჯაჭვებით დაბმულ ხვიჩას, კოცნიდა, ჩქმეტდა და სცემდა. აი, შარვლის ღილების ჩაგლეჯით შარვალი და საცვალიც ჩახადა, სანახევროდ გააშიშვლა ბოგანო და...

ხვიჩას ღილაკივით პატარა ჭუჭუა ხეირიანად არც კი ჩანდა დაბერებულ და ჭაღარაშეპარულ ხუჭუჭა თმებში. ხოლო ის, რაც ლიზიკოს ჭუჭუა ეგონა, სინამდვილეში აღმოჩნდა ანტენისებური დასაკეცი ანკესი.

ლიზიკოს საშინლად ასტკივდა გული. იგი ცუდად გახდა და ლასლასით ძლივს მიაღწია იქვე მდგომ სავარძლამდე, ჩაესვენა მასში და გულიც წაუვიდა. შარვალჩახდილმა, შეშინებულმა და ჩაჯმულმა ხვიჩამ ერთხანს კი იყუჩა, მაგრამ შემდეგ გაათმაგებული ძალით მორთო ყვირილი. მცველები ამ დროს დაბმული კარის მიღმა თამაშობდნენ დომინოს და ლიზიკოს სექსუალურ ოინებზე ოხუნჯობდნენ – ეკატერინე მეორეს ადარებდნენ მას.

ლიზიკო დაახლოებით თხუთმეტ-ოც წუთში მოეგო გონს. მან იქვე მაგიდიდან გულის წვეთები აიღო, დალია და მიბნედილი თვალებით ჩაჯმულ ხვიჩას მიაცქერდა.

– ვინ ხარ შენ! – ჰკითხა მან ხვიჩას ხმადაბლა, ენის ბორძიკით.

– ტყან-ტყუნ-ტყან-ტყუნ-მოგი-მოგი! – უპასუხა ხვიჩამ.

– ვინ ხარ-მეთქი, შე საცოდავო?! – მიმართა კიდევ ერთხელ.

პასუხად ისევ: ტყან-ტყუნ...

ლიზიკომ ღილაკს ხელი დააჭირა, რის შემდეგაც დაბამბუ-

ლი კარი დაუყოვნებლივ გაიღო და ოთახში მსუბუქ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი შავლეგი შემოვიდა.

– ვინ არის ეს კაცი, შავლეგ? – იკითხა ლიზიკომ და შავლეგს ხვიჩაზე მიუთითა.

გაკვირვებულმა შავლეგმა ჯერ ხვიჩას გადახედა, შემდეგ ლიზიკოს, შემდეგ ისევ ხვიჩას.

– რა გინდათ ჩემგან, უფროსო, – აუყვირდა ხვიჩა შავლეგს, – მე ორი ნემსკავით არ მითევზავია, ერთი ნემსკავი მეკეთა ძუაზე! არც „ტრაინიკით“ მითევზავია მისდღემჩი! ბრაკონიერი კი არა ვარ, რა გინდათ, რას მერჩით!!!

შავლეგმა მხრები აიჩეჩა და გაოცებულმა ლიზიკოს გადახედა. ლიზიკო ახლოს მივიდა ხვიჩასთან, თვალებში გამომცდელად ჩახედა, მერე მზერა ჭუჭუაზე გადაიტანა და ჰკითხა:

– შენ გოჩა ხარ?

– ა-რა, ხვიჩა ვარ! – უპასუხა შემცბარმა ხვიჩამ.

– გოჩასი რა ხარ? – ჰკითხა ლიზიკომ.

– ძმა! ღვიძლი ძმა! ტყუპისცალი! – უპასუხა ხვიჩამ.

ლიზიკო გამოცოცხლდა, თვალები აუელვარდა:

– გოჩა სადღაა?

– გოჩა მოკვდა!

– მოკვდა?!

– მოკვდა!

– გოჩა მოკვდა! – ჩაუჩურჩულა ლიზიკომ სივრცეს, – გოჩა მოკვდა და შენ დარჩი!

– ჰო. ჰო. გოჩა მოკვდა, მე კი დავრჩი! ტყან-ტყუნ...

...მაგრამ ლიზიკო ხვიჩას აღარ უსმენდა...

– დამტოვეთ მარტო, შავლეგ! – მიმართა მან შავლეგს და ამ სიტყვების შემდეგ აბსოლუტურად ყველაფერს ზურგი აქცია.

ლიზიკო ლასლასით მივიდა საწერ მაგიდასთან, აიღო თავისი ხელჩანთა, ამოიღო იქიდან დასაკეცი დანა – სწორედ ის, რომელიც გოჩას დარჩა მათი შეხვედრის ღამეს, გახსნა ეს დანა და და წარმოთქვა ხალხური ლექსი:

– „ეს შენეული დანაო, უბეში დამაქვს თანაო,
ამოვიღებ და დავიკრავ მარცხენა ძუძუსთანაო“.

ამის შემდეგ ლიზიკომ დანა შემართა და ის იყო გულში უნდა ჩაერტყა, მაგრამ ამ დროს შავლეგი, რომელიც მალულად გასაღების ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა, შემოვიდა ოთახში და ლიზიკოს დანა ხელიდან გამოჰგლიჯა, გულმიხდილი ხელში აიტაცა და ტახტზე დაანვინა. შემოცვივდნენ დაცვის სხვა ბიჭებიც და თავიანთ ქალბატონს მოსულიერება დაუწყეს. მაგრამ ლიზიკო გონს ვეღარ მოეგო. ამიერიდან მას გონება აერია და ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ის გამუდმებით იმეორებდა, იყო „ჭუჭუა". ყველა შეკითხვაზე, ყველა მიმართვაზე, პასუხი, სამწუხაროდ, იყო „ჭუჭუა". დაახლოებით ასე:

– ლიზიკო, რომელი საათია?

– ჭუჭუა!

– რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?

– ჭუჭუა!

– რამდენია ორჯერ ორი?

– ჭუჭუა!

„შარო საიდან მოდიხარო" და ხვიჩაც დიდ ხათაბალაში გაეხვია. როდესაც ლიზიკომ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება სცადა, ის, ანუ ხვიჩა, როგორც უკვე ითქვა, ჩაჯმული, სანახევროდ შარვალჩახდილი ჯაჭვებით იყო მიბმული ჭერზე. რა თქმა უნდა, მისთვის მაშინ არავის ეცალა, ამიტომ სასწრაფოდ ჩამოხსნეს და კინწისკვრით გააგდეს. ამ გაგდებისას ხვიჩას ფეხი აერია – შიშის, მძღნერიანი შარვლისა და უფრო კი იმ ბრაკონიერული ანკესის გამო, რომელიც შარვლის ტოტში ჰქონდა დამალული. უაღრესად აფორიაქებულმა და მომხდარით დაბნეულმა შავლეგმა დაყოვნება ვერ აიტანა, ხვიჩას კისერში მაგრად ჩააფარა, მერე ჭუჭყიან შარვალში ჩაუყო ხელი, ააფათურა და სიტყვებით: „რაი-ია ეგი?!" სწრაფად აართვა დამალული ანკესი ხვიჩას. ანკესის მკვრივ და გამძლე კაპრონის ძუაზე ჩაბმული ბრაკონიერული სამკბილა ნემსკავი ხვიჩას პაწაწკინტელა ჭუჭუას წამოედო და შიგ ძირში მოაწყვიტა. შავლეგმა, ბუნგალოდან გამოყვანილ თუ გამოთრეულ ხვიჩას, თავისი ანკესი ზედჩამოკონწიალებული პატარ ჭუჭუათი ხელში შეაჩეჩა, ერთი შეუკურთხა და გააგდო.

ხვიჩას სისხლი თითქმის არ გამოსვლია, არც სტკენია მაინც-დამაინც, მაგრამ ჭუჭუას დაკარგვამ მაინც დაასევდიანა. ჭუჭუა, რომელიც მისი ყველა უბედურების მთავარი მიზეზი იყო, ჭუჭუა რომელმაც მას, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე გაუმწარა, ახლა უწყინრად ეკიდა ბრაკონიერულ ნემსკავზე და იშმუშნებოდა. ხვიჩას ის მაინც ენანებოდა. თუმცა ისიც ესმოდა საბრალო ხვიჩას, რომ არავინ იყო ახლა მისი მშველელი, გამკითხავი და ნუგეშისმცემელი. არავინ უწყოდა და არავის ანუხებდა მისი მოგლეჯილი ჭუჭუას ამბავი. თვით ამქვეყნად ყველაზე დიდი ჰუმანისტი, საქვეყნოდ ცნობილი პროფესორი ივა კუზანოვიც კი არ შეინუხებდა თავს, არ მიაკერებდა მას მის პატარა ჭუჭუას სათანადო გასამრჯელოს გარეშე. გასამრჯელოს ფული კი აბა სად ჰქონდა საბრალო ხვიჩას.

ამიტომ იგი უბრალოდ დამორჩილდა ბედს. ჩავიდა მტკვარზე, გაშალა თავისი ანკესი და კაპრონის ზედ დამაგრებული ტივტივათი, ტვირთითა და სამკბილა ნემსკავით, რომელზედაც ჭუჭუა იყო ჩამოცმული წყალში გადააგდო. ხვიჩა გამოცდილი მეთევზე იყო – მას ათას რამეზე უთევზავია: თეთრ ჭიაზე, წითელ ჭიაზე, ტარაკანზე, მაისის ხოჭოზე, ჰოლანდიურ ყველზე, შებოლილ სოსისზე... მაგრამ საკუთარი ჭუჭუათი თევზაობდა პირველად. ტიკტიკას რაღაცამ ჩაჰკრა, მერე კიდევ ჩაჰკრა, კიდევ ჩაჰკრა და ღრმად ჩაძირა. ხვიჩამ ანკესი დაქაჩა და მოულოდნელად ძლიერი წინააღმდეგობა იგრძნო. ახლა ხვიჩას ყველაფერი გადაავიწყდა თევზაობის გარდა, ის თავის ბრაკონიერულ ანკესს ჩაებღაუჭა და თევზის წყლიდან ამოთრევას შეუდგა. ამ ჭიდილმა დაახლოებით ნახევარ საათს გასტანა. თევზი არ უთმობდა და გაქცევასაც ლამობდა, მაგრამ ძუა არ გამწყდარა და არც ანკესი გატეხილა. ხვიჩამ თევზი ნაპირზე ამოათრია. ეს იყო შვიდკილოგრამიანი ლოქო – ამ ადგილებისთვის უჩვეულოდ დიდი. იქვე შორიახლოს მთევზეები და უბრალო გამვლელები გაოცებულნი და აღტაცებულნი იყვნენ ასეთი დიდი თევზის დანახვისას. ისინი ხელს ართმევდნენ და მხარზე უთათუნებდნენ ხვიჩას. მხოლოდ ხვიჩას ეღიმებოდა სიმწრით. „ალბათ ცისფერი იყოო, ეს ლოქო“ – ფიქრობდა იგი. და შეიძლება მართლაც იყო. დღეს ხომ უმეტესობა ეგეთები

არიან – ქალები, კაცები, ლიტერატურული კრიტიკოსები და ლოქოები... ამ ქვეყანას მარტო მე, შენ და ერთი-ორი ჩვენ-ნაირილა შემოვრჩით, ჩემო ერთგულო, საყვარელო, ობიექ-ტურო და მართალო მკითხველო. აბა?!

აი, ასე დამთავრდა ეს ზომათა შეუსაბამობით გამოწვეული, მართლაცდა ტრაგიკული ამბავი:

ერთი ადამიანი უდროოდ გარდაიცვალა; მეორე გაგიჟდა; მესამე კი, მართალია, ცოცხალია და არც გონი დაუკარგავს, მაგრამ ისეთ ყოფაშია, რომ რა აზრი აქვს მის ასეთ ყოფნას.

მორალი კი ამ იგავ-არაკისა ესაა:

ცუდია, როცა კაცს აქვს ძალიან დიდი ან ძალიან პატარა ჭუჭუა; კაცს უნდა ჰქონდეს საშუალო ზომის ჭუჭუა.

ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში

ანუ

ხარიტონის უკანასკნელი სიტყვა

დიდად პატივცემულო მოსამართლევ! ღრმად პატივცემულო მსაჯულნო! ძვირფასო საზოგადოებავ! მე ერთი უბირი სასამსახურო ძაღლი ვარ! მთელი ჩემი წუთისოფელი, რომ იტყვიან, მხოლოდ ჩემისთანა ძაღლებთან, ბადრაგებთან და პატიმრებთან მქონია ურთიერთთანაცხოვრება და ამიტომაც დღეს ამ, მე ვიტყოდი დიდმნიშვნელოვან დღეს, როდესაც წყდება ბედი ჩემი – გთხოვთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჩემს გამოსვლაში ლექსიკურ შეცდომებს, ჟარგონულ გამონათქვამებს და უცენზურო სიტყვებს, რამეთუ მე ის ქვევრი ვარ მხოლოდ, რომელიც იმას ამოიძახებს, რასაც ჩასძახებ. ყოველი ჩემი გამონათქვამი და ნამოქმედარი კი გამოძახილია გულისა ჩემისა და გნებავთ, ჩემი სულის ამოძახილიც. გარდა ამისა, ეს ყველაფერი დღევანდელობის ანარეკლია. თუ რამ დაინახოთ ულირსი ჩემში ან გაიგონოთ უკადრისი ჩემგან, ჩემი ბრალი არ იქნება ეს, არამედ იმათი, ვინც მე ამ დღეში ჩამაგდო და ვინც მე ასეთად მაქცია.

საანკეტო მონაცემები იუწყებიან, რომ დავიბადე 1975 წლის 17 ოქტომბერს შსს-ს ცენტრალური საძაღლის ერთ-ერთ გალიაში. ჩემი ძუკნა დედიკო წმინდა სისხლის გერმანული ნაგაზი იყო და ასეთივე გერმანული ნაგაზი იყო მამაც. ერთი სიტყვით, გერმანული ნაგაზების შვილი ვარ მე. ჩემი მშობლები შსს-ს ვეტერანები იყვნენ და ორივემ რთული და ხანგრძლივი სამსახური გაუწია ჩვენს ხალხს. მათ, როგორც ერთს, ისე მეორეს, უამრავჯერ მიუღიათ საპოლიციო რეიდებში და საშიშ

დამნაშავეთა დაკავებისთვის წარმოებულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, რისთვისაც მიუღიათ სახელმწიფო ჯილდოები, სიგელები თუ ფასიანი საჩუქრები. მამაჩემი ბრუნო ერთხელ ყურშიაც კი იყო დაჭრილი გაქცეული პატიმრის მიერ კონსერვის ქილის თავსახურით, როდესაც იგი, ანუ მამაჩემი კბილებით ეკვეთა გაქცეულს ფეხებში. მაშინ მახსოვს, ბრუნო დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისთვის" და აჩუქეს აგრეთვე ტყავის ლამაზი საყელო შსს-ს ემბლემიანი ლამაზი ბალთით.

აი, ასეთი მშობლების შვილი ვარ მე.

თქვენ ალბათ გეცინებათ, არა? ჩემი სახელის გაგონებაზე – სად ძაღლი და სად ხარიტონი, მაგრამ რა ვქნა, ასე ინება ჩვენმა კინოლოგმა, მისმა უდიდებულესობა გრიშამ და ეს სახელი დამანათლა. კინოლოგი ლამაზად ჟღერადი სიტყვაა, უცოდინარ კაცს ან მით უმეტეს ძაღლს, შეიძლება კინომცოდნე ეგონოს, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვეულებრივ ენაზე ეს სიტყვა ასე ითარგმნება – მეძაღლე.

მე ძაღლი ვარ და არა ენათმცოდნე, მაგრამ ერთი რამ ვიცი უტყუარად, თუ სიტყვას აქვს თავსართი – „მე" და ბოლოსართი „ე", მაშინ ეს თავში „მე" და ბოლოში „ე" შემატებული ახალი სიტყვა აზრს იცვლის, თითქოს სულ სხვა მნიშვნელობისა ხდება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი იმავე შინაარსისა რჩება და მეტიც, უფრო ღრმა მნიშვნელობას იძენს. აბა ავიღოთ, მაგალითად, მენაგვე და ნაგავი: განა დიდი განსხვავებაა მენაგვესა და ნაგავს შორის? არა, მე განა ვინმეს შეურაცხყოფას ვაყენებ! მე მესმის, რომ ნებისმიერი შრომა დასაფასებელია და ასე შემდეგ, მაგრამ, თუ ადამიანმა თავის საქმედ მენაგვეობა აირჩია, თუ მთელ დღეს ნაგავში იქექება, ამით ცხოვრობს და ამით არჩენს ოჯახს, მაშინ, გინდა არ გინდა, უნებურად ის იმ ნაგვის ნაწილი ხდება, რომელიც მას ყოველდღიურად გააქვს; გააქვს, რათა ადგილი გაუთავისუფლოს ახალ ნაგავს. ასე თუ ვიმსჯელებთ, ნაგავსა და მენაგვეს შორის ის განსხვავებაა, რომ ნაგავი მხოლოდ დროებითაა სანაგვეში, მენაგვე კი – მუდმივად. მაშ, ვინ უფროა ნაგავი – ნაგავი თუ მენაგვე? ნაგავს ხომ დროთა განმავლობაში გაიტანენ, ის სადღაც გაიხრწნება და მიწად იქცევა, ბალახად

ამოვა, წვიმად წამოვა... მენაგვე კი დარჩება სანაგვეში. აღსანიშნავია ისიც, რომ მენაგვე სანაგვეში დაახლოებით იგივეა, რაც იმპერატორი რომში, ანუ მენაგვეს გაცილებით მეტი უფლება-მოვალეობები გააჩნია, ვიდრე ნაგავს. ის სანაგვეში ცოცხითა და აქანდაზით, როგორც კვერთხითა და სკიპტრით დაბრძანდება და წესრიგსაც ისე ამყარებს, როგორც თავად სურს. რომელ ნაგვის გროვასაც უნდა, მას დაჰკრავს წიხლს, თუ უნდა მოშარდავს, თუ უნდა იხვინებს! ვინ დაუშლის მას, ნაგვის ბუნკერში ის აკეთოს, რაც სურს? ვინ არის რომში კეისარზე უფრო რომაელი?!

ეს აბსურდი სულაც არ არის და, თუ წარმოვიდგენთ, რომ ნაგავმაც ისევე, როგორც ყველაფერმა ამქვეყნად, შეიძლება განიცადოს ევოლუცია, ანუ სიცოცხლის მარტივ ფორმად ჩამოყალიბდეს და შემდეგ განვითარდეს, მაშინ, მე ვფიქრობ, ნაგავი დროთა განმავლობაში მენაგვედ ევოლუცირდება. არსებითად, იმავე ნაგავს გამოეზრდება ხელები, ფეხები და თავი; შრომის იარაღების ხმარებასაც ისწავლის: გამოიყენებს აქანდაზსა და ცოცხს, მაგრამ მაინც იმავე ნაგვად დარჩება. ნაგავი ნაგავია.

ისე, მეც კაი ვინმე ვარ, მენაგვეებს ნამდვილად ტყუილად გადავწვდი, უსამართლოდ. ისინი სინამდვილეში კეთილი ხალხი და პატიოსანი მშრომელები არიან. ნაგვისა და მენაგვის მსგავსებაზე კი თეორია იმიტომ ჩამოვაყალიბე, რომ ამით ჩვენი კინოლოგის, ჩვენი მეძაღლის ძაღლობა მსურდა დამემტკიცებინა.

დიახ, ეს ასეა: ჩვენი დაწესებულების კინოლოგი გრიშა ძაღლია. ნამდვილი ძაღლია და ყურებიც სწორედ რომ „ავჩარკასავითა“ აქვს წინდაცქვეტილი. გრიშას რომ ვუყურებ, ულვაშებში მეცინება ხოლმე. მას სხეულის მოყვანილობაც თითქოს ძაღლური აქვს: წინწამოწეული ამაყი მკერდი და ღონიერი ფეხები, ძაღლური აღმსრულებლური მზერა, თითქმის მუდმივი შემართულობა და საოცრად სწორი მხრები, რომლებიც პაგონებისთვისაა ზედგამოჭრილი. თავის წინდაცქვეტილ ყურებში გრიშა ვერასოდეს გაირჭობს ფანქარს და მაშასადამე, დურგალიც არასოდეს გამოვა მისგან. არ არის ის

დურგლად დაბადებული, არც კომპოზიტორად, არც ყინულზე მოციგურავედ. ის უბრალოდ ძაღლია, ისეთივე, როგორიც მე, ოღონდ უფრო ევოლუცირებული, სუპერძაღლი.

მე ამ კინოლოგიის ცხონება რა ვთქვი, თორემ ჩემს ბედს ძაღლი ნამდვილად არ დაჰყეფდა. საქმე ისაა, რომ ჩვენთან შსს-ს საძაღლეში ბევრნი ვყავდით ადამიანის მეგობრები და თუმცა ახლა მოდაში შემოვიდა შსს-ში სხვადასხვა ჯიშის ძაღლების ყოლა და გაავსეს საძაღლე როტვეილერებით, პიტბულებითა და დობერმანებით, მაინც ძირითადად ჩვენ ვართ – გერმანული ნაგაზები. ჩვენ უფრო ვაკმაყოფილებთ იმ მოთხოვნებს, რომლებიც სასამსახურო ძაღლებს მოეთხოვებათ. ჩვენ უფრო საზრიანები, ამტანები და, რაც მთავარია, აღმსრულებლები ვართ – მორჩილები და აღმსრულებლები.

მიუხედავად ჩვენი კარგი თვისებებისა, ძაღლიშვილი კინოლოგების აზრით, ჩვენ შორისაც არის თურმე სხვაობა. რა თქმა უნდა, სხვაობა ყველაფერს შორისაც არის, ეს უდავოა, მაგრამ იმის მიზეზი, რაზედაც ჩვენ დღემუდამ გვიკიჟინებენ, ეს ოჯახძაღლი კინოლოგები თავად არიან.

საქმე ის არის, რომ თავიდან ქვეყანაზე არსებობდა ერთი ჯიში – გერმანული ნაგაზი, რომელსაც ჰქონდა თავისი სტანდარტები, ანუ ზომები, წონები, ბეწვის სიგრძე, შეფერილობა და სხვა მონაცემები. თუ გამოერეოდა მათში ისეთი, რომელსაც ჰქონდა რაიმე გადახრა ნორმიდან, ეს ძაღლი ითვლებოდა წუნდებულად და მას უკვე აღარ იყენებდნენ საჯიშედ და სანაშენედ. ასე ხდებოდა გერმანიასა და მთელ მსოფლიოში, ყველგან, მაგრამ არა ჩვენთან. ჩვენს ქვეყანაში გერმანული ნაგაზის და, საერთოდ, ნებისმიერი ძაღლის ლეკვებს ჩვენი უტვინო კინოლოგები უპირველესად სიდიდით აფასებდნენ. რაც უფრო დიდი იყო ლეკვი, მით უფრო ჯიშიანად ითვლებოდა ის და რადგანაც დიდ ლეკვებს კი არ იწუნებდნენ, არამედ სპეციალურად არჩევდნენ მოსაშენებლად, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ძაღლის ახალი ფსევდოჯიში, რომელსაც ჩვენმა მეძაღლეებმა (გრიშასნაირმა ძაღლებმა) აღმოსავლეთევროპული ნაგაზი უწოდეს. ეს ძაღლი, ანუ აღმოსავლეთევროპული ნაგაზი, ისეთივეა, როგორიც გერ-

მანული, ოღონდ უფრო დიდია ზომებში. თავიდან ჩვენები ამაყობდნენ ამით, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ახალი ჯიში ყველა მონაცემით ჩამოუვარდებოდა გერმანულს, გარდა, რა თქმა უნდა, სიდიდისა. აღმოსავლეთევროპული ნაგაზები მალე იღლებოდნენ, კარგად ვერ იღებდნენ გეშს, იყვნენ ნაკლებად მორჩილნი, ნაკლებად აღმსრულებელნი, ბევრს ჭამდნენ... ამიტომ კინოლოგები ისევ ძველ სტანდარტებს დაუბრუნდნენ: თავი ანებეს გერმანული ნაგაზიდან ახალი ჯიშების გამოყვანას და ისევ გერმანული ნაგაზების მოშენებას შეუდგნენ. ამიერიდან ზომაზე დიდ ძაღლებს, მით უმეტეს, თუ ეს ზომაზე დიდი ძაღლი ხვადი იყო, აღარ აძლევდნენ გამრავლების საშუალებას.

აღარ აძლევდნენ და აღარ აძლევენ.

მე პირადად მამა გერმანული ნაგაზი მყავს და გერმანული ძუკნას ძუძუ მიწოვია, მაგრამ, ჩემდა სავალალოდ, ზომაზე დიდი გამაჩინა ჩემმა ძუკნა დედიკომ. ჩემი ზომა-წონა ოდნავ აღემატება გერმანულისას და ამიტომაც ჩვენი კინოლოგის, ჩვენი მეძაღლე გრიშას, მაგ გოთვერანის გადაწყვეტილებით, მე ამეკრძალა გამრავლება!!! ახლა გამრავლება იქით იყოს და ძაღლებთანაც კი აღარ მიშვებდნენ, წარმოგიდგენიათ???!!!

ეს კინოლოგები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან და რა ჩემი ბრალია, თუკი ცოტათი დიდი მოვევლინე ქვეყანას. აი, ჩემი ტყუპისცალი ჯულბარსი კი აკმაყოფილებს სასტანდარტო მოთხოვნებს. ამის გამო ის არის გრიშას რჩეული, ის ანაყოფიერებს ჩვენი დაწესებულების უკლებლივ ყველა ძუ გერმანულ ნაგაზს და, რომ იტყვიან, ჩვენი დაწესებულების ხონთქარ-გამნაყოფიერებელია. ჯულბარსი კი არა, შაჰ-აბასი უნდა ერქვას მაგას. და მე, პრინციპში ასეც ვეძახი. თუმცა ამით რა, ეს მას სულაც არ სწყინს, ძაღლისთვის ხომ მეტსახელი იგივე სახელია, ასე ვთქვათ, „კლიჩკაა“, თანაც ირითმება: ჯულბარს-შაჰ-აბას.

ეე-ჰ, მე კი დამტოვეს უფუნქციოდ და... მაშინ ბარემ დამასაჭურისონ საჭურისი აღა-მაჰმად-ხანივით და ასეც დამიძახონ ხარიტონის მაგივრად აღა-მაჰმად-ხანი. არადა, ჯულბარსი ჩემი ტყუპისცალია. კინოლოგების აზრით კი, ის გერმანუ-

ლი ნაგაზია, მე – აღმოსავლეთევროპული. ჭკუა აქვთ ახლა მაგათ?! ის შაჰ-აბასი – გამანაყოფიერებელი, მე კი აღა-მაჰ-მად-ხანი ვარ, საჭურისი... თუმცა ამას ყველაფერს ცოტათი, რა თქმა უნდა, ვაზვიადებ. სინამდვილეში, თფუ-თფუ-თფუ და არავითარი საჭურისი მე არა ვარ, არამედ გახლავართ კარგი ყვერებიანი ხვადი ნაგაზი და თუ ვინმეს ამაში ეჭვი მაინც ეპარება, ჩემთან მობრძანდეს, ბატონო, და ისეთ დამა-მტკიცებელს წარმოვუდგენ, რომ ტანში სულ ელეთ-მელეთმა დაუაროს. ჰო, ასეა, მე საპოლიციო ნაგაზი ვარ და, ცოტა არ იყოს, უხეში ლაპარაკი ვიცი. აბა, ის კი არ ვარ, რა ქვია იმას, ბალონკა, ან რაცხა პუდელი დეკორატიული, რომ ვეპირფერო ყველას მარჯვნივ და მარცხნივ ზიზილპიპილოვანი ნკავწკა-ვით.

ძალიან მიძნელდება ჩემი ბლოკსაგუშაგოს ადგილმდებარე-ობის ზუსტი აღწერა, მაგრამ იძულებული ვარ, ეს გავაკეთო, რადგან საქმეს ასე სჭირდება. იქ იმდენი კედელი, ბოძი და მავთულხლართია, რომ თავგზა აებნევა კაცს, სხვათა შორის, ძაღლსაც. ერთი ციცქნა ადგილი, რომელშიც მე დღედაღამ მიხდება ყურყუტი, უკნიდან ორი მაღალი ღობით არის შემოზ-ღუდული. ამ ორი ღობის გადაკვეთაზე, იქ, სადაც ღობეები ერთმანეთს ხვდებიან, იქმნება ას ოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხე. შექმნილი კუთხის ძირშია პატარა ხუხულა, რომლის-თვისაც მე თამამად შემეძლო მეწოდებინა ჩემი, რადგან მისი უდიდებულესობის, კინოლოგ გრიშას წყალობით, ამ ბოლო ხანებში სულ მე მტოვებდა იქ, სხვა პოსტებზე არ გადავყავდი. ჩემ წინ რკინის პატარა ჭიშკარი იყო და ვიწრო ბილიკი, რომ-ლითაც მოდიოდა ხოლმე გრიშა დღეში ორჯერ ან ერთხელ და მოჰქონდა საჭმელი, წყალი, გაჰქონდა ჩემი განავალი. ეჰ, ბედი ჩემი რა ვთქვი, მეჯავრებოდა ეს კაცი და მაინც ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის მისი მოსვლა იყო – მას ხომ საჭმელი მოჰქონდა ჩემთან. ცალ ხელში წყლით სავსე დიდ ვედროს დაიჭერდა ხოლმე, ხოლო მეორეში ვედროს საჭმლის ნარჩენებით. წესით, მაგ საზიზღარს მეხუთე კატეგორიის ხორ-ცით უნდა ვეკვებე, რადგან ასეთი ხორცი ეძლევათ მეძაღლეე-ბს ჩვენთვის. ეს არის საქონლის კუდები, ცხვრის ყბები, ქათ-

მის ნისკარტები და ათასი სხვა ნაგლეჯები, მაგრამ გრიშა ჯერ თავისთვის აარჩევდა ხოლმე საჭმელად ვარგის ნაჭრებს, ხოლო მორჩენილი კოკლოზინა ულუფებით სხვა ძაღლებს უმასპინძლდებოდა – ჯერ პირველ რიგში თავისას, რომელიც სახლში ჰყავს, რომელსაც იქ უზიდავს და რომელიც, სხვათა შორის, აქედან შსს-ს ძაღლსაშენიდან, მოიპარა, როცა ის სულ პატარა ლეკვი იყო. შემდეგ აქაურ ძაღლებს, თავის რჩეულებს აპურებდა, მე და რამდენიმე ურჩ ამუნიას კი მხოლოდ პატიმრების სასადილოდან მოთრეული ნარჩენებით გვკვებავდა. ხანდახან თუ ჩააგდებდა ხოლმე საჭმელში, პარდონ, საჭმლის ნარჩენში გემოს მისაცემად ღორის კუდს, ცხვრის ყბას ან ქათმის ნისკარტს. ტრაკში შეიტენოს თავისი ღორის კუდი, ცხვრის ყბა და ქათმის ნისკარტი, ხოლო თუ ადგილი რაიმე დარჩა, მაშინ ჩემი ისიც ზედ მიიმატოს სასიამოვნო საცობის სახით. მაწანწალა ძაღლის შვილი ვიყო, თუ მე მაგას ერთხელ კიდევ ტრაკი არ გამოვაგლიჯო! მაპატიეთ ასეთი უპარდონო სიტყვებისთვის, მაგრამ რა ვქნა, გამიგეთ, ერთი ჩვეულებრივი საპოლიციო ნაგაზი ვარ, ციხის ზედამხედველებთან, პატიმრებთან და ჩემნაირ ძაღლებთან მიხდება სულ ურთიერთობა და სიტყვა-პასუხიც ისეთი მაქვს, როგორიც შემეფერება.

ას ოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხე, რომელიც ჩემი ბლოკპოსტიდან უკან იკვრება მაღალი, ოთხმეტრიანი ბეტონის მავთულხლართებით თავდაბურული გალავნით, მე თავისუფლებისაგან მზღუდავდა. გალავანს იქით, მართალია, თავისუფლება იყო, მაგრამ მე მხოლოდ იქიდან გადმოფრენილ ჩიტებს თუ ვხედავდი. სამაგიეროდ, კარგად ვხედავდი ღობეების აქეთა მხარეებს. ხუხულადან როცა ვიხედებოდი, ჩემგან მარცხნივ განლაგებული იყო გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიის საწარმოო ზონა, ხოლო მარჯვნივ – საპყრობილე. ამ ორ დაწესებულებას შუაზე ყოფდა გრძელი, ბოძებიანი და მავთულხლართებიანი ღობე.

მარცხნიდან გამუდმებით ველოდი საფრთხეს და, აი, რატომ: იქ, იმ დაწყევლილი საწარმოო ზონის ერთ-ერთ საამქროში, პატიმრები ამზადებდნენ ისეთ პროდუქციას, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით საკისრებს, მეორე საამქროში კი

ამზადებდნენ პროდუქციას, რომელიც შეიცავდა ჟგუტის რეზინებს. ჰოდა, პატიმრებს ჟგუტის რეზინებიც და საკისრის ბურთულებიც თავზესაყრელად ჰქონდათ. ისინი ჟგუტის რეზინებით შურდულებს აკეთებდნენ, ხოლო დამტვრეული საკისრებიდან ამოღებულ ფოლადის ბურთულებს ამ შურდულებით ისროდნენ. და თუმცა შურდულის გაკეთებისა და ხმარებისათვის კოლონიის ადმინისტრაცია მკაცრად სჯიდა პატიმრებს, ისინი მაინც არ იშლიდნენ თავისას და ჩიტებზე და მტრედებზე ნადირობდნენ. ყველაზე კარგი გასართობი კი მათთვის ის იყო, რომ როცა დროს მოიხელთებდნენ, ფოლადის ბურთულებს მესროდნენ ამ შურდულებით. მინდა გითხრათ, რომ პატიმრებს რაღაც თანდაყოლილი, ტრადიციული ზიზღი და სიძულვილი გააჩნიათ ჩვენ, ანუ სასამსახურო ძაღლების მიმართ და ჩვენც ლეკვობიდან ვართ მათზე დაგეშილები. ჩვენს კინოლოგებს, მაგ ძაღლიშვილებს, ისეთივე ძაღლიშვილებს, როგორიც მისი უდიდებულესობა, ბატონი გრიშაა, საწყობებიდან და კაპტიორკებიდან გამოაქვთ ძველი, პატიმრული, ციხის სუნიანი და პატიმრის სუნიანი ძონძები – ბუშლატები, ტელაგრეიკები, ქუდები – ამ ძონძებს იცვამენ და გვაღიზიანებენ: ხან ხელს წამოგვარტყამენ, ხან ფეხს გაგვკრავენ და მერე გარბიან. ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გვაბრაზებს და პატიმრის დანახვისას ან მისი სუნის შეგრძნებისას, რომ იტყვიან, გაკვრა-გაგლეჯაზე ვართ ხოლმე. თუმცა ისე, ჩვენში დარჩეს და, ძაღლმა რომ თქვას, აბა რა მაგ საცოდავების ბრალია. ეს ყველაფერი ხომ კინოლოგების დაგეგმილია, მათი ხრიკებია, შედეგია მათი შეთქმულებისა სასამსახურო ძაღლების, საბრალო პატიმრების და მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ.

მე თუმცა ძაღლი ვარ და ჩემი გონიერება, უეჭველია, ჩამოუვარდება ადამიანის გონიერებას, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მესმის ეს ყველაფერი. პატიმრებს კი, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ უმრავლესობას, არ ესმოდათ. ისინი გამუდმებით მესროდნენ შურდულებიდან და მეც მეტი აღარაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, რომ ჩემს ხუხულაში შევყუჟულიყავი კბილების ღრჭენით.

თუ ას ოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხის მარცხენა მხარე საშიში და ზიანის მომტანი იყო ჩემთვის, მარჯვენა (საპყრობილის) მხარე იყო მომტანი სიხარულის და ბედნიერებისა და არა იმიტომ, რომ იქიდან მე არავინ მესროდა საკისრის ბურთულებს (თუმცა ამიტომაც), არამედ იმიტომ, რომ იქ საპყრობილის განცალკევებულ საკანში იჯდა და ზის რეციდივისტი ნონა – ჩემი სიმპათია და სიყვარული. ნონა სინამდვილეში სულაც არ არის რეციდივისტი, ანუ ასეთად მას თავად რეციდივისტები არ ცნობენ და თუ ცნობენ, მხოლოდ დაცინვით და ქილიკით. ნონა მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი წითური ქალია. რეციდივისტად კი იგი ცნო სასამართლომ, რადგან ხუთჯერ არის ნასამართლევი და ხუთჯერვე აბორტის საკუთარი ხელით საკუთარ თავზე გაკეთების გამო. მაგრამ რა ქნას საბრალო და გულმოწყალე ქალმა, რომლის მოსიყვარულე გულს არ ძალუძს, უარი უთხრას თუნდაც ვინმეს. ჩვენი ხისტი კანონი კი არ იძლევა აბორტის გაკეთების უფლებას, თუ ეს განსაკუთრებული ვითარება არაა, ანუ როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და, როგორც ცნობილია, უკანონო აბორტის გამკეთებელ ექიმებს ჩვენს ქვეყანაში ხელებს აჭრიან.

ასეთია თუ ისეთი ნონა, მე ის შემიყვარდა. მიყვარდა! მიყვარს! და მეყვარება! ნონას საკანზე არ იყო დამატებითი ჟალუზები, ეგრეთ წოდებული ბაიანი. ეს, ალბათ როგორც ერთგვარი შეღავათი საპყრობილეში მჯდომი ქალებისადმი, რადგან რეციდივისტი ქალები თითზე დასათვლელნი არიან ჩვენს ქვეყანაში, ხოლო საპყრობილეში მჯდომი ქალი ერთი იყო მაშინ, დანარჩენები სასჯელს ქალთა კოლონიაში იხდიდნენ და იხდიან. თითქოსდა ქალის პატივისცემისთვის კეთილმოწყობილ, უჟალუზო, მარტოოდენ გისოსებიან საკანში იჯდა ნონა და ოპერი ლორიასთვის ფულს აკეთებდა. ნონას უამრავი შეყვარებული ჰყავდა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში, თუ ასეთებს საერთოდ შეიძლება ეწოდოს შეყვარებულები. ისინი საწარმოო ზონის სახურავებზე ჩამოსხდებოდნენ ხოლმე და, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ნონას სხეულის სასირცხვო ადგილების ცქერით ტკბებოდნენ: ერთი ძუძუს

გამოჩენას თავისი ფასი ჰქონდა; ორჯერ უფრო ძვირი იყო ორივე ძუძუს გამოჩენა; შესაბამისი საფასურის გადახდისას შესაძლებელი იყო ცეცხლოვნად წითური ბეწვიანი სამკუთხედის ხილვა პატიმარი ქალის ფეხებს შორის, ხოლო ყველაზე ძვირიანი იყო სტრიპტიზი, რომელსაც ნონა მართავდა პატიმარი მამაკაცებისათვის, როცა ის ფანჯრის რაფაზე აძვრებოდა ხოლმე და ერთობ რითმულად როკავდა კოლონიის რადიოს მიერ გადმოცემული გამაყრუებელი ჰანგების აკომპანემენტის ქვეშ. ნონა თანდათან იხდიდა ცეკვისას და წითური ქალის საოცრად თეთრი სხეულიც ნელ-ნელა აჯადოებდა ქალს დანატრებულ პატიმრებს.

ანთებული თვალებით შევცქეროდი ხოლმე ნონას მეც. მის მიერ დემონსტრირებული სანახაობა ჩემი ბლოკსაგუშაგოდან ერთობ ხელსაყრელი საცქერალი იყო, რადგან მე გაცილებით ახლოს ვიყავი, ვიდრე ნებისმიერი საამქროს თავზე მჯდომი, სათვალეებიდან გაკეთებული, თვითნაკეთი ჭოგრიტით მაცქერალი პატიმარი მამაკაცი. ნონას მოთხოვნით, პატიმრები სტრიპტიზის დროს არ მესროდნენ შურდულებიდან და ამ ხანმოკლე დაზავებებისას ყველასთან ერთად მეც ვტკბებოდი წითური ნონას სხეულის მზერით.

არსებობს ადამიანებში ერთგვარი გადახრა ნორმიდან, რომელსაც, თუ არ ვცდები, ზოოფილია ჰქვია. ამ დროს ადამიანს უჩნდება უცნაური მიდრეკილება სქესობრივი ჟინის ცხოველებთან დაკმაყოფილებისა. რა იწვევს ამგვარ გადახრას ადამიანებში, ამის შესახებ ერთიანი აზრი მეცნიერებაში არ არსებობს და ალბათ არც შეიძლება ამას რომელიმე ერთი გარემოება იწვევდეს. როგორც ჩანს, გარემოებათა მთელი კომპლექსი უნდა იყოს ამგვარი უჩვეულო გადახრის მიზეზი. თუმცა მთავარი გარემოება, გამომწვევი ამ გადახრისა, ალბათ მაინც ადამიანის მარტოობა უნდა იყოს. ასეა ეს თუ არა, ან დაავადებაა თუ მხოლოდ ნორმიდან გადახრა ზოოფილია, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ წითური რეციდივისტი ნონა ნამდვილი ზოოფილი იყო. ის ხარბი თვალებით შესცქეროდა ხოლმე გადმოგდებულ ჩემს ხვადურ საწყისს და ამ საცქერლით აღტყინებული, შავ სამოსელში გამოწყობილ აღგ-

ზნებულ პატიმართა ხვაშიადიანი შეძახილებით გამხნევებული თავდავიწყებით იხდიდა ტანზე და ეძლეოდა რიტმულ ცეკვას.

თუ ადამიანებში ცხოველებისკენ სქესობრივ ლტოლვას ზოოფილია ჰქვია, ალბათ ადამიანოფილია უნდა ერქვას ადამიანების მიმართ შესაბამის ლტოლვას ცხოველებში. და მეც „ადამიანოფილური“ ლტოლვით ვილტვოდი ხოლმე გისოსებს მიღმა დამწყვდეული, ფანჯრის რაფაზე მოცეკვავე ქალისკენ. და ეს სიყვარული იყო! საზოგადოებისთვის მიუღებელი, აღმაშფოთებელი, ბინძური, ამაზრზენი, მაგრამ სიყვარული – თუმცაღა ისეთივე უბადრუკი, როგორიც ჩვენი, ანუ ჩემი და ნონას დაწყევლილი ცხოვრება და ბედი.

პატიმრები თვითნაკეთი მშვილდ-ისრებითა და ჩასაბერი ჰაერის თოფებით ისროდნენ პატარა ისრებს, რომლებზედაც გამობმული იყო ხოლმე ძალიან წვრილი ძაფი. ამ ძაფს აბამდნენ პატიმრები კანაფს და მისი საშუალებით აწვდიდნენ ნონას გემრიელ საჭმელს, თვითნაკეთ სამკაულებს, ნარკოტიკებს და ფულს, სასიყვარულო ბარათებსაც აბამდნენ ხოლმე ბარათების მოყვარულები. ნონაც სწერდა მათ სიყვარულზე და ოპერრწმუნებულ ლორიას მითითებით, სთხოვდა მათ ათას რამეს. „დაგავორი“ ასეთი იყო: ნარკოტიკები, გემრიელი საჭმელი, თვითნაკეთი სამკაულები, წერილები და სხვა რამეები ნონასი იყო, ფულს კი ლორია იღებდა. მის მოტყუებას ნონასთვის აზრი არ ჰქონდა, რადგან ეს ძაღლიშვილი ლორია ნამდვილი ნათელმხილველი გახლდათ ზონისა და ყოველივე უწყოდა, კოლონიაში საიდან რა შედიოდა და გადიოდა. ნონა არ იყო უკმაყოფილო ამგვარი თანამშრომლობით და არც მე, რამეთუ მეც მერგებოდა ხოლმე ტკბილი ნაჭერი პატიმრების მიერ ნონასთვის მოწვდილი სასუსნავიდან.

ნონასა და ოპერრწმუნებულ ლორიას შესახებ მე, ძვირფასო საზოგადოებავ, კიდევ გიამბობთ, მაგრამ ჯერ მინდა ჩემი ჭირვარამი ბოლომდე გაგიზიაროთ, რათა მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა შეგექმნათ, თუ რატომ მოხდა ეს ყველაფერი ანუ რამ მიმიყვანა მე, ერთგული და აღმსრულებელი საპოლიციო ნაგაზი, დანაშაულამდე. ძაღლის ერთგულებაზე ხომ

ლეგენდები დადის ოდითგანვე და თუ იქმნება ვითარება, როცა ძაღლებიც კი დანაშაულს სჩადიან, ეს ალბათ მეტად სავალალოა საზოგადოებისთვის.

უსაზიზღრესი არსება, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, ეს ჩვენი კინოლოგი გრიშაა, რომლის დანახვაც კი მძაგრავს, რადგან ეს მისი გადაწყვეტილებით გავხდი ყველაზე არასახარბიელო ბლოკპოსტის მუდმივი გუშაგი. ეს იმის გამოა, რომ სანატრელი გამიხდა ჩემი კუთვნილი მეხუთე კატეგორიის ხორცი. მისი ბრალია, ტყავი დაცხრილული რომ მაქვს შურდულიდან ნასროლი ფოლადის ბურთულებით... მაგრამ ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნატამალია ჩემი სიძულვილის გამომწვევი მიზეზების კომპლექსისა, რომლის ძირითადი, ყოვლისმომცველი ნაწილიც არის ის გარემოება, რომ მე – გრიშას მოძულე თავმოყვარე ძაღლი, სიხარულით ველოდი ხოლმე მის გამოჩენას. დიახ! დიახ! იგი მე მაშიმშილებდა და წყურვილით მკლავდა, მიჭამდა საჭმელს, სანატრელს მიხდიდა თავის მოსვლას ჩემთან და მეც სიხარულისგან ცას ვეწეოდი ხოლმე, როცა ვხედავდი თუ როგორ მოჰქონდა საკვები და წყალი კინოლოგს. მე ჯერ წყალს დავეწაფებოდი, შემდეგ კი სალაფავს ვთქვლეფდი თავდავიწყებით. გულარხეინად ვიტანდი ჩემი მისამართით წარმოთქმულ სალანძღავ სიტყვებს და სულ იმ სანატრელ დროზე ვფიქრობდი, როცა ჩემი მჭიდროდ ჩაწყობილი, ჯანმრთელი კბილებით ღონივრად ჩავაფრინდებოდი გრიშას საჯდომს, თავს ელვის სისწრაფით გავიქნევ-გამოვიქნევდი და ღონივრად დავბრდღვნიდი. რაღა თქმა უნდა, ეს ფიცის ღალატია, როდესაც თანამშრომელი თანამშრომელს საგანგებო დავალების შესრულების დროს ტრაკში ებრდღვნება, მაგრამ სწორედ რომ ასეთი გზითა და სახით ვოცნებობდი ჩემი შურისძიების განხორციელებას. ჯერ ერთი, მე რომ კინოლოგისთვის ბლოკპოსტზე, საძაღლეში ან საერთოდ შსს-ს ტერიტორიაზე მეკბინა, ეს ძალიან სანანებლად გამიხდებოდა, რადგან მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე გამწარებული მექნებოდა ჩემი გამმწარებლის მიერ, უარეს შემთხვევაში კი მე უბრალოდ, ძაღლივით მომკლავდნენ ავტომატიდან. მომკლავდნენ ისევე, როგორც ცხონებული მუხტარი

მოკლეს, რომელმაც გრიშას წინამორბედ კინოლოგ ვიტალის თითი მოაჭამა.

ამიტომაც მოვამზადე ჩემს გონებაში ჭკვიანური, თუმცა მზაკვრული და მუხანათური გეგმა. გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, ნდობით აღჭურვილი ძაღლი გავმხდარიყავი გრიშას თვალში, მიმეღწია იმისთვის, რომ ამ უკანასკნელს პატიმართა ბადრაგირებაზე წავეყვანე და თუ რომელიმე მათგანი გაიქცეოდა, კინოლოგი, რასაკვირველია, საბელს შემხსნიდა და გაქცეულს დამადევნებდა. აი, სწორედ ამ დროს, იმის ნაცვლად, რომ გაქცეული დამეკავებინა, მე კინოლოგს მივუბრუნდებოდი და მას ვუკბენდი პატიმრის ნაცვლად, საჯდომს გემრიელად გამოვუგლეჯდი და ნანატრ თავისუფლებაში განვინთხეოდი.

მართლაც, როგორც კი ეს აზრი მომიმწიფდა თავში, იმ დღიდან სულ ერთგულად შევციცინებდი კინოლოგს თვალებში, გავეთამაშებოდი ხოლმე, მის ბრძანებებს მსწრაფლ ვასრულებდი, ვუქიცინებდი კუდს. ამან გაჭრა. ამ სულელმა გაკვირვებით, მაგრამ ყველაფერი დაიჯერა, ჩემი გამოსწორება იწამა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ბადრაგირებაზე წამიყვანა. მე ახლა პატიმრების გადაყვანის დროს ვახლდი ხოლმე გრიშას. ჩვენ პატიმრები კოლონიიდან და საპყრობილიდან გამოგვყავდა, ავტოზეკში ვსხამდით, მიგვყავდა რკინიგზის სადგურზე და ალყაში მოქცეულებს ავტოზეკიდან ვაგონზეკში ვსხამდით. მართალია, მე ჩემს ნონას ახლა უკვე ნაკლებად ვხვდებოდი, უფრო მისი ყვირილი მესმოდა გისოსებიანი ფანჯრიდან, მაგრამ სამაგიეროდ, ვსულდგმულობდი იმედით, რომ გრიშა ოდესმე გაუშვებდა ხელიდან საბელს. რა თქმა უნდა, მე შემეძლო პატიმრის გაუქცევლადაც მეკბინა გრიშასთვის, რა თქმა უნდა, საბელითაც არ ვიყავი ყოველთვის შეზღუდული, მაგრამ მე მჭირდებოდა აქტის სიმბოლური მხარე, ანუ მსურდა ყველაფერი განმეხორციელებინა მაინცდამაინც მაშინ, როცა პატიმარი გაიქცეოდა, რომ ყოველივე ეს უფრო მტკივნეული ყოფილიყო მეძაღლისთვის, რომ ფიზიკურ ტკივილთან ერთად მას მორალური ტკივილიც ეგრძნო. ხომ ცუდია, რაღაც რომ გიმუხთლებს უდროო დროს. აი, ასე

მინდოდა მემუხთლა მისთვის. მას ხომ პატიმრის გაქცევისთვის საყვედურს გამოუცხადებდნენ პირად საქმეში შეტანით, ხოლო საყვედურს დაკბენილი ტრაკიც დაერთვოდა თან.

...მაგრამ არა და არ სურდათ წყეულ პატიმრებს გაქცევა, რადგან ადამიანი შეიძლება გაექცეს საკუთარ თავს, მაგრამ აბა, ტყვიას, ბადრაგს და გერმანულ ნაგაზს სად გაექცევა. რა იცოდნენ საბრალო პატიმრებმა, რომ მე მათ დაჭერას სულაც არ ვაპირებდი. პირიქით.

და, აი, მოვიდა დრო და ერთხელ მაინც მოხდა კოლონიიდან ნანატრი გაქცევა. ეს გაქცევა განახორციელა ყოფილმა კოლმეურნეობის მინისტრმა, მეტსახელად ტრანშიყლაპიამ. ტრანშიყლაპია თავისი მინისტრობის დროს მარცხნივ და მარჯვნივ აძლევდა ქრთამებს, მარცხნიდან და მარჯვნიდან იღებდა ქრთამებს, ყვლეფდა და ანიავებდა ხალხის ქონებას. მე დაზუსტებით არ ვიცი, რა არის ტრანში – ეს, მე მგონი, უცხოეთიდან ხალხის დასახმარებლად გადმოგზავნილი ფულია. ის კი ვიცი, რომ ტრანშიყლაპიას მინისტრობის დროს უამრავი ტრანში უკვალოდ გაქრა და ამიტომაც შეარქვეს მას ასე. შემდეგ, როცა ექსმინისტრი ძალიან გაქსუვდა (და გასუქდა), ინტერესთა ჭიდილი შეექმნა ზოგიერთ თავის მეგობართან, ხელქვეითთან თუ ხელმძღვანელთან – ისეთივე ყლაპიებთან, როგორიც თვითონ იყო. მან ამ ჭიდილში ბრძოლა წააგო და დამარცხებული ციხეში აღმოჩნდა. თუმცა ფიასკო განიცადა, ამის გამო მას ჭამის მადა, რა თქმა უნდა, არ დაუკარგავს და არც იმ დონეზე დაძაბუნებულა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რამე ჰკლებოდა. ექსმინისტრი ჭამდა „სგუშჩონი მალაკოებს“, ქვაბით მოტანილ პილმენებს, რომლებიც მისთვის ყოველ ცისმარე დღეს მოჰქონდათ თავისუფლებიდან, ჭამდა არაჟანს, ძეხვს, საცივს, მანგოს, ნაპოლეონს, სვამდა წითელ ღვინოს და რევანშისთვის ემზადებოდა. ამ ექსმინისტრმა მოისყიდა ციხის ადმინისტრაცია და შსს-ს ზოგიერთი ხელმძღვანელი და განახორციელა კოლონიიდან გაქცევა. მოღალატე მეციხოვნეებმა მას საკუთარი ხელით გაუთხარეს ოცდაათმეტრიანი გვირაბი, რომელიც, ტრანშიყლაპიას სისქის გათვალისწინებით, ორჯერ უფრო განიერი იყო ჩვეულებრივზე.

გაქცევის დღე დათქმული იყო. შეთანხმებული იყო ზუსტი დროცა და სწორედ ამ დროისთვის ელოდებოდა გალავანს მიღმა შავი ლიმუზინი ჩვენს ლტოლვილს. გაქცევის მომწყობთა გეგმით, ექსმინისტრი შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა გამძვრალიყო ხვრელში, სწრაფადვე ჩამხტარიყო ლიმუზინში, ძრავაამუშავებული ლიმუზინის საჭესთან მჯდომ გამოცდილ მძღოლს ადგილიდანვე დიდი სიჩქარით უნდა დაეძრა ავტომანქანა, გავარდნილიყო და თვალს მიეფარებოდა. ამის შემდეგ უნდა ატეხილიყო ჩოჩქოლი, განგაში და დევნა. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოპერრწმუნებული ლორია.

მე და კინოლოგი გრიშა ვიდექით მოფარებულში, მომზადებულნი. გრიშას საბელით ვეჭირე. იგი საათზე გაფაციცებით იყურებოდა. მალე გალავანთან ახლოს, აკრძალულ ზონაში გამოჩნდნენ ავტომატიანები. ისინი ოთხნი იყვნენ. მათ ექსკოლმეურნეობის მინისტრი მოჰყავდათ ჩქარი ნაბიჯით. ორ მათგანს ეჭირა მესანგრის ბარები. ექსმინისტრი მეტისმეტი ჭამისა და ციხეში უსაქმოდ ჯდომისგან ისე გასუქებულიყო, რომ ძლივს მობაჯბაჯებდა. სახე საჯდომივით დამრგვალებოდა. მისი აფუებული წითელი ლოყები ისე ვარვარებდნენ, რომ პაპიროსს მოუკიდებდა კაცი. ავტომატიანებმა მესანგრის ბარებით მოთხარეს მიწა, გვირაბის შესასვლელი ქვებისგან გაათავისუფლეს და ტრანშიყლაპიას ხვრელში ჩაძრომაში მოეხმარნენ. ეს უკანასკნელი ხვნეშითა და ფრუტუნით ნელ-ნელა გაუჩინარდა. მეძაღლე მაჯის საათზე იყურებოდა, წუთებს ითვლიდა და ცმუკავდა. ვცმუკავდი მეც. ვცმუკავდი, რადგან ვიცოდი, რომ ახლა ის შემხსნიდა საბელს და ექსმინისტრს დამადევნებდა. ეს ყველაფერი ლორიას მოგონილი იყო და საჭირო იყო იმისთვის, რომ ზემდგომ ორგანოებს მასზე არ აეღოთ ეჭვი. მეც ვცმუკავდი, ვიღრინებოდი და ვწკავწკავებდი, სულ იმის ფიქრში ვიყავი, ახლა ხომ არ მეკბინა გრიშასთვის ტრაკში, მერე თუ შევძლებდი ექსმინისტრისთვისაც გამეკრა გავაზე კბილი, ან თუ არადა, ექსმინისტრის გავაზე კბილის გაუკრავად გათხრილი ხვრელით გავქცეოდი ამ წყეულ ადგილს. მაფერხებდა მხოლოდ ორი რამ: ჯერ ერთი, თხრილთან იდგნენ ავტომატიანები და მეორეც: ეს ჯერ კიდევ შსს-ს

ტერიტორია იყო, აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხვრელის სიახლოვისა, არსებობდა ძალიან რეალური საფრთხე. მე არ გამირისკავს: როცა გრიშამ საბელი შემხსნა და გაქცეულს დამადევნა, მივიღე ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და იმის ნაცვლად, რომ გრიშასთვის მეკბინა, დიდი სისწრაფით დავედევნე ტრანშიყლაპიას, შევძვერი ხვრელში და მეგონა, მალე სამშვიდობოს გავალ-მეთქი, მაგრამ... „ჰოი, საწუთროვ, ცრუო სოფელო“, აღმოჩნდა, რომ ეს შობელძაღლი შუა ხვრელში გაჭედილიყო. ის სქელ ფეხებს სასაცილოდ ახვანცალებდა და ვერც წინ, ვერც უკან ვეღარ იძვროდა. მე გამოვძვერი და გრიშას ძაღლურად მოვახსენე ვითარება. გრიშა აცმუკდა, აწკმუტუნდა და ჩემი ნათქვამი ავტომატიანებს აუწყა. ავტომატიანებიც აცმუკდნენ და აწკმუტუნდნენ. მათ ხელით რაღაც ანიშნეს მოშორებით ჩასაფრებულ მაიორ ლორიას და ეს ღიპიანიც ქოშინით გამოვარდა, ყვირილი დაიწყო და გრიშას უბრძანა: „ძაღლი შეუშვიო“. ჩემზე! გრიშამ მე მიბრძანა: „შეძვერიო“, მაგრამ მე ვუთხარი: „ეგ ისეა გაჭედილი, მე მაგას ვერ გამოვათრევ-მეთქი“. თან ისეთი გაბრაზებული ვიყავი ყველაზე, რომ დანა პირს არ მიხსნიდა. გრიშამ გადაუთარგმნა ჩემი ნათქვამი ლორიას. ლორიამ ნათქვამის გაგონებაზე შუბლში მჯიღი იკრა, მე წიხლით გვერდზე გამაგდო და გრიშას უთხრა: „შეძვერი და უკნიდან მიაწექიო“. გრიშა შეძვრა, მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო ტრანშიყლაპიას. ჯახირის შემდეგ გამოძვრა მტვერში ამოგანგლული და მაიორს მოახსენა: „ძვრა ვერ ვუყავიო“. „მაშინ აქეთ მაინც გამოაძვრინეო“, უბრძანა მაიორმა. გრიშა შეძვრა, გამოძვრა და მოახსენა მაიორს: „ვერც აქეთ გამომითრევიაო“. მაიორმა ისევ შეაგდო გრიშა ხვრელში: „არ გამოხვიდე, სანამ არ გამოათრევო“. გრიშა შეძვრა ხვრელში, საიდანაც დიდხანს ისმოდა ხვნეშა, ფრუტუნი, ფხუკუნი და გინება. ეს გაგულისებული გრიშა აგინებდა ტრანშიყლაპიას, რადგან ეს უკანასკნელი ვერა და ვერ გამოეთრია უკან. მაშინ მე უკანა თათებზე დავდექი, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მივიტანე და მაიორ ლორიას მივმართე: „ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ამხანაგო მაიორო!“. მაიორმა ერთობ გაიოცა ჩემი ამგვარი საქციელი და აგრეთვე ის, რომ ადამიანური ენით ავლაპარა-

კდი, მაგრამ მიუხედავად მოულოდნელობით გამოწვეული დაბნეულობისა, მაინც გასწორდა წელში, მაინც მიიდო ხელი საფეთქელთან და სამხედრო ყაიდაზე მიპასუხა: „მომასხენეთ, ამხანაგო ძაღლო!". „ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით, ვუკბინო კინოლოგ გრიშას საჯდომზე, რის შედეგადაც კინოლოგი სიმწრისგან უკბენს ექსმინისტრ ტრანშიყლაპიას საჯდომზე, ხოლო ეს უკანასკნელი ტკივილისაგან არათუ ხვრელში, ნემსის ყუნწშიც გაძვრება", – ვუთხარი მე. „ბრავო! ბრავო! ბრავისიმო! მაგრამ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფერი ასე მოხდება, ამხანაგო ძაღლო?!" – მკითხა მაიორმა. „დიახ, თქვენო კეთილშობილებავ! ოღონდ მიბრძანეთ!" – მოვახსენე მე. „იქნებ პირდაპირ ტრანშიყლაპიასთვის გეკბინათ ამხანაგო ძაღლო?!" – შემომთავაზა მაიორმა. „არაფრით არა, ამხანაგო მაიორო, ექსმინისტრი დიდი პოლიტიკოსია და საპოლიციო ნაგაზის ბასრი ეშვები მეტად უხეშად დააჩნდება მის ფაფუკ ტაკუნებს. აი, კინოლოგის კბილები კი ისეთ უმნიშვნელო ნაიარევს დატოვებს მის წარმტაც ტაკოზე, როგორც ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში!" – ვუთხარი მე ლორიას. „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე, ოქტომბრის თვეში... რა პოეტურია! იმოქმედეთ, ამხანაგო ძაღლო, სსს-ა!!!". ოჰ, რომ იცოდეთ, ძვირფასო მეგობრებო, რა საამოა სანუკვარი ბრძანების ერთგულად შესრულება. მე დავიძაგრე, ადგილიდან მოვწყდი, ხვრელში შევვარდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, გრიშას საჯდომს კბილებით დავეწაფე. გრიშამ სიმწრისაგან იღრიალა და ექსმინისტრს ჩააფრინდა კბილებით ტრაკში. ექსმინისტრი ხვრელში მოცურდა. ჯახირის, ხვნეშის, კრუსუნის და უაზრო ფუსფუსის შემდეგ მაიორმა ერთი ავტომატიანი შემოაგდო ხვრელში, რომელმაც მე მიკბინა და, მინდა გითხრათ, ისე მწარედ, რომ მე არც კი მოველოდი, თუ ადამიანებსაც შეეძლოთ ასე ძაღლივით კბენა. მე, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მაგრად ვუკბინე გრიშას, რომელმაც, თავის მხრივ, უკბინა ექსმინისტრს, რის შედეგადაც ექსმინისტრმა ტკივილისგან ხვრელი გააფართოვა და ორმოციოდე სანტიმეტრით წაინია წინ. შემდგომ ამისა, ხვრელში შემოძვრნენ დანარჩენი ავტომატიანებიც და საქმემაც საგრძნობლად წინ წაიწია, მაგრამ აქ

დროის უკმარისობის ფაქტორიც იყო და ამიტომაც გაგულისებული ლორია თავად შემოძვრა ხვრელში და სასოწარკვეთით უკბინა სულ ბოლო მეავტომატეს – მოხდა ჯაჭვური რეაქცია და ამ ბოლო, საშინელმა ნაკბენმა, როგორც მძლავრმა ელექტრულმა მუხტმა, ყველას სხეულებში დაგვიარა. გრიშას კბილებსა და ექსმინისტრის საჯდომს შორის მოხდა მოკლე ჩართვა. გრიშამ ისეთი ძალით უკბინა ექსმინისტრს ტრაკზე, რომ ამ უკანასკნელმა გვირაბი გაანგრია და როგორც ორთქლმავალმა ვაგონები, ისე გაგვიტანა სამზეოზე ყველანი – გრიშა, მე, ოთხი მეავტომატე და ლორია...

ეჰ, მე მეგონა, სამშვიდობოს ვარ-მეთქი, მაგრამ „ჰოი საწუთრივ, ცრუო სოფელო!“ შეთქმულება ჩაშვებული აღმოჩნდა და ჩვენს ექსმინისტრს ლიმუზინით კი დაუხვდნენ, მაგრამ არა შავით, არამედ თეთრით. ამ ლიმუზინიდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები გადმოვიდნენ. „დაყარეთ იარაღი! წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს!“ – ბრძანა უშიშროებელთა ხელმძღვანელმა. და მართლაც, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ჩვენ ყველანი ალყაში ვიყავით მოქცეულნი სამოქალაქო და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი უამრავი შეიარაღებული ადამიანის მიერ. მათ მიზანში ვყავდით ამოღებულნი, ისინი პისტოლეტებს, ავტომატებს და ტყვიამფრქვევებს გვიმიზნებდნენ – სახურავებზე აქა-იქ მოჩანდა ჩვენკენ მომართული სნაიპერული შაშხანების ლულები. საიდანღაც მოფრინდა პატარა, საოცრად კარგად მანევრირებადი ვერტმფრენი. ვერტმფრენმა ჩვენს თავზე ბზუილით შეინავარდა, შორიახლოს დაეშვა და უცებ ჩაცხრა. ვერტმფრენიდან სამხედრო-საველე უნიფორმაში გამოწყობილი გენერალი ბარკალაია გადმოვიდა და იქ მყოფთ მრისხანე და გამჭოლი, არწივისებური მზერა მოგვაპყრო. უშიშროებელთა ხელმძღვანელმა გაშლილი ხელი საფეთქელთან მიიტანა, სამწყობრო ნაბიჯით გენერალს ეახლა და ლაზათიანად მიმართა: „ნება მომეცით, გიპატაკოთ, ამხანაგო გენერალო!“, „მიპატაკეთ, ამხანაგო თანამშრომელო!“ – უპასუხა გენერალმა თანამშრომელს ასევე ხელის საფეთქელთან მიტანით. „ამხანაგო გენერალო, საშიში დამნაშავის სასჯელაღსრულებითი

დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობა აღკვეთილია! ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა! აგენტი კვადრატი!" „გმადლობთ, აგენტო კვადრატო!" – გამოუცხადა მადლიერება გენერალმა აგენტ კვადრატს. „გმადლობთ, ამხანაგებო!" – მიმართა გენერალმა დანარჩენ თანამშრომლებს. „ვემსახურებით საყვარელ მამულს" – უპასუხეს გენერალს უშიშროების თანამშრომლებმა ერთხმად. „ვივატ!" – შესძახა გენერალმა. „ვი-ვაატ!!! ვი-ვაატ!!! ვი-ვატ!!!" – იღრიალეს უშიშროელებმა. „ვი-ვატ!" – დაიძახა ოპერრწმუნებულმა ლორიამაც გაუბედავად, ენაბორძიკით და ხმის კანკალით. იგი აქამდე კუდამოძუებული და მეტად შეშინებული იდგა, ახლა კი, როგორც ჩანს, სცადა მლიქვნელური ჟესტი გაეკეთებინა, აქაოდა „მეც თქვენიანი ვარო". მაგრამ განა გენერალი ბარკალაია იმის ჩიტი იყო, რომ ეს საკენკი აეკენკა? შენ რაღად იძახი ვივატს, შე თავგასიებულო რეგვენო, კინაღამ პატიმარი გააპარე და ახლა ვივატი მოგინდა?! მე შენ გიჩვენებ ვივატს!!! სამშობლოს მოღალატევ!!!" – უყვირა გენერალმა ლორიას. „მე სამშობლოს მოღალატე არ ვარ! მე შსს-ს ამაგდარი თანამშრომელი ვარ! მე მაიორი ლორია ვარ!!!" – იყვირა ლორიამ. „მე კი გენერალი ბარკალაია ვარ! შენს საქმეს კი გამოძიება დაადგენს!... ეგ შარვლის და „ტრუსიკის" ნაგლეჯები კი გირჩევნია პირიდან გამოიღო, როცა სუკ-ის გენერალს ელაპარაკები. ლორიამ პირიდან მეავტომატის შარვლის ნაფლეთები გადმოაფურთხა, ხოლო კბილებში გაჩხერილი „ტრუსიკის" ნაგლეჯი ნეკზე გაზრდილი ფრჩხილით ამოიჩიჩქნა. და იყუჩა. უნდა ითქვას, რომ მაიორ ლორიას პატიმრებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად, ზოგიერთი მათი ჩვევა შეესისხლხორცებინა. იგი მუდამ თან დაატარებდა კრიალოსანს, რომელსაც ხშირად უაზროდ აჩხაკუნებდა, ხოლო ნეკზე რატომღაც იზრდიდა ფრჩხილს, ალბათ ჰიგიენური თვალსაზრისით, რათა პირის ღრუ, ყურები და ცხვირი გამოეჩიჩქნა. კვიმატი ენები ამბობდნენ იმასაც, რომ თითქოსდა, ლორიას სხეულზე ჰქონდა ტატუ, რომელიც გამოსახავდა მატარებლის ლიანდაგს თავისი ორთქლმავლითა და ვაგონებით. ეს ლიანდაგი იწყებოდა კისერთან, სპირალურად გარს უვლიდა ლორიას სხეულს, ჩადიოდა ძირს, წელიდან გადადიოდა დუნდულა

კუნთზე და შედიოდა ლორიას ანალურ ხვრელში. ორთქლმავლის საკვამურიდან ამოდიოდა კვამლი, ხოლო სამანქანე განყოფილების კაბინის სამერცხლურიდან მოჩანდა მემანქანის გაბადრული სახე, რომელიც ხარბად და სიამოვნებით ისუნთქავდა ჰაერს გვირაბში შესვლის წინ. მაგრამ ეს ისე, ჭორის დონეზე, სინამდვილეში, მე მგონი, ტყუილია ეს ყველაფერი. ეს ისე გაუვრცელეს, ხომ იცით კვიმატი ენების ამბავი.

– თქვენ ყველანი დაპატიმრებულები ხართ ამ ძაღლის გარდა, რამეთუ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ სხვის ბრძანებას ასრულებდით და მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლები იყავით ზემდგომ გარეწართა ბრძანებისა, თქვენ უნდა გცოდნოდათ, რომ დანაშაულებრივ ბრძანებას ასრულებდით, რისთვისაც თქვენ ისევე დაისჯებით, როგორც ბრძანების გამცემნი დაისჯებიან. რაც შეეხება ძაღლს, ის, რა თქმა უნდა, გონიერი არსებაა და თქვენზე გონიერიც, მაგრამ ის ადამის მოდგმისა არ არის. მას არ შეუძლია სიკეთისა და ბოროტების ერთმანეთისგან გარჩევა, ის ემსახურება თავის პატრონს. ამიტომ ძაღლის მიერ ჩადენილზე პასუხისმგებელია არა ძაღლი, არამედ პატრონი", – განაცხადა გენერალმა ბარკალაიამ. მე არ მოველოდი საქმის ჩემს სასარგებლოდ ასე შემობრუნებას. მაგრამ ვხვდებოდი იმასაც, რომ ასე დიდხანს არ გასტანდა: ოპერრწმუნებულიც, კინოლოგიც და მეავტომატეებიც პირველსავე დაკითხვაზე ჩამიშვებდნენ და იტყოდნენ, რომ მე მართლაც გონიერი არსება ვარ, რომ მეც ისეთივე მონაწილე ვარ ორგანიზებული დანაშაულისა, როგორც ისინი, რომ ეს ჩემი რჩევით განხორციელდა ოპერაცია: „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში". ამიტომ მე დრო უნდა მეხელთა და თანამშრომლებს პირველი ხელსაყრელი მომენტის შექმნისთანავე გავქცეოდი. და აი, ასეთმა მომენტმაც არ დააყოვნა: ის იყო, გენერალმა დაკავებულთა სპეცმანქანებში ჩასხმა ბრძანა, რომ მას უეცრად თვალში ეცა მაიორ ლორიას უვნებელი საჯდომი. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყველანი დაკბენილები ვიყავით ექსმინისტრიდან დაწყებული და მეავტომატეებით დამთავრებული. ტრაკზე ნაკბენი არ ჰქონდა მხოლოდ ლორიას, რადგან იგი „მიწისქვეშა მატარებლის" ბოლო ვაგონი იყო. ეს გარემოება, ანუ ლორიას

საჯდომის დაუკბენლობა უსამართლობად ეჩვენა გენერალს და წასასვლელად დაფაცურებული თავისი თანამშრომლები ამის გამო მყის შეაჩერა. „ე, – თქვა მან, – რატო უნდა ქონდეთ ამათ ყველას დაკბენილი საჯდომები და ამას დაუკბენელი?! ეს ხომ უსამართლობაა!!! ჩვენ კი, ამხანაგებო, მოწოდებულნი ვართ, ვებრძოლოთ უსამართლობას! რასაკვირველია, დაკავებულის წამება ფორმალურად აკრძალულია, მაგრამ ხომ იცით, რომ ეს შობელძაღლი ფულს გადაიხდის, მაინც გამოძვრება და უკიდურეს შემთხვევაში ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე იქნება გადაყვანილი, რათა ძველებურად წურბელასავით წოვოს საზოგადოების სისხლი! მაგის უფროსებს სჭირდებათ მაგნაირი ხალხი! მოდით, ხალხო, ეს ძაღლი ამაზე მივუშვათ, რათა ერთი კარგად დაუკბინოს მაგას ტრაკი! მერე კი ყველამ ვთქვათ, რომ ეს ეჭვმიტანილის დანაშაულის ადგილიდან მიმალვის მცდელობისას მოხდა! ანუ მაიორი გაიქცა და ჩვენ მას ძაღლი დავადევნეთ! გაწყობთ ასე, ამხანაგებო?!“ – მიმართა მან თავის თანამშრომლებს. „გვაწყობს!!! გვაწყობს!!!“ – იღრიალეს ერთხმად სუკ-ის აგენტებმა სიცილითა და აღტაცებით. „თქვენ ხომ არ იქნებით წინააღმდეგნი?!“ – მიმართა მან შსს-ს ტრაკდაკბენილ მეავტომატეებს. „არა ბატონო, რას ბრძანებთ, პირიქით, მოხარულნიც ვიქნებით!“ – უპასუხა ერთ-ერთმა მეავტომატემ. „არ ჩაგვიშვებთ?“ – ჰკითხა მათ გენერალმა ოდნავ დამცინავი, ჩეკისტური ღიმილით. „არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ“, – მიუგეს მას დანარჩენმა მეავტომატეებმა. „გაიქეცი!“ – მიუტრიალდა გენერალი მაიორს. მაიორმა თავი დახარა, მაგრამ არ გაიქცა; „გაიქეცი! – უბრძანა გენერალმა, – გაიქეცი, თორემ უარესი მოგივა – ტყვიებით იქნები დაცხრილული“. და ამ სიტყვაზე გენერალმა სტეჩკინის პისტოლეტი დაუძრო ლორიას. სუკ-ის სხვა თანამშრომლებმაც მიუშვირეს მას სხვადასხვა სახის იარაღი. „ვითვლი სამამდე!“ – ბრძანა მრისხანედ გენერალმა. „ერთი, ორი, სა...“ – ახლა კი იკადრა ლორიამ გაქცევა. ისე გაკურცხლა, რომ იცოცხლეთ, გაგიხარიათ. გენერალმა კი წამქეზებლურად გადმომხედა და სიტყვა „სამი“, რომელიც მას უნდა ეთქვა, ერთგვარად გადააკეთა: „სა-ა-ა-ა-ა!!!“ მე საშინლად დავიძა-

გრე, კიდევ უფრო დავიძაგრე, კიდევ და კიდევ, მაგრამ რაც შემეძლო, შორს წასვლის საშუალება მივეცი ლორიას, რადგან მე ჩემი ფარული გეგმებიც მამოძრავებდა, შემდეგ კი ადგილიდან მოვწყდი და ცქვიტი ნახტომებით მაიორს ავედევნე. ჰაერში კამარა შევკარი და ლორიას საჯდომს ყბები მოვაჭდე, სწორედ მაშინ, როცა ეს უბედური ღობეზე აძრომას ლამობდა და სასაცილოდ ფხაკურობდა. ეჰჰ, კაცი თავის თავს თუ გაექცევა, თორემ გერმანულ ნაგაზს სად გაექცევი... მინდა გითხრათ, რომ ოპერრწმუნებულმა ლორიამ მართლაცდა ოპერატიულად ჩამიშვა. მან სიმწრისგან ყვირილი მორთო: „მე ყველაფერს ვი-ი-ტყვი!!! მე ყველაფერს ვი-ი-ტყვი!!! ეს ძაღლი გონიერია!! ეს მან მირჩია, უკ-ბინეო!.. ვუკ-ბიი-ნოთო!.. ვუკბინეთ!.. კარა-ლი-ოოკიო!.." ასე უაზროდ გაჰყვიროდა მაიორი ლორია სხვადასხვა სიტყვებს, მაგრამ მაშინ, აბა, ვინ მოუსმენდა. ის ყვიროდა, მე მის საჯდომს ვამუშავებდი, ხოლო გენერალი ბარკალაია მშვიდად ეწეოდა სიგარეტს. შემდეგ გენერალმა რაღაც უბრძანა აგენტ „კვადრატს" და აგენტი კვადრატიც ჩქარი ნაბიჯით ჩვენკენ გამოემართა. მე ვარაუდით მივხვდი, რომ გენერალმა წამების შეწყვეტა ბრძანა. „ახლა მოვა „კვადრატი", მომაბამს კისერზე საბელს, ზურგზე ხელს გადამისვამს, წამიყვანს და მერე მშვიდობით, ნანატრო თავისუფლებავ! არა! – გავიფიქრე მე, – ასე არ მაწყობს. ახლა ან არასოდეს!" ლორიას კიდევ ერთხელ მაგრად ვუკბინე, შემდეგ კი ღობეს გადავახტი და თავისუფლებას მივეცი თავი.

მინდა გითხრათ, რომ გერმანული ნაგაზისათვის ძალიან ძნელია სადმე დამალვა. მართალია, ჩვენი ქალაქი სავსეა უპატრონო ძაღლებით, მაგრამ ნაგაზი მათგან გამოირჩევა. მე ქალაქში გამოჩენისთანავე დამაპატიმრებდნენ. დაპატიმრება მელოდა აგრეთვე ქვეყნის ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში. მრჩებოდა ორი გამოსავალი: ან უნდა გავქცეულიყავი სადმე საზღვარგარეთ, ანდა მივკედლებოდი მგლებს. მგლები, მოგეხსენებათ, ცოტა შარიანი ხალხია, ცოტა კი არა, კარგა შარიანი, მათთან საშიში და პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმე საქმის დაჭერა, ყველაფერია მათგან მოსალოდნელი, ამიტომ მე პირველი ვარიანტი ვამჯობინე: გადავწყვიტე

გავქცეულიყავი საფრანგეთში. გაგონილი მქონდა, რომ წარსულში ძალიან ცნობილ კინოვარსკვლავს ბრიჯიტ ბარდოს პარიზთან ახლოს აქვს დიდი, კეთილმოწყობილი საძაღლე, რომელშიც თურმე მთელი მსოფლიოდან მოთრეული უპატრონო ძაღლები ჰყავს დაბინავებული. იქ მათ უვლიან და აჭმევენ. ჰოდა, ვფიქრობდი, წავალ-მეთქი, ჩავალ როგორმე, ჩავაღწევ პარიზამდე და ვთხოვ ქალბატონ ბრიჯიტს, რომ ერთი პატარა ხუხულა ჩემთვისაც გამოყოს თავის საძაღლეში. მაგრამ საზღვარზე უკანონოდ გადასვლისას დამიჭირეს და ციხეში ჩამსვეს, რის შემდეგაც მომიყენეს უამრავი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მოქალაქე მოსამართლევ! მოქალაქე მსაჯულნო! ძვირფასო საზოგადოებავ! აი, ეს არის და ეს მთელი ჩემი თავგადასავალი. ახლა თქვენი ხმალი და ჩემი კისერი. მე მთლიანად (არანაწილობრივ) ვაღიარებ დანაშაულს და გულწრფელად ვინანიებ ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომებს. გთხოვთ, განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინოთ ჩემი ადრინდელი დამსახურებები და მომისაჯოთ მინიმალური სასჯელი! გპირდებით, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ხალისითა და ენთუზიაზმით ვითანამშრომლებ ოპერსამსახურთან, ვიმუშავებ მოხალისე ინფორმატორად და „ნასედკადაც", ხოლო ვინც სიმართლეს არ აღიარებს, ყველას გავუგლეჯ კბილებით საჯდომს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის, ჩვენი საზოგადოების საკეთილდღეოდ! გათავისუფლების შემდეგ ცოლად მოვიყვან რეციდივისტ ნონას და შევქმნი კარგ, ჯანსაღ, კანონდამჯერ ოჯახს. აღარასოდეს ჩავიდენ სისხლის სამართლის დანაშაულს! გამოვსწორდები, ავმაღლდები, სულიერად გავსპეტაკდები და გათავისუფლების შემდეგ გამოსაცდელი დროის გასვლის შემდეგ ისევ შსს-ში დავიწყებ მუშაობას, კინოლოგად ან ძაღლად, ხოლო თუ შსს-ში მიღებაზე უარს მეტყვიან, მაშინ თბილწყალკანალმშენში ვიმუშავებ მინის მთხრელად.

აი, ეს არის, დიდად პატივცემულო მოსამართლევ, ღრმად პატივცემულო მსაჯულნო და ძვირფასო საზოგადოებავ, ჩემი უკანასკნელი სიტყვა!

თქვენი ბაბოც გავათხოვე

მიცნობდეთ, მე გოდერძი პანასოვი ვარ – ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ბარის არწივის" ყოფილი სოლისტი. ამჟამად კი გალოთებული, თეთრი ცხელებით არაერთგზის ნაავადმყოფარი, ცოლისგან მიტოვებული, მარტოხელა, უმუშევარი ადამიანი, მცხოვრები ერთ-ერთი ჩაყრუებული გარეუბნის მიყრუებული თექვსმეტსართულიანი სახლის ღვთისა და ადამიანების მიერ მივიწყებულ მეთექვსმეტე სართულზე. ძველი, სხვათა შორის, არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ხმაურიანი და ალბათ შინაარსიანი ცხოვრებიდან შემომრჩა მხოლოდ ფოტოები გასტროლებისა და ქეიფების, მეგობრებისა და ქალების, სტუმრებისა და მასპინძლების მოლიმარი სახეებით. და კიდევ, შემომრჩა ძველი ცხოვრების გამახსენებელი უმნიშვნელო საგნები. მაგალითად: ლურჯი, გახუნებული საცეკვაო ჩოხა, დოლი და გახეული, სკოჩით დაწებებული აზიური გარმონი. ჩოხას ახლა ხალათად ვხმარობ, დოლსა და აზიურ გარმონზე კი ზოგჯერ ვუკრავ, როცა უბნის ძმა-ბიჭები მომაკითხავენ ხოლმე, ან ისე, როცა მარტოკას გულზე სევდა შემომაწვება. მგონი, მეზობლებს ამით ვაწუხებ, მაგრამ რა ვქნა, მეც ხომ მაქვს უფლება, ამქვეყნად ვიყო?!

აი, გაგეცანით, ახლა კი ესე ამბავი, რომლითაც თქვენი ყურადღება მინდა მივიპყრო, რომ ცოტა გაგახმიარულოთ და ამით მეც კარგ გუნებაზე დავდგე.

მოგეხსენებათ, კულტურული სააბაზანო ერთობ სპეციფიკური ადგილია – ის ლამაზი, მომინანქრებული კაფელითაა მოპირკეთებული, კედლებზე კიდია სარკეები და სხვა საჭირო რამ ნივთები. ტრიალებს ლამაზ-ლამაზი საპნების, შამპუნები-

სა და სხვადასხვა ნელსაცხებლის სურნელი; თბილა, უცხო დიზაინის ონკანები თითქოს ხელით შეხებას ითხოვენ და მზად არიან მაშინვე სასიამოვნოდ მიესალბუნონ მობანავეს – მიაწოდონ ცხელი თუ ცივი წყალი ან ამ ორი ნაკადის ერთობლივი, ხავერდოვანი ნაზავი; მოზრდილი თეთრი აბაზანა მორცხვად თუ ურცხვად იხმობს ადამიანს ჩასაწოლად, ჩასათბუნებლად, ჩასაქაფებლად, სანებივროდ და საჭყუმპალაოდ...

რაც შეეხება ჩემთან, აქ ვითარება სხვანაირია: ცხიმიან, ორთქლით გაჟღენთილ კედლებს მხოლოდ რამდენიმე ცალი გაყვითლებული, უხეირო კაფელიღა შემორჩენია. ამ ნოტიო კედლებზე გავლებული ხაზები და მათგან წარმოქმნილი პატარა კვადრატები კი იმას იუწყებიან, რომ ოდესღაც აქაც კაფელი იყო აკრული. ჟანგიან, სანახევროდ საღებავაცლილ მილსა და კედელს შორის გაჩხერილია აქერცლილი სარკის ნატეხი, რომელიც თითქმის ჯადოსნურ თვისებებს ავლენს და ჩახედვისას რატომღაც მაშინვე არ გიჩვენებთ გამოსახულებას, არამედ განსაზღვრული ბუნდოვანი პაუზის შემდეგ. გამოსახულება მასში ნელ-ნელა გამოკრთება ხოლმე, ისიც დამახინჯებული სახით – დაახლოებით ისე, როგორც გამრუდებულსარკეებიან სიცილის ოთახში, ხოლო როცა ადამიანი მოსცილდება სარკეს, გამოსახულება ერთხანს კიდევ რჩება მასზე. ძნელი სათქმელია, როგორ ახსნიდნენ ამ უცნაურ მოვლენას, ამ ერთგვარ პარადოქსს მეცნიერები, მე კი ამას მარტივად ვხსნი: უბრალოდ, ჩემი სარკე რაჭველია. ხომ არის ქვეყნად თხელი ტაფები, რომლებიც ადვილად ცხელდება და ადვილადვე ცივდება. და არის კიდევ ქვეყნად სქელი ტაფებიც, რომლებიც ძნელად ცხელდება, მაგრამ თუ გაცხელდა, მერე ძნელადვე ცივდება. ჰოდა, ასე...

უნიტაზზე, რომელიც აბაზანასთან ახლოს დგას, თითქმის არასდროს ვჯდები. სახურავგაბზარულ, და თავადაც გაბზარულ ამ გაყვითლებულ, ხმაჩახლეჩილ დემონს საყლაპავი მილი მუდამ ჟანგიანი და განავლიანი აქვს. ეს ქრონიკული განავლიანობა-ჟანგიანობა და, მოდი, ასე ვთქვათ, „თვალისმომჭრელი" სიმყრალე იმდენად უსიამოვნოს ხდის ამ არსებას, რომ თვით მეც, არცთუ დახვეწილსა და დელიკატურ პირს,

მეზიზღება – ავდივარ და ფეხსაცმელებით ვდგები. ისევე როგორც სოფლის ფეხსალაგებში იცოდნენ ქმნა მამა-პაპა-მან ჩვენმან.

ჰო, კიდევ რა: კიდევ ბუნება მიყვარს ძალიან და ამის დასტურად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს სააბაზანოში ჭარბადაა წარმოდგენილი ფაუნა და ფლორა – ობის, ობობების, სოკოების, ბუხუნძელა ჭიებისა და ათამდე სახეობის ხოჭოების სახით; ცურცლის გროვები კი მეტყველებს იმაზე, რომ სადღაც ახლოს ან შორს შეყუჟულან და ჩასაფრებულან ვირთხები. ისინი არცთუ ძალიან მაწუხებენ, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, უნიტაზზე ასვლისას ჯოხი მომარჯვებული მაქვს ხელში. ერთხელ ვირთხა ამოძვრა „აჩკორეზიდან" და, თქვენ წარმოიდგინეთ, კვერცხებზეც კი გამეხახუნა ბეწვით. მაშინვე იქვე აყუდებული ჯოხი ვაძგერე იმ პატარა, მაგრამ უაღრესად თავხედ მღრღნელს, თუმცა ვირთხამ დარტყმა აიცდინა და „აჩკორეზში" გაუჩინარდა. სამაგიეროდ, ამოიგანგლა ჯოხი, მე ძირს გადმოვვარდი, უნიტაზი კი გაიბზარა და მას შემდეგ ჟონავს. ვისი ბრალია? – ჩემი! არ უნდა დამზარებოდა, მოსაქმებამდე ჯოხი უნდა მომემარჯვებინა ხელში – თუ ისაქმებ, ჯოხიც მოიმარჯვე, მამაცხონებულო!

ჩვენი თექვსმეტსართულიანი სახლის სხვენის ერთ-ერთი მიუდგომელი ჯურღმულიდან პატარა, თითქოს უმნიშვნელო და წვრილი, მაგრამ მეტად გამძლე და ვერაგი მავთული გამოდის. ეს ჩემი მეზობლის, ელვირა ხითარიშვილის „ლევი" ელექტროხაზია. ამ ხაზის მეშვეობით ელვირა, აგერ უკვე რამდენი ხანია, იპარავს დენს. მიაჩნია, რომ არ ქურდობს, რადგან ელექტროენერგიას სახელმწიფოს კი არა, კერძო კომპანიას პარავს და თანაც არასამამულოს, არამედ არაკეთილმეზობლურად განწყობილი მეზობელი ქვეყნისას. რომ ჰკითხოთ, ალბათ ჯილდოც კი ეკუთვნის ამ „საამაგო" საქმის კეთებისათვის. მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ, შეგნებული მოქალაქე ვარ და იმიტომ. დალახვროს ეშმაკმა! ელვირა და ელვირასთანები რომ ჰპარავენ კერძო კომპანიებს დენს, მერე ისინი მე მიძვირებენ ელექტროენერგიას. მაშ რაღა დაგვრჩენია მე და ჩემნაირებს გარდა იმისა, რომ ჩვენ ჩვენი მხრივ მოვპაროთ დენი

ელვირასნაირებს. „ქურდის ქურდი ცხონდაო“, – ნათქვამია, რასაც ვაკეთებ კიდეც. არა უშავს, ელვირას ფული ბევრი აქვს, – ქმარი უგზავნის უცხოეთიდან და შვილიც აძლევს, მაღალი ოყლაყი რომაა და დილით რომ გადის და საღამოს ბრუნდება შინ. ბანკში მუშაობსო სადღაც. იმასაც ამბობენ, კაი ფულიანი მხეხავიც ჰყავსო ელვირას, თუმცა მე ვერ დავიფიცებ, რომ ასეა. ისე, ლოგიკურად, კი უნდა ჰყავდეს ამ ოდნავ აღმოსავლური იერის კარგ, ჩათქვირებულ, თეთრყირმიზად შეღებილ ქალს, ვარდისფერ ხალათში გამოწყობილი სულ ახალნაბანი რომ დაბრძანდება.

ელვირა დენის თაობაზე გაუთავებლად მეჩხუბება, მაგრამ მე მაინც ვპარავ. ხან იმასაც მთხოვს, ატმორს როცა ჩართავ, მაშინ მაინც ნუ მიიერთებ ჩემს ხაზს, თორემ „პროვოდი“ იწვისო. რა ვქნა, მოპარული დენი მეც სწორედ მაშინ მჭირდება, როცა ვიბან და ატმორი მაქვს ჩართული, თორემ უბრალო ნათურის დანახარჯს ხომ ისედაც გადავიხდი, გეთაყვა?! „პროვოდი“ იწვისო, კაბელი იწვისო, შენ შენი გაიყვანეო“, – მეჩხუბება ელვირა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლი. ვეუბნები, მე ჩემი ხაზი უკვე გავიყვანე-მეთქი. ო-ო-ო, რომ ნახოთ, რა დღეში ვარდება და როგორ ხორხოცებს ამის გაგონებაზე, ლამის მეცეს და სახე ფრჩხილებით ჩამომკაწროს. გამოგიტყდებით, ასეთ დროს უფრო ამეშლება ხოლმე ელვირაზე საღერღელი, მას ხომ კარგი სუნი ასდის, თან ხორხოცებს და ჩემს დაკაწვრას ცდილობს. უ-უ-უ, რა არი! ო-ო-ო-და-და-და! თუ დაჯარიმებაა, ისევ ეგ დააჯარიმონ! მაგას ბევრი ფული აქვს, მე რატომ უნდა ვიხადო ჯარიმის ფულები.

მეც არ ვვარგივარ, რაც მართალია, მართალია, ეს ატმორიც ვეღარ გავაკეთე, როგორც წესი და რიგია. უბრალო ატმორი მაქვს, იაფფასიანი. თავად ატმორი უსაფრთხო კია, მაგრამ რკინის მილზე უნდა იყოს აუცილებლად დამონტაჟებული. მანდ პლუსი, ანუ ფაზა, ატმორში შედის, გაივლის სპირალს და გადადის ატმორის ვარჯზე, ვარჯი კი წყლის მილზეა დამონტაჟებული. ადრე ჩემი მილი მთლიანად რკინისა იყო, მაგრამ ერთხელ გასკდა და ის გახეთქილი ნაწილი ხელოსანმა პლასტმასის მილით გადააბა. მანამდე ატმორი მეტ-ნაკლებად კარ-

გად მუშაობდა; მეტ-ნაკლებად-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ეს იაფი „გეპეის“ ატმორი რიგიანად ვერც აცხელებს წყალს. ამიტომ ონკანს მანამდე ვუჭერ, სანამ სასურველ ტემპერატურას მივაღწევდე. საბოლოოდ კი ცხელი წყალი ისე ცოტა მოდის, თითქოს ზევიდან ვიღაც გაშარდავსო, მაგრამ ეგ არაფერი – სახათაბალო სხვა რამეა. საქმე ისაა, რომ პლასტმასის მილის გამო იძულებული გავხდი, წრედის შესაკრავად ატმორის ვარჯიდან რკინის მილამდე სპილენძის მავთული გამება და ალბათ, კონტაქტი არ არის კარგი თუ რაღაც ასეთი, ამის შემდეგ ატმორი კიდევ უფრო ცუდად აცხელებს წყალს, სამაგიეროდ, კარგად ირტყმევინება დენს. ყოველთვის არა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ, როცა შიშველი ტერფებით აბაზანის მინანქარაქერცლილ ფსკერს ვეხები. აბა, ეს რა ბანაობაა, აბაზანაში თუ არ მიდექ-მოდექი?! თითის წვერებზე ხომ არ დადგები კაცი. ამის გამოა იძულებული რომ ვარ, ტანი რეზინის ჩექმებში გამოწყობილმა დავიბანო. მით უმეტეს, რომ მიყვარს სიმღერა ბანაობისას და ენერგიული ქორეოგრაფიული მოძრაობები. მე ხომ ყოფილი მოცეკვავე ვარ.

ჰოდა, იმ დღესაც მოვუშვი ონკანი, ფანჯრიდან კაუჭიანი ჯოხით დიდი წვალებით მივუერთე ელვირას „ლევ“ ხაზს ჩემი მავთული, ტანთ გავიხადე, ჩავიცვი რეზინის ჩექმები და შევუდექი ბანაობას. ატმორიდან გამომავალი „ნული“ რკინის მილთან მიერთების ადგილას აშიშხინდა და ნაპერწკლები გაყარა, შხაპის ნასვრეტებიდან გამომავალი და ერთ წვრილ შარდის ნაკადის მაგვარ ნაკადად ქცეული წყალი კი ოდნავ გათბა. ყოველი შემთხვევისათვის ხელი შევუშვირე, დენს ხომ არ დამარტყამდა და როცა დავრწმუნდი, არაფერი მემუქრებოდა, აბაზანაში შევაბიჯე. ვიდექი სანახევროდ მინანქარაცლილ, გაზინტლულ, ჟანგიან აბაზანაში და შავი ფერის ლორწოვანი იზოლენტით გადახვეული შხაპიდან გამომავალ ფანქრის სიმსხო მდორე ნელთბილ ნაკადს ვეფიცხებოდი. ოდნავ რომ გავთბი, წავისვი იაფფასიანი ინდური საპონი „მაჰარანი“, რომელმაც სააბაზანოში განავლის სუნი დააყენა, ხოლო გამრუდებულ „ჯადოსნურ“ სარკეში, როგორც სიცილის ოთახში, ნელ-ნელა გამოიკვეთა ჩემი იერშეშლილი გამოსახულება

– მაღალი, სველი, წონოლა, ბანჯგვლიანი, დარდიმანდულად ოდნავ გვერდზე მოქცეული „დაშნითა“ და ულვაშით „გამოიღე პირიდან შაშვი“. რეზინის ჩექმებით ხომ სულ ჩექმებიან კატას ვგავდი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ჩინებულ ხასიათზე მაყენებდა და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მარწმუნებდა იმაში, რომ სიცოცხლე მშვენიერია. ყოველივე ამის და აგრეთვე იმის გამო, რომ ოდნავ მციოდა, ავცეკვდი და სიმღერაც შემოვძახე. პირველად „კატიუშა“ შევასრულე – ცეცხლოვანი „კატიუშა“, რომელიც სანგრებში გათოშილ ჯარისკაცებს გმირობისკენ უბიძგებდა, ხოლო მოწინააღმდეგეს სისხლს უყინავდა ძარღვებში მეორე მსოფლიო ომში. „კატიუშათი“ რომ გული ვიჯერე, ახლა „ტორეადორზე“ გადავედი, მერე „ფიგაროს“ არიოზო შევასრულე და „ღვინო კახურო, ვარ შენი მსმელიც“ დავაყოლე. სიტყვები სიმღერებისა ბოლომდე, რასაკვირველია, არც ერთისა არ ვიცი, მაგრამ ამას აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა, მე ხომ ჩემს სააბაზანოში გამოვდიოდი და არა ფილარმონიაში. ატმორი ენთო, „ლევი“ ხაზიდან მოპარული დენი იწვოდა და მეც ვმღეროდი, ვცეკვავდი და ვიბანდი, თან დროდადრო „ჯადოსნურ“ სარკეში ვიხედებოდი, რომ ჩემი იერშეშლილი გამოსახულებით დავმტკბარიყავი – მაღალი, სველი, წონოლა, ბანჯგვლიანი, დარდიმანდულად ოდნავ გვერდზე მოქცეული „დაშნით“, ულვაშით „გამოიღე პირიდან შაშვი“, მაღალყელიან რეზინის ჩექმებში... სპილენძის მავთულის ნული გადაბმის ადგილას შიშხინებდა და ნაპერწკლებს ყრიდა, მე კი ვცეკვავდი და ვმღეროდი, ვმღეროდი...

და აი სწორედ ამ დროს დარეკა ჩემმა ხრუშჩოვის დროინდელმა გულის გამხეთქავმა ზარმა. ამას მუშტებისა და წიხლების ბრახუნიც მოჰყვა კარზე. ელდა მეცა, მივხვდი, რომ ჩემს სასიკეთოდ არ იყო საქმე აწყობილი. ბრახუნის ხმასა და ზარის რეკვის მანერაში ელვირას ხელწერა ვიცანი. „ჯანდაბა, – გავიფიქრე, – ალბათ, ისევ წყალი ჩავუშვი“. და მართლაც, სააბაზანო სავსე იყო წყლით, თუჯის აბაზანა კი, როგორც ჩანს, თავდავიწყებული ცეკვისას თავად ჩავამტვრიე ჩექმით. ჩემს ბედს რა ვუთხარ და, სწორედ ამ დროს ვისაპნებოდი. როგორც უკვე ვთქვი, ეს იყო საპონი „მაჰარანი“, რომელიც,

როგორც ამბობენ, ჟასმინის ყვავილის ექსტრაქტით მზადდება. მე არ ვიცი რა არის ჟასმინი, არც ის ვიცი როგორი სუნი აქვს მის ყვავილს, მაგრამ ერთი რამ კი ვიცი დანამდვილებით – ზემოთ აღნიშნული საპონი აქაფებისას განავლის სუნად ყარს. ჰოდა, ასე აქოთებული ხომ ვერ გავუღებდი მანდილოსანს კარს? გამალებით შევუდექი ქაფის ჩამობანას. თუმცა ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, „მაჰარანის" რაღაცნაირი ლორწოვანი ქაფი აქვს – ძნელად ჩამოსაბანი, მით უმეტეს, როცა წყლის ნაკადი ფანქრის სიმსხოა, უნიათო და ნელთბილი. ერთადერთი, რაც ელვირასთვის შემეძლო გამეკეთებინა, იყო ის, რომ დავუჩქარე და ლორწოვანი ქაფის ჩამობანას უფრო ინტენსიურად შევუდექი. უმადურმა ელვირამ ჩემი მეცადინეობა სათანადოდ არ დააფასა და მეც ჩახაჩუხზე მივხვდი, რომ ბეჭით შემომინგრია სიფრიფანა კარი. რაღა დამრჩენოდა, მსწრაფლ გავვარდი დერეფნისკენ შიშველი და საპნიანი, რეზინის ჩექმებში – რასაკვირველია. სანახევროდ შემომტვრეულ კარში შევნიშნე ელვირას ვარდისფერხალათიანი სილუეტი და ისღა მოვახერხე, რომ ტანსაცმლის საკიდიდან რაც ხელში მომხვდა, მოვიცვი. ეს იყო ჩემი ოდესღაც ლურჯი, ახლა კი გამოხუნებული საცეკვაო ჩოხა, რომელსაც მე ხალათად ვხმარობ.

– ოხ, შე ჩათლახო! პიდარასტო! გოთვერანო! პიანიცა! – შეუდგა ჩემს უპარდონო შეურაცხყოფას ელვირა, თან თითქმის შემომტვრეული კარიდან ცდილობდა, დავეკაწრე. საკიდიდან ქუდი ჩამოვიღე, ნაბანავები რომ არ გავციებულიყავი და დავიხურე. ეს იყო კრაველის დიდი კეპი. ასეთ კეპებში კავკასიელებს ხატავენ ხოლმე კარიკატურისტები.

– მერამდენედ უნდა ჩამომიშვა წყალი! – ყვიროდა ელვირა და სახეზე მეპოტინებოდა.

– ჰო, რა არის, რა იყო?! – ვიგერიებდი გაუბედავად და უჟმურად ელვირას, – რა გაყვირებს?

– როგორ თუ რა მაყვირებს, შე პიანიცა!

– კარგი, რა იყო? ვანა ჩაიმტვრა. მე რა ვქნა, რა ჩემი ბრალია?!

ელვირა სააბაზანოში შევარდა, მაგრამ მალე ჭყვიტინით

უკანვე გამოვარდა. ჩემგან განსხვავებით, მას რეზინის ჩექმები არ ეცვა და ამიტომაც დენმა ოდნავ მოშუშხა.

– აუჰ! – იყვირა და ჩათქვირებული სხეულით წამით ჩამეხუტა, მაგრამ მაშინვე უკუმაგდო და გაორმაგებული ენერგიით განაგრძო თავისი „ბოზო და ჩათლახო“. მერე იატაკის ტილო მომატანინა და მაიძულა, წყალი მომემშრალებინა, ცოტა ხანში დარწმუნდა, რომ სათანადოდ ვერ ვუმკლავდებოდი ამ დავალებას, ამიტომ ტილო ხელიდან გამომგლიჯა და თვითონ შეუდგა საქმეს. ტილოს წყალში ალბობდა, მერე ვედროში წურავდა, მე კი წყალს უნიტაზში ვასხამდი. მიძნელდება იმ შეურაცხყოფათა და დამცირებათა აღწერა, რაც ელვირამ მაშინ მაკადრა. ვიტყვი მხოლოდ, რომ უზომოდ მლანძღა, მთათხა, მკაწრა და რამდენჯერმე პანღურიც ამომცხო. მერე ერთად ჩავედით ერთი სართულით დაბლა, რომ გვენახა, როგორ გავაოხრე მისი ბინა, რა ოდენობის ზარალი მივაყენე.

კიბეზე მუჯლუგუნებით მიმერეკებოდა – თეთრყირმიზად შეღებილი, ძვირფას ვარდისფერ ხალათში გამოწყობილი, ახალნაბანავები და სურნელოვანი, მე კი – ეჰ, მე რეზინის ბრახუნა ჩექმებსა და დასველებულ ჩოხაში, უშველებელი ულვაშით – „გამოიღე პირიდან შაშვი“, დიდი და ძველმოდური კრაველის „აეროდრომით“ თავდაბურული და „მაჰარანის“ სურნელიანი.

– შენი თავის გახეთქაამ, აჰა!

ელვირას ბინაში შესვლისთანავე სხვა სამყაროში ვიგრძენი თავი. მეგონა, თითქოს ჩემზე გაცილებით მაღალი ცივილიზაციის წარმომადგენელმა გამიტაცა და თავის საგალაქტიკათაშორისო ხომალდზე შემაგდო. უმაღლესი დონის ევრორემონტს რომ ეძახიან, ალბათ ეგეც ეგ იყო. ბინა სავსე იყო საუკეთესო ავეჯითა და ძვირფასი საყოფაცხოვრებო ნივთებით, თუმცა ხომალდის თვალიერება დიდხანს არ დამცალდა, რადგან „უცხოპლანეტელთა მეთაურმა“ ელვირამ სააბაზანოში შემაგდო.

– აი, აი, რა ქენი, შე პიანიცა! ნახე, ნახე! – ყვიროდა ელვირა და გაკაპასებული მკაწრავდა.

– ჰო, ვხედავ, მაგრამ რა ვქნა, ვბანაობდი და ვანა ჩამიტყდა! აღარც ვიბანაო შენი შიშით, აღარც ვიბანაო, კაცო? – გადავედი თავდაცვაზე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ელვირას სააბაზანო მართლაც გვარიანად იყო დატბორილი. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა წყალს ვუშვებდი, ამიტომაც ყოველნაირად თავს ვიკავებდი კონტრშეტევისგან.

– ახლა ცხვირით მოგაწმენდინეფ! – ყვიროდა ელვირა, – უნამუსო ქალი ვიყო, თუ არ მოგაწმენდინო, – თან ტილოს ეძებდა. რომ ვერ იპოვა, სამზარეულოში გავარდა და ამას მოჰყვა საშინელი კივილი, – ვახ, შენი ბაბო გავათხოვე... აქაც ჩამოსულა!

სააბაზანოდან ცხვირი გამოვყავი და სამზარეულოსკენ ცალი თვალით მზერა გავაპარე. დანახულმა შემძრა. ჭერიდან კედლებზე წურწურით ჩამოდიოდა წყალი, გაიაგუარებული ელვირა კი ჩემკენ მოილტვოდა ქარაშოტივით. აი, ახლა კი მართლაც საშიში იყო. სააბაზანოს კარი მაშინვე მივხურე და საკეტი მსწრაფლ გადავკეტე. საკეტის გადაკეტვა იყო და ელვირაც მოასკდა კარს.

– შენი ბაბოც... და შენი დედაც... – შევუძახე ელვირას გათამამებულმა ომახიანად და მისი ძვირადღირებული ონკანები მოვუშვი. წყალმა იხუვლა, მე ნაკადი გავანელე, საშუალოზე ოდნავ ცხელი ნაზავი გავაკეთე, ხოლო როცა აბაზანა ერთ მესამედზე გაივსო, ტანთ გავიხადე და განცხრომით შიგ ჩავწექი.

გაცოფებული ელვირა ყვიროდა, წიოდა და მემუქრებოდა, მაგრამ ჩემი კარისგან განსხვავებით თავისი სააბაზანოს კარის შემომტვრევას არ ჩქარობდა.

– შენი ბაბოც და შენი დედაც!.. – ვპასუხობდი მუქარაზე და ვიბანდი. ვიბანდი საუკეთესო შამპუნებითა და საპნებით. ერთდროულად რამდენიმე შამპუნი გავხსენი და ყველაზე სურნელოვანი, ლამაზ ბოთლში რომ იყო და ალბათ ყველაზე ძვირიც ღირდა, ელვირას პირად „მაჩალკაზე“ დავასხი და გულიანად გავიხეხე საჯდომი...

მერე მოვიდა პატრული. ესაო, ისაო, გააღეო, საბუთები წარ-

მოადგინეო. წადით, თქვენი ბაბოც გავათხოვე-მეთქი. საბედნიეროდ, ელვირამ კარის შემომტვრევის უფლება არც მათ მისცა, სამაგიეროდ გამოიძახა „სასწრაფო“ ფსიქიატრიული განხრით. ფსიქიატრმა, სხვათა შორის, ჩემმა ძველმა ნაცნობმა მკურნალმა, დაყვავებითა და მოწიწებით შემომთავაზა კარის გაღება. სანაცვლოდ პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოვთხოვე, ხოლო ფსიქიატრიულში მიყვანისას ხუთი კუბი „ამინაზინის“ ნაცვლად ერთი კუბის გაკეთება.

მოლაპარაკების შემდეგ აბაზანიდან ამოვედი, ელვირას უნიტაზზე დავჯექი მოსასაქმებლად და ძვირად ღირებული რბილი ტუალეტის ქაღალდის თითქმის მთელი რულონი დავხარჯე. შემდგომ ამისა კიდევ ერთხელ გადავივლე წყალი. ელვირას ხაოიანი პირსახოცით გავიმშრალე ტანი და აი, რაღაც „ფშიკალკა“ სუნამოები რომ არის, თითს რომ დააჭერ და პულვერიზატორივით რომ აპკურებს, ასეთი სუნამოც ვიპკურე ინტიმურ ადგილებში – ელვირას დასამცირებლად და მიწასთან გასასწორებლად, რასაკვირველია. ჩავიცვი ჩემი ლურჯი ჩოხა, დავიხურე კრაველის „აეროდრომით“ და დარდიმანდულად გავაღე სააბაზანოს კარი. დარბაისლურად გამოვედი სააბაზანოდან და ორი ზორბა სანიტრის თანხლებით, ხელმკლავგამოდებული, გავემართე სასწრაფო დახმარების მანქანისკენ. კარგი სანახავი კი ვიყავი: რეზინის ბრახვა ჩექმებსა და გალუმპულ ლურჯ ჩოხაში, ულვაშით „გამოიღე პირიდან შაშვი“, ძველმოდური კრაველის „აეროდრომი“, თავდაბურული. ორი პირქუში სანიტარი ვეზირებივით მედგა აქეთ-იქიდან, სახელდახელოდ მოხურული ჩოხის კალთების შიგნიდან კი დროდადრო გამოკრთოდა ძვირფასი შამპუნით ახალდაბანილი და დარდიმანდულად გვერდზე მოგდებული ჩემი „დაშნა“.

შეუცნობად ელვირას ძლივს აკავებდა ორი ჯანმაგარი და ზორბა საპატრულო პოლიციელი. მე კი მას მედიდურად დავყურებდი და ვუკურთხებდი: „წადი შენი ბაბოც!“

ფსიქიატრიულში მიყვანისას ჩემმა ნაცნობმა ფსიქიატრმა სიტყვა გატეხა და შეპირებული ერთი კუბის ნაცვლად შვიდი კუბი „ამინაზინის“ გაკეთება უბრძანა სამანიპულაციოში ექთნებს, მაგრამ ამას არ ვჯავრობ. ახლა ზამთარი მოდის

და გამოზამთრება ფსიქიატრიულში ჯობია – სითბოა, საწოლია, ჭერია და ერთ-ორ ლუკმასაც გაწვდიან. „ამინაზინითაც" გჭყიპავენ, მაგრამ რას იზამ კაცი. მთავარია, ელვირას ჯავრი ვიყარე – მის აბაზანაში ვიბანავე, წავუბილწე „მაჩალკა" და იმპორტულ უნიტაზშიც ჩავუსაქმე.

რა ვქნა, მეც ხომ ადამიანი ვარ. მე არ მაქვს უფლება განა, ერთხელ მაინც ადამიანურად, ჩემს გემოზე ვიბანაო?!

ცარიელი და ასეთი ძვირი

ისტორია თითქმის მთლიანად გაყალბებულია: ეს ისტორიკოსები, ამ პოლიტიკოსების დაკვეთით, მოთხოვნით, ზეწოლითა თუ იძულებით ისე ცვლიან და აყალბებენ ისტორიულ ფაქტებს, როგორც უნდათ. უვარგისებს ზოგჯერ გმირებად წარმოსახავენ, ზოგჯერ კი პირიქით – უსინდისოდ აკნინებენ უაღრესად დადებითი ისტორიული პიროვნებების როლს მსოფლიო ყოფიერებაში. არის კიდევ სადავო ვერსიებიც, როცა ერთი და იგივე ისტორიული მოვლენა სხვადასხვანაირადაა აღქმული და სხვადასხვაგვარად განიხილება.

აი, ეს ყველაფერი კი სინამდვილეში სწორედ ასე იყო:

1963 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირმა დატვირთა თავისი სამხედრო გემები სტრატეგიული დანიშნულების ბალისტიკური რაკეტებით, გადაიტანა ეს იარაღი კუნძულ კუბაზე და, არც მეტი, არც ნაკლები, დაუმიზნა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ოფიციალური მიზეზი ამგვარი, მართლაცდა უპრეცედენტო, გაუგონარი ქმედებისა იყო კუბის რევოლუციის მხარდაჭერა, როცა კუბელმა რევოლუციონერებმა ფიდელ კასტროს მეთაურობით ჩამოაგდეს ამ კუნძულის მაშინდელი მმართველი, ამერიკის ფავორიტი ავგუსტინიო ბატისტა.

სინამდვილეში მიზეზი იყო სხვა: ფიდელ კასტროც და კუბის რევოლუციაც, ნუ გაგიკვირდებათ და შექმნა, გამოიგონა და გაბერა (როგორც ბავშვი საპნის ბუშტს გაბერავს, ისე) საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ერთპიროვნულმა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა; და გააკეთა მან ეს ქალის გამო.

დიახ! ქალების გამო ხდება თითქმის ყველა დიდი თუ მცირე უთანხმოება და ეს „კარიბის კრიზისიც“ სნორედაც ქალის გამო მოხდა.

ნიკიტა ხრუშჩოვს მაშინ თავდავიწყებით, სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ამერიკელი კინოვარსკვლავი მერლინ მონრო; მაგრამ არანაირი, რომ იტყვიან, პერსპექტივა ამ სიყვარულს წინ არ უჩანდა. აბა რა დიდი განსჯა უნდა ამას: ნიკიტა იყო ცოლშვილიანი, დაბალი, მელოტი, ასაკოვანი და, რაც მთავარია, არასექსუალური... მერლინი კი – ეჰ, მერლინი ახალგაზრდა, ლამაზი, განებივრებული და ცნობილი. აბა როგორ შეუყვარდებოდა მერლინს ნიკიტა. დავუშვათ, რომც მომხდარიყო ენით აუწერელი სასწაული და რაღაც ჯადოებით ან არაჯადოებით ან იმის გათვალისწინებით, რომ ხრუშჩოვი, რაც უნდა იყოს, მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურას წარმოადგენდა... აი, რომც (ისევ და ისევ ვარაუდის დონეზე) შეჰყვარებოდა მერლინს ნიკიტა, დაუშვებდა განა საბჭოთა სახელმწიფო იმას, რომ მის მეთაურს, ნომერ პირველ კომუნისტს, კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს და კიდევ ათას რამეს – უცბად, მოულოდნელად მიეტოვებინა ოჯახი და დაქორწინებულიყო უცხოელ კინოვარსკვლავზე? და მერე როგორ კინოვარსკვლავზე – დასავლური უზნეობის სიმბოლოზე, სექსბომბაზე! მერლინ მონროზე!!! არა, არ დაუშვებდა! არამც და არამც!

ნიკიტა ხრუშჩოვს შეეძლო განუსაზღვრელად ბევრი. მას შეეძლო, მთვრალს (თუ მოეპრიანებოდა) ჩამჯდარიყო საკუთარ თვითმფრინავში, ჩაფრენილიყო უსურიის მხარეში და პატარა, საოცრად აეროდინამიური საეგერო ვერტმფრენიდან ენადირა მსოფლიოში უიშვიათეს ცხოველზე – ციმბირულ ვეფხვზე; დაეხოცა ათობით ასეთი ვეფხვი, შემდეგ კი ასულიყო ახალდახოცილი ვეფხვების გროვაზე და გადაეღო სამახსოვრო ფოტო ოჯახური ალბომისა და სახელმწიფო არქივისათვის – თბილად ჩაცმული მხიარული ხრუშჩოვი, მის მიერ მოკლულ ციმბირულ ვეფხვთა შორის, სნაიპერული შაშხანით, და მოსაყუდებლად მომზადებული არყის ბოთლით ხელში; და აი ასეთი შესაძლებლობა იყო მხოლოდ ერთ-ერთი მცირედი ნიკიტას შესაძლებლობათაგან. ვეფხვებზე ნადირობის გარდა ხრუშჩოვს შეეძლო, მაგალითად, საიდუმლო ვიზიტით ჩასულიყო თუნდაც პარიზში, რამდენიმე დღის გან-

მავლობაში მისცემოდა უზომო ღრეობას და მერე ღრეობითა და დროსტარებით გადაღლილი დაბრუნებოდა მოსკოვს. ვერც წასვლას, ვერც მოსვლას მისას ვერ გაიგებდა მსოფლიოში ვერავინ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის უშიშროების სამსახურების რამდენიმე თანამშრომლის, თავად ნიკიტა ხრუშჩოვისა და ფრანსუა მიტერანის გარდა.

მონიკა ლევიცკი, მონიკა ლევიცკი. მონიკა ლევიცკი არა შვანცკი! ეგენი, ეგ ძლიერნი ამა ქვეყნისანი, სულ ეგრე შვრებიან. ეს მონიკა ლევიცკი და მსგავსი რაღაცეები კი მაგათ შოუსთვის სჭირდებათ, რომ უბრალო ხალხს თვალები აუხვიონ, თავიანთი აღვირახსნილობა დამალონ და ისეთი ილუზია შეუქმნან ყველას, თითქოს მართლა კანონია ქვეყნად უზენაესი და ქვეყნის ლიდერიც ისევე პასუხისმგებელია თავის ქარაფშუტულ საქციელზე, როგორც რიგითი მოქალაქე. სინამდვილეში პასუხისმგებელია არა ისა... რა, ბილ კლინტონს ერთი ჰყავდა მარტო მონიკა ლევიცკი? რა ერთი! ერთი არა ისა!.. ალბათ ნახევარი თეთრი სახლი მონიკა ლევიცკებით და მათნაირებით არის სავსე. გინდა კრემლი აიღე – ბერიაზე და იმეებზე რომ ლაპარაკობენ, ახლა, თვითონ რა, ნაკლებები არიან? ბერია, უბრალოდ, გარემოებათა მსხვერპლი აღმოჩნდა. მას არ გაუმართლა: კაბინეტში შეეჭრნენ, დააპატიმრეს, გაასამართლეს, დახვრიტეს და მერე მთელ ქვეყნიერებას მოსდეს მისი „საქმენი საგმირონი“. კი, მართლა ეგრე იყო – დიახ, ბერია, როგორც მასზე ლაპარაკობენ, მართლა ეგრე შვრებოდა, მაგრამ თვითონ რას შვრებიან?! – რას და იმავეს. შესაძლოა, სხვა ფორმებით და მეთოდებით, მაგრამ იმავეს. ასეთია დიდკაცთა ბუნება, ისინი ყველანი იმავეს შვრებიან, რასაც ბერია და ბილ კლინტონი, ხოლო ვინც არ შვრება, ის არ შვრება არა თავისი სისპეტაკის გამო, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ არ უდგება. მე იმ პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს და კანცლერს რა ვუთხარი, რომელიც ამხელა პოსტზეა, ამდენ რამეს განაგებს და ცოტათი არ ცუღლუტობს. ეგ არის „პეტუხი“, მაგისთანას არც ხმა უნდა მისცე და არც არაფერი. წიხლი უნდა ამოსცხო და პოსტიდან გააგდო...

პაშოლ ვონ!!!

ნიკიტას კაბინეტში, მისი საწერი მაგიდის უკან იყო კარი, ამ კარს მიღმა კი – პატარა ოთახი, რომელში შესვლისაც ზოგჯერ ნიკიტასაც კი ეშინოდა. აქ იყო დამონტაჟებული პულტი რამდენიმე ათეული ღილაკით, რომლებზე დაწოლაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში მყოფი ყველა ბირთვული იარაღის მატარებელი რაკეტა, თვითმფრინავი, გემი თუ წყალქვეშა ნავი მოსულიყო საბრძოლო მოქმედებაში და მოეხდინა ბირთვული დარტყმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ნიკიტას კიდევ შეეძლო აი რა: მას შეეძლო თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით მოეტაცა ლამაზმანები მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან, ჰყოლოდა შინაპატიმრობაში სადმე აგარაკზე მოსკოვთან ახლოს და არ გაეშვა იქიდან არასდროს. ვერც ვერავინ გაიგებდა ამას და ვერც უკვალოდ გამქრალ ლამაზმანებს მიაგნებდა ვინმე ოდესმე.

ეს ყველაფერი შეეძლო ნიკიტას, მაგრამ ყველაფერი მას არ შეეძლო. და აი იმ ცოტათაგანი, რაც არ შეეძლო მას: მას არ შეეძლო მერლინ მონროს მოტაცება – არ შეეძლო იმიტომ, რომ მერლინ მონროს ჰყვარობდა ისეთივე გავლენიანი ან შეიძლება კიდევ უფრო გავლენიანი მსოფლიო მასშტაბის ადამიანი – ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი. ჯონ კენედის, ისევე როგორც ნიკიტა ხრუშჩოვს, ჰყავდა ცოლი და შვილები – შესაბამისად არც მას შეეძლო მათი მიტოვება მერლინის გამო. ასეთი საქციელი არ იქნებოდა მოსაწონი ამერიკელი ხალხისა და დანარჩენი მსოფლიოს თვალში. ამიტომ მერლინი და ჯონი ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ძნელი სათქმელია, მიაჩნდა თუ არა მერლინ მონროს ჯონ კენედი თავისი ცხოვრების ერთადერთ მამაკაცად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამ ორს ანუ ჯონსა და ნიკიტას შორის ის ხრუშჩოვს ალბათ არ აირჩევდა...

ხრუშჩოვს კი უყვარდა, უყვარდა, უყვარდა... მან რამდენჯერმე სცადა მერლინ მონროს ამერიკიდან მოტაცება თავისი სპეცსამსახურების მეშვეობით, მაგრამ უშედეგოდ, რადგან საქმეში სერიოზულად იყვნენ ჩართულნი ამერიკის სპეცსამსახურებიც, ისინი ჯონ კენედის მითითებებით მოქმედებდნენ

და თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ მონროს. მათ იცოდნენ ხრუშჩოვის განზრახვის შესახებ და ახერხებდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი მოტაცებების გაუვნებელყოფას.

ხრუშჩოვი რამდენჯერმე საიდუმლოდ შეხვდა კენედის და სთხოვა მას მერლინი, მოსთხოვა კიდეც და დაემუქრა, მაგრამ ყოველთვის პასუხად მიიღო – ხან ცივი, ხან თბილი, ხანაც ნელთბილი არა!

– აჰ, ა-რა?! – შეჰყვირა ერთხელაც მოთმინებიდან გამოსულმა და განრისხებულმა ხრუშჩოვმა საიდუმლო მოლაპარაკებებისას, – მაშინ მე გამოვიგონებ ფიდელ კასტროს რუსს, რომელიც თავის მხრივ გამოიგონებს კუბის რევოლუციას და აი ამ რევოლუციის მხარდაჭერის საბაბით მე ჩემს რაკეტებს კუბაზე განვალაგებ, დავუმიზნებ ამერიკას!!!... და, ნიკიტა არ ვიყო, თუ ის აიდახო და ილინოისი თავზე არ დაგანგრიო!!! – ამის შემდეგ ხრუშჩოვმა ორივე ფეხსაცმელი გაიხადა და ამ ფეხსაცმელებით საიდუმლო მოლაპარაკებების მაგიდაზე ისტერიული ბრახუნი ატეხა, თან ტიროდა, ქსუტუნებდა და იგინებოდა.

ბლი-ააძ! ბლი-ააძ!

ხრუშჩოვის ასეთმა მუქარამ კენედი და მისი მრჩევლები ბზეჟინსკი და კისინჯერი ერთობ შეაფიქრიანა; მაგრამ აბა რომელი ჭკუათმყოფელი იფიქრებდა, რომ ნიკიტა მართლა გაბედავდა წამოეწყო ამხელა დონის ავანტიურა ერთი ვიღაც კინომსახიობი ქალის გამო. არადა წამოიწყო: ფიდელ კასტროც გამოიგონა, კუბაზე რაკეტებიც განალაგა და აიდახოსა და ილინოისსაც დაუმიზნა.

ვოტ ტაკ!!!

აი ამის შემდეგ იკადრეს ამერიკელებმა დათმობაზე წასვლა. კენედიმ, ბევრი ჭოჭმანის შემდეგ, გადაწყვიტა მიეცა ხრუშჩოვისთვის მერლინ მონრო. შედგა საიდუმლო მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი, რომლებშიც კენედის, ხრუშჩოვის და თავად მერლინ მონროს გარდა კიდევ უამრავი სხვა მრჩეველი თუ დამკვირვებელი მონაწილეობდა. საბოლოოდ გადაწყდა ასე:

მერლინ მონრო უნდა გამოცხადებულიყო გაურკვეველ

ვითარებაში გარდაცვლილად, რის შემდეგაც მის ცვილის ფიგურას პატივით დაკრძალავდნენ არლინგტონის სასაფლაოზე. ეს ადამიანი, ანუ მერლინ მონრო, ამ სახელით სამუდამოდ შეწყვეტდა არსებობას. ამიერიდან მას დაერქმეოდა ახალი, ახლა უკვე რუსული სახელი, ხოლო მასზე შემდგომში იზრუნებდა საბჭოთა სახელმწიფო და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვი. მერლინ მონროს ახალ სახელზე გაეროს ფონდებიდან მსოფლიოს ნებისმიერ ბანკში გადაერიცხებოდა თანხა რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ოდენობით.

ამერიკული მხარე მიიღებდა უსაფრთხოების მყარ გარანტიებს კარიბის აუზში გაეროსა და საბჭოთა კავშირის მხრიდან. გარდა ამისა, მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებისა და მეკობრეობის ტოლფასი თავხედური ბირთვული მუქარისათვის ბოდიშის მოხდისა და შემდგომი კეთილმეზობლობის საწინდრად საბჭოთა სახელმწიფო უთმობდა ამერიკის შეერთებულ შტატებს უზარმაზარ ტერიტორიას ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთით – ალიასკას. ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ალიასკა რუსებმა მიჰყიდეს ამერიკელებს ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინეს დროს; მაგრამ ეს მცდარი ვერსიაა – სინამდვილეში ალიასკა ხრუშჩოვმა გაუცვალა ამერიკელებს მერლინ მონროში.

ახალი ცხოვრების დაწყება ჯერ ძალიან არც ეპიტნავა მერლინ მონროს, მაგრამ მოგეხსენებათ კინოვარსკვლავები თავისი ბუნებით ავანტიურისტები არიან, მით ხიბლავთ ყოველივე ახალი. ისინი გველებივით იცვლიან ტყავებს და არასოდეს არიან მიჯაჭვულნი ერთ რამეზე. გარდა ამისა, იმდენად მოახლოებული იყო მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროება, რომ ბრძენმა მრჩევლებმა მოახერხეს და დაითანხმეს მონრო, გაჰყოლოდა ხრუშჩოვს.

აი ასეთი უდიდესი მსხვერპლი გაიღო ამერიკამ თავის გადასარჩენად თავისი ღირსეული ასულის მერლინ მონროს სახით და აი ასეთი უდიდესი მსხვერპლი გაიღო ღირსეულმა ასულმა მერლინ მონრომ მშობლიური ამერიკისთვის.

ყოველივე ეს ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩასაწერი და ჩაიწერება კიდეც.

მოსკოვში მერლინს კარგად დაუხვდნენ: მას გაუკეთეს ახალი საბუთები, რომელთა მიხედვითაც იგი ამიერიდან ტატიანა კლიმოვად იწოდებოდა; ცხოვრობდა პოდმოსკოვიეში, ხრუშჩოვის მიერ ნაჩუქარ სახლში, ლამაზი ბაღითა და მშვენიერი ხედით მდინარე მოსკოვზე, სადაც მერლინი და ახლა უკვე ტატიანა კლიმოვა ბეჯითად ეუფლებოდა რუსულ ენასა და წეს-ჩვეულებებს. მას ჰქონდა ყველაფერი, რაც სურდა, რადგან გაეროსგან ნაბოძები თანხისა და საკუთარი უზარმაზარი ქონების გარდა ამ ქალბატონს ჰყავდა ბოთლში დამწყვდეული უძლეველი ჯინი – ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც გოშიასავით ელაქუცებოდა და ფეხქვეშ ეგებოდა მას.

მაგრამ გავიდა დრო... და ხრუშჩოვის ტრფობა მერლინის მიმართ არკი გაჰქრა, მაგრამ განელდა. ის ახლა უკვე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტით, ლუდმილა ზიკინათი იყო გატაცებული. არც მერლინი იყო დიდად მიჯაჭვული ნიკიტაზე, ის მას მამიკოს ეძახდა და უბრალოდ პატივს სცემდა, როგორც ძლიერ მამაკაცს. მართალია, მერლინმა თითქმის დაივიწყა თავისი ძველი ცხოვრება და კარგად აუღო ალღო ახალს, მაგრამ ის მაინც უცხო ხალხში, უცხო ქვეყანაში იყო და ეს მამიკოც ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდა. გარდა ამისა, მერლინზე უკვე რაღაცეებს ჩმახავდნენ – ქარაფშუტააო, ქალიშვილი აღარ არისო... რა უნდა ექნა ახალგაზრდა და ძალიან ლამაზ ქალს, რომელიც თავის დროზე მსოფლიოს ორ უძლიერეს ლომს – ხრუშჩოვსა და კენედის უყვარდათ, მაგრამ ორივემ შეიძლება ითქვას, უღალატა: ერთმა – პოლიტიკური მიზეზებით, ხოლო მეორემ – ლუდმილა ზიკინასადმი ტრფობის გამო. ან ეს უადგილო ჭორები რაღა იყო – ქალიშვილი აღარ არისო. არა, საჭირო იყო გათხოვება.

დაუყოვნებლივი გათხოვება იყო საჭირო.

ერთ მშვენიერ დღესაც მოიხმო მერლინმა თავისთან ნიკიტა და აცნობა, რომ ვინაიდან მათი ურთიერთობების ცეცხლი უკვე საგრძნობლად განელდა, საჭიროა მათი განშორება. ნიკიტას ეს აზრი, პრინციპში, მოეწონა, ოღონდ, მისი აზრით, საჭირო იყო დეტალების დადგენა და შემდგომი მოქმედების გეგმების შემუშავება, რადგან „მამიკოს“ სულაც არ სურ-

და თავისი პატარა ცუგრუმელას წყენინება და გაწბილება. პირიქით, მას სურდა, რომ ყველა პროცედურა ჩატარებულიყო მისი მხრიდან ღირსეულად და ჯენტლმენურად.

ჰო-ოდა, – დააბაკუნა ბატონო ჩემო ტატიანამ თავისი მოხდენილი ფეხები და მოსთხოვა ნიკიტა ხრუშჩოვს გათხოვება.

– ვისზე! – იყვირა სიხარულისგან აჭყვიტინებულმა ხრუშჩოვმა.

– ვისზე და ვისზეც მე მომინდება! – უპასუხა კაპრიზულად მონრომ.

– გაამწკრივებ მთელი საბჭოთა არმიისა და წითელდროშოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა, უცოლო ოფიცრებს და რომელსაც მე თითს დავადებ, იმაზე გამათხოვებ!

– არის, ამხანაგო ტანიუშა-მერლინიუშა!!! – უპასუხა ხრუშჩოვმა მხიარულად თავის ჯერ კიდევ სატრფოს და ალერსით წაეპოტინა პაწუა ცხვირზე, რის შემდეგაც ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს და ვნებიანად კოცნიდნენ ტუჩებში ერთურთს.

ამის შემდეგ მოაწყვეს სამხედრო აღლუმი, გაამწკრივეს მთელი საბჭოთა ჯარისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სააღლუმო ფორმებში გამოწყობილი ახალგაზრდა უცოლო ოფიცრები, სულ ერთი-ერთმანეთზე დარჩეული ვაჟკაცები და მათ უძრავ რიგებს ჩამოუარეს გადახდილი „ჩაიკით". „ჩაიკაში" მგზავრობდნენ ნიკიტა ხრუშჩოვი, ტატიანა კლიმოვა და სამხედრო მძღოლი. ხრუშჩოვი იდგა ფეხზე საბჭოთა კავშირის მარშალის ფორმაში გამოწყობილი და ღრიალებდა:

– ზზზრასთუი თავარშ ჰვადეისიიი!!!

– ზდრაი ჟი-ლაა, თავრიშ ხხხრუშჩოოოვ!!! – პასუხობდნენ იმ შენაერთის მებრძოლები, რომელთა წინაც ნელი სვლით გადაადგილდებოდა „ჩაიკა".

– ფაზდრალაი ვილიქი ფაბედააა!!! – ყვიროდა ამჯერად ისევ ხრუშჩოვი.

– ჰურა-ა-ა!!! – გაჰყვიროდნენ სამხედროები.

– ხუინა-ა-ა-ა! – პასუხობდა ხრუშჩოვი ცოტა ხმადაბლა და თან ტატიანა კლიმოვას უკრავდა თვალს.

ტატიანა კლიმოვაც უსწორებდა ნიკიტას დილიხორს, თვა-

ლისმომჭრელად იღიმებოდა თავისი ჰოლივუდური ღიმილით და ხრუშჩოვისდა დარად თვალის ჩაკვრით, ცუღლუტად ყვიროდა:

– ამის კვრა-ა-!!!

აი ასე იყო სწორედ – გინდ ისე თქვით, გინდ ასე თქვით. იდგნენ სააღლუმო სამოსში გამოწყობილი აქსელბანტებიანი, კორტიკიანი, დეზებიანი, ორდენებითა და სხვადასხვა ჯილდოებით მკერდდამშვენებული სამშობლოს დამცველები და გულწრფელად, ალალად, მთელი გულითა და სულით გაჰყვიროდნენ – ჰურა-ა-ა-ა!!!

მერლინ მონრო და ნიკიტა ხრუშჩოვი კი ერთმანეთის გასაგონად ეპასუხებოდნენ მათ:

– ხუი-ნა-ა-ა! ამის კვრა-ა-ა-ა! ნაპერწკლების ყრა-ა-ა!!!

გარდა ამისა, ისინი „ტრაკში ქვას“, „მოტორიან თხას“ და ათას სხვა სისაძაგლესაც იძახდნენ და ერთმანეთს ასკდებოდნენ სიცილით გათიშულები. მათი სიტყვები, შეძახილები სამხედროებს არ ესმოდათ, ისინი საკმაოდ შორს იდგნენ, ამიტომ ერთგულად და მედგრად ყვიროდნენ:

– ჰურა-ა-ა-ა!!!

ხრუშჩოვმა და მერლინმა რამდენჯერმე ჩამოუარეს ოფიცერთა რიგებს, ახლოსაც მივიდნენ, რათა უფრო გულმოდგინედ ამოერჩიათ საქმრო. ბოლოს ერთი ლამაზი მაიორი შეარჩიეს და თავისთან მოიხმეს. მაიორი გამოვიდა მწყობრიდან და შესაშური სამწყობრო ნაბიჯით მიეახლა „ჩაიკაში“ მსხდომთ, სამხედრო სალამი მისცა და მოახსენა:

– მაიორი ხარლამპიევი თქვენის ბრძანებით გეახლათ!

ყოჩაღ, ყოჩაღ, ხარლამპიევო, – უთხრა მას ხრუშჩოვმა, შემდეგ ახედ-დახედა, ტატიანას გადახედა და როცა ტატიანამ უსიტყვოდ დაუქნია თავი, ხრუშჩოვმა ხარლამპიევს უთხრა ის, რასაც რუსეთში მხოლოდ ალკოჰოლიკები ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს, – ტრენიმ ბუძიშ?!

ხარლამპიევმა კარგად ვერ გაიგო, რა იგულისხმა ხრუშჩოვმა ამ ხუმრობაში, როცა ჰკითხა „მესამე იქნებიო“. მაგრამ როგორც ჭეშმარიტმა სამხედრომ, რომლისთვისაც ბევრის ცოდნა არც არის საჭირო, მაშინვე განაცხადა თანხმობა:

– ტაკ ტოჩნა, ამხანაგო მარშალო საბჭოთა კავშირისა!

ხრუშჩოვმა და მერლინმა ხარლამპიევი „ჩაიკაში“ ჩაისვეს და ამიერიდან მაიორ ვსევოლოდ კირიანოვიჩ ხარლამპიევის ცხოვრება შეიცვალა.

მაიორს მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება; დააქორწინეს ის ტატიანა ივანოვნა კლიმოვაზე; დააჯილდოვეს ლენინის ორდენით და დანიშნეს ამიერკავკასიის სამხედრო ოკრუგის უფროსის ერთ-ერთ მოადგილედ; კვალის ერთგვარი დაფარვის მიზნით გააგზავნეს იგი ქ. თბილისში სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად მეუღლითურთ. გამგზავრების წინ ახლადშექმნილი ოჯახი – ტატიანა ივანოვნა და ვსევოლოდ კირიანოვიჩი თავად გააცილა ხრუშჩოვმა და რადგანაც თავადაც მოსწონდა სიძე, დაასაჩუქრა იგი სახელობითი იარაღით. ეს იყო ლამაზი პისტოლეტი კორპუსზე პატარა ოქროს სჭვლებით მიმაგრებული ოქროსავე ფირფიტით, რომელზედაც ლამაზი ასოებით იყო ამოტვიფრული წარწერა:

გენერალ ხარლამპიევს თავდადებისა და ერთგულებისთვის, საბჭოთა ხელისუფლებისა და პირადად ნიკიტა ხრუჩოვისაგან.

ხარლამპიევი განაგრძობდა სამსახურს ახლა უკვე ამიერკავკასიის სამხედრო ოკრუგში და ცხოვრობდა ქ. თბილისში, ასათიანის ქ. № 10-ში, ეგრეთ წოდებულ გენერლების კორპუსში. ეს იყო სპეციალური პროექტის, რამდენიმესართულიანი, ხალვათად ნაშენი, კაპიტალური სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ მხოლოდ გენერლები. მასში უცხო ადამიანი ნებართვისა და საშვის გარეშე ვერ შეაღწევდა, ვინაიდან კორპუსი, მართალია, არ იყო შემოზღუდული, მაგრამ სამაგიეროდ მას ჰყავდა თავის პატარა გარნიზონი ათიოდე ჯარისკაცის, ორი პრაპორშჩიკის და მათი მეთაურის – კორპუსის კომენდანტის შემადგენლობით.

ყველა ძველ, ბრძნულ წიგნში, რომელიც კაცობრიობას დღემდე მოუტანია, აღწერილ გლობალურ მოვლენებთან ერთად მოთხრობილია ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ჩვეულებრივ, ყოფიერ ამბებზეც. ასე იმიტომაა, რომ ყველაფერი

მნიშვნელოვანი და უჩვეულო, ჩვეულებრივი და ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალებისგან შედგება. და აი, ეს ერთი უმნიშვნელო, თითქოსდა სალაღობო ამბავიც ერთგვარი საწინდარია ამ ყველაფრისა.

მერლინ მონრო ძალიან უყვარდა ჯონ კენედის, უფრო მეტად იგი უყვარდა ნიკიტა ხრუშჩოვს; მაგრამ იყო ქვეყნად კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც ხრუშჩოვზე და კენედიზე გაცილებით მეტად უყვარდა მერლინ მონრო. ეს იყო ერთი თბილისელი ქურთი ბიჭი და სახელად ზაკო შაროევი ერქვა. ზაკო, მისი მრავალრიცხოვანი და-ძმა და მშობლები მათნი სახლობდნენ ისევ და ისევ ხრუშჩოვის ტიპის ხუთსართულიანი კორპუსის პირველი სართულის სამოთახიან გაურემონტებელ ბინაში. ოჯახი იყო ხელმოკლე, დედა და მამა მუშაობდნენ მეეზოვეებად, ხოლო შვილები სკოლაში ოროსნებად და კლასში ჩარჩენილებად ირიცხებოდნენ.

ბინა მათი, ერთი მეტად საჭირო ოთახის გარდა, როგორც უკვე ითქვა, იყო გაურემონტებელი, რაც შეეხება იმ ერთ მეტად საჭირო ოთახს, ანუ ტუალეტს, იქ კედლები სხვა ოთახებისგან განსხვავებით სულ ახლად იყო ხოლმე გათეთრებული. მიზეზი ამგვარი დამოკიდებულებისა ამ ოთახის მიმართ შესაძლოა ვინმეს ამ ოჯახის ჰიგიენური მიდრეკილებებით აეხსნა, მაგრამ ეს ასე იყო მხოლოდ ერთი შეხედვით; სინამდვილეში კი მიზეზი იყო სხვა: საქმე ის იყო, რომ ტუალეტის კარზე შიგნიდან იყო აკრული მერლინ მონროს სურათი შიშველ მდგომარეობაში, რომელზედაც ეს კინომსახიობი კატასავით გაწოლილიყო ბორდოსფერ ლოგინისგადასაფარებელზე და თითქოსდა სიმორცხვისა გამო სახე სანახევროდ დაემალა ამ გადასაფარებლის ნაკეცებში. დიახ, სურათზე გამოსახული მერლინი იყო შიშველი, მაგრამ ისეთნაირად წამოწოლილიყო, რომ განსაკუთრებული არაფერი მაინცდამაინც არ უჩანდა. სურათი წარმოადგენდა ტიპიურ ეროტიკულ ფოტოს და არა რაღაც პორნოგრაფიულ სისაძაგლეს. თუმცა ეს გარემოება სულაც არ უშლიდა ხელს ზაკოს კედლების გათეთრებაში. ის ხშირად იკეტებოდა ტუალეტში „მერლინთან“ ერთად, ეძლეოდა ოცნებებს და ეწეოდა კედლების გათეთრებას მაიონეზისე-

ბური „პაბელკით“, რის გამოც მშობლები ხშირად ტუქსავდნენ მას.

ბამბარბია – კერგუდუ!

გენერალი ხარლამპიევი და მისი მეუღლე ტატიანა კი ტკბილად ცხოვრობდნენ ასათიანის ათში, მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ქალაქში ამ დროს დადიოდა მანიაკი. მანიაკი სპეციალურად იცვამდა თხელ სპორტულ შარვლებს, რომლის ქვეშაც არ ეცვა აბსოლუტურად არაფერი. და თუ გაჩერებაზე დალანდავდა ქერათმიან ახალგაზრდა ქალს, რომელიც ცოტათი მაინც ჰგავდა მერლინ მონროს, აჰყვებოდა ხოლმე ავტობუსში ან ტრამვაი-ტროლეიბუსში და ეხახუნებოდა. ასეთ მანიაკებს „ანტენშიკებს“ ეძახდნენ. ისინი ჭარბად იყვნენ მაშინ საბჭოთა კავშირის ქალაქებში. ის „ანტენშიკი“ კი, რომელზედაც ახლაა ლაპარაკი, ზაკო შაროევი იყო.

ზაფხულის თბილი დღე იყო და ზაკოც თავის თხელ სპორტულ რეიტუზში გამოწყობილი, რომლის ქვეშაც, სხვათა შორის, არც ამჯერად ეცვა არაფერი, ავიდა ლისის ტბაზე, კისერზე ღვედით ჩამოკიდებული ბინოკლით და ხელში მომარჯვებული დასაკეცი ანკესით, რითაც მაშინვე ჩოჩქოლი და უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია დარბაისლურად მოთევზავე მოქალაქეთა შორის. ჩოჩქოლისა და უკმაყოფილების მიზეზი იყო ის, რომ ზაკო თავისი უპასუხისმგებლო საქციელით ხელს უშლიდა მეთევზეებს და თევზებს უფრთხობდა მათ. აი რას აკეთებდა ზაკო: ზაკო შედიოდა ლელქაშებში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა მთელი ტბა. დგებოდა წელამდე წყალში ვითომდა სათევზაოდ, თვალის ასახვევად შლიდა ანკესს, ბინოკლით აკვირდებოდა საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილ ახალგაზრდა ქერათმიან ქალებს და პირდაპირ წყალში მდგომი ღონივრად უგრეხდა კისერს თავის ფლამინგოს. ზაკოს ასეთი საქციელი იწვევდა, რა თქმა უნდა, დანარჩენი მეთევზეების სამართლიან უკმაყოფილებას, რადგან ეს ყველაფერი აფრთხობდა თევზებს, ხოლო წარმოქმნილი ტალღები იწვევდა ნავების გადაბრუნებას. აღშფოთების მიუხედავად, მეთევზეები ვერ ბედავდნენ ზაკოსთან მიახლოებას, რადგანაც ამ დროს ჰქონდა ხოლმე ზაკოს გამომეტყველე-

ბა მეტად გოროზი და გათავებისას ასხამდა ძალიან შორს. მას დატერორებული ჰყავდა მეთევზეები. ისინი მხოლოდ შორიდან ულერებდნენ მუშტებს და დინამიტის გადმოგდებით ემუქრებოდნენ. ზაკო კი თავისას არ იშლიდა. რაც მთავარია, წყალი თბილი იყო და მეთევზეების მუქარა სულ ცალ ფეხზე ეკიდა. უკაცრავად, ცალ ფეხზე კი არ ეკიდა, არამედ ეკიდა თავის ფლამინგოზე, რომელსაც ასე მონდომებით და რუდუნებით უგრეხდა კისერს.

ფლამინგო ფრინველია. ის თბილ და ნოტიო, წყლიან ადგილებში ბინადრობს. არის ვარდისფერი ფლამინგო და კიდევ რაღაცნაირი ფლამინგოები.

იმ დღესაც დაიკავა ჩვენმა ზაკომ თავისი საყვარელი ადგილი ლელქაშებში, გაშალა ანკესი, მოიმარჯვა ბინოკლი და... საკუთარ თვალებს არ დაუჯერა. ო-ო-ო, საოცრებავ, დაინახა პლაჟზე ავაზასავით გაწოლილი მერლინ მონროს ორეული საბანაო კოსტიუმში. ტატიანა ივანოვნა სხვა გენერლების ცოლებთან ერთად ტბაზე ამოსულიყო – ისინი ბანაობდნენ, ირუჯებოდნენ და თამაშობდნენ ფრენბურთს. ზაკომ იმ დღეს, რასაკვირველია, ააზვირთა ტალღები, რის შედეგადაც გადაბრუნდა რამდენიმე ნავი, ხოლო მაშველებს გაუფუჭდათ კატერი; თევზი იმ დღეს არავის დაუჭერია. აი რა მოჰყვა იმ უაღრესად უპასუხისმგებლო საქციელს, რომელიც ჩაიდინა მაშინ ზაკომ.

გენერლების ცოლებმა გართობით გული იჯერეს, ტანები გაიმშრალეს, ჩაიცვეს და წასასვლელად გაემზადნენ. მათ თეთრი „ოცდაოთხებით“ ახალგაზრდა სამხედრო მძღოლები ელოდნენ, რომლებიც მძღოლობის გარდა მცველებიც იყვნენ გენერალთა ცოლებისა. თეთრი „ოცდაოთხები“ ლისის ტბის მიხვეულ-მოხვეული გზებით დაეშვნენ გორაკებიდან. ზაკომ კი ტბის მიმდებარე ერთ-ერთი სტრატეგიული ბორცვი დაიკავა და იქიდან ბინოკლით ადევნებდა თვალს „ოცდაოთხებს“, თუ საით მიემართებოდნენ ისინი. თბილისის ძველმა მოსახლეობამ კარგად იცის, რომ გენერლების სახლი მდებარეობდა სწორედ იმ გზასთან ახლოს, საიდანაც ლისის ტბაზე ადიან ხოლმე მანქანებით. ჰოდა, ზაკოსაც სულაც არ

გასჭირვებია ბინოკლიდან იმის დანახვა, თუ რომელ სახლში და სახელდობრ რომელ სადარბაზოში შევიდა მერლინ მონროს ორეული. ზაკომ კარგად დაინახა აგრეთვე მეორე სართულზე განთავსებული ის აივანიც, რომელზედაც გამოვიდა მსუბუქ საზაფხულო ხალათში გამოწყობილი ეს ახალგაზრდა ქალი და სარეცხის თოკზე გასაშრობად გაფინა ახალგარეცხილი, ზაკოსათვის კარგად ნაცნობი საბანაო კოსტიუმი, შებრუნდა ოთახში და აივნის კარის მიუხურავად ჩამოაფარა თხელი, დღის ფარდა. ამის შემდეგ ქერათმიანმა ლამაზმანმა, ანუ მისმა ლანდმა, როგორც ჩანს, ჩართო მუსიკა, გაიხადა თხელი საზაფხულო ხალათი, რომლის ქვეშაც, სხვათა შორის, თეთრი, ქათქათა ტრუსიკის გარდა არაფერიც არ ეცვა. ასე ცეკვა-ცეკვით გამოიღო საიდანღაც შამპანურის ბოთლი, კანფეტები კოლოფით, ბოკალი და შეუდგა ნარნარ ცეკვას, შამპანურის წრუპვას, კანფეტების ჭამას და კიდევ რაღაცეების კეთებას. ეს ყველაფერი კარგად არ ჩანდა, რადგან მართალია დღის, მაგრამ მაინც ფარდები იყო ჩამოფარებული; აი, როდესაც შებინდდა, ქალმა ოთახში აანთო შუქი, ღამის ფარდის ჩამოფარება კი დაავიწყდა. ო-ო-ო, ის უკვე ოდნავ შემთვრალი, მკრთალი ნათურის შუქზე რიტმულად როკავდა ბოკალით ხელში. ჰოდა, აბა რაღა დააოკებდა ამის შემდეგ ზაკოს...

ასათიანის ქუჩის ზემოთ, გენერლების სახლის უკან, არის პატარა და ვიწრო, ფერდობზე ამავალი მულაჩაურის თუ რაღაცის ქუჩა... აი ამ მულაჩაურის თუ რაღაცის ბოლოში ცხოვრობდა ძია მიხო, რომელსაც ეზოს განაპირას ედგა რამდენიმე ძირი კაი მოზრდილი კაკალი – ხელებს რომ ვერ შემოაწვდენს კაცი, ისეთები. ჰოდა, ხედავს ეს ჩვენი ძია მიხო, რომ ვიღაცა ამძვრალა მის ერთ-ერთ კაკალზე და ბერტყავს, ისეთი ძალით ბერტყავს, რომ მკლავისა და ბარძაყის სიმსხო ტოტებს სულ ლანალუწი გაუდის, – თან ქშენს, კრუსუნებს და თითქოს წკავწკავებს; ეტყობა ქურდია – ჩქარობს, რომ მიხოს კაკალს რაც შეიძლება მეტი კაკალი დააყრევინოს – მერე წამოკრეფს, ჩაყრის ტომარაში და, ჰაიდა, წავა, მაგრამ – ეგრე არ არი თაყაო – ძია მიხომ ლურსმნიდან ორლულიანი თოფი ჩამოიღო, თოფში ორი ვაზნა ჩადო, ორიც ჯიბეში ჩაიდო, შუქ-

ის აუნთებლად გარეთ გავიდა და კაკლის ხეზე მოფუსფუსე კაცს თოფი დაუმიზნა.

– რო-ომელი ხარ მანდა, მოიდ-ჩამოიდ ძირსა, შე-ნი პატრონი დედა კი მოვჰტყან! – შესძახა ძია მიხომ.

– ზაკო ვარ, ძია მიხო, არ მესროლო! – გაისმა ფოთლებიდან.

– რის ზაკო, რა ზაკო? ზაკო არა ტრაკო, ჩამოიდ ძირსა!

ზაკო ხეზე კაკალს კი არ ბერტყავდა, არამედ მასტურბირებდა, ახლა კი იძულებული შეიქნა ხიდან ჩამომძვრალიყო, თანაც რომ იტყვიან, ერთობ სასაცილო მდგომარეობაში: კისერზე ღვედით ეკიდა დიდი ზომის ხაკისფერი, პლუსმინუსებიანი სამხედრო ბინოკლი. მარცხენა ხელში ეჭირა დაკეცილი ანკესი, ხოლო მარჯვენაში ის, რაც მასტურბირების დროს უჭირავთ ხოლმე ჩვეულებრივ. კომიკურობას მატებდა ამ ყველაფერს ისიც, რომ ზაკო ცდილობდა როგორმე კისერი მოეგრიხა და უკანვე შარვალში ჩაებრუნებინა ეს მართლაცდა უტვინო ორგანო, რომელსაც არც ჭკუა, არც გონება, არც სინდისი, არც ნამუსი, არც თავმოყვარეობა არ გააჩნია და ერთი გრამი ტვინიც კი არა აქვს თავში.

– ეგ რაღაა ჯო-ო?! – ჰკითხა გაოცებულმა ძია მიხომ ზაკოს, რომელსაც ცხოვრებაში უამრავი კაკლის ქურდი ენახა, მაგრამ ასეთი არასდროს.

– ესა, ძია მიხო, ის არი! – უპასუხა ზაკომ ძია მიხოს და სანამ ამას ამბობდა, კიდევ ერთხელ სცადა კისერი მოეგრიხა თავისი უტვინოსათვის, თუმცა უშედეგოდ.

– ბი-ო, ის რო არი, ვხე-ედავ, მაგრამ შენა იქა კაკალს იპარამდი თუ ანძრევდი?!

– ვანძრევდი, ძია მიხო, ვანძრევდი!!! – იყვირა ზაკომ და იფიქრა მეშველაო, მაგრამ...

– მაშ ამოტოლა კაკალი რათა ყრია აქა, – მოიმარჯვა თოფი ხელში მიხომ, – ან იმ ტოტებ რო ამტვრევდი, რათ ამტვრევდი?!

ზაკო მიხვდა, რომ ძია მიხოს ვერაფერს აუხსნიდა. ამისთვის მთელი ისტორია იყო მოსაყოლი ანუ ის, რომ ზაკოს უყვარდა მერლინ მონრო, რომ ზაკომ ტბაზე ნახა ვიღაც ქალი, რომე-

ლიც ჰგავდა მერლინ მონროს, მერე ავიდა ხეზე, მერე ბინოკ-ლის მეშვეობით... და ა. შ. და ა. შ. ამიტომ ზაკომ უპასუხა მარ-ტივად:

– ძია მიხო კი არ ვანძრევდი, უბრალოდ შიშისაგან ამიდგა!

ამ პასუხმა მიხო ჯერ დააფიქრა, შემდეგ კი ერთობ გაამხი-არულა, იმდენად გაამხიარულა, რომ მასში გაბრაზებამ საგრძნობლად იკლო. ძია მიხომ თოფი მარცხენა ხელში გადაი-ტანა, იღლიაში ამოიდო და უფილტრო სიგარეტი გააბოლა:

– შენა, ბი-ო-ო, ჩე-ემი ვირივითა ყოფილხარ! ისიც ეგრეა, როგორც კი ცემას დავუპირებ, იმასაც მაშინვე აუდგება ხოლ-მე და ყროყინებს! შე-ენ რატო არა ყროყინებ?!

– რო დავიყროყინო, გამიშვებ? – იკითხა იმედისნაპერწკალ-ჩასახულმა ზაკომ.

– გაგიშვებ, მა? ერთი ვირი უკვე მყავ და რაღათ მინდა მეორე ვირი?! დაიყროყინე, წადი და მეორეთ აღარ მოხვიდე აქა!

ზაკომ მადლობა გადაუხადა ძია მიხოს, დაიყროყინა და წავი-და.

– აჰა აი, ცოტა კაკალი წაიღე ბიო-ო, – მიაძახა მიმავალ ზაკოს ძია მიხომ და ვინაიდან ზაკოს მორიდებულობა შეატყო, წამოეწია, წამოკრიფა ძირს დაყრილი კაკლები და მაისურის კალთაში ჩაუყარა. მერე ეზოს კარი გაუღო და გაისტუმრა.

ზაკო ზევიდან მოუყვებოდა მულაჩაურის თუ რაღაცის ქუჩას, წენგოიან კაკლებს ქვებით ამტვრევდა, ჭამდა გემრიელ ნედლ ნიგოზს და თავის გონებაში მზაკვრულ-ანანისტურ გეგ-მებს გეგმავდა.

მერლინ მონროს ამასობაში ტკბილად ჩასძინებოდა. ის თავის ფართო საწოლზე მიწოლილიყო და ვინაიდან ტრუსი-კის მეტი არაფერი ეცვა, წამოწოლისას თავისი თხელი საზაფ-ხულო ხალათი გადაეფარებინა. ოთახს ანათებდა მკრთალი ნათურა, ჩამოფარებული იყო მხოლოდ დღის ფარდები, ხოლო აივნის კარი არ იყო მიხურული... ზაკოს ბევრი არ უყოყმანია. არ იყო ამდენი დრო. მან მალულად გადართო ანკესის მაქო ჭრიალა მდგომარეობიდან უხმოზე. ძუა გაათავისუფლა და გაშლილი ანკესი სპინინგივით მოისროლა; ძუაზე დამაგრე-

ბული ნემსკავი და ტვირთი მერლინ მონროს აივანზე დაეცა. ზაკომ მაქო დაატრიალა, მაქოდან გასროლილი ძუა ისევ უკან წამოვიდა და ნემსკავიც აივნის მოაჯირს ჩაეჭიდა. ზაკოს ერთობ მსხვილი კაპრონის ძუა ეხვია მაქოზე, ნემსკავიც დიდი ზომისა ჩაება, ასე რომ, ასეთი ანკესი მისი აღნაგობის კაცს სამსაც თავისუფლად გაუძლებდა. ზაკო იყო ტანმორჩილი და გამხდარი. ის ორმოცდაათ კილოგრამსაც არ იწონიდა, რადგან ბევრი მასტურბაციისგან ყურებში სულ ლანდი გასდიოდა. სამაგიეროდ გასაგები მიზეზების გამო, მარჯვენა ხელში ძალა ჰქონდა?! – მტრისას! ის ხომ გამუდმებულ ჭიდილში იყო საკუთარ თავთან.

ზაკომ დასაკეცი ანკესის ტარს ფეხები და მარცხენა ხელი მაგრად მოაჭდო, ხოლო მარჯვენით ანკესის მაქო დაატრიალა; მაქოდან სპინინგურად გატყორცნილი ძუა ისევ მაქოს დაეხვია და ზაკო შაროევიც მერლინ მონროს აივანზე აღმოჩნდა. ის მოაჯირს გადაახტა და მერლინის საძინებელში შეიპარა.

ადვილი წარმოსადგენი არ არის ზღაპრული საძინებელი, მკრთალი, აღმგზნები ნათურა და ნებიერად მძინარე მერლინ მონრო, რომელსაც, სხვათა შორის, ხალათი თითქმის გადაუხდია, მხოლოდ თეთრი ტრუსიკილა ჰმოსავს და რაღაცეები უჩანს. ამ დროს „იჩითება" ზაკო – თითები და ტუჩები წენგოთი აქვს მოთხვრილი, კისერზე ღვედით ჰკიდია დიდი, ხაკისფერი, ალაგ-ალაგ საღებავაქერცლილი პლუს-მინუსებიანი სამხედრო ბინოკლი, ხელში ჯერაც უჭირავს ანკესი, რომლის არსებობაც თვითონაც აღარ ახსოვს, შარვალში სამლიტრიანი ბოთლი უდევს თუ რაშია საქმე ვერ გაიგებ. ტკბება ზაკო მომნუსხველი სანახაობით და სადაცაა ძია მიხოს ვირივით დაიყროყინებს. ეს ხომ ნამდვილად ის არის – ის; ეს დაუჯერებელი მსგავსებაა! ეს მერლინია!!! მერლინი!!!

ზაკომ ანკესი თავიდან მოიშორა, ბულზე ჩამოჯდა და სული მოითქვა. შემდეგ საწოლზე გადაჯდა, ძალიან ფრთხილად, თითების ბალიშებით გახადა ქალს ტრუსიკი და როგორც თვითონ ყვება ხოლმე, გვერდზე გადადო. თუმცა არსებობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს არქივის დირექტორის გენერალ ვოლკოგონოვის ბოლომდე დაუდასტურებელი ვერ-

სია, რომლის მიხედვითაც თითქოსდა ზაკომ მაშინ, დადებამდე დაყნოსა კიდევაც მერლინ მონროს ტრუსიკი; ცხვირზე არ მიუდვია, მაგრამ დაყნოსა. აი ეიზენჰაუერის სახელობის ინსტიტუტის სამხედრო ისტორიის კეთედრის რექტორს ოთხვარსკვლავიან გენერალ ემანუილ ლარკინსს კი მიაჩნია, რომ ვოლკოგონოვის ეს ვერსია მცდარია: ზაკოს არათუ ცხვირზე არ მიუდვია, არამედ საერთოდ არ დაუყნოსავს მერლინ მონროს ტრუსიკი.

ნუ ეს, ახლა, დეტალებია და ალბათ არ ღირს ჩაძიება – დაყნოსა არ დაყნოსა – რა მნიშვნელობა აქვს? ბოლო-ბოლო ეს ტრუსიკი მონროსი იყო, მაროსი ხომ არა.

მოკლედ, ზაკომ ფრთხილად გადმოაბრუნა მძინარე ქალი, დააწვინა ზურგზე, ამოუდო თავქვეშ ბალიში, გააშლევინა ფეხები და ოდნავ მოახრევინა მუხლებში ანუ დაახლოებით ისეთი პოზა შეურჩია, როგორშიც აღმოჩნდებიან ხოლმე ქალები, როდესაც ისინი გინეკოლოგიურ სავარძლებში სხდებიან. მერე ზაკომ ფრთხილად გაიხადა თავისი თხელი სპორტული შარვალი, რომლის ქვეშაც არც ამჯერად ეცვა არაფერი, აცოცდა, საწოლზე ჩაჯდა მერლინის საპირისპიროდ ლოტოსისმაგვარ პოზაში, დააძრო თავისი ინსტრუმენტი და შეუდგა „ქველმოქმედებას“ მარჯვენა ხელით...

ო-ო-ო, როგორ დაუნდობლად არის ეს ქვეყანა აწყობილი! ო-ო-ო, რა ძნელია ეს ცხოვრება! ზაკო უკვე სერიოზულ ჭიდილში იყო საკუთარ თავთან, ის უკვე მთელი ძალით უგრეხდა კისერს საკუთარ სირაქლემას, გაგულისებული სირაქლემა კი არ ემორჩილებოდა და ცდილობდა თავი დაეძვრინა, სირაქლემა ახლა უკვე ჩხრიალა გველს ანდა კობრას უფრო ჰგავდა, რომელიც ხან მალავს თავს კაპიუშონში, ხანაც გამოყოფს – მიიხედ-მოიხედავს და ცდილობს ხელი დაუკბინოს გველების დამჭერს.

ზაკო კი, როგორც გამოცდილი მკლავჭიდელი, არ უშვებდა კობრას კისერში წავლებულ ხელს და არ აძლევდა მას დაკბენის საშუალებას. ერთი სიტყვით, ზაკო უკვე სერიოზულ ჭიდილში იყო საკუთარ თავთან და სწორედ ამ დროს ეზოდან გაისმა საბურავებისა და მუხრუჭების სავალალო ღრჭიალი.

ეს ხარლამპიევის ახალგაზრდა მძღოლმა შემოაგელვა თეთრი „ოცდაოთხი“ გენერალთა კორპუსისწინა პატარა მოედანზე. გადმოხტა, კარი ჯახუნით მიიხურა, „ოცდაოთხს“ შემოურბინა და თავის შეფს სამხედრო სალმის აღებით კარი გაუღო. გადმოვიდა „ოცდაოთხიდან“ მედიდური, სასიამოვნო გუნებაზე მყოფი გენერალი ხარლამპიევი, წელში გაიმართა, კიტელზე პენი შეიბერტყა და გაკრიალებული ჩექმებისაკენ გააპარა თვალი...

...ზაკო ხვნეშოდა, კვნესოდა, კრუსუნებდა და ძლივს იკავებდა ყროყინს. ალბათ ამან ან იქნებ იმან, რომ გენერლის ახალგაზრდა მძღოლმა ზედმეტად ხმაურიანად შემოაგელვა „ოცდაოთხი“ ეზოში – ან იქნებ ამ ორივე გარემოებამ ერთად იმოქმედა იმაზე, რომ ტატიანა ივანოვნას ნელ-ნელა გაეღვიძა.

რა შეგრძნება შეიძლება დაეუფლოს ახლად გაღვიძებულ ადამიანს, როცა ის რაღაც არნახულის წინაშე აღმოჩნდება? აი, დავუშვათ მაგალითისთვის: ზის ადამიანი კულტურისა და დასვენების პარკში, ხალხი დადის, ბავშვები თამაშობენ, ჩიტები გალობენ, ადამიანი კითხულობს გაზეთს... და უცებ, მოულოდნელად, მოდის დევი – რვაას-ცხრაას კილოგრამიანი, ნამდვილი დევი ნამდვილი რქებითა და ნამდვილი ღრჯოლებით, ჯდება ეს დევი ამ ადამიანის გვერდით. ერთს ავად გადმოხედავს გვერდზე და მერე იყურება გოროზად წინ. ადამიანი სანამ მოიკრებს აზრებს, სანამ შეშინდება, სანამ შეძრწუნდება და ელდა ეცემა, ის ჯერ გაოგნებული გაიღიმებს და მხოლოდ ამის შემდეგ მორთავს წივილ-კივილს, გაიქცევა, აიფარებს ხელებს სახეზე, შეეცდება დაკანროს დევი, ჩაიჯვამს... მაგრამ სანამ ამ ყველაფერს იზამდეს, ადამიანს გაოგნებულს გაეღიმება.

მერლინ მონროსაც გაეღვიძა და გაოგნებულს გაეღიმა. ის ხომ სრულიად შიშველი იწვა თუ იჯდა, დაახლოებით ისეთ პოზაში, როგორშიც გენოკოლოგიურ სავარძლებში სხდებიან ხოლმე ქალები, ხოლო მის პირდაპირ საწოლის ბოლოში ლოტოსის პოზისმაგვარ პოზაში იჯდა ვიღაც უცნობი, ძალიან კაფანდარა, უშარვლო, შავი, მაჯლაჯუნასებრი კაცი

და ანძრევდა. კაცს კისერზე ეკიდა დიდი ზომის ხაკისფერი, ცალკეულ ადგილებში საღებავაცლილი, პლუს-მინუსებიანი სამხედრო ბინოკლი, ცხვირ-პირი მოთხვრილი ჰქონდა წენგოთი, მუხლებზე კი ედო მერლინის ქათქათა ტრუსიკი. ქალმა მორთო წივილი, კივილი და ლანძღვა-გინება ერთდროულად ინგლისურ, რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მას ახლა აღარ ახსოვდა, რომ ის უკვე სამუდამოდ აღარ იყო მერლინ მონრო, არამედ იყო ტატიანა ივანოვნა კლიმოვა-ხარლამპიევა.

ფოქ იუ!!!

ტატიანამ პირველმა წაატანა თავის ტრუსიკს ხელი, თუმცა ზაკომაც იმარჯვა, მანაც სტაცა. ისინი ერთხანს უხმოდ ძიძგილაობდნენ ტრუსიკის გამო. რასაკვირველია, მექანიკურად ხდებოდა ეს ყველაფერი, გაუცნობიერებლად, თორემ აბა ასეთ დროს რად უნდოდა ის ტრუსიკი ან ერთს ან მეორეს: ნუთუ ამისთვის უნდა ეჩხუბათ? ბოლო-ბოლო მერლინ მონროს ტრუსიკი იყო, მაროს ნიფხავი ხომ არა? მაროს ნიფხავი რომ ყოფილიყო, კიდევ იჩხუბებდა კაცი.

გონს პირველი მოეგო ტატიანა: ტრუსიკს ხელი უშვა, შიშველ მკერდზე ხელები აიფარა, ბარძაყები მომუწა და გაათკეცებული ძალით მორთო ყვირილი. ზაკომ ცოტათი შვება იგრძნო. ის ხომ ერთდროულად ორ მოწინააღმდეგეს ებრძოდა – მერლინსა და საკუთარ სირაქლემას, რომლისთვისაც ჯერაც ვერ მოეგრიხა მსხვილი, ელექტროკაბელივით მაგარი კისერი...

...ხარლამპიევი კი ამასობაში თეთრი „ოცდაოთხიდან“ გადმოვიდა, პენი შეიბერტყა და ის იყო გაკრიალებული შავი ჩექმებისკენ უნდა გაეპარებინა თვალი, რომ... ეს ჩვენი ზაკობიჭი უცებ საწოლიდან რწყილივით ახტა, იატაკზე დახტა.. იატაკიდან აივანზე გახტა, აივნიდან მოაჯირზე ახტა, მოაჯირიდან ძირს ჩახტა და პირდაპირ გენერალ ხარლამპიევის ჩექმების წინ დახტა.

ხარლამპიევსაც თავიდან რაღაც ღიმილისმაგვარი დაეტყო სახეზე ანუ გაინმეორდა იგივე, რაც მოხდა მერლინთან. ასე ვთქვათ, „დევის“ ეფექტმა იმოქმედა, ხარლამპიევის წინ ხომ ჩაცუცქულიყო უჩვეულო მამაკაცი, რომელსაც მოკლ-

ემკლავიანი მაისურის გარდა არაფერი ეცვა ტანზე, კისერზე რატომღაც ეკიდა ბინოკლი, ცალ ხელში ეჭირა ქალის ტრუსიკი, ხოლო მეორეში – საკუთარი სირაქლემა, რომელსაც კრიახით, კრუტუნით, ყროყინით და განსაკუთრებული სისასტიკით უგრეხდა კისერს.

აჰუ, აჰუ-ჰუ, აჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ; ვა-ა-ჰუ-ჰუ-ჰუ!!!

შემცბარმა გენერალმა ნაბიჯით უკან დაიხია, გავაზე ჩამოკიდებული კაბურკა მოისინჯა და ქალის კივილში საკუთარი ცოლის ხმა რომ შეიცნო, პისტოლეტი დააძრო; სწორედ ის პისტოლეტი, რომელიც მას ნიკიტა ხრუშჩოვმა უსახსოვრა თავდადებისა და ერთგულებისთვის.

– ხელები მაღლა, თორემ გესვრი! – უყვირა გენერალმა მის წინ ჩაცუცქულ ზაკოს.

– დააგდე იარაღი, თორემ გესვრი! – უყვირა ზაკომ მის წინ დაყუდებულ გენერალს.

– მე არ ვხუმრობ, ასწიე ხელები და დამნებდი, თორემ გესვრი! – გაიმეორა ბრძანება გენერალმა.

– დააგდე იარაღი, თორემ შეგაწიტე თვალებში, შენი! – იღრიალა ზაკომ, – შენ შენს იარაღს როცა გინდა მაშინ გაისვრი, მე კი ჩემსას ველარ ვიკავებ, სადაცაა გამივარდება!!!

გენერალმა ხარლამპიევმა შაროევის მიერ დამიზნებულ ლულას ალმაცერად გადახედა და, როგორც საკადრო სამხედრომ, სწრაფად შეაფასა სიტუაცია. პოზიცია არ იყო გენერლისთვის სახარბიელო. ხარლამპიევი წამგებიან სიტუაციაში აღმოჩნდა: ზაკოს იგი თავისი უმართავი ქვემეხით მიზანში ჰყავდა ამოღებული. ასეთ მსხვილკალიბრიან ქვემეხს პირველად ხედავდა გენერალი. გასროლა არ შეიძლებოდა არავითარ შემთხვევაში, რადგან იყო საშიშროება შემხვედრი, საპასუხო გასროლისა, თანაც ფიქრის დროც აღარ იყო. დროის გაწელვის ტაქტიკას აზრი არ ჰქონდა. ზაკოს „ავისმომასწავებელი" იერი მეტყველებდა იმაზე, რომ მისი იარაღი სადაცაა თავისით გაისროდა. გენერალი ან უნდა დაუყოვნებლივ დამორჩილებოდა ზაკოს მოთხოვნას, ან არადა მას ელოდა სამარცხვინო სამოქალაქო სიკვდილი: – პაგონები, ჯილდოები, ლომპასები და შავი ფერის გაკრიალებული, ჭრაჭუნა ჩექმები, შარვალი და

კიტელი, რომლიდანაც ის სულ ცოტა ხნის წინ პეწს იბერტყავდა, მაიონეზისებურ სითხეში აღმოჩნდებოდა ამოთხვრილი, თუმცა რის კიტელი და რა ლომპასები, შაროევი გოროზად იყურებოდა და თავის საშიშ იარაღს თვალებში უმიზნებდა მოწინააღმდეგეს, დაახლოებით ისევე, როგორც სათვალიანი კობრა შვრება ხოლმე, რომელიც მსხვერპლს ჯერ მზერით ნუსხავს, შემდეგ კი თვალებში აფურთხებს შხამს; ერთი გადაწევაღა აკლდა...

არადა პისტოლეტი არ ეთმობოდა გენერალს, ის ხომ სახელობითი იყო და საბჭოთა მთავრობისა და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვისაგან იყო ნასახსოვარი. ხარლამპიევი მზად იყო მომკვდარიყო ამ პისტოლეტისთვის, მაგრამ სიკვდილიც ხომ უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, ვაჟკაცური; მაიონეზისებურ სითხეში ამოთხვრა კი გენერლისთვის სიკვდილზე უარესი იქნებოდა – ეს იქნებოდა სამარცხვინო, სამუდამო, სამოქალაქო სიკვდილი... ხარლამპიევს აღარ უფიქრია, სახელობითი იარაღი ზაკოს ფეხებთან მიუგდო „ოცდაოთხს“ ზედ გადაახტა და მის უკან დაიმალა: – ლაჟი-ი-ის!! – გაისმა ამ დროს ზაკოს გამყინავი ყიჟინა, რომელმაც ძლივს მოასწრო თავისი ჰაუბიცის შეტრიალება შედარებით უსაფრთხო, საპირისპირო მიმართულებით, გენერლების კორპუსისასკენ... კიდევ კარგი, რომ ფანჯარასთან არავინ მდგარა – ჩაიმტვრა ფანჯრები, ჩამოწყდა ფარდები, თუმცა, სამაგიეროდ, კორპუსს იმ წელიწადს „პაბელკა“ აღარ დასჭირვებია. მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობასა და სამხედროებს შორის არ ყოფილა; ისინი არ გაწუწულან მიონეზისებური სითხით; მხოლოდ გენერალ ხარლამპიევის მძღოლს წაუვიდა გული, დაეცა ბეტონზე, იტკინა თავი და მიიღო კონტუზია, ხოლო თავად ხარლამპიევს ნანახი საშინელი შთაბეჭდილების ნიადაგზე ჩამოუვარდა ჩანი, რომელიც დიდხანს ჰქონდა ჩამოგდებული.

რაც შეეხება ზაკოს, მან ყროყინისებური ხვნეშით აღნიშნა გამარჯვება საკუთარ სირაქლემაზე, წუნიანი ხელი დაიბერტყა, დაავლო გენერალ ხარლამპიევის სახელობით იარაღს ხელი და მაისურისამარამ სწრაფად მოკურცხლა ავტობუსის გაჩერებისკენ, თან გზადაგზა მერლინ მონროს ტრუსიკს

იქნევდა ჰაერში და გაჰყვიროდა: – არ მესროლოთ! არ მესროლოთ! თქვენი ვარ მე, თქვენი! – და შიშისაგან მღეროდა: – ვა-ა ნინა, ვა-ა ნინა ჩვენთან სტუმრად არის უსტაბაში! ნანინა-ა და... – ამასთან სირბილისას აკეთებდა სასაცილო ცრუ მოძრაობებს, რათა როგორმე აეცდინა ნასროლი ტყვიები. თუმცა მისთვის არავის უსვრია იმიტომ, რომ ჯერ ერთი ეს ყველაფერი სწრაფად, ძალიან მოკლე დროში მოხდა, იქ მყოფმა სამხედროებმა უბრალოდ ვერ მოასწრეს სწრაფი რეაგირება, მეორეც, მას ხომ ხელში თეთრი ფერის ტრუსიკი ეჭირა, რომელიც სამხედროებმა თეთრ დროშად მიიღეს. მათ ზაკო მოსალაპარაკებლად მოსული თეთრდროშიანი პარლამენტიორი ეგონათ.

ეგეც თქვენი უსტაბაში!

ახლა ეს ცოტა სასაცილოა მოსაგონებლად, მაგრამ სანამ ზაკო საბოლოოდ დაიმალებოდა, მას კიდევ ბევრი რამ შეემთხვა იმ მართლაცდა ფათერაკიან შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეს.

როგორც უკვე ითქვა, ზაკო თეთრი ტრუსიკის ქნევით გარბოდა ავტობუსის გაჩერებისკენ. ის სასაცილო იყო; მაშინ ერთადერთ სამოსელს მისას წარმოადგენდა მოკლემკლავიანი მაისური; კისერზე ეკიდა სამხედრო პლუს-მინუსებიანი, ხაკისფერი ბინოკლი, მარჯვენა ხელში ეჭირა „სამხედრო ნადავლი" – გენერალ ხარლამპიევის სახელობითი იარაღი, ხოლო მარცხენა ხელში ჩაბღუჯულ ტრუსიკს დროშასავით აფრიალებდა, ტუჩები და თითები წენგოთი ჰქონდა მოთხვრილი. როცა ცოტათი გასცდა სამშვიდობოს, წამით გაჩერდა და რადგან ასეთ დროს ადამიანის გონება მსგავს შემთხვევებში ელვისებურად აზროვნებს – გააკეთა ის, რის გაკეთებასაც თვით ამაყი გენერალი ხარლამპიევიც არ ითაკილებდა, მის ადგილზე რომ აღმოჩენილიყო. ზაკომ ტატიანა ივანოვნას ტრუსიკი ამოიცვა და პირველსავე გაჩერებულ ავტობუსში შეხტა. როცა არ გიმართლებს ერთ შემთხვევაში, ნუ იდარდებ, გაგიმართლებს მეორე შემთხვევაში. ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანის გონება საოცარი სისწრაფით მუშაობს. თუ ადამიანთა უმეტესობა დალხინებაში ვართ მოუქნელები და

ზანტები, იგივე ეს უმეტესობა გაჭირვებაში ვართ სხარტები და მარდები. ზაკომაც პირდაპირ, რომ იტყვიან ნახტომში მოიგონა მომდევნო მოქმედებების სტრატეგიული გეგმა. დიახ, სწორედ ნახტომში მოიგონა და ნახტომშივე შეუდგა განხორციელებას იმ გენიალური გეგმისა, რომელმაც მთლიანად გაამართლა.

გაჩერებული ავტობუსისკენ ლტოლვისას ზაკომ კამარა შეკრა და ამ კამარის შეკვრის პროცესში ასფალტზე ლამაზ, ჭრაჭუნა ცელოფანში შეფუთული ახალთახალი „ჰავანური" სიგარა შენიშნა, რომელიც ვიღაცას შემთხვევით გაჩერებასთან დაჰკარგვოდა. მაშინ კუბასთან საბჭოთა კავშირს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და კუბური სიგარებითაც სავსე იყო მაღაზიები. ზაკომ, რომ იტყვიან, ნახტომშივე დაითრია სიგარა, ავტობუსს შეახტა და შუა ადგილში – იქ, სადაც სავარძლები არ იყო, დადგა. გაკვირვებულმა მგზავრებმა პირები დააღეს ასეთი უცნაური ადამიანის დანახვისას. მათ ვერაფრით გაეგოთ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეს დამთხვეული. მაგრამ ზაკომ აინუნშიაც არ ჩააგდო მგზავრების გაკვირვება. ის თავის გადარჩენას ლამობდა და ნახტომში მოფიქრებულ გეგმას თანმიმდევრულად ახორციელებდა.

ზაკომ გადაწყვიტა უცხოელ ტურისტად გაესაღებინა თავი. ახლა უცხოელებით სავსეა ქალაქი და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკვე იციან, რომ უცხოელები ისეთივენი ან თითქმის ისეთივენი არიან, როგორებიც არიან თვითონ. ადრე კი სხვანაირად იყო – უცხოელებს, როგორც უცხოპლანეტელებს ისე უყურებდნენ, ყოველ უცხოელს ჯაშუში ჰყავდა მიჩენილი, რომელიც დასდევდა და ფარულად თვალყურს ადევნებდა მას. უჯაშუშოდ მათ ქალაქში არ უშვებდნენ. ზოგიერთი უცხოელის უჩვეულო ჩაცმულობა ან მით უმეტეს კანის განსხვავებული ფერი საყოველთაო ყურადღებას იქცევდა ადამიანებში, ხშირად ზოგიერთები უტაქტოდ, ხელის გაშვერით მიუთითებდნენ ხოლმე გრძელთმიან, მოკლეშარვლიან ან მუქკანიან უცხოელებზე; ხოლო თუ, დავუშვათ, შარვლიან უცხოელ გოგონას დაინახავდნენ – ასაკოვნები მათივე დასანახად მათი საჯდომებისკენ იშვერდნენ ხელებს

და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: – „ასეთი რძალი არ გინდა-ა ავქვსენტ-ი-ი, გაგიკეთებს ლობიოს ამოზელილს!“, ხოლო ახალგაზრდები (ყმაწვილკაცები) მიდიოდნენ ახალგაზრდა უცხოელ გოგონასთან, იკუზებოდნენ გოგონას საჯდომის სიახლოვეს და შარვალზე დაკერებულ ტყავის ნაჭერზე ცდილობდნენ წაეკითხათ „ლევისია“ ეს თუ „ვრანგლერი“.

ზაკომ იცოდა, რომ თუ ის როლს სათანადოდ გაართმევდა თავს, მას ჯაშუში აღარ აედევნებოდა, რადგანაც მართალია, ქალაქი ჯაშუშებით იყო სავსე, მაგრამ თავის მხრივ ჯაშუშებმაც იცოდნენ, რომ ყოველ უცხოელს უკვე ჰყავდა თავისი ჯაშუში ანუ ავტობუსში ათი ჯაშუშიც რომ ყოფილიყო, ყოველი მათგანი არხეინად იგრძნობდა თავს, რადგან ჩათვლიდნენ, რომ ზაკოს ჯაშუში ვიღაც სხვაა. ამ პრინციპით ზაკოს თავისუფლად შეეძლო ემოძრავა ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში, მთავარია, ვინმეს უცებ არ დაეძახა:

– უცხოელი შიშველია.

მაისურსა და ტრუსიკში გამოწყობილმა ზაკომ ელეგანტურად ამოიღო სიგარა, ბოლო მოაკვნიტა, მოკვნეტილი ბოლო ტეხასელი პლანტატორივით გადააფურთხა, სიგარა პირში ჩაიდო და პისტოლეტის ლულა სიგარის წვერს მიუახლოვა, მერე პისტოლეტი ცოტათი გააჩხაკუნა და წარმოთქვა: – ბონა სერა სენტი-მენტე, სიგარა-ნოუგარა! – ამით ზაკოს უნდოდა ეჩვენებინა მგზავრებისათვის, რომ ის იყო უცხოელი, ხოლო პისტოლეტი მის ხელში სხვა არა იყო რა, თუ არა სანთებელა – სანთებელა, რომელიც გაუფუჭდა ან ბენზინი გაუთავდა და ვეღარ ანთებს. ამან გაჭრა. – ს-სორი, სიგარა-ნოუგარა, სიგარეტტო ნოუ გარეტო-პისტოლეტო! – თან თავის პისტოლეტს ჩაჰკირკიტებდა „ნეტა ჩემს სანთებელას რა მოუვიდაო“. შემდეგ ბინოკლი მოიმარჯვა და ქალაქის ღირსშესანიშნაობებით შეუდგა ტკბობას – ოოო, სიტი-თიბილისი ვინთერ სიფილისი; შერათონ მეტეხი-ფალოსი; ოოო, მაი გელ, ვერი გუ-უდ მინია ბიუთ, ციბია იბუთ.. – ლაპარაკობდა რაც მოადგებოდა ენაზე და ისე კარგად ასრულებდა უცხოელის როლს, რომ ეჭვის ნატამალსაც კი არ ბადებდა მგზავრებში.

დამოკიდებულება ზაკოს მიმართ იყო დრამატული და

არაერთგვაროვანი: ძველი თაობის დარბაისელი მოქალაქენი ტრადიციას არ ღალატობდნენ – ისინი არ ერიდებოდნენ ზაკოს მიმართულებით თითით ჩვენებას და არც გამონათქვამებში იყვნენ მის მიმართ მაინცდამაინც თავშეკავებულნი:

– შეხედე, აქვსენტი, რავა გამოწყობილა კაცო აი დამყაყებული კაპიტალისტი! თეთრი ტრუსიკი ჩოუცვია და მიდის ვაკეში, ვარიეტეში გონია თავი, დაგვცინის, კაცო!

– თფუი, თფუი, – პასუხობდა აქვსენტი, – ტუჩები და ფრჩხილებიც რომ შოუღებია ქალივით! სტალინი უნდენ მაგენს, სტალი-ინი... შენს პატრონს...

თუმცა ახალგაზრდებს მოხუცებისგან განსხვავებით დამოკიდებულება უცხოელის მიმართ ჰქონდათ პირიქითი – ისინი თვალდაჭყეტილნი და პირდაფჩენილნი აღტაცებით შეჰყურებდნენ უცხოელს და როცა ზაკო ავტობუსის სახელურზე იდაყვდაყრდნობილი ხაკისფერი, სამხედრო, პლიუს-მინუსებიანი ბინოკლიდან ათვალიერებდა ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ისინი დროს იხელთებდნენ ხოლმე, დაიხრებოდნენ და ცდილობდნენ ტრუსიკზე დაკერებულ პატარა ეტიკეტზე წარწერის მიხედვით დაედგინათ „ვრანგლერის“ იყო ეს ტრუსიკი თუ „ლევისისა“. ზაკოს არ აწყობდა ზედმეტი ყურადღების მიპყრობა, ამიტომ შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა აბეზარ ყმაწვილებს ტრუსიკზე დაკერებული პატარა ეტიკეტის დროულად წაკითხვაში. ის იკუზებოდა, ატრიალებდა წელს, ბურცავდა დუნდულებს, ცდილობდა დამსგავსებოდა წასაკითხად გამზადებულ გადაშლილ წიგნს. ზაკოს ეს მცდელობა ყოველთვის არ გვირგვინდებოდა იდეალური შედეგით, სამაგიეროდ ერთგვარ ელეგანტურობასა და მომხიბვლელობას სძენდა მის, მართალია ქალის იმპორტულ ტრუსიკში გამოკრულ, მაგრამ ბევრი ნძრევისგან, მაინც, საგრძნობლად დაფახფახებულ ტრაკს.

ზაკოს ცოტათი არ გაუმართლა იმ თვალსაზრისით, რომ ეს ავტობუსი აღმოჩნდა არა ცენტრიდან გარეუბნისკენ მიმავალი, არამედ პირიქით. ამიტომ ზაკომ რუსთაველის გამზირზე ჩამოსვლას ისევ ჭავჭავაძის გამზირზე ჩამოსვლა ამჯობინა და სადღაც ორმოცდამეთხუთმეტე სკოლასთან მიმდებარე

გაჩერებაზე ჩამოვიდა. საღამო იყო და სკოლის შენობიდან ამ დროს სამუსიკო სტუდიის მოსწავლეები და მათი მშობლები, ძირითადად დედები, გამოდიოდნენ ვიოლინოებითა და ნოტებით ხელში, ზაკომ მათ წინ გაიარა, ბინოკლით შეათვალიერა რამდენიმე ბანოვანი მშობელი, მერე თავისი ვითომ სანთებელა-პისტოლეტით სიგარას ვითომ მოუკიდა და იქაურობას გაეცალა ჩვეული აბდაუბდის ბუტბუტით: – სიგარა ნოუგარა, პისტოლეტო-სიგარეტო-ნოუგარეტო... – მშობლები ბავშვებს აეფარნენ და გაოცებული მზერა მიაპყრეს და გააყოლეს უჩვეულო კაცს. ზაკომ ცენტრალურ გზას ჩქარი ნაბიჯით გადაუხვია, ქალაქის სიღრმეში შევიდა, ერთ-ერთ იტალიურ ეზოში სარეცხის თოკზე გასაშრობად ჩამოკიდებული სალათისფერი ბრიჯები ჩამოხსნა და ჩაიცვა; ჩამოხსნა აგრეთვე ბალიშის პირიც, რომელშიც სწრაფად ჩაყარა პისტოლეტი და ბინოკლი, ფეხზე მოირგო იქვე კიბესთან მიწყობილი დაგრეხილი, ბებრული ფეხსაცმელები და აითესა. იმავე საღამოს ის საკუთარი ტუალეტის უნიტაზზე იჯდა, შეჰყურებდა მერლინ მონროს სურათს, თითებით ეალერსებოდა ნადავლ ტრუსიკს, ეწეოდა სურნელოვან „ჰავანურ“ სიგარას და გულმოდგინედ ანძრევდა.

რაც შეეხება ბრიჯებს: ისინი თავიდანვე უცნაურად ეხამუშა ზაკოს, ვინაიდან ბრიჯები იყო ერთობ თბილი, შედარებით მოკლე და ძალიან ფართხუნა, მუხლებს ქვემოთ მოსაჭერი რეზინებით. სახლში მისულმა ზაკომ აღმოაჩინა, რომ მის მიერ მოპარული ტრუსიკი იყო არა ბრიჯები, არამედ მაროს ნიფხავი, რომელსაც ეტიკეტზე ეწერა:

მიქოიანის სახელობის ბამბეულის კომბინატი
ქ. ხაშური
ქალის ტრუსიკი – უსაზომო
მოდელი – კონტისტადორე
გოსტი – 1107
არტიკული – 00115
1952 წელი

წარწერას ამკობდა საფირმო ემბლემა გამოსახულებით: ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ხიშტიანი თოფი,

წითელი ვარსკვლავი – თოფებს ზევით, და საბჭოთა კავშირის ხარისხის ნიშანი – თოფებს ქვევით.

ეს იყო მაროს ნიფხავი, რომელიც ზაკომ კვალის დაფარვის მიზნით დახია და დაწვა თავისი სახლის წინ.

იმ ღამეს მაროს დაესიზმრა ოქროსფაფრიან რაშზე ამხედრებული ცისფერთვალება პრინცი ჩრდილოეთის ზურმუხტოვანი ქვეყნიდან. ოქროსფერთმიან რაშზე ამხედრებულმა პრინცმა წარიტაცა მაროს გული და გაჰქუსლა; შემდეგ კი ეს გული დაკოდა, დახია და ცეცხლის ალში გახვია. მარო მთელ ღამეს ტიროდა ბალიშში, დილით კი აღმოაჩინა, რომ მისი ტრუსიკი და ფეხსაცმელები ვიღაცას მოეპარა, ამიტომ ის წავიდა გალანტერეაში, სადაც ცისფერთვალება პრინცის ჯინაზე დაუყოვნებლივ შეიძინა ახალი ტრუსიკი და ფეხსაცმელები.

აი, მეხი კი დაგაყარე, პრინცო!

გენერლების კორპუსთან მომხდარ ინციდენტს დიდი რეზონანსი არ მოჰყოლია. მიიჩნიეს, რომ ვიღაც ხულიგანმა ან ხულიგნებმა რაღაც სითხე მიასხეს სახლს, რის შედეგადაც ჩაიმტვრა რამდენიმე ფანჯარა, ხოლო ის, რომ გენერალ ხარლამპიევის ოთახში ვიღაც იყო შესული, ეს თვით გენერალმა და მისმა მეუღლემ დაუმალეს გამოძიებას. არაფრით არ აწყობდა გენერალს იმის გამხელა, რომ მას სახელობითი პისტოლეტი ფაქტიურად უბრძოლველად წაართვეს ან მიზეზს როგორ გაამხელდა სირცხვილით: მას ხომ მაიონეზისებური სითხით გაწუწვით დაემუქრა ვიღაც უშარვლო, პატარა კაცი, მან კი, გენერალმა კაცმა, სიმხდალე გამოავლინა და სახელობითი, საბჭოთა ხელისუფლებისა და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის ნაჩუქარი პისტოლეტი გაატანა.

იარაღი იმ დროს მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო აყვანილი – ყოველი პისტოლეტი, შაშხანა თუ ავტომატი, სანადირო იქნებოდა ეს, საბრძოლო თუ საპოლიციო, ინომრებოდა, მაგრამ გენერლისთვის, რა თქმა უნდა, არ იყო ძნელი ნებისმიერი იარაღის შოვნა, საჭიროების შემთხვევაში ხარლამპიევს შეეძლო ერთი ეშელონი იარაღი ეშოვა. ამიტომ მან საწყობიდან გამოიტანა ზუსტად ისეთივე პისტოლეტი, როგორიც იყო მისი

სახელობითი; პისტოლეტს მხოლოდ ნომერი ჰქონდა სხვა. სხვა ქალაქში, სადაც მას არ იცნობდნენ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა გააკეთებინა ზუსტად ისეთივე ოქროს ფირფიტა თავისი პატარა ოქროს სჭვლებით და დიდის მონდომებით და სიფაქიზით, სპეციალური საჭრისით საკუთარი ხელით ამოტვიფრა უკვე ცნობილი წარწერა.

შემდგომ ვსევოლოდ კირიანოვიჩი პირადი თხოვნისა და მისი ყოვლისშემძლე მეუღლის ტატიანა ივანოვნას კავშირების წყალობით გადაიყვანეს მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროში სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების გასაგრძელებლად. ხარლამპიევი თბილისიდან მოსკოვს გადაბარგდა, მაგრამ თუმცა გულღრძო კაცი არ იყო, სიბრაზე და ჯავრი გორგასლის ქალაქზე მაინც დაიტოვა.

ნუ პა-გა-ძი-ი!!!

რაც შეეხება მის საქციელს სახელობითი იარაღის სხვა იარაღით შეცვლისა და ყალბწარწერიანი ოქროს ფირფიტის დამზადებასთან დაკავშირებით: რა თქმა უნდა, ეს ამორალურობა და უკანონობა იყო, მეტიც – ეს იყო სისხლის სამართლის დანაშაული; კანონით ის ამისათვის არმიიდან გაგდებას და ციხეში ჩასმას იმსახურებდა. თუმცა მისი გაგებაც შეიძლება: ხარლამპიევს უბრალოდ არ ჰქონდა სხვა გზა. ცხოვრებაში ზოგჯერ დგება ისეთი მომენტები, როცა ადამიანი იძულებულია წავიდეს საზოგადოდ კანონისა და საკუთრივ თავისი სინდისის წინააღმდეგ, რადგან სხვა გზა აღარ დარჩენია. გენერალ ხარლამპიევსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა. წლების მანძილზე ვსევოლოდ კირიანოვიჩს სდევდა შიში – შიში იმისა, რომ ოდესმე, ადრე თუ გვიან, მის საიდუმლოს აეხდებოდა ფარდა: ის საშინელი, შავი ჯუჯაკაცი მისი სახელობითი იარაღით ჩაიდენდა რაიმე დანაშაულს – მოკლავდა ვინმეს, გაძარცვავდა... ადრე თუ გვიან ეს იარაღი სამართალდამცავ ორგანოებს ხელში ჩაუვარდებოდათ და მაშინ გენერალ ვსევოლოდ კირიანოვიჩ ხარლამპიევის კარიერაც დასრულდებოდა. თუმცა გენერლის შიშები ფუჭი იყო – ზაკომ ნადავლი პისტოლეტი კარგად შეინახა და კარგად ინახავდა.

გავიდა წლები: ზაკო ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში: შენ-

ყვიტა კედლების გათეთრება, მოეკიდა საქმეს, შეირთო ცოლი, რომელმაც გაუჩინა თორმეტი შვილი – ქალი ზორბა და გამ-ძლე გამოდგა და ბავშვებიც დედას დაემსგავსნენ აღნაგობით, მხოლოდ დედისა და მამის სულ ბოლო სიხარული პატარა ტატიკო ჰგავდა მამას, ისიც მასავით პატარა და შავი იყო თანაც, მამისა არ იყოს, სულ ჭუჭულაზე იკიდებდა ხელს.

რა თქმა უნდა, არ აკლდა ზაკოს პრობლემებიც – ეს გადასახადებიო, იქ სწავლის ფულიო, ხან კბილი დასაპლომ-ბიო, ჩაცმა და ჭმევა ამდენი ხალხისა ხომ სულ ქანცის გამწ-ყვეტი ჩანდა. თუმცა ზაკო მაინც ართმევდა თავს. სამუშაო, მადლობა ღმერთს, ჰქონდა – რძის პროდუქტების მწარ-მოებელ ფირმაში მუშაობდა იგი დისტრიბუტორად და სამ-თვლიანი მაცივარ-მოტოციკლეტით ამარაგებდა სავაჭრო წერტებს – ალბათ ეს ბედის ირონია იყო – მაიონეზით, ოღონდ ამჯერად უკვე ნამდვილით და არა ისეთით, როგორითაც ის ერთ დროს ათეთრებდა კედლებს. ზაკოს მოსწონდა თავისი საქმე, უყვარდა ხალხი, რომლებთანაც უხდებოდა ურთიერ-თობა, უყვარდა, როცა გულღიად ესალმებოდნენ და თავადაც გულღიად იცოდა მისალმება. დაჰქონდა ზაკოს თავისი სამთვ-ლიანი მაცივარ-მოტოციკლეტით მაიონეზი და თუ რომელიმე ოხუნჯი და ხუმრობების მოყვარული ქალი ხანდახან ჰკითხ-ავდა ზაკოს:

– ზაკო, მაიონეზი ასეთი თხელი რად არი?

ზაკო მას პასუხობდა კეთილად და ალერსით:

– ეჰ, გულო-ჯან, მაიონეზი სქელი აქ არი!

ასე ცხოვრობდა ზაკო.

და აი, ამ დროს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომი, რომელიც ზაკოს არნახული გმირობა რომ არა, შესაძლოა მესამე მსოფლიო ომშიც კი გადაზრდილიყო.

ამ ომის შესახებ სხვადასხვანაირად წერენ და ლაპარაკობენ, სხვადასხვანაირად აფასებენ: ამართლებენ ან ამტყუნებენ და ალბათ კიდევ დიდხანს ვერ გაარკვევენ მტყუანს და მართალს, რადგან ყველას, რომ იტყვიან, ქვეყანაზე თავისი სიმართლე აქვს.

ზაკოსაც ჰქონდა თავისი სიმართლე. მას არ აინტერესებდა

ომის მიზეზები. მან იცოდა მხოლოდ, რომ თბილისზე მოდიოდა უზარმაზარი მილიტარისტული ქვეყნის უძლიერესი არმია – არმია, რომელსაც ერთ დღეში შეეძლო აღეგავა გორგასლის ქალაქი ან არ აღეგავა, მაგრამ, სამაგიეროდ, მუხლებზე დაჩოქილი მამაკაცების თვალწინ გაეუპატიურებინა ქალები და დაეხოცა ბავშვები. არავინ უწყოდა გააკეთებდა ეს არმია ამას თუ არა. მაგრამ ყველამ უწყოდა, რომ მას ეს შეეძლო. ზაკო ამგვარ შესაძლებლობას ვერ დაუშვებდა – ის თბილისელი კაცი იყო და თორმეტი შვილის მამა. აქ იყო მისი სახლი...

ზაკოს არ ჰყავდა მოკავშირე, ან შეიძლება კიდევაც ჰყავდა, მაგრამ ახლა არ იყო მოკავშირეების ძებნის დრო. საჭირო იყო დაუყოვნებელი მოქმედება, რათა არ მომხდარიყო ის, რისი დაშვებაც ზაკოს არ შეეძლო.

... მაგრამ როგორ?!

... როგორ?! როგორ და ასე: ზაკომ მოუხმო ოჯახის წევრებს, გაამწკრივა ისინი და ყველას თვალწინ დალეწა მამისეული მყარი მაგიდა, მერე ამ მაგიდის ფეხით დალეწა უნიტაზიც; მერე ამოაწო დამტვრეულ უნიტაზში მაგიდის ფეხი, ჭუჭყიან მილში შეყო ღრმად და კარგად გამოგანგლა განავალში. მხოლოდ ამის შემდეგ დაელაპარაკა ოჯახის წევრებს. მან აუხსნა მეუღლესა და შვილებს, რომ ხდება ისეთი რაღაც, რაც არ უნდა მოხდეს! არ უნდა მოხდეს არანაირად, არც ერთ შემთხვევაში არავითარი გარემოების გათვალისწინებით. არა! მაგრამ ეს ხდება და ზაკომ არ იცის, რა მოიმოქმედოს. ზაკოს არა აქვს არავისი და არაფრის იმედი. ზაკომ იცის, რომ ნებისმიერი, იმ ძალის საწინააღმდეგო, მისი ქმედება უაზრობაა. უაზრობაა ისიც, რის გაკეთებასაც ახლა აპირებს. მაგრამ მან არ იცის რა მოიმოქმედოს სხვა!

ზაკო მარტო მიდის რუსის ჯარის შესაჩერებლად. ის მძღნერიანი ჯოხით გადაუდგება მტერს და არ მისცემს უფლებას და საშუალებას დაუკითხავად შევიდეს მის სახლში, გადმოყაროს თეთრეული და ფეხებით იაროს ბავშვების სათამაშოებზე. ამ სიტყვებზე ზაკო წავიდა. მაშინ მისმა უფროსმა ბიჭებმაც, რომელთა შორის ყველაზე უფროსი უკვე თითქმის ოცისა იყო, მოამტვრიეს მაგიდას ფეხები, მათაც ამო-

განგლეს ეს ფეხები განავალში და მამას აედევნენ, აედევნა მათ მათი დედაც ატატებული პატარა ტატიკოთი, წუწკუნითა და ტირილით მათ აედევნენ დანარჩენი ბავშვებიც. ზაკო მიიწევდა წინ და არ იხედებოდა უკან. მაგრად ბღუჯავდნენ განავლიან ჯოხებს ბიჭებიც, ჭუჭულას იწელავდა და რაღაცას ლუღლუღებდა პატარა ტატიკო; ხელიხელჩაკიდებული გოგონები ეხმარებოდნენ და ენაცვლებოდნენ დედას ტატიკოსა და მისი გარშოკის დაჭერაში. ხალხი მორბოდა იქიდან აქეთ, ზაკო კი ჯიუტად მიიწევდა იქით. ისინი მიდიოდნენ ფეხით. ქართულ გამშვებ-საკონტროლო პუნქტებთან რამდენჯერმე სცადეს მათი შეჩერება სამხედრო პოლიციელებმა და ქართველმა მებრძოლებმა, მაგრამ ზაკო ზიზღით იშორებდა თავიდან ყველას.

– ბიჭო, მოგკლავენ, ბიჭო სად მიდიხარ?! – უყვიროდნენ მას უნიფორმაში გამოწყობილი მკაცრი, გაგულისებული ადამიანები, მაგრამ უშვებდნენ, რადგან ვის ეცალა მაშინ მისთვის.

– ვერ მომკლავენ, ვერა, – უყვიროდა უკან დარჩენილ უნიფორმიანებს უკანმოუხედავად ზაკო, – მე მართალი ვარ! მე მომკლავენ იქ, თუ დავრჩები; შემოვლენ ჩემს სახლში, დამიმტვრევენ ნივთებს, გადმოყრიან და ჩექმებით ივლიან ლოგინებზე, შემიშინებენ ბავშვებს, მე კი კედელზე ხელებმიწყობილს, დამამცირებლად ფეხებგაჩაჩხულს მაყურებინებენ ყველაფერ ამას... მერე მომკლავენ; მომკლავენ და დამაფსავენ ზევიდან.

გაიარეს იგოეთი, გორი, ერგნეთი და ბევრი ის ადგილი, სადაც უკვე შემოსულიყვნენ მტრის პატარ-პატარა და დიდ-დიდი შენაერთები, მაგრამ ზაკო მიიწევდა ცენტრალური როკის გვირაბისკენ მიმავალ გზაზე და მას რატომღაც აღარავინ აჩერებდა. ქართველი სამხედროები უკვე შორს იყვნენ, რუსებს კი მათთვის არ ეცალათ, ისინი ჯოხებით შეიარაღებულ, ბავშვებიან სამოქალაქო პირებს არ ერჩოდნენ, რადგან ეს უკანასკნელნი თავიანთი ლტოლვილები ეგონათ: ქართველები ხომ სამხრეთისკენ გამორბოდნენ, ზაკოს ოჯახი კი ჩრდილოეთის მიმართულებით გადაადგილდებოდა.

რა თქმა უნდა, ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებუ-

ლიყო... უცებ გზა თითქოს შეწყდა და ზაკომ დაინახა აუარება რაოდენობის ტანკი, ბეტეერი და სხვა ჯავშანტექნიკა, სამხედრო-სატვირთო მანქანები და მათზე ჩაბმული ზარბაზნები თუ ჰაუბიცები. პატარა ლიახვის დიდსა და დიდი ლიახვის პატარა ხეობებში ტევა აღარ იყო სამხედროების და სამხედრო ტექნიკისა. ეს ძალა მოიწევდა სამხრეთისკენ. ეს იყო ძირითადი ბირთვი რუსული არმიისა, რომელსაც უნდა აღეგავა თბილისი და დაეპყრო საქართველო მთლიანად. ამ ძალას წინ გადაუდგა ზაკო შაროევი თავისი განავლიანი ჯოხით.

– გაწიეთ ტანკები! მოშორდით აქედან! – იყვირა ზაკომ.

– დავაი ნახუი! – აყვირდნენ უფროსი ბიჭებიც. ქალებმა და შედარებით პატარა ბიჭებმა წამოკრიფეს ქვები და დაუწყეს ტანკებს სროლა, პატარა ტატიკომ გამოწელა თავისი ჭუჭულა და დაუმიზნა ტანკისტებს.

ტანკისტებმა გააჩერეს ტანკები, ამოყვეს თავები და ინტერესით დაუწყეს ყურება დამთხვეულ სამოქალაქო პირებს. გამოჩნდნენ მოტომსროლელები.

– ვინ ხართ და როგორ მოხვდით აქ?! – იკითხა პოდპოლკოვნიკის პაგონებიანმა მოტომსროლელმა ოფიცერმა.

– მე ვინ ვარ? – იკითხა გაოცებულმა ზაკომ, – ჰე, ერთი ამას დამიხედეთ. მე ამ ქვეყნის მოქალაქე ზაკო შაროევი ვარ! შენ ვილა ხარ ან აქ რა გინდა! გინდა ეხლა ეს მძღნერიანი ჯოხი თავში ჩაგარტყა?

ოფიცერი გაშრა.

– ჰო, რას მიყურებ, გააჯვი ეხლა აქედან და ტანკი ნაზატ, თორემ გლაზა ვიჩიჩქნუ სუ-უ-კა!

პოდპოლკოვნიკი წაეპოტინა პისტოლეტის ბუდეს, მაგრამ ინანა, წაპოტინება იყო და ზაკოს ჯალაბმა იმისთანა გნიასი ატეხა, რომ შემცბარმა ოფიცერმა პისტოლეტით ხელში რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ზაკომ და მისმა ჯგუფმა განავლიანი ჯოხები, გარშოკები, ქვები, კიდევ რაღაც ნივთები მოიმარჯვეს და რამდენიმე ნაბიჯით წაიწიეს წინ. მოთხოვნა ერთი იყო: – ტანკი ნაზატ!

ამასობაში მოცვივდნენ სხვა სამხედრო მოსამსახურეები – ოფიცრები და რამდენიმე მეავტომატე. მათ სცადეს

ერთობ შემცბარი პოდპოლკოვნიკისგან გაეგოთ, თუ რაში იყო საქმე, მაგრამ პოდპოლკოვნიკი თავადაც ვერ გარკვეულიყო, ის გაოგნებული შეჰყურებდა უცნაურ სამოქალაქო პირებს. ამის შემდეგ ოფიცრები მიუბრუნდნენ სამოქალაქოებს და ვინაიდან ზაკო ჯგუფში უფროსი ჩანდა, მას მოსთხოვეს აეხსნა, თუ რა ხდებოდა იქ. ზაკომ მათ იგივე უთხრა, რაც პოდპოლკოვნიკს და მოთხოვნაც გაუმეორა: – ტანკი ნაზატ! ადგილი ჰქონდა აგრეთვე მძღნერიანი ჯოხების მოღერებას და პატარა ტატიკოს გარშოკში ნაქნავის შესხმის მცდელობას. ოფიცრებიც და მეავტომატეებიც იყვნენ სამხედროები, მაგრამ არა მკვლელები, მათაც ჰყავდათ ცოლ-შვილი და ახლა საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი – არ იცოდნენ რა ეღონათ. მთელი ოჯახის უმოწყალოდ ამოხოცვის ნებას მათ სინდისი არ აძლევდათ. უფროსმა ოფიცერმა უბრძანა მეავტომატეებს კონდახებით გაეყარათ ზაკოაანნი, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა, რადგან ხელჩართულ ბრძოლაში განავლიანი ჯოხი კონდახზე ბევრად უფრო ეფექტური იარაღია. მეავტომატეები ფეხს ითრევდნენ და შორიდან უღერებდნენ ზაკოაანთ მუშტებსა და კონდახებს. ახლოს მისვლას კი ერიდებოდნენ, რადგან განავლიანი ჯოხი რომ მოხვედროდათ, მერე ვინ გაუძლებდა თანამებრძოლთა გაუთავებელ დაცინვებს.

– ე-ე-ე, კოლია, კიდე მოგინდა მძღნერიანი გრუზინსკი ჯოხი გოგრაში, ბლიად?! – ჰკითხავდა დაზარალებულს თანამებრძოლი, – ჰო, მაგრამ, შენც ხომ კოლია ხარ, ნახული, ბლიად?

უპასუხებდა კოლია კოლიას ბურტყუნით: – კი, ნახული ბლიად, მეც კოლია ვარ, ბლიად, ნახული, მაგრამ მე ტყვიით მაინც დამჭრეს, იობანი ვროტ, მაგ იობანი გრუზინებმა, შენ კი... ნახული ბლიად...

– ო, ო, ბლიად ნახული, დაგჭრეს თორე შენც ღირსეულ ადგილში დაგჭრეს, რა, ნახული, ხო იცი! – ჩაიცინებდა ნიშნის მოგებით კოლია.

– ჰო, ტრაკში დამჭრეს, ნახული, მერე რა, მაგ იობანი-გრუზინებმა ყველაფერი მხოლოდ ტრაკში იციან, ნახული, მაგრამ მძღნერიანი ჯოხი მაინც მეტისმეტია ჯენტლმენისათვის, ბლიად! აბა წარმოიდგინე, ნახული, ბლიად, ჩადიხარ მშობლიურ

ირკუტსკში და შენს საყვარელ მაშკას ეუბნები: გრუზინებმა – ყოპარეზინებმა მძღნერიანი ჯოხით, ნახუი ბლიაძ, მცემეს – ბე-ე-ე!“

ხუმრობა იქით იყოს და ზაკოს დაუფიქრებელმა ჩანაფიქრმა საწყის ეტაპზე გაამართლა, ზაკომ ნაბიჯ-ნაბიჯ, მისხალ-მისხალ, მართალია, გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ მაინც დაახევინა რუსებს რამდენიმე ათეული მეტრით. ზოგჯერ რუსებიც აქტიურობდნენ, ისინი ჰაერში ისროდნენ და ლამის მიბჯენით უმიზნებდნენ ავტომატებს, და მაშინ ზაკოაანი იხევდნენ ცოტათი უკან, ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად. ყველაზე ღირსეული კი ამ შეტაკებაში იყო პატარა უშარვლო ტატიკო, რომელიც უდარდელად უღიმოდა რუს ოკუპანტებს და უმიზნებდა მათ თავის პატარა ჭუჭულას, რითაც ძალიან ამხიარულებდა როგორც ერთი, ისე მეორე დაპირისპირებული მხარეების მებრძოლებს.

ტანკები, რასაკვირველია, უკან არ დაუწევიათ, მაგრამ ფეხოსანი ჯარი ზაკოს სახალხო ლაშქარმა აშკარად შეავიწროვა.

არიან ადამიანები, რომლებიც არ ჩანან ხოლმე დიდ არენაზე; მათ არ იცნობენ და მათზე არ ლაპარაკობენ ან კარგად არ იცნობენ და კი ლაპარაკობენ, მაგრამ ბევრს არა. ეს ადამიანები კი მსოფლიოს განაგებენ ან თუ არ განაგებენ, ყოველ შემთხვევაში, დიდწილად ზემოქმედებენ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებზე. აი ასეთი კაცი იყო – ასეთ კაცად ჩამოყალიბდა ჩვენი ძველი ნაცნობი გენერალი ვსევოლოდ კირიანოვიჩ ხარლამპიევი. ის თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა და ეკავა უმნიშვნელოვანესი პოსტი ამ უწყებაში. ოფიციალურად ემორჩილებოდა მხოლოდ უმაღლეს მთავარსარდალს ანუ რუსეთის პრეზიდენტს და თავდაცვის მინისტრს, მაგრამ ფაქტობრივი გამგებელი რუსეთის არმიისა იყო ის. ხარლამპიევს როკის გვირაბით შემოეყვანა უზარმაზარი არმია საქართველოში და ახლა თბილისისკენ მოემართებოდა ტრიუმფალური სვლით. ამ ქალაქის მიმართ მტრული განწყობა ჯერაც არ განელებოდა და ახლა მასზე და მის მაცხოვრებლებზე გეგმავდა ჯავრის ამოყრას. ხარლამპიევი პატარა ლიახვის პირას დაბანაკებუ-

ლიყო და სხვა გენერლებთან და რამდენიმე მაღალი რანგის ოფიცერთან ერთად ბუნების წიაღში იხემსებდა. გენერლებს ედგათ სამოვარი, ნება-ნება იხემსებდნენ, სვამდნენ ჩაის და ერთმანეთში საუბრობდნენ შენობით. მათი მეთაური გენერალი ხარლამპიევი იყო მხიარული, თანამებრძოლების მიმართ – გულისხმიერი, გულღია და ნაღდი; მხოლოდ ხანდახან კრთომით გამოხედვაში, მოულოდნელ სწრაფ მოძრაობაში, დრონიადაგ სულ ოდნავ შემცბარ ხმაში ძალიან დაკვირვებული ადამიანის თვალი შენიშნავდა, რომ გენერალში იყო რაღაც ყალბი; რაღაც ისეთი, რის შესახებაც იცოდა მხოლოდ მან და რისი გამჟღავნებაც მას არავისთვის შეეძლო; არასდროს. ჩექმები იყო ნაღდი, ლომპასებიც, კიტელი, პაგონები და ჯილდოები ნაღდი იყო, ნაღდი იყო გენერალიც და მხოლოდ სახელობითი პისტოლეტი მის კაბურაში – იყო ყალბი.

ყალბი.

სროლისა და ჩოჩქოლის ხმამ მოტრაპეზე გენერლებამდეც მიაღწია. ხარლამპიევმა თანამეინახეებს გადახედა, ხმაურის მიზეზი იკითხა და კაცი გააგზავნა ამბის გასაგებად. მას მალე მოახსენეს, რომ მოსულია ვიღაც დამთხვეული, მოუყვანია თან მთელი ოჯახი და რუსეთის არმიას უპირებს გაყრას. – ოჰო! – გადახედეს გენერლებმა ერთმანეთს, – ეს საინტერესოა, ამხანაგებო, – წარმოთქვა თვითკმაყოფილმა ხარლამპიევმა, – არ გინდათ ვნახოთ? – ვნახოთ, ვნახოთ, ამხანაგო გენერალო! ეს რაღაც მართლაც ახალია და საინტერესო!

ხარლამპიევი წელში გაიმართა. სხვა დანარჩენი გენერლებიც წამოიშალნენ ზაკოს და მისიანების სანახავად.

– მაშ ეს შენა ხარ ზაკო შაროევი, რომელსაც გადაგიწყვეტია რუსეთის ჯარს ომი გამოუცხადო?! – მიმართა დამცინავად გენერალმა ხარლამპიევმა ზაკოს.

– დიახ, ეს მე ვარ ზაკო შაროევი, ამ ქვეყნის მოქალაქე და მოვითხოვ თქვენი ჯარების უკან გაყვანას! ტანკი ნაზატ!!!

გენერალი დაფიქრდა, მერე კაბურა გაიხსნა, პისტოლეტი ამოიღო, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და ზაკოს დაუმიზნა.

– მე მეცოდება შენი ოჯახი, ზაკო, – უთხრა გენერალმა

შაროევს მოწყენილი ხმით, – მაგრამ ერთმანეთში გადახლართული უამრავი გარემოება მაიძულებს გავაკეთო ის, რაც მევალება, შენი თავხედობა კი ხელს შემიწყობს ამაში; მე ვალდებული ვარ, აქვე, შენი ოჯახისა და ამდენი ხალხის წინაშე ჩემი ხელით დაგხვრიტო, რათა სხვამ არ მიბაძოს შენს მაგალითს, ხოლო ჩემს მეომრებს არ შეექმნათ ისეთი წარმოდგენა, რომ მათი მეთაურები თითით არიან ნაკეთები. თქვი შენი უკანასკნელი სიტყვა, ზაკო შაროევო, და მერე მე პირადად ჩემი ხელით ყველას დასანახად მოგკლავ აი ამ ჩემი პისტოლეტით.

– ეგ არ არის შენი პისტოლეტი, – მოულოდნელად უპასუხა ზაკომ გენერალს, მერე განავლიანი ჯოხი გვერდზე გადადო, პერანგის კალთა აიწია და რაღაც თეთრი ამოიღო იქიდან. ეს თეთრი ნივთი, რომელიც ზაკოს ქამარში ჰქონდა გაჩრილი, იყო ტატიანა ივანოვნას ტრუსიკში გახვეული გენერალ ხარლამპიევის სახელობითი იარაღი.

ზაკომ აუჩქარებლად ჩაიდო ტრუსიკი ჯიბეში, პისტოლეტი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა, გენერალს ოქროს ფირფიტაზე ამოტვიფრული წარწერა დაანახვა და დაუმიზნა.

ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ პატარა, მტვრიანი, ბევრი სიარულით გადაღლილი, გასავათებული ზაკო და დიდი, მედიდური, გაკრიალებული, ნაპატივები გენერალი. მათ მიზანში ჰყავდათ ერთმანეთი ამოღებული.

ერთი ერთზეც რომ ყოფილიყვნენ, გენერალი აშკარად ჯაბნიდა ზაკოს. ის გამოწვრთნილი საკადრო ოფიცერი იყო და ჩემპიონი სროლაში, ზაკო კი მაიონეზის დისტრიბუტორი მხოლოდ და მხოლოდ. გარდა ამისა, ხარლამპიევს ზურგს უმაგრებდა უზარმაზარი მილიტარისტული ქვეყნის უძლიერესი არმია, ხოლო შაროევს გარშოკებით, ქვებითა და განავლიანი ჯოხებით შეიარაღებული ერთი მუჭა ქალები და ბავშვები. მაგრამ ზაკოს არ ეშინოდა გენერლისა, იმიტომ რომ პისტოლეტი, რომელსაც ის გენერალს უმიზნებდა, იყო ნაღდი, ხოლო ის პისტოლეტი, რომელსაც უმიზნებდა გენერალი მას, იყო ყალბი... ეს მთავარი უპირატესობა იყო ზაკოსი, კოზირი, რომელიც ყველა დანარჩენ ბანქოს ჭრიდა.

ეს იარაღი რომც არ ჰქონოდა, მაინც არ ეშინოდა ზაკოს. მას ჰქონდა კიდევ განავლიანი ჯოხი, რომელსაც ის დაუფიქრებლად აიღებდა და თავში ჩასცხებდა თავხედ გენერალს, მერე დაერეოდა მის მოადგილეებს, დანარჩენებს – ყველას, ვინც გაბედავდა და წინ გადაუდგებოდა. ამის დანახვაზე ზაკოს წამოეშველებოდნენ თავისიანები და ისინი ერთად უკუაგდებდნენ მტერს. მას ვერ – არათუ „არ" არამედ „ვერ" – მოკლავდნენ პატარა ტატიკოს თვალწინ; ვერანაირად, ვერც ერთი ერთმანეთში გადახლართული გარემოებების გათვალისწინებით; ვერასოდეს, ოღონდ ერთი პირობით: ის არ უნდა შემდრკალიყო.

ყველანი გაოგნებულნი უყურებდნენ გენერალს და ზაკოს.

გენერალი გაშრა. პისტოლეტი დაუშვა. დამშვიდდა. ზაკოს დაღლილი მზერა მიაპყრო, დაახლოებით ორმოცდახუთი გრადუსით შეტრიალდა და ნელი სვლით წავიდა. ზაკოსკენ არც მოუხედავს, ისე ანიშნა გამომყევიო. ზაკომაც დაუშვა პისტოლეტი და აედევნა გენერალს.

ამას ხედავდა ზაკოს ოჯახი და უამრავი სამხედრო.

– მაშ, ეს შენ იყავი, შაროევო? – მიმართა მან ზაკოს ისეთი ტონით, როგორითაც მიმართავენ ხოლმე ადამიანს, რომელიც მოსისხლე მტერი იყო ერთ დროს. მაგრამ ახლა ის ძველი მტრობა დროის მიერაა მოშუშებული და სასიამოვნო ან არასასიამოვნო მოგონებადაა გარდაქმნილი.

– ჰო, მე ვიყავი! – უპასუხა ზაკომ.

– იარაღს ხომ არ გამიცვლი, მე ამას მოგცემ, შენ ეგ მომეცი! – უთხრა თბილი ღიმილით ხარლამპიევმა.

– კარგი, ოღონდ ტანკები გაიყვანე! – უპასუხა ზაკომ.

– ო-ო, არ გამოვა ეგრე! – ჩაიცინა გენერალმა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი. შენ ხომ ხედავ და კარგად იცი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც გაცილებით ძლიერი ვარ შენზე. შენ მართალი ხარ, მაგრამ შენ ვერ დაამტკიცებ მაგ შენს სიმართლეს. ეგ პისტოლეტი ნაღდია, ეს კი ყალბი, მაგრამ ამათთვის, – და გენერალმა თავისი სამხედროებისკენ გაიშვირა ხელი, – ეს არის ნაღდი. ვერც შენ და ვერც მე

ვერ შევძლებთ საწინააღმდეგოს დამტკიცებას. შენ რომ პირი დააღო და ყველაფერი დაფქვა, ენას ამოგაძრობენ და გაგაქრობენ. შენი სიმართლე რომ დავადასტურო, მეც გამაქრობენ. მე გმირი ვარ, გესმის, უძლიერესი მილიტარისტული, მტაცებელი სახელმწიფოს გმირი. ეს სახელმწიფო არ დაუშვებს, გაგონებასაც არ მოისურვებს იმისა, რომ მის გმირს ვიღაც ზაკომ სამარცხვინო ვითარებაში აართვა სახელობითი იარაღი.

– რას მთავაზობ, გენერალო? – ჰკითხა ზაკომ.

გენერალი ჩაფიქრდა და უპასუხა:

– ყველაფერი, რაც ხდება, უკეთესობის საწინდრად ხდება, ჩვენც მოდი მივყვეთ მოვლენების თავისთავად განვითარებას. ამ უზარმაზარ ლავას მე და შენ მაინც ვერ გავაჩერებთ. მოდი გადმოდი ჩემს მხარეზე და მე სამხრეთ ოსეთის განთავისუფლების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაგაჯილდოებ კოსტა ხეთაგუროვის პირველი ხარისხის ორდენით; დაგნიშნავ ზნაურის პროკურატორად, დაგინიშნავ ჯამაგირს და ჩემი ჯარები დაიცავენ შენს ოჯახს მარად.

– არ მინდა კოსტა ხეთაგუროვის ორდენი და არ მინდა ზნაურის პროკურატორად! – აყვირდა ზაკო, მან პისტოლეტიანი ხელი მომუჭა და გენერალი ხარლამპიევი ნელ-ნელა ხელახლა ამოიღო მიზანში.

ახლა მხოლოდ ზაკო უმიზნებდა გენერალს. ხარლამპიევს აღარ ამოუღია მიზანში ზაკო.

– რაში გჭირდება ეს ყველაფერი? რატომ ცდილობ მომაკვლევინო თავი და ამომაწყვეტინო შენი ოჯახი?! შენ ხომ ქართველი არც ხარ? ვიღაც ქურთი თუ აისორი ხარ! რა, იმათზე კარგი ხარ განა, თავქუდმოგლეჯილები, კურდღლებივით, რომ გაგვირბოდნენ! ნუთუ ასე ცუდია ზნაურის პროკურატორობა?! – ეკითხებოდა გენერალი.

– მე იმათზე კარგი ვარ, დიახ, კურდღლებივით რომ გაგირბოდნენ, მარტო მე ვარ კაცური კაცი ზაკო შაროევი, მე და ის ვაუკაცები, გმირულად რომ დაეცნენ უთანასწორო ბრძოლაში, და ისინი, ვინც ბრძანებას დაემორჩილნენ და უკან დაიხიეს. დანარჩენებისთვის კი კურდღლობაც არამია, რადგანაც ქათმები არიან ისინი! ზნაურის პროკურატორობა კარგია, მაგრამ

მე თბილისელი კაცი ვარ და იქაა ჩემი სახლი. – თქვა ზაკომ.

– ჩემი სახლი, ჩემი სახლი, – გამოაჯავრა გენერალმა შაროევს, – შენ რაღატო შეურაცხყავი ჩემი სახლი – შემოძვერი ჩემს სახლში, გააშიშვლე ჩემი მძინარე ცოლი, მოიპარე მისი საცვალი და უსინდისოდ, უტიფრად, ლაჩრულად და ქამურად გაიქეცი!!! – ამას რომ ამბობდა, გენერალი ნელ-ნელა მრისხანდებოდა, პისტოლეტიან ხელს სახიფათოდ მუჭავდა და შაროევს ხელახლა იღებდა ნელ-ნელა მიზანში.

ისინი ერთხანს უმიზნებდნენ პისტოლეტებს ერთურთს სახეში. შემდეგ ზაკომ ნელ-ნელა დაუშვა თავისი იარაღი, დახარა თავი და თქვა:

– მე არ ვიყავი მართალი! ჩემი საქციელი არ იყო ადამიანური მაშინ! უსინდისოდ, უტიფრად, ლაჩრულად და ქამურად მოგექეცი. მაპატიე და შემინდე, თუ შეგიძლია, – ამ სიტყვების წარმოთქმისას ზაკო ნელ-ნელა დგებოდა მუხლებზე და, აი, ის უკვე მუხლებზე იდგა გენერლის წინაშე, – ან ნუ შემინდობ თუ ეგრე გეიოლები, მაგრამ ნუ მომკლავ პატარა ტატიკოს თვალწინ.

გენერალი თავში უმიზნებდა დაჩოქილ ზაკოს.

– მაშინ გამატარე!

– ვერ გაგატარებ!

ამ სიტყვებზე ზაკო წამოდგა ფეხზე. გენერალს დამიზნებული პისტოლეტი არ მოუცილებია, ისე იკითხა:

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე რომ შენ გაგატარო, მერე მოვა კიდევ სხვა შენნაირი და ახლა ის დამნიშნავს ზნაურის პროკურატორად ან კიდევ რაღაცად, მომანიჭებს კოსტა ხეთაგუროვის ორდენს ან რომელიმე სხვა ჯილდოს ან არც არაფერს მომანიჭებს და ისე, დაუკითხავად შემოვა ჩემს სახლში ყველაფრის მოუნიჭებლად: უსინდისოდ, უტიფრად, ლაჩრულად და ქამურად! მე ვერ დავუშვებ ამას! ეს დაუშვებელია!

ამას ამბობდა უკვე წელში გამართული, ამაყად თავაწეული, თვალის თვალში გაყრით მომზირალი ზაკო. ზაკო თვალებში უყურებდა გენერალს, უფრო კი პატარა, შავ ღრმულს ხარლამპიევის პისტოლეტის ლულაში.

– მაშინ შენ მოკვდები! – თქვა გენერალმა და ორივემ გაიგონა გენერლის პისტოლეტის სასხლეტის ზამბარის ო-ოდნავი მოჭიმვით გამოწვეული გასროლის წინა წკაპანი, სულ უმნიშვნელო ძალდატანება და ზაკოს შუბლში წარმოიქმნებოდა ისეთივე დიამეტრის შავი, პატარა ღრმული, როგორიც ხარლამპიევის პისტოლეტის ლულაში.

ზაკომ ნელა, მაგრამ დაბეჯითებით ასწია იარაღი და თავადაც დაუმიზნა ხარლამპიევს შუბლში. თვალი თვალში გაუყარა გენერალს და შეუვალი ტონით წარმოთქვა:

– ტანკი ნაზატ!

გენერალმა კიდევ უფრო მიაბჯინა ლულა შუბლზე ზაკოს და კბილებში გამოსცრა:

– გამატარე!!!

– ტანკი ნაზატ!!! – შეუვალი ტონით უპასუხა ზაკომ და ღონივრად მიბჯენილი ლულა კიდევ უფრო მიაბჯინა გენერლის შუბლს.

– შენ მეტი არავინ არის?! რას გადამეკიდე, დამთხვეულო!!! რაღა მარტო შენ გადამიდექი გზაზე! სხვები სადღა არიან?! ერთი კაცი ბრძოლის ველზე მებრძოლი არ არის, იცოდე!!! – ყვიროდა გენერალი, რომელსაც უნდა ითქვას, ალბათ ძალიანაც არ ეშინოდა სიკვდილის, მაგრამ ვერც მოსაკლავად იმეტებდა ზაკოს.

– სხვებიც ბევრნი დაგხვდებიან მძღნერიანი ჯოხებით! იცოდეთ ეს! – პასუხობდა ზაკო.

– გამატარე!!!

– ტანკი ნაზატ!!

– გამატარე!!!

– ტანკი ნაზატ!!!

გენერალმა იარაღი დაუშვა, ნერვიულად გაიარ-გამოიარა, სხეულზე ჩაცმულობა და აღჭურვილობა გაისწორა. ჩვეული წესით კიტელზე პეწი შეიბერტყა და თავისიანებს ომახიანად შეუძახა:

– ტა-ა-ნკი ნა-ა-ზატ!!!

გაოგნებულები შესცქეროდნენ მას რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები, მათთვის გაუგებარი და მოულოდნელი იყო ის, რაც

ახლა მათ თვალწინ ხდებოდა, მაგრამ გენერალ ვსევოლოდ კირიანოვიჩ ხარლამპიევს არ ჰქონდა ახსნა-განმარტებების დრო და სურვილი. მან თავისი ბრძანება კიდევ რამდენჯერმე გაუმეორა ხელქვეითებს მკაცრად და გინებაც მიაყოლა ზედ.

ტანკები თუხთუხით გაიძურწნენ, გაიძურწა სხვა ჯავშან-ტექნიკაც, წავიდნენ ქვეითებიც. გენერალმა კიტელი და ჰალსტუხი შეისწორა, შემდეგ ხელი საფეთქელთან მიუტანა ზაკოს და მისი ოჯახის წევრებს სამხედრო სალამი მისცა. მერე თითქოს გაახსენდაო, მივიდა, პატარა ტატიკოს მოეფერა, წამით დაყოვნდა, მერე კი შეტრიალდა და თავისიანებს აედევ-ნა სწრაფი, სამხედროებისთვის დამახასიათებელი ნაბიჯით.

ზაკო გამოუდგა. წინ გადაუდგა და მისი სახელობითი პის-ტოლეტი ხელში ჩაუდო. გენერალმა პისტოლეტი ხელში შეა-თამაშა.

– გავცვალოთ? – იკითხა ღიმილით და კაბურიდან ის იარა-ღი ამოიღო, რომელიც სხვებისა და საკუთარი თავის მოსა-ტყუებლად ამდენი წელია ჰქონდა.

– არ მინდა! – უპასუხა ზაკომ. მერე კი ღიმილით დააყ-ოლა, – მე ჩემი იარაღი თან მაქვს!

– რომელი იარაღი? – აჰყვა ხუმრობას გენერალიც, – მძღნე-რიანი ჯოხი?!

– არა, ეს! – უპასუხა ზაკომ და იმ ადგილზე დაიხედა, სადაც თავისი უღალატო იარაღი ეგულებოდა.

– ო-ო-ო, ეგ კი მართლა მაგარი იარაღი გაქვს, თერმობირ-თვული; პისტოლეტი კი მართლაც არ გჭირდება, ცეცხლსასრო-ლი იარაღი სამხედროების საქმეა. – თქვა გენერალმა.

ზაკოს მოერიდა ცოლის ტრუსიკის შეთავაზება გენერლ-ისთვის, მაგრამ გენერალმა თავად შეახსენა ზაკოს:

– იმას არ მიბრუნებ?

– რას?

– რას და რის გამოც მაშინ სახლში შემომიძვერი!

ზაკომ მორცხვად ამოიღო ჯიბიდან ტრუსიკი და გენერალს გაუწოდა. გენერალმა ტრუსიკი ხელში შეათამაშა, გაწელ-გამოწელა, რეზინს სიმაგრე და ელასტიურობა მოუსინჯა და

ჯიბეში ჩაიდო. გადავცემ ამას ტატიანა ივანოვნას და მოკითხვასაც გადავცემ შენგან. ამის შემდეგ ერთხანს ილაპარაკეს ზაკომ და მან, გაიხსენეს ბევრი რამ, იცინოდნენ, გამოჰკითხეს ერთმანეთს რაღაცეები, ზოგჯერ, როგორც ძველმა მეგობრებმა იციან ხოლმე, მუშტებსაც კი ურტყამდნენ მსუბუქად ერთმანეთს, ძიძგილაობდნენ და ხითხითებდნენ. მერე კი გულითადად გადაეხვივნენ, სამხედრო და სამოქალაქო სალამი მისცეს ერთურთს და წავიდ-წამოვიდნენ – ერთი ჩრდილოეთისკენ, ხოლო მეორე სამხრეთისკენ.

თბილისში დაბრუნებულ ზაკოს და მის ოჯახს, როგორც გმირებს, ისე შეეგება თბილისი და მთელი საქართველო. გორში დაუხვდნენ გადახდილი ლიმუზინებით და ზაკო, როგორც გაგარინი, იდგა ფეხზე გადახდილ ლიმუზინში, ხალხი კი ყვავილებს ესროდა მას. შემდეგ იგი მიიღო პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც აღტაცებას ვერ მალავდა მისით. სააკაშვილმა მაშინვე დააჯილდოვა ზაკო „ოქროს საწმისის“ ორდენით, ხოლო ოჯახის დანარჩენ წევრებს, მათ შორის პატარა ტატიკოსაც, მიანიჭა ღირსების ორდენი.

პუტინმა და მედვედევმა სარკოზის წაქეზებით დიდად შეაქეს ხარლამპიევის ერთპიროვნული გადაწყვეტილება საქართველოდან საოკუპაციო ჯარების ძირითადი ბირთვის გამოყვანასთან დაკავშირებით, რადგან თავდაპირველი, ნაჩქარევი გეგმა თბილისის დარბევისა და საქართველოს მთლიანად დაპყრობის შესახებ, გამოიწვევდა მესამე მსოფლიო ომს, რომლის წარმოებისთვისაც რუსეთს რესურსები არ ეყოფოდა იმ ეტაპზე. ხარლამპიევი გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოვეს ნიკიტა ხრუშჩოვის სახელობის მშვიდობის ორდენით.

ტატიანა ივანოვნამ ბევრი იცინა ვსევოლოდ კირიანოვიჩის ნაამბობზე ზაკოს შესახებ. ის სულ კისკისებდა და ამ კისკისში ლოყები უვარდისფრდებოდა. მერლინ მონრო ეგეთი ქალია. ის არ ბერდება. ის მუდამ ვიღაცის ცოლია, ვიღაცის საყვარელია; სახელებს იცვლის, გვარებს იცვლის, კაცებს იცვლის... ტრუსიკებს იცვლის... მაგრამ ის ყოველთვის ახალგაზრდაა, ის ყოველთვის ლამაზია, ის ცოცხალია...

ტატიანა ივანოვნა კალთაში ჩაუჯდა ივან კირიანოვიჩს და

ხმადაბალი კისკისით ყურში ჩასჩურჩულა თხოვნა, რომელზე-დაც მეუღლემ სიცილითვე უპასუხა თანხმობით. თხოვნა კი მდგომარეობდა იმაში, რომ ტატიანა ივანოვნა ითხოვდა ნებართვას ქმრისგან, გაეგზავნათ ზაკოსთვის საჩუქრები და ამ საჩუქრებთან ერთად ის ტრუსიკიც, რომელიც ზაკომ თავის დროზე გაიტაცა მათი საძინებლიდან. ასეც მოიქცნენ. სხვადასხვა საჩუქრებთან და ტკბილეულობასთან ერთად გენერალმა და გენერალშამ ტრუსიკიც გაუგზავნეს ზაკოს. ზაკომაც გაუგზავნა მათ ამანათი ტყლაპით, გოზინაყით, ჩურჩხელებით, კარალიოკის ჩირით და სხვა ადგილობრივი ტკბილეულობით. ნუ, თავისი ტრუსიკი ზაკოს, რასაკვირველია, არ გაუგზავნია...

ამანათით მიღებული ტრუსიკი ზაკომ ელეგანტურ ჩარჩოში მოათავსა და კედელზე ჩამოკიდა. მან იცოდა, რომ ტატიანა ივანოვნა ძალიან ჰგავდა მის საყვარელ კინომსახიობს მერლინ მონროს, მაგრამ სამწუხაროდ, ზაკომ არ იცოდა, რომ ტატიანა ივანოვნა კი არ ჰგავდა, არამედ მართლა იყო მერლინ მონრო. ეს რომ სცოდნოდა, დაუკავშირდებოდა სოტბის აუქციონს, შეატყობინებდა მათ, რომ აქვს მერლინ მონროს ტრუსიკი. ჩამოვიდოდნენ სოტბის აუქციონის წარმომადგენლები, ჩაუტარებდნენ ექსპერტიზას ტრუსიკს და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ ეს მართლაც მერლინ მონროსია, გაუყიდიდნენ ორ მილიონ დოლარად.

იქ, სოტბის აუქციონზე, სულ ეგეთი რაღაცეები იყიდება: მერლინ მონროს ტრუსიკი და ასე შემდეგ. აბა, მაროს ნიფხავს ვინ გაიტანს სოტბის აუქციონზე? ან რომც გაიტანონ, გაიყიდება? თუმცა, თუ მაინც გაიტანეს და კლიენტი გამოჩნდა, მარო ნახევარ ფასშიაც მისცემს.

იყიდეთ ჩვენი სულები

(რომანი-ბალადა)

1

გაისმა ურდულის მჭახე ხმა და ნაცნობი ბრახუნი. ეს არ იყო კარმუშკა. ეს კარის ხმა იყო. როტვეილერსიფათა ზედამხვედელი პაშა, მისთვის ჩვეული დაუდევრობით, უხეშად აღებდა კარს.

– ისევ ტენიან! – ჩაიბურტყუნა ვიღაცამ.

– რას იზამ, ზამთარი მოდის და იჭერენ უსახლკაროებს! – გაეპასუხა იმ ვიღაცას ვიღაც მეორე.

კარი მალე გაიღო და საკანში ერთი აჩაჩულ-დაჩაჩული, კაფანდარა კაცი შემოვიდა. მას ცალ ხელში პატარა ტომარა (ტორბა) ეჭირა, ხოლო მეორეში შპალერის რულონივით დახვეული სიფრიფანა ლოგინი. პატიმრის ტომარა ზომითა და მოცულობით დიდ ქისას უფრო ჰგავდა, თამბაქოს შესანახს, ხოლო ლოგინი წარმოადგენდა ნებოვან პლედს, თხელ ლეიბს და სუნიან ბალიშს. ამ არასასიამოვნო რულეტის შუაგულიდან მოჩანდა, აგრეთვე, გაყვითლებული „ვაფლის“ პირსახოცი, ალუმინის უყურო, ჭვარტლით გაშავებული საეტაპო კრუშკა და ალუმინისავე კოვზი, გალესილი, დაბრეცილი ტარით.

– სტარშოი, რა არის, რა ამბავია, – შესჩივლა ვიღაცამ ზედამხედველს, – აქ ოცი ადგილია, თქვენ კი უკვე ოცდამერვეს ტენით!

– არა უშავს, უფრო თბილად იქნებით! – წაექილიკა ზედამხედველი მომჩივანს.

– გამოუძახე დეპეენკას, – გაგულისდა პატიმარი, – შენ რა გენაღვლება, დადიხარ და აკუებ არხეინად მთელი დღე დერეფანში!

ზედამხედველმა კისერი მოიქექა. ის მართლაც ხშირად აფრქვევდა ხოლმე მავნე გაზებს მორიგეობის დროს, რასაც თან ერთვოდა მისი ხმამაღალი, ყროყინისებური სიცილიც.

– მე სახელმწიფო სამსახურში ვარ და ამიტომაც ვალდებული ვარ, ომახიანად გავაკუო, – ახსნა თავისი საქციელი პაშამ, – ეს იმას ნიშნავს, რომ პოსტზე არ მძინავს! აი, თქვენ კი შეგიძლიათ მუჭში ჩააკუოთ!

პაშა საგრძნობლად გახალისდა, რადგანაც საუბარმა მისთვის სასურველი ფორმა მიიღო და ბინძურ ლაზღანდარობად იქცა.

– ისე, კარგად კი გამოგდის, პაშკო, ალბათ ძალიან მხნედ ხარ?!

– ნუ-უ, ზამთარს გამოვიზამთრებ!

ამგვარი ლაპარაკები ხშირად იმართებოდა პაშას მორიგეობის დროს. მას უყვარდა პატიმრებთან შეღრენ-შეყეფვით ქილიკაობა და სიამოვნებით ტკბებოდა ამით. პატიმრებმა ეს იცოდნენ და ცდილობდნენ კარგ გუნებაზე ჰყოლოდათ ჭირვეული ზედამხედველი – როტვეილერსიფათა პაშა, ადამიანი, რომელიც მხოლოდ მაშინ გრძნობდა თავს კარგად, როცა მას ლანძღავდნენ და, რასაკვირველია, თვითონაც ლანძღავდა და აგინებდა ვინმეს. ადმინისტრაციის თანამშრომლებიც კი, რომელთა უმრავლესობაც არ გამოირჩეოდა დიდი კულტურულობით, პაშას მიიჩნევდნენ დებოშიორად და ხულიგნად. ამ ზედამხედველის მორიგეობის დროს ხშირად ისმოდა ღვარძლიანი გადაძახილი და ბილწი ხუმრობა, კვიმატი პატიმრები უწყალოდ თათხავდნენ პაშას. პაშა კი თავის მხრივ თათხავდა მათ. პაშა ხშირად რამდენიმე საკანს ერთდროულად უმკლავდებოდა სიტყვიერ პაექრობაში.

– პაშა, მოდი რა, მართლა გამოუძახე დეპეენკას, – ეხვეწებოდა გამხიარულებულ პაშას ერთ-ერთი პატიმარი, – მიდი, თორემ ეგენი სულ გაგიჟდნენ!

– არა, დეპეენკას ვერ გამოვუძახებ, ბიჭებო, მით უმეტეს, ახლა, მალე პერესმენკაა, – გაიმართლა თავი პაშამ, – აი, ივანიჩია აქ და, თუ გინდათ, მაგას დაელაპარაკეთ.

სამმა თუ ოთხმა პატიმარმა პაშას ღონიერი მკლავის ქვე-

შიდან და ზევიდან ერთდროულად გაყვეს თავები დერეფანში და კორპუსის უფროს ივანიჩს გასძახეს.

ივანიჩი მოვიდა.

– ზდაროვა ხლოპცი!

– ივანიჩ! ივანიჩ! – ანუწუნდნენ პატიმრები, – რა არის ეს, ივანიჩ! უკვე ოცდამერვე რომ შემოტენეთ, რა ამბავია?! რა, თქვენ ეს კამერა ბეზრაზმერნი ხომ არ გგონიათ?! თქვენ აქ მალე თაროებსაც ჩამოკიდებთ.

– თუ საჭირო გახდება, თაროებსაც ჩამოვაკიდინებთ, – განაცხადა კორპუსნოიმ, – და ყველაზე ყბედებს იმ თაროებში ჩავსხამთ!!!

– ვერ ჩასხამთ, ივანიჩ, ის დრო აღარ არის, ახლა დემოკრატიაა და ჩვენც საჩივარს დავწერთ გაეროში!

– გაეროშიც დაწერეთ და სპორტლოტოშიც იჩივლეთ, – ულაპარაკოდ დასთანხმდა კორპუსნოი, – ოღონდ რომის პაპთან არ იჩივლოთ!

– რატომ, ივანიჩ, რომის პაპთან რატომ არ უნდა ვიჩივლოთ?

– რა ვიცი, მაინც ხნიერი კაცია, ხომ იცით, – დაუდევრად უპასუხა ივანიჩმა, – ერთი მაგისი დედაც! – თან კარტოთეკებს ჩაჰკირკიტებდა.

– მკრეხელობ, ივანიჩ, რომის პაპს აგინებ?!

– ხლოპცი, არ მცალია სალაზღანდაროდ!

კორპუსის უფროსს მართლაც არ ეცალა. არ ეცალა იმიტომ, რომ ახალი ხალხი ჰყავდა საკნებში განსათავსებელი და ამას გარდა, ერთ საათში ცვლაც უნდა ჩაებარებინა. რაც შეეხება დეპეენკას გამოძახებას, არც ამას მოითხოვდნენ პატიმრები მაინცდამაინც დაჟინებით, რადგანაც იცოდნენ, რომ ეს არ უშველიდათ. იყო გვიანი შემოდგომა და ციხეებიც ხალხით ივსებოდა, იმ ხალხით, რომლებსაც ტრობალიოტები ჰქვიათ, რომლებიც ზამთრობით ციხეში იზამთრებენ მანანნალობის მუხლით, ექვსი თვით, ხოლო ზაფხულობით ლაღად დახეტიალობენ ამ უკიდეგანო მიწაზე.

კორპუსნოი დერეფანში გავიდა, პაშამ კარი ჯახუნით ჩაკეტა. საკანი დაშოშმინდა.

– გამარჯობათ, ბიჭებო! – წარმოთქვა ახალმოსულმა საკმაოდ თამამად და ამავე დროს რაღაცნაირად გაუბედავად, დაბნეულად, ლუღლუღით.

– გაგიმარჯოს! – გაეპასუხნენ მას ზოგიერთები უხასიათოდ და ცალყბად.

– როგორ არის საქმეები? – იკითხა ახალმა ისევ ისე საკმაოდ თამამად და ამავე დროს თითქოს გაუბედავი ლუღლუღით.

პატიმრებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩეჩეს.

– საქმეები პროკურორთანაა! – გასცა პასუხი ერთ-ერთმა.

– უხ ეგ საძაგელი, ეგ ტუტუცი, – აფხაკუნდა ახალი, – უდისციპლინო!

– ვის ლანძღავ, გაკვირვებით და ერთგვარი კმაყოფილებით ჰკითხეს მას პატიმრებმა.

– როგორ თუ ვის? როგორ თუ ვის? – გაიკვირვა თავის მხრივ ახალმა, – რა თქმა უნდა, პროკურორს და ამას კითხვა რად უნდა?!

პროკურორების ლანძღვა-გინება, პატიმრებს, რასაკვირველია, უყვართ. მაგრამ ამ ახალი კაცის მოჩვენებითმა გაწიწმატებამ კარგ გუნებაზე დააყენა კამერის ბინადართა დიდი ნაწილი, მათ მას ყურადღება მიაპყრეს. უნდა ითქვას, რომ ეს კაცი ეშმაკს ჰგავდა: იყო კაფანდარა, მეჩხერკბილება, მკერდჩავარდნილი, ყვითელთვალება და ცხვირმონგრეული. მისი ანთებული, სანთლისმაგვარი, გამჭოლი თვალები, მართალია, ტემპერატურას არ გამოყოფდნენ, მაგრამ მაინც თითქოს წვავდნენ ყველაფერს თავიანთი არაჯანმრთელი, შიზოფრენიული ცეცხლით; ყველაფერს, თვით ამ კაცის უსახო სახის ჩათვლით. მას თითქოს დამწვარი ჰქონდა წარბები, გუგები და ცხვირ-პირი თავისი თვალების მხურვალე ცეცხლისგან. მომხდურს გამოჰკითხეს ვინაობა, სადაურობა, ის, თუ რა დანაშაულისათვის იყო თავისუფლებააღკვეთილი, და გამოუყვეს არაპრესტიჟული ადგილი სადღაც პარაშასთან ახლოს, რადგანაც დაასკვნეს, რომ ეს იყო, ასე ვთქვათ, „ჩორტ ზაკატაი ვატუ“, თანაც დასტვენილი, რომელსაც ერთი ვალეტი აშკარად სადღაც დაჰკარგვოდა.

ეს სამი რუსული სიტყვა: „ჩორტ ზაკატაი ვატუ" პირდაპირი

მნიშვნელობით ითარგმნება, როგორც „ეშმაკო, გადაახვიე ბამბა“. ამას სჭირდება განმარტება: საქმე ის არის, რომ ციხის დაუწერელი წესებით, პატიმრები არ არიან თანასწორუფლებიანნი, ისინი იყოფიან მასტებად, ანუ კატეგორიებად. ჩორტები, ესე იგი ეშმაკები – ითვლებიან დაბალი კატეგორიის ხალხად. ეს ის ხალხია, რომლებსაც ციხეში ავიწროებენ, ატყუებენ, დასცინიან და შეძლებისდაგვარად უწევენ ექსპლუატაციას. რაც შეეხება ბამბის გადახვევას – როგორც ცნობილია კარცერებში, საჯარიმო იზოლატორებსა და ზოგიერთი ციხის ლაზარეთში მოწევა აკრძალულია. პატიმრებს თამბაქოსა და ასანთის ღერებს ართმევენ, ამიტომ ისინი ასანთის უქონლობისას სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, მაგალითად, უკიდებენ ანთებული ნათურიდან; ან აკეთებენ პატარა მოკლე ჩართვას ელგაყვანილობაში, მაგრამ თუ ნათურა მინის პლაფონშია მოქცეული, ხოლო მავთულები საიმედოდაა კედელში იზოლირებული, მაშინ მიმართავენ ცეცხლის მოპოვების ყველაზე უფრო რთულ მეთოდს – ბამბის, ასე ვთქვათ, ახვევ-აკატავებას. ეს მეთოდი ძალიან ჰგავს პირველყოფილი ადამიანების მეთოდს. ლეიბიდან ან ბალიშიდან იღებენ ცოტაოდენ ბამბას, მას ოდნავ ახვევენ, დებენ მაგიდის გლუვ ზედაპირზე და ფიცრით, ფანერით ან, მაგალითად, ჭადრაკის დაფით, ასე ვთქვათ, გააკატავებენ, დაახლოებით ისე, როგორც ლითონის მილების დამზადებისას. ამ მარტივი პროცესის სიტყვით აღწერა ძნელია, თუ ნანახი არა აქვს კაცს. ცეცხლი ბამბას არ ეკიდება პირველი ცდისთანავე. ეს მომქანცველი საქმეა და საჭიროებს სიმარჯვეს, მოთმინებას და გამოცდილებას. ბამბის ახვევა-აკატავებას ავალებენ ეგრეთ წოდებულ ჩორტებს, უფრო სწორად კი, ჩორტებს შორის ყველაზე უფრო დაბეჩავებულებს და დამყოლებს, იმათ, ვინც, როგორც წესი, გვის და ალაგებს საკანს, გააქვს ნაგავი და აგროვებს წყალს, ეფარება ზურგით გლაზოკს, როდესაც სხვები თამაშობენ კარს, ან აკეთებენ რაიმე ისეთს, რა არ უნდა დაინახოს დერეფანში მყოფმა ზედამხედველმა. თვით ეს ფრაზა – „ჩორტ ზაკატაი ვატუ“, ალბათ ცოცხალი ფრაზაა, ანუ ის ცხოვრებიდან უნდა იყოს აღებული. წარმოვიდგინოთ შინაგან საქმეთა სამინის-

ტროზე დაქვემდებარებული პატარა საავადმყოფო, მაგალითად, ფსიქიატრიული, ციცი პალატა, რამდენიმე უბედურით მასში, რომლებსაც არაფერი აცვიათ, თეთრი საავადმყოფოს საცვლების გარდა, რომლებიც შეყუჟულან სიფრიფანა საბნების ქვეშ და დღეში ხუთჯერ მაინც დამცინავად და აბუჩად აგდებით ითხოვენ-მოითხოვენ-ბრძანებენ „ჩორტ ზაკატაი ვატუ". ჩორტი კი – ერთი ვიღაც საწყალი, შპრიცით უწყალოდ საჯდომდაჩხვლეტილი, ნახევრად შეშლილი ავადმყოფი გაცხარებით აკატავებს ბამბას, თან გლაზოკისკენ იყურება, რომ ზედამხედველმა ან სანიტარმა არ დაინახოს, რადგანაც თუ „დაინვა", მას ელის სასჯელი – სულფაზინი, ამინაზინი ან ალაპირიდოლი გასამმაგებული დოზით.

„ეშმაკუნას" პროტესტი არ გამოუთქვამს არაპრესტიჟული ადგილის გამო, ის სადღაც პარაშის სიახლოვეს განთავსდა თავისნაირ ეშმაკებს შორის, მეორე იარუსზე აძვრა და თავისებური ფუსფუსი დაიწყო: ტომრიდან ამოიღო პატარა ქუდი, იქიდანვე ამოიღო რაღაც ფუნჯისმაგვარი და ნახვრეტში, რომელიც ქუდში იყო დატანებული, გაუყარა, შემდეგ ქუდი თავზე დაიხურა და გამოუვიდა რაღაც ანტენის მაგვარი რამ. დაჯდა ასე ლოგინზე და უცნაურ ბუტბუტს მოჰყვა. „მორდა, მორდა, მე ვარ კირპიჩი, გიახლოვდები, მორდა! – ჩასძახოდა ის პირთან მიტანილ ასანთის კოლოფს, – მორდა, მორდა, გესმის ჩემი, მორდა?!"

პატიმრები ალმაცერად გაჰყურებდნენ კიდევ ერთ დამთხვეულს, რომელიც ალბათ, როგორც ყველა დამთხვეული, მანანწალობის მუხლით იჯდა, ადგილს ტყუილად იკავებდა, სუნთქავდა დეფიციტური ჟანგბადით და იყო კამერისათვის არასასურველი, რადგანაც არ იყო ის არაფრის კარგის მომტანი, აქედან გამომდინარე, უკვე ავტომატურად ხდებოდა ცუდი.

საკანში მოვლენები ჩვეული ტემპით ვითარდებოდა. ყველა თავისთვის ფუსფუსებდა და დერეფნიდანაც აღარ ისმოდა ჩოჩქოლი. კორპუსის უფროსმა ახლები საკნებში განათავსა. შნირები წაიყვანა და წავიდა. დერეფანში როტვეილერსიფათა პაშა დარჩა მარტო. პერესმენკამდე კიდევ ერთი საათი იყო და ამიტომაც პაშა თავისი საყვარელი გასართობით – ნაგვის

ურნით ფეხბურთის თამაშით იყო გართული, ის მთელი ძალით ურტყამდა კაპრონის ურნას წიხლს და ურნაც ჭურივით დაფრინავდა ცარიელ დერეფანში, ის ეხეთქებოდა კედლებს, საკანთა კარებს. დერეფნის ბოლოში დატანებულ ფანჯრის გისოსებს და გამოსცემდა ერთობ არასასიამოვნო ხმებს. ამას ერთვოდა პაშას ქოშინი და მისივე მძიმე, სამხედრო-საველე ფეხსაცმელების ბრახაბრუხი. პაშას ასეთი ქცევა ბევრს აღიზიანებდა. ზოგს ალბათ ჭკუიდანაც შლიდა. ისინი, განსაკუთრებით, ახლები, პროტესტს გამოთქვამდნენ და ზოგჯერ ჩიოდნენ კიდეც, მაგრამ ქვეყნად არ მოიძებნებოდა ძალა, რომელიც შეძლებდა დაეოკებინა პაშა ცარიელ დერეფანში, როდესაც სრულიად მარტონი რჩებოდნენ იზოლირებულ სივრცეში ის და ურნა. ამ დროს პაშას აღარაფერი ახსოვდა – მხოლოდ ფეხბურთი.

პაშამ ურნა მოხერხებულ ადგილას დადგა, გარბენი აიღო, მარჯვედ დაარტყა და, რომ იტყვიან, გოლი გაიტანა; ურნა ფანჯრის გისოსებს დამიზნებულ ადგილას მოხვდა და პაშამაც გამარჯვების ნიშნად ძლევამოსილად გამოსცრა ქარი. ამას ყველაფერს თან დაურთო ახლა უკვე ხორხისმიერი „უ-უ-ხ!"

ეს ყველაფერი ზემოხსენებული საკნის სიახლოვეს ხდებოდა და რამდენიმე ენაკვიმატმა უკვე დააღო პირი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თავისი კომენტარის გასაკეთებლად. მაგრამ მოულოდნელად ახალმა ყველას დაასწრო და თავისი განსხვავებული, სპეციფიკური ხმით თამამად და ამავე დროს, როგორღაც გაუბედავი ლუღლუღით, საკმაოდ ხმამაღლა, იმდენად, რომ გარეთ ზედამხედველისათვის გასაგონი ყოფილიყო, გასძახა:

– შეუბღალავი საჯდომი ასე არ იზამს! – მერე გაიტრუნა, გაიცინა, მოჩვენებითად დასერიოზულდა და დაამატა, – ჰო, ალბათ შებღალულია! – ისევ გაიტრუნა, ისევ ეშმაკურად გაიცინა, ისევ მოჩვენებითად დასერიოზულდა და ისევ დაუმატა: – ალბათ კი არა, ნამდვილად შებღალულია!

დერეფანი წამით გაირინდა, უფრო სწორად, დერეფანი კი არა, ეს პაშა გაირინდა დერეფანში. მას უცნობი ხმა ჩაესმა ყურში. ეს არ იყო მისი ტრადიციული სიტყვიერი პაექარი, ანუ ის, ვისაც იგი ლანძღავდა და ვისგანაც ღებულობდა ლანძღვას.

ეს ვილაც სხვა იყო, ახალი. ამიტომ პაშა ურნას შეეშვა, საკანს ფეხაკრეფით მიუახლოვდა, „გლაზოკის“ შალითა გადასწია და წარმოთქვა:

– ნუ მიეცემი და შენც ასეთი საჯდომი გექნება!

ეშმაკუნამ სახე კარებისაკენ მოაბრუნა და კმაყოფილებით მოჰყვა ხითხითს, მან არაფერი უპასუხა პაშას. პაშა წავიდა და ფეხბურთის თამაშის გაგრძელება სცადა, მაგრამ არ დასცალდა.

– კი, ნამდვილად შებღალულია, – გაისმა მოპირდაპირე საკნიდან ბოხი, უხეში ხმა, – უუუ-ხა-ხა-ხაა! – ეს სანიოკი იყო, პაშას ტრადიციული პაექარი, ზორბა და ტლანქი, რეგვენი პატიმარი ხასიათით, დაახლოებით ისეთივე, როგორიც პაშა.

– ნეტავი შენ ვინღა გხმარობს... – გასძახა პაშამ ახლა სანიოკს, – ყველაფერში რომ ბოზი ქალივით ეჩრები?

– უუუ-ხა-ხაა!!! – იყო სანიოკის პასუხი.

პაშამ ისევ სცადა ფეხბურთის თამაშის გაგრძელება, მაგრამ ამჯერადაც არ დასცალდა.

– ვიწიოკ! ვიწიოკ! – გაეხმიანა სანიოკი თავის მეგობარს საკანში, რომელიც დერეფნის თითქმის მეორე ბოლოში იყო.

– ჰო, რა იყო? – გასცა პასუხი თითქოსდა ნამძინარევმა ვიწიოკმა დერეფნის ბოლოდან.

– ვიწიოკ, შენ როგორ ფიქრობ, შებღალული აქვს პაშას საჯდომი?

– ვის, ჩვენს პაშას?! რას ამბობ, სანიოკ?! – გაეპასუხა ვიწიოკი, – პაშა რომ ეგეთი იყოს, პოსტზე ვინ დააყენებდა?!

– რა ვიცი, აბა! იქნებ პარტიამ უპატაკა! – არ დაეთანხმა სანიოკი.

– ხოო, ეგ შესაძლებელია, შეიძლება მართლა უპატაკა ან შეუპატაკა! – დაეთანხმა ვიწიოკი, – ამბობენ, ახლა ჟანდარმერიაში ნახმარებსაც ღებულობენო!

– აბა, ენები ჩაიგდეთ, ძაღლიშვილებო, – აყვირდა პაშა, – ჩემზე რაც გინდათ ის თქვით, პარტიას და ჟანდარმერიას კი თავი დაანებეთ!

– ერთი უყურე, უყურე, როგორ ალაპარაკდა მლიქვნელი, ალბათ მართლაც შებღალულია და ახლა ცდილობს ხელმძღ-

ვანელობის გული მოიგოს პოპულისტური განცხადებებით! ალბათ პოპულისტია!

– პოპულისტი კი არა, პიდარასტია!

– გაჩუმდით, ქათმებო, თქვენი კაკანი არ გავიგო!

– ისე, – არ ცხრებოდა სანიოკი, – შენ მაინც რა აზრის ხარ, ვინიოკ, ნახმარია თუ არა ეს ჩვენი პაშა?!

– რა ვიცი აბა, სანიოკ, კუილის ხმაზე მიჭირს მაგის განსაზღვრა, ხოლო სუნს ჩემამდე ჯერ არ მოუღწევია. აი, ცოტა ხანში სუნი რომ მოვა, მერე გეტყვი ზუსტ პასუხს!

ცოტა ხანში მზად იყო ზუსტი პასუხი:

– კი, ნახმარია! შეუბღალავ საჯდომს ასეთი სუნი არა აქვს!

– თან მავნე გაზებთან ერთად ტუბერკულოზის ჩხირებსაც ავრცელებს, – ჩაერთო ამჯერად ლანძღვა-თათხვაში ეშმაკუნა, – ალბათ კავერნა აქვს.

– ვაა-ხა-ხა-ხა! – გაისმა სანიოკის როხროხა სიცილი.

– ვუუ-ხა-ხა-ხა-ხაა! – გაიცინა პაშამაც და ხალისიანად დაურტყა თერთმეტმეტრიანი პენალტი ურნით, – დღეს დილით მე ორი იხვი შევჭამე, ბიჭებო!

– ხოო, აბა, თუ ორი იხვი შეჭამე, მაშინ გეპატიება, პაშკო, – კეთილგანწყობით დაუყვავა პაშას სანიოკმა, – ჩვენ კი სულ სხვა რამ გვეგონა! შენ რას იტყვი, ზემლიაკ, გესმის, ახალო?!

ეს მიმართვა კი უკვე ეშმაკუნას ეკუთვნოდა.

ეშმაკუნამ ეშმაკურად გაიღიმა და დაიძახა:

– რა ვიცი აბა, სანიოკ, მე ცოტათი მაინც როგორღაც ეჭვი მეპარება, მაინც ხომ იცი, ახალი კაცი ვარ, ამიტომ ერთხელ კიდევ რომ ექნა მოქალაქე ზედამხედველს, მაშინ ალბათ განვსაზღვრავდი, ახლა კი მიჭირს ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა.

– მერე ვთხოვოთ უფროსს და კიდევ ერთხელ იზამს, – დაიროხროხა სანიოკმა, – პან-პაშკო, აბა, ერთი კიდევ ბუთქე პუბლიკის ხათრით!

პაშამ ეჭვების გასაქარწყლებლად ერთხელ კიდევ ბუთქა პუბლიკის ხათრით, რითაც არათუ სიტყვიერი პაექრები, არამედ მთელი სართული გაამხიარულა.

– ო-ო-ო-ო, აი ეს მესმის. ვა-ხა-ხა-ხა, კარუზო ხარ, პაშკო! ნამდვილი კარუზო! – შეაქო სანიოკმა ზედამხედველი და უნოდა მას კარუზო (ალბათ კეთილხმოვანებისა გამო).

ასე გავიდა ერთი საათიც და მოუსვენარი, დებოშიორი პაშა შეცვალა უთქმელმა და აღმსრულებელმა ზედამხედველმა, რომლის ზედმეტი ლაპარაკიც არავის გაეგონა და რომელიც არც სხვებს აძლევდა ლაზღანდარობის ნებას. ის კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას და არასოდეს აკუებდა პოსტზე.

ახალმოსულმა ისევ ჩაყო თავის ტომარაში ხელი, ისევ რაღაცა ამოიღო იქიდან, ასევე რაღაც შეინახა და ალბათ კიდევ დიდხანს გააგრძელებდა ფუსფუსს, მაგრამ ამჯერად ის ყურადღების ცენტრში მოექცა, რამეთუ თავისი გამოსვლით საერთო ყურადღება მიიპყრო. მას მოაწევინეს სიგარეტი, აჭამეს პატარა ქონის ნაჭერი შავ პურსა და ნიორთან ერთად და შესთავაზეს ცოტათი უფრო კარგ ადგილზე, კამერის სიღრმეში გადაბარგება, მაგრამ ახალმა უარი თქვა ამაზე.

– მე ეშმაკის მოციქული ვარ, ბიჭებო! – განაცხადა მან, – მეტსახელად ეშმაკუნა მქვია და აქ იმიტომ ვარ, რომ სულები მინდა შევისყიდო! ადამიანთა სულები! სულები ზოგიერთი თქვენგანისა!

პატიმრებმა გაკვირვებით შეხედეს მომხდურს – ახედ-დახედეს, აწონ-დაწონეს, უნდობლად შეათვალიერეს და მერე კი დაწვრილებით გამოჰკითხეს ყველაფერი.

– ყველაფერი ადვილად ხდება, ძალიან ადვილად, უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ. თქვენს სულებს შეისყიდის ჯოჯოხეთის წარმომადგენელი, ხოლო სანაცვლოდ მოგეცემათ ის, რაც მოლაპარაკებით იქნება გათვალისწინებული. რა არის აქ გაურკვეველი, აქ ხომ ყველაფერი მარტივია და გასაგები. მე გამოვუძახებ ეშმაკს, – ჩვენ ერთად გამოვუძახებთ მას, ის შეარჩევს საჭირო სულებს, მოგირიგდებათ ფასზე და ამის შემდგომ იყავით კარგად, ჯოჯოხეთში შევხვდებით, გინდათ?!

– გვინდა!

ბევრს, რა თქმა უნდა, არ უნდოდა და ფიქრადაც არ ჰქონდა

სულის გაყიდვა, ზოგს მხოლოდ გაეცინა უცნობის ნათქვამზე, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც მართლა ჭკუაში დაუჯდათ საკუთარი სულების გაყიდვის იდეა.

იმათაც და ამათაც შეკითხვების კორიანტელი დააყარეს ეშმაკუნას:

– რას გვიზამს ეშმაკი, თუ დავუშვათ, იყიდის ჩვენს სულებს?

– რამდენს გადაგვიხდის?

– რამდენ ხანში გადაგვიხდის?

– არ ვიცი! მე არაფერი არ ვიცი! მე მხოლოდ შუამავალი ვარ! – პასუხობდა ეშმაკუნა.

და მხოლოდ ერთი პატიმართაგანი იყურებოდა უტიფრად და აბუჩად აგდებით. ის პერიოდულად აფრქვევდა რეპლიკებს და რატომღაც დაჟინებით ხელს უშლიდა ეშმაკუნას.

ეშმაკუნამ მას გამჭოლი მზერა მიაპყრო რამდენჯერმე, მაგრამ არაფერი უთქვამს მისთვის.

– ღამის ორ საათზე გამაღვიძეთ და თუკი მართლაც ვინმეს სურვილი გაქვთ სულის გაყიდვისა, ამაში დაგეხმარებით. მე გამოვუძახებ ეშმაკს, – ამ სიტყვებზე ეშმაკუნამ სიფრიფანა ბალიშის ქვეშ თავისი პატარა ტომარა ამოიდო, დაწვა, გადაბრუნდა და დაიძინა.

კამერის ბინადართა შორის მაინცდამაინც დიდი მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია ახალმოსულის უცნაურ სიტყვებს, რადგანაც ციხეში ათას დამთხვეულს შეხვდებით და ყველას თუ ყურადღება მიაქციე, თავად გახდები დამთხვეული. კამერა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა: მიდიოდა თამაში, ჩაის მოხარშვა და ბაზარ-ვაგზალი. ერთადერთი უმნიშვნელო ინციდენტი, თუ ეს ინციდენტად შეიძლება ჩაითვალოს, იყო ის, რომ ერთ-ერთ პატიმარს, სწორედ იმას, რომელიც შეეცადა დაეცინა ეშმაკუნასათვის, რატომღაც ასტკივდა მარცხენა კვერცხი. პირველი არასასიამოვნო შეგრძნება მას კარტის თამაშის დროს დაეუფლა. ეს შეგრძნება არ იყო ტკივილი, იმდენად უმნიშვნელო იყო იგი, მაგრამ მალე ეს შეგრძნება ტკივილში გადაეზარდა, თანაც ისეთ აუტანელში, რომ კაცი იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა და ნარზე დაწოლილ-

იყო. ცოტა ხანში მას კვერცხი საგრძნობლად დაუსივდა და მალე ის უკვე ყმუოდა ტკივილისაგან. ამის შემხედვარე პატიმრებმა კარზე დააბრახუნეს, რათა ზედამხედველს ციხის ფერშალი გამოეძახა. კანონის აღმასრულებელმა ზედამხედველმა უპრობლემოდ გამოუძახა ციხის ფერშალს. ფერშალი მოვიდა. ავადმყოფი დერეფანში გაიყვანეს. ფერშალმა შეათვალიერა მისი დასივებული, ერთისამად გადიდებული კვერცხი, ჩაიწერა მისი გვარი, გაუკეთა გამაყუჩებელი ნემსი – ანალგინი თუ რაღაც ამგვარი, რომელმაც აბსოლუტურად არ უშველა ტკივილს და დაჰპირდა დილით გამოძახებას ექიმ-დერმატოლოგთან, თუ ვიღაც კიდევ „ოლოგთან", – ერთი სიტყვით იმასთან, ვინც კვერცხებს მკურნალობს. შემდგომ ამისა, ავადმყოფი უკან დააბრუნეს საკანში. ის ბორძიკით მილასლასდა ნართან, დაწვა და დილამდე კვნესოდა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე გაიღვიძა ეშმაკუნამ. მან თავისი ბებერი სოკოსავით ჩამოღვენთილი სიფათი პარაშაზე დამონტაჟებულ ონკანთან კატასავით მოიბანა და მეორე იარუსზე აძვრა.

– რა ვქნათ, ძმებო, – დაიძახა მან ხმამაღლა და შემოჰკრა ტაში, – გამოვუძახოთ ეშმაკს თუ არა?!

– გამოვუძახოთ! გამოვუძახოთ! – გაისმა შეძახილები აქეთ-იქიდან, – გამოუძახე მაგის დედაც!

– საქმე ის არის, რომ – დაიწყო ეშმაკუნამ, – ეს არაა ადვილი საქმე, მე თქვენი დახმარება დამჭირდება. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავუძახოთ ეშმაკს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაფერი გამოვა.

– მერედა როგორ?! მერედა როგორ?! – ყვიროდნენ პატიმრები.

– როგორ და, ჯერ ერთი, ყველამ უნდა მოიხსნათ ჯვრები, ვისაც კი გიკეთიათ! შემდგომ ამისა, ჩვენ ყველანი დავწვებით ნარებზე და ჩუმად, ჩვენს გონებაში გამოვუძახებთ ეშმაკს! ვთხოვთ მას მოსვლას! გაწყობთ?!

– გვაწყობს!

მართლაც მოიქცნენ ასე, როგორ თქვა ეშმაკუნამ: ყველამ, ვისაც კი ჯვრები ეკეთა, მოიხსნა და ნარებზე დაწვა, მხოლოდ

ერთადერთი პატიმარი დარჩა ჯვრიანი. მას ამ დროს ეძინა და მისი ჯვარი არავის გახსენებია. საკანში ახლა სიჩუმეს მხოლოდ კვერცხდასივებულის კვნესაღა არღვევდა. ყველამ საკუთარ გონებაში დაუწყო ეშმაკს გამოძახება. მოულოდნელად მძინარე, სწორედ ის, რომელსაც ჯვარი ეკეთა, ძილში აბორგდა და ძაფს, რომელზედაც ჯვარი ეკიდა, ხელი წაატანა, ჩამოგლეჯა სცადა. კაპრონის მაგარი ძაფი არ დაემორჩილა მას, კისერი ატკინა და გამოაღვიძა.

– რა ხდება?! – იკითხა მან ნამძინარევმა და შეშფოთებულმა.

თანაკამერელებმა აუხსნეს მას, რაც ხდებოდა, და მანაც, ისევე როგორც სხვებმა, ჯვარი მოიხსნა და ეშმაკის გამომძახებლებს შეუერთდა. ახლა უკვე მხოლოდ კვერცხდასივებულის ხმადაბალი გმინვაღა არღვევდა გამეფებულ ავის მომასწავებელ სიჩუმეს. ავის მომასწავებელს, რადგანაც დაისადგურა რაღაცნაირმა შიშმა. თუმცა საკანში 28 ადამიანი იყო და, მართალია, ენთო დიდი, 250-ვატიანი ნათურა, იქ მყოფებმა თავები რატომღაც მარტოდ იგრძნეს და არც ერთ მათგანს აღარ ჰქონდა ვინმეს იმედი. ისინიც კი, რომლებიც უფრო სეირის საყურებლად დასთანხმდნენ ეშმაკის გამოძახების ცერემონიაში მონაწილეობას, ახლა დასერიოზულდნენ და ცოტათი შეშინდნენ.

მალე კვერცხდასივებულმა ბორგვას უმატა და საშინლად აყვირდა. მას კვერცხი იმდენად დაუსივდა, რომ უკვე შარვლის ტოტშიც აღარ ეტეოდა. დერეფანში კი ამასობაში გაისმა რკინით შეჭედილი, ტლანქი ჟანდარმული ჩექმების აჩქარებული ბრახუნი. ეს ბრახუნი მოახლოვდა და საკანთან შეწყდა. ვიღაცის უხეშმა ხელმა გლაზოკის შალითა გადასწია, მერე ისევ გადმოსწია, მერე კარმუშკის კლიტეს დაეჯაჯგურა, მასში გასაღები ნერვიულად შეყო და კი არ გააღო, არამედ თითქმის ჩამოგლიჯა ბოქლომი. კარმუშკის პატარა, მაგრამ მძიმე კარი ბრახუნით ჩავარდა ძირს და ძირითად კარს მჭახედ შეეხეთქა, ხოლო ღია კარმუშკაში ჯერ არნახული უცხო ზედამხედველის სახე გამოჩნდა.

– რა გაღრიალებთ, თქვენი!!! – დაიღრიალა მან, – რას

ყვირით?! თქვენ რა, დღე და ღამე არ იცით?! მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი!!!

ყველანი გაოგნდნენ, რადგანაც არ მოელოდნენ ამგვარ საყვედურს უფროსისაგან. პირიქით, საკანი ხომ ისე დუმდა, როგორც არასდროს.

– ჩვენ არ გვიყვირია, უფროსო! – წაილუღლუღა ვიღაცამ გაუბედავად.

– რაო, არ გიყვირიათ?! – კოპი კიდევ უფრო შეიკრა უფროსმა, – მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი! კარზე რაღას აბრახუნებდით?! წიხლებს ურტყამდით კარს!!! აბა, ახლა მე გამოვიძახებ ბუცკამანდას და გაიგებთ, თუ როგორ უნდა წიხლების რტყმევა!!!

ამგვარი პერსპექტივა სახარბიელოს არაფერს უქადდა საკანს. ეგრეთ წოდებული ბუცკამანდა იყო სპეციალური რაზმი, რომელიც შედგებოდა ჯანმაგარი და უხეში ახალგაზრდა ჟანდარმებისგან (პაშასნაირებისაგან), რომელთაც ადვილად შეეძლოთ იმ გაკვეთილის ჩატარება, რომელზედაც ნიშნისმოგებით ლაპარაკობდა გაბრაზებული ზედამხედველი.

– უფროსო, უფროსო, – შემრიგებლური კუდის ქიცინით მიეახლა ზედამხედველს ეშმაკუნა, – უფროსო, ნუ გაგვიჯავრდები, ჩვენ გვინდოდა... – და ეშმაკუნა უკვე ჩურჩულზე გადავიდა.

კამერის ბინადართ აღარ ესმოდათ ის, თუ რაზე საუბრობდნენ ზედამხედველი და ეშმაკუნა.

– აბა, გამოდით, სულის გამყიდველებო! – დაიძახა ეშმაკუნამ და საკანს მოუტრიალდა.

ნარებიდან ნელ-ნელა წამოდგა რამდენიმე პატიმარი. ისინი გაუბედავად წარდგნენ ჯერ არნახული ზედამხედველის წინაშე. ზედამხედველმა მათ გამჭრიახი მზერა მიაპყრო. ეს მზერა ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა და მერე ისევ ეშმაკუნას მოუხმო.

ეშმაკუნა ახლა პატიმარს მიეახლა ცუნცულით და ხმადაბალი, აღტაცებული ჭყლოპინით შეეკითხა:

– რას ითხოვ სულის სანაცვლოდ უფროსისაგან?!

– თავისუფლებას! – იყო ხმამაღალი პასუხი.

– თავისუფლებას! თავისუფლებას! თავისუფლებას! – ჭყლო-

პინით გაცუნცულდა ეშმაკუნა ეშმაკისკენ, – თავისუფლებას! – ჩაუჟღურტულა მან მბრძანებელს ყურში. თუმცა ამ უკანასკნელმა ისედაც მშვენივრად გაიგონა პატიმრის ნათქვამი.

ზედამხედველმა თავიდან მოიშორა ბუზივით მოფუსფუსე, აბეზარი ეშმაკუნა თავისი მძლავრი ტორით და თავისუფლების მოყვარულ პატიმარს ერთხელ კიდევ მიაპყრო გამჭრიახი მზერა.

ამის შემდეგ ისევ მოუხმო ეშმაკუნას და ერთხანს კიდევ ეჩურჩულებოდა მას. მერე კარმუშკა ჩაკეტა და წავიდა.

ეშმაკუნა ცუნცულით მიეახლა ახალ სულგაყიდულ პატიმარს, ხელი მონიწებით ჩამოართვა, აღტაცებით ჩახედა თვალებში და გულწრფელი სიხარულით სხაპასხუპით ახარა:

– შენ მიიღებ თავისუფლებას! გილოცავ!

– ჩვენ, ჩვენ, ჩვენზე რაღა თქვა! – აჩოჩქოლდნენ სულის გაყიდვის დანარჩენი მსურველები.

– თქვენი სულების ყიდვა მან არ ისურვა, რადგანაც თქვა, რომ ისინი ისედაც მას ეკუთვნიან.

– როგორ?! საიდან?! – აყვირდნენ პატიმრები, – ჩვენ არასოდეს გაგვიყიდია ჩვენი სულები!

– მე არაფერი ვიცი! – ხელები დაიბანა ეშმაკუნამ.

– მოვიდეს, დაგველაპარაკოს! – ყვიროდნენ გაგულისებული პატიმრები, – აბა, ერთი გვითხრას, თუ როდის მივყიდეთ ჩვენ მაგას სულები.

– უუხ, მაგის დედა! ცოტა იაფად მაინც აეღო, ერთი-ორი პაჩკა ჩაი და სიგარეტი მაინც მოეცა! – ყვიროდა ერთი მოხუცი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა.

– უფროსო, უფროსო! სტარშოი! – ყვიროდა ის და კარებზე აბრახუნებდა, – გესმის? არ წახვიდე! მოდი რა, მოდი! ერთი-ორი კოლოფი ჩაი და სიგარეტი მაინც მოგვეცი, ხომ ხედავ, არაფერი გვაქვს, მოდი რა, მოდი, იაფად მოგცემთ სულებს.

ზედამხედველი მართლაც მობრუნდა, კარმუშკა ხელმეორედ გააღო და მედიდური დამცინაობით ზევიდან ქვევით დახედა მოხუცი პატიმრის ნაცრისფერ სახეს.

– რა გაყვირებს, ბებერო? – ჰკითხა მან მას.

– უფროსო, – მუდარით მიმართა მოხუცმა ზედამხედველს, – თუ ჩემი სული მართლა შენ გეკუთვნის, მაშინ ერთი ორი პაჩკა ჩაი და სიგარეტი მაინც მაჩუქე, თორემ ლამის არის ყურები დამისივდეს!

– ჩაი მე თქვენთვის არ წამომიღია, არც სიგარეტი! შენ კი, ბებერო, დაჯექი და კარტი ითამაშე, გექნება სიგარეტიც და ჩაიც! – უთხრა უფროსმა მოხუცს, – ზიხარ ოცდაათი წელია ციხეში და არ იცი, ჩაი და სიგარეტი როგორ იშოვო!

– ეხ, უფროსო, რაღა დროს ჩემი კარტია, – სხაპასხუპით დაიწუწუნა ბებერმა, – მე ხომ თითები აღარ მემორჩილება, მეხსიერება აღარა მაქვს და თვალებშიც ძლივსღა ვიყურები!

– მაშინ მოემსახურე ვინმეს, გაურეცხე, დაალაგე საკანი! – ურჩია უფროსმა.

– ეხ, უფროსო, ან მაგის ჯანმრთელობა სადა მაქვს, რომ ვინმეს ვემსახურო, იატაკები და ძონძები ვრეცხო! – ისევ დაიწუწუნა აბეზარმა მოხუცმა.

უცხო ზედამხედველი საგრძნობლად გამხიარულდა და ახლა უკვე აშკარად დადგა ლაზღანდარობის ხასიათზე. მან კარმუშკაში შეიხედა, ყველას თვალი მოავლო და როგორღაც უბოროტოდ, არაგამაღიზიანებლად გაეხუმრა მოხუცს:

– იბოზე რამე, ბებერო, დააბეზღე შენი თანაკამერელი და მოგცემ ჩაის!

– აბა, რა ვიბოზო, უფროსო, მე ვინ რას მკითხავს ან ვინ რას მეტყვის, ინფორმატორები კი თქვენ ჩემზე უფრო ბლატიანებიც გყავთ, მე ერთი პატარა მუჟიკი კაცი ვარ! – გაიმართლა თავი მოხუცმა.

– აა, მუჟიკი კაცი ხარ? – ნიშნის მოგებით ალაპარაკდა ზედამხედველი, – მერე მუჟიკი კაცი თუ ხარ, აქ რა გინდა ოცდაათი წელი?! მუჟიკებმა სამი თივის ზვინი შეჭამეს უშენოდ და შენ კი აგდიხარ აქ ამდენ ხანს! თამაში არ შეგიძლია! მუშაობა არ შეგიძლია! ბოზობა არ შეგიძლია! მაშინ აიღე და კოზირი მიეცი! – ამ სიტყვაზე ზედამხედველმა სახეში შესცინა მოხუცს, თუმცა უნდა ითქვას, როგორღაც უბოროტოდ, – ჰო, რას მიყურებ, ადექი და მიეცი! აბა, მე ჩემი ფულით რატომ უნდა გიყიდო ჩაი და სიგარეტები? მე ხელფასი ისედაც პატარა

მაქვს! რა გენაღვლება, მაინც მალე ეტაპით უნდა გაგაგზავნოთ ზონაში – ადექი და მიეცი კოზირი!

– ეეხ, უფროსო, – არ გაბრაზდა ლაზღანდარობის ხასიათზე დამდგარი მოხუცი, – აბა, ან ეს დაჩამიჩებული კოზირი ვიღას რაღად უნდა, ორი პაჩკა მახორკასავით რომ არის დამჭკნარი.

– რატომ, რატომ, მე მგონი ჯერ კიდევ ძალიან კარგ ფორმაში ხარ, მოხუცო! – გაამხნევა იგი მხიარული სიცილით უფროსმა, – თქვენ რას იტყვით, ბიჭებო?

– ეეე, მშვენიერ ფორმაშია, უფროსო!

– ნეტავი რას კეკლუცობს, არ ვიცით?!

– ჩვენ შენ პატივით მოგეპყრობით და პენსიასაც დაგინიშნავთ, სტარინა!

ასე ქილიკობდნენ ზედამხედველი და ბიჭები, ოღონდ რა თქმა უნდა, უბოროტოდ, არა მოხუცის დასაცინად, არამედ – უბრალოდ, დაძაბულ სიტუაციაში ხალისის შესატანად.

– კარგი, ბებერო, კარგი, – თქვა ხუმრობით გულნაჯერებმა, დასერიოზულებულმა და უკვე საგრძნობლად გამედიდურებულმა ზედამხედველმა, – კარგი და მე წავედი, ჯოჯოხეთში შევხვდებით! – ამ სიტყვებზე მან ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, რამდენიმე ღერი სიგარეტი მოხუც პატიმარს ზედ მიაყარა, კარმუშკა კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საბოლოოდ ჩაკეტა და, რომ იტყვიან, მოუსვლელში წავიდა. მოხუცმა ორი ღერი სიგარეტი ჰაერშივე დაიჭირა, ხოლო ძირს გაფანტული ღერების ასაკრეფად მას ოთხ ფეხზე გართხმა მოუხდა. ასე აგროვებდა დაფანტულ სიგარეტებს ოთხზე გართხმული და იატაკიდან აკრეფილ განძს ყურებს უკან ირჭობდა. თან დროდადრო თანაკამერელებს ახედავდა ხოლმე კმაყოფილი, აღტაცებული, უკბილო შტერულ-ბებრული ღიმილით.

მეორე დღე ჩვეულებრივი იყო. ჩვეულებრივ ვითარდებოდა მოვლენებიც. ბევრს არ სჯეროდა გუშინდელი ამბისა, უფრო სწორად, თვლიდნენ, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი დამთხვევა იყო და მეტი არაფერი. სხვათა შორის, კვერცხდასიებულსაც დაუცხრა კვერცხი. ასე იყო საღამომდე, საღამოს კი ცვლა შეიცვალა და მორიგედ ისევ როტვეილერსიფათა პაშა დადგა,

პერესმენკის დამთავრებიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კარსმილმა გამოაცხადეს სულგაყიდული პატიმრის გვარი:

– ნაზრაძე!

– არის ასეთი! – გაეხმიანა სულგაყიდული.

– მოემზადე ნივთებით!

2

ვიქტორ ნაზრაძე, სული რომლისაც ეშმაკმა სამართლიან გარიგებაში პატიოსნად შეიძინა, სართულის მორიგემ, როტ-ვეილერსიფათა პაშამ, საკნიდან გამოიყვანა, კედელთან გააჩერა, ხელების კედელზე მიბჯენა უბრძანა და ფეხები განზე გაადგმევინა. მერე საკნის ტლანქი, ურჩი კარი ჯახ-უნით დახურა და გინებით ორიოდეჯერ წიხლიც მიარტყა, რათა იგი თავის ბუდეში ჩაესვა. ურდული გაუყარა, კედელზე ხელებმიბჯენილ, ფეხებგაჩაჩხულ პატიმარს, ვიქტორ ნაზრაძ-ეს მიუბრუნდა, უკნიდან მიუდგა და ჩხრეკა დაუწყო: ჩხრეკ-და ზერელედ, დაუდევრად, უხეშად. ზერელედ და დაუდე-ვრად იმიტომ, რომ იცოდა, ამ პატიმარს ათავისუფლებდნენ, ხოლო უხეშად იმიტომ, რომ უყვარდა უხეშობა. სართულის მორიგე ბუნებით უხეში კაცი იყო. ვიქტორს სახეში სცემდა ზედამხედველის როტვეილერული ცხვირ-ხახიდან ამომა-ვალი სპირტისა და ხახვის მძაფრი სუნი. სართულის მორიგე, როგორც ყოველთვის, ზარხოშში იყო და მუდამ დაუოკებელს, ახლაც უნდოდა რაიმეთი დაეცხრო ხვაშიადი, მაგალითად: მოწყენილობის გასაქარვებლად, ეთამაშა ფეხბურთი ნაგ-ვის ყუთით, ამოერტყა პანღური შეშინებული შნირისათვის, ვითომდა უხეიროდ მორეცხილი იატაკის გამო, გასაღებების მძიმე ასხმულა ესროლა თავში საკანში მჯდომ პატიმრებთან მოლაპარაკე ბალანდიორისთვის, ანდა ეს საცოდავად ფეხე-ბგაჩაჩხული, კედელთან ატუზული პატიმარი გაეწვალებინა უაზროდ. ის კანონის დარღვევას ეძებდა ყველას საქციელში, რათა შემდეგ თავად მოქცეოდა მათ უკანონოდ. ვიქტორმა იცოდა ეს და ამიტომაც მორჩილად ასრულებდა ზედამხედვე-

ლის ბრძანებებს, არ აძლევდა საბაბს. ეს კი, ანუ საბაბის უქონლობა, თავის მხრივ აღიზიანებდა ზედამხედველს. პატიმრის წასაყვანად მოსული კორპუსის უფროსი კი ამასობაში შორიახლო იდგა და ამ სურათს გულგრილი, არხეინი სიზანტით უყურებდა.

– პაშა, გეყოფა შმონვა, – მიმართა ბოლოს მოწყენილი ტონით კორპუსის უფროსმა ზედამხედველს, – ეგ უკვე ჩვენია, ჩვენი საზოგადოების წევრია, ჩვენი ძმა და ჩვენი ბიჭი. ნუღარ უქექავ ჯიბეებს, გამოუშვი!

– შენი არ ვიცი და ჩემი ძმები უღრან ტყეებში ყმუიან, ივანიჩ! ეს ძაღლიშვილი კი, სული რომ ასე იაფად გაყიდა, ჯერ კიდევ დასადგენია, არის თუ არა ჩვენი! – უპასუხა პაშამ ჩხრეკის შეუწყვეტლად.

– გამოუშვი, გამოუშვი, თორემ ხომ იცი, თავისუფლებაზე დაგხვდება და დაგბრიდავს, – მთქნარებით იხუმრა კორპუსნოიმ, დაფჩენილ პირზე ხელი აიფარა, პატიმარს დამცინავად გადახედა და პაშას თვალი ჩაუკრა.

პაშამ ერთხანს შეაჩერა ვიქტორის ჩხრეკა, ივანიჩს თვალი გაუსწორა და უტიფრად, ხელოვნური სიცილით, ძალიან ხმამაღლა გადაიხარხარა, თან ისე, რომ თავის უხეშ ხელებში ჩაბლუჯული ვიქტორი არ გაუშვია. მან ის კიდევ რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა, ახედ-დახედა და ხელით უბიძგა, დაახლოებით ისე, მეჯინიბე რომ დაჰკრავს ხოლმე გავაზე ცხენს.

– აბა, წადი, – უთხრა მან ვიქტორს უბოროტოდ, – წადი და გილოცავ გათავისუფლებას! ჯოჯოხეთში შევხვდებით!

– მადლობთ, შენც იყავი კარგად, – უპასუხა ვიქტორმა, – შევხვდებით!

– პირქუშ, ნახევრად ბნელ ციხის დერეფნებში იშვიათად თუ ვინმე გამოჩნდებოდა, ესენი ციხის თანამშრომლები ან ხოზაბსლუგელები იყვნენ. ადმინისტრაციულ კორპუსს რომ მიუახლოვდნენ, შემხვედრი ხალხის რაოდენობამაც იმატა. საკმაოდ კეთილმოწყობილ ადმინისტრაციულ კორპუსში, მით უმეტეს, ბევრი ხალხი ირეოდა.

კორპუსნოიმ ვიქტორი პატარა ცარიელ გალიაში – ეგრეთ

წოდებულ აბიზიანნიკში ჩაკეტა, თვითონ კი უფროსის კაბინეტისკენ გაემართა მოსახსენებლად. ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდა და ვიქტორს გალიის კარი გაუღო.

– აბა, მოწესრიგდი! – უთხრა მან მას სხარტი, მომთხოვნი ჩურჩულით, – რომ შეხვალ, მოახსენე, აუცილებლად მოახსენე, გესმის? – ისე გულისფანცქალით ღელავდა, როგორც რეჟისორი პრემიერის წინ, – გახსოვდეს, რომ კოცნისას აუცილებლად უნდა დაუჩოქო ორივე მუხლზე. – ამ სიტყვებს რომ ეუბნებოდა, თვალით თავიდან ფეხებამდე ზომავდა და თავისი ხელით ტანსაცმელს უსწორებდა, – ღილები შეიკარი.

უფროსის კაბინეტთან მისვლისას, კორპუსის უფროსმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა ვიქტორი და უთხრა:

– შედი!

შემკრთალმა, ღილებშეკრულმა და მოწესრიგებულმა ვიქტორმა დიდ, დაბამბულ კარზე დააკაკუნა და კაბინეტის კარი შეაღო:

– მსჯავრდებული ნაზრაძე თქვენის ბრძანებით გეახლათ! – განაცხადა მან მოკრძალებით, კაბინეტში შესვლისას.

– ოოო, აი ჩვენი ნაზრაძეც! – ჭყვიტინ-ღრუტუნით შესძახა ციხის უფროსმა, – კიდევ ერთი ახალი წევრი ჩვენი საზოგადოებისა! – და თავისი ცისფერი, მეტყველი თვალებით შესცინა იქმყოფთ, – გამარჯობა, გამარჯობა, ნაზრაძევ!!! როგორ გიკითხოთ, ძვირფასო?! უშესანიშნავესი გადაწყვეტილება მიგიღია!!! სწორად მოქცეულხარ!!! ყოჩაღ!!! ყოჩაღ!!!

ციხის უფროსი თავის ძალიან ტევად კაბინეტში ენერგიულად დააბიჯებდა, ხელებს იქნევდა, ხმამაღლა ასხამდა ხოტბას ვიქტორს, თან იქ მყოფთ – რამდენიმე ოფიცერსა და პარფიუმერიული საშუალებებით უზომოდ გათხუპნულ ბოზ მდივან ქალს შეცბუნებულ პატიმარზე მიუთითებდა. ისინიც კმაყოფილების ღიმილით უკრავდნენ კვერს თავიანთ პატრონს, ვიქტორს კი ღიმილით შესციციინებდნენ სახეში. ამ მონოლოგის პროცესში ციხის უფროსმა რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი ნაზრაძეს; რამდენჯერმე ჩაიკრა იგი გულში. დაბოლოს, როცა ლაპარაკით გული იჯერა; თავის დიდრონ საწერ მაგიდას მიუჯდა.

– დასხედით, ბატონებო! – წარმოთქვა მან და ხელის ბატონკაცური მოძრაობით იქმყოფი ოფიცრები დასაჯდომად მიიწვია.

ოფიცრები უფროსის საწერ მაგიდასთან პერპენდიკულარულად მიდგმულ მეორე მაგიდას მიუსხდნენ და ახლა კაბინეტის შუაგულში მდგომი ვიქტორი და კართან ატუზული კორპუსის უფროსი ივანიჩიღა იდგნენ ფეხზე.

– შენ ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის გულმოწყალე მეთაურმა თავისი სპეციალური ბრძანებულებით შეგიწყალა, ვიქტორ ნაზრაძევ! ამიერიდან შენ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდები. დარჩა მხოლოდ პატარა ფორმალური პროცედურა, რომელიც არამც და არამც არ არის შეგნებული ადამიანისათვის დამამცირებელი, პირიქით, მე ვიტყოდი, საპატიოა, რადგანაც იგი განამტკიცებს მორჩილებას ჩვენში, ხოლო მორჩილება კი საწინდარია კეთილდღეობისა და შენც თუ ჭეშმარიტად შეგნებული პიროვნება ხარ, შენი ვალია, დაემორჩილო იმ წესებს, რომლებიც გამეფებულია აქ, სადაც მოხვედი! ვერ შეძელი ღმერთთან ყოფნა?! უღალატე მას?! მიეკედლე აჯანყებულებს?! მაშ, დაიცავი აჯანყებულთა წესები!!! დაიწყე ბოლოდან და გახდი პირველი, ოღონდ გახსოვდეს, რომ ეშმაკი, ჩვენი მფარველი – ულმობელია და ვერაგი! ის ბოროტად სჯის უკმაყოფილოებს და მერყევებს!!! ცეცხლი და კუპრი, გოგირდი და ნაღველი – ეს მხოლოდ საკმაზია სასჯელისა, ნამდვილი სასჯელი კი აბუჩად აგდებაა და, შენც, ადამიანო ვიქტორ ნაზრაძევ, თუ ოდნავ მაინც გადაუხვევ დასახულ მიზნებს ბოროტად, აბუჩად იქნები აგდებული, უკუნითი უკუნისამდე!!!

ამის შემდეგ ციხის უფროსი ფეხზე წამოდგა და ვიქტორის წინ დადგა. ოფიცრები გარს შემოერტყნენ მას და დაიწყო სატანური სამსახური: ისინი ლოცვის სახით წარმოთქვამდნენ რაღაც ავ სიტყვებს, ნახევრად გასაგებ, ბარბარიზმებით გადატვირთულ ენაზე, ტრიალებდნენ, ბუქნავდნენ, აწვდიდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ნივთებს. ნივთების გამოშვერისას უკოცნიდნენ ერთმანეთს ხელებს, ფეხებს, ტუჩებს, იჩოქებდნენ, დგებოდნენ, და ვიქტორსაც აიძულებდნენ ეკეთე-

ბინა იგივე. ისინი აიძულებდნენ ვიქტორს, დაეკოცნა მათ მიერ გაწვდილი რაღაც გამოსახულებებიანი ტექსტები – ტექსტები, რომელთა ნაწილსაც მოწიწებით დებდნენ შავი ფერის ყუთებში, ხოლო ნაწილს წვავდნენ და ფერფლს კი სხვადასხვანაირად იყენებდნენ: აზავებდნენ წყალში და სვამდნენ, აპკურებდნენ ამ წყალს, აფრქვევდნენ გარშემო და ისვამდნენ სახეზე. რამდენიმე წუთს გასტანა ამან. შემდეგ რიტუალის მონაწილენი დაშოშმინდნენ.

– ახლა კი, ჩვენო ახლად შეძენილო ძმაო, – აღტაცებით წარმოთქვა ციხის უფროსმა, – ეცი თაყვანი ეშმას და ამის დასტურად მუხლმოყრით, კუდქვეშ მეამბორე მე – ღორმენს – სულიერ მოძღვარს შენსას. ამ სიტყვებზე ციხის უფროსმა ქამარი მხიარულად შეიხსნა და სხარტად ჩაიძრო შარვალი პირდაპირ საცვალთან ერთად, შეხტა, შემოტრიალდა და ოდნავ ნაიკუზა, ოფიცრებმა ამ დროს ვიქტორს მხრებში ხელები წაავლეს და მუხლებზე დააჩოქეს. მოულოდნელად ციხის უფროსის დიდმა, უზომოდ დიდმა ვარდისფერმა საჯდომმა დაფარა ვიქტორის თვალსაწიერი, საჯდომმა, განმასხვავებელი ნიშანი რომლისაც ღორის პატარა აპრეხილი კუდი იყო. ოფიცრებმა ვიქტორს სწორედ ამ კუდის ქვეშ შეაყოფინეს დრუნჩი.

– კარგად აკოცე, კარგად! – გაიძახოდნენ ისინი.

– ეგრე არა, ეგრე არა, აი ასე, – გაჰყვიროდა ერთ-ერთი მათგანი, ის, რომელიც ყველაზე ახლო იყო ვიქტორთან, – მწ-უ-უ-უ! – ტუჩებით შესაბამის მოძრაობებს აკეთებდა და ხარბად წუწნიდა ჰაერს. მერე ველარ მოითმინა, ვიქტორი გამოსწია, დანარჩენ ოფიცრებს თავი დაუკრა, უფროსის დუნდულებს შორის დინგი შეყო და იქაურობას ტუჩებით დაეწაფა, შემდეგ ტუჩები კიტელის სახელოთი შეიწმინდა და აცრემლებულმა ვიქტორს ანიშნა „აი, შენც ასეო". შემდეგ მას თავი ისევ შეაყოფინეს და სანამ ისე არ აკოცნინეს, როგორც უნდოდათ, არ მოეშვნენ.

– ტკბილად, ტკბილად! – გაჰყვიროდნენ ოფიცრები.

– ტკბილად, ტკბილად! მწარედ! მწარედ! – გასწიოდა მდივანი.

– ტკბილად, მწარედ! – ამხნევებდა ციხის უფროსიც.

– კარგით, ეყოფა! – თანაგრძნობით გასცა განკარგულება უფროსმა. – ეყოფა, კმარა!

ამის შემდეგ უფროსმა ქაღალდის ხელსახოცი აიღო მაგიდიდან, ვიქტორს ტუჩები მზრუნველად მოუწმინდა, იგივე ქაღალდით თვითონვე გამოიმშრალა საჯდომი. მეორე ქაღალდი საქაღალდე ურნაში ჩააგდო და აღტაცებით დაიწყო ხელების ფშვნეტა.

– ყოჩაღ! ყოჩაღ! ყოჩაღ! შენ დღეიდან ჩვენი პატარა ძმა ხარ და გერქმევა ზარღრა – ეს იქნება საჩვენშორისო სახელი, ახლა კი გაიცანი საძმო: ეს ჩონთაა, ეს ებრუხი, ეს არის კუჭიკი, აი, ეს კი ურჩე, ხოლო ეს ჩვენი ტურფა ასული ბოზანდარა კიკია!

ახლა კი დამღა! დამღა! დამღა! – ფრუტუნებდა უფროსი, – ალბათ უკვე გახურდა.

ოფიცრებმა ვიქტორს ხელები და მკლავები ღონივრად დაუჭირეს, მერე პირი გააღებინეს, მათი ენერგიული უფროსი კი ამასობაში გავარვარებული დამღით ერთ ხელში და რაღაც სამედიცინო ინსტრუმენტით მეორეში პატიმარს მიუახლოვდა. ეს ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად წააგავდა მაკრატელსაც და პინცეტსაც, მთლიანობაში კი საოჯახო ნივთს, რომელსაც დიასახლისები თეთრეულის მდუღარე წყლიდან ამოღებისას იყენებენ.

ციხის უფროსმა ინსტრუმენტი პატიმარს ხახაში ჩასჩარა და მისი საშუალებით ენა დაუჭირა. მართალია, ინსტრუმენტის ბრტყელ ტუჩებზე რეზინის დამცველი მილები იყო ჩამოცმული, მაგრამ მაინც ის ძალიან მტკივნეულად ჩააფრინდა ნაზრაძის ენას, იმდენად მტკივნეულად, რომ ენიდან სისხლმაც კი გამოჟონა, ხოლო ვიქტორს უნებურად კვნესა აღმოხდა. ამის შემდეგ უფროსმა მას თავისი ინსტრუმენტის საშუალებით ენა ჩვეულებრივზე მეტად გამოაყოფინა და ზევით ააწევინა, მერე კი გახურებული ლითონის დამღა პირდაპირ ენის ქვეშ ჩაუყო, ჩასჩარა, დაახლოებით ისე, თითქოს ანთებულ სიგარას აქრობსო. გაისმა შიშხინი და კაბინეტში დამწვარი ხორცის გულისამრევი სუნი დატრიალა. იმ დროს გაისმა ვიქტორის ყვირილი, რომელიც შემდეგ ყმუილში გადაიზარდა, თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა.

საძმოში მიღების საზეიმო რიტუალი შედგა. ნაზრაძე კვნესოდა, უფროსი როხროხებდა, ოფიცრები კმაყოფილებით ფრუტუნებდნენ, ხოლო ლამაზმანი კიკი კეკლუცად შესციცინებდა ყველას თვალებში.

– ეხლა მე შენ გამოგიწერ გათავისუფლების ცნობას, მოგცემ 25 მანეთს და რომ იტყვიან, იყავი კარგად და არ დაგვიეწყო! ჯოჯოხეთში კი უთუოდ შევხვდებით! – უფროსი კიკის მიუბრუნდა – კიკი, გამოუწერე ამას გათავისუფლების ცნობა, მე კი 25 მანეთს გამოვიღებ სეიფიდან.

კიკიმ კარტოთეკის ქექვა დაიწყო, უფროსი კი სეიფთან მივიდა, ჯიბე მოიჩხრიკა, გასაღები ამოიღო, სეიფი ენერგიულად გააღო და იქიდან ოცდახუთი მანეთი დააძრო. ამასობაში ქაღალდებში გაწაფულმა კიკიმ გათავისუფლების ცნობა შეავსო, შიგ ნაზრაძის ფოტოსურათიც ჩააკრა, თითქმის გამზადებული საბუთი უფროსს მიურბენინა. უფროსმა თვალი გადაავლო საბუთს მოწონებით, გააქან-გამოაქანა თავი, ტუჩები გაანკლაპუნა და საბუთს ხელი მოაწერა, მერე უჯრიდან სახელმწიფო ბეჭედი ამოიღო და საბუთს დამაჯერებლად ჩასცხო, ხელში აიღო, ზევიდან სათუთად 25 მანეთი დაადო და ვიქტორ ნაზრაძეს, ახლა უკვე ზარღრას, გაუწოდა.

ზარღრამ ფული ჯიბეში ჩაიდო, დაუკეცავი ახალთახალი საბუთი კი ხელში დაიჭირა.

– აბა, კიდევ ერთხელ გილოცავ და გისურვებ წარმატებებს! ჩვენ შევხვდებით ჯოჯოხეთში! – ამ სიტყვებზე უფროსი წამოდგა და გათავისუფლებულს თავისი დიდრონი ხელი გაუწოდა.

გათავისუფლებულმა ჩამოართვა მას ხელი, ჩამოართვა ხელი ოფიცრებსაც, ხოლო კიკის მოკრძალებით გაუღიმა.

– წაიყვანე, ივანიჩ, – მიმართა უფროსმა კორპუსის უფროსს, – წაიყვანე და გაუშვი! აი, მაგისი საბუთებიც!

უფროსმა ივანიჩს საჭირო ქაღალდები გაუწოდა. პატიმარი და ზედამხედველი კაბინეტიდან გავიდნენ. ისინი ნელი ნაბიჯებით მიდიოდნენ ციხის ნახევრად ბნელ დერეფნებში და მასლაათობდნენ. უფრო სწორად კი მასლაათობდა ივანიჩი, რადგანაც ნაზრაძეს ენა სტკიოდა და არ სცხელოდა სამასლა-

ათოდ, ის უფრო ფიქრობდა – ასეთი ნანატრი, ასეთი სათუთი და, რაც მთავარია, ასეთი ძვირადღირებული, მართლაც მამასისხლად ნაყიდი თავისუფლება კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა და ხდებოდა სულ უფრო სანუკვარი. თავისუფლების მოახლოება, თუ მიახლოება თავისუფლებასთან, ბადებდა უცნაურ გრძნობას – სიფრთხილისა და ნეტარებისას. გრძნობას, მსგავსი რომლისაც ებადებათ ალბათ მტაცებლებს, როცა ისინი თავიანთ მსხვერპლს ეპარებიან და იმ გრძნობას, რომელიც უჩნდება მსხვერპლს, როცა ის გრძნობს მტაცებლის მიახლოებას.

ვახტაზე დეპეენკამ უნდობლად აათვალიერ-ჩაათვალიერა გათავისუფლებული პატიმარი, დაათვალიერა ივანიჩის მიერ მიტანილი საბუთები, გაეცნო გათავისუფლების ცნობას და მხოლოდ ამის შემდეგ ანიშნა პულტთან მჯდომ ზემდეგს კარი გაეღო. ზემდეგმა ღილაკს დააჭირა თითი, ელექტროსაკეტმა გაიჩხაკუნა და ივანიჩმაც მძიმე გისოსებიანი კარი შეაღო.

– მოდი, – უთხრა მან ვიქტორს.

ისინი პატარა ოთახში, ეგრეთ წოდებულ კონვერტში შევიდნენ. კონვერტში, რომელიც ორივე მხრიდან არის გადატიხრული და რომლის ორივე მხარეც ერთდროულად არასდროს არ იღება. როცა ივანიჩმა ღია გისოსებიანი კარი ზურგს უკან მოიჯახუნა, მხოლოდ მაშინ დააჭირა თითი მეორე ღილაკს ზემდეგმა. გაიჩხაკუნა მეორე გისოსებიანმა კარმაც და ახლა უკვე თავისი ხელით შეაღო ვიქტორმა იგი, რადგანაც ის ივანიჩზე უფრო ახლოს იდგა იმ კართან, გააკეთა რამდენიმე ნაბიჯი, ისევ თავისი ხელით გააღო ბოლო უსაკეტო, უგისოსო, უბრალო კარი და თავისუფალ სივრცეში შეაბიჯა. გარეთ სუსხიანი, ნესტიანი ამინდი იდგა, ბუნება სათოვლ-ჭყაპედ ემზადებოდა. ნაზრაძე მის უკან გამოსულ ივანიჩს მიუბრუნდა, ჯიბეში თავისი კუთვნილი 25 მანეთი მუშტში მოჭმუჭნა და ციხის ზედამხედველობაში დაბერებულ კორპუსის უფროსს თითო ჭიქის დალევა შესთავაზა. კორპუსის უფროსმა არ ისურვა იმ ერთადერთი ოცდახუთი მანეთით ნაყიდი ღვინით დათრობა და წილში ჩადგომა, ამიტომ საქმეები მოიმიზეზა და დალევაზეც უარი განაცხადა. მერე კიდევ

ერთხელ მიულოცა გათავისუფლებულს გათავისუფლება და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა. გათავისუფლებულმა მას ორივე ხელი ჩამოართვა და არამოჩვენებითი, გულწრფელი გულითადობით გამოეთხოვა.

– აბა, ჭკუით იყავი, – თბილად უთხრა ვიქტორს ზემდეგმა, – და ბედნიერად იარე, ჯოჯოხეთში შევხვდებით!

– შევხვდებით! შევხვდებით!

ვიქტორი არამეგობრულ, სუსხიან თავისუფლებას მიუტრიალდა, მისი ნოტიო ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მასში შეაბიჯა. უკვე საღამოვდებოდა, ნისლში თითქმის არავინ ჩანდა. ვიქტორ ნაზრაძე წინ მიიწევდა და თავისუფლებას როგორღაც ნელ-ნელა ერწყმოდა, არასტუმართმოყვარე თავისუფლება კი არ ჩქარობდა და ალბათ არც აპირებდა მის მკერდში ჩაკვრას. ის ცივ, გამჭოლ, სისინა ქარად შეეგება დაუპატიჟებელ მომხდურს, ღიად დარჩენილ ტუჩებში მოურიდებლად შეუძვრა, დადალული ენის ქვეშ უტიფრად უკბინა, – ჯოჯოხეთში შევხვდებით, – ყურში ჩასჩურჩულა, მერე ფრთები გაატყლაშუნა და გაფრინდა.

3

მიიკვლევდა ნესტიან თავისუფლებაში გზას ენადაშანთული, შერცხვენილი, მონუსხული და სულგაყიდული ზარღრა, იგივე ვიქტორ ნაზრაძე. ნესტიან, სუსხიან, არასტუმართმოყვარე თავისუფლებას კი ჯიუტად არ სურდა ბედისწერიდან ამოვარდნილი, უადგილო, უსამშობლო, უნათესავო, უმოყვრო და უმეგობრო კაცის თავის წიაღში მიღება, მისი შეკედლება და დაბინავება. აკვიატებული ავი ფიქრივით, უტიფარ ქარად შემოუბერავდა ხოლმე სუსხიანი თავისუფლება მომხდურს, ღიად დარჩენილ მის ბაგეებში შეძრომას ლამობდა და როცა ამას ახერხებდა – გაგულისებული, უაზროთვალება – საიქიოს ბოროტი ჩიტივით უკორტნიდა დაშანთულ ენას. ვიქტორ ნაზრაძე თავისას ფიქრობდა და არ იცოდა სად წასულიყო, ვისთვის მიემართა, რადგან სულგაყიდულს აღარ ჰყავდა არავინ და არ გააჩნდა ქვეყნად არაფერი გაყიდული სულის, განთავისუ-

ფლების ცნობისა და 25 მანეთის გარდა. მიუხედავად გამოუ-ვალი მდგომარეობისა, ან იქნებ სწორედ ამიტომაც, ზარღრა თავს დაჯერებულად გრძნობდა და ამდენი ხნის ნანატრი თავისუფლება სურდა მოვლენოდა არა ნესტიან ქარად, ჩაბ-ნელებულ ქუჩად, არა სიბნელეში მოთარეშე, ურჩ მანქანებად, ბინძურ წყლის წვეთებს რომ აფრქვევდნენ გუბეებში გაშ-ლიგინებისას, არამედ სითბოდ, ჭერად, სასმელად, საჭმელად და ტიტველ ქალად.

– მე გაიძულებ შენ, შემეგებო სითბოდ და ჭერად, – ეუბ-ნებოდა იგი მტრულად შემართულ თავისუფლებას და მუშტს უღერებდა მას, – სასმელად, საჭმელად და ტიტველ ქალად! გაიძულებ! გაიძულებ! რადაც არ უნდა დამიჯდეს!!!

– ვერ მაიძულებ! ვერ მაიძულებ! – პასუხობდა სისინით თავისუფლება და თავისი გათოშილი თითებით გარყვნილად უნწავდა თმებს.

– გაიძულებ, ოღონდ ჯერ რეზინის ჩაქუჩს ვიყიდი, უკი-დურესი შემთხვევისათვის! ჯერ ვიყიდი რეზინის ჩაქუჩს, შემდეგ კი გაიძულებ! გაიძულებ! – ჯიუტად იმეორებდა ვიქ-ტორი.

გზას იგი ქალაქის ცენტრისაკენ, ანუ ეშმაკის ბუნაგისკენ მიჰყავდა და ზარღრაც მიჰყვებოდა გზის მიერ შემოთავა-ზებულ დამღუპველ მარშრუტს, გზაც ხომ თავისუფლების ნაწილი იყო და წესით არც მისი ნდობა შეიძლებოდა, მაგრამ არა ზარღრასთვის – არა, რადგან ამიერიდან ყოველი მისი გზა ჯოჯოხეთისკენ, მოუსავლეთში მიემართებოდა.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – სისინებდა ქარი.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – სისინებდნენ ხეები.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – სისინებდნენ ბუჩქები.

– შევხვდებით! შევხვდებით! შევხვდებით! – სისინებდა მიდამო.

რკინიგზის ვაგზალი და მასთან მიმდებარე ვრცელი ტერი-ტორია ხალხით იყო სავსე. ისინი მწერებივით ირეოდნენ იქ და რაღაცას თავისას ფუსფუსებდნენ. ვიქტორი ჯერ ბაზ-რობაზე შევიდა და რიგებს დაუყვა. მის მზერას უნებურად მიიპყრობდა ხოლმე დახლებზე გამოტანილი და დახვავებული

უცხო საქონელი, მაგრამ ის მაინც თავისას ეძებდა – რეზინის ჩაქუჩს. ბოლოს, როგორც იქნა, რკინეულობის განყოფილებაში იპოვა და 4 მანეთად შეიძინა კარგი, მძიმე, ხისტარიანი რეზინის ჩაქუჩი. მან იგი ხელში შეათამაშა, ქამარში გაირჭო, პიჯაკის კალთით სათუთად დაფარა და თავისი უთავბოლო გზა გააგრძელა.

ვიქტორი შორიდან უცქეროდა მეძავთა ჯგუფს და მათში თავისთვის „საცოლეს" ეძებდა. ვაგზლის მეძავები ქალაქში ყველაზე იაფფასიანებად ითვლებოდნენ, თუმცა ისინიც ასაკის, გარეგნობის და, შესაბამისად, ფასების მიხედვით, ცალ-ცალკე, პატარ-პატარა ჯგუფებად იყოფოდნენ. იყვნენ მათ შორის ისეთები, რომელთაც, ალბათ არათუ ნორმალური ადამიანი, არამედ ყველაზე უფრო ხურუშიანი მაიმუნიც არ გაეკარებოდა, მაგრამ იყვნენ საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობისანიც, რომლებიც შედარებით ძვირი ღირდნენ. ერთი სიტყვით, ბოზები იყვნენ დაახლოებით სამი ძირითადი კატეგორიისა – მეტ-ნაკლებად ნორმალური, ნახევრად ბანძები და ბანძები. ვიქტორი ჯერ შედარებით ნორმალურთა ჯგუფს მიუახლოვდა და ფასები იკითხა:

– გამარჯობათ, გოგოებო! – მიესალმა ის მეძავებს.

– გაგიმარჯოს! – მიუგეს მათ.

– რომელია თქვენში გასათხოვარი?

– ყველანი გასათხოვრები ვართ! – გასცა პასუხი ერთ-ერთმა და ღიმილით გადახედა დანარჩენებს.

ისინი არ იყვნენ ჩვეულნი ამგვარ მიმართვას. გამოცოცხლდნენ.

– მე რომელი გამომყვებით ცოლად?

გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიცინეს.

– რომელსაც შენ ხელს დაადებ, – უპასუხა ერთ-ერთმა.

– მერე ცელქები ხართ?! – ღიმილითვე გაუსწორა თვალი ვიქტორმა თავის მოსაუბრეს და თან ახლოს მდგომ, ცოტათი მორცხვ და ცოტათი ლამაზ ცუგრუმელას ხელი წაატანა ძუძუზე. ცუგრუმელამ თავი დაიძვრინა, უფრო სწორად კი ძუძუ დაიძვრინა.

– ე-ე-ე, ჯერ დადე, – დაიფხუკუნა ცუგრუმელამ მორცხ-

ვად, – ამას უყურე ერთი! – და ვიქტორს ალერსით უბიძგა.

არიან ადამიანები, რომლებიც მიუხედავად თავიანთი ურცხვი პროფესიისა, ბუნებით არიან მორცხვნი, ისევე, როგორც ზოგჯერ უსათნოესი პროფესიის ადამიანები არიან აშკარად ურცხვნი. რატომ ხდება ასე – ალბათ იმიტომ, რომ ბუნებაში, წესრიგთან ერთად უწესრიგობაც სუფევს, საგნები კი არ არიან ყოველთვის სამართლიანად განლაგებულნი.

– რამდენი დავდო, ჩემო ცუგრუმელავ? – იკითხა ვიქტორმა.

– ერთი საათი ოცი მანეთი! – იყო სხარტი პასუხი.

ვიქტორმა კისერი მოიქექა.

– ძვირია!

– სულაც არა, – იყო მოხდენილი და ალბათ დაზეპირებული პასუხი, როგორც ჩანს, კლიენტები ხშირად ძვირობდნენ ფასებს და ბოზებსაც შემუშავებული ჰქონდათ მოხდენილი პასუხი, – „სულაც არა!"

– გადავიხდი ოცს, ოღონდ მე შენ დილამდე მჭირდები, – უთხრა ვიქტორმა ცუგრუმელას და კიდევ ერთხელ წაატანა ნაღმივით მკვრივ ძუძუზე ხელი.

– ა-ა-რა, შენი ჭირიმე! – იუარა ცუგრუმელამ, – დილამდე 50 დაგიჯდება, – კიდევ ერთხელ დაიძვრინა ძუძუ და გვერდზე გახტა.

– მე სულ 21 მანეთი მაქვს, ოცს შენ მოგცემ, მანეთი მე დამრჩება.

–ა-ა-რა, შენ შემოგევლე!

– მაშინ შენ წამოდი, – შესთავაზა ვიქტორმა მეორეს, მიწისქვეშა გადასასვლელის შემაღლებულ ზღუდეზე მჯდომ ნაცრისფერებში გამონყობილ, ასაკით ცოტათი უფროსს, მგლისთვალა მეძავს და ხელი გაიშვირა მისკენ, თუმცა ხელის ძუძუზე წავლება ვერ შეჰბედა. ეს სერიოზული ჩანდა – მგლისთვალა.

– ჩვენ ჩვენი ფასი გვაქვს, თუ გეძვირება, მაშინ სხვებთან მიდი! – ურჩია მგლისთვალამ.

აქ ვიქტორმა დასვა ცოტა არამართებული, როყიო შეკითხვა, რომ იტყვიან ჩაიჭრა და შედეგიც მაშინვე იგემა:

– აბა, რომლები არიან იაფები?

გოგოებმა სიცილით და კისკისით დაუწყეს მითითება ისეთებზე, რომელნიც შესაძლოა არც იყვნენ ალბათ მეძავები, რადგან მათკენ მართლა არ გაიხედავდა არც ერთი ხურუ-შიანი მაიმუნი და თუ მათ მაინც ვიღაც ეკარებოდა, ეს უკვე ალბათ იყო უტყუარი მანიაკალური ამბავი. ხომ არსებობენ პათოლოგიური ადამიანები, რომლებსაც ნორმალურ ქალთან სექსს მძორთან სექსი ურჩევნიათ. ჰოდა ის მძორიც იდო იქ და თავის კლიენტს ელოდებოდა. გოგოები არ ცხრებოდნენ, თითებს იშვერდნენ და რიგრიგობით სთავაზობდნენ ვიქტორს ყველაზე იაფიანებს.

– აი ეს კი უფასოდაც მოგცემს, – მიუთითა ვიქტორს ცუგრუმელამ, ვიქტორისდა ჭირად შემთხვევით აქვე მიმავალ ჰერმაფროდიტზე.

– ბანჯგვლაეთერო, მოდი აქ! – დაუძახა მან ჰერმაფრო-დიტს.

ბანჯგვლაეთეროს (ასე ერქვა ჰერმაფროდიტს) ზურგზე დიდი პოლიეთილენის ტომარა ეკიდა, რომელიც პლასტმასის ბოთლებით იყო სავსე. ჰერმაფროდიტი ამ ბოთლებს ვაგზლის ტერიტორიაზე აგროვებდა, მერე აბარებდა და ამით ცხოვ-რობდა. საოცარია, მაგრამ მას პროსტიტუციიდანაც ჰქონდა მცირედი შემოსავალი. ალბათ ეთერომ ბავშვობისას მენინგიტი გადაიტანა, ან შესაძლოა დებილიზმის რომელიღაც სტადიაში იყო, ან კიდევ რაღაც, იმიტომ, რომ ჩანდა, აშკარად ჩანდა მასში გონებრივი სიჩლუნგის ნიშნები. ეთეროს ჰქონდა კაცისებური თავი ხშირი ჭაღარაშერეული წვერ-ულვაშით და ქალისებური ტანი ძუძუებით და თეძოებით. ის იყო ძალიან კოჭლი (თან-დაყოლილი სიკოჭლით კოჭლი), ეცვა კაცის ძველი პიჯაკი და ლაქებიანი, გახვრეტილი შარვალი – ბინძური ძონძები.

გოგოები ბანჯგვლაეთეროს უბოროტოდ ეხუმრებოდნენ, თითით ვიქტორზე მიუთითებდნენ, ეკითხებოდნენ ცოლად თუ გაჰყვებიო. ეთერო იშმუშნებოდა და თანხმობის ნიშნად მორცხვად უკრავდა კვერს, თან ალერსიან მზერას აპარებდა სასიძოსაკენ უნდობლად. გოგოებს ეს აკისკისებდათ და არც ვიქტორს აბრაზებდა სხვათა შორის.

– წამოხვალ?! წამომყვები?! გიყვარვარ, ეთერი?! – ეკითხებოდა მას ვიქტორი თანაგრძნობითა და ღიმილით.

ეთერი პასუხობდა: – ჰო-ო-ო!

– მისცემ უფასოდ, ეთო? – კისკისით ეხუმრებოდნენ გოგოები.

– უ-უფასოდ? არა-ა-ა!

– მაშ რამდენათა! – მის კილოკავზე უქცევდა ვიქტორი, – მაშ რამდენათა!

– ხუთ მანეთათა! ხუთ მანეთათა!

მერე ვიქტორმა საჯდომზე მოუთათუნა ბანჯგვლაეთეროს ხელი, კარგი გოგო ხარო, უთხრა, თავი დაუკრა ბოზებს და სხვებს, უფრო იაფიანებს, მიუბრუნდა.

აღმოჩნდა, რომ ამ სუსხიან საღამოს სითბოს, ჭერის, სასმელ-საჭმელისა და ტიტველა ქალის ყიდვა თურმე პრობლემატური ყოფილიყო. არ აღმოჩნდა საკმარისი 21 მანეთი ამქვეყნიური ბედნიერების საყიდლად. ბოზები თავისას ითხოვდნენ, ზარღრას კი არ გააჩნდა ქვეყნად არაფერი გაყიდული სულის, განთავისუფლების ცნობის, 21 მანეთისა და ახლად ნაყიდი რეზინის ჩაქუჩის გარდა.

ზარღრა დაფიქრდა. ის მოულოდნელად იმ ხასიათზე დადგა, როცა ადამიანი გაწბილებას იწყებს. მან პირი მომუწა, ქამარში გარჭობილ საკმაოდ მძიმე რეზინის ჩაქუჩის ხის ტარს თითები მოუჭრა და ის იყო ცხოვრებისთვის წარბქვეშიდან უნდა შეეხედა, რომ მოულოდნელად მისკენ მიმართული დამთრგუნველი ყურადღება იგრძნო, მოტრიალდა და გაოგნდა.

მის წინაშე, პირდაპირ შუა ქუჩაში, დიდი, ბრგე, თავისთავში ღრმად დაჯერებული, კაც-ნახევარა ეშმაკი იდგა. სწორედ ისეთი, როგორსაც მას ხატავენ: ბალნიანი, ტლანქჩლიქიანი, შავდინგა და რქოსანი, თანაც რაღაცნაირად გამორჩეული, ელიტარული, არა რიგითი ეშმაკი, არამედ არისტოკრატი და ჯენტლმენი ჯოჯოხეთისა. მარჯვენა ხელში მას ეპყრა უბადლო ნიმუში ხელოვნებისა – სამკბილა კვერთხი, ხოლო მარცხენაში მოკრძალების ღირს, იდუმალებით მოცულ, გიშრის უცხო კრიალოსანს ატრიალებდა.

– ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაააა!!! – გადაიხარხარა ეშმაკმა, – მე ღორ-

მენი ვარ, შენი მოძღვარი, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა�ა!!! აბა წამოდი! წამო! წამოდი! გავიტასავოთ ჩათლახებს შორის!!!

ვიქტორი მონუსხულივით აედევნა ღორმენს, მას ის მხოლოდ სახენაცვალი ჰყავდა ნანახი სულისმყიდველი ზედამხედველისა და ციხის უფროსის სახით და ახლა, ამდენ ხალხში, ვაგზლის გაჩახჩახებულ მოედანზე ასე აშკარად აბსოლუტში მისმა ხილვამ ელდა ჰკრა და თავზარი დასცა.

– ქორწინება გადაგიწყვეტია, შვილო ჩემო, ოჯახის შექმნა განგიზრახავს? – ღიმილით გაუყარა ხელმკლავი ღორმენმა ზარღრას.

– დიახ, უწმინდურო მამაო, ოღონდ ხანმოკლე, მოკლევადიანის!

– ხა-ხა-ხა! – გულღიად გაიცინა ღორმენმა, – მერედა ამას აბა რა სჯობს. რაც შეეხება ქორწინების ხანმოკლეობას, ეს შენ, შვილო ჩემო, ნუ შეგაცბუნებს! განა ყველაფერი წარმავალი არ არის ამქვეყნად, და ან არის საერთოდ რაიმე ჩვენი წვალების გარდა მუდმივი? ყველაფერი წარმავალია და ხანმოკლე! ცოცხალი არსება ხომ დაბადებასაც ვერ ასწრებს, როდესაც უკვე იწყებს სიკვდილს! შენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაქვს გასარკვევი, ჩემო ბიჭო!

ზარღრა და მისი მოძღვარი პირდაპირ ბოზების „სტაიანკაზე" დატასაობდნენ ხელკავგაყრილნი და დარბაისლურად მასლაათობდნენ. ღორმენი ამჟამად მხოლოდ თავისი მორჩილისათვის იყო აბსოლუტში, ხოლო იქ მყოფ მეჩხერკბილება ბრბოს კარგად მოვლილი ორმოცდაათიოდე წლის, წარმოსადეგი ჯენტლმენის სახით ევლინებოდა – ჯენტლმენისა, რომელსაც ოდნავ ეტყობოდა, რომ დალეული ჰქონდა ცოტაოდენი ღვინო. ის ხავერდოვნად ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა.

– მშვენიერი მარგალიტები, ზღვის ლოკოკინათა სხეულში რომ ყალიბდებიან, სინამდვილეში ავადმყოფობაა მათი. ეს ავადმყოფობა ცდილობს გაფართოვდეს და მთელ ლოკოკინას მოედოს, ლოკოკინა კი, თავის მხრივ, ავიწროებს და ზღუდავს ავადმყოფობას, ამიტომ გამოდის მარგალიტი ასეთი მკვრივი, ასეთი ლამაზი, ასეთი იდუმალებით მოცული, მასში

ხომ ამდენი განცდაა. ეს საბრალო ლოკოკინას ტკივილები და განცდებია – ლოკოკინასი, რომელიც თავის წუხილებს მარგალიტად აქცევს, ინახავს თავის სხეულში და მხოლოდ მაშინ, როცა საკუთარ თავს დაიმარტოხელებს, წვება ზღვის ფსკერზე, ხსნის თავის ნიჟარას და ტკბება მარგალიტად ქცეული საკუთარი ტკივილების სილამაზის ცქერით.

მხოლოდ ეშმაკმა უწყის მარგალიტად ქცეული, სათუთად შენახული ტკივილის ჭეშმარიტი ფასი და ამიტომაც მზაკვრულად და მალვით ტკივილს უნერგავს ის თავის რჩეულთ, რათა შემდეგ, ჯოჯოხეთში მათი მისვლისას, ბანჯგვლიანი ხელით უხეშად პირი გაუღოს და შიგნეულიდან გულისფანცქალით ამოუგლიჯოს ერთ წვეთ ცრემლად ქცეული ტანჯვის, წვალების, ბოღმის და უიმედობის პატიოსანი მარცვალი. ძვირფასი საჩუქარი მბრძანებელთათვის, მბრძანებელთა მბრძანებელთათვის და მბრძანებელთა მბრძანებელთა მბრძანებელთათვის, ბოროტებას ხომ საზღვარი არ აქვს ამქვეყნად, ისევე, როგორც მბრძანებელთა მბრძანებლობას უკუნითი უკუნისამდე!

ესენი იშვიათად დაჰყვებიან ბინაში კლიენტს, რადგან ამ საბრალოებმა არ იციან, რომ მათი ფანჯრიდან გადმოგდება მათივე სახლიდან გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სხვისი სახლის ფანჯრიდან. ისინი, როგორც უმეტესობა ამ ცოდვილ მიწაზე, წყეულნი არიან და მათი უბადრუკი ცხოვრებაც არაფერს აძლევს მათ სიცოცხლის შენარჩუნების და წვალების გარდა, შემოსავალიც თითქოს არა აქვთ მცირედი, მაგრამ ის მაინც თვალსა და ხელს შუა უქრებათ, რადგან ყველაფერი მიაქვს საჭმელს, სასმელს, დედილოებს, დაქალებს, ალფონსებს და ზნეობრივ პოლიციას. ისინი რეგულარულად ყლაპავენ აბებს, იკეთებენ ნემსებს ვენერიული და სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ, არ უწვებიან და ზოგჯერ ქვეშიდანაც გამოუძვრებიან ხოლმე კლიენტს, ზედმეტად დამუნუკებულსხეულიანს, ან ზედმეტად მყრალს. მათ ორგანიზმს ერთგვარი იმუნიტეტიც აქვს გამომუშავებული, მაგრამ გახსოვდეს, ზოგიერთ მათგანს, რჩეულთ მათ შორის, სადღაც ღრმად, უწმინდურ სიღრმეში აქვთ ჩაკირული, ჩაგლესილი, მოშუშული და

პირშეკრული, მკვრივი ლორწოვანი აპკით დაცული ნახველის მსგავსი გროვა. ეს გროვა მათი უკურნებელი სენია, სენი, რომელიც, როგორც ლოკოკინას, ებრძვის მათ და რომელსაც, თავის მხრივ, ლოკოკინებივით ებრძვიან ისინი, რაც გამოიხატება ბატონებში – ბატონებში, რომლებიც დროდადრო წითელ ღუდუდებად გამოაყრით ხოლმე, შემდეგ კი ბატონები ისევ შოშმინდებიან. აი, ასე ყალიბდება მათში სიბრძნისა და სისპეტაკის პატიოსანი მარცვლები. ქუდი მოიხადეთ და მოიდრიკეთ ქედი, როცა მოხვდებით მეძავებს შორის, ძაღლიშვილებო!!!

ამ სიტყვების შემდეგ ღორმენმა იქ მყოფ უწმინდურ ბრბოს, როგორც მოძღვარმა სამწყსოს, თვალი მოავლო და ბატონკაცური კეთილგანწყობით ზარღრას დარბაისლურად ჰკითხა:

– რა, არ იძლევიან ეს ბოზები იაფად?

– არ იძლევიან, ამათი!.. – გულდაწყვეტით ჩაიქნია ხელი ზარღრამ.

– მოგცემენ, შვილო ჩემო, მოგცემენ! – მხიარულად ჩაილაპარაკა ღორმენმა.

ის არ იყო ვირთხისმაგვარი კიკიმორი, არც ბოროტუნი ან ანცი, არ იყოს ის აგრეთვე მუხისთავკუნძა ქაჯი, ის ელიტარული ეშმა და ჯენტლმენი იყო ჯოჯოხეთისა. ღორმენს უყვარდა ხუმრობა და ამით იყო საშიში. ის ხუმრობის მეშვეობით ნარწყმედდა უმანკო სულებს.

– უბრალოდ, ალბათ არ გამოინახა შენი ტოლი და სწორი! ეძიე, ეძიე, შვილო ჩემო, შენი ბედი, შესაძლოა, აქ არის, შენ გვერდით?

– ფული არ მყოფნის, მამაო, თორემ ბედის მეტი რა არის! – წაიბუზღუნა ზარღრამ.

– მერე შენც ეშმაკური ხრიკი იხმარე, – ურჩია ღორმენმა, – ხომ ხედავ სასტუმროს, ამათ ან ამ სასტუმროში დაჰყავთ თავიანთი კლიენტები, ან კიდევ პატარ-პატრა იაფიან აბანოებში, აქვე შორიახლო, სასტუმროში წასვლას არ გირჩევ, იქ დედილო ყვირილს ატეხავს. აი, აბანოში კი სხვა საქმეა, იქ შენ ბოზთან ერთად შეიკეტები ერთი საათით, მერე რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს დაჰყოფ. მეაბანოვე არასოდეს ატეხავს ყვირილს იმის გამო, რომ ზნეობრივი პოლიციის მოს-

ვლას მოერიდება, არ ჰკითხავენ, ქალი და კაცი ერთად რატომ შეუშვიო? რასაკვირველია, იმავეს დედილოსაც ჰკითხავენ სასტუმროში, მაგრამ დედილო თავს გაიმართლებს იმით, რომ არ იცოდა, რისთვის შედიოდნენ. მეაბანოვე კი ამით თავს ვერ გაიმართლებს. აქედან ორას მეტრში პატარა აბანოა, იქ მე ვმუშაობ მეაბანოვედ და სერგო მქვია. უბრალოდ, დიდი ხანია, მაგ სახეცვალებაში ვარ და აღარც კი მახსოვს, რომ ღორმენი ვარ, თუ მოხვალ და გამახსენებ, კარგს იზამ. შენი ნაცნობი კუჭიკი და ჩონთაც მანდ მუშაობენ ცეცხლფარეშებად, რა თქმა უნდა, სახეცვალებაში! ასე რომ, მოდი! თუ იქ არ დაგხვდი, ან ვაითუ ვერ გავიხსენე, ღორმენი რომ ვარ, ან თუ შენ ვერ გიცანი და დავუშვათ, წყალი გამოგირთე, შენ მაინც იხტიბარი არ გაიტეხო. საქვაბე შიგვეა და არ გაიყინები, იქ მუდამ ისეთი სითბოა, რომ თავი ჯოჯოხეთში გეგონება.

ეს რომ უთხრა, ღორმენმა თავის მორჩილს თვალი ჩაუკრა.

– შეიძლება გკითხოთ, მამაო ღორმენ? – მოწიწებითა და მადლიერებით მიმართა ვიქტორმა მოძღვარს.

– ბრძანე, შვილო ჩემო! – უპასუხა ღორმენმა ზარღრას.

– მამაო ღორმენ, თქვენ ეს წუთია ბრძანეთ, რომ აბანოშიაც მუშაობთ პარალელურად და აბა რაღა გახსოვთ, თუ საკუთარი ვინაობა არა?!

ღორმენმა ხელი მოჰხვია ვიქტორს მხარზე, განწყობილება გამოიცვალა და თქვა:

– ეჰ, ზარღრა, ზარღრა, ჩვენ ჩვენი უსასრულო ტანჯვის პროცესში ზოგჯერ გვავიწყდება საკუთარი მეც. – მერე იქ შეკრებილ მეჩხერკბილება ბრბოს გადახედა და განაგრძო: – აბა შეხედე ამათ, ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ამათ ახსოვთ, თუ ვინ იყვნენ ისინი ადრე, ან თუ გგონია, რომ მათ იციან, ვინ არიან ისინი დღეს!

ზარღრამ მოწიწებით დახარა თავი.

– ახლა კი უნდა წავიდე, ზარღრა, – ისევ მხნედ და ისევ ხალისიანად წარმოთქვა ღორმენმა, – წასვლის წინ კი ერთი მითხარი, შენ ჩემს ნათქვამში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?!

ზარღრამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ხელები ორატორულად

გაშალა ფართოდ, გულღიად გაიღიმა და დაიძახა ომახიანად:

– გავიტასავოთ ჩათლახებს შორის!!!

კმაყოფილების ღრუტუნი აღმოხდა ღორმენს. არ მოელოდა ის ამგვარ ქცევას მორჩილისაგან. დარბაისლურად გაშალა სამკაპისა და კრიალოსნის მპყრობელი ხელები ფართოდ და ზარღრა შვილივით ჩაიკრა გულში. უნდა ითქვას, რომ ზარღრამ თავისი ხმამაღალი შეძახილით, იქმყოფთა კმაყოფილება გამოიწვია. მოძღვარმა და მორჩილმა ერთხელ კიდევ გაიტასავეს ხელკავგაყრილებმა ჩათლახებს შორის. კლიენტებიც და ბოზებიც მოწიწებით უთმობდნენ მათ გზას, რადგანაც გრძნობდნენ ღორმენის უხილავ ძალას. მორჩილი და მისი მოძღვარი კიდევ ერთხელ გადაეხვივნენ განშორებისას ერთურთს. ღორმენი წავიდა, წასვლის წინ, კარგ ხასიათზე მყოფმა თავს კიდევ ერთი პატარა ანცობის უფლება მისცა: მან იქვე მიმავალ უცნობ ქალიშვილს, არამეძავს, არამედ უბრალო გამვლელს ქვეშიდან ამოჰკრა კურტუმოში ხელი, იმგვარად, რომ ჰაერშიც კი შეახტუნა და თან ისე ძლიერად მოუჭირა კაუჩუკის გავაზე, რომ საწყალ გოგონას კინაღამ მოაგლიჯა ტრაკი, რითაც აღტაცებაში მოიყვანა იქ მყოფი მეჩხერკბილება ბრბო.

ზარღრას ღორმენის რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ის გამხნევდა, გამხიარულდა და შეუდგა საქორწინო სამზადისს. ჩავიდა საღამოს ბაზარში, იყიდა ოთხი ცალი პრეზერვატივი, საჭმელ-სასმელი იაფად, ოცი მანეთისა, ერთი ქეციანი მანეთიანი ჯიბეში ჩაიტოვა საჯიშედ და ასე სანოვაგით დატვირთული მიადგა ბოზების „სტაიანკას". ეს ყველაფერი ართობდა ზარღრას, ართობდა და აცინებდა, იწვევდა მასში სხვებისათვის უხილავ ხარხარს. დამცინავი თავისუფლებაც კი შეცბუნებული იყო მომხდურის გაუგონარი საქციელით, რადგან ის მას პირიქით დასცინოდა, და თუ თავისუფლება ევლინებოდა ვიქტორს არასასურველი ფორმით, ის უარესად ამახინჯებდა მას. მანჭიაობის მოყვარულ თავისუფლებას ის კიდევ უფრო ამახინჯებდა.

– აბა, ვინ მოდის აბანოში, ერთი საათი 20 მანეთი, – სთავაზობდა ვიქტორი პირობებს მეძავთა ჯგუფებს.

ზოგიერთები თანხმდებოდნენ, მაგრამ გასამრჯელოს ითხოვდნენ წინასწარ, ვინაიდან ვაგზლის ბოზების კლიენტურა არ იყო საიმედო ხალხი. გარდა ამისა, ეჭვს ბადებდა სანოვაგით სავსე დიდი ცელოფნის პარკი, რომელიც აბანოში სრულებით არ იყო საჭირო. მეძავები გრძნობდნენ, რომ ვიქტორი რაღაც სხვას, მათ მიერ გაუთვალისწინებელს გეგმავდა და ეს ასეც იყო, მას ხომ ერთი ქეციანი მანეთიანის მეტი ფული არ ჰქონდა.

ბოზები მოულოდნელად მოსულმა მთვრალმა ზნეობრივმა პოლიციელმა დაფანტა დედის გინებით, პანღურის რტყმევითა და რეზინის ხელჯოხის ქნევით, შემდეგ კი დაცარიელებული „სტაიანკის" შუაგულში ბარბაცით დადგა, კაბურიდან უზარმაზარი რევოლვერი ამოიღო და გამარჯვების ნიშნად ჰაერში გაისროლა.

– წადით აქედან, წადით! – ღრიალებდა ის, – მორჩა ხორცით ვაჭრობა, წადით!

პოლიციელი ახლა კლიენტებს უყვიროდა და ხელში რევოლვერს ატრიალებდა. კლიენტებმაც ნელ-ნელა დაშლა დაიწყეს და მალე „სტაიანკაზე" თითქმის აღარავინ დარჩა. ვიქტორიც მოერიდა პოლიციელს, უკან დაიხია თავისი პარკით და ზურგით მის უკან მდგომ და განგების ძალით მის მომლოდინე ბანჯგვლაეთეროს მიაწყდა.

– აი, ტიტველა ქალიც! – თავის ფიქრებში დასცინა მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძემ საკუთარ თავს.

– წამოხვალ ჩემთან აბანოში? – ჰკითხა მან ბანჯგვლაეთეროს თეძოზე ხელის წავლებით, – შენ იქ დაიბან ტანს, გაიპარსავ, თუ საჭიროა, ზოგან დუსტსაც მოიყრი და მერე მე და შენ დილამდე ვისიამოვნებთ ორთქლსა და ქაფში, – ეუბნებოდა გაგიჟებული ვიქტორი ბანჯგვლაეთეროს, – წამოხვალ? გინდა?

– ჰო-ო-ო!!!

ვიქტორ ნაზრაძემ ბინძურ კისერში წაავლო ბანჯგვლა ეთეროს უხეშად ხელი და პატარა უსუფთაო ვაგზლის აბანოსკენ გაუტია დასაქორწინებლად. ასე კისერში ხელწავლებული მიჰყავდა ნეფეს თავისი კოჭლი, ჭაღარა, წვერულვაშიანი,

უსუფთაო დედოფალი. დედოფალს ზურგზე ეკიდა ვაგზლის ტერიტორიაზე შეგროვებული პლასტმასის ბოთლებით სავსე ტომარა, რომლის წართმევასა და გადაგდებასაც უშედეგოდ ცდილობდა ნეფე. ნეფეს, თავის მხრივ, ხელში ეჭირა ცელოფნის დიდი პარკი, რომელშიც იდო საქორწილო საჭმელ-სასმელი, ოთხი ცალი პრეზერვატივი და მძიმე, ხარისტარიანი ჩაქუჩი.

იყო სუსხი. ციოდა.

4

ზარღრას უნდოდა, რაც შეიძლება ჩქარა მიეყვანა გულისწორი დანიშნულების ადგილზე, ვინაიდან მას რცხვენოდა ასეთი არსების გვერდით გავლა. ბრბო იქ ჭრელი იყო და ათასნაირი, მაგრამ ჰერმაფროდიტი მაინც გამოირჩეოდა მათში განსაკუთრებული სიმახინჯით. ის, როგორც უწინ ითქვა, იყო ჭაღარა, წვერულვაშიანი, ეცვა ძალიან ბინძურად და საშინლად კოჭლობდა. ზარღრას ძაღლივით კისერში ხელჩავლებული მიჰყავდა იგი აბანოსაკენ, ცდილობდა ნაბიჯის აჩქარებას და სწორედ ამ აჩქარებისას ერეოდა ფეხი. გარდა ამისა, მათ წინსვლას ხელს უშლიდა ის, რომ პატარძალს ზურგზე ეკიდა ვაგზლის ტერიტორიაზე შეგროვებული პლასტმასის ბოთლებით სავსე ჭუჭყიანი ტომარა, რომლის წართმევასა და გადაგდებასაც უშედეგოდ ცდილობდა სიძე.

– „მოიცა, მიგიყვან ადგილზე და დაგინგრევ თავ-ყბას", – იქადნებოდა თავის აზრებში ზარღრა.

ის ძლივს თოკავდა თავს, რადგან ცდილობდა პატარძალი დროზე ადრე არ დაეფრთხო. გარდა ამისა, მას სხვა საფიქრალიც ჰქონდა: აბანოს ნომრის ერთი საათით აღებას 5 მანეთი უნდოდა, მან კი ეს ვერ გაითვალისწინა, ციხის უფროსის მიერ მიცემული განთავისუფლების ფულიდან ვიქტორმა 24 მანეთით რეზინის ჩაქუჩი, 4 ცალი პრეზერვატივი და საქორწილო სასმელ-საჭმელი იყიდა. მას ახლა ერთი ქეციანი მანეთიანილა ეგდო ჯიბეში.

– „უკიდურეს შემთხვევაში მეაბანოვეს პროდუქტებით გადავუხდი", – ფიქრობდა ზარღრა.

წყვილი აბანოს მიადგა. ზარღრა და ბანჯგვლაეთერო სლიპინა კიბეებით აბანოს ნახევარსარდაფში ჩავიდნენ და თეთრებში გამოწყობილ ზორბა მეაბანოვეს, ღორმენის სახეცვალებას – სერგოს მიესალმნენ. ზარღრამ მაშინვე იცნო ღორმენი, მაგრამ სამაგიეროდ ღორმენმა ვერ იცნო თავისი მორჩილი. ეს ძალიან შორეული სახეცვალება იყო ღორმენისა და, აქედან გამომდინარე, მეაბანოვე სერგოს ზარღრა კი არა, თავისი ნამდვილი ვინაობაც უკვე ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა. ეშმაკთა დაუწერელი წესის თანახმად, მორჩილს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მოძღვრისთვის მისი ვინაობის შეხსენება. ცბიერებაში დახელოვნებული ეშმაკები, ისევე როგორც უბრალო მატყუარები, უპირველეს ყოვლისა თავს იტყუებენ და ამით ისჯებიან ისინი განდგომისათვის, ხოლო საკუთარი თავის მომტყუებელნი, რასაკვირველია, მით უმეტეს, არ ინდობენ სხვებს.

– ტანის დაბანვა გვინდა, უფროსო! – მიმართა სასიძომ მეაბანოვეს.

მეაბანოვემ ახედ-დახედა საეჭვო წყვილს.

მერე გადაიხადეთ ხუთი მანეთი და დაიბანეთ, – დაიბურტყუნა მან.

ვიქტორმა დაიწყო ახსნა:

– საქმე იმაშია, რომ მე და ამან ხანმოკლე შეუღლება გადავწყვიტეთ. ოჯახი გვინდა შევქმნათ. ფული მანეთის მეტი არა გვაქვს. სამაგიეროდ, გვაქვს, აი, ეს პარკი პროდუქტებით სავსე. აიღე მანეთი, აიღე პარკიდან საჭმელ-სასმელი რაც გაგეხარდება და შეგვიშვი ნომერში. გარდა ამისა, გვაქვს ბოთლები, რომლების უმრავლესობაც პლასტმასისაა, მაგრამ ალბათ არის შუშისაც. გააქ, ქალო, შუშის ბოთლები?!

– ჰო-ო-ო!

– აი, შუშის ბოთლებიც გვქონია, ჩააბარებ და ეგეც ფულია!

მეაბანოვემ კისერი მოიფხანა. მან ცელოფნის პარკი ორთქლით გაჟღენთილ დამსკდარ მაგიდაზე დადო და იქიდან ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ცალი ძეხვი და პური ამოიღო, მანეთიანი ჯიბეში ჩაიდო, ბანჯგვლაეთეროს ტომარას ხელი

შემოჰკრა და როცა იქიდან შუშის წკრიალი გაისმა; პატარძალს ტომარა გადმოაპირქვავებინა. პლასტმასის ბოთლებში მართლაც ერია რამდენიმე შუშის ბოთლი. მეაბანოვემ ისინი უჯრაში შეინახა და შეყვარებულებს აბანოს კარი გაუღო.

ვიქტორმა სურსათი ნომრის გასახდელში შეიტანა, სკამეიკაზე დადო, მერე გამოვიდა, ჰერმაფროდიტი ხელში აიტაცა და ნომერში შეაბიჯა. უნდა ითქვას, რომ მოხდა პატარა დამთხვევა: პლასტმასის ერთი დაჭეჭყილი ბოთლი ვიქტორს ფეხქვეშ მოჰყვა და სიმბოლური ჭრაჭუნი გაიღო. ამით საქორწინო რიტუალის ნაწილიც როგორღაც თავისთავად შესრულდა და ამან გაამხიარულა არა მარტო ახალგაზრდები, არამედ მეაბანოვეც. ამ უკანასკნელმა მენდელსონის მარშის მელოდიაც კი წაიღიღინა. დაუჯერებელია, მაგრამ ჰერმაფროდიტს ლოყები შეუვარდისფრდა და თვალებიდან ბედნიერების „უმანკო" ცრემლები გადმოსცვივდა.

ვიქტორმა ბანჯგვლაეთერო გასახდელში შეიყვანა და სკამეიკაზე საკმაოდ უხეშად დააგდო. მერე კარისკენ მოტრიალდა ჩასაკეტად, მაგრამ ვერ მოასწრო, პატარძალი მოულოდნელად ზეზე წამოვარდა, ვიქტორი ღონივრად გზიდან ჩამოიშორა და დერეფანში გავარდა. ამის მიზეზი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დერეფანში დარჩენილი პლასტმასის ბოთლები იყო. ჰერმაფროდიტი ბოთლებს ეცა და მათ უკანვე ტომარაში ჩაყრას შეუდგა.

– ჰო, შეაგროვე, შეაგროვე, – უთხრა მას ცოტა არ იყოს დაბნეულმა მეაბანოვემ, – შეაგროვე და მანდ დადე.

პატარძალმა ბოთლები შეაგროვა, მაგრამ ტომრის დერეფანში დატოვება არ ისურვა, როგორც ჩანს იმის შიშით, რომ ვინმეს არ მოეპარა. ის ჯიუტად ცდილობდა ტომრის ნომერში შეთრევას. ბოლოს მაინც მოახერხა, მიუხედავად მეაბანოვისა და ვიქტორის სასტიკი წინააღმდეგობისა. დამარცხებულებმა ხელი ჩაიქნიეს, უჯიათი პატარძლის ახირებას შეურიგდნენ და ერთმანეთს, რომ იტყვიან, კაცური სოლიდარობა გამოუცხადეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მეაბანოვემ საფეთქელთან მიტანილი საჩვენებელი თითი დაატრიალა, აქაოდა პატარძალი გიჟიაო, ხოლო სიძემ სატრფოს პანღური

ამოჰკრა და ხელები გაშალა, რა ვქნა, ქალია და ქალურად კაპრიზობსო.

– გაიხადე! – ლაკონურად წარმოთქვა ზარღრამ და კარი ჩარაზა.

პატარძალმა გახდა დაიწყო. ვიქტორი წარბშეკვრით უცქერდა მას და ხელში ზურგს უკან დამალულ რეზინის ჩაქუჩს ატრიალებდა.

– შენ კაცი ხარ თუ ქალი ხარ, შენი?! – გამოსცრა მან ისეთი ტონით, რომელიც კარგს არაფერს უქადდა ეთეროს.

გარეგნულად ეს არსება წარმოადგენდა ნვერ-ულვაშიან ბინძურ ქალს, მაგრამ როგორი იყო იგი ტანსაცმლის შიგნით, ეს მხოლოდ არშაკ კარაპეტოვიჩმა უწყოდა. არშაკ კარაპეტოვიჩი კი, სამწუხაროდ, იქ არ იყო. ეს გახრწნილი მოხუცი მხოლოდ კვირაში ერთხელ ესტუმრებოდა ხოლმე ვაგზლის ბოზბანდას, ისიც ტურფა ბანჯგვლაეთეროს და მისთანების ხათრით.

„იქნებ, – ფიქრობდა ზარღრა, – ქალის სასქესო ორგანოს ნაცვლად უზარმაზარი შამბარ-ყუმბარა კიდია ფეხებს შორის", – ეს აზრი მას ამხიარულებდა, ვინაიდან ბუნებით იუმორისტი და ცოტათი ცინიკოსი იყო, – „მაშინ რაღა ვქნა?!" – და თვითონვე პასუხობდა თავისსავე დასმულ შეკითხვას, – „მაშინ, ჩემი პერსონის ასეთი უპატივცემლობისათვის ჯერ რეზინის ჩაქუჩით კარგად უნდა ვცემო, შემდეგ გავაგდო, დანარჩენს კი შემდგომი სიტუაცია გვიჩვენებს".

„ჰო მაგრამ, – მსჯელობდა ის, – ჩაქუჩი რომ წამართვას? ჩაქუჩი რომ წამართვას, მაშინ უნდა გავექცე! რომ ვერ მოვასწრო?" – ისევ მსჯელობდა ის, – „ო-ო-ო, მაშინ აქ ძალიან შემაძრწუნებელი რამ შეიძლება მოხდეს!"

ჰერმაფროდიტმა თავისი გაზინთული ძონძები გაიძრო და საქმროს წინაშე წარსდგა. ის მორცხვად, ისე, როგორც კდემამოსილ პატარძალს შეჰფერის, მზერას არიდებდა ნეფეს და თან ამავე დროს ორივე ხელით ცდილობდა ლიფის ზურგს უკან გახსნას. ზარღრამ თავის გონებაში აღნიშნა, რომ პატარძლის თუმც უზომოდ ბანჯგვლიან, მაგრამ მაინც ქალურ სხეულს მამაკაცის სასქესო ორგანოები საბედნიეროდ არ გააჩნდა.

– მოტრიალდი, – უთხრა მან რჩეულს ცოტათი გულმომ-ბალმა, – მოტრიალდი, მე გაგიხსნი.

პატარძალი მოტრიალდა. სიძემ რეზინის ჩაქუჩი უკან პარკში ჩადო და რის ვაივაგლახით გაუხსნა პატარძალს ტურ-ტლიანი ლიფი.

ბანჯგვლაეთერო საშხაპეში შევიდა და ონკანებს დაუწყო ტრიალი წყლის დასარეგულირებლად. ვიქტორიც შეუდგა გახ-დას, მაგრამ როცა ტანსაცმლის საკიდზე დაკიდება დაიწყო, მას ცხვირში იქვე სკამეიკაზე უდიერად დაყრილი, პატარძ-ლის ძონძებიდან მომავალი ცუდი სუნი ეცა. მან ზიზღით გად-მოყარა ძონძები იატაკზე და ზიზღითვე ფეხით შეაბურთავა საშხაპეში.

– გაიწიე იქით, შე ბინძურო, – უბიძგა მან პატარძალს, – დღეს მაინც გაირეცხე შმოტკები. დადიხარ, იქექები ტურტლიანი, – მერე ხელი თავში ჩასარტყმელად მოუღერა, – უ-უ, შენი!!!

ჰერმაფროდიტი შეუდგა ბურტყუნს:

– აი, ეხლა რად დამისველე შმოტკები, – აიღო და დახედა ძონძებს, – აი, ეხლა როგორ გავაშროფ მე ამასა?! რო გავალთ, მე ჩავიცვავ შენ შმოტკებსა, ამას კიდე ჩაგაცმევ შენა!

– მიდი ეხლა, ნუ ჭკვიანკოლოფობ, დროზე გაირეცხე ეგ გნიდნიკები, თორემ მართლა ჩამოგიღებ ჩანს! – გაბრაზდა ვიქტორი და დასარტყმელად მუშტი შემართა.

ჰერმაფროდიტმა იგრძნო ვითარების სერიოზულობა. ის დამორჩილდა, ჩაცუცქდა და ზლუქუნით შეუდგა შმოტკების რეცხვას.

ვიქტორმა ახლაღა შეამჩნია პატარძლის ქვედა თეთრეულზე სისხლის მსუყე ლაქები და ზედ მიწებებული ხარბად გაჟღენ-თილი საფენი.

– შენ რა, ყველაფერთან ერთად თვიურიცა გაქვს?! – წარ-მოთქვა მან ზიზღით.

– ჰო-ო-ო!

– ფუ, შენი!..

ვიქტორი შხაპის ქვეშ დადგა და ფიქრებს მიეცა:

„აი ჩემი ბედიც ეს ყოფილა, – ფიქრობდა ის, – რა ვქნა, თუ ასეა".

წყალი მილებში არათანაბარი წნევის გამო არათანაბრად ნანილდებოდა და ნაზრაძესაც ხან მდუღარე, ხანაც ყინულივით ცივი წყალი ესხმებოდა თავს. „ჩემი ბედი ყოფილა ეს!“ – ფიქრობდა იგი.

– რით გავირეცხო! – დაიბურტყუნა ბანჯგვლამ, – საპონი რო არა მაქ?!

ზარღრა კართან მივიდა. საპონი მართლაც საჭირო იყო – საპონი, პირსახოცი და საპარსი მოწყობილობა პატარძლისთვის. მან კარზე დააბრახუნა, ოღონდ არა ისე, როგორც საერთოდ აბრახუნებენ – ხელით, არამედ ფეხით. დიახ, ის კართან მისვლისას შემოტრიალდა, ხელები კარის კიდეებს მიაბჯინა და ქუსლით აუყენა კარს ბრახუნი. ციხის აბანოში ბანვისას ასეთი საშუალებით იხმობდნენ ხოლმე პატიმრები ციხის ზარმაც მეაბანოვეებს, რომლებსაც ეზარებოდათ ზედმეტად გარჯა და პატიმართა ცალ-ცალკე გამოშვებას ყველას ერთად გამოშვებას ამჯობინებდნენ.

მეაბანოვე კართან მივიდა და იკითხა:

– რა არის?

– უფროსო, საჭიროა საპარსი მოწყობილობა, საპონი და პირსახოცი პატარძლისათვის! – უთხრა მას ზარღრამ კარის გაუღებლად.

– ვნახავ რამეს! – დააიმედა იგი მეაბანოვემ.

ცოტა ხნის შემდეგ მეაბანოვემ მოიტანა მუქი ყავისფერი, თითქმის შავი სარეცხის საპონი, ტუჩმოტეხილი უსაფრთხო სამართებელი, ჟანგშეპარული, აშკარად ნახმარი პირით, საპნის ასაქაფებელი უხეშბენწვიანი ფუნჯით, სარკის აქერცლილი ნატეხი და საშრობი ქაღალდივით გაცრეცილი, მოყვითალო ვაფლის პირსახოცი. ყველაფერი გამოართვა სიძემ, სკამეიკაზე დაყარა და კარი ხელმეორედ ჩარაზა.

– მიდი აბა, შეუდექი საქმეს! – უბრძანა მან პატარძალს.

პატარძალი შეუდგა საქმეს: ის ერთდროულად იპარსავდა ბანჯგვლებს, ირეცხავდა ტანსაცმელს, იბანდა ტანს და ბურტყუნებდა. ზარღრაც, შესაბამისად, ეხმარებოდა პატარძალს ძნელადმისადგომი ადგილების გაპარსვაში, ფეხებით თელავდა შხაპქვეშ ქონიან მეტლახზე დაყრილ ცუდად გასაპნილ ძონ-

ძებს, თან აგინებდა, პანჩურებს ურტყამდა და ზოგჯერ მჯილსაც ჩასცემდა სლიპინა თავში ბანჯგვლას, იმის გამოისობით, რომ ეს უკანასკნელი ყველაფერს აკეთებდა მოუხერხებლად, უნიათოდ და უჯიათად.

პატარძალი დროდადრო ხელისკვრით იცილებდა უჩვეულოდ მომთხოვნ ნეფეს, იპარსავდა ბანჯგვლებს დაბლაგვებული სამართებლით, რომლითაც ალბათ გაპარსავდი კი არა, ყურსაც ვერ მოაჭრიდი კაცს.

– მიდი, კუთხეში დადექი და იქ გაიპარსე, – უბრძანა სიძემ პატარძალს, – თორემ შენი ბანჯგვლები წყალს მოაქვს და ისევ შენს შმოტკებს ედება!

ბანჯგვლაეთეროს არცთუ მაინცდამაინც ეპიტნავა ზარღრას ეს წინადადება, გასაგები მიზეზების გამო მას წყლის შხეფების ქვეშ დგომა ერჩია სადღაც კუთხეში, სიცივეში დგომას და ბანჯგვლების პარსვას. მან რამდენიმე გაუბედავი საპროტესტო მოძრაობის გაკეთება სცადა, რომელთაც ცოტაოდენი ბურტყუნიც დაურთო, მაგრამ როცა ერთი კარგი მაგარი ალიყური იგემა საჯდომში, მაშინვე დაშოშმინდა და მორჩილად დაიკავა მითითებული ადგილი. იგი კუთხეში დადგა და ტირილით შეუდგა პარსვას. იდგა, დასერილ, დასისხლიანებულ სხეულს მოუხერხებლად იპარსავდა, სარკეს იშველიებდა და როცა კი კანს გაიჭრიდა, არასასიამოვნოდ სისინებდა, ფეხებზე – მუხლებსა და კოჭებს შორის მას ჰქონდა მუქი ლაქები, დამადასტურებელი რომელიღაც კანის დაავადებისა, ხოლო ფეხის უბადლო თითებს უმშვენებდა უშველებელი, მარჯნის რიფების მაგვარი, ჭუჭყიანი ყვითელი ფრჩხილები.

– „ჩემი ბედიც ეს ყოფილა“, – ფიქრობდა ბედის მორჩილი ზარღრა. იგი თითქმის არ განიცდიდა ყველაფერ ამას, არა, რადგან თუკი რამ განსაცდელი არსებობს ქვეყნად, მას ყველაფერი განეცადა უკვე. არ განიცდიდა, მხოლოდ ფიქრობდა – „რატომ“?

როცა გათბა, ტანი დაიბანა და მოსულიერდა, სიძემ პატარძალი შეათვალიერა. ის უკვე თითქმის სულ გაპარსულიყო და აღარ იყო ისეთი შეუხედავი, როგორც თავიდან, უბრალოდ სისხლიანი ნაკაწრები კანზე და ალაგ-ალაგ ბუჩქებად დარ-

ჩენილი ბანჯგვლები უკარგავდნენ იერს, არ უხდებოდა მას აგრეთვე ჭაღარა, ჯაგარივით წვერ-ულვაში, რომელსაც იგი რატომღაც არ იპარსავდა, შესაძლოა იმიტომ, რომ დაბლაგვებული სამართებლით მართლაც ძალიან ძნელი იქნებოდა ასეთი ხშირი წვერ-ულვაშის გაპარსვა.

– პირს რატომ არ იპარსავ? – ჰკითხა ვიქტორმა საცოლეს, – მოდი, მე მოგეხმარები, – სამართებელი გამოართვა და ხელით ცოტა გვერდზე გასწია, რადგან პატარძალი თავისივე ბანჯგვლებში იდგა.

ზარღრამ სისხლიანი და ქაფიანი ბანჯგვლები შიშველი ფეხებით კუთხეში შეაქუჩა, მერე გაჭუჭყიანებული ფეხი შხაპს შეუშვირა და პატარძლის გაპარსვას შეუდგა. საქმე არც ისე იოლი აღმოაჩნდა, რადგან ბანჯგვლას ფოლადის მავთულივით უხეში ჯაგარი არ ემორჩილებოდა ჟანგიან სამართებელს. ხელის შემშლელი იყო აგრეთვე პატარძლის აუტანელი ყოფაქცევა – იგი გამუდმებით იკლაკნებოდა, წუწუნებდა და თავს არიდებდა პარსვას.

– გააჩერე რა თავი, – ეუბნებოდა ზარღრა, – შენი! – ჩაქუჩივით ურტყამდა მუშტს უტვინო თავში გაუმეტებლად.

– მტკივა-ა-ა! – გაჰყვიროდა ეთერო პასუხად და საკოცნელად იშვერდა ტუჩებს.

ზარღრა ასეთ მცდელობებს ხელით იგერიებდა და ეუბნებოდა დაახლოებით ამას:

– მოიცადე, დამაცადე, ჯერ გაგპარსავ, შე ოხერო, – თან მის მამაკაცურ სახეს აკვირდებოდა. ფიქრობდა, ხომ არ დაეტოვებინა მისთვის წვერი და ულვაში, ან თუ დაეტოვებინა, როგორი. ბოლოს გადაწყვიტა, რომ მისი სატრფოს ფიზიონომიას ძალიან მოუხდებოდა ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები და მოხდენილი შოტლანდიური წვერი. ასეც მოიქცა, ზარღრამ პატარძალი გაპარსა, მაგრამ მთლიანად არა, წვრილი, ძალიან ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები და მოხდენილი შოტლანდიური წვერი დაუტოვა. მერე სიცილით გაიფიქრა, „აუ, ამას რა იხმარსო" და სატრფოს სიყვარულის უმანკო პანღური ამოსცხო. ამის შემდეგ იგი ცხელ შხაპს მიეფიცხა განცხრომით.

შიგვე აბანოში იდგა წყლით გაჟღენთილი ტახტისმაგვარი დამპალი რამ. ეს რამ, რომელშიც ჭარბად ცხოვრობდნენ უნიჟარო ლოკოკინები და მათი მაგვარი სლიპინა ჭიები, ვითომდა იმისთვის იდგა, რომ მობანავეს შეძლებოდა დაწოლა ან დაჯდომა, მაგრამ ჰაი-ჰაი რომ არავინ იყო ამ სიბინძურეზე დამჯდომი ან, მით უმეტეს, დამწოლი, გარდა ზარღრასი, ბანჯგვლაეთეროსი ან კიდევ რომელიმე მათნაირი გაფარჩაკებული წყვილისა.

– მოდი, მოსწიე ეს ტახტი, – უთხრა ზარღრამ ეთეროს და ტახტს დაეჯაჯგურა, – მოდი, მომეხმარე, აი ამ ტახტზე უნდა წამოგაქციო და ამაზე უნდა გიხმარო. ეს არის შენი საქორწილო სარეცელი, ხოლო შმოტკები, რომლებიც ალბათ უკვე გაირეცხა, თავქვეშ ამოიდე და კარგი ბალიში იქნება.

შეყვარებულებმა ტახტისმაგვარი რამ შხაპის ქვეშ შეაცურეს და მის გარშემო სირბილს, ხტუნაობას და დაჭერობანას თამაშს მოჰყვნენ. ეს, რასაკვირველია, ბანჯგვლას ინიციატივით – იგი, ისევე როგორც ყველა შეყვარებული ქალი, დახტოდა, დაკუნტრუშობდა, იგერიებდა და არ ეძლეოდა ადვილად თავის რჩეულს. ისინი რომ მინდორში ყოფილიყვნენ და არა აბანოში, იგი აუცილებლად დაიწნავდა მინდვრის მორცხვი ყვავილებისგან ლამაზ გვირგვინს, მეორე გვირგვინს კი მიჯნურს დაუწნავდა, თავზე ჩამოაცვამდა და მერე ზაფხულის ქარივით გაფრინდებოდა კისკისითა და მარჯვედ. შეყვარებულიც აედევნებოდა დაუოკებლად და ასე ირბენდნენ ისინი დაახლოებით 6-7 საათის განმავლობაში. ზარღრა გაჩერდა. მას თვალებში თითქოს ბინდი ჩაუდგა.

– ეგ შოტლანდიური წვერი და ვნებიანი პორტუგალიური ულვაშები კი მართალია ძალიან გხატავს, მაგრამ უნდა გაგპარსო, რომ ცოტათი კვლავ დაემსგავსო ქალს! – უთხრა მან სატრფოს მკაცრი, სერიოზული ტონით, ისეთით, რომელიც გამორიცხავდა პროტესტს. დედოფალმა ეს იგრძნო და მორჩილად გაუტრუნდა ნეფეს. ნეფემ უხეში ფუნჯით, ძნელად ასაქაფებელი, ქვასავით მაგარი სარეცხის საპონი შეძლებისდაგვარად ააქაფა, ეს ქაფი პატარძალს წასცხო სახეზე, სამართებელი აიღო და პარსვას შეუდგა. ჯერ მოპარსა შოტ-

ლანდიური წვერი, შემდეგ კი – ცალი პორტუგალიური ულვაში, გაიხსენა ის ფაქტი, რომ ოდესღაც კატორღელებს ცალ წვერს პარსავდნენ, გაიცინა ამის თაობაზე, ის მეორე ვნებიანი პორტუგალიური ულვაშიც მოპარსა ბანჯგვლაეთეროს და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პარსვის ბოლო მომენტში ტუჩი გაუჭრა თავის სატრფოს.

– აუ! – იყვირა სატრფომ.

– აუ და ბაუ! – გულგრილად გაეპასუხა მიჯნური და ტუჩ-მოტეხილი უსაფრთხო სამართებელი კუთხეში მიქუჩებულ ქაფიან და სისხლიან ბანჯგვლების გროვაზე დააგდო.

– აი, ახლა კი ვხედავ, რომ ქალი ხარ, – უთხრა ზარღრამ ეთეროს თითქმის არამოჩვენებითი გულითადობით, – შენ თითქმის არ განსხვავდები სხვა ქალებისაგან. შენ ისეთივე ხარ, როგორც ისინი. თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ. თფუ თქვენი!

პატარძალმა ენა გამოუყო ნეფეს, ნეფესთვის გამოყოფილი ენით გაჭრილი ტუჩიდან ჩამონადენი ცოტაოდენი სისხლი აილოკა და შხაპისქვეშ წივილ-კივილით შეხტა. ნეფე მის კვალს მიჰყვა და ხელი გაიწვდინა დედოფლისაკენ, მაგრამ დედოფალი წივილით გახტა გვერდზე, გააკეთა ცრუ მოძრაობა და ტახტს გადაახტა, სამწუხაროდ ვერ გაითვალისწინა სლიპინა იატაკის ვერაგობა, ფეხი დაუცდა და ტახტის კუთხეზე თეძო გადაიყვლიფა.

– ვაიმე-ე-ე! – ატირდა იგი.

ნეფემ ასწია პატარძალი და ტახტზე დააწვინა, თვითონაც გვერდზე მიუწვა, მაგრამ სინიორინა უეცრად გონს მოეგო, ფეხზე წამოვარდა, პროდუქტებიანი პარკისკენ გაიქცა, შიგ ხელები ააფათურა და მონსინიორს სთხოვა, ჯერ რამე ვჭამოთო. მონსინიორმა თავი დაუკრა და დედიშობილა მიუჯდა სინიორინას მიერ სკამეიკაზე ფაციფუცით გაშლილ სუფრას. მონსინიორი და სამართებლით დასერილი სინიორინა ამ სკამეიკას აქეთ-იქიდან ტიტვლები უსხდნენ და მადიანად შარაფობდნენ. ერთადერთი ასვატიანი ნათურა ვერ უმკლავდებოდა სიბნელესა და ორთქლს და ამიტომაც მისი სუსტი ციმციმი მხოლოდ ალამაზებდა ნახევრად წყვდიადს და ვითარებასაც

უფრო ინტიმურს ქმნიდა. ზარღრას, პრინციპში, მოსწონდა აქ. ერთგვარ დისკომფორტს ჩვეული, ის ბევრს არ ითხოვდა ცხოვრებისგან. მხოლოდ პატარძლის მოუმუწავი პირის ღორული წკლაპუნი ცოტათი აღიზიანებდა მას ამ წუთას.

– მომუწე პირი და ისე ჭამე, – უბრძანა მან პატარძალს. მერე კი, როცა ბრძანება შესრულდა, ჰკითხა – შენ რა გქვია შემოკლებით?! პასპორტში კი ეთერი გიწერია, მაგრამ ბავშვობაში? ბავშვობაში რას გეძახდნენ ბანჯგვლას, ეთეროს, ბანჯგვლიკას თუ რას? რა გერქვა მაშინ, როცა პატარა იყავი?

– თირო, – სევდანარევი ხმით წარმოთქვა თავისი ძველი, მივიწყებული სახელი შემთრვალმა ჰერმაფროდიტმა და მოულოდნელად თვალები მომდგარმა ცრემლმა აუბრჭყვიალა.

ვიქტორმა შეწყვიტა ღეჭვა. მას შეეცოდა ეს არსება, არსება, რომელიც მასავით იყო ოდესღაც პატარა, მასავით ჰქონდა სახლი, ჰყავდა ახლობლები და, რაც მთავარია, ჰქონდა სახელი – არა ის, რასაც ოფიციალურ საბუთებში წერენ ნოტარიუსები, სახლმმართველები, გამომძიებლები და სხვა ჩინოსნები, არამედ ნამდვილი სახელი, რომელსაც ყველაზე უფრო ახლობელი ადამიანები არქმევენ. სახელი, რომელსაც ჩვენ, უსულგულო ადამიანები, არ ვუფრთხილდებით, ვივიწყებთ და ვკარგავთ.

– შენ რა გქვია? უფრო სწორად რა გერქვა ადრე? – მოულოდნელად ჰკითხა ბანჯგვლა ეთერომ ზარღრას, – შენც ხომ რაღაც გერქვა? ხომ გერქვა?!

– კი, მერქვა, – თბილად უპასუხა ზარღრამ.

ზარღრამ პასუხი ოდნავ დააყოვნა:

– სულ პატარაობისას მეძახდნენ ვიკას, მერე ცოტათი რომ წამოვიზარდე, დამარქვეს ვიხა, ახლა კი სული გავყიდე და მქვია ზარღრა!

ჰერმაფროდიტს ოდნავი შეშფოთება და წუხილი დაეტყო სახეზე. ის სულ ახლოს მიუჩოჩდა ზარღრას, ხელი გადახვია და ყურში გაუბედავად ჩასჩურჩულა:

– ნუ იდარდებ ასე, – ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კი დაამატა: – ჯოჯოხეთში შევხვდებით!

– შევხვდებით! – უპასუხა ზარლრამ და სატრფოს ხელი მოხვია.

– შენ ერთადერთი აღმოჩნდი მთელ სამყაროში, ვინც ისურვა ჩემი უთავბოლო, უკიდეგანო მარტოობის მოზიარედ გახდომა. შენ უნდა გიმადლოდე, რომ დღეს ჩემი ლოდად ქცეული მარტოობა მხოლოდ სანახევროდ არის უთავბოლო და გაუთავებელი და რაკი შესაძლებელი აღმოჩნდა გაუთავებლის შუაზე გაყოფა, მაშასადამე ეს გაუთავებელიც აღარ ყოფილა უსაზღვრო, ყოველ შემთხვევაში, ერთი ზღვარი, ერთი ათვლის წერტილი უკვე ნაპოვნია და ეს დიდი მიღწევაა ამ უსასრულობაში.

– თირო – რა უცნაური სახელია, ნეტავ ვინ დაგარქვა პატარა გოგონას ასე? ნუთუ არ შეეძლოთ შენთვის რაიმე სხვა სახელი ეპოვათ? რატომ გადააკეთეს ასეთი ლამაზი სახელი, ეთერი, მაინცდამაინც თიროდ? ვინ იყვნენ შენი მშობლები? ალბათ შენნაირი ბანჯგვლიანი მაწანწალები: მამა – ბანჯგვლიანი არამზადა და დედა – ბანჯგვლიანი ბინძური დედაკაცი! თუმცა თიროც კარგი სახელია, ლამაზად ჟღერს. ვინც უნდა იყო შენ, რაც უნდა გერქვას, ვინც უნდა იყვნენ შენი მშობლები, შენ მაინც იმსახურებ პატივისცემას და თანაგრძნობას ჩემგან! ერთადერთი ხარ მთელ სამყაროში, რომელიც შეიძლება ითქვას, თავისით მოვიდა ჩემთან! მე არ დავაჩაგვრინებ შენს თავს არავის! შენ დღეს ერთადერთი ახლობელი ხარ ჩემი. ჩვენ არსად არ წავალთ დილამდე აქედან! აქ ვიქნებით სითბოსა და ორთქლში! ჩვენ არ გავაღებთ კარს და არ წავალთ სიცივეში ღამის გასათევის საძებრად! აქ არის ჩვენი სახლი და ჩვენ არ გავალთ აქედან დილამდე, რაც არ უნდა აბრახუნონ მეაბანოვემ, ცეცხლფარეშებმა და მექისეებმა! მე მზად ვარ, შეევებრძოლო თვით ზნეობრივ პოლიციელთა მრავალრიცხოვან რაზმსაც! ნებისმიერ იერიშს მოვიგერიებ რეზინის ჩაქუჩით! მე შენ დაგიცავ მედგრად და ვფიცავ, ვანანებ ყველას, ვინც აქ გაბედავს ძალით შემოჭრას, თუნდაც ეს კაც-ნახევარა ეშმაკი ღორმენი იყოს! ვანანებ ყველას, უკუნითი უკუნისამდე!!!

ამ სიტყვებზე კარი აბრახუნდა.

– დაამთავრეთ ბანაობა, თქვენი დრო გავიდა! – გაისმა მეაბანოვის ხმა.

ნეფემ პატარძალს ხელი მოხვია, მეორე ხელში რეზინის ჩაქუჩი მოიმარჯვა და ჩარაზულ კარს მიღმა მდგომ მეაბანოვეს ავად გასძახა:

– დილამდე აქედან არ გამოვალთ, შეფ! ჩვენ არსად მიგვესვლება და ამიტომაც აქედან არ გამოვალთ!!!

საბრძოლველად შემართულმა სიძემ პლასტმასის ერთჯერად ჭიქებში ჩამოასხა ღვინო, ჭიქა ჭიქას მიუჭახუნა და გადაკრა, თირომაც დალია, მათ ძეხვის მოზრდილი ნაჭერი შუაზე გაიყვეს და ღეჭვას მოჰყვნენ. ისინი, შემთვრალნი, მასხრად იგდებდნენ მეაბანოვეს და ადგილის დასამკვიდრებლად საბრძოლველად ემზადებოდნენ. ზარღრას რეზინის ჩაქუჩი ედო ხელს უკან, ხოლო თირო, ამ ცოტა ხნის წინ უმწეო თირო, ახლა შეზარხოშებული, ავად უმზერდა ღვინის ბოთლებს და მათში აშკარად ხელყუმბარებსა და საბრძოლო მასალებს ხედავდა. იგრძნობოდა მისი მზადყოფნა, კბილებზე გადაეფშვნა ეს ბოთლები ნებისმიერი მომხდურისათვის. სუფევდა სრული თანხმობა და საბრძოლო სული.

მეაბანოვე მთელი ძალით ურტყამდა კარს და იგინებოდა, ახალგაზრდები კი ქეიფობდნენ, ცულლუტობდნენ, ლაღობდნენ და გამუდმებით იმეორებდნენ ერთსა და იმავეს:

– მამი, აკაკუნებენ!

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ!

– მამი, აკაკუნებენ!

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ!

5

გააფთრებული მეაბანოვე სერგო გამატებით ურტყამდა მუშტებს კარს და უმოწყალოდ იგინებოდა.

– მამი, აკაკუნებენ!

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ!

– აკაკუნებენ, მამი!

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ!

აი, ასეთ სისულელეს გაუთავებლად იმეორებდა საგრძნობლად შეზარხოშებული წყვილი.

– გააღეთ კარი! – ღრიალებდა მეაბანოვე, – გააღეთ! თქვენ იცით, მე ვინ ვარ?! იცით, ვინ ვარ მე?! სერგო ვარ, მეაბანოვე, თქვენი!!!

– მამი, აკაკუნებენ! – ბუტბუტებდა მთვრალი პატარძალი.

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ! – პასუხობდა ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი სიძე.

ღვინომ, დაღლილობამ და ორთქლმა თავისი ქნა და შეყვარებულებს გონება მთლად აერიათ.

– შენ მეაბანოვე სერგო კი არა, ეშმაკი ღორმენი ხარ, შენი! – ყვიროდა ზარღრა, – და სხვათა შორის მეაბანოვეც რომ იყო, მე ეს სულ არ მენაღვლება! ჩემთვის მთავარია კაცობა და ადამიანობა და შენ თუ გინდა, მექისე იყავი!

– გააღეთ კარი, რეიდია, – ყვიროდა სერგო, – გააღეთ, ქუჩაში ზნეობრივი პოლიციელები დაძრწიან!!!

– მამი, აკაკუნებენ!

სერგოს შიში არ იყო უსაფუძვლო – ქალაქში მართლაც დაძრწოდნენ ზნეობრივი პოლიციელები და არა მარტო ისინი, დაძრწოდნენ სხვა სამართალდამცველებიც. როცა სამართალი კლებულობს, სამართალდამცავთა რიცხვი ყოველთვის მატულობს და რადგანაც ქალაქში სამართალი თითქმის აღარ იყო, მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტი სამართალდამცავები გამხდარიყვნენ. უსამართლობა და ქაოსი იმდენად იყო მომძლავრებული, რომ უკვე თვით სამართალდამრღვევნი (კასტური, შთამომავლობითი სამართალდამრღვევნი, გამოდიოდნენ წესრიგისა და სამართლიანობის ქომაგებად. საქმე ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ კრიმინალები და პოლიციელები ერთობლივ რეიდებსაც აწყობდნენ. ამ ფენომენის ახსნა თუ აუხსნელობა სხვადასხვა მიზეზით არგუმენტირდებოდა, მაგრამ ეს ასე იყო და ვაი მას, ვინც მათ მაშინ ხელში ჩაუვარდებოდა.

– გააღეთ კარი, მოდიან! – ღრიალებდა გაგულისებული სერგო.

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ! – ისმოდა საშხაპიდან.

მეაბანოვის მდგომარეობა ამ მომენტში მართლაც მეტად საჭოჭმანო იყო. ეს რომ მხოლოდ ზნეობრივი პოლიციელე-

ბი ყოფილიყვნენ, მათ უბრალოდ, ცოტაოდენს მოქრთამავდა კაცი, დაწვის (მხილების) შემთხვევაში, პოლიციელთა დასანახად, პანლურის კვრით გამოყრიდა ხოლმე სერგო შეყვარებულებს საშხაპიდან. მერე არტისტულად მოებოდიშებოდა პოლიციელებს, „მომატყუეს, ცოლ-ქმარი ვართ, ამ შობელ-ძაღლებმაო", და პირმოთნედ ეპატიჟებოდა ზნეობის დამცველებს აბანოში. აბანინებდა ტანს, უმასპინძლდებოდა თითო ბოთლი ლუდით და აწევინებდა ნარკოტიკულ ნივთიერებას – ანაშას. შემდგომ ამისა, ჩუქნიდა ხუთ მანეთს და ამით ისტუმრებდა.

ერთობლივი რეიდის დროს ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, რადგანაც ამ რეიდებში მობილიზება ხდებოდა არამარტო ზნეობრივი პოლიციის ქვედანაყოფებისა, არამედ პოლიციისა საერთოდ. საქმეში აგრეთვე ებმებოდნენ სხვა ძალოვანი სტრუქტურები და საზოგადოება მთლიანად. ვინღა არ იღებდა ასეთი საყოველთაო რეიდებში მონაწილეობას: იუსტიციის სამინისტრო, სამხედრო უწყების წარმომადგენლები, წესიერ კრიმინალთა შავი მილიცია და ყველაზე უფრო მრისხანე და საშიში ორგანიზაცია – მოხალისე მოქალაქეთა დამსჯელი რაზმები.

– გააღეთ კარი! – ყვიროდნენ უკვე მექისე და ცეცხლფარეშები და კარის შემტვრევას ლამობდნენ.

– მამი, აკაკუნებენ! – ისმოდა საშხაპიდან ხითხითი.

– გააღეთ! – ღრიალებდა სერგო.

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ!

სწორედ ამ დროს დააბრახუნეს აბანოს გარეთა კარზე მომთხოვნად, – გააღეთ კარი! – გაისმა ახლა უკვე გარედან.

აბანოს მუშაკები ჩაჩუმდნენ.

– ვაიმე, – ჩურჩულით დაარღვია დუმილი მექისემ, – დაგვერხა!

– რაღა ვქნათ ახლა?! – შეშინებულმა იკითხა ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა.

– გააღეთ! – ბრძანა მოკლედ სერგომ.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა აბანოს კარი გააღო.

– გამარჯობათ! გამარჯობათ! გამარჯობა-აათ! – ისეთი ტონით წარმოთქვა ზღურბლზე მდგომმა და ახლა უკვე დაუკითხავად შემოსულმა ოფიცერმა, თითქოს ვიღაცა უკვე ფაქტზე დაიჭირაო.

ამჯერად ეს იყო საზღვაო პატრული – წყალქვეშა ფლოტიდან – ოფიცრისა და ორი მეზღვაურის შემადგენლობით, რომელთაც თან ახლდათ ორი ძალიან ლამაზი და მომთხოვნი ქალი, ქალთა დაცვის ფემინისტური ორგანიზაციიდან და ერთი დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

– დღეს რა, არ მუშაობთ?! – იკითხა წყალქვეშა ოფიცერმა მედიდური ეჭვიანობით.

– როგორ არა! როგორ არა! – პირმოთნედ შესცინა სერგომ.

– მაშ, აბა, კარი რატომ გაქვთ ჩაკეტილი?! – ნიშნისმოგებით გაუყარა თვალი თვალში ოფიცერმა.

– რა ვიცი, ბატონო, საყოველთაო რეიდია და ამიტომ ჩავკეტე! ხომ მოგეხსენებათ, ამ სახის აბანოებს ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი და ამიტომაც მეშინია, აბანო არ დამირბიონ.

– რატომ უნდა დაგირბიონ აბანო, თუკი არაფერს აშავებთ? – იკითხა ამჯერად მკაცრმა და ლამაზმა ქალმა ქალთა დაცვის ორგანიზაციიდან და დაუკითხავად გამოაღო უჯრა.

– არაფერს, არაფერს ვაშავებთ, პირიქით ვათეთრებთ! აქ აბანოა... – დაიბნა სერგო, – უბრალოდ სახელი გვაქვს გატეხილი.

– სახელის გატეხვას თავის გატეხვა ჯობიაო, – ჩაიროხროხა დოღრიალა ჟანდარმმა საჯდომის ფხანით.

– გყავთ ვინმე კლიენტი? – იკითხა ოფიცერმა.

– დიახ! – უპასუხა სერგომ, – ქალბატონია!

– მარტოა?! – იკითხა ოფიცერმა.

– დიახ, მარტოა! – უპასუხა სერგომ.

მან ეს პასუხი ელვისებურად მოტვინა. ფემინისტი ქალი რომ არა, უთუოდ იტყოდა, ქმართან ერთად არისო, რადგან რეიდის მონაწილე მამაკაცები მაინც აუცილებლად გააღებდნენ კარს, მაგრამ, ამჯერად ფემინისტი ქალების აქ ყოფნას შეიძლება

დადებითი შედეგი გამოეღო. ისინი არ დაუშვებდნენ ქალის შეურაცხყოფას და სიტყვაზე ენდობოდნენ მეაბანოვეს, თუ რა თქმა უნდა, ნომერში მყოფი ქალიც აუღებდა ამას ყველაფერს ალღოს და, არ ჩაიდენდა ან არ იტყოდა რაიმე სისულელეს. სერგოს ამის იმედი ჯერ კიდევ ჰქონდა და ამიტომაც ხმამაღლა ლაპარაკობდა ნომერში მყოფთა გასაგონად.

– მარტო ხარ, გოგო?! – მიარტყა კარს ფეხი მეორე ფემინისტმა ქალმა.

– ჰო-ო-ო!

– ტყვანის?! – ჩაეკითხა ფემინისტი ქალი.

– ეგრე იყოს! – უპასუხა ბანჯგვლაეთერომ.

– ეხლა არ დამაგინებინო! – არ ეშვებოდა ფემინისტი ქალი, – ტყვანის კარგი?!

– ეგრე იყოს! – შეიწირა კარგის გინება პატარძალმა.

პირველი ფემინისტი ქალი ამ დროს ვირთხასავით დაძვრებოდა ოთახში და ყველგან სამხილს ეძებდა. მას მეზღვაურებიც ეხმარებოდნენ, ოფიცერი სკამზე იჯდა განცხრომით, ხოლო დოღრიალა ჟანდარმი დარბაისელი კაცის იერით საჯდომს იფხანდა.

– ეს რა არის?! – იკითხა პირველმა ფემინისტმა ქალმა და ნაგვით გატენილი ურნიდან ახლადნახმარი კონდომი ამოქექა, – რა პონტია? – ძალიან მზაკვრულად იკითხა მან.

აბანოში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ქალს მარჯვენა ხელის საჩვენებელი და ცერი თითების მოვლილი, გრძელი ფრჩხილების ბოლოებით ზიზღით ეჭირა აშკარად ახლადნახმარი, შეშუპებული, ნოტიო პრეზერვატივი. მან სიგარეტის კოლოფიდან, რომელიც მარცხენა ხელში ეკავა, ტუჩების ვნებიანი მოძრაობით სიგარეტი ამოიღო, კოლოფი მხარზე დაკიდებულ ხელჩანთაში ჩაიდო, მონახა სანთებელა, სიგარეტს ელეგანტურად მოუკიდა, სანთებელა შეინახა, წელში გაიმართა და ნაგვის ყუთს ჰკრა ფეხი. ნაგვის ყუთი გადაბრუნდა და იქიდან ნაგავთან ერთად უამრავი ნახმარი პრეზერვატივი გადმოცვივდა. ქალმა პრეზერვატივი საზეიმოდ ზეაღმართა და მრისხანედ იკითხა:

– რა არის, რა პონტია?!

სიჩუმე არავის დაურღვევია. არავის, რადგან მეაბანოვეებმა ენები გადაყლაპეს, ხოლო რეიდის მონაწილეები სიბრაზის რისხვად გარდაქმნის პროცესში იყვნენ ჯერაც.

– რა პონტია, მე თქვენ გეკითხებით, თქვენი?! – დაიყვირა ქალმა კიდევ უფრო შეუბრალებლად.

უკვე კარგა ნასვამ ზარღრას ესმოდა ახლად მოსული ხალხის ხმები და ამიტომაც ჯერ ისევ დუმდა, მაგრამ ეს ხმამაღალი შეძახილი „რა პონტია?!" როგორღაც გამაღიზიანებლად ჩაესმა მის ყურს. ის კართან მივიდა და ღრიჭოდან უცხო ქალი დაინახა. ამ ქალს, ისევე როგორც მეორეს, ეცვა მოხდენილი ფემინისტური უნიფორმა – თეთრი ფერის ბლუზი, შავი ფერის კოლგოტკები, ელეგანტური კოსტიუმჩიკი და ძალიან მოკლე, გამომწვევი ქვედაბოლო. მას ხელში ეჭირა ახლადნახმარი, შეშუპებული, ნოტიო პრეზერვატივი და გაჰყვიროდა:

– რა პონტია?!

ვიქტორ ნაზრაძეს, რა თქმა უნდა, უცნაურად ეჩვენა კარის ღრიჭოდან ასეთი, ერთი შეხედვით წესიერი მანდილოსნის დანახვა ნახმარი პრეზერვატივით ხელში, მაგრამ იგი კიდევ უფრო გააკვირვა იქ მყოფ მამაკაცთა დუმილმა და მათმა მოუფიქრებლობამ. მან ხელები პირზე რუპორივით მიიბჯინა და გასცა ყველაზე უფრო ლოგიკური და შესაფერისი პასუხი:

– კუტუს პონტია!!!

– რა-ა-ა?! – იკითხა დაბნეულმა ქალმა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

– რა და, კუტუს პონტია, ქალბატონო, კუ-ტუ-სი! – დაუმარცვლა ვიქტორმა ბოლო სიტყვა.

აი, აქ კი ატყდა ერთი ამბავი. წყალქვეშა ოფიცერს, მის მეზღვაურებს, ჟანდარმს, ამბანოს თანამშრომლებს და მგონი თვით ფემინისტ ქალებსაც აუტყდათ სიცილი. ისინი ცდილობდნენ ამ სიცილის შეკავებას, მაგრამ ვრთმანეთის შემყურეთ კიდევ უფრო მეტად ეცინებოდათ. ყველანი ყველაფერს მიხვდნენ. ნომერში იყო შეშვებული არამარტო ქალბატონი, არამედ ვაუბატონიც – მთვრალი წყვილი. მოსულთა სიცილი კარგის მაუწყებლად ენიშნა სერგოს. ამან ცოტათიც კი დააიმედა, მაგრამ ყველაფერი ჯერ მაინც ძალიან გაურკვეველი იყო

და მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე შეუძლებელი გახლდათ რაიმე პროგნოზის გაკეთება.

– გააღეთ კარი! – ბრძანა წყალქვეშა ოფიცერმა და კარზე კატეგორიულად დააკაკუნა.

– მამი, აკაკუნებენ! – გაისმა კარს იქიდან.

– გააღეთ-მეთქი კარი, ძაღლიშვილებო!!! – აღრიალდა ოფიცერი.

– მაიცა, შვილო, მე გავაღებ! – გაისმა კარს იქიდან დამცინავი პასუხი და ხითხითი.

– შეამტვრიეთ კარი! – ბრძანა ოფიცერმა, – დააპატიმრეთ ესენი! კედელთან ყველა! – ყვიროდა ის, – სახით კედლისკენ!

მეზღვაურები კარის შემტვრევას შეუდგნენ, წყალქვეშა ოფიცერი და მუნიციპალური ჟანდარმი კი დაპატიმრებულ აბანოს თანამშრომლებს მიუბრუნდნენ.

– პრ-რიტონი გამიხსენი აქ, შე თავგასიებულო რეგვენო?! – მიაძახა ოფიცერმა სერგოს, – მოიცა, ჯერ ზნეობრივებს გამოვუძახო! – ოფიცერმა მჯილი მოუღერა მეაბანოვეს, მერე გადაიფიქრა, ქამარზე ჩამოკიდებული კაბურა გაიხსნა და იქიდან ეშმაკის მაშხალების მსროლელი დიდი სასიგნალო პისტოლეტი ამოიღო.

ყველასათვის მოულოდნელი რამ მოხდა მაშინ. თეთრებში გამოწყობილი სერგო უეცრად ზორბა კაც-ნახევარა ეშმაკად გადაიქცა. დიახ, ეს უბრალო მეაბანოვეც ღორმენის ერთ-ერთი სახეცვალება იყო და ახლა ჯოჯოხეთის ელიტარული ეშმა აბსოლუტის ელფერით წარუდგა იქ მყოფთ. სწორედ ისეთი, როგორებსაც ხატავენ – ბალნიანი, შავდინგა, ტლანქჩლიქა და რქოსანი. მან საშინელი ძალით შემოჰკრა კვერთხისმპყრობელი მჯილი გამოლაყებულ თავში წყალქვეშა ოფიცერს. ოფიცერი მოცელილივით დაეცა სველ, ჭუჭყიან იატაკზე და ხელები ინსტინქტურად თავზე წაივლო. ღორმენმა იქმყოფთ ავის მომასწავებელი მზერა მიაპყრო და ჯოჯოხეთური სისწრაფით ამოქმედდა. მან გიშრის მძიმე კრიალოსანი პირდაპირ სახეში ესროლა ერთ-ერთ ფემინისტ ქალს და ძალიან სერიოზულად გაუტეხა თავი, ხოლო სამკაპა კვერთხი ჯერ მტკივნეულად

უჩხვლიტა ჟანდარმს, შემდეგ კი რამდენჯერმე გამეტებით ჩასცხო კისერსა და ბეჭებში სიბრტყით. ამ დროს ფემინისტმა ქალმა, სწორედ იმან, სანაგვეში პრეზერვატივები რომ იპოვა, ძირს დავარდნილ სასიგნალო პისტოლეტს ხელი დაავლო და გასასვლელისკენ გაიქცა. ღორმენმა სამკაპი ნაქცეულ ჟანდარმს ზედ დაანარცხა, ფემინისტ ქალს გამოუდგა და მაშინ დაიჭირა, როცა ეს უკანასკნელი უკვე აბანოს გარეთ სასიგნალო პისტოლეტის ჰაერში გასროლას ცდილობდა. ღორმენმა ქალს ცალი ხელი თმებში წაავლო და თავი მოუგრიხა, ხოლო მეორით პისტოლეტიანი ხელი ჩამოაწევინა ძირს. პისტოლეტი წაართვა, მუჯლუგუნების რტყმით უკან, აბანოში შეათრია, კიბეებზე ჩააგორა და სანამ მეაბანოვის ოთახამდე მიიყვანდა, რამდენჯერმე გამეტებით მიარეხვებინა თავი კედელზე. ამ დროს აბანოს მუშაკები – ორი ცეცხლფარეში და მექისე, ისინიც სახეცვალებაში მყოფი ეშმაკები, გონს მალე მოეგნენ და უკვე შეშინებულ მეზღვაურებს სერიოზულად შეუტიეს, მაგრამ როცა უკან მობრუნებული, უჩვეულოდ განრისხებული ღორმენი დაინახეს, ისინიც კი შეცბნენ და უკან-უკან დაიხიეს. ღორმენმა მხოლოდ ერთხელ გახედა გულგახეთქილ, საწყალ ახალგაზრდა მეზღვაურებს და ხელიც არ გაუსვრია მათზე. ის გინებით მიუტრიალდა საშხაპე ნომერს და თავისი უზარმაზარჩლიქიანი წიხლით კარი ჩარჩოიანად ჩამოაგდო.

ღორმენი ნომერში შეიჭრა.

მას სურვილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ დასტაკებოდა ზარღრას, მაგრამ ანაზდად ზარღრას ჟესტმა შეაჩერა. ზარღრამ ანიშნა, მომისმინეო და ღორმენიც მოულოდნელობისაგან კი არ შედრკა, წუთით შეყოვნდა, დააცადა თავის მორჩილს, ეთქვა სათქმელი. ზარღრა ბარიკადივით ჩადგმულ ხის ტახტს უკან იდგა ხელში რეზინის ჩაქუჩმომარჯვებული და საბრძოლველად ემზადებოდა. მას გვერდს უმშვენებდა მისი თუმც ახლად გაცნობილი, თუმც საშინლად მახინჯი, მაგრამ ერთგული სატრფო – ჰერმაფროდიტი ბანჯგვლაეთერო, რომელიც ღვინის ბოთლის ყელს ბღუჯავდა ნერვიული თითებით.

კაც-ნახევარი ეშმაკის ხილვით და მასთან ბრძოლის შიშით

ხელად გამოფხიზლებული წყვილი უკვე აღარ იყო ხუმრობისა და მაიმუნობის ხასიათზე.

– ღორმენ, მე შენი მორჩილი ვარ – ზარღრა! – დაიწყო ზარღრამ, – მე ვიცი, რომ დამნაშავე ვარ და უნდა დავისაჯო! მე მესმის, რომ დავაშავე, მაგრამ შენც ხომ იცი, რომ სხვა გზა არ მქონდა! ხომ იცი, რომ არსად მიმესვლებოდა და ამიტომაც ჩავიკეტე აბანოს ნომერში. ნუ დაგავიწყდება ისიც, რომ ეს შენ მირჩიე, როცა ბოზების „სტაიანკაზე" ჩემთვის საცოლეს ვეძებდი! მართალია, მაშინ ისიც მითხარი, შენი თავი შემახსენეო, მაგრამ ეს აღარ გავაკეთე, რადგან შენ მე ისედაც შემიშვი ნომერში, ხოლო შემდეგ დაღლილი და სასმელს გადაჩვეული ადვილად დავთვერი სითბოსა და ორთქლში. ახლა ერთს გთხოვ მხოლოდ – ნურაფერს ერჩი ჩემს სატრფოს, ის ცხოვრებაში ისედაც დაჩაგრულია და თანაც, რაც მთავარია, ბოლომდე ვერ უწევს თავის თავს კონტროლს. ყველაფერი ჩემი ბრალია და მე დამსაჯე! ხოლო თუ მაინც გსურს, რომ მასაც აწყენინო, მაშინ, ჯანი გავარდეს, შეგებრძოლები! ოღონდ მომეცი საშუალება, საცვალი მაინც ჩავიცვა, რადგან ალბათ არც შენ გიყვარს უნიფხვო კაცებთან ჩხუბი!

ღორმენი მოტრიალდა, საკიდიდან ზარღრას საცვალი ჩამოხსნა და მიუგდო. ზარღრამ ფრთხილად აიღო სველი, ჭუჭყიანი იატაკიდან საცვალი, რეზინის ჩაქუჩი ხის ტახტზე დადო და ძალიან ფრთხილად ჩაყო ცალი ფეხი საცვლის ტოტში, მერე მეორე ფეხიც ჩაყო და ის იყო, უნდა ამოეცვა, რომ ამ დროს ღორმენმა კამარა შეკრა და თავისი სქელი, ტლანჩლიქა ფეხებით ზარღრას გულმკერდი და მუცელი დაუნდობლად ჩაუნგრია. მან ჯერ მუცელში ჩასცხო მარცხენა ფეხი და თითქმის იმავ წამს გულმკერდში მარჯვენა. მესამე წიხლი თავის ქალაში მოხვდა ვიქტორს, რამაც უკვე იატაკზე დაცემამდე დააკარგვინა გონი. ღორმენმა მარდი ნახტომით ზარღრას თავიდან ბანჯგვლაეთეროს კისერზე გადაინაცვლა, ბარძაყები გირაგის ტუჩებივით მაგრად მოაჭდო და ორი საშინელი ძალით მოქნეული მჯიღით ყვრიმალები ჩაუმტვრია პატარძალს. ძირს გადმოხტა, დასისხლიანებულ ზარღრას დააცქერდა და უთხრა:

– მე მიყვარს უნიფხვო კაცებთან ჩხუბი!

ამის შემდეგ კიდევ ერთი-ორჯერ ჩასცხო თავის მორჩილს წიხლი, მერე ღრიალით გავარდა დერეფანში და იქ მყოფ რეიდის მონაწილეებს დაერია. ყველას მოხვდა: წყალქვეშა ოფიცერს, მის მეზღვაურებს, მუნიციპალურ ჟანდარმს, ქალებს, განსაკუთრებით – იმას, სასიგნალო პისტოლეტიდან რომ ლამობდა გასროლას. მოხვდა, აგრეთვე, ღორმენის დამქაშებსაც, სახეცვალებაში მყოფ ეშმაკებს – ცეცხლფარეშებსა და მექისეს. მათ იმიტომ მოხვდა, რომ ისინი ღორმენს მორეიდეების ცემაში ეხმარებოდნენ და ამის გამო ერთი-ორჯერ ფეხებში გამოებლანდნენ.

– რა, აჯანყებას მიწყობთ, ბოზებო!!! – ღრიალებდა ღორმენი, – თუ არ გახსოვთ, ვის ხელში ხართ და ვინ არის თქვენი პატრონი?! დაგავიწყდათ, ვინც გხმარობთ და გაჭმევთ! გაგახსენებთ! მოიცათ, გა-გახსენებთ!

დიდი კაც-ნახევარა ეშმაკი ადგილზე არ ჩერდებოდა და ყველას და ყველაფერს ურტყამდა დამანგრეველი ძალით.

– სიგნალის მიცემა მომინდომეს! რეიდი მომიწყვეს! მე თქვენ გიჩვენებთ რეიდს! მე თვითონ მივცემ სიგნალს! მე თვითონ გავისვრი მაშხალას და ნეტავ ერთი მობედოს ვინმემ! – მძღნერსა და ერთმანეთში აგზელთ ყველას!!!

ღორმენმა სასიგნალო პისტოლეტი ხელში მოიმარჯვა, ოფიცერს ჩლიქით მოუსინჯა ჯიბეები, დაიხარა, ორი სასიგნალო ვაზნა ამოაგლიჯა სადღაც შიგნიდან და გასასვლელისაკენ გასწია. აღარავის მორიდებია, გარეთ პირდაპირ ეშმაკის სახით გავიდა, სასიგნალო პისტოლეტი გააჩხაკუნა და ჰაერში ეშმაკის მაშხალა გაისროლა. შემდეგ პისტოლეტი გახსნა, გასროლილი მასრა ახალი ვაზნით შეცვალა და კიდევ ერთხელ გაისროლა, ეს ყველაფერი მესამედაც გაიმეორა და უკან, აბანოში შებრუნდა.

– არ ჩაკეტოთ კარი! – ბრძანა მან, – ნეტავი ერთი მოვიდეს ვინმე და გააჩმახოს! – ვერ მშვიდდებოდა ის.

– ნუ მოვიქცევით გამომწვევად, ღორმენ! – სთხოვა მას ერთ-ერთმა ცეცხლფარეშმა.

ღორმენმა მას ჩასისხლიანებული თვალებით ახედ-დახედა.

– არ მოვიქცევით გამომწვევად, კუჭიკი! – უპასუხა ბოლოს.

ღორმენის რანგის სხვა ეშმაკს ვერ შებედავდა კუჭიკი, ან რომელიმე მისნაირი რიგითი ეშმაკი რჩევის მიცემას, მით უმეტეს ასე გაბრაზებულს, მაგრამ ეს სხვა იყო. ღორმენი ეშმაკებს უყვარდათ. ის გულისხმიერად ეპყრობოდა ყველას: ანცებს ეანცებოდა, ეშმაკებს ეეშმაკებოდა, ჭიდაობის მოყვარულ მუხისთავკუნძა ქაჯებს ეჭიდავებოდა. უყვარდა ძალიან ღორმენს პატარა ეშმაკუნებთან შაირობა, სადაც ხანგრძლივი პაექრობის შემდეგ, რასაკვირველია, დამარცხებული გამოდიოდა, რითაც აღტაცებაში მოჰყავდა როგორც პატარა ეშმაკუნები, ისე მათი მშობლები. კიდევ, უყვარდა ღორმენს მომხიბვლელი ძუ ეშმაკების შეცდენა – ნამდვილი მუსუსი იყო, მაგრამ ამისათვის არ ძრახავდნენ ეშმაკები, რადგანაც, როგორც ცნობილია, ძუ ეშმაკები, ყველანი, ცოტათი ბოზები არიან, ისევე, როგორც ქალები საერთოდ.

ღორმენი თუმც ცრუ, მაგრამ ბრძენი არსება იყო. ის ბევრს თმობდა და ამის წყალობით ათმაგს იგებდა.

– ეხლა უნდა მოვიფიქრო, თუ როგორ დავსაჯოთ დამნაშავენი, – წარმოთქვა ღორმენმა, – მე, სხვათა შორის, თქვენი რჩევაც მჭირდება, შენ რას იტყვი, ჩონთა? – შეეკითხა ღორმენი ერთ-ერთ ცეცხლფარეშს.

ჩონთა ეშმაკი ეშმაკი იყო და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით ასეთი წინადადება შემოიტანა:

– მოდით, კაცებს სამ-სამი ლიტრი წყალი შევუყვანოთ ოყნით და შემდეგ ნემსითა და ძაფით ამოვუკეროთ, ხოლო პატარძალი და ის ორი ქალი რიგრიგობით წრეში გავატაროთ! მერე კი ყველანი ვცემოთ!

– ჩინებული აზრია, – მოიწონა წინადადება გამხიარულებულმა ღორმენმა, – მაგრამ ისინი რომ სხვადასხვა ხარისხის დამნაშავეები არიან? – ზოგი მეტად არის დამნაშავე, ზოგიც ნაკლებად!

– ზოგი ბუზი ბზუისო, ზოგიც კიდევ სტყუისო! – მოულოდნელად ჩაერია ლაპარაკში როხროხა და დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

ეშმაკებმა მას ზიზღით შეხედეს, მაგრამ არაფერი უთხრეს, ისე განაგრძეს ბჭობა.

– ერთნაირად მათი დასჯა მართლაც არ იქნება, – თქვა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ჩონთამ, – ეს უსამართლობაა! ამიტომ მოდით, ასე მოვიქცეთ, სიძეს გავუკეთოთ ოთხი ლიტრი წყალი სამის მაგივრად, ხოლო პატარძალი ორჯერ ვცემოთ, ანუ ამ სისტემით ვიმოქმედოთ: ვცემოთ-ვიხმაროთ-ვცემოთ!

– კარგი აზრია! – შეაქო ღორმენმა წინადადების ავტორი, – ყოჩაღ, ჩონთა! თქვენ რას იტყვით, ბატონებო?!

მექისე ებრუხმა ხელი ასწია.

– ბრძანეთ, გეთაყვა! – შესთავაზა ღორმენმა სიტყვა.

– საქმე იმაშია, რომ აი, ამ ჟანდარმს, მართალია, დიდი ბრალი არ მიუძღვის თქვენი უწმინდურობის წინაშე, მაგრამ ის ძალიან ზორბა კაცია და საჯდომიც შესაბამისად ისეთი აქვს, როგორც ჩრდილოეთ-ამერიკულ გამოქვაბულის დათვ გრიზლის, ამიტომ წინადადება შემომაქვს, მასაც, ისევე, როგორც სიძეს, გავუკეთოთ 4 ლიტრი წყალი!

– არა, – თქვა ღორმენმა, – ოყნირებული წყლის ლიტრაჟი განისაზღვრება არა საჯდომის მოცულობით, არამედ ჩადენილი დანაშაულის სიმძაფრით, ამიტომ მე კატეგორიული მომხრე ვარ სამი ლიტრისა!

– კარგით ბატონო, როგორც გენებოთ, თუმც მე მაინც მიმაჩნია, რომ სამი ლიტრი მაგისთვის ერთი ყლუპია! აქ კიდევ გვყავს ჩვენ ერთი დამნაშავე, აი, ეს ქალი, ნახმარი პრეზერვატივები რომ იპოვა და სასიგნალო პისტოლეტის გასროლასაც რომ ლამობდა, ეს როგორღა დავსაჯოთ?! – არ ცხრებოდა ებრუხი.

– ო-ო-ო, სულ გადამავიწყდა, – თქვა ღორმენმა, – ეგ მართლაც საგანგებოდ დასასჯელია, მაგას მოუტანეთ ნაგვის ვედრო თავისი პრეზერვატივებიანად და სულ შეჭამოს ნაგავთან ერთად. მერე კი რამდენიც უნდა, იმდენი იძახოს, „რა პონტია და რა პონტია", რა პონტია და კუტუს პონტია – ისე კარგად კი უთხრა იმ ვირისთავმა ზარღრამ, ჰი-ჰი!

ეშმაკები შეთანხმდნენ და თათბირიც ამით შეწყდა.

– წადი ახლა, შენ, ებრუხ, და იყიდე ოყნა! – უთხრა ღორმენმა ებრუხს.

– სად ვიყიდო, კაცო, ოყნა ამ შუაღამისას?! – იყვირა ებრუხმა.

– რა დროს შუაღამეა, ჯერ ადრეა!

– მერე რა, მაღაზიები დაკეტილია!

– სადღეღამისო აფთიაქში იყიდი და ახლა ბევრს ნუ აჩმახებ, თორემ ერთ სამ ლიტრს შენც გაგიკეთებ, იცოდე! – გაბრაზდა ღორმენი.

– მერე მორეიდეები რომ გადამეყარონ?

– მორეიდეებს ეტყვი, რომ ოყნა საკუთარი ჯანმრთელობისთვის გჭირდება!

– მაშინ გამომიწერე რეცეპტი! – თქვა გაბრაზებულმა ებრუხმა, რომელსაც ძალიან არ უნდოდა აფთიაქში წასვლა და ფეხს ითრევდა.

ღორმენმა გამოუწერა რეცეპტი. ებრუხმა რეცეპტი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა.

– დიდი ოყნა იყიდე, გაიგე?! კედელზე ჩამოსაკიდებელი! – მიაძახა უკვე მიმავალს ღორმენმა.

– ზოოვეტში უნდა გაგეშვა, – უთხრა კუჭიკმა ღორმენს, – იქ უფრო დიდები იყიდება, ცხენებისათვის!

– მიდი, დაეწიე და უთხარი! – გაახარა ღორმენი ახალმა რჩევამ.

– მე არ დამიჯერებს, წადი და შენ თვითონ უთხარი! – უპასუხა კუჭიკმა.

ღორმენი ებრუხს გამოეკიდა და უკვე ქუჩაში მიმავალს მიაძახა:

– ბიჭო, ზოოვეტში წადი, ზოოვეტში, იქ უფრო დიდები იყიდება ცხენებისათვის, კონსკი, კონსკი!

ებრუხმა ნაბიჯს აუჩქარა და კუთხეში მიმალვა სცადა, მაგრამ ღორმენი კატეგორიული იყო.

– გესმის შენა?! – დადექი მანდ და მომისმინე, რასაც გეუბნები: ზოოვეტში წადი და იყიდე დიდი კონსკი ოყნა ცხენებისათვის! გაიგე?!

– გავიგე!

– რა ქენი, უთხარი?! – ჰკითხა კუჭიკმა.

– ე-ე-ე, კი ვუთხარი, მაგრამ რა ვიცი ერთი... – უპასუხა უგუნებოდ ღორმენმა.

– გიჟი დასაქმე და შენც თან მიჰყევიო! – ჩაერია ისევ ლაპარაკში ჟანდარმი.

ეშმაკებმა მას შეხედეს.

– არა უშავს, – დაამშვიდა კუჭიკმა ღორმენი, – თუ პატარა მოიტანა, ორი-სამი ზახოდით შევუყვანთ, ეგ არაფერია!

– ზღვა კოვზით დაილიაო! – წარმოთქვა ანდაზებისა და აფორიზმების მოყვარულმა ჟანდარმმა ისევ და გაიჭიმა.

ღორმენმა მას ზიზღით ახედ-დახედა და „ვაი, შენს პატრონსო“ უთხრა. ჟანდარმი კიდევ უფრო გაიჭიმა.

– მოდი ეხლა, კარი ჩაკეტე და მაგ ქალს ნაგვის ვედრო წინ დაუდგი. სულ შეაჭამე! იცოდე, ერთი პრეზერვატივიც რომ დარჩეს შეუჭმელი, ვაი შენი ბრალი! მე კი წავალ მანამდე, პატარძალ ბანჯგვლაეთეროს ვცემ!

– კარგი! – უპასუხა კუჭიკმა და ფემინისტ ქალს წინ ნაგვის ვედრო დაუდგა.

ღორმენმა თავისი გიშრის კრიალოსანი იატაკიდან აიღო და ნომერში შევიდა.

ბინძურ იატაკზე ეგდო ზარღრა. საცვალი, რომლის ჩაცმაც ვერ მოესწრო, მხოლოდ მუხლებს უფარავდა. პირველი ორი გამეტებით დარტყმული წიხლი ძალიან მძიმედ მოხვედროდა. ახლა მუცლის პლევრაგახეთქილს იქიდან საშინელი თიაქარი გამოსვლოდა, ჩანგრეული ჰქონდა აგრეთვე გულმკერდის ძვლები. იწვა და კვნესოდა. გონს მოსულიყო. ღორმენმა მას ზედ გადააბიჯა და კუთხეში მიყუჟულ პატარძალთან მივიდა.

– ყველაფერი შენი ბრალია, – დაუყვირა მას, – ყველაფერი ქალების ბრალია!!!

მერე ქეჩოში ხელი წაავლო, ხის ტახტთან მიიყვანა, მუხლებზე დაინვინა და უზომოდ მძიმე კრიალოსნით დაუწყო ცემა.

ამასობაში ზურგს უკან ხელებგადაჯვარედინებული კუჭიკი ბოლთას სცემდა დერეფანში და პატარა სკამზე მჯდომ ფემინისტ ქალს სთავაზობდა ჭუჭყიანი პრეზერვატივების ჭამას.

ქალი ტიროდა. უარზე იდგა. ლამაზი იყო. მოსწონდა კუჭიკს... და ამიტომაც ვერ აძალებდა გვარიანად.

– შეჭამე, შეჭამე, – ეუბნებოდა მას კუჭიკი, – შეჭამე, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

– არ შემიძლია! – ტიროდა ქალი.

– რატომ ვერ შეჭამ, ძალიან გემრიელია! – აქებდა პრეზერვატივებს კუჭიკი, – ცოტა მაინც შეჭამე, სანამ ღორმენი გამოვა, თორემ მე დამიჭოჭავს!

ქალი ტიროდა. ისიც გრძნობდა, რომ მოსწონდა კუჭიკს და ამიტომაც, პატარა ხის სკამზე მჯდომი ხან ფეხს გამოაჩენდა; ხან ძუძუს ნაწილს, რათა როგორმე თავი დაეძვრინა ამ სამარცხვინო კვებისგან.

– ერთი ცალი მაინც გასინჯე! – ეხვეწებოდა კუჭიკი.

– არ შემიძლია! – ტიროდა ქალი.

– რატომ?! ძალიან გემიელია! – აქებდა კონდომენს კუჭიკი.

– არ მიყვარს! – პასუხობდა ქალი.

მოულოდნელად გარეთა კარზე ვილაცამ დააკაკუნა.

– რომელი ხარ! – გასძახა ჩონთამ, – ებრუხი ხარ?

– კიკი ვარ! კიკი ვარ! გააღე, ჩონთა! – გაისმა გარედან. ჩონთამ კარი გააღო, მაგრამ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ აბანოში რაღაც ძაღლთავა პავიანის მაგვარი ლანდი შემოიჭრა და კიბეებზე ჩაირბინა. კუჭიკი ლანდს გამოუდგა. ლანდმა კიბეები ჩაირბინა, საშხაპე ნომერში შეძვრა და ღორმენის წინ მუხლებზე დაეცა.

– რად მცემთ, მამიკო! – ქვითინით მიმართა მან ღორმენს, შემინდეთ, საყვარელო!

ღორმენმა დასარტყმელად შემართული ხელი გაოცებულმა ძირს დაუშვა. მან თავისი უკანონო შვილი, მოხდენილი ძუ ეშმაკი კიკი შეიცნო!

– კიკი?! – გაიოცა ღორმენმა, – შენ აქ რას აკეთებ, ჩემო უმანკო გოგონავ?!

– როგორ თუ რას ვაკეთებ, მამიკო, – უპასუხა კიკიმ ტუჩაბზუებით, – დღეს ჩემი ქორწილია, შენ კი მცემ!

– ამიხსენი, რა ხდება, ჩემო გოგონა! – იყვირა ღორმენმა და თავისი გოგონა გულში ჩაიკრა.

– პატარძალი ბანჯგვლაეთერო მე ვარ, შენი პირმშო, შენი კიკი! – ჩაეხუტა მამიკოს კიკი.

– როგორ, – იყვირა ღორმენმა, – მაშ ეს ბანჯგვლიანი ბანჯგვლაეთერო შენი ერთ-ერთი სახეცვალებაა?! ო-ო-ო ურჩხუ-უ-ულ! მე კი კინაღამ მოვკალი ჩემი ნაბიჭვარი გოგონა, ჩემი კიკი! შენ კი გიკბინა ყველაზე უფრო ბრაზიანმა გველეშაპმა ტრაკზე, შენა! – ამ სიტყვებზე ღორმენმა თავისი უკანონო ქალიშვილი კიდევ ერთხელ ჩაიკრა გულში, მერე გაათავისუფლა და ჰკითხა:

– კი მაგრამ შენ, ჩემი ნაბუშარი, ამ უნიფხვო არამზადას გინდა გაჰყვე?! – ეს ხომ ჯერ მხოლოდ მორჩილია, თანაც ასეთი ურჩი.

კიკი დასერიოზულდა.

– ჯერ ერთი, ეს ხანმოკლე ქორწინებაა, დროებითი. რაც შეეხება სასიძოს სიურჩეს – მარგალიტი ყოველთვის სჯობს ძნელად სახვრეტელი. აი, ნიფხავთან დაკავშირებით კი, მე მგონი, აქ უკვე თქვენ გამოიდეთ თავი, ჩემო ულმობელო მშობელო, ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! – აქვითინდა კიკი.

– დამშვიდდი, დამშვიდდი, ჩემო უმწიკვლოვ! – შეწუხდა ღორმენი.

– ა-ჰა-ჰა-ჰა-ჰააა! – ტიროდა კიკი, – ო-ო-ჰო-ჰო-ჰო-ჰოოო! უ-უ-ჰუ-ჰუ-ჰუუუ!

ღორმენი ფეხზე წამოდგა და მბრძანებლურად შემოჰკრა ტაში.

– შეწყდეს ყველა დამსჯელი ღონისძიება! ვაცხადებ საყოველთაო ამნისტიას! ყველასთვის ყველაფერი მიპატიებია! დღეს მე ჩემს გოგონას ვათხოვებ! ქორწილია, ქორწილი!

გაკვირვებული შესცქეროდნენ ღორმენს მისი დამქაშები და დატყვევებული მორეიდეები.

– დღეს სტუმრები ხართ ყველანი ჩემი! ქორწილია! ქორწილი!

ღორმენმა იატაკიდან სასიგნალო პისტოლეტი აიღო, წაქცეული წყალქვეშა ოფიცერი ფეხზე წამოაყენა და, თბილად, როგორც საკუთარ შვილს, სთხოვა ამ პისტოლეტის ვაზნები მიეცა მისთვის. ამგვარი უბრალოებით აღფრთოვანებულმა,

თვალებგაბრწყინებულმა ოფიცერმა კიტელი გაიხადა და ღორმენის წინაშე გულგაღეღილი წარსდგა. მას მკერდზე ორი პატრონაჟი ჰქონდა გადაჯვარედინებული, ხოლო მესამე წელზე ერტყა სარტყელივით. სამივე პატრონაჟი ეშმაკის მაშხალის მსროლი სასიგნალო ვაზნებით იყო სავსე. ოფიცერმა აღჭურვილობა მოიხსნა და ღორმენს დიდი პატივით გადასცა.

აღტაცებისა და აღფრთოვანებული მადლიერების ალი აგიზგიზდა ღორმენის თვალებში. მან იცოდა, თუ როდის იყვნენ ადამიანები მასთან გულწრფელნი. ყველაზე მეტად აფასებდა იგი მათში გულითადობას, რამეთუ თვლიდა, რომ სწორედ ეს გრძნობა აკლდათ ძალიან ადამიანებს.

მან როგორც განძი, ისე გამოართვა ოფიცერს ვაზნებით დახუნძლული პატრონტაჟები, პატივით აისხა ისინი, დაენახვა ამგვარად იქმყოფთ სახეგაბრწყინებული და რესპუბლიკის წყალქვეშა ფლოტის ოფიცერი შვილივით ჩაიკრა მკერდში. შემდგომ ამისა, სასიგნალო პისტოლეტით ხელში გარეთ, ქუჩაში გავიდა, რამდენჯერმე გაისროლა ეშმაკის მაშხალა ცაში და შემაძრწუნებლად დაიღრიალა.

კუჭიკი და ჩონთა უკვე აღარ იყვნენ ცეცხლფარეშების სახეცვალებაში. ამ საგანგებო შემთხვევის გამო ორივენი აბსოლუტში ბრძანდებოდნენ.

ღორმენი ფემინისტ ქალს მიეახლა, ჯერ კიდევ მის წინ მდგომი ნაგვის ვედრო კუჭიკს შეაჩეჩა, მოჩვენებითი სიბრაზით რაღაც დაიბურტყუნა და ანიშნა ახლავე მოაშორე აქედანო. კუჭიკმა ნახევრად მოჩვენებითი ღრმა წუხილით და შეშფოთებით სტაცა ხელი ნაგვის ვედროს, გააქცუნა და სადღაც დამალა. ღორმენმა ქალი ფეხზე წამოაყენა, მის გრძელ, ნატიფ თითებს თავისი ტახის დინგით გაელამუნა და წუხილით ითხოვა პატიება:

– უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ, ქალბატონო!

– რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! – იცრემლებოდა ქალი, – ეს ჩემი საქციელი იყო არაეთიკური! როგორ ვწუხვარ მომხდარის გამო! უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ და მიიღოთ ჩემი მოლოცვა! ბედნიერება და სიტკბო ნუ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს!

ამ სიტყვებზე ფემინისტმა ქალმა მოკრძალებით აკოცა ღორმენს ჯერ ერთ ლოყაში, მერე მეორეში, შემდეგ კი წამიერი ვნებით შეხედა მას, სავსე მკერდით მიეკრო და კბილებამდე ამოწუწნა შავი დინგის ქვედა ნაწილი.

სწორედ ასეთივე გულითადი იყო მეორე ფემინისტი ქალიც. ისინი წურბელებივით აეკრნენ ღორმენს და იმ საღამოს ეს სამეული აღარ გაყრილა. ქალები იყვნენ სუფთანი, ჰყავდათ გავლენიანი ქმრები და როგორც მათი წრის ქალებს შეეფერებათ, თავს ირთობდნენ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობით, ისეთით, როგორიც არის, მაგალითად, ქველმოქმედება, ქალთა საკითხები, უმუშევართა დასაქმება ან თუნდაც ნიანგების დაცვა მდინარე ნილოსის სათავეებში. ესენი სერიოზული ქალები იყვნენ, აბა ბანჯგვლაეთეროსავით პლასტმასის ბოთლებს კი არ აგროვებდნენ.

დათეთქვილ და დაფეხვილ ზარღრას მის გვერდით ჩაცუცქული უცნობი ძუ ეშმაკი ევლებოდა თავს, იქვე იყო ბანჯგვლაეთეროც, რომელსაც ძუ ეშმაკი, როგორც ექიმი თავის ასისტენტებს, ისე იშველიებდა ვიქტორის მოვლაში. ისინი უსწორებდნენ მას ძვლებს, გასაოცარი სისწრაფით უშუშებდნენ იარებს და მალე სიძემაც თავს საგრძნობლად შეატყო უკეთესობა. ძუ ეშმაკმა ვიქტორის თავი მუხლებზე დაიდო და ალერსით უთხრა:

– ნუ გეშინია, ძვირფასო, მე კიკი ვარ, ღორმენის ქალიშვილი, მე და ბანჯგვლაეთერო ერთი და იგივე არსება ვართ. იგი ჩემი ერთ-ერთი სახეცვალებაა!

– ეს მართალია, თირო? – შეეკითხა ჯერ კიდევ სუსტად მყოფი ზარღრა ბანჯგვლაეთეროს.

– ჰო-ო-ო, – უპასუხა ჰერმაფროდიტმა.

– ახლა კი შენ ამომირჩიე და მე როგორი სახითაც გინდივარ, ისეთი მოვალ შენთან! – უთხრა კიკიმ.

ნაცემ, დათეთქვილ ვიქტორს ესიამოვნა ძუ ეშმაკის თბილი სიტყვები, ის მის კალთაში შეიყუჟა და კვნესით წარმოთქვა:

– მე აბსოლუტში მინდიხარ, ჩემო გოგონი.

მაშინ კიკიმ ხელი გაუშვირა ბანჯგვლაეთეროს და ჰერმაფროდიტმაც დაპატარავება დაიწყო, მალე ის ერთი ბენო

წრუწუნასხელა გახდა. მაშინ ძუ ეშმაკმა თავისი სახეცვალება ხელზე დაისვა და უმტკივნეულოდ გადაყლაპა უმი სოკოსავით. ამის შემდეგ დაიხარა და ნაზად აკოცა სატრფოს ტუჩებში.

კიკი იყო დობერმან-პინჩერივით შავ-ყავისფერი. თუ ღორმენი, მისი მამა, ღორს წააგავდა, ეს არსება უფრო ძაღლისებური იყო. მას ჰქონდა ძაღლისებური (დობერმანპინჩერისებური) დრუნჩი, წვეტიანი ყურები და ერთგული თვალები. ფეხებიც (მამისგან განსხვავებით) ჩლიქების ნაცვლად ძაღლის თითებით უბოლოვდებოდა. კიკი ვერცხლისწყალივით სხარტი იყო და თხელბეწვა, ისეთი თხელბეწვა, როგორებიც, მაგალითად, დოგები, ან, თუნდაც, იგივე დობერმანები არიან. სასიამოვნო იყო კიკის ნაზ, თითქოს კარაქივით გაპოხილ ბეწვზე ხელის გადასმა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მისი მომცრო ძუძუების სურნელი. ის გამოირჩეოდა რაღაც განსაკუთრებული, ჯანმრთელი სიქორფით, როგორც კარგად მოვლილი, ახლადდაკრეფილი ბოსტნეული.

ამასობაში კარი გაიღო და საშხაპეში ხმაურით შემოვიდნენ მექორწილეები – ფემინისტი ქალების ვნებიანი ხელმკლავების ტყვეობაში მყოფი ბედნიერი მამა ღორმენი, სამხედრო-საზღვაო პატრული წყალქვეშა ფლოტიდან, ორი ეშმაკი და გახარებული დოღრიალა ჟანდარმი. შემოსულები გულითა და სულით ულოცავდნენ ახალგაზრდებს, აგრეთვე ღორმენს, ბედნიერ მამას, შვილის გაბედნიერებას. ამ მილოცვების პროცესში ღორმენმა თითით მოიხმო ჩონთა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ჩონთამ თავი დაუკრა და დიდი მოწიწებით გავიდა დერეფანში. იქ მან უჯრიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, ნომერი აკრიფა და მთელი ქალაქის უწმინდურ ძალებს ამცნო ღორმენის ქალის გათხოვების ამბავი. ქალაქის ავი ძალები აფუსფუსდნენ. ჩონთა სატელეფონო საუბარს მორჩა და ისევ ძვირფას კომპანიას დაუბრუნდა.

ცრემლმორეული ღორმენი ლაპარაკობდა:

– ჩემო ძვირფასებო, ჩემო საყვარლებო! ახლა აქ უამრავი ხალხი მოვა! თქვენ აურაცხელ სიმდიდრეს ნახავთ, გულუხვად დასაჩუქრდებით და უზომოდ იმხიარულებთ ჩემს სასახლეში, მაგრამ ეს ყველაფერი წარმავალია, ჩემო კარგებო! დღეს

გვაქვს, ხვალ შეიძლება აღარც კი გვქონდეს! დღეს ვართ, ხვალ შეიძლება აღარც ვიყოთ! და ამიტომაც ახლა, ამწუთას, ჩემი გოგონას ბედნიერების ღამეს, ნება მომეცით, ცოტა ხნით მაინც ვიყო ისეთი, როგორიც ვიყავი ადრე ბუნებით და როგორიც, პრინციპში, ვარ დღესაც. მე ერთი უბრალო, გზააარეული მანანნალა ვარ მხოლოდ, ცოდვილზე უცოდვილესი. რა არ გადამხდენია თავს, ჯოჯოხეთის უფმურ ქვაბებშიც კი მოვხარშულვარ და ამ ქვაბებში მეც ბევრი მომიხარშია. ათასნაირად მიცხოვრია და არაფერი მითაკილია ისეთი, რასაც ყველაზე უღირსნიც კი არ კადრულობენ, ამიტომ მე გთხოვთ, მოდით, ვისაც რა შეგვიძლია, ვაჩუქოთ ჩვენს ახალგაზრდებს! მერე კი დავსხდეთ სტუმრების მოსვლამდე და იმით მოვილხინოთ, რაც გაგვაჩნია!

ღორმენმა ორი ბეჭედი წაიძრო თითებიდან და ნეფეს და დედოფალს გაუკეთა. შემდეგ ორივე გულში ჩაიკრა.

ერთმა ფემინისტმა ქალმა ძვირფასი საყურეები მოიხსნა და საკუთარი ხელით გაუკეთა საპატარძლოს, შემდეგ ხელჩანთიდან ლამაზი და ძალიან ძვირფასი ოქროსპირიანი ავტოკალამი ამოიღო და სასიძოს გაუწოდა. შემდეგ რამდენჯერმე გადაკოცნა პატარძალი, ხოლო სასიძოს გულითადად ჩამოართვა ხელი და მასაც აკოცა.

მეორე ფემინისტმა ქალმა ლამაზი ბეჭედი აჩუქა კიკის, ხოლო ზარღრასთვის ხელჩანთიდან ულამაზესი სპილოსძვლისტარიანი პატარა დასაკეცი დანა ამოიღო და გულითადი ღიმილით ხელში ჩაუდო. მანაც, რასაკვირველია, გადაკოცნა ახალგაზრდები.

ეშმაკმა ჩონთამ ოქროს სამაჯური აჩუქა პატარძალს, ხოლო სიძეს – მშვენიერი ვერცხლის ქამარი.

კუჭიკმა საკუთარი რქები მოიხსნა და ყანწებად უძღვნა შეყვარებულებს, რითაც საყოველთაო აღტაცება დაიმსახურა.

წყალქვეშა ოფიცერმა ლამაზი საზღვაო კორტიკი და 200 მანეთი აჩუქა ნეფე-დედოფალს.

მეზღვაურებმა თითო ლენტი მოიხსნეს მარტოსული ქუდებიდან და პატარძალს გაუწოდეს, ხოლო სიძეს აჩუქეს მეზღ-

ვაურული თითბირისბალთიანი ქამრები, რომლებზედაც ღუზა იყო გამოსახული. პატარძალმა სიამოვნებით ჩაიწნა მეზღვაურული ლენტები თმებში და ბედნიერმა ორივე მეზღვაური გადაკოცნა. სიძემ კი ქამრები წელზე შემოირტყა და ახლა უკვე წელი სამი ქამრით დაიმშვენა. მან ამ ქამრებში რეზინის ჩაქუჩი გაირჭო.

ზორბა, დოღრიალა ჟანდარმმა მოიხსნა თავისი ერთადერთი მედალი „ხანძრის დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის" და პატარძალს ჩამოჰკიდა მოწიწებით, ხოლო ნეფეს აჩუქა ადრე ნაყიდი, დამწვარი თამბაქოს სუნით აქოთებული, ალუმინის პორტსიგარი.

რა თქმა უნდა, ყველა ამ საჩუქარმა აღაფრთოვანა წყვილი. ამის შემდეგ პირდაპირ საშხაპეში გაიმართა პატარა ვახშამი: კაცები სველ იატაკზე დასხდნენ, ხოლო ქალებს გაზეთები და რაღაცეები დაუფინეს, ტახტის მაგვარი რამ საშხაპის შუაში დადგეს, ზედ გაზეთები და რაღაცეები გადააფარეს, ხოლო ამ გაზეთებზე და რაღაცეებზე ზარღრას მიერ ნაყიდი პროდუქტები დაალაგეს – პური, მარილი, ყველი, მწვანილი, ძეხვი, მწნილი, იაფიანი ჩამოსასხმელი ღვინო და არაყი. ასეთ იმპროვიზებულ მაგიდას მიუსხდნენ ისინი და ტკბილად შეუდგნენ ქეიფს. მათ პლასტმასის ჭიქები არ ჰყოფნიდათ და ამიტომაც მორიგეობით სვამდნენ ღვინოს. ღორმენმა დალოცა ახალგაზრდები და დიდი მადლობა გადაუხადა პირველ და მაშასადამე ყველაზე საპატიო სტუმრებს, აღნიშნა ის, რომ არსებული გარემოება, ეს ნოტიო კედლები, ნახევრად დამპალი ტახტი და პატარა, ღარიბული სუფრა, „ეს პატარა სიყვარულობია და ჩახუტებულობა" განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის და ამის დასტურად თავის კაცობასა და მეობას იფიცებდა.

იმავდროს, პარალელურად, ქალაქშიაც ვითარდებოდა მოვლენები. ჯერ ერთი, ახლომახლო მყოფი მორეიდეები ტერიტორიას „ვარცხნიდნენ" და ცდილობდნენ იმის დადგენას, თუ საიდან იყო ნასროლი სასიგნალო მაშხალები, მეორეს მხრივ კი ქალაქში მყოფი უწმინდური ძალები ღორმენის აბანოსაკენ მიიკვლევდნენ სახიფათო გზას, რათა შვილის გათხოვება მიელოცათ ღორმენისთვის.

პირველი მორეიდეები უკვე მიადგნენ ღორმენის აბანოს. მათ კარზე დააბრახუნეს და შიგ შევიდნენ.

– რა ხდება აქ?! – იკითხა მორეიდეთა ჯგუფის უფროსმა.

– ქორწილია! ქორწილი! – შეეგებნენ მის ხალხს შეძახილებით, – ვინც მოვიდა გაუმარჯოს!!! ჯგუფის უფროსი გაკვირვებით შეჰყურებდა ამ ყველაფერს. ეშმაკები მან ჯამბაზებად და ბეტმენებად მიიღო, ძუ ეშმაკის კოპწია კოსტიუმში გამოწყობილი პატარძალიც მექორწილეთა უცნაურ ახირებად შერაცხა, მაგრამ ვერანაირი ლოგიკური ახსნა ვერ მოუძებნა იმას, თუ რატომ იხდიდნენ ასეთი ერთი შეხედვით სერიოზული ადამიანები ბინძურ აბანოში ქორწილს. მით უმეტეს, რომ მათ შორის რეიდის მონაწილეთა ემბლემიანებიც ერივნენ. მორეიდეთა ჯგუფის უფროსი ხელში შეჩეჩებულ პლასტმასის ჭიქას ატრიალებდა და არც იცოდა, რა ექნა. ბოლოს მაინც დალოცა ახალგაზრდები და დალია. შემდეგ ამისა ღორმენს ჰკითხა:

– ბოდიში, თქვენ ჯამბაზი ბეტმენი ხართ?

– დიახ, მე ბეტმენი ღორმენი ვარ! – კრიალოსნის თამაშით უპასუხა ღორმენმა და ფემინისტ ქალს თვალი ჩაუკრა.

– სადმე ქუჩაში რომ შემხვედროდით, ვიფიქრებდი, რომ თქვენ ბეტმენი კი არა, ნამდვილი ეშმაკი ხართ!

– ეს იმას ნიშნავს, რომ მე ჯერ კიდევ ვართმევ თავს ჩემს მოვალეობებს! – უპასუხა ღიმილით ღორმენმა.

მორეიდეთა ჯგუფის უფროსს, ის იყო, უნდა ეკითხა ამ უჩვეულო ახირების მიზეზი, ანუ ის, თუ რატომ იხდიდნენ ქორწილს მაინცდამაინც ამ უსუფთაო საშხაპეში, მაგრამ არ დასცალდა. ამ დროს ზარ-ზეიმით შემოვიდნენ პირველნი იმ მრავალ სტუმართაგან, რომლებმაც იცოდნენ, თუ ვინ იყო სინამდვილეში ღორმენი და რომლებიც წილნაყარნი იყვნენ მასთან – გრძელ უსასრულო რიგად, როგორც სქელი გველი, ისე მოიკლაკნებოდნენ: ხელისუფლებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამთავრობო ორგანიზაციებიდან, საქველმოქმედო ორგანიზაციებიდან, რელიგიური ორგანიზაციებიდან, მაფიოზური ორგანიზაციებიდან, სამინისტროებიდან, მეგობარი ქვეყნებიდან, მეგობარი ქვეყნების მეგობარი ქვეყნებიდან, მოუსვლელიდან, ჯანდაბიდან და

დოზანიდან. რასაკვირველია, იყვნენ პრესისა და შოუბიზნესის წარმომადგენლები. თვალშისაცემი იყო აგრეთვე სიმრავლე მოუსვენარი და უპარდონო პაპარაცებისა, რომლებსაც, აბა მართლაცდა რა უნდა ელაპარაკო კაცმა.

ბრბოში გავრცელებული ვერსიის თანახმად, არაოფიციალური, მოულოდნელი ვიზიტით, ქალაქს თვით ყოფილი ტერორისტი, ხოლო ამჟამად კავკასიის ძლევამოსილი მეფე ღორმენი სტუმრობდა. მეფე ღორმენს თავისი საყვარელი უკანონო ქალიშვილის მდაბიოზე გათხოვება გადაეწყვიტა და ამით სიხარულის ცრემლებს აღვრევინებდა უბრალო ხალხს. მათ შურდათ კავკასიელებისა და თავისთვისაც ასეთ ხელისუფალს ნატრობდნენ და არა ისეთს, როგორიც ჰყავდათ.

ქუჩაში შეკრებილი ბრბო ღრეობდა მეგობარი ქვეყნის მბრძანებლის მიერ მოწყობილ ზეიმზე. ისინი უფასო შამპანურს სვამდნენ და თავიანთ ხელისუფალს აგინებდნენ. მხოლოდ ურცხვი პაპარაცები აფუჭებდნენ ოდნავ გარემოებას, პაპარაცები, რომლებსაც, მართლაცდა, რა უნდა ელაპარაკო კაცმა.

ვაგზლის მოედანი სავსე იყო მორეიდეებით, ბეტმენებით, ჯამბაზებით, ეშმაკებით, ქაჯებით. ისინი საოცრად ჰგავდნენ ნამდვილებს. ჭარბად იყო იქ ფაეტონები, ეტლები და ავტოტრანსპორტი. ჟღერდა მუსიკა. დახეულ, მაგრამ სუფთა ჯინსებში გამოწყობილი პაპარაცები ღეჭავდნენ კევებს და ფოტოაპარატებს ამზადებდნენ სენსაციური ფოტოების გადასაღებად.

და, აი, გამოჩნდნენ ახალგაზრდებიც: კავკასიური მეფის, ძუ ეშმაკის ნიღაბში გამოწყობილი უკანონო ასული და მისი ყველასათვის უცნობი რჩეული. მათ უკან კი თვით კავკასიური მეფე, ეშმაკის ნიღაბში და უზარმაზარ ბოხოხში, აგრეთვე მათი უახლოესი თანმხლები პირნი: ორი ფემინისტი ქალი, ეშმაკის ნიღბებში გამოწყობილი ორი უცნობი, სამხედრო-საზღვაო პატრული სამი კაცის შემადგენლობით, რესპუბლიკის წყალქვეშა ფლოტიდან და დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმი.

კავკასიური მეფე საზოგადოების წინაშე წარსდგა და

ზოგიერთი ეჭვიანის ეჭვები რომ განექარწყლებინა, მძიმე ბოხოხი მოიხადა, მის უკან მდგომ ეშმაკს გადასცა და ყველას დასანახად მკერდზე „ზიპერი" გაიხსნა, ამის შემდეგ ის ეშმაკის ტყავიდან ადამიანის სახით გამოძვრა და იქ მყოფ საზოგადოებას ღიმილიანი სიტყვით მიმართა, შემდგომ ამისა, თავისი ბოხოხი თავზე დაიხურა და ახალგაზრდებსაც ათქმევინა მისასალმებელი და მადლიერების გამომხატველი სიტყვები. შემდგომ ამისა, მექორწილეები ფაეტონებში, ეტლებსა და ავტომანქანებში ჩასხდნენ და ღორმენის სასახლისკენ გასწიეს. პირველ ეკიპაჟში განლაგდა ბოშათა ანსამბლი, მეორეში – ახალგაზრდები, ანუ ნეფე-დედოფალი, ხოლო მესამე ეკიპაჟში მგზავრობდა თვით კავკასიური მეფე უზარმაზარ ბოხოხში ორი ფემინისტი ქალის თანხლებით. დანარჩენ ეკიპაჟებში – დანარჩენები. ფემინისტ ქალებს ხელთ ეპყრათ: ერთს – ღორმენის გიშრის უცხო კრიალოსანი, მეორეს კი – სამკბილა კვერთხი, ნიმუში უბადლო ხელოვნებისა. ბოშათა გულიჩამწვდომი სიმღერებით მოხიბლული ქალები, უდარდელად იქნევდნენ ამ ნივთებს. ღორმენს არაფერი არ ეპყრა ამჯერად ხელთ ფემინისტი ქალების, შავ კოლგოტებში გამოკრული, ჭკუის ამრევი ბარძაყების გარდა. ისინი ბოთლის ყელიდან სვამდნენ ძვირფას შამპანურს – კეთილშობილ სითხეს – უშუალოდ საფრანგეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილს. ღორმენი დროდადრო ქამარში გაყრილ სასიგნალო პისტოლეტს იღებდა, ტენიდა მას ვაზნებით და ცაში ეშმაკის მაშხალებს ისროდა. ქალებიც ისროდნენ ამ პისტოლეტიდან ცაში ეშმაკის მაშხალებს, ისროდნენ და უდარდელად კისკისებდნენ. უკან ჩანდა მრავალრიცხოვანი ეტლები, ფაეტონები და ძალიან ძვირფასი ავტომანქანები. ქალაქში საყოველთაო რეიდი იყო, კავკასიური მეფისა და მისი ამალის სახით მოვლენილი ეშმაკები კი ზარ-ზეიმით ილხენდნენ. ღორმენი ბედნიერი იყო.

მექისეს სახეცვალებაში მყოფი ებრუხი როგორც იქნა დაბრუნდა. ის ბევრჯერ გააჩერეს მორეიდეებმა და რამდენჯერმე გაჩხრიკეს კიდეც, მაგრამ ვინაიდან ოყნისთვის გამოწერილი რეცეპტი ედო ჯიბეში, გაატარეს. მან როგორც იქნა მიაღწია

ზოოვეტს და იყიდა დიდი, კედელზე ჩამოსაკიდებელი ოყნა ცხენებისათვის – კონსკი. მობრუნებისას უამრავი ფათერაკი გადახდა თავს. ერთგან მორეიდეებმა კინაღამ წაართვეს ოყნა, მაგრამ მან უთხრა, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის სჭირდებოდა. განსაკუთრებით დიდხანს შეაფერხეს იგი რეიდის მონაწილე კარაბინერებმა კავალერიული ესკადრონიდან, რომელთაც სასწრაფოდ დასჭირვებოდათ ვეტერინარული ოყნა, საბრძოლო ცხენის სიცოცხლის გადასარჩენად.

დაღლილ-დაქანცული ებრუხი აბანოს მიუახლოვდა და აღმოჩნდა, რომ მექორწილეები უკვე წასულიყვნენ და მხოლოდ ღორმენის მიერ გასროლილი ეშმაკის მაშხალებით შეიძლებოდა მათი სავარაუდო ადგილ-სამყოფლის დადგენა.

ეშმაკი ებრუხი მექისეს სახეცვალებაში მისდევდა მექორწილეებს და ოყნას უქნევდა.

– დაგავიწყდით! დაგავიწყდით! მე დაგავიწყდით! – უყვიროდა ის ცაში გასროლილ სასიგნალო ეშმაკის მაშხალებს, ოყნას უქნევდა და ძუნძულით მისდევდა.

6

უხსენებლის მიერ დაკბენილი, დაოსებული, ზღარბივით აბურძგნილი, აგონიაში მყოფი ქალაქი დროდადრო გახელებული ებრძოდა მოზღვავებულ ბოროტებას, მაგრამ ვაგლახ, რომ ეს ბრძოლა უკვე აღარ იყო, როგორც მას ადრე უწოდებდნენ, ბრძოლა გარეშე მტერთან, ან როგორც მას შემდგომ უწოდებდნენ, ბრძოლა გარეშე და შინაგან მტერთან; ამჯერად ქალაქი უკვე საკუთარ თავს ებრძოდა. ის იმდენად მანკიერი გამხდარიყო, რომ უკვე აღარ ძალუძდა ასე ცხოვრება. როგორც კიბოთი დაავადებულ სხეულს კლავენ და ანადგურებენ მისივე სახეცვლილი უჯრედები, ასევე კლავდნენ და ანადგურებდნენ საკუთარ ქალაქს მისი გონებაარეული მოქალაქენი. მეტიც, ისინი ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ამაში და ყველანი, დიდიან-პატარიანად, უფროს-უმცროსიანად წენდნენ და გლეჯდნენ მას, ცდილობდნენ რაღაც მაინც აერთმიათ მისთვის. ყველაზე უფრო სავალალო იყო ის, რომ ამგვარი

საქციელი ესახელებოდა ხალხს, ანუ ისინი ვაუკაცობად მიიჩნევდნენ მანკიერებას, ხოლო ავტორიტეტებად, შესაბამისად, ყველაზე უფრო მანკიერებს აღიარებდნენ.

მაგრამ ბუნებრივია, პერიოდულად დგებოდა დროც, როდესაც მოთმინებიდან გამოსული ქალაქი, რომელსაც უკვე აღარ ძალუძდა ასეთი ცხოვრება, გამოდიოდა თავისივე აღვირახსნილ ქუჩებში და როგორც შეეძლო, ისე ამყარებდა წესრიგს. აი, სწორედ ამ მოვლენას ერქვა საყოველთაო რეიდი, რაც ფაქტობრივად იყო ომი ყველა ყველას წინააღმდეგ, როცა ყველანი ერთმანეთს ამოწმებდნენ, იძლეოდნენ რეკომენდაციებს, სდებდნენ ერთმანეთს ბრალს და ზოგჯერ განუკითხავად სჯიდნენ. სიკეთისა და ღმერთის სახელით მორეიდეები იჭრებოდნენ დაწესებულებებში, ანგრევდნენ ოფისებს, დაუკითხავად შედიოდნენ სახლებში, ალყაში აქცევდნენ პარკებს, სკვერებს, მშენებლობებსა და სასაფლაოებს, მიმდინარეობდა საყოველთაო ჩხრეკა და იდენტიფიკაცია. რეიდების დროს ზოგჯერ მორეიდეებს შორისაც ხდებოდა შეტაკებები, რომლებიც ხანდახან ნამდვილ ქუჩის ბატალიებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ბევრი ხელს ითბობდა რეიდების დროს. ასე მაგალითად: მშენებლები დაინტერესებული იყვნენ ნგრევით, ხოლო, დავუშვათ, მეშუშეები, შუშების ჩალეწვით, აქედან გამომდინარე, რეიდების დროს მეშუშეები ამსხვრევრდენ შუშებს, ხოლო მშენებლები ანგრევდნენ სახლებს. ერთი სიტყვით, რეიდი წარმოადგენდა წესრიგის აღსადგენად გამიზნულ მიკრორევოლუციას, რომელიც სინამდვილეში სწორედ თვით იყო აღვირახსნილობისა და ქაოსის დედა.

ელიტარული ეშმაკი ღორმენი კი განცხრომით ილხენდა ამ დროს. ის დღეს თავის უკანონოდშობილ ქალიშვილს ათხოვებდა და საპატიო სტუმრის, კავკასიური მეფის იერით ევლინებოდა მოქალაქეებს. მრისხანე და დაუდგრომელი, უზარმაზარი ბოხოხით თავდაბურული, თვალებბრიალა ღორმენი პეშვით ოქროს ფულებს უყრიდა ხალხს. აქეთ-იქიდან მხარს მშვენიერი ფემინისტი ქალები უმშვენებდნენ, ისინიც პეშვით იღებდნენ მათ წინ დადგმული დიდი სკივრიდან ოქროს ფულებს და უდარდელი კისკისით აყრიდნენ თავზე მოსახლეობას. ხალხი

კი, ჰო, ეს ხალხი, ბოროტებასთან საბრძოლველად ცხვირალეესილი მორეიდეები – ქედს იდრეკდნენ ეშმაკის წინაშე და უზომოდ ჰმადლობდნენ მას.

პირველად, როგორც უწინ ითქვა, მუსიკოს და მომღერალ ბოშათა ფაეტონი ჩამოდგა. მეორეში ისხდნენ ნეფე-დედოფალი, მესამეში ღორმენი და ორი ფემინისტი ქალი, მეოთხეში საპატიო მაყრები – საზღვაო ოფიცერი, ორი მატროსი და დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმი, დანარჩენ ფაეტონებში და ძვირფას ავტომობილებში კი ისხდნენ დანარჩენი მაყრები და მექორწილეები, ათასი ჯურის უწმინდურები, ნაწილი, რომელთაც, მიუხედავად საყოველთაო რეიდისა, აბსოლუტში, ანუ თავიანთ პირვანდელ იერში, ევლინებოდნენ იქმყოფთ. გულუბრყვილო მოქალაქეებს ეგონათ, რომ ეს აურაცხელი კუდიანები, ეშმაკები და ქაჯები მხოლოდ და მხოლოდ შენიღბული მექორწილეები იყვნენ. მათი აზრით, ეს ლამაზი მასკარადი მდიდართა ახირება იყო და მეტი არაფერი.

– დიდება კავკასიურ მეფეს! – ყვიროდნენ ბრბოში არეული დაბალი რანგის სახეცვლილი ეშმაკები – პროვოკატორები.

– დიდება! დიდება! დიდება! – გუგუნებდა დამყოლი, ინერტული ბრბო და მლიქვნელურად ეპირფერებოდა საპატიო სტუმარს – კავკასიურ მეფეს.

– სირცხვილი ჩვენს უნიათო პრეზიდენტს! – ყვიროდნენ ბრბოში არეული სახეცვლილი დაბალი რანგის ეშმაკები.

– სირცხვილი! სირცხვილი! სირცხვილი! – გაჰყვიროდა პროვოცირებული, ზომბირებული ბრბო.

– ძირს ძირგამომთხრელი დემოკრატია!

– გაუმარჯოს მონარქიულ დიქტატურას!

– ჩვენ გვინდა მეფე! ჩვენ გვინდა მეფე! ჩვენ გვინდა მეფე! მეფე! მეფე! ჩვენ გვინდა მეფე... – გაჰყვიროდა გახელებული ხალხი.

ჟურნალისტები და კორესპონდენტები იღებდნენ ინტერვიუებს და ფართოდ აშუქებდნენ მიმდინარე მოვლენებს პირდაპირი ეთერით, ხოლო ურცხვი პაპარაცები სენსაციური ფოტოების მოსაპოვებლად, ვინ იცის, რა პოზას აღარ იღებდნენ და სად აღარ ძვრებოდნენ, პაპარაცები, რომლებ-

საც მართლაცდა, აბა, რა უნდა ელაპარაკო კაცმა – გათახსირებულები არიან.

მექორწილეთა პროცესია, როგორც იქნა, გასცდა საბრძოლველად შემართულ ქალაქს – ქალაქს, რომელიც საკუთარი უბადრუკი სიცოცხლის გადასარჩენად დროდადრო აწყობდა მიკრორევოლუციებს და ებრძოდა საკუთარ თავს. ეს, ფაქტობრივად, სხვა არა იყო რა, თუ არა ქვიშის საათის გადაბრუნება, ანუ მომენტი დროში, როცა მოთმინების ერთი ფიალა მთლიანად ივსება, ხოლო მეორე მოთმინების ფიალა მთლიანად იცლება, ფიალები იცვლიან ადგილს, მაგრამ არსი არ იცვლება, რადგან ქვიშა ფიალაში ერთია.

სანაგვეებად ქცეული, გაპარტახებული, ტყეგაჩეხილი და ბუჩქგაჩეხილი ქალაქის უღიმღამო, სიცივიანი შემოგარენნი დაღლილ, გამოფიტულ მზერას აყოლებდნენ მექორწილეებს, ხოლო გაველურებული ქუჩის ძაღლების პატარ-პატარა ხროვები კი ყეფა-ყეფით ეგებებოდნენ მომხდურთ. ისინი ყეფა-ყეფით წამოიყრებოდნენ, ყეფა-ყეფით ეცლებოდნენ უსაფრთხო მანძილზე და ამ მანძილის დაცვით ყეფა-ყეფით აცილებდნენ სხვა პატარა ხროვის სამფლობელომდე. ნეიტრალური ტერიტორიის გავლის შემდეგ მექორწილეებს ყეფა-ყეფით ეგებებოდა გაველურებული ძაღლების ახლა უკვე სხვა, ახალი ხროვა. აფთრების, ტურების, მელიებისა და მგლების თითქმის ყველა თვისების მატარებელი ეს ცხოველები ფაქტიური ბატონები იყვნენ ამ გარყვნილი, გაპარტახებული ველებისა, ისინი ნაგავში ნაპოვნი საჭმლის ნარჩენებით საზრდოობდნენ, თუმცა ხანდახან თავს ესხმოდნენ ცოცხალ არსებებსაც.

ბოშები მღეროდნენ გულში ჩამწვდომად. ღორმენი და ზოგიერთი სხვა ეშმაკი შხუილით ისროდნენ ფერად-ფერად ეშმაკის მაშხალებს სასიგნალო პისტოლეტებიდან, მძღოლები აპიპინებდნენ გაუთავებლად. ნაბანავები და ალბათ ამიტომ ცოტათი შეცივებული ნეფე-დედოფალი კი ეკვროდნენ ერთმანეთს და რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.

ვიქტორს მოსწონდა ეს უჩვეულო არსება ძაღლისებური (დობერმანპინჩერისებური) დრუნჩით, შავი, მუდამ სველი

ცხვირით, რომელიც მოუსვენრად ელამუნებოდა ნიადაგ მის სახეს და უბეში უძვრებოდა. ვიქტორს მოსწონდა მისი პატარა, უჩვეულოდ მკვრივი ძუძუები. მოსწონდა მისი საოცრად თბილი (ძაღლისებურად თბილი) სხეულის სპეციფიკური, ოდნავ არასასიამოვნო, მაგრამ სამაგიეროდ უზომოდ აღმგზნები, ქალურ-ძაღლური სიძვიანი სუნი. და, რაც მთავარია, ზარღრას მოსწონდა მისი თუმცა ეშმაკური, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი, ოდნავ სევდიანიც, ისევ და ისევ ქალურ-ძაღლური, ძალიან ერთგული თვალები.

რაც შეეხება პატარძალ კიკის და მის დამოკიდებულებას თავის რჩეულთან, აქ რთული იყო თქმა რამისა, ანუ იყო ეს მისი, თუმც დროებითი, მაგრამ მაინც გულწრფელი გატაცება თუ ეს მხოლოდ ნაწილი იყო დიდი გაუთავებელი და ზოგჯერ უაზრო თამაშისა, არავინ უწყოდა. არ უწყოდა, ალბათ თვით კიკიმაც, რადგან ქალებს რას გაუგებ, ჯანუმ და მით უმეტეს ეშმაკისას. როგორი იქნებოდა მომავალი, არავინ უწყოდა, დღეს კი კიკი დროდადრო დრუნჩს უყოფდა ზარღრას უბეში და დროდადრო ვნებით კბენდა ნიკაპზე უმტკივნეულოდ. ზარღრას ეს მოსწონდა.

ტრამალი, ბორცვი, ტრამალი, ბორცვი, ნაგვები, ნაგვები, ძაღლები, ბორცვი და ხეტიალში დახოცილ მაწანწალათა უნებართვო საფლავები, აი, რა ხვდებოდათ მათ გზაში მხოლოდ. ბოლოს, როგორც იქნა, წამოიმართა ღორმენის სასახლე – შემზარავი, დიდი შენობა. მომხვდურ ეშმაკებს ზარბაზნების სროლითა და ველური ყიჟინით, დამხვდურები გამოეგებნენ, ზარ-ზეიმი გაორკეცდა, შეძახილებითა და ღრიალით, მანქანების პიპინითა და მისალმებებით, ფერადი მაშხალების სროლითა და ჭიხვინით სქელი გველივით შესრიალდა ქორწილი ღორმენის სრასასახლეში და იქ დაბუდდა.

მოზვავდა მილოცვები – ვიქტორს გულში იკრავდნენ და კოცნიდნენ დრუნჩიანი, დინგიანი, ხორთუმიანი, ნისკარტიანი და კიდევ რაღაციანი არსებანი. ულოცავდნენ და ჩამოსართმევად უწვდიდნენ ხელებს, თათებს, ბრჭყალებს, ჩლიქებს, ფრთებს და კიდევ რაღაცეებს. შეცბუნებული, გაოცებული და დამფრთხალი ზარღრა ყველას ართმევდა ხელს.

გაჩირაღდნებულ დარბაზში შეუძღვა ღორმენი სტუმრებს, სტუმრებს, რომლებიც ჟივილ-ხივილით, უთავპატიჟოდ მიუსხდნენ სუფრას და დამთრგუნველი სტომაქები ააბუყბუყეს.

ღორმენმა განსხვავებული დიდი თასი საკუთარი ხელით აავსო ხარის სისხლისფერი ღვინით და თამადა ადღეგრძელა, ხოტბა შეასხა და დალოცა. თამადამ – სუმოს მოჭიდავესავით დიდრონმა, მაღალი რანგის ეშმაკმა, ფეხზე მდგომმა მოიხადა სამადლობელი. შემდეგ კი, რომ იცოდეთ, ოჰ, როგორ ენამზეობდა – ბოხი და დამაჯერებელი, ეჭვის განმქარწყლებელი ხავერდოვანი ხმით. ლაპარაკობდა ის პატარძლის სილამაზესა და კდემამოსილებაზე, სიძის ვაჟკაცობაზე, მშობლებზე, წინაპრებზე, მეგობრებზე, სიყვარულზე... ყველაფერზე უბადლოდ ლაპარაკობდა ის და, რაც მთავარია, მის და იქ მყოფთა წარმოდგენაში იყო ალალი, იყო მართალი, სპეტაკი და გულწრფელი.

დინგები, ღრჯოლები, დრუნჩები და ნისკარტები, რა თქმა უნდა, უკარგავდა მექორწილეებს იერს, ზოგიერთები უბრალოდ საშინელნი იყვნენ, მაგრამ ყოველივე ამას კომპენსირებას უკეთებდა ზღაპრული სიმდიდრე – მარმარილოს კედლები, ძვირფასი ხისგან დამზადებული უბადლო ავეჯი, თვალმარგალიტი, ბროლი, ოქრო, ვერცხლი, ფარჩა, ხავერდი და ზღაპრული სუფრა.

ღამით, როდესაც ყველანი დათვრნენ, ღორმენმა ზარღრას თავისკენ უხმო, ხელი მოჰხვია და თან გაიყოლა. მთვრალი ღორმენი ზარღრას სახლს აჩვენებდა. საკუთარი ძლევამოსილებით კმაყოფილი, შეზარხოშებული ღორმენი ახლა ძნელად ფარავდა აღტყინებას. ის უჩვენებდა ზარღრას საიდუმლო ოთახებს, ჯადოსნურ ნივთებს, უცნაურ, ჯერარნახულ ფრინველებსა და ცხოველებს, გრძნეულთა საიდუმლო წიგნებს.

– მოგწონს აქაურობა, ზარღრა? – ჰკითხა ღორმენმა მას და მამაშვილურად მოჰხვია ხელი.

– მომწონს, მამაო ღორმენ! – მოწიწებით გასცა პასუხი ზარღრამ.

– ხვალ ჩვენ ჯოჯოხეთს მივემგზავრებით! წამოხვალ ჩვენთან, ზარღრა?! – ჰკითხა შემპარავად ღორმენმა. ნასვამი

და მაშასადამე ოდნავ შეზარხოჟებული ზარღრა შეეცადა გამოეცნო ღორმენის დაუფარავი ზრახვები, რადგან გრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი, სერიოზული ცვლილება უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში.

– ეს ჩემს ნებაზეა დამოკიდებული, მამაო ღორმენ?! – კითხვაზე კითხვით მიუგო ზარღრამ.

შეყოვნდა ამჯერად ღორმენი.

– ნუუ, გარკვეულწილად! – თქვა მან.

– თუ იქაც ასე კარგია, – გასცა ფრთხილად და ბორძიკით პასუხი ზარღრამ, – მაშინ, რა თქმა უნდა, ჰო!

ღორმენმა გაიცინა.

– შენ დარწმუნებული ხარ, რომ აქ კარგია?!

ზარღრამ დაუდასტურა.

– წამოდი, – უთხრა ღორმენმა, ხელი მოჰხვია და წაიყვანა, – შენ მიაქციე ყურადღება დიდ, ვერცხლის გობს, წყლით სავსეს, შიდა ეზოში.

– დიახ! – უპასუხა ზარღრამ.

– შეამჩნიე, რომ სტუმრები თვალებს იბანდნენ ამ წყლით?

– დიახ?

– იცი რა არის ეს? – იკითხა ნიშნისმოგებით ღორმენმა და მღვრიედ ჩახედა ზარღრას სახეში, – ეს ის წმინდა წყალია, რომელიც საიდუმლოებას ინახავს. გინდა გაიგო წმინდა წყლის საიდუმლოება?!

ზარღრამ მართლაც მიაქცია ყურადღება იმას, რომ ზოგიერთი სტუმარი პეშვით იღებდა გობიდან წყალს და სახეზე თუ თვალებზე ისხამდა, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, რადგან ეს ერთ-ერთ ჩვეულებრივ რიტუალად მიიღო, ახლა კი მას სახიფათო, მღრღნელი გრძნობა გაუჩნდა და მოეჩვენა, თითქოს ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ უკვე მომხდარი და მის თავს გადამხდარი ამბავი მეორდებოდა, გაახსენდა მას მოხუცი ბრმა მუსიკოსი, რომელთანაც ის ოდესღაც კარცერში იჯდა, გაახსენდა მისი ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ მიეპარა იგი ერთ დიდ ქორწილში წმინდა წყლით სავსე გობს, როგორ ამოიღო იქიდან ერთი პეშვი წყალი, როგორ მოიბანა ამ წყლით თვალი და წმინდა წყლის საიდუმ-

ლოებას დაეუფლა. შემდეგ კი – შემდეგ ეშმაკთა წინამძღოლმა ამისათვის იგი დააბრმავა. ეს მუსიკოსი, დღეს ახალგაზრდა და თვალხილული, გულში ჩამწვდომად ამღერებდა თავის ვიოლინოს. მას ჯერ კიდევ ყველაფერი წინ ჰქონდა. ამ მევიოლინისთვის ღორმენს უნდა დაეთხარა საკუთარი ხელით თვალები, მაგრამ ამის შესახებ იცოდა მხოლოდ ზარღრამ, რამეთუ იგი ამ ახალგაზრდა მუსიკოსს ძალიან დიდი ხნის წინათ უკვე შეხვდა დაბერებულს, დაბრმავებულს და გონებააშლილს.

– ამოიღე პეშვით წყალი და მოიბანე თვალები! – უბრძანა ღორმენმა თავის მორჩილს.

ზარღრა თავჩაქინდრული იდგა.

– ამოიღე პეშვით წყალი და მოიბანე თვალები! – კიდევ ერთხელ უბრძანა ღორმენმა.

ზარღრა დაემორჩილა. გობიდან პეშვით წყალი ამოიღო და ცალი თვალი მოიბანა. ამის შემდეგ ღორმენს შეხედა. მის წინაშე ისევ ღორმენი იდგა, მაგრამ უკვე ორსახოვანი – წმინდა წყლით დაუბანელი თვალით ზარღრა ღორმენს, როგორც კავკასიურ მეფეს აღიქვამდა, ხოლო დაბანილი თვალით ღორმენი მხოლოდ დიდრონი, ჭუჭყიანი ეშმაკი იყო – ხარბთვალა, შავდინგა, ტლანქჩლიქა და რქოსანი.

– მეორე თვალიც მოიბანე! – უბრძანა ღორმენმა.

ზარღრამ მეორე თვალიც მოიბანა და მისი უდიდებულესობა კავკასიური მეფე გაქრა, გაქრა სასახლეც, სიმდიდრეც, თვალმარგალიტიც. იყო მხოლოდ რაღაც საეჭვო კარვები, მიწურები, ფურგონები, ეშმაკები, ქეციანი ძაღლები და ტალახი.

– აბა, ახლა რას იტყვი, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა! – გადაიხარხარა ღორმენმა, – მოგწონს?! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა!

ვიქტორ ნაზრაძე დუმდა.

– ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა, რა თქმა უნდა, არ მოგწონს! – ხარხარებდა ღორმენი.

– სიმართლე არავის მოსწონს! წამოდი, წამო, წამოდი, პატარძალი და მაყრები გველიან!

ღორმენმა სიძე ერთ დიდ კარავში შეიყვანა, იქ, სადაც სუფრას უწმინდურები უსხდნენ (ზოგი უწვა). ისინი რაღაც საზიზღრობას თქვლეფდნენ. საზიზღრობა წარმოადგენ-

და სითხეს, რომელშიც მოჩანდა მოხარშული ვირთხების ტყავგაუძრობი, ჩახარშული სხეულები და კიდევ რაღაცეები. კარავში ბოროტი სიმყრალე ტრიალებდა. მიწაზე გაშლილ სუფრას უსხდნენ მექორწილეები და პატარძალი ჰერმაფროდიტი ბანჯგვლაეთერო (პატარძალს ეცვა თავისი ძველი ტანსაცმელი – კაცის ჭუჭყიანი პიჯაკი, გაცვეთილი ბასანოჟკები და გახვრეტილი შარვალი).

– ჰა, წამოხვალ ჩვენთან ერთად დღეს ჯოჯოხეთში? – დამცინავად ჰკითხა კიდევ ერთხელ ღორმენმა და გადაიხარხარა.

თავჩაქინდრული ვიქტორი დუმდა.

– შენ ალბათ ფიქრობ, რომ ცხოვრებაში გაქვს რაიმე კიდევ ალტერნატივა, – მსჯელობდა ღორმენი, – მაგრამ არა, შენ იქ მოხვალ! შენც მოხვალ! ჩვენ იქ ყველანი მივალთ! ჯოჯოხეთში ჩვენ ყველანი შევხვდებით!

ზარღრა უხასიათოდ იჯდა სუფრასთან. მან მხოლოდ რამდენჯერმე, ისიც უხასიათოდ, მოხვრიპა ვირთხებიანი კერძი, მოსვა არასასიამოვნო სასმელიც, რომელშიც რაღაც ჟელესებური, მუჟუჟისმაგვარი დაცურავდა და რომ იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. მთლიანად დამორჩილდა ბედს.

დილით ადრე ღორმენმა თავის მორჩილს თავისთან უხმო. ეშმაკთა ბანაკი უკვე გასამგზავრებლად ემზადებოდა.

– მაშ მოდიხარ ჩვენთან? – ჰკითხა მან.

ზარღრამ არაფერი უპასუხა, თავი ჩაქინდრა მხოლოდ. რა აზრი ჰქონდა რაღაცის თქმას. ის ამ დროს იმ დაღლილ ადამიანს ჰგავდა, რომელიც ფსკერზე მწოლ ნიანგავიალს ჰყავს ფეხით დათრეული და მოთმინებით ელის, თუ როდის დაიხრჩობა მისი ნადავლი, რათა შემდეგ ეს ნადავლი მშვიდად შეჭამოს.

– იცი რა, – უთხრა ღორმენმა თავის მორჩილს, – აჰა, შენ შენი უბადრუკი სული, წადი აქედან და როცა გინდა, მაშინ მოდი! ჯერ ადრეა შენი იქ წაყვანა, თანაც საბუთებიც არა მაქვს შენზე მომზადებული. ჯერ იწვალე! იტანჯე! ეწამე! შენთვის ისედაც, მაინც ყველგან ჯოჯოხეთია! შენით, შენით მოდი! იქ შევხვდებით!!! შენისთანები იქ თავისი ნებით მოდიან!

ამის შემდეგ ღორმენმა კოლოფიდან ზარღრას სული ამოიღო და ხელში ჩასჩარა, როგორც ქონის პატარა ნაჭერი. მერე ხმამაღალი შეძახილით განკარგულება გასცა, რის შემდეგაც უწმინდურთა ბანაკი ნელ-ნელა გაუდგა ჯოჯოხეთისკენ გზას.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – ემშვიდობებოდნენ ზარღრას გაპირქუშებული ეშმაკები.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – ემშვიდობებოდნენ ზარღრას გაპირქუშებული ქაჯები.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – ემშვიდობებოდნენ ზარღრას გაპირქუშებული ჭინკები.

– შევხვდებით! შევხვდებით! შევხვდებით! – ეპასუხებოდა გაპირქუშებული ზარღრა.

– ჯოჯოხეთში შევხვდებით! – ჩასჩურჩულა გულისსწორმა და ახლა უკვე მეუღლემ, გაპირქუშებულმა ბანჯგვლაეთერომ, ერთხელ ჩაეხუტა, შემდეგ პლასტმასის ბოთლებიანი ტომარა ბეჭზე მოიგდო და კოჭლობით გაუდგა გზას.

ზარღრა დარჩა ისევ მარტო – სასაცილოდ აჩაჩულ-დაჩაჩული, საკუთარი უბადრუკი სულით ხელში. აურაცხელი საჩუქრებიდან მას აღარაფერი დარჩენოდა. ყველაფერი გაქრა, დოღრიალა მუნიციპალური ჟანდარმის მიერ ნაჩუქარი ნახმარი პორტსიგარის და მატროსების მიერ ნაჩუქარი ორი მეზღვაურული ქამრის გარდა, რომლებზედაც ღუზა იყო გამოსახული. მასთან იყო აგრეთვე მისი განუყრელი მეგობარი, ხისტარიანი რეზინის ჩაქუჩი.

ზარღრამ ჩაქუჩი ქამარში გაირჭო, მეორე ქამარი გაველურებული ძაღლების მოსაგერიებლად ხელში მოიმარჯვა და საკუთარი სულის გადაყლაპვა სცადა, მაგრამ ამ მცდელობიდან არაფერი გამოუვიდა. საკუთარი სული ზიზღს ჰგვრიდა და გულს ურევდა ზარღრას, იმდენად უბადრუკი გამხდარიყო იგი.

იდგა ნაზრაძე ტრიალ მინდორში და ფიქრობდა, საით წასულიყო – გზა იყო ხსნილი ოთხივ მხრივ. ერთ მხარეს იყო დაგესლილი, დაოსებული ქალაქი, რომელიც სავსებით არ ელოდა მას და არ ეცალა მისთვის, მეორე მხარეს კი იდუმალებით

მოცული ჯოჯოხეთი, იყო კიდევ ორი გზა, მაგრამ სად ჯანდაბაში მიდიოდნენ ისინი, ზარღრამ არ იცოდა.

კარგა ხნის ჭოჭმანისა და ყოყმანის შემდეგ მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძემ საკუთარი სული ჭუჭყიან ცხვირსახოცში გაახვია ისევ და ჯოჯოხეთში მიმავალ ეშმაკებს აედევნა.

7

– „რა აზრი აქვს ტყუილად წვალებას, თუკი საბოლოოდ მაინც უნდა მოვხვდე იქ!" – თითქმის ხმამაღლა ფიქრობდა ზარღრა, – ან თუნდაც რომც არ მოვხვდე იქ და დავრჩე აქ, განა არის რამე ისეთი, რაც მე აქ დამაკავებდა? სახლი, ოჯახი, სამშობლო, მეგობრები, ახლობლები, საყვარელი ადამიანი? ჰო, მაგრამ ეს ყველაფერი ან რაიმე ნაწილი ამისა რომ გქონდეს, მაშინ სიყვარულის გრძნობა უნდა ჰქონდეს კაცს. მე კი ეს გრძნობა არ გამაჩნია. არ გამაჩნია სიყვარულის გრძნობა! – მე დავიბადე ასეთად და ამიტომაც ყველაფერი ის, რაც ჩემს თავს ხდება, აქედან გამომდინარეა. მე არ ვიცი, თუ ვინ შემქმნა: ჩემმა მშობლებმა, ღმერთმა, ეშმაკმა, მაგრამ ერთი კი ცხადია – ჩემს შემოქმედს თავის ქმნილებაში სიყვარულის ჩადება აშკარად დაჰვიწყებია და ამიტომაც, მინდა თუ არ მინდა, მე მოვხვდები იქ, სადაც ჩემნაირები ანუ უსიყვარულოები ხვდებიან".

„რა, – ფიქრობდა ის, – მე რა, ღორმენზე ან დანარჩენ ეშმაკებზე უფრო ჭკვიანი ვარ ან მათზე უფრო გამოცდილი? ნუთუ ისინი თავიდან არ აიცდენდნენ ამას, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო?"

მიდიოდა ზარღრა მინდორში და ფიქრობდა. თან იმას ნატრობდა – ნეტავ გაველურებული ძაღლები მაინც დასხმოდნენ თავს, რათა ერთისთვის მაინც ჩაემტვრია ქამრის ბალთით კბილები, ხოლო შემდეგ ძაღლებს თუნდაც შეეჭამათ იგი. გათამამებული ძაღლები კი ანუ შვიდ-რვა წევრიანი მათი ხროვები უკვე საკმაოდ ახლოდან უყეფდნენ მარტოხელა მგზავრს და ასე ყეფა-ყეფით მიაცილებდნენ შემდეგი ხროვის ტერიტორიამდე. ეს უბადრუკი ტრამალები ამ ცხოველების

სამფლობელო იყო – გაველურებული, გაპარტახებული, გაგარეულებული ბუნება კი თავისი დაგვაჯული, ხეიბარი ხეებით, არასასიამოვნო ბუჩქებით, ნაგვის გროვებით, თუმც არაძლიერი, მაგრამ გამჭოლი ქარით და აქა-იქ გათხრილი მაწანწალათა უნებართვო საფლავებით, შესანიშნავი გულის მალამო იყო ჯოჯოხეთში მიმავალი კაცისთვის.

კარგი იქნებოდა რაიმეს გატეხვა ან გაფუჭება წასვლის წინ. თუნდაც უბადრუკი, გაველურებული ქუჩის ქოფაკის კბილები ყოფილიყო ეს. სხეულის ნაწილი ერთი უვარგისი, უმნიშვნელო არსებისა, რომელსაც მტაცებლის ინსტინქტი აიძულებდა ყეფას, მაგრამ შიშისა და საკუთარი სისუსტის შეგრძნება არ აძლევდა თავდასხმის განხორციელების საშუალებას. ანკი იქნებ ძაღლები ინტუიციით გრძნობდნენ, რომ ადამიანიც საბრძოლველად იყო განწყობილი და სულაც არ ფიქრობდა თავდაცვაზე, არამედ მხოლოდ ერთ რამეზე, რომ ოღონდ კი დასხმოდნენ ძაღლები თავს და მაშინ ნახავდნენ, თუ როგორ ჩაეფშვნებოდათ კბილები ღონივრად მოქნეული, მძიმე თითბრისბალთიანი მეზღვაურული ქამრით. ამბობენ, რომ ნებისმიერი ცხოველი და ადამიანიც, მოახლოებული საფრთხის დროს სპეციფიკურ სუნს გამოყოფს, რომლის მიხედვითაც შეიძლება განსაზღვრა იმისა, თუ როგორ არის იგი ამ საფრთხისადმი განწყობილი, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თუ ადამიანს ტყეში გადაეყარა დათვი, ადამიანის სხეულის მიერ გამოყოფილი სუნით შეიძლება დადგენა იმისა, როგორ არის იგი განწყობილი დათვის მიმართ. თუ ადამიანს აქვს თოფი, იგი დათვს განიხილავს, როგორც თავის პოტენციურ საკვებს, ხოლო თუ ადამიანი უთოფოდაა, მაშინ იგი თავის თავს განიხილავს, როგორც დათვის პოტენციურ საკვებს. რაც შეეხება დათვს, მასაც თავის მხრივ, როგორც მტაცებელს, შესწევს უნარი ყნოსვით დაადგინოს, თუ რა კატეგორიის არსებასთან აქვს საქმე, თოფიანთან თუ უთოფოსთან და, შესაბამისად, თავს დაესხას თუ თავს უშველოს მასთან შეხვედრის დროს.

ზარღრას იერი და ალბათ მისგან გამოყოფილი სუნი არ ურჩევდა თავდასხმას ძაღლებს და კარგს არაფერს უქად-

და მათ. თუმცა არც თავის დანებებას ურჩევდა, რადგანაც ზარღრას ინსტინქტურად ეშინოდა კიდეც, უბრალოდ ეშინოდა და მორჩა. მისი სხეულიც შიშისა და აგრესიის სხვადასხვა, თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ სუნებს გამოყოფდა – სუნებს, რომლებიც სინამდვილეში ასე ჰგავს ერთმანეთს, რამეთუ შიშსა და მრისხანებას სინამდვილეში ორივეს ერთი დედა ჰყავთ. მშიშარა კაცი, როგორც წესი, მრისხანესავით დაუნდობელია, ხოლო მრისხანე ადამიანი სინამდვილეში მშიშარასავით ლაჩარი.

ძაღლებს ამის ვერაფერი გაეგოთ და ამიტომაც, საპატიო, ქვის სასროლ მანძილზე მიაცილებდნენ მომხდურს.

გაპირქუშებულ ეშმაკთა ბანაკი ნელა მიიზლაზნებოდა ჯოჯოხეთის კარიბჭისაკენ და ეშმაკებსაც თითქმის არ გაჰკვირვებიათ, როცა ვიქტორი დაინახეს. ისინი თვალს აყოლებდნენ მას, ჩქარი ნაბიჯით მიმავალს და აგერ უკვე დაწინაურებულს. მხოლოდ ზოგიერთები გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

– მოხვედი, ზარღრა?! – ჰკითხა წინამძღოლმა ღორმენმა და მამაშვილურად მოჰხვია ხელი.

– მოვედი, უწმინდურო მამაო! – უპასუხა ზარღრამ.

– მერედა რატომ, შვილო ჩემო, მერედა რატომ, ხომ გაგიშვი, სულიც კი დაგიბრუნე და გაგიშვი, – ჰკითხა ღორმენმა, – თუ შენ ალბათ ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინე და ასე ვთქვათ, მოხალისედ წამოხვედი, რათა, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა, თავი ამგვარი გზით ნაწილობრივ მაინც დაიძვრინო.

– აარა, მამაო!

– როგორ არა, როგორ არა, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰაა, – როხროხებდა გამხიარულებული ღორმენი, – შენ იქნებ თავიც მოიგიჟიანო! იცი, ადრე მეც ასეთი ვიყავი: პირველად, ჯოჯოხეთში რომ არ მოვხვედრილიყავი, თავი მოვიგიჟიანე და ორი ნაჭერი საპონიც შევჭამე! ფაღარათი დამემართა, ჰა-ჰა-ჰაა, მაგრამ მაინც ჯოჯოხეთში მიკრეს თავი, ჰა-ჰაა, ფაღარათიანს! თანაც მიმღებ პუნქტში მაინცდამაინც უიუმორო ეშმაკთან, კაროსთან მოვხვდი. წარმოგიდგენია ეშმაკი და უიუმორო, კარომ უფროსის მოსვლამდე ოცდაოთხსაათიანი დადგენილება გამომი-

წერა და მეც დილამდე მდუღარეში ვიხარშებოდი საკუთარ ტრანში, წარმოგიდგენია? ჰი-ჰი-ჰიი!

ამ სიტყვებზე ღორმენი გაჩუმდა და ერთხანს დუმდა. ის და ზარღრა ერთმანეთის მხარდამხარ მიდიოდნენ უთქმელად და ისევ მაინც ღორმენმა დაარღვია დუმილი:

– რატომ დაბრუნდი?!

ზარღრამ არ იცოდა, რატომ დაბრუნდა. არ იცოდა თუ რატომ გამოუწია გულმა აქეთ. არ იცოდა, რა ეპასუხა.

– არ იცი, არა? – განაგრძობდა ღორმენი, – ანდა საიდან გეცოდინება, როცა არც ერთმა ჩვენგანმა არ ვიცით, რატომ ვადგავართ ამ გზას!

– ჰო, მაგრამ გარკვეულ საკითხებზე, უწმინდურო მამაო, ჩვენზე მეტი წარმოდგენა ალბათ მაინც გაქვთ, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოძღვარი არ გერქმეოდათ, – წაილულღლუღა ამ ხნის განმავლობაში პირველად ზარღრამ.

ღორმენი ჩაფიქრდა.

– ჰოც და არაც! – თქვა მან შემდეგ, – საქმე ის არის, რომ მე უბრალოდ ყველაზე ძლიერი ვარ აქ შეკრებილთა შორის. მე ვაიძულებ მათ, მაღიარონ თავიანთ მოძღვრად. ეს ერთი მხრივ უსამართლობაა, როცა ვინმე ძალის დემონსტრირებით ან მით უმეტეს, მისი გამოყენებით აიძულებს დანარჩენებს აღიარონ მისი პირველობა, მაგრამ მეორე მხრივ, ძალა უტყუარი საბუთია სხვებზე ლიდერობის უფლებისა, მეც ამ უფლებით ვსარგებლობ და დასტურად საკუთარ ძალას ვიყენებ!

– კი მაგრამ, მამაო ღორმენ, თუნდაც იმ თქვენს ეშმაკთა სამყაროშიც ხომ არიან ისეთი არსებები, რომელთა ძალაც გაცილებით აღემატება თუნდაც თქვენს ძალას!

– დიახ, არიან! – უპასუხა ღორმენმა. მერე რაღაც სხვანაირად ჩაიცინა და დაამატა, – მე მათ ერთგულად ვემსახურები. მერე კიდევ დაამატა ღვარძლიანად და ხმადაბლა, – ერთი მაგათიც...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი ზარღრამ დაარღვია დუმილი:

– ღმერთი თუ გწამთ, მამაო ღორმენ?! – ჰკითხა მან თავის მოძღვარს.

– მწამს! – უყოყმანოდ უპასუხა ღორმენმა, – მწამს და თანაც ყველაზე მეტად მეშინია მისი. ძალიან ღვთისმოშიში ვარ!

– კი, მაგრამ, მაშინ ჯოჯოხეთის ძალებს რაღატომ ემსახურებით?!

– იმიტომ, რომ ასეთია ჩემი ბუნება! – ისევ უყოყმანოდ უპასუხა ღორმენმა. შენ იცი ანეკდოტი მუცლის ჭიების შესახებ?!

– აარა, მამაო!

– ორი მუცლის ჭია გამოძვრა გარეთ, სამზეოზე ნაწლავებიდან – მამა და შვილი. მამა უჩვენებდა შვილს ქვეყნიერებას და აღუწერდა მის მშვენებებს. შვილიც ტკბებოდა ცის სილურჯით, ტყის შრიალით, ნაკადულების რაკრაკით და მწვერვალთა სიდიადით. შემდეგ კი, როცა გული იჯერა სამზეოს ცქერით, შეეკითხა საკუთარ მამას: „მამა, ქვეყანა ასეთი წარმტაცი ყოფილა და ჩვენ რატომ ვცხოვრობთ ნაწლავებშიო?“ მოხუცმა ბრძნულად მიუგო, ეს ჩვენი სამშობლოა, შვილო! აი, ჩვენი საქმეც სწორედ იმ ჭიების მსგავსადაა. ბედმა ეს გვარგუნა და ასე ვცხოვრობთ. შენც სწორედ ამიტომ მობრუნდი. შენც ისეთივე მუცლის ჭია ხარ. ხომ გაგიგონია, სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო! ჯოჯოხეთი ჩვენი სამშობლოა, შვილო!

– ნუთუ არ შეიძლება ყოველივე ამის გამოსწორება, შეცვლა? – იკითხა ვიქტორმა.

– ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, – უპასუხა ღორმენმა სევდიანი ხმით.

– ერთი შეკითხვა კიდევ მაქვს, უწმინდურო მამაო: საუბრის დასაწყისში თქვენ როგორღაც ახსენეთ თქვენი პირველი მოხვედრა ჯოჯოხეთში, თქვით აგრეთვე, რომ ქვაბშიც იხარშებოდით! გამოდის, რომ თქვენც ოდესღაც ცოდვილი ადამიანივით...

– ჩვენ ყველანი ოდესღაც ადამიანები ვიყავით! – უპასუხა ღორმენმა ზარღრას და ანიშნა, გამეცალეო – როგორც აბეზარი ბუზი, ისე გააგდო.

ზარღრა გაეცალა. იგი თავის სატრფოს და ახლა უკვე

ცოლს, ჰერმაფროდიტ ბანჯგვლაეთეროს მიეახლა და გვერდში ამოუდგა. ბანჯგვლაეთერომ, რომელიც ლენჩივით სხვა მხარეს იყურებოდა, თავი მოაბრუნა და, ზარღრას დანახვით მოულოდნელად ნასიამოვნებმა, გაიღიმა. გამოაჩინა თავისი ყვითელი კბილები. ზარღრას არ მოსწონდა ამგვარი სატრფო. მან იცოდა, რომ ამ არსებას სახეცვალების უნარი გააჩნდა. იგი ღორმენის ქალიშვილი, ძუ ეშმაკი კიკი იყო და ახლად შეუღლებული მეუღლის დანახვაზე, თავის პირვანდელ ან თუნდაც რომელიმე სხვა სახეს მიიღებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ბანჯგვლაეთერო კიკიდ გადაქცევას არ ჩქარობდა. ვიქტორმა მას ხელი შეაშველა და პლასტმასის ბოთლებით სავსე ტომარა გამოართვა.

– მიდი რა, კიკიდ გადაიქეცი! – სთხოვა ვიქტორმა ბანჯგვლაეთეროს და ალმაცერად გახედა მას. რა ექნა თუ არ მოსწონდა სიძე-ბატონს პატარძლის ეს სახეცვალება.

– ვერ გადავიქცევი კიკითა! – უპასუხა ბანჯგვლაეთერომ.

– რატომა?! – მისივე კილოზე მოუქცია ზარღრამ თავის სატრფოს.

– მიტყდება! – უპასუხა ბანჯგვლაეთერომ.

– რატომ გიტყდება?!

ბანჯგვლაეთერომ მხრები აიჩეჩა.

– მითხარი, რატომ არ გინდა კიკიდ გადაქცევა, – ხმას აუწია ცოტათი გაბრაზებულმა ზარღრამ, – მითხარი, თორემ ყოფას გიტირებ, პანღური არ აგცდება!

პატარძალი პანღურის მისაღებად შეემზადა და გაინაბა, ზარღრამ აქეთ-იქით მიმოიხედა და იქვე ახლოს მათთან ფეხდაფეხ მიმავალი ეშმაკების სახის გამომეტყველების მიხედვით შეეცადა დაედგინა, ღირდა თუ არა ამ სიტუაციაში ცოლთან ამგვარი მოპყრობა. ეშმაკები ყოყმანის მიზეზს მიუხვდნენ და ერთგვარად წააქეზეს, აგრძნობინეს, რომ ასეთი რამ მათ საზოგადოებაში დაშვებული იყო. ზარღრამ თავის სიმამრსაც გახედა, ღორმენს. ღორმენმა, რომელიც საკმაოდ შორს მოდიოდა და, წესით, არც უნდა გაეგონა ეს ლაპარაკი, თვალიც კი ჩაუკრა სიძეს. ამგვარად შეგულიანებულმა სიძემ, პატარძალს თავისი პლასტმასის ბოთლებიანი ტომარა უკანვე შეაჩეჩა.

– აჰა შენ შენი დამპალი ტომარა, – დაუყვირა ზარღრამ ბანჯგვლაეთეროს, – გადაიკიდე და იარე! შენ მაგ ტომრით უფრო სიმეტრიული ჩანხარ, ნაკლებად კოჭლობ!

– ჰო, ჰო, – აყვირდა უკნიდან მოულოდნელად ღორმენიც. ის რაღაც ბანანისა თუ კარტოფილის მაგვარით ილუკმებოდა და პირის წკლაპუნით ტუქსავდა შვილს, – ჯოჯოხეთში მიდიხართ და ამ თქვენს ხაბაკხუბაკს მაინც ვერ ელევით. თან გინდათ ჩაიტანოთ ათასგვარი უმაქნისი ნივთი. ტილიანებო! მეძონძეებო! მეგნიდნიკეებო! ხომ იცით, რომ ლეიბ-ყოზე მაინც ყველაფერს ჩამოგართმევთ განსაწმენდელ პუნქტში! დადიხარ ტურტლიანი, გაუპარსავი – წუხელ გათხოვდი – ან დაიბანე, ან გაიპარსე, არაჰიგიენურო! თფუ შენი!!!

ასე, მართალია, ერთობ ბილწად, მაგრამ ბრაზის გარეშე, ისე, ხუმრობით თათხავდა ღორმენი თავის პირმშოს. შემდეგ ბანანის თუ კარტოფილის ნაფცქვენი ესროლა და ვიქტორს თვალით ანიშნა, რომ რამე ეღონა. ვიქტორმა იღონა: მან მეუღლეს პანღური ამოსცხო. ეშმაკებმა გადაიხარხარეს. მანდილოსნებთან ამგვარი დამოკიდებულება მათ საზოგადოებაში სრულიად ეთიკური იყო.

განსაწმენდელი პუნქტი იყო ერთ-ერთი იმ ურიცხვ ჯოჯოხეთის კარიბჭეთაგან, რომლებიც ასე მრავლადაა ამ ცოდვილ მიწაზე და რომელთა არსებობის შესახებაც წარმოდგენაც კი არა აქვს მავანსა და მავანს. პუნქტი წარმოადგენდა მაღალაგურისგალავანშემოვლებულ, აგურისავე მყარ შენობას, რომელიც იყო მრავალადგილიანი საზოგადოებრივი ტუალეტი, ორგანყოფილებიანი – ქალებისა და მამაკაცებისათვის. მამაკაცების განყოფილებას ამშვენებდა დიდი ზომის შავი М, ხოლო ქალებისას ასეთივე ზომის და ფერის Ж, აქედან ხდებოდა ჯოჯოხეთში გამგზავრება. საპირფარეშო იყო ცუდად მოვლილი და ერთობ ყარდა. პუნქტს ჰქონდა პატარა ჭუჭყიანი ეზოც, გარშემორტყმული აგურის მაღალი გალავნით, რომელზედაც ეკიდა მძიმე ალაყაფის კარები ბორბლებზე, დიდი რელიეფური წითელი ვარსკვლავით შუაში. ალაყაფის ერთ-ერთ კარს დატანებული ჰქონდა პატარა კარიც. თვით ალაყაფი, ანუ მისი დიდი ბორბლებიანი კარები, იღებოდა

და იხურებოდა ავტომატურად, შიგნიდან დამონტაჟებული ღილაკით. ეს ღილაკი რეაგირებდა მხოლოდ პუნქტის უფროსის თითის ანაბეჭდზე. პუნქტის ალაყაფის კარები იკეტებოდა მხოლოდ შიგნიდან, რამეთუ ჯოჯოხეთის თითქმის ყველა კარიბჭე, ჭიშკარი თუ კარი, იკეტება მხოლოდ შიგნიდან. შიგნი-დან!!!

პუნქტის უფროსი, ლეიბ-ყოზე, იყო მაღალი რანგის (ისეთივე, როგორც ღორმენი) ეშმაკი. საერთო დამახასიათებელი თვისება, ანუ ის, რაც მის ხასიათში, საქმიანობაში, ლაპარაკის მანერაში თუ გარეგნულ იერში აშკარად იგრძნობოდა, იყო სიუხეშე. არიან ადამიანები, და არამარტო ადამიანები, არამედ სხვა არსებანიც, ან თუნდაც საგნები, რომელთა ძირითადი დამახასიათებელი თვისება მათი სიუხეშეა – სიუხეშე, რომელიც ყველაფერში, აბსოლუტურად ყველაფერში გამოიხატება. ლეიბ-ყოზეც ასეთი იყო: მას ჰქონდა უხეში, ქრონიკულად ცხიმიან-ქერტლიანი თმა, რომელსაც ვერავითარი მაღალხარისხიანი სამკურნალო შამპუნით დაბანა ვერ შეუცვლიდა იერს. მას ჰქონდა სოკოვანით დაავადებული რაღაც რქოვანი გამონაზრდები თითებზე, რომლებიც ისე იყვნენ შეცვლილნი, რომ ერთობ ძნელი დასადგენი იყო – ეს ფრჩხილები იყო, ბრჭყალები თუ ჩლიქები. ეს სოკოვანი დაავადება გადასვლოდა მოხუცს რქებზეც. კბილები ლეიბ-ყოზეს ჰქონდა ყვითელი და დაგრეხილი, თუმცა მეტად მაგარი. ვერც ერთი ცნობილი პარიკმახერი და ვერავითარი უებარი კოსმეტიკური საშუალება ვერ გახდიდა ლეიბ-ყოზეს დაგვაჯულ სახეს ლამაზს, მიმზიდველს. თანდაყოლილი დაგვაჯულობის გამო მათ ის მხოლოდ სასაცილო შეიძლება გაეხადათ. მიუხედავად იმისა, რომ ლეიბ-ყოზე განსაწმენდელ პუნქტს განაგებდა და, აქედან გამომდინარე, იყო რაღაც მებაჟის მაგვარიც, ხოლო რაკი იყო რაღაც მებაჟის მაგვარი, მაშასადამე იყო შესაბამისად შეძლებულიც, – ის მაინც დადიოდა ყოველთვის ბინძური, აჩაჩული და დაჩაჩული. მისი გარდერობის დაწვრილებით აღწერა რომ არ გახდეს საჭირო, საერთო წარმოდგენის შესაქმნელად შეიძლება ორიოდე სიტყვა ითქვას თუნდაც მის დაბამბულ, სამხედრო ყაიდის ხაკისფერ შარ-

ვალზე, რომელიც სულ ზედ ეცვა და არასდროს იხდიდა. ამ შარვალს მხოლოდ ერთი მოქმედი ჯიბე ჰქონდა, ხოლო მეორე სპეციალურად იყო გაკერილი თავად ლეიბ-ყოზეს მიერ, რათა არ შეძლებოდა კიზიაკის ჯიბიდან ამოღება. ეს უცნაური ეშმაკი თავის განუყრელ, დაბამბულ შარვალს არ იხდიდა კუჭში გასვლის დროსაც კი – ის კიზიაკებს პირდაპირ გარღვეული ჯიბიდან იღებდა და ყრიდა, ხანდახან ვინმეს ესროდა ან ჩუქნიდა. რაოდენ საოცარია, მაგრამ ლეიბ-ყოზე ძალიან ნაკითხი ეშმაკი იყო, ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა.

იმავე პუნქტში მსახურობდნენ სხვა ეშმაკებიც, ისინი იყვნენ ცოტანი და ყველანი ემორჩილებოდნენ ლეიბ-ყოზეს. მათ საქმე ბევრი არ ჰქონდათ, ფაქტობრივად, მხოლოდ ჯოჯოხეთში მიმავალი ქარავნების მიღება და მათი გაცილება ევალებოდათ. მათსავე მოვალეობებში შედიოდა ეშმაკთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფების გამოცილება, რომლებიც ჯოჯოხეთიდან სამზეოზე ამოდიოდნენ. ქარავნები ჯოჯოხეთში არ დადიოდა ხშირად, ხოლო ეშმაკთა ჯგუფების აქეთ გამოცილება კიდევ უფრო იშვიათობა იყო. ალბათ ამიტომ ეტანებოდა ლეიბ-ყოზე წიგნებს. ის თავისუფალ დროს კლავდა მათი კითხვით.

– აბა, მოეწყვეთ ახლა, მოეწყვეთ, – აყვირდა ღორმენი, ახლა მაინც მოეწყვეთ, თქვენი! მოეწყვეთ, თორემ ლეიბ-ყოზეს თავი არა მაქვს!

მან ქარავანი გააჩერა, გადაითვალა და ეშმაკებს უბრძანა, ყველას თავთავიანთი ადგილები დაეკავებინათ. საქმე ის იყო, რომ ჯოჯოხეთში მიმავალთა ქარავანი ორი ძირითადი კატეგორიის არსებათაგან შედგებოდა – ესენი იყვნენ ცოდვილნი და ეშმაკნი – ანუ პირობითად ისინი, ვინც მიდიოდნენ ჯოჯოხეთში საწვალებლად და ისინი, ვინც მიდიოდნენ მწვალებლებად. მაგრამ ამგვარი კლასიფიკაცია ერთობ პირობითი იყო, რადგანაც ეგრეთ წოდებულ მწვალებელთა, ანუ ეშმაკთა შორისაც იყვნენ ბევრნი ისეთნი, რომელთაც ჯოჯოხეთი მიეზღოთ თავიანთი არასწორი (ეშმაკთა წესებით) საქციელისთვის, ხოლო ცოდვილთა შორისაც იყვნენ ისეთი ღირსეულნიც (ისევ ეშმაკთა თვალსაზრისით), რომლებიც ჯოჯოხეთში მისვლისას

ზოგიერთ ეშმაკსაც აჯობებდნენ მდგომარეობით. ღორმენი თავის მხრივ ლიბერალი ეშმაკი იყო და, რომ იტყვიან, ფეხებზე ეკიდა წესები. მის ქარავანში ტუსაღი და ბადრაგი ერთმანეთში იყვნენ არეულნი და რასაც მოისურვებდნენ, თითქმის იმას აკეთებდნენ. გამქცევი? გამქცევი არ იყო არავინ, რადგან ჯოჯოხეთში მხოლოდ თავისი ფეხით მიდიან და ღორმენსაც ღრმად სწამდა ამის.

– მოეწყვეთ! მოეწყვეთ! – ყვიროდნენ ჩონთა, ურჩე, კუჭიკი და უბრუხი – ღორმენის დამქაშები.

– მოეწყვეთ! მოეწყვეთ! – ყვიროდნენ თვით ცოდვილნიც და ერთმანეთს მწარე მუჯლუგუნებს უთავაზებდნენ, თანაც ისე გულმოდგინედ, რომ ისევ ეშმაკებს უხდებოდათ მათი, ანუ ამ მოხალისე დამშოშმინებელთა დაშოშმინება. როგორ? როგორ და ისევ და ისევ მუჯლუგუნებით. წესრიგი ყოველთვის მყარდება ისევ და ისევ წესრიგის დამრღვევთა ხელით. ასეთია ჯოჯოხეთური კანონი, რომელსაც უკლებლივ ყველა ცოდვილი ემორჩილება, ხოლო ისინი, ვინც ამ წესს არ ემორჩილებიან, ისჯებიან უსასტიკესად – აბუჩად აგდებით.

ღორმენმა თავისი ხალხი დააშოშმინა, ქალები და კაცები დააცალკევა, ხუთეულებად მოაწყო და დაძრა.

– ლეიბ-ყოზე, გააღე კარები! – დაიღრიალა ღორმენმა მჭახედ, კარზე მუშტებისა და წიხლების ბრახუნით, – გააღე ახლა დროზე, არ დაიწყო შენებურად, გესმის?! გააღე, თორემ ჩამოგიღებ ამ კარებს!

უნდა ითქვას, რომ ლეიბ-ყოზე ცოტა თავნება და ჭირვეული იყო. ღორმენისგან განსხვავებით, მას უყვარდა საკუთარი ძალაუფლების გამოჩენა და თანაც ისეთებთან, ვინც თავიანთი რანგით არ იდგნენ მასზე დაბლა, ანდა პირიქით, მასზე მაღალი საფეხურიც ეკავათ. ასეთი იყო, მაგალითად, ღორმენი: ის რანგით ისეთივე იყო, როგორიც ლეიბ-ყოზე, მაგრამ ღორმენი ელიტარული ეშმა იყო ჯოჯოხეთისა, რომელსაც ძალიან მაღალი რანგის ეშმაკებიც იცნობდნენ პირადად და პატივსაც სცემდნენ. ღორმენი მიღებული იყო მათ წრეში. რაც შეეხება ჭირვეულ ბერიკაც ლეიბ-ყოზეს, ის მხოლოდ და მხოლოდ მთავარი მებადრაგე იყო ერთ-ერთი განსაწმენდილი

პუნქტისა. ჯოჯოხეთური წესდების თანახმად, მას და მისნაირებს გადაჰყავდათ ქარავნები ჯოჯოხეთში და ამიტომაც ამ ეტაპზე, ანუ ჯოჯოხეთში გადაყვანამდე, მისი და მისი ხელქვეითების მიერ ნაკარნახევი ბრძანებების აღსრულება ევალებოდა ყველას, განურჩევლად მათი რანგისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა. დაახლოებით ისევე, როგორც ვთქვათ, თვითმფრინავში მყოფი ყველა მგზავრი, მათივე უსაფრთხოების მიზნით, ვალდებულია, დაემორჩილოს ეკიპაჟის წევრთა სამართლიან მოთხოვნებს, როცა, ვთქვათ ბორტგამცილებელს უფლება აქვს აუკრძალოს თამბაქოს მოწევა ნებისმიერ მგზავრს. ლეიბ-ყოზე ამით ზოგჯერ სარგებლობდა, მაგრამ მოხუცის ეს ახირება მხოლოდ ართობდა ღორმენს.

ბოლოს, როგორც იქნა, გალავნის თავზე გამოჩნდა ნაცნობი ხელები, სოკოვანიანი თითებით. ლეიბ-ყოზე გალავანს შეახტა, აიწია, თავი გადაყო და მომდგარ ქარავანს გახედა. შემდეგ გაუჩინარდა.

– გააღე ეხლა დროზე, – ნუ გაახურე საქმე, – აყვირდა ღორმენი, – ისევ წიგნს კითხულობს ეს შობელძაღლი! და სანამ გვერდს ბოლომდე არ ჩაიკითხავს, კარს არ გააღებს. – უუუ, შენი! – და ამ სიტყვებზე ღორმენმა კარტოფილის თუ ბანანის ნარჩენი ესროლა ლეიბ-ყოზეს ბრმად, გალავანზე გადაგდებით. ნარჩენი უკანვე გადმოვარდა უკომენტაროდ და უემოციოდ.

– აბა ერთხმად დაიყვირეთ „ლეიბ-ყოზე პიდარასტ, გააღე კარები!“, – ბრძანა ღორმენმა და თავის ხალხს მიუბრუნდა სადირიჟოროდ.

ასე, ღორმენის დირიჟორობით, რამდენჯერმე დასძახეს მოქარავნეებმა „ლეიბ-ყოზე პიდარასტ, გააღე კარები“, უამრავჯერ შეუკურთხეს და ესროლეს (გალავანზე გადაგდებით), რაც ხელში მოხვდათ. ბოლოს, როგორც იქნა, ალაყაფში დატანებული პატარა კარი გაიღო და იქიდან მთავარსარდალივით გაბღენძილი ლეიბ-ყოზე გამოვიდა თავის განუყრელ დაბამბულ შარვალში გამოწყობილი. ის დუმილით გაიჯგიმა და ერთხანს ასე იდგა. შემდეგ კი ღორმენის მისამართით დაიღრიალა.

– რას მიყურებ? სად არის პატაკი?!

– აი, აქ არის პატაკი!!! – დასჭყივლა თავის მხრივ წყობიდან გამოსულმა ღორმენმა კბილების ღრჭენით და ხელი წაივლო იქ, სადაც მას არა პატაკი, არამედ სავსებით სხვა რამ ჰქონდა, – დგახარ, სისხლს სვამ წურბელასავით, – აი ხედავ?! აი, აი აქ არის შენი პატაკი!!!

– პატაკის გარეშე არ შემოგიშვებთ! – მშვიდად განაცხადა ლეიბ-ყოზემ, უკან გაბრუნდა და კარის დახურვას შეუდგა. ამას შეგნებულად ნელა აკეთებდა, რათა ღორმენს მისცემოდა საშუალება „გონს მოსულიყო" და როგორც წესი და რიგია, მოეხსენებინა მისთვის პატაკი.

– მოახსენე რა, ღორმენ, მოახსენე, თორემ ხომ იცი მაგის ამბავი, ტვინს გაგვიბურღავს! – შეეხვეწა ღორმენს ერთ-ერთი ეშმაკი.

ღორმენმა ხელი ჩაიქნია, გაიჯგიმა და ლეიბ-ყოზეს უპატაკა:

– ამხანაგო ლეიბ-ყოზე! ჩემი ქარავანი კაცების, ქალებისა და ეშმაკების შემადგენლობით, სულ 450 სული, მზად არის ჯოჯოხეთში გასამგზავრებლად. შემცდენთა ბატალიონის უფროსი, ეშმაკი ღორმენი!

ლეიბ-ყოზე გალავანს გარეთ გამოვიდა და ცოდვილთა რიგებს ჩამოუარა. შემდეგ ღორმენის გვერდით დადგა და გამოაცხადა:

– ახტუნგ! ახტუნგ! თქვენ ყველანი გადმოდიხართ საგანგებო ბადრაგის განკარგულებაში! ნებისმიერი დაუმორჩილებლობა აღიკვეთება დისციპლინარული წესდების თანახმად! გაქცევის მცდელობისას გამოყენებულ იქნება საბრძოლო იარაღი და კაციჭამია ძაღლები! მაღალი რანგის ეშმაკო ღორმენ, გთხოვთ გადმომცეთ ჯოჯოხეთში გასამგზავრებელთა პირადი საქმეები!

ღორმენმა ხელით ანიშნა თავის თანაშემწეებს და მათაც მსწრაფლ მოარბენინეს პირადი საქმეებით სავსე დიდი დალუქული სკივრი, რომელსაც ღორმენმა საკუთარი ხელით აჰგლიჯა მის მიერვე დადებული ლუქი და გააღო მეტად რთული კონფიგურაციის გასაღებით, რომელიც მას მუდამ გულზე

ჰქონდა ჩამოკიდებული. ღორმენის ხელქვეითები დასტა-დასტა იღებდნენ მკვრივ, მუყაოს საქაღალდეებს, რომლებშიც იდო ჯოჯოხეთში გასამგზავრებელთა პირადი საქმეები, – აღნუსხული იყო მთელი მათი, ასე ვთქვათ, ცოდვა-მადლი. ყოველ საქაღალდეს, ისევე, როგორც სკივრს, ედო ლუქები. ამ ლუქების გახსნის უფლება, საგანგებო შემთხვევების გარდა, ლეიბ-ყოზეს არ ჰქონდა, მაგრამ ის ვალდებული იყო ამოეკითხა გასასტუმრებლის სახელი, ეს უკანასკნელი გამოდიოდა წინ და ხმამაღლა ამბობდა თავის სხვა დანარჩენ საანკეტო მონაცემებს – ასაკს, ცოდვებსა და სხვა მისთანებს. ამის შემდეგ, ლეიბ-ყოზე თავისთან იხმობდა გასამგზავრებელს და სპეციალური პორტატული ხელსაწყოთი უსინჯავდა თითის ანაბეჭდებს, რათა შეედარებინა პირად საქმეზე დაკრულ ანაბეჭდებთან. პირად საქმეზე ზევიდან დაკრული იყო ცოდვილთა ფოტოსურათები და ცოდვათა მოკლე ნუსხა. ამ ყველაფერში ლეიბ-ყოზესა და ღორმენს მათი თანაშემწეები ეხმარებოდნენ. იქვე იდგნენ მეძაღლეებიც, რომელთაც საბელებით ეკავათ ერთობ ავი, ზორბა კაციჭამია ძაღლები. განსაწმენდელი პუნქტის ეზოში მოჩანდა ეშმაკთა ცოტათი უცნაური ორკესტრიც, რომელშიც ჭარბობდნენ აღმოსავლური ხალხური ინსტრუმენტები, თუმცა ჩანდნენ კლასიკურ ინსტრუმენტებზე შემსრულებელნიც, რაც მთავარია, ჩანდა ორღანი, რომელიც საპირფარეშოზე იყო მიმონტაჟებული. მას სასაცილო, მიამიტდინგიანი, სათვალიანი პატარა ეშმაკი უჯდა და მოუთმენლად ელოდა, თუ როდის ანიშნებდა დაწყებას კაპელმაისტერი.

ღორმენმა ზარღრა თავისთან მოიხმო და ლეიბ-ყოზეს წარუდგინა.

– აი, ლეიბ-ყოზე, ესეც ჩემი ერთ-ერთი დროებითი სიძეა, წუხელ ჩემს ნაბიჭვარ-მაიმუნზე დაქორწინდა.

– ვა, მართლა? – გამოცოცხლდა ლეიბ-ყოზე და ინტერესით გადახედა ზარღრას, – სიძე, შე ძველო! – მერე იკითხა: – პატარძალი სადღაა?!

– კიკი! – და ღორმენმა ლეიბ-ყოზეს ბანჯგვლაეთეროზე მიუთითა.

– უუჰ, – შეიცხადა ლეიბ-ყოზემ, – ამ სახეცვალებაში მე მაგას პირველად ვხედავ.

– მოოდი აქ, გოგო! – მოუხმო მან ბანჯგვლაეთეროს, – რა არის, წუხელ გათხოვილხარ და ცოტათი წესრიგში მაინც მოგეყვანა თავი. ასეთ შემთხვევებში პირი უნდა გაიპარსო.

– სალაშქროდ არის გამოწყობილი! – გაამართლა შვილი ღორმენმა.

ლეიბ-ყოზემ კვერი დაუკრა ღორმენს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის გაგებით მოეკიდა ამ ახსნა-განმარტებას. შემდეგ მან გარღვეული ჯიბიდან საკუთარი კურკლი ამოიღო და ბანჯგვ-ლაეთეროს გაუწოდა. ბანჯგვლაეთერომ ხელზე აკოცა ლეიბ-ყოზეს, გაწვდილი კურკლი გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო. ლეიბ-ყოზემ კიდევ ერთხელ მოიქექა გარღვეული ჯიბიდან თავისი დაბამბული შარვალი და გაკვირვებულ ზარღრასაც ჩასჩარა ხელში კურკლი. შემცბარმა ზარღრამ მექანიკურად მიჰბაძა თავის დროებით მეუღლეს და ხელზე ეამბორა ხნიერ ეშმაკს, ხოლო მის მიერ ბოძებული კურკლი მანაც ჯიბეში ჩაიდო, თანაც მაინცდამაინც იმ ჯიბეში, რომელშიც ღორმენის მიერ დაბრუნებული, ცხვირსახოცში გახვეული სული ედო. ეს მას დაბნეულობით მოუვიდა.

– ჩვენთან უნდა წამოსვლა, – დაჰკრა ბეჭზე ხელი ღორმენმა ზარღრას და ლეიბ-ყოზეს გაუღიმა გულღიად, თითქოს ამ სიტყვებით თავისი სიძე კიდევ ერთხელ წარუდგინაო.

– მერე წამოვიდეს, თუ უნდა! – თქვა ლეიბ-ყოზემ ოდნავი ეჭვითა და დაძაბვით.

– ჰო, მაგრამ საბუთები არ მაქვს მაგისი მზად! – აუხსნა ღორმენმა.

– არ გაქვს და მაშინ შემდეგი კასიაკით წამოვა! – აყვირდა ლეიბ-ყოზე, – წამოვა შემდეგი კასიაკით! შემდეგი კასიაკით წამოვა! წამოვა მაშინ, როცა საბუთები გექნება მზად!

– ხო, კარგი, კარგი, რას დაიქოქე, – დაუყვირა ღორმენმა, – გავიგე, რას მეჩხუბები! კომუნისტი ხარ რა, სუფთა, შენი!

– დიახ, კომუნისტი ვარ! კომუნისტი ვარ, დიახ! – კიდევ უფრო აყვირდა ლეიბ-ყოზე და ღორმენს ცხვირწინ წითელი პარტბილეთი აუფრიალა. თან ტიროდა. მერე ტირილით ქვაზე

ჩამოჯდა და რატომღაც თავისი პარტბილეთი სიმწრით ჩაკ-ბიჩა, დაახლოებით ერთი მეოთხედი პარტბილეთისა თავისი მაგარი ყვითელი ღრჯოლებით მოგლიჯა და შეჭამა, პარტ-ბილეთის დარჩენილი ნანილი კი ჩაიდო სათუთად ჯიბეში და ცრემლები მოიწმინდა. ღორმენმა სევდანარევი ღიმილით ზარღრას გადახედა, მხრები აიჩეჩა, ამით თითქოს ეუბნებოდა: „რა ვქნათ თუ ასეაო!"

ლეიბ-ყოზე დამშვიდდა, ღორმენს მიეახლა და სლუკუნით თავი გაიმართლა:

– რა ვქნა, ღორმენ, – თქვა მან, – პასუხი მერე მე უნდა ვაგო! – შემდეგ დაბამბული შარვლის ჯიბიდან კურკლი ამოიღო და ღორმენს გაუწოდა. ღორმენმა უარის ნიშნად თავი გააქნია და ბრბოზე ანიშნა – „იმათ მიეციო". ლეიბ-ყოზემ თავისი კურკლი შეჯგუფებულ ბრბოში შეაგდო. ნასროლი ვიღაცას თავში მოხვდა.

– ახტუნგ! ახტუნგ! – გამოაცხადა ლეიბ-ყოზემ შემდგომ, ქარავანო, ნაბიჯით იარ!

კაპელმეისტერმა ორკესტრს ნიშანი მისცა და მანაც მაშინვე დასცხო ცეცხლოვანი შალახო. ხელები შემართა ორღანისტ-მაც და როდესაც ორკესტრმა წამით შეწყვიტა დაკვრა, მიდა-მოს მოეფინა ორღანის მომაჯადოებელი ხმები. ორკესტრი და ორღანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ შალახოს ვირტუო-ზულ შესრულებაში. ქარავანი შევიდა ეზოში. ალაყაფის კარი დაიხურა. ლეიბ-ყოზესა და ღორმენის ხელქვეითები შეუდგნენ ერთობლივ შმონს: ისინი უსინჯავდნენ გასამგზავრებლებს ხელბარგს, ართმევდნენ ზედმეტ ნივთებს, რომლებსაც ან თვითონ ითვისებდნენ, ან ყრიდნენ ერთ დიდ გროვაში – გრო-ვაში, რომელსაც იცავდნენ ლეიბ-ყოზეს მეძაღლეები, თავი-ანთი კაციჭამია ძაღლებით. ეს იმისათვის, რომ ვინმეს უკან არ აეღო წართმეული და გადადებული ნივთები. ამ გაწამაწიაში ძალიან გამოიდო თავი, სხვათა შორის, ბანჯგვლაეთერომ, არაფრით არ დათმო თავისი ტურტლიანი პლასტმასის ბოთ-ლებით სავსე ტომარა. ის ხომ ამ ბოთლების შეგროვებით და მათი ჩაბარებით ირჩენდა თავს. ამიტომაც ვერ ელეოდა მათ და თან უნდოდა წაეღო. მას რამდენიმე ეშმაკი ერთ-

დროულად ეჯაჯგურებოდა, მაგრამ უშედეგოდ: ფოლადის თითებით ტომარას ჩაფრენილი ბანჯგვლაეთერო ტომარას არ იძლეოდა და წიხლებით იგერიებდა ყველას. მაშინ ღორმენმა გონზე მოსაყვანად იგი ისევ კიკიდ აქცია. კიკიმ, რაღა თქმა უნდა, ტომარა ეშმაკებს დაანება. ეშმაკებმა ეს ტომარა მაშინვე გალავანს გარეთ გაიტანეს და ცეცხლი მოუკიდეს, ცეცხლი მოუკიდეს აგრეთვე სხვა დანარჩენ ხარახურასაც, ისიც გალავანს გარეთ გაიტანეს და ერთ გროვად დაახვავეს. ყველა გასამგზავრებელი აიძულეს, ტანსაცმელი გაეხადა. ისინი კანისმწველ ქლორიან წყალში აბანავეს, გაკრიჭეს, ხოლო მათი ძონძები გოგირდის ავტოკლავში გამოხარშეს.

ზარღრას და კიკის მიეცათ საშუალება გამოთხოვებისა. ისინი გალავანს გარეთ გავიდნენ და სუსხიან მინდორში გაისეირნეს. ისინი რამდენჯერმე ჩაეხუტნენ, მიუალერსეს, აკოცეს და დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ზარღრასთვის უკვე კარგად ნაცნობი და გათავისებული სიტყვებით: – ჯოჯოხეთში შევხვდებით! შემდეგ ისინი დაბრუნდნენ. ამასობაში სამზადისი თითქმის დამთავრებულიყო.

– ახტუნგ! ახტუნგ! – გამოაცხადა ლეიბ-ყოზემ, – მოეწყვეთ ხუთეულებად! მოემზადეთ გასამგზავრებლად! იწყება ჩაშვება!

ამის შემდეგ ლეიბ-ყოზე მყრალ საპირფარეშოში შევიდა და ხის იატაკს დაჰკრა ფეხი.

– ამბაკო! ამბაკო, კაცო! – ჩასძახა მან ძირს, – მოხადე სარქველები!

დიდი რაოდენობით დახვავებულ განავალში რაღაც შეინძრა და მალე ერთ-ერთი აჩკოდან განავალში ამოგანგლულმა ვიღაც ძალიან უშნო კაცმა ამოყო თავი, ლეიბ-ყოზეს აჰხედა და სთხოვა დაეტოვებინა მისთვის სიგარეტი. ლეიბ-ყოზემ დაუტოვა მას სიგარეტი. მამაკაცმა სუფთა ჰაერზე რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და განავალში დაყვინთა. შემდეგ ქვევიდან ამოუსვლელად, ყრუდ უპატაკა:

– ამხანაგო ლეიბ-ყოზე, მთავარი სარქველები მოხდილია! განავლის ბორტმექანიკოსი ადამიანოეშმაკი მაცდური ამბაკო!

განავლის ბორტმექანიკოსი ადამიანოეშმაკი მაცდური ამბაკო საპირფარეშოში ცხოვრობდა და საგანავლო საქმეს განაგებდა. ის ქარავნის გასტუმრების შემდეგ მარტო რჩებოდა პუნქტში და იცავდა მას გარნიზონის ჯოჯოხეთიდან დაბრუნებამდე, გარნიზონისა, რომლის უფროსიც იყო ეშმაკი ლეიბ-ყოზე. ამ ადამიანოეშმაკს დედა ადამიანი ჰყავდა, მამა კი ეშმაკი, ანუ ის არც მიწისა იყო და არც ცისა. იყო ჰიბრიდი. ცხოვრობდა საპირფარეშოში და როგორც ჯორი, არ იძლეოდა შთამომავლობას.

ამბაკოს პატაკის შემდეგ ლეიბ-ყოზემ განკარგულება გასცა და რამდენიმე ეშმაკი ტუალეტის აჩკოებში ჩახტა, დანარჩენები კი ჯოჯოხეთში გასამგზავრებლებს ერთმანეთის მიყოლებით ამ აჩკოებში ყრიდნენ. ზოგიერთი თავისი ნებით ხტებოდა, ზოგს კი – შეშინებულებს, ეშმაკები მუჯლუგუნებით ტენიდნენ. გამხეცებით, ტანში ჟრუანტელისმომგვრელად უკრავდა ორკესტრი. ყეფდნენ კაციჭამია ძაღლები.

სასტიკი წინაამდეგობა გაუწია ეშმაკებს ისევ და ისევ ბანჯგვლაეთერომ. საპირფარეშოთი მის გასამგზავრებლად საჭირო იყო, რომ იგი სახელდობრ თავის ამ სახეცვალებაში ყოფილიყო, რათა არ გაესვარა თავისი ძირითადი იერი აბსოლუტისა. მაგრამ ვინაიდან ამ სახეცვალებაში ის, რომ იტყვიან, მიჯაჭვული იყო თავის პლასტმასის ბოთლებს, მათ გარეშე ჯოჯოხეთში გამგზავრება არ მოისურვა. სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ეშმაკებს, თუმცა მუჯლუგუნებისა და ერთობლივი ძალისხმევის წყალობით, ეშმაკებმა, მათ შორის ღორმენმა და ლეიბ-ყოზემაც, პატარძალი ბანჯგვლაეთერო ტუალეტის აჩკოში ჩატენეს და ჯოჯოხეთში უკრეს თავი. ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა. მალე მუსიკოსებმაც სათითაოდ ისკუპეს თავიანთი ინსტრუმენტებით აჩკოებში და საპირფარეშოში მხოლოდ ზარღრა, ლეიბ-ყოზე და ღორმენი დარჩნენ.

– აი, ასე, ჩემო ზარღრა, ჩემო მოწაფევ და სიძეო დროებითო, – მიმართა ღორმენმა, – ამჯერად აგცდა შენ ჩვენი ბედი, მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით. ჯოჯოხეთშიც, რასაკვირველია, შევხვდებით!

– შევხვდებით! შევხვდებით! – უპასუხა ზარღრამ.

ამ სიტყვებზე ღორმენი და ზარღრა გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ჯოჯოხეთში შევხვდებით! – უთხრა ლეიბ-ყოზემ ზარღრას და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

– შევხვდებით! – უპასუხა ზარღრამ და ხელი ჩამოართვა. ამის შემდეგ ღორმენი და ლეიბ-ყოზე ტუალეტის აჩკოში ჩახტნენ და ადგაფუნებულ განავალში გაუჩინარდნენ. დაისადგურა სიჩუმემ. ზარღრა მარტო იდგა დიდ, უსუფთაო საპირფარეშოში. მან სიგარეტს მოუკიდა და საპირფარეშოს ერთ-ერთ აჩკოში შეუდგა აუჩქარებლად შარდვას.

– დამიტოვე ერთი, თუ კაცი ხარ! – გაისმა ანაზდად ქვევიდან. ეს მაცდური ამბაკო იყო.

– ზარღრამ შიგ ჩაიხედა და მისი მზერა ამბაკოს დამშვრალ, თხუნელასებურ თვალებს შეხვდა. – შენ მანდ რა გინდა, ადამიანო?! – ჰკითხა მან ზიზღით საპირფარეშოში მცხოვრებ უბადრუკ არსებას.

– მე აქ ვმუშაობ! ეს ჩემი სახლია! – უპასუხა არსებამ თავისი დამაშვრალი, თხუნელასებური თვალების მოუცილებლად.

– ჰო, მაგრამ რატომ?! – ჰკითხა ზარღრამ.

– უზენაესი პინდონის განკარგულებით! – იყო პასუხი.

ამის შემდეგ ზარღრამ ამბაკოს სანახევროდ მოწეული სიგარეტი გაუწოდა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელმა დატოვებული სიგარეტის გამოსართმევად ახლოს მოიწია, ზარღრამ შარდის ნაკადით გაწუწა იგი.

– ააა, შენ ხომ მე მააფსავ! – დაიხრიალა ამბაკომ და აღშფოთებულმა ამოსაძრომად გამოიწია.

– გაფსავ! – უპასუხა ზარღრამ, – გაფსავ უზენაესი პინდონის განკარგულებით! – მერე ორი ნაფაზი დაარტყა და ჩაუმქრალი სიგარეტის ნარჩენი მაცდურ ამბაკოს აჩკოში ჩაუგდო. ჩაუმქრალი ნამწვი განავალში ჩავარდა, ხოლო მისგან გადმოვარდნილი ერთი ნაპერწკალი ამბაკოს დამაშვრალ თვალში ჩაუვარდა. ამბაკომ თვალი ჭუჭყიანი თითით გამოიწმინდა, განავალში ჩავარდნილი სიგარეტის ნარჩენი ამოიღო და გააბოლა, თან ჭუჭყიან თითებს ისვამდა თვალზე და კმაყო-

ფილი თუ უკმაყოფილო, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. მას ამოძრომა აღარც უცდია.

ზარღრა გარეთ გამოვიდა და განსაწმენდელი პუნქტის ტერიტორია დატოვა. ერთ ჯიბეში მას ახლა ცხვირსახოცში გახვეული ორი რამ ედო, ღორმენის მიერ დაბრუნებული მისივე საკუთარი სული და ლეიბ-ყოზეს კურკლი. მან ისინი ჯიბეშივე მოისინჯა. ორივე ამოიღო, შეათვალიერა და გაიცინა, როცა დიდი განსხვავება ვერ აღმოაჩინა მათ შორის. მერე კურკლი შორს მოისროლა, სული ჯიბეში ჩაიდო და ქალაქისკენ მიმავალ გზას გაუდგა – უხსენებლის მიერ დაკბენილი, დაოსებული, ზღარბივით აბურძგნილი ქალაქისაკენ, რომელიც დროდადრო სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა მის ქუჩებში, მის სკვერებში, მის სახლებში შემოჭრილ მუხანათ მტერს – საკუთარ თავს.

8

მიდიოდა ქალაქისკენ ზარღრა და ფიქრობდა იმაზე, რაც მას ამ მოკლე დროის განმავლობაში და საერთოდ ცხოვრებაში თავს გადახდომოდა. მთელი მისი ულიმღამო ცხოვრება რაღაც უცნაურ სიზმარს ჰგავდა – არეულ-დარეულ, უშინაარსო, მწკლარტე სიზმარს, რომელიც მთელი ღამე გესიზმრება, გაღვიძებს, გაფორიაქებს, მაგრამ არ გამახსოვრდება – სიზმარს, რომლიდანაც ვერ გამოგაქვს აზრი. ზარღრამ არ იცოდა თუ რა საჭირო იყო ამდენი წლის განმავლობაში ციხეში უაზროდ ჯდომა, სხვადასხვა დამცირების ატანა. მან არ იცოდა, რა აზრი ჰქონდა სულის გაყიდვას ან მის არგაყიდვას. არ იცოდა, რა აზრი ჰქონდა საერთოდ მის არსებობას. ის, უბრალოდ, ინსტინქტურად მიდიოდა ქალაქისაკენ და, ბოლოს, ბევრი იარა თუ ცოტა, ჩააღწია.

საგრძნობლად დანგრეული, გზებგადახერგილი ქალაქი აქა-იქ ჯერ კიდევ ბოლავდა. ისმოდა მოთქმა, წყევლა-კრულვა და კვნესა. ქალაქი საყოველთაო რეიდის შედეგებს იმკიდა და დასისხლიანებულ-დაოსებული, იარებს ილოკავდა. საყოველთაო დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართული ეს მოულოდნე-

ლი რეიდი, მოულოდნელადვე, ერთ ღამეში დამთავრებულიყო. შავად მბოლავი მთავრობის სასახლე კი იმაზე მეტყველებდა, რომ ყველას მიერ კრული მეთაური და მისი მთავრობა, უკვე ჩამოეხრჩოთ და დაეხვრიტათ. მათი მსუყე ადგილები ახლა სხვებს დაეკავებინათ. ქუჩებში სახელდახელოდ აკრავდნენ ახალ ლიდერთა მოღიმარ, კბილებდაკრეჭილ პორტრეტებს – დაუნდობელ, გაიძვერულ სახეებს, ისეთივე გაიძვერებისას, როგორებიც მათი წინამორბედნი და მათ წინამორბედთა წინამორბედნი იყვნენ. ეს თვით ქალაქის მოსახლეობა – ხალხი იყო ასეთი – ხალხი, რომელსაც არ შეეძლო ადამიანური ცხოვრება. ის გამუდმებით ვიღაცას ირჩევდა და გადაირჩევდა, გადააყენებ-გადმოაყენებდა და მაინც არასოდეს არ აღიარებდა მთავარს – საკუთარ ბრალს. ზარღრაც ამ ხალხის შვილი იყო და ამიტომაც, სხვების დარად, მანაც არ იცოდა, ვისთვის დაედო ბრალი.

ქალაქი მეტად შეცვლილიყო მის არყოფნაში. და არა მარტო იმიტომ, რომ წუხელ მის ქუჩებში რეიდი მძვინვარებდა. ის სხვანაირად იყო შეცვლილი: ყველგან რაღაცას ყიდდნენ, ყველგან რაღაცას ცვლიდნენ, ყველანი ან ძალიან მდიდრები იყვნენ, ან ძალიან ღარიბები. თუმცა, რასაკვირველია, ეს უკანასკნელნი სჭარბობდნენ.

ზარღრა მიჰყვებოდა ნაცნობ და უცნობ ქუჩებს. იგი ისევ ცენტრალურ ვაგზალს მიადგა და მწარე ღიმილით მოიგონა, თუ როგორ იქორწინა წუხელ. დღეს მას ვეღარავინ ცნობდა, რადგანაც ყველას თავისი გასჭირვებოდა: ერთნი რაღაცას ყიდდნენ, მეორენი ყიდულობდნენ, ზოგი მათხოვრობდა ხელგაწვდილი, ზოგი კი ზარღრასავით უაზროდ დაყიალობდა. გაზარმაცებული, გადატრიალებებს შეჩვეული, ამ გადატრიალებებით დაღლილი პოლიციელები კი აღარავის იჭერდნენ. ზარღრას სურდა ერთი ნაცნობი სახე მაინც ეპოვა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან მისი ახალი ნაცნობები ჯოჯოხეთში გამგზავრებულიყვნენ, ძველები კი, ძველები...

დილა იყო სუსხიანი და ვიქტორიც წრეებს ურტყამდა ვაგზლის შენობას, ხან შიგ შედიოდა გასათბობად, მაგრამ ხის სკამზე მოკალათებულს, იქ უფრო აწუხებდა სიცივე. აწუხებდა

მას აგრეთვე ვაგზლის აფორიაქებული სული – გასამგზავრებლად გამზადებული ხალხი, თუნდ დარბაისლურად მჯდომი, შეუმჩნეველ, მაგრამ ფორიაქში იყო. ეს ფორიაქი გადადიოდა სხვებზეც, ანუ იმათზე, ვინც არსად აპირებდა გამგზავრებას და, რასაკვირველია, ზარღრაზეც, ამიტომ ეს უკანასკნელი დიდხანს ვერ ჩერდებოდა მოსაცდელ დარბაზში. ბოლოს მაინც იპოვა სხვებთან შედარებით უფრო თბილი და, შეიძლება ითქვას, მყუდრო ადგილი. ეს გრძელი მიწისქვეშა გადასასვლელი იყო, რომელიც რკინიგზის ვაგზალსა და მეტროს სადგურს ერთმანეთთან აკავშირებდა. ერთმანეთის გასწვრივ ჩამწკრივებული დახლებიდან თითქმის ერთსა და იმავე საქონელს ყიდდნენ. დახლზე ათასი წვრილმანი ელაგა: ელემენტები, სარკეები, სავარცხლები, კალმები, იზოლენტა, ტუში და მელანი. რამდენიმე დახლს იქით ყიდდნენ ფუნთუშებს, შემდეგ ამას მოსდევდა ისევ რამდენიმე დახლი ელემენტებით, სარკეებით, ტუშით... და ისევ რამდენიმე დახლს იქით იყიდებოდა ტუალეტის ქაღალდი. დახლთა შორის იშვიათი თავისუფალი ადგილები მოეხელთებინათ ერთობ აქტიურ მათხოვრებს. ისინი, ზოგიერთები თავიანთ ბავშვებთან ერთად, ხელგაწვდილნი ითხოვდნენ შველას.

სადღაც დერეფნის სიღრმიდან ისმოდა ვიოლინოს ხმა. ეს ნაცნობი მელოდია იყო. მელოდია თანდათან სულ უფრო მკაფიოდ ისმოდა და ვიქტორს აიძულებდა მეხსიერების უკიდურესად დაძაბვას. იგი ცდილობდა გაეხსენებინა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც მის წარსულსა და აწმყოს ერთმანეთთან აკავშირებდა. ბოლოს გამოჩნდა ბრმა მუსიკოსიც, რომელიც ქვის ფილაზე დაფენილ ნაჭერზე იჯდა და ვიოლინოზე უკრავდა. ზარღრამ იცნო იგი. ეს მუსიკოსი მრავალი წლის წინ სასჯელს იხდიდა მასთან ერთად. ის მაშინაც ბრმა იყო და ასაკითაც საინვალიდო ზონას ეკუთვნოდა, მაგრამ მისივე დაჟინებული თხოვნით არ გადაჰყავდათ იმ ზონაში, იქ – საინვალიდოში თითქმის არ იყო წარმოება და ინვალიდი პატიმრებიც, ამის გამო, კისერზე ასხდნენ სახელმწიფოს. ამიტომ ეს საინვალიდო ზონა ფაქტიურად წარმოადგენდა ქანცგაწყვეტილთა საკონცენტრაციო ბანაკს – იქ

დასახოცად აგზავნიდნენ მოხუცებსა და ავადმყოფებს. ისინი იქ იხოცებოდნენ.

მოხუცი მუსიკოსი ბოსტნეულის ბადეებს ქსოვდა ბრმად, საღამოობით კი ამღერებდა თავის ვიოლინოს. მის მოსასმენად სხვა ლოკალური ნაკვეთებიდანაც მოდიოდნენ ხოლმე პატიმრები. მოხუცს ბადეების ქსოვა და უცნაური ამბების მოყოლა უყვარდა – ამბებისა, რომელთა მოსასმენად ხშირად მოდიოდნენ კოლონიის თანამშრომლებიც. მოხუცს მსმენელთათვის ძაფდახვეული მაქოებით ლურსმნებზე ჰქონდა ჩამოკიდებული ბადეების დასაწყისები და სანამ იქ თავის ამბებს დინჯად ჰყვებოდა, მის ბადეებს სხვა ახალი ბადეებიც შეუმჩნევლად ემატებოდა. იქ შეგროვილი მსმენელები მოხუცის მიერ დაგებულ „მახეებში" ებმებოდნენ და მოსმენის ჟინით შეპყრობილნი თავშესაქცევად თავისდაუნებურად ბადეებს უქსოვდნენ მას. მაგრამ მოხუცი არ იყო ცბიერი და ცუდი, პირიქით, ის კარგი იყო.

ერთხელ ზონაში საერთო შემოწმებაზე მთელი შემადგენლობა, 1300 პატიმარი პლაცზე გაამწკრივეს. თუმც მშრალი, მაგრამ ყინვიანი ამინდი იყო, ზედამხედველებიც და პატიმრებიც შემცივნებულნი თოვლში ფეხებს აბაკუნებდნენ. აი, ამ დროს გამოჩნდა კოლონიის ხელმძღვანელობაც – ლოყებღაჟღაჟა, კმაყოფილი, მხიარული. როდესაც ხელმძღვანელებმა მედიდურად ჩაუარეს წინ პატიმართა რიგებს, სწორედ მაშინ გამოანათა ღრუბლებიდან მზემ. მოხუცი მუსიკოსი მორწმუნე იყო. იგი ხედავდა მხოლოდ მზეს და აუცილებლად გადაიწერდა ხოლმე პირჯვარს, როცა ის გამოანათებდა. ამჯერადაც მან ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა. ამას დაემთხვა ის, რომ ხელმძღვანელები სწორედ ამ დროს აღმოჩნდნენ მის შორიახლო. ლოყებღაჟღაჟა ზონის უფროსმა კომუნისტმა და ათეისტმა ნაბიჯი შეანელა, გაჩერდა, სხვებიც გააჩერა და მოხუცს მედიდური მხიარულებით გაექილიკა:

– აბა, მითხარი, მოხუცო, რას იუწყება ციური კანცელარია?

ზონის უფროსის თანმხლებმა ოფიცრებმა გადაიხარხარეს და თავიანთი უფროსის ოხუნჯობას მხიარული, მედიდური სიცილით აუბეს მხარი.

მოხუცი ჩაფიქრდა და ერთხანს შეაყოვნა პასუხი. როგორც ჩანს, ის ყოყმანობდა და არ იცოდა ეთქვა თუ არა ენაზე მომდგარი პასუხი, უფროსი კი არ ეშვებოდა და ეკითხებოდა.

– მითხარი, აბა, მოხუცო, მითხარი, რას ამბობს ის შენი ციური კანცელარია!

მოხუცმა კიდევ ერთხელ მოიხადა ქუდი, კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი და უშიშრად უპასუხა უფროსს:

– ციური კანცელარია იუწყება, რომ შენ პიდარასტი ხარ!

კოლონიის უფროსმა ტუჩზე იკბინა, გაწიწმატდა, რაღაც დაიზმუვლა და ჩქარი ნაბიჯით გასწია. ასევე მოიქცა ამალაც. ბრმა მუსიკოსი კი კარცერში მოათავსეს. კარცერში დიდხანს ოხუნჯობდნენ ბიჭები მოხუცის საქციელზე, საკნიდან საკანში ამცნობდნენ ერთმანეთს მხიარულ ამბავს. საღამოს კი, როცა წყალწყალა, მაგრამ სამაგიეროდ ცხელი და გემრიელი მუხუდოს სუპით ისიამოვნეს, მოხუცმა, როგორც ახალმა, კარცერის დაუწერელი წესის თანახმად მოყვა პრიკოლი:

– „მაშინ თქვენსავით ახალგაზრდა და მხნე ვიყავი, ბიჭებო! დამკვრელი ვიყავი და ქორწილებში დავდიოდი. ჩვენი ანსამბლი გვქონდა მუსიკოსთა და მომღერალთა და მთელს იმ მხარეში სახელი გვქონდა გავარდნილი. კარგადაც ვუკრავდით და კარგადაც გვიხდიდნენ. უყვარდა მდიდარ ხალს ჩვენი მოსმენა!

ჰოდა, ერთხელაც მდიდრულად ჩაცმული, დარბაისელი ბატონი მოვიდა ფაეტონით ჩვენთან, ხელში უბადლო კვერთხი ეჭირა, თითებში კი გიშრის უცხო კრიალოსანს ატრიალებდა. მან ჩვენ თავის სასახლეში დაგეგმილ ქორწილში მონაწილეობის მიღება გვთხოვა. ჩვენმა ხელმძღვანელმა ფასი უთხრა, მაგრამ ბატონს ეს ფული ეცოტავა: ორმაგს დაგვპირდა, ოღონდ კი ერთი გვთხოვა – დაგვეკრა და გვემღერა მხოლოდ გულში ჩამწვდომად. ჩვენც საგანგებოდ განვეწყვეთ, და მართლაც, ოჰ, როგორი საზოგადოება იყო, როგორ იყვნენ გამოწყობილნი, რა სამკაულები და ძვირფასეულობა, რა ცხენები, რა ეტლები... ჩვენ, მუსიკოსები მოხდენილ ფაეტონში ჩაგვსხეს და ყველანი ბატონის მამულისაკენ გავემართეთ. ჩვენი საქმე სიმღერა და დაკვრა იყო, ჰოდა, ჩვენც ვმღეროდით და ვუკრავდით გულში ჩამწვდომად.

დიდხანს მივემგზავრებოდით შორს, რომელიღაც საეჭვო გზებით ტრიალ მინდორში, სადაც არ ჩანდა არც სინათლე და არც შემხვედრი სოფელი. ბოლოს კი გამოჩნდა უზარმაზარი, შემზარავად დიდი სასახლე და იქიდანაც ზარბაზნების სროლითა და შეძახილებით შეგვეგება ხალხი. საოცარი იყო ეს ყველაფერი. მე მდიდართა ძლიერი ოჯახები ადრეც მრავლად მენახა, მაგრამ ასეთი? ილხენდნენ მექორწილეები დიდხანს და ჩვენც ვილხენდით. არაფერი ჩანდა საეჭვო, ხალხი იყო მეტად გულღია და გულკეთილი, მაგრამ... ცოტა ხნით გასვლა მომინდა, ჩემიანები დავტოვე და, რომ იტყვიან, გავშალე მუხლი. ვათვალიერებდი უჩვეულო სასახლეს და მის მიმდებარე ნაგებობებს, თანაც საპირფარეშოს ვეძებდი. თუმცა საამისოდ, მართალი გითხრათ, თავი მეტად არ გამომიდვია და იქვე ახლოს გაბურდულ ბუჩქებს მივაშურე. სწორედ მაშინ შევნიშნე ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სასახლის შიდა ეზოში დადგმულ გობს მიუახლოვდა. მათ აქეთ-იქით მიმოიხედეს და როცა დარწმუნდნენ, რომ არავინ უთვალთვალებდათ, გობიდან პეშვით ამოღებული წყლით თვალები მოიბანეს. ამან მე გამაკვირვა, აღმიძრა ცნობისმოყვარეობა, ჩავჯექი ბუჩქებში და ფოთლებს ავეფარე. ვხედავ, კიდევ მოვიდნენ ვიღაცეები და მათაც თვალები მოიბანეს. მერე კიდევ ვიღაცამ მოიბანა თვალები. ასე მოდიოდნენ ორ-ორი, სამ-სამი, ოთხ-ოთხი და თითო-თითო. ისინი ამ გობიდან ამოღებული წყლით თვალებს იბანდნენ და მიდიოდნენ, „ნეტავ რა უნდა იყოს", – გავიფიქრე მე და გადავწყვიტე იმავეს გამეორება. მივიხედ-მოვიხედე, შევარჩიე მომენტი და როცა ახლოს არავინ იყო, გობთან მივიპარე, პეშვით წყალი ამოვიღე და ცალი თვალი მოვიბანე. ცვლილება მაშინვე ვერაფერი შევამჩნიე და ამიტომ დამშვიდებულმა მეორე თვალის მობანვაც ვცადე: კიდევ ჩავყავი ხელი გობში, მაგრამ სწორედ ამ დროს შევნიშნე ვიღაც მიახლოვდებოდა, ამიტომ გვერდზე გავხტი და მალვა-მალვით სუფრაზე დავბრუნდი. ჰოი, რომ იცოდეთ, რა საშინელი, უჩვეულო სურათი ვიხილე მე მაშინ! ჰოი, რომ იცოდეთ, რა საოცრება ვნახე! რომ იცოდეთ, რა შიში ვჭამე!

თვალით, რომლის ჯადოსნური წყლით მობანვაც მე ვერ

მოვასწარი, ვხედავდი უზარმაზარ სასახლეს, ღირსეულ ბატონებს, მშვენიერ ქალბატონებს, ბროლს, თვალ-მარგალიტს და ზღაპრულ სუფრას, ხოლო თვალით, რომლის მობანვაც მე, ჩემდა სავალალოდ, მოვასწარი, ვხედავდი ჭუჭყიან კარვებს, მიწურებს, ბინძურ ძონძებს და... ეშმაკებს! დიახ! დიახ! ეშმაკები იყვნენ – ღრჯოლებიანი, ბრჭყალებიანი, ნისკარტიანი, რქოსანი ეშმაკები. ჩვენი დამქირავებელი ღირსეული ბატონიც ეშმაკი იყო – დიდი, ტლანქჩლიქა და რქოსანი.

ისინი ჩვენ გვთავაზობდნენ ხარის სისხლისფერ სურნელოვან ღვინოს, რომელიც სინამდვილეში ღვინო კი არა, მყრალი, შარდისებური სითხე იყო. ისინი ჩვენ გვთავაზობდნენ ვითომ გემრიელ საჭმელს, რომელიც რაღაც ამაზრზენი და გულისამრევი, გაუპუტავი ვირთხებიან-ბაყაყებიანი რამ იყო. ფულები, რომლებითაც ისინი ჩვენ ასე გულუხვად გვასაჩუქრებდნენ, გვტენიდნენ უბეებში და გვაკრავდნენ შუბლზე, სხვა არა იყო რა, თუ არა ხმელი ფოთლები და ბალახი. მე გული ამერია ყველაფერ ამაზე, მაგრამ კიდევ კარგი ჭკუა მეყო და არაფერი შევიმჩნიე: ჯადოსნური წყლით მობანილი თვალი მოვჭუტე, ამ საზიზღრობისთვის რომ არ მეცქირა და დაკვრა განვაგრძე. ჩემი მეგობრებიც უკრავდნენ გულში ჩამწვდომად. მათ ჯადოსნური წყლის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მეორე დღეს გულუხვად დასაჩუქრებულნი ფაეტონით გამოგვისტუმრეს ეშმაკებმა, მაგრამ როცა ფაეტონმა ადგილზე მიგვიყვანა, ყველას მძაფრად შეგვიბრუნა სიმთვრალემ; აგვერია გულები, ყველანი მოვიწამლეთ და გავითიშეთ. გონს რომ მოვედით, აღარაფერი გვქონდა თან, ხოლო ფულების ნაცვლად ჯიბეები ფოთლებითა და ეკლებით გვქონდა სავსე. ჩემს მეგობრებს ეგონათ, რომ მთვრალები ვილაცეებმა გაგვძარცვეს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ჩვენ გაგვძარცვეს და აბუჩად აგვიგდეს არა ვილაცეებმა, არამედ ჩვენმა მექორწილეებმა – ეშმაკებმა. აზრი არ ჰქონდა ვინმესთვის ამის მოყოლას. ვინ დამიჯერებდა? ტანსაცმელი შევიბერტყე, ერთი კვირა ვიმარხულე და ეკლესიაში მადლი შევწირე უფალს გადარჩენისთვის.

გავიდა ხანი, მაგრამ მე ეს შემთხვევა ისევ მახსოვდა და ასეთ რამეს, აბა, რა დამავიწყდება!

ერთხელ, ჩემს სახლთან ახლოს, მაღაზიაში ვიდექი და გამყიდველ ქალებს ველაზღანდარავებოდი. უცებ მაღაზიის წინ ეტლი გაჩერდა და იქიდან ღირსეული ბატონი გადმოვიდა. ეს სწორედ ის იყო, ვინც ჩვენ დაგვიქირავა, ხელში ისევ ის კვერთხი და კრიალოსანი ეჭირა. ბატონი კეთილმბრძანებლურად ლაპარაკობდა, მას რაღაცის ყიდვა უნდოდა და ამის თაობაზე გამყიდველ ქალებს ეღულუნებოდა მედიდურად და დამყვავებლურად. მე კი ზურგით ვიდექი და ვუსმენდი. დღე იყო, მზე იყო და მეც შუა ქალაქში საკმაოდ გულდაჯერებულად ვგრძნობდი თავს. ვუსმენდი მის დამყვავებლურ, ბატონკაცურ ღულუნს და ვფიქრობდი: „ახლა კი მაინც გამოგიყვან სამზეოზე, წყეულო ეშმაელუკა!“ შემდეგ მისკენ შევტრიალდი და ჩემი აზრები ხმამაღლა, რიხიანად, მის გასაგონად წარმოვთქვი: – ახლა კი მაინც გამოგიყვან სამზეოზე, წყეულო ეშმაელუკა!

– რა-ა-ა??? – საშინლად იღრიალა ღირსეულმა ბატონმა. – რა და რაც გაიგე! ახლა მაინც გამოგიყვან სამზეოზე, წყეულო ეშმაელუკა! მე ის მუსიკოსი ვარ, შენს სასახლეში რომ ვუკრავდი! შენი ჯადოსნური წყლითაც დამიბანია თვალი და ახლაც გხედავ, შე უწმინდურო!

– მხედავ?! – იღრიალა მან, – „მაშ, აი, ეს შენ, რომ ველარ დამინახო!!! – ამ სიტყვებზე ხელი მტაცა და თავისი ღონიერი თითებით თვალები ღრმად ჩამიჭყლიტა. ქალებმა წივილი მორთეს, მეც შევწუხდი, დიდი აურზაური ატყდა, მაგრამ ბატონი მას შემდეგ აღარავის უნახავს. იგი თავის ეტლში ჩაჯდა და, რომ იტყვიან, მოუსვლელში წავიდა. მას შემდეგ მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავ, ისიც მხოლოდ მზეს და ისიც ცალი თვალით“.

მოყვა ამას მოხუცი და გაჩუმდა.

– ეს მართალია, მოხუცო, თუ ჩვენს გასართობად მოიგონე? – ჰკითხა მაშინ ვიღაცამ მოხუცს.

– აი, თქვენ ჭეშმარიტი ჯვარი! – თქვა მოხუცმა და პირჯვარი გადაიწერა.

მოხუცი ზონაში აღარ გამოუშვიათ. იგი პირდაპირ კარცერიდან გაგზავნეს ინვალიდთა ზონაში ეტაპით. ახლა ეს მოხუცი მიწისქვეშა გადასასვლელში ქვის ფილაზე იჯდა და

ვიოლინოზე უკრავდა. წინ ედო ქუდი, რომელშიც ცოტაოდენი ხურდა ფული ეყარა, წუხელ კი... წუხელ, ეს მოხუცი, ზარღრას ქორწილში, ახალგაზრდა და თვალხილული, ვიოლინოზე დაკვრით ართობდა სტუმრებს.

ზარღრა გაჩერდა და ერთხანს ჩაფიქრდა. ის ყოყმანობდა და ფიქრობდა, გამოცნაურებოდა თუ არა ადამიანს, რომელსაც აქამდე უკვე ორჯერ შეხვედროდა თავის ცხოვრებაში – თავიდან ბებერს, შემდეგ კი ახალგაზრდას. ბოლოს მაინც გამოელაპარაკა:

– გამარჯობა, მოხუცო! – მიესალმა იგი.

– გაგიმარჯოს! მე შენ გიცნობ? – მიუგო მოხუცმა.

– მიცნობ! – უპასუხა ზარღრამ.

– საიდან? – იკითხა ისევ მოხუცმა.

– ჩვენ უკვე მესამედ ვხვდებით ერთმანეთს, – მიუგო ვიქტორმა, – პირველად მე და შენ ათიოდე წლის წინ საპატიმროში შევხვდით. შენ მაშინაც უკრავდი ვიოლინოზე.

– შენ მე ვიღაცაში გეშლები, გამვლელო, – თქვა მოხუცმა და ვიოლინო გვერდზე გადადო, – მე ციხეში არ ვმჯდარვარ და დანაშაულიც არასოდეს ჩამიდენია!

– როგორ არ ჩაგიდენია, მე და შენ ერთად ვიხდიდით სასჯელს!

– არა-მეთქი, გამეცალე! – გაბრაზდა მოხუცი.

– შენი ამბავიც ვიცი, – არ ეშვებოდა ზარღრა, – ეგ თვალები არქიეშმაკმა ღორმენმა დაგთხარა, რადგან შენდა უნებურად წმინდა წყლის საიდუმლოებას ჩასწვდი და მათი დანახვის საშუალება მოგეცა!

მოხუცი შეცბა. მეხსიერება დაძაბა, მაგრამ ზარღრა მაინც ვერ გაიხსენა.

– ეგ მართალია, – თქვა მან, – მე მართლაც ეშმაკმა დამთხარა თვალები, – მაგრამ ისიც მართალია, რომ არასოდეს ვმჯდარვარ ციხეში!

აქ კი უკვე ზარღრა მიხვდა, რომ მოხუცის ცხოვრების ამ მონაკვეთისთვის იგი ჯერ მართლაც არ იყო ციხეში ნაჯდომი. მას ეს მხოლოდ ზარღრას ცხოვრებაში გადახდომოდა დიდი ხნის წინათ თავს, ხოლო თავის საკუთარ ცხოვრებაში, მას ეს

ეტაპი ჯერ კიდევ გასავლელი ჰქონდა. ზარღრამ ეს იცოდა, რამეთუ იგი მოხუცის მომავალს თავის საკუთარ წარსულში შეხვედროდა.

– შენ მართალი ხარ, მოხუცო, – დაუდასტურა ზარღრამ, – ციხეში შენ ჯერ მართლაც არ მჯდარხარ, მაგრამ, მერე რა, მოვა დრო და შენც დაგიჭერენ! ჩაჯდები, როცა მოგივა ამის დრო!

– შენ ვინ ხარ?! – იკითხა ეჭვით მოხუცმა.

– ხომ გითხარი, შენი ნაცნობი ვარ, შენთან ერთად ვიხ-დიდი-მეთქი სასჯელს! ერთხელ კარცერშიც კი ვისხედით მე და შენ ერთად. სწორედ იქ გვიამბე ბიჭებს შენი ამბავი ეშმაკთა ქორწილისა და შენი თვალების დათხრის შესახებ! ხოლო რაც შეეხება შენს ციხეში ჯდომას, ეს ყველაფერი წარსულში იყო, ოღონდ ჩემი ცხოვრების წარსულში, ხოლო შენს ცხოვრებაში ეს მომავალში იქნება – დრო მოვა და დაგიჭერენ! მე ეს ვიცი, რადგანაც ჩემი წარსული როგორღაც გადაჯაჭვულია შენს მომავალთან!

– ცუდის მაცნე ხარ, უცნობო, ავისმომასწავებელი! – და-ფიქრებით თქვა მოხუცმა, – ცუდს მიწინასწარმეტყველებ!

– ვისთვის წინასწარმეტყველებაა და ვისთვის მხოლოდ წარსულის მოგონება! – გაიმართლა თავი ზარღრამ.

– და მაინც, ვინ ხარ?! – იყვირა მოხუცმა.

– ვინ ვარ? – კითხვითვე მიუგო ზარღრამ, – ვინ ვარ, არ ვიცი, მაგრამ შენ წუხელ ჩემს ქორწილში უკრავდი გულში-ჩამწვდომად და წმინდაწყლის საიდუმლოებაც სწორედ იქ გაიგე, ჩემს ქორწილში. მერე კი, მერე ჩემმა სიმამრმა ამის-ათვის საკუთარი ხელით დაგთხარა თვალები.

– ჩანს, მართალს ამბობ, – უთხრა მოხუცმა ზარღრას, – ოღონდ ეს ყველაფერი წუხელ კი არა, ძალიან დიდი ხნის წინ იყო!

– შენთვის დიდი ხნის წინ, ჩემთვის კი წუხელ! – თქვა ზარღრამ.

– მაშ შენც ეშმაკი ყოფილხარ, ეშმაელუკა! – უთხრა მოხუც-მა ზარღრას და ხელით რაღაცას დაუწყო ძებნა.

ზარღრა ცოტათი დაიხარა, რათა გაერჩია თუ რას ეძებ-

და მოხუცი და სწორედ ამ დროს მოხვდა ლოყაში მოხუცის მიერ მოქნეული ჯოხი, რომელიც მუდამ თანა აქვთ ხოლმე ბრმებს.

ზარღრა გახტა, მოხუცს გაერიდა, მისი ლოყის დაჟეჟილი კანიდან კი სისხლის მაგვარმა წყალწყალა სითხემ გამოჟონა. ვიქტორი არასტუმართმოყვარე თავისუფლებას შეერწყა ანაზდად – თავისუფლებას, რომელიც ამჯერად მეტროდან გამოსული ხალხის აჩქარებული ნაკადის სახით, საზრუნავგაჩენილი სადღაც მიილტვოდა და ფეხარეულ ზარღრასაც უკითხავად თან მიითრევდა.

მიწისქვეშა გადასასვლელიდან სამზეოზე გამოსვლისას ხალხის ნაკადის გამოყოლილმა მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძემ გაიხსენა ის, რომ იდგა მისი გათავისუფლებიდან მეორე დღის დილა და რომ არსებული კანონ-წესების თანახმად, იგი, როგორც ახალგათავისუფლებული, ვალდებული იყო აღრიცხვაზე სისხლის სამართლის სამინისტროში გამოცხადებულიყო მორჩილად. ამის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა და აი რატომ: ქალაქის მოსახლეობა იმდენად იყო კრიმინალიზებული, რომ უკვე თითქმის წაშლილიყო ყოველგვარი ზღვარი დადებითს და უარყოფითს, თეთრსა და შავს შორის. ყველაფერს მიეღო რაღაც საშუალო ფორმა და ფერი. ასე მაგალითად: თუ რომელიმე ინჟინერს მოჰპარავდნენ მანქანას, იგი საჩივლელად მიდიოდა კრიმინალებთანაც და პოლიციაშიც, ხოლო ეს უკანასკნელნი ზოგჯერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ზოგჯერ კი ერთობლივად ეძებდნენ მოპარულ ავტომანქანას და უბრუნებდნენ მფლობელს, რამეთუ მოქალაქე, ანუ ამ შემთხვევაში ინჟინერი, იყო „წესიერი" კაცი, ეს ნიშნავდა იმას, რომ ეს „წესიერი" თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს არ იშურებდა როგორც პოლიციის, ასევე კრიმინალთა საძმოს გამოსაკვებად. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ რიგით მოქალაქეებსა და პოლიცია-კრიმინალებს შორის ჯერ კიდევ იყო რაღაც სხვაობა, ეს უკანასკნელნი, ანუ პოლიციელები და კრიმინალები ქცეულიყვნენ იმ ერთ, თითქმის მონოლითურ სოციალურ ფენად, რომელიც ფაქტიურად მართავდა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფლობდა ქვეყანას. კრიმინალური და საპოლი-

ციო ბოსები მეტად ჰყვარობდნენ ერთურთს, ისინი ხშირად აწყობდნენ მრავალპროფილიან ერთობლივ კონფერენციებს და საჯაროდ კოცნიდნენ ერთმანეთს ღრძილებში. კიდევ უნდა ითქვას ისიც, რომ მათ რაღაც გამორჩეული (პათოლოგიური) ღვთისმოსავობა" ახასიათებდათ. ისინი მოხვეჭილი ფულებით (მოხვეჭილი ფულების ნაწილით) აგებდნენ ეკლესიებს და, რომ იტყვიან, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ ეკლესიების აგებაში. ეს ეკლესიები არ იყო, რა თქმა უნდა, მათი სახელობისა, მაგრამ ხალხში მაინც ასე იცოდნენ და ასე იტყოდნენ: „პროკურორ ასეთის და ასეთის ეკლესია" ან „ქურდ ასეთის და ასეთის ეკლესია". ეს პროკურორები და ქურდები ერთმანეთს ბავშვებს უნათლავდნენ და ნათლიმამები იყვნენ ერთმანეთისა, ალბათ მეტად ამძიმებდათ თავიანთი მართლაც მძიმე ცოდვები და მათი ეს „ღვთისმოსავობაც" ამით იყო განპირობებული.

ახლად გათავისუფლებულს რომ უგულებელეყო და არ მისულიყო პოლიციაში, ეს ნიშანი იქნებოდა იმისა, რომ მას უკანონოდ სურდა ცხოვრება: ამ შემთხვევაში ის განიცდიდა ერთობლივ დევნას, როგორც პოლიციის, ისე ოფიციალური კრიმინალების მხრიდან, რამეთუ სახელმწიფო სცნობდა მხოლოდ კანონიერ ქურდებს, უკანონოებს – არა.

ახლა ვინ იყვნენ უკანონო კრიმინალები: ესენი იყვნენ ცალკეული პიროვნებები ან პიროვნებათა პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ დამნაშავეთა საერთო წესებს. ისინი თავს საერთო ქურდული მოძრაობისგან განდგომილებად თვლიდნენ, რამეთუ აცხადებდნენ, რომ ოფიციალურმა ანუ კანონიერმა კრიმინალებმა უღალატეს წმინდა იდეას – ქურდულს და, ასე ვთქვათ, შეეკრნენ სამართალდამცავებს. სინამდვილეში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. დამნაშავეობრივი აზროვნება არ შეიძლება იყოს წმინდა, ის იმთავითვე უწმინდურია. ამიტომ ეს განდგომილები სინამდვილეში იყვნენ გაგდებულები. თავიანთი არსით ისინი იყვნენ ისეთივენი, როგორიც კრიმინალთა საერთო მასა, ოღონდ ისეთები, რომლებმაც იქაც ვერ ივარგეს, ანუ აღმოჩნდნენ უარესები ცუდებში. ამის გამო მათ საბოლოოდ ეს სახელი ჰქონდათ დამკვიდრებული – ბოზები.

ჯოჯოხეთში თავისი ფეხით წამსვლელი ზარღრასთვის, რომელსაც ეშმაკ ღორმენის მიერ სამადლოდ დაბრუნებული, დამყაყებული სულის გარდა ქვეყანაზე არაფერი ებადა, უკვე სულერთი იყო, თუ ვისთან მივიდოდა – პოლიციელებთან, ქურდებთან თუ ბოზებთან, ამიტომაც იგი სისხლის სამართლის სამინისტროსკენ გაემართა, რამეთუ იქ იყო სხადნიაკი ყოველთა მათთა და მათთანათა.

სამინისტროში ვიქტორ ნაზრაძე გათავისუფლებულთა განთავსების განყოფილების უფროსის ხორიკაშვილის ხელქვეითმა ლევანმა (იგი ასე გაეცნო მას) მიიღო. გათავისუფლებულთა განთავსების განყოფილების უფროსის ხორიკაშვილის ხელქვეით ლევანის ფაქიზად გაპარსული, ოდნავ სიმსუქნეშეპარული ლოყები მეტყველებდა კარგ კვებაზე, ხოლო საკმაოდ ძლიერ კისერსა და დამახასიათებელ მარდ მოძრაობებში მჟღავნდებოდა მისი ყოფილი სპორტსმენობა. ლევანს ეცვა კარგად, მსუბუქად, ქამარზე ეკეთა მობილური ტელეფონი ლამაზი ბუდით, პირდაპირ ქამარში (ალბათ წესების დარღვევით) გაჩრილი ჰქონდა პისტოლეტი.

პოლიციის ვიცეპოლკოვნიკი ოთარ ხორიკაშვილი სისხლის სამართლის სამინისტროში განაგებდა იმ უწყებას, რომელსაც ევალებოდა გათავისუფლებულთა საქმეების მოწესრიგება, მათი დასაქმება და კონტროლი. ეს ერთობ მნიშვნელოვანი უწყება იყო და, რასაკვირველია, დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი ჰქონდა განთავისუფლებულებთან. პირველ ეტაპზე უწყების უფროსის ხელქვეითები, ან უფრო სწორად ხელქვეითი ლევანი, გასაუბრების პროცესში გათავისუფლებულებს 50 მანეთის ოდენობით ფულს სთხოვდა, ხოლო სანაცვლოდ ჰპირდებოდა, რომ მათ არ შეიყვანდა კომპიუტერში. ეს იყო, რომ იტყვიან, პირველი შესატანი არაოფიციალური თანხა, რომელსაც სისხლის სამართლის სამინისტროს გათავისუფლებულთა განთავსების განყოფილება ითხოვდა ახლად გათავისუფლებულებისაგან.

ლევანი იყო სასიამოვნო და მიმწოლი. ის სასიამოვნოდ უხსნიდა გათავისუფლებულს 50 მანეთის მიცემის უპირატესობას და ხდებოდა მიმწოლი, თუკი გათავისუფლებული გამოავლენ-

და რაიმე ეჭვს ან უარს იტყოდა 50 მანეთის მიცემაზე. რა თქმა უნდა, დანაპირები რჩებოდა დანაპირებად და გათავისუფლებულის საქმესაც ეძლეოდა ჩვეულებრივი მსვლელობა, ანუ ის კომპიუტერშიც შეჰყავდათ და, სადაც საჭიროა, იქაც, მაგრამ თუ გათავისუფლებული უარს იტყოდა ფულის გადახდაზე, მაშინ ლევანი ემუქრებოდა მას სისტემატური გამოძახებებით და შემაწუხებელი შემოწმებებით ბინაზე.

ლევანმა წაიკითხა გათავისუფლების ცნობა, გაიგო, რომ ვიქტორს არ ჰყავდა არავინ, გაიგო, რომ მას არ ჰქონდა სამუშაო და სახლი, და მაინც, რადგან გათავისუფლებულთა უმრავლესობა ისეთებივე ან იმათზე უარესები იყვნენ, როგორიც ზარღრა, ლევანი მთავარზე გადავიდა:

– ახლა კი გადავიდეთ მთავარზე, – თქვა ლევანმა, – ავტოკალამი ფურცელს სხარტად დაჰკრა და ღონიერი მოზვერივით ყელმოღერებულმა წარბებს ქვეშიდან ახედა ზარღრას, – რომ სადმე აუცილებლად ჩაეწერები, დასაქმდები და წესრიგს არ დაარღვევ, ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია, მაგრამ, როგორც იტყვიან, პირველად არ გიხდება ორგანოებთან ურთიერთობა და იცი, რომ ორგანოებს ისედაც შეუძლიათ საქმის გაკეთება და ასედაც.

ამ სიტყვებზე ლევანმა თავის შესუქებულლოყებიან, ნავარჯიშებ კისერზე დამაგრებული სხარტი თავი მაღლა ასწია და ვიქტორს თვალი თვალში გაუყარა; ასე უყურებდა და ელოდა შესაბამის კითხვას, ანუ იმას, თუ რას ნიშნავდა „საქმის ისედაც და ასედაც გაკეთება". ზარღრა არ ჩქარობდა შეკითხვის დასმას, ისიც უყურებდა ლევანს თვალებში. მან უკვე იცოდა, საითაც უბერავდა პოლიციელი და ამიტომაც სდუმდა, რათა თავისი დუმილით და მოჩვენებითი მიუხვედრელობით ცოტათი გაელიზიანებინა პოლიციელი. თუმცა პოლიციელი გათავისუფლებულის დუმილითა და მოჩვენებითი მიუხვედრელობით არ გაღიზიანდა.

– შენი საქმე ჩემს ხელშია, – დაიწყო ლევანმა ახსნა, – წესით, მე ვალდებული ვარ, შენი საქმე კომპიუტერში გავატარო, მაგრამ თუ შენ მოინდომებ, ეს, შესაძლებელია, არც გაკეთდეს!

– მერე ნურც გაკეთდება, თუ შესაძლებელია, რომ არ გაკეთდეს! – თქვა ზარღრამ.

– არც გაკეთდება! – უთხრა ლევანმა, – ოღონდ უფროსს პატარა პატივი უნდა სცე!

– რა პატივი უნდა ვცე უფროსს? – იკითხა ზარღრამ.

– 50 მანეთი უნდა გაიღო!

ვიქტორი ჩაფიქრდა.

– საიდან უნდა გავიღო 50 მანეთი, როცა გუშინ გავთავისუფლდი და სულს იქით არაფერი მაბადია! – თქვა მწარედ მან.

– არა უშავს, – არ შედრკა ლევანი, – ნათესავები გეყოლება, ახლობლები – იმათ ესესხე! ალბათ მეგობრები გყავს, ვისთან ერთადაც ადრე სასჯელს იხდიდი – იმათთან მიდი! ან ისინი სად არიან, ვისთანაც დაჭერამდე მეგობრობდი? აბა, როგორ, აბა როგორ, კაცო! – ამხნევებდა ლევანი ვიქტორს, ასწავლიდა მას, თუ სად შეეძლო ამ უკანასკნელს, ეშოვა 50 მანეთი.

– იცი რა, ლევან, – შეაწყვეტინა მას ზარღრამ, – მოდი, რაც იყოს იყოს, გამატარე კომპიუტერში!

ლევანს ეს აზრი არ მოეწონა: მან ჩაისუნთქა და შენითლება დაიწყო:

– შენ ალბათ არ გესმის რას ნიშნავს კომპიუტერში გატარება! ეს ნიშნავს იმას, რომ შენი ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა გათვლილი ექნება პოლიციას. რაღაც 50 მანეთად მე შენ ამისთანა საქმეს გთავაზობ და შენ ესეც არ გინდა?!

– კი მინდა, მაგრამ 50 მანეთი არა მაქვს!

– მერე იშოვნე, რომ არა გაქვს!

– სად ვიშოვნო?

– ახლობლებს ესესხე!

– ახლობლებს ვესესხებოდი, მაგრამ ისინი ძალიან შორს არიან აქედან!

– სად არიან?

– უღრან ტყეებში ყმუიან არიებს!

ლევანი მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა და ორივე მუშტით მაგიდას ავისმომასწავებლად დაეყრდნო.

– მასხრობ?! – გამოსცრა მან ბრაზით, – მასხრობ?!

ზარღრამ იგრძნო, რომ ცოტათი შეტოპა. არ შეიძლებოდა

მისთვის სისხლის სამართლის სამინისტროსთან ურთიერთობის გაფუჭება, რამეთუ ეს ცეცხლთან თამაშის ტოლფასი იქნებოდა.

– შენ გუშინ გამოგიშვეს პრეზიდენტის შეწყალებით! – აყვირდა ლევანი, – იცი, სად არის ახლა ის შენი შემწყალებელი?! ციხეში ზის! საიდანაც შენ გამოგიშვეს, სწორედ იმ ციხეში! მალე ჩამოახრჩობენ! მე მგონი, არც შენ გაწყენს დაუბრუნდე იქაურობას, კაკრაზ, ერთად იქნებით შენ და შენი პრეზიდენტი! გიშვებენ, გათავისუფლებენ უსახლკაროებს! 50 მანეთიც კი არა გაქვთ, რომ თქვენივე საქმეს მოახმაროთ! წახვალ ახლა აქედან და მოიპარავ, აბა რას იზამ, ისევ ჩვენი დასაჭერი გახდები! მოდი, ბარემ შეგიყვან ხორიკაშვილთან, წუხანდელს, რაიმე საქმეს შეგტენით და ეგ იქნება!

ზარღრა, რომ იტყვიან, გონს მოეგო და ხელად დაჭკვიანდა.

– დაწყნარდი, ლევან! – დაუწყო მან დამშვიდება პოლიციის ოფიცერს, – დამშვიდდი ძმაო, რა მოგივიდა. მე რა, განა არ მესმის, რომ ჩემივე ინტერესებშია, შენ მე კომპიუტერში რომ არ შემიყვანო?! მაგრამ შენც გამიგე, კაცურად გეუბნები, გუშინ გავთავისუფლდი და არა მაქვს ეს ოხერი ფული! დამაცადე ცოტა, ფეხზე დავდგები, მივიხედ-მოვიხედავ და მოგცემ!

ლევანს არ აწყობდა ასე.

– რომ დაგიცადო, სანამ შენ მიიხედ-მოიხედავ და სანამ ფეხზე დადგები, მე ჩემი ჯიბიდან უნდა მივუტანო ხორიკაშვილს 50 მანეთი. მე კი არ მივუტან შენ მაგივრად ხორიკაშვილს ფულს! შეგიყვან ახლა მაგასთან, შეგტენის წუხანდელს რაიმე გაუხსნელ საქმეს და გაგიშვებთ ისევ სროკზე.

ლევანმა ზარღრას ხელი წაავლო, უხეშად წამოაგდო სკამიდან, ხელის კვრითა და ჯიკავ-ჯიკავით გაიგდო თავისი კაბინეტიდან წინ დერეფანში, ხოლო დერეფნიდან ხორიკაშვილის კაბინეტში შეაბურთავა კალათბურთის ბურთივით.

– რა არის, ბიჭო! – ჰკითხა უკვე საკმაოდ არაახალგაზრდა ხორიკაშვილმა ლევანს ძველბიჭურად.

– აი, – შეუდგა ახსნას გათავისუფლებულის უკიდურესი

უმადურობით აღშფოთებული ლევანი, – ეს არის ნაზრაძე, რომელიც გუშინ გათავისუფლდა, და რომელიც თანახმაა, რომ ის კომპიუტერი შევიყვანოთ! ფულს არ იძლევა, არა მაქვსო!

– მერე შენც შეუყვანე! – ურჩია ხელქვეითს ხორიკაშვილმა და ზარღრა დამცინავად აათვალიერა. მან შეგნებულად გადააკეთა წინადადების ბოლო სიტყვა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაათვალიერა ახლადგათავისუფლებული და აგდებულად უთხრა: – რა არი, ბიჭო, 50 მანეთი რაღა გაგიხდა, ამის გულისთვის რომ ხურდავდები! არა გაქვს? მოიპარე და გექნება! რა, არ იცი წესი? თუ არა გაქვს, უნდა მოიპარო!

ხორიკაშვილი აღარ შეუდგა ლევანის მიერ ნათქვამ-ნაქადაგარის გამეორებას და გათავისუფლებულის შემზადებაშეგულიანებას. მან კარგად უწყოდა, რომ ნაზრაძეს არც ფული ჰქონდა და არც ვინმე ჰყავდა ისეთი, ვინც მას ფულს მისცემდა, მაგრამ ხორიკაშვილმა კარგად უწყოდა აგრეთვე ის ჭეშმარიტებაც, რომელიც ღაღადებს – თუ არა გაქვს, უნდა მოიპარო.

– უფროსო, – თავი იმართლა ზარღრამ, – განა მე უარზე ვარ, ან განა მე არ მესმის, რომ თქვენს ხელში ვარ და თქვენ გარეშე ვერც იქით წავალ და ვერც აქით, მაგრამ თქვენვე ამბობთ, უჩვენოდ არ მოიპაროთო და ამიტომაც მოვედი თქვენთან, რომ საქმის კურსში ჩაგაყენოთ და როგორც მეტყვით, ისე ვიცხოვრო. მინდა ვიცხოვრო კრიმინალის გარეშე და თუ შეგიძლიათ დამეხმარეთ სამუშაოს შოვნაში, თუ არადა მაშინ მომეცით ლიცენზია, რომ ვიქურდო.

– სად უნდა გიშოვნო მე შენ სამუშაო კრიმინალის გარეშე! სპეციალისტებს ვერ უშოვნიათ სამუშაო, გაჩერებულია ყველაფერი, შეჭმულია ქვეყანა! კრიმინალური სამუშაოც კი აღარ არის! ყველგან ყველაფერი შეჭამეს! – ყვიროდა დაზარალებულივით ხორიკაშვილი, თითქოს მის გარეშე ვინმეს რამე შეეჭამოს.

– აბა რა ვქნა? – იკითხა ზარღრამ.

– მოიპარე! – მოუჭრა მოკლედ ხორიკაშვილმა.

საქმე მდგომარეობდა შემდეგში: ქალაქის მოსახლეობა იმდენად დაკნინებულიყო, რომ კრიმინალური საქმიანობა ნახევრადლეგალიზებული იყო. და აი რას ნიშნავდა ეს ნახევრად

ლეგალიზებულობა: საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, მაგალითად, მეტროს ვაგონში 100 მგზავრიდან 90 ჯიბგირი იყო. რა თქმა უნდა, შეიქმნებოდა აბსურდული სიტუაცია, თუკი ეს ოთხმოცდაათივე ჯიბგირი ამოქმედდებოდა ერთდროულად, ამიტომ გარკვეული შეთანხმებით, ამ მეტროს ვაგონში მხოლოდ გარკვეულ ჯიბგირთა ბრიგადას ჰქონდა უფლება ჯიბგირობისა. ისინი მოქმედებდნენ ოპერატიულად, არ თავხედობდნენ და უფლებას არ აძლევდნენ სხვებს, ეჯიბგირათ მათდამი რწმუნებულ ვაგონში. მათვე კალთას აფარებდა პოლიციაც, სადაც ეს ჯიბგირები ირიცხებოდნენ, როგორც ნახევრადოფიციალური თანამშრომლები. ასევე იყო დანაშაულის ნებისმიერ სხვა სფეროში: ძარცვაში, ყაჩაღობაში, ნარკომანიასა და პროსტიტუციაში. საზოგადოება ამას უყურებდა, როგორც გარდუვალ სენს, ანუ ფიქრობდნენ მოქალაქეები: „თუ დამნაშავეობა მუდმივი თანმხლები სენია ჩვენი საზოგადოებისა, მაშ სჯობს ეს დამნაშავეობა თვით დამნაშავეთა მიერ იყოს ლოკალიზებული. დე ჩაიდინონ დანაშაული ცალკეულმა პირებმა, მაგრამ არა ყველამ. ეს ცალკეული პირები კი, თავის მხრივ, შეებრძოლებიან თავიანთ კონკურენტებს და სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით შეძლებენ მათ შეზღუდვეს". ვინც ულიცენზიოდ ქურდობდა, მათ პოლიცია იჭერდა, ხოლო კანონიერი კრიმინალები ასეთებს უკანონოებად, ანუ ბოზებად აცხადებდნენ.

ზარღრა მიხვდა, რაც უნდოდა ხორიკაშვილს. მას საერთოდ არ სურდა ნაზრაძეზე ზრუნვა. მას მხოლოდ თავისი 50 მანეთი უნდოდა. ის სთავაზობდა მას, ასე ვთქვათ, ბოზურად ქურდობას.

– სადმე ჯიბგირულ ბრიგადაში მაინც ჩამრიცხე, უფროსო, ანდა ინდივიდუალურ ბინის ქურდებში! – ეხვეწებოდა ზარღრა უფროსს.

– ვა-კან-სი-ე-ბი ა-რა-მაქვს! – დაუმარცვლა ხორიკაშვილმა; აი, ახლა დავურეკავ, თუ გინდა, კრიმინალებსაც, მაგრამ მე ხომ მაგათზე უკეთესად ვიცი საქმის ვითარება. არ არის ვაკანსიები!

ამის თქმაზე ხორიკაშვილმა მობილური ტელეფონი ამოიღო და კრიმინალებს დაურეკა.

– ალო, მოსულიშვილი ხარ? ბიჭო, მოსულიშვილო, აქ ერთი ტიპია, გუშინ გამოვიდა! აიყვან? სადმე შეტენე, რა ვიცი! ჰა? არა! არა! არც გეგულება არავისთან? ყარაულაშვილთან? ჰა? არა? არც ყარაულაშვილთან?! ჰო კარგი, კარგი, არა, მაშდამე არა! შენ როდის მოხვალ ჩემთან, შენ? როდის? ჰო, კარგი, კარგი! ოღონდ არ გადამიცილო! კარგად იყავი!

მოსულიშვილის შემდეგ ხორიკაშვილმა მეორე კრიმინალს – ბზდოევსაც დაურეკა, მაგრამ იქაც უშედეგოდ. ვაკანსიები არც ბზდოევს ჰქონდა. ხორიკაშვილმა მობილური ჯიბეში შეინახა და ხელების გაშლით მხრები აიჩეჩა.

– არ არის, – თქვა მან, – არსად არაფერი არ არის!

– აბა, რა ვქნათ! – იკითხა ცოტათი შეთამამებულმა ზარღრამ.

– მოიპარე! – იყო მოკლე პასუხი.

– ლიცენზიის გარეშე?

– მოიპარე!

– ხო, მაგრამ საძმო რას იტყვის? ეს ხომ ბოზური საქციელია, პოლიციის ოფიციალური დასტურის გარეშე ქურდობა?!

– საძმო, თორემ შენც ორმოცი წლის განაბი მყავხარ, – დააყვედრა ხორიკაშვილმა ზარღრას, – მოიპარე და ფული მოიტანე!

– რომ დამიჭირონ?!

– ეგ უკვე ჩემი პრობლემა არ არის, ისე მოიპარე, რომ არ დაგიჭირონ! – ურჩია ხორიკაშვილმა, – არ შეგიყვანთ ჯერ კომპიუტერში, ცოტას დავიცდით, მერე კი ვაი შენი ბრალი – ყოფას გიტირებთ!

– გმადლობთ, უფროსო! მე სულ მალე მოვალ და პატივსაც როგორც საჭიროა, ისე გცემთ!

– მოხვალ, აბა სად წახვალ! – მიაძახა ღვარძლიანად ზარღრას ხორიკაშვილმა. და კიდევ მიაძახა – მოიპარე, თორემ დაგიჭერთ!

სამინისტროდან გამოსულ ვიქტორ ნაზრაძეს მხოლოდ ცოტათი სტკიოდა ლოყა, რომელშიც მას ბრმა მუსიკოსმა დილით ჯოხი უთავაზა და საიდანაც ჯერ კიდევ ჟონავდა რაღაც სისხლისმაგვარი, წყალწყალა, ვარდისფერი სითხე,

ხოლო სული კი ზარღრას მაინცდამაინც არ სტკიოდა, რადგან ეს სული, ქონის ნაჭერივით ცხვირსახოცში გახვეული, შემშრალი, ობშეპარული და შეგრძნებადაკარგული მას ჯიბეში ედო.

9

არის ხოლმე ზოგჯერ, გრძნობ, გზა ხსნილი გაქვს, რაღაც უხილავი ილბალი თან გდევს და რაც უნდა გააკეთო ამ დროს, აბსოლუტურად ყველაფერი გამოგდის ხელიდან. შეგიძლია გადადგა მთა, გაძვრე ნემსის ყუნწში, ან მაგალითად, ყველაზე უფრო მძვინვარე ზვიგენს, თუ საჭირო გახდა, შიშველი ხელებით პირი გაუხლიჩო. ასე უმეტესწილად ახალგაზრდობაში ხდება – სიყმაწვილეში. აი, როცა ასაკში შედიხარ და გეპარება სიბერე, მაშინ პირიქით მოგდის, თითქოს შენ გარშემო ყველაფერი მშვიდდება, გზას გითმობს, ფიანდაზად გეგება ფეხქვეშ, თითქოს არაფერია ისეთი, რამაც შეიძლება შენს მიზნებს ხელი შეუშალოს, მაგრამ ამ დროს გაკლია მთავარი: ეს არის ბუნების ერთგვარი წყალობა, რომელიც უზრუნველმყოფელია წარმატებისა წამგებიან სიტუაციაშიც და რომლის გარეშეც წარმოუდგენელია რამის მიღწევა, თუნდაც ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში. ვიქტორსაც სწორედ ასეთი პერიოდი დასდგომოდა ცხოვრებაში, როცა სახეზე უნდა იყოს შედეგი, ანუ როცა ადამიანი უკვე თვითონ ერთი ათად უნდა იძლეოდეს ადრე მის მიერ აღებულის სანაცვლოდ. ისევე, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, მცენარე, რომელიც მიწაში თესლის სახით ჩათესილი იღებს ბუნებისგან სასიცოცხლო ძალებს, იზრდება, იფურჩქნება და, საბოლოოდ, მადლიერების გრძნობით უბრუნებს დედაბუნებას გამრავლებულ ნაყოფს – თესლს. ზარღრა ვერაფერს უბრუნებდა დედაბუნებას. ვერ უბრუნებდა და არასასიამოვნო შეგრძნება საკუთარი უპასუხისმგებლობისა, უნიათობისა და დანაშაულისა დედაბუნების წინაშე თრგუნავდა მას, დრტვინვას იწვევდა მასში. განსხვავებით იმათგან, ვინც ამას შეუგნებლად აკეთებდა, ანუ ვინც მხოლოდ იღებდა, მაგრამ არ აბრუნებდა – ძალით თუ ნებით, პირდაპირ თუ პარვით, აშკარად თუ ფარულად.

ისინი ასეთებად იყვნენ გაჩენილნი და, აქედან გამომდინარე, დასაღუპავად განწირულნი. თუმცაღა ისინი ვერ გრძნობდნენ თავიანთ გარდუვალ დაღუპვას. ზარღრა კი გრძნობდა და ამით იყო მათზე გაცილებით უბედური.

მიყვებოდა მოქალაქე ვიქტორ ნაზრაძე ახლად გაპარტახებული ქალაქის ქუჩებს და მართლა არ იცოდა, რა მოემოქმედა – რა გაეკეთებინა ან რა გაეფუჭებინა. სამუშაო, როგორც მას სისხლის სამართლის სამინისტროში აუხსნეს და როგორც თვითონ რწმუნდებოდა, არ იყო, და ან რომც ყოფილიყო, რომელი დიდი მშრომელი ის იყო. მოსაპარი და გასაძარცვიც აღარაფერი ჩანდა, რადგან უკვე ყველაფერი მოეპარათ და გაეძარცვათ, მათ კი, ანუ მძარცველებს, ისე საიმედოდ დაეცვათ თავიანთი ნაძარცვი ქონება, რომ ახლოსაც ვერ გაეკარებოდა კაცი. მათ ქონებას მათ მიერვე ჩამოყალიბებული დაქირავებული პოლიცია იცავდა. ეს სპეცშენაერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო ამ უწყებაში და ვისაც ფული ჰქონდა, მცველებს ქირაობდა განუსაზღვრელი რაოდენობით. ამბობდნენ, რომ ამა ქვეყნის ზოგიერთ ძლიერთ, რაღაც საკუთარი ჯარის მაგვარიც კი გააჩნდათ, ამგვარი პოლიციელებისგან შემდგარი – პოლიციელებისგან, რომელთა მეთაურებიც, როგორც წესი, ყოფილი სპორტსმენები იყვნენ, ხოლო რიგით შემადგენლობას წარმოადგენდნენ სოფლიდან ჩამოსული ჯანმაგარი ახალგაზრდა ბიჭები. მათ ლუკმაპურის ძებნაში მშობლიური მიწა-წყალი მიეტოვებინათ და რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ახლადაღმოცენებულ, უზომოდ გაქსუებულ ბატონებს. ბატონები კი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ ჩანდნენ სარბიელზე. ხალხის საერთო მასისგან მათ უზარმაზარი, ერთ-ორ ღამეში ნაშენები სახლების მაღალი გალავნები მიჯნავდა. ბატონებს ჰქონდათ თავიანთი რესტორნები, საკონცერტო დარბაზები და სპეციალური სასწავლო დაწესებულებები თავიანთი ბავშვებისათვის. მათ ყველაფერი თავიანთი ჰქონდათ. ეს ყველაფერი ძალიან ძვირიანი იყო, უბრალო ადამიანებისათვის ხელმიუწვდომელი. ბატონებს მხოლოდ ქუჩაში თუ დაინახავდით მათი ძვირადღირებული ავტომანქანების ჩამუქებული შუშების მიღმა, სილუეტებზე ეტყობოდათ, რომ ისინი, თითქმის ყველანი, არათუ ბრგე,

არამედ უფრო ზორბა აღნაგობისანი იყვნენ – დიდი, ღაბაბიანი თავებით, ჟანგბადის ბალიშისებრი, გამობერილი მუცლებით, მსხვილი ბარკლებითა და მძიმე, ზონზროხა საჯდომებით. მათ ალბათ ვერაფერს შეეცილებოდა მარტოხელა კაცი, რადგან მათთან ახლოს მისვლაც კი არ იყო ადვილი. ბატონები, მიუხედავად იმისა, რომ დაცვა ჰყავდათ, თავადაც შეიარაღებულნი იყვნენ. ყოველ მათგანს იარაღი ედო ჯიბეში. მათ შეეძლოთ, მაგალითად, რესტორანში, ქეიფის დროს შელაპარაკებისას, მოეკლათ სრულიად უცნობი ადამიანი, შემდეგ კი ყველასა და ყველაფრის მოსყიდვით წყლიდან მშრალად გამოსულიყვნენ. ეს ხალხი სხვა განზომილებაში ცხოვრობდა და ვიქტორიც არ იხედებოდა მათკენ, რადგან იცოდა, რომ ვერაფერს დააკლებდა მათ ამ პირობებში და თუ მაინც ცდიდა, მხოლოდ ცხვირს წაიტეხდა. ეს არ იყო მისი საკბილო, ისევე, როგორც თვითმფრინავი არ არის შურდულით შეიარაღებული ბავშვის სამიზნე. ზარღრას, როგორღაც, ცოტა დაბალ საფეხურზე უნდა ეძებნა თავისი მსხვერპლი და ისიც ეძებდა.

რეზინის ხისტარიანი, მძიმე ჩაქუჩი, რომელიც მან გათავისუფლებისთანავე შეიძინა და რომელიც ამ ხნის განმავლობაში სულ თან დაჰქონდა, ახლა თითქოს გამოცოცხლებულიყო, ვერ ისვენებდა მისთვის მიჩენილ ადგილზე და თითქოს გაცოცხლებული, გაპიროვნებული პულსირებდა და ბორგავდა. ეს ჩაქუჩი, როგორც სცენაზე სპექტაკლის პირველი მოქმედებიდან კედელზე დაკიდებული თოფი, ახლა გასროლას ლამობდა, ამ ნიშან-თვისების საფუძველზე ზარღრას უჩნდებოდა უტყუარი ვარაუდი იმისა, რომ ახლოვდებოდა კვანძის გახსნის მომენტი, რომელიც კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ შეცვლა რაიმესი აღემატებოდა მის ძალებს.

ათვლის წერტილად ზარღრამ ისევ ვაგზლის ტერიტორია არჩია. იქ ხალხიც ბევრი ირეოდა და მსხვერპლის ამორჩევაც უფრო ადვილი იყო.

აი, ვიღაც კაცმა ამოიღო და გახსნა საფულე. ზარღრამ შორიდან დააფიქსირა იგი და შეუმჩნევლად აედევნა. კაცი დიდხანს დადიოდა, საფულესაც იღებდა და ინახავდა ჯიბეში, მაგრამ არც ვაგზლის ხალხმრავალი ტერიტორიის დატო-

ვებას ჩქარობდა, ტერიტორიისა, სადაც შეუძლებელი იყო თავდასხმის განხორციელება. ზარღრა დაჰყვებოდა მას, შემციენებული იბუზებოდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის არჩევანს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არც ხელიდან უსხლტებოდა და არც ხელში ეძლეოდა მას. ბოლოს ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ კაცი მანქანაში ჩაჯდა, კარი მიიჯახუნა და არხეინად გაემგზავრა. ზარღრამ ბრაზით შეუკურთხა, მოტრიალდა და ცოტა ხნით ვაგზლის შენობაში შევიდა გასათბობად. მერე ისევ ვილაცას აეტორღიალა, ისევ ხელი მოეცარა, ისევ და ისევ, მაგრამ არც ერთხელ არ მიეცა თავდასხმის განხორციელების საშუალება. იგი ადამიანებს დასდევდა, მაგრამ ისინი როგორღაც თავისდა უნებურად აღწევდნენ თავს მათთვის გამზადებულ სერიოზულ საფრთხეს, რომელსაც სავალალო შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა; ვიქტორ ნაზრაძის გეგმებში არ შედიოდა რეზინის ჩაქუჩით ვინმეს შეშინება. იგი გაუფრთხილებლად აპირებდა ელვისებურ თავდასხმას და ჩაქუჩით მსხვერპლის დარეტიანებას. თუმცაღა, როგორც ჩანდა, განგებას ეს არ სურდა და ამიტომ მას ან მსხვერპლი არ აძლევდა ამის საშუალებას, ან ვინმე სხვა, ანდა უბრალოდ ხელი ეცარებოდა, რადგან გადამწყვეტ მომენტში უნებურად შედრკებოდა ხოლმე.

ერთი ტაქსისტი როგორღაც თვალში მოხვდა ამ გაწამაწიაში: ის საჭეს უჯდა, კლიენტს ელოდა და ფულს ითვლიდა. მალე მის ტაქსში მგზავრები ჩასხდნენ და ისიც გაემგზავრა. ზარღრამ ეს ტაქსისტი რატომღაც მეხსიერებაში მოინიშნა და გზა განაგრძო. რადგან ხალხმრავალ ვაგზლის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მსხვერპლის მოხელთება არ გამოდგა ადვილი, ზარღრას გაუჩნდა ახალი იდეა, რომელიც ითვალისწინებდა ტაქსისტის ქალაქგარეთ გატყუებას და მის იქ გაძარცვას. ასე უფრო საიმედო იქნებოდა და თანაც იმის გათვალისწინებით, რომ ზარღრას მგზავრობის გადასახდელი ფულიც კი არ ედო ჯიბეში, ის ალბათ უკვე აღარ შედრკებოდა და უკანდასახევგზამოჭრილი ბოლოს და ბოლოს მაინც გადადგამდა გადამწყვეტ ნაბიჯს.

ზარღრა ისევ ჩავიდა მიწისქვეშა გადასასვლელში, ისევე

გაუყვა ნაცნობ, თბილნიავიან, გოგირდისსუნიან დერეფანს და ისევ მიადგა თავის ძველ ნაცნობს – ბრმა მუსიკოსს. ეს მორიგი შეხვედრა, როგორღაც თავისით, ზარღრას მიერ დაუგეგმავად მოხდა და ამან ოდნავ შეაკრთო და გამოაფხიზლა – შეაკრთო, გამოაფხიზლა და გაუჩინა კიდეც ერთი ახალი ბოროტი აზრი.

– მოხუცო, ისევ მე ვარ! – შეეხმიანა იგი ბრმა მუსიკოსს.

მოხუცმა ხმაზე იცნო იგი, შეიშმუშნა, შეემზადა და როგორც მაჩვზღარბა ააშრიალებს ხოლმე საფრთხის დროს თავის ეკლებს, ისე შრიალით შეამზადა ხელში ჯოხი.

– არ დამარტყა ჯოხი, გთხოვ, – სთხოვა ვიქტორმა მოხუცს, – მე შენს წინაშე დამნაშავე არა ვარ! ეს მართალია, რომ ჩვენ ერთსა და იმავე მოვლენებში მოგვიწია რამდენჯერმე მონაწილეობის მიღება. ვიცი, რომ შენ მაშინ ძალიან დაზარალდი, მაგრამ, გარწმუნებ, ვერც მე ვნახე ხეირი და თუმცა თვალხილული, მაინც შენნაირი მაწანწალა ვარ!

მოხუცი ჩაფიქრდა და ჰკითხა:

– ახლა რაღა გინდა ჩემგან?

ზარღრაც მხოლოდ ქვეცნობიერად გრძნობდა, თუ რა უნდოდა მუსიკოსისგან. ვიღაცის მიერ დაწერილი უხილავი სცენარის მიხედვით თამაშდებოდა ის სცენა, რომელიც მას ბრმა მუსიკოსთან კიდევ ერთხელ – მესამედ აკავშირებდა და კრავდა იმ წრეს, რომელიც წარსულში ან მომავალში უნდა აუცილებლად განმეორებულიყო.

ზარღრას ვიოლინოს სიმი უნდოდა მოხუცისაგან.

– მე მინდა, შენი ვიოლინოს ერთი სიმი გთხოვო! – უთხრა ზარღრამ.

– სიმი? – გაიკვირვა მოხუცმა.

– ჰო, სიმი! – დაუდასტურა ზარღრამ.

– სიმი რაღად გინდა? – რა, შენც მუსიკოსი ხარ?!

– არა, სიმი სხვა რამისთვის მჭირდება! – მიუგო ზარღრამ.

– მაინც რისთვის გჭირდება ვიოლინოს სიმი?! – არ მოეშვა მოხუცი.

– ამას ნუღარ მკითხავ, მოხუცო, იმიტომ რომ ზუსტად მეც არ ვიცი რისთვის მინდა ეგ სიმი, მაგრამ სცენარში ასე წერია

და, მოდი, ჩვენც ნუ გავჯიუტდებით, მომეცი და დავშორდეთ ერთმანეთს!

მოხუცი ჩაფიქრდა, აფორიაქდა და აყვირდა:

– აქედან გამეცალე, არამზადავ! აქედან გამეცალე, წყეულო ეშმაელუკავ!!! თქვენი წყალობით მე მზერა დავკარგე და კიდევ არ მანებებთ თავს?!

მოხუცმა ვიოლინო გადადო გვერდზე და იქვე აყუდებულ ჯოხს წაატანა თითები ბრმად. ზარღრა ქვეშ შეუძვრა მოქნეულ ჯოხს, მარჯვედ აიცდინა, უყურადღებოდ მიტოვებულ ვიოლინოს ხელი დასტაცა, კიდევ ერთხელ აიცდინა მოქნეული ჯოხი და ვიოლინოთი ხელში გაიქცა. იქ მყოფმა ხალხმა – გამვლელებმა და გამყიდველებმა გაიგონეს და დაინახეს რაღაც ჩოჩქოლი, მაგრამ ვიოლინოს გატაცებისთვის არავის მიუქცევია ყურადღება, რადგან ყველანი გაგულისებულ მოხუცს მიუბრუნდნენ, რომელიც ბრმად იქნევდა ჯოხს და აღგზნებული ილანძღებოდა. ზარღრამ მარჯვედ მოხსნა ვიოლინოს ერთი სიმი, შემდეგ დაბრუნდა მოხუც მუსიკოსთან და მისი ვიოლინო ფრთხილად უკანვე მიუგდო. მოხუცი კიდევ ერთხანს ყვირილით იქნევდა ჯოხს, შემდეგ კი, როცა ოდნავ დამშვიდდა, ოხვრით ნაატანა ვიოლინოს ხელი, რათა მასზე დაკვრით ცოტათი მაინც დაწყნარებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს თითებით იგრძნო, რომ ვიოლინოს ერთი სიმი აკლდა.

ზარღრამ ვიოლინოს სიმს თავსა და ბოლოში სახელურებად ჯოხები ჩააბა და „უდავკა" გააკეთა. გეგმა ასეთი იყო: უნდა გაეტყუებინა სადმე ქალაქგარეთ ტაქსი, ჩამოეცვა თავზე „უდავკა" ტაქსისტისთვის და შემდეგ დამხრჩვალისთვის აერთმია ფული – ერთი დღის ამონაგები. ზარღრას გეგმები შეცვლილიყო და მსხვერპლის რეზინის ჩაქუჩით დარეტიანებას კი აღარ ითვალისწინებდა, არამედ უფრო სასტიკ, მაგრამ შედარებით შედეგიან საშუალებას – დახრჩობას.

ქუჩაში გამოსულმა ზარღრამ გამწკრივებულ ცარიელ ტაქსებს ჩამოუარა და ამ ტაქსების რიგში ისევ ის ნაცნობი ტაქსისტი შენიშნა. ამ უკანასკნელს, ამასობაში მგზავრები დანიშნულების ადგილზე მიეყვანა, უკან გამობრუნებულიყო და ახლა საჭესთან მჯდომი, მორიგი მგზავრის მოლოდინში,

ისევ ისე, როგორც ადრე, ფულს ითვლიდა. ზარღრა ტაქსის მიუახლოვდა, უკანა კარი გამოაღო და რბილ სავარძელზე დაჯდა. მძღოლმა ფულის დათვლა შეაყოვნა, მგზავრს სარკეში ახედა და ჰკითხა:

– საით, უფროსო?

– ევას პავაროტში! – იყო მოკლე პასუხი.

– ევას პავაროტშიი! – გაიმეორა მძღოლმა სიტყვების ცოტათი გაწელვით, ფულის დაუთვლელი ნაწილი ჩაითვალა და მანქანა დაძრა.

ეს ალბათ შემზარავია, მაგრამ ზარღრა ამ დროს მშვიდი იყო, შოფერზე უფრო მშვიდი. ისინი ტაქსით ევას პავაროტისკენ მიემგზავრებოდნენ – ევას პავაროტისკენ, რომელიც უკაცრიელი გარეუბანი იყო ქალაქისა და სადაც, ზარღრას აზრით, ხელსაყრელი პირობები იყო მისი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად.

„უდავკა", რომელიც ზარღრას ასანთის კოლოფივით, ანუ რაიმე პატარა ნივთივით მუჭში ეჭირა და რომელიც ყულფად მოდრეკილი მან ტაქსის მძღოლს თავზე ჩამოაცვა, შეიკრა არა მსხვერპლის კისერზე, არამედ მის ნიკაპსა და ყურებზე და როცა ვიოლინოს ბასრმა სიმმა ძვლამდე ჩაჭრა ტყავიცა და ხორციც, მსხვერპლს მაინც არ დაუკარგავს სიცოცხლისა და ბრძოლის უნარი. პირიქით, საშინელმა ტკივილმა და სიკვდილის საფრთხემ, როგორც ელექტროშოკმა, ისე იმოქმედა მძღოლზე. მისდა ბედად, უდავკის ჩამოცმის დროს ხელებში ხელები სტაცა თავდამსხმელს და თუმცა მარჯვენაში ვერ ჩაავლო კარგად, მარცხენას სამაგიეროდ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩააფრინდა. ზარღრა არ უშვებდა მარცხენა ხელში ჩაბღუჯულ უდავკის სახელურს, მაგრამ მისი დაქაჩვის საშუალება უკვე აღარ ჰქონდა. მარჯვენით კი იგი მსხვერპლის გამოწვდილ, ჩასაფრენად შემართულ ხელს იგერიებდა და არ აძლევდა მას ჩაფრენის საშუალებას, რამეთუ თუ მძღოლი მეორე ხელსაც გაუკავებდა, მაშინ ის გაიმარჯვებდა, ვინც უფრო გვიან დაიღლებოდა. ზარღრა დროდადრო თავსაც ურტყამდა კეფაში ტაქსისტს, მაგრამ ეს მისთვის არ იყო დიდი შეღავათი. ამ ყველაფერს თან სდევდა ხრიალი, ხვნეშა და ყროყინისებური კრუსუნი,

ყველაფერი გასვრილი იყო ტაქსისტის სისხლით. ის არ აპირებდა სიკვდილს. და აი, როდესაც ზარღრამ თითქოსდა იხელთა დრო, რათა თავისუფალი მარჯვენა ხელით ძირს, ყელისკენ ჩამოეწია მკვრივი, ხორცის მკვეთელი სიმი, მოხდა ის, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის შედეგი. უდავკის სახელური, რომელიც ზარღრას მარცხენა ხელში ეპყრა, მოულოდნელად გადატყდა, დაჭიმული სიმი გადანატეხში გაძვრა და ყულფშიც გაიშალა. რადგან ყულფის თავიდან ჩამოცმაზე ფიქრიც აღარ ღირდა, ზარღრამ მარჯვენა ხელში შერჩენილი უდავკის ნარჩენი შორს მოისროლა და ქამარში გაჩრილ რეზინის ჩაქუჩს წაეტანა. მძღოლმა, რომელმაც ამასობაში შვება იგრძნო და რომელიც ფიზიკურად შედარებით ძლიერი იყო, ვიდრე ზარღრა, თავდამსხმელის მარცხენა ხელი თავისკენ დაქაჩა, იღლიაში ამოიდო, მეორე ხელით ზარღრას სწვდა ქეჩოში, უკანა სავარძლიდან წინ გადმოათრია და რომ იტყვიან, თავით გაანგრევინა კარი. ძირს დაცემულმა ზარღრამ კიდევ სცადა წამოდომა, მაგრამ სწორედ ამ დროს შიგ ცხვირის ფუძეში მოხვდა გაშლილი ხელით ღონივრად მოქნეული რეზინის მძიმე ჩაქუჩი.

გონებადაკარგულ ზარღრას მძღოლმა ტანსაცმლის ნაწილი ზედ შემოახია, ამ ძონძებით შეუკრა ხელ-ფეხი, შემდეგ კი შეანჯღრ-შემოანჯღრია და როცა გონს მოსვლა და სიცოცხლის ნიშან-წყალი შეატყო, რომ იტყვიან, ფეხებით შედგა ზედ. შემდეგ მძღოლმა იგი მანქანაში შეათრია და პოლიციაში წაიყვანა.

პოლიციაში ზარღრა დაამუშავეს:

– რაღაც კაპიკებისთვის კლავდი ადამიანს, შე მხეცო?! – უყვიროდა დაკავებულს პოლიციის უფროსი და იატაკზე მძორივით გაგორებულს წიხლებს ურახუნებდა, – ადამიანის უფლებებს იცავენ! ევროსტანდარტებს ეტოლებიან! დახვრეტა გააუქმეს! შენ ინდობ ვინმეს, რომ შენ დაგინდონ?! – ყვიროდა პოლიციის უფროსი და ურტყამდა, ურტყამდა, – 25 მანეთის მეტი არ ჰქონდა იმ საწყალ შოფერს! ტიროდა იმხელა კაცი, სამი შვილის მამა ვარო! სამ ბავშვს ტოვებდი ობლად 25 მანეთის გულისთვის, შე არაკაცო! ამ მთავრობის მე დედა რა ვთქვი, ასე რომ გელოლიავებათ! გუშინ შეგიწყალეს, დღეს კაცს კლავ, შენი?! უყვიროდა და ურტყამდა ზარღრას პოლიციის უფროსი.

რა გაეწყობა, ამ შემთხვევაში ის მართალი იყო. ბოლოს, როცა გული იჯერა, დაკავებული თავის ხელქვეითებს მიუგდო საჯიჯგნად. ხელქვეითებმა, თავის მხრივ, დაჯიჯგნეს ვიქტორი, მერე კი, როგორც იქნა, ჩვენება ჩამოართვეს. ამის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ გააგზავნეს კაპეზეში, ხოლო იქიდან ციხეში. ზარღრა არსად დააყოვნეს იმიტომ, რომ მარტო იყო საქმეში, თანაც ახალი განთავისუფლებული იყო ციხიდან და ამიტომ მას ვერაფერს ძველს ვერ დასტყუებდა და ვერც შეტენიდა ძიება.

ციხემ ამჯერად როგორღაც თბილად, თანაგრძნობით მიიღო ზარღრა. შეეცოდა ციხეს გუშინ მის მიერვე გამოშვებული კაცის დღეს ისევ უკან, თავის წიაღში მიღება. ნაცნობი პროცედურა განმეორდა: დეპეენკამ ჰკითხა დაკავებულს გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და მუხლი, რომლის მიხედვითაც ის იყო ეჭვმიტანილი, ისევ მორიგე ზემდეგმა ჩაკეტა იგი მოსაცდელ ბოქსში, ისევ ის სისხლის აღება თითიდან და საჩხრეკი ოთახი, თავისი შმონბრიგადით.

– ამოალაგე ნივთები ჯიბეებიდან და გაიხადე! – უბრძანა ზარღრას შმონშიკმა.

ზარღრამ ამოალაგა ნივთები და ზოგიც შეიხსნა. ტანსაცმელიც გაიხადა, რადგან ასეთი იყო წესი და მჩხრეკელის წინაშე დედიშობილა დადგა. მის მიერ შეხსნილ და ამოლაგებულ ნივთებს შორის იყო: ტყავის მეზღვაურული ქამარი, რომლის თითბრის ბალთაზეც ღუზა იყო გამოსახული; ალუმინის პორტსიგარი, გამომძიებლის მიერ ნაწყალობევი რამდენიმე უფილტრო სიგარეტით და ცხვირსახოცში გახვეული მისივე სული, რომელიც ზარღრას უკან დაუბრუნა ღორმენმა და რომლის უკან გადაყლაპვაც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო, ვინაიდან მას იგი გადაყლაპვისას ყელში გაეჩხირა.

– ქამრის კამერაში შეტანა არ შეიძლება! – თქვა საქმისმცოდნურად შმონშიკმა და ქამარი იქით გადადო, – პორტსიგარი შეიძლება! – თქვა იმავე ტონით და პორტსიგარი აქეთ გადმოდო, – ეს რაღაა? – მან ცხვირსახოცში გახვეული სული ხელში ზიზღით შეატრიალ-შეათამაშა.

– ეგ ჩემი სულია! – მიუგო ნაცემმა, თვალებჩასისხლიანებულმა, ცხვირპირდეფორმირებულმა ზარღრამ.

– რაა?!

– სულია ეგ ჩემი! – აუხსნა ზარღრამ, გუშინ ეშმაკს მივყიდე, მან უკან დამიბრუნა, მე მისი უკან გადაყლაპვა ვერ მოვახერხე და აი, ამიტომ ჯიბით დამაქვს.

შმონშიკმა პატიმრის ნათქვამი ღვარძლიან თუ უკბილო ხუმრობად მიიღო და ცხვირსახოცი გაშალა.

– რა არის ეს, სალაა? – იკითხა ზიზღით მან, – ალბათ ძველია, დაობებულა. უნდა გადავაგდო! – თქვა მან და სული თავის ცხვირსახოციანად ნაგვის ყუთს დაუმიზნა.

– სტარშოი! – შეჰყვირა საჩხრეკი მაგიდის აქეთ მდგომმა ზარღრამ და ხელებში სწვდა უფროსს, – არ გადააგდო, ეგ მართლა ჩემი სულია! მომეცი და მე შევინახავ!

– ბიჭო, ჩემთან თავს რას იგიჟიანებ, მე ხომ ფსიქიატრი არა ვარ, მე ერთი უბრალო მენტი ვარ!

– არა, არა, უფროსო, მე თავს არ ვიგიჟიანებ, არ გადააგდო, გთხოვ!

– რად გინდა ბიჭო, ეს დამყაყებული ქონის ნაჭერი! მოგწამლავს, ბოტკინი დაგემართება, ისედაც ციხეში ათასი ინფექციაა, სხვებს გადაედებათ! ჩვენ გადმოგვედება! – აუხსნა შმონშიკმა ზარღრას და კიდევ ერთხელ შეეცადა ცხვირსახოცში გახვეული „ბრიკეტის" გადაგდებას.

– სტარშოი! – დაიყვირა ზარღრამ, – არ გადააგდო, გესმის? არ გადააგდო! ეგ სამკურნალო თხის ქონია! თხის ქონია ეგ, გულმკერდის დასაზელი!

ვიქტორი მიხვდა, რომ მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებდა იგი სულის შენარჩუნებას.

– მე არ ვიცი, – აყვირდა შმონშიკი, – თხის ქონია თუ რის ქონია, მაგრამ საკანში ამას არ გაგატან.

– მაშინ დაუძახე თქვენს დეპეენკას! – მოითხოვა ზარღრამ.

დეპეენკა იქვე იყო და შემოვიდა.

– რა არის, რა ამბავია?! – იკითხა მან.

– მოქალაქე უფროსო! მოქალაქე უფროსო! დაიწყო ახსნა ზარღრამ, – ეს თხის ქონია, სამკურნალოდ მჭირდება, გულმკერდს ვიზელ ხოლმე! სტარშინკა კი ამბობს, უნდა გადავაგდოო!

დეპეენკამ შმონშიკს გადახედა. ეს მზერა ახსნა-განმარტებას მოითხოვდა.

შმონშიკმა თავი იმართლა:

– ამას მე საკანში ვერ გავატან! რაღაც სხვანაირი ქონია და თანაც დაობებული.

– მოიყვანეთ ექთანი, – ბრძანა დეპეენკამ, – ნახოს ერთი, რაა ეს!

მოიყვანეს ექთანიც. მან დახედა ზარღრას სულს და თქვა, რომ ის ქონებში ვერ ერკვეოდა, ამიტომ დეპეენკამ ასე გადაწყვიტა:

– კარგით, – თქვა მან, – ნივთებს აბარებს ეს კაპტიორკაში?!

– კი! – უპასუხა შმონშიკმა, – ქამარი აქვს!

– ჰო, ქამართან ერთად დატოვეთ! ამას ქვითარი მიეცით! ორშაბათს მოვა ექიმი და ნახავს – თუ მართლა სამკურნალო საშუალებაა, დაუბრუნეთ, თუ არადა გადააგდეთ!

ასეც მოიქცნენ, ქამარი და სული კაპტიორკაში შეინახეს, ხოლო ზარღრას მისცეს ქვითარი, რომელშიც ეწერა ზარღრას სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი და კოდექსის მუხლი. აგრეთვე იყო შმონშიკის ხელმოწერა ბეჭდით, ჩამონათვალში კი ეწერა:

1. ტყავის ქამარი თითბრის ბალთით
2. ცხვირსახოცში გახვეული ქონი

შმონის შემდეგ იყო ისევ ბოქსიკი, მერე აბანო, ისევ ბოქსიკი და ბოლოს საკანი.

ზარღრა მიესალმა იქ მყოფ პატიმრებს, თავისუფალი ადგილი მოძებნა და ლოგინი გაშალა. როცა ამას ყველაფერს მორჩა, თანაკამერელებს მიუტრიალდა, გამოელაპარაკა. უამბო მათ, თუ როგორ გათავისუფლდა გუშინ და როგორ დაიჭირეს დღეს. იქვე ფრთხილად დასძინა, რომ იგი არსებული ქურდული წესების დარღვევით მოქმედებდა, რაზედაც პატიმრებმა ულვაშებში ჩაიცინეს და ცოტათი ღვარძლიანად იხუმრეს. ისინი, თითქმის ყველანი, ქურდული წესების დარღვევით მოქმედებდნენ, რამეთუ ეს წესები გასცდენოდა კრიმინალური სამყაროს საზღვრებს და საყოველთაო გამხდარიყო. საყოველ-

თაო წესებს კი, როგორც ცნობილია, დამნაშავეები არღვევენ.

ამ ლაპარაკის დროს ისევ გაიღო კარი და ისევ შემოაგდეს რამდენიმე პატიმარი. ერთ-ერთი იცნო ზარღრამ: ის მისი გუშინდელი ნაცნობი, ეშმაკის მოციქული ეშმაკუნა იყო.

შემდეგ მოვლენები თითქმის ისევე განვითარდა, როგორც მაშინ, როცა ეშმაკუნამ კამერის ბინადართ თავისი ვინაობა და მოსვლის მიზეზი გაანდო. მან, ისევე როგორც ადრე, შესთავაზა იქ მყოფთ ეშმაკის გამოძახება და სულების მიყიდვა მისთვის. ისევე, როგორც პირველად, ახლაც, ეშმაკუნას მითითებით მოიხსნეს პატიმრებმა ჯვრები და დაწვნენ ნარეზზე. ახლაც ვიღაცეები გამოდგნენ ურწმუნონი და ხელისშემშლელნი და ახლაც, ისევე როგორც მაშინ, დასწყევლა ეს ურწმუნოები და ხელიშემშლელები ეშმაკუნამ. ამათაც, ისევე როგორც მათ წინამორბედს, დაუსივდათ კვერცხები. მალე კვერცხდასივებულებმა, ისევე როგორც მათმა წინამორბედებმა, ბორგვას უმატეს და საშინლად აყვირდნენ. მათ კვერცხები იმდენად დაუსივდათ, რომ უკვე შარვლის ტოტებშიც აღარ ეტეოდათ. ბოლოს უეცრად ჩაჩუმდნენ, ტკივილისაგან გონი დაეკარგათ. დერეფანში კი ამასობაში გაისმა სართულის კარზე დამონტაჟებული ელექტროსაკეტის ნერვიული, მომთხოვნი ჩხაკუნი, კარი გაიღო და დერეფანში ვიღაც შემოვიდა. შემდეგ პატიმრებმა გაიგონეს ტლანქი, რკინით შეჭედილი ჩექმების ბრახუნი, რომელიც მოახლოვდა და ზედ საკნის ზღურბლთან შეწყდა. ვიღაცის უხეშმა ხელმა გლაზოკის შალითა გადასწია, მერე ისევ გადმოსწია, გაისმა კლიტის ჯახუნი და მალე კარმუშკა ბრახუნით გაიღო, ხოლო გაღებულ კარმუშკაში ზარღრასთვის და ეშმაკუნასთვის ნაცნობი, ხოლო სხვებისთვის სრულიად უცხო ზედამხედველის ჯერარნახული სახე გამოიკვეთა.

– რა გაღრიალებთ!!! – დაიღრიალა მოსულმა, – რას ყვირიხართ?! თქვენ რა, დღე და ღამე არ იცით?! მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი!!

ისევე, როგორც მაშინ, ახლაც ყველანი დაიბნენ, რადგან არ მოელოდნენ უფროსისგან ასეთ საყვედურს. პირიქით, საკანი ხომ ისე დუმდა, როგორც არასდროს.

– ჩვენ არ გვიყვირია, უფროსო! – წაილუღლუღა ვიღაცამ გაუბედავად.

– რაო, არ გვიყვირიაო?! – კოპი კიდევ უფრო შეიკრა უფროსმა, – მთელ ციხეს ესმის თქვენი ღრიალი! კარზე რაღას აბრახუნებდით?! წიხლებს ურტყამდით კარს? აბა, მაშ, გამოვუძახებ ახლა მე ბუცკამანდას და გიჩვენებთ, თუ როგორ უნდა წიხლების რტყმა!!!

– უფროსო, უფროსო, – ისეთივე შემრიგებლური კუდის ქიცინით, როგორც უწინ, მიეახლა ზედამხედველს ეშმაკუნა, – უფროსო, ნუ გაგვიჯავრდები, ჩვენ გვინდოდა... – და ამ სიტყვებზე ეშმაკუნა უკვე ჩურჩულზე გადავიდა.

ეშმაკუნამ და უფროსმა ერთხანს იჩურჩულეს, შემდეგ კი ეშმაკუნა საკანს მიუბრუნდა და დაიძახა:

– აბა, გამოდით, სულის გამყიდველებო!!!

ნარებიდან ნელ-ნელა ერთმანეთის მიყოლებით წამოდგა რამდენიმე პატიმარი, მათ შორის ზარღრაც. ისინი გაუბედავად წარსდგნენ უცნობი, ჯერარნახული ზედამხედველის წინაშე. ზედამხედველმა მათ გამჭრიახი მზერა მიაპყრო და მუშტრის თვალით შეაფასა.

– შენ, შენ და შენ! – თითით მიუთითა მან სამს, – სულის სანაცვლოდ შემიძლია შემოგთავაზოთ თავისუფლება! თქვენ კი, დანარჩენებო, ვერაფერს შემოგთავაზებთ, რადგან თქვენი სულები ისედაც ჩემია!

ამის შემდეგ უცხო ზედამხედველმა ზარღრას ბატონკაცურად, ინტერესითა და ოდნავი დაცინვით ჰკითხა:

– შენ ისევ აქა ხარ, შე-ჩემა?!

ზარღრამ დასტურის ნიშნად ორ-სამჯერ მწარედ დაუკრა თავი.

– მერე, ის სული რა უყავი?!

ზარღრას თვითონვე გაეცინა თავის სათქმელზე, მაგრამ მაინც თქვა:

– კაპტიორკაში ჩავაბარე, უფროსო!

– უყურეთ ახლა ამას, – დამცინავად, ყველას დასანახად გაიშვირა ზედამხედველმა ზარღრასკენ ხელი, – კაპტიორკაში აქვს სული დატოვებული! ღმერთო, რამდენ დაცენ-

ტრილს უძლებს ეს ციხე! შენი სული ალბათ უკვე ვირთხებმა შეჭამეს!

– როგორ შეჭამდნენ ვირთხები, როცა ნივთებზე ადმინისტრაცია აგებს პასუხს! მე ქვითარი მაქვს!

– ქვითარი მააქვს! ქვითარი მააქვს! – გააჯავრა უფროსმა ზარღრა, – ქვითარი რომ გაქვს, კაპტიორკაა დაკეტილი. მე იქიდან ვერაფერს გამოვიტან! გასაღები კაპტიორშიკსა აქვს, ის კი მხოლოდ 8 საათამდე მუშაობს.

– მერე რა, უფროსო, დეპეენკას გამოართვი სათადარიგო გასაღები! – შეეხვეწა ზარღრა.

– ოჰ, მეტი საქმე არა მაქვს, ახლა დეპეენკა შევაწუხო მაგის გულისთვის! – თქვა ზედმხედველმა.

– უფროსო, ძალიან გთხოვ, – შეეხვეწა ზარღრა, – გემუდარები, როგორმე მიშველე! ეს მეტად მნიშვნელოვანია ჩემთვის! იცი, რა სული მაქვს?! შენ არ გინახავს ასეთი სული!

– მე ყველანაირი სული მინახავს, – თქვა ზედამხედველმა, – მაგრამ ერთი რამ კი ვერ გამიგია: რატომ კამერაში არ შემოგატანინეს ეგ შენი სული?! ასეთი რამ ჯერ არ გამიგონია, ვინმესთვის სული კაპტიორკაში დაეტოვებინოთ! რა სული გაქვს ამისთანა, ნეტავი ვიცოდე, რომ კამერაში მისი ქონა აგიკრძალეს?!

– ო-ო-ო, უნიკალური სული მაქვს, უფროსო – მეამბოხური! – შეუქო ვიქტორმა უფროსს თავისი სული და მას მეამბოხური უწოდა.

– კარგი, ჯანდაბა შენს თავს; მომეცი ქვითარი! – თქვა ზედამხედველმა და ხელი გამოიშვირა, – ვნახოთ ერთი ეგ შენი მეამბოხური!

ზარღრამ ჯიბეები მოიქექა და ზედამხვედველს ქვითარი გაუწოდა. ზედამხვედველმა ქვითარს დახედა, ჯიბეში ჩაიჭმუჭნა და იმ სამს მიუბრუნდა, რომელთაგანაც სულების ყიდვას აპირებდა.

– გაწყობთ, თავისუფლება სულების სანაცვლოდ?!

– არა, არ გვაწყობს! – დაიძახა ერთ-ერთმა, – თავისუფლება და კეთილდღეობა!

– კეთილდღეობა არა ისა, – აღშფოთდა ზედამხედველი, – მე

გთავაზობთ თავისუფლებას, კეთილდღეობა კი თქვენ თვითონ უნდა მოიპოვოთ! გაწყობთ? გაწყობთ! არ გაწყობთ? კარგად იყავით!

– მე არ მაწყობს! – დაიძახა ისევ იმან, კეთილდღეობა რომ სურდა.

– შენ გაწყობს? – ჰკითხა ზედამხედველმა მეორეს.

– მე მაწყობს! – უპასუხა მეორემ.

– შენ გაწყობს? – ჰკითხა ზედამხედველმა მესამეს.

– კი! – უპასუხა მესამემ.

– კარგით, ესე იგი, ამ ორთან მოვრიგდით! – აი, შენ კი მომიცადე და ვნახოთ ერთი, რა გაქვს ამისთანა მეამბოხური! – ამ სიტყვებზე ზედამხვედველმა კარმუშკა დახურა და წავიდა.

შემდეგ პატიმრები ერთხანს მსჯელობდნენ მომხდარის თაობაზე, ზოგიერთებს არც კი სჯეროდათ, რომ უცხო ზედამხედველი მართლა ეშმაკი იყო. ისინი ამას რაღაც დამთხვევას მიაწერდნენ, ზოგს კი ეგონა, რომ ზედამხედველი ახლოს იდგა საკანთან, მას ყველაფერი ესმოდა და უბრალოდ, მხარი აუბა პატიმრებს თამაშში. ყველა თავის ვარაუდს გამოთქვამდა. ხითხითისა და ქილიკის საგნად იქცა აგრეთვე ზარღრას სული, რომელიც რატომღაც კაპტიორკაში იყო ქვითარზე დატოვებული.

გავიდა სულ ოციოდე წუთი. ღამის ჩუმ დერეფანში ანაზდად ისევ გაისმა ელექტროსაკეტის ნერვიული ჩხაკუნი, სართულის კარი გაიღო და შემდეგ ჯახუნით დაიხურა. ვიღაც წამოვიდა ჩქარი ნაბიჯით, ჩექმების ბრახუნითა და მხნედ. მოსულმა კარმუშკა გააღო და საუწყებო წესდების უხეში დარღვევით, შიგ საკანში შემოყო თავი. ეს ისევ ის ზედამხედველი იყო, ოღონდ საშინლად განრისხებული.

– ეს რა არის?! – იღრიალა მან და ზარღრას თვალი თვალში გაუყარა. მას ხელში ცხვირსახოცში გახვეული სული ეჭირა და ზიზღით უქნევდა მის პატრონს, – ამისთვის ჩამიყვანე კაპტიორკაში?! ვის რად უნდა ასეთი დამპალი სული!

ამ სიტყვებზე ზედამხედველმა გამეტებით ესროლა ზარღრას მისი სული. სული ზარღრას თავში მოხვდა და გაზინთულ, ლორწოვან იატაკზე დაეცა.

– მე შენ ცალკე მოგელაპარაკები! გასწავლი ჭკუას! – დაუქადნა ზედამხედველმა, თვალები დაუბრიალა, კარმუშა ჩაკეტა და მოუსვლელში წავიდა.

საკანში ყველანი გაოგნდნენ, ზარღრამ კი ამასობაში თავისი სული აიღო და ჯიბეში შეინახა. თანაკამერელებს აინტერესებდათ, როგორი იყო წუთის წინ კაპტიორკიდან ამოტანილი, ცოცხალი ადამიანის სული, უნდოდათ მისი ნახვა და სთხოვდნენ ზარღრას, ეჩვენებინა მათთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა, მოიკუნტა, სული დამალა და სადღაც შეიკუჭა. შემდეგ კი, როცა საკანი დაწყნარდა და მის ბინადართა უმეტესობა დასაძინებლად მიწვა, ზარღრა, ცნობისმოყვარეებს ნაკლებად რომ ეცქირათ, პარაშაზე ავიდა, ძველი, გაყვითლებული ზეწრებისაგან შეკერილი ფარდა ჩამოიფარა და ჯიბიდან დამალული სული გამოაძვრინა, ცხვირსახოცი გაშალა, არასასიამოვნო, ქონისებური მასა ამოიღო. ეს მასა თითებზე ეკვროდა, იგლისებოდა, მაგრამ არ ნაწევრდებოდა.

ზარღრა უსუფთაო პარაშაზე იჯდა განმარტოებით, სულის გადაყლაპვას ლამობდა, პირში იტენიდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან სული ახრჩობდა მას.

10

ზარღრას საქმესთან დაკავშირებით ყველაფერი დაადგინა გამოძიებამ. გამოძიება ბრმა მუსიკოსსაც მისწვდა. ამ უკანასკნელს დაუმტკიცეს, რომ სახელდობრ მისი ვიოლინოს სიმი იყო გამოყენებული ტაქსისტზე თავდასხმის დროს. ამის გამო მოხუცს მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობისა და მაწანწალობისათვის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ზარღრას კიდევ უფრო მეტი მიუსაჯეს და წვალებისა და ჯახირის განუწყვეტელმა კარუსელმაც განაგრძო თავისი მუდმივი ტრიალი.